

ეკონომიკური კონცეპტები  
ქართულ მხატვრულ პროზაში



შოთა რუსთაველის საქართველოს  
ეროვნული სამეცნიერო ფონდი

SHOTA RUSTAVELI NATIONAL SCIENCE  
FOUNDATION OF GEORGIA



Shota Rustaveli Institute of Georgian Literature

## Economic Concepts in Georgian Fiction

*From the second half of the XIX century  
up to the 20th years of the XXth century*

Tbilisi 2017



შოთა რუსთაველის საქართველოს  
ეროვნული სამეცნიერო ფონდი

SHOTA RUSTAVELI NATIONAL SCIENCE  
FOUNDATION OF GEORGIA



შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის  
ინსტიტუტი

## ეკონომიკური კონცეპტები ქართულ მხატვრულ პროზაში

*XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან  
XX საუკუნის 20-იან წლებამდე*

თბილისი 2017

UDC(უაკ) 821.353.1.09-3  
ე-491

აღნიშნული პროექტი (FR/101/1-20/14). განხორციელდა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით. წინამდებარე პუბლიკაციაში გამოთქმული ნებისმიერი მოსაზრება ეკუთვნის ავტორს და შესაძლოა, არ ასახავდეს ფონდის შეხედულებებს

This project has been made possible by financial support from the Shota Rustaveli National Science Foundation (FR/101/1-20/14). All ideas expressed herewith are those of the author, and may not represent the opinion of the Foundation itself”

www.rustaveli.org.ge

არაკომერციული გამოცემა

რედაქტორი  
ნონა კუპრეიშვილი

© ნონა კუპრეიშვილი, ირმა რატიანი, თამარ ლომიძე, მათა ჯალიაშვილი, ემზარ ჯგერენაია, ნინო ვახანია, სოლომონ ტაბუცაძე, გიული ქეშელაშვილი

დამკაბადონებელი  
ლია მოსეშვილი

ყდაზე გამოსახულია ხელსაქმის წიგნი ნიმუშებით. დუბლინი, ირლანდია.1833-1837 წწ.

ISBN 978-9941-27-435-0

## სარჩევი

<b>ნონა კუპრეიშვილი</b> შესავალი ეკონომიკური კონცეპტები ქართულ მხატვრულ პროზაში .....	9
<b>მიხეილ გრონასი</b> რა არის ეკონომიკური კრიტიკა? (თამარ ლომიძის თარგმანი).....	15
<b>მარკ ოსტინი მარტა ვუდმანსი</b> ახალი ეკონომიკური კრიტიკა (თამარ ლომიძის თარგმანი).....	31
<b>ემზარ ჯგერენაია</b> კულტურული პარადიგმის ცვლა, ანუ მეტაფორულ-მენტალური შემოტრიალება XIX საუკუნის მეორე ნახევრის ქართულ კულტურულ სივრცეში .....	60
<b>ირმა რატიანი გუბაზ ლეთოდიანი არჩილ წერეთლიანი</b> ბურჟუა XIX საუკუნის ქართულ დრამატურგიაში.....	119
<b>ნინო ვახანია</b> ჟურნალების „გუთნისდედისა“ და “საქართველოს მოამბის“ ეკონომიკური კონცეფცია.....	143
<b>ნონა კუპრეიშვილი</b> ეკონომიკური კონცეპტები ილიას პროზაში .....	158
<b>ემზარ ჯგერენაია</b> ბურჟუას ვერდაბადება ქართული ლიტერატურის სულიდან .....	180
<b>ნონა კუპრეიშვილი</b> ენა, როგორც პერსონაჟი .....	205

<b>მარკ შელი</b>	
რეპრეზენტაციის პრობლემა (თამარ ლომიძის თარგმანი).....	221
<b>მაია ჯალიაშვილი</b>	
ფული-მეხუთე სტიქია .....	232
<b>კონსტანტინე ბრეგაძე</b>	
გოეთე და დასავლეთის ტექნოკრატიზმი.....	249
<b>მანანა კვაჭანტირაძე</b>	
ჰუმანისტურ ღირებულებათა გააზრებისთვის ვაჟა-ფშაველასა და რედიარდ კიპლინგის შემოქმედებაში .....	268
<b>ნინო ვახანია</b>	
კაპიტალისტური და ნაციონალურ-რელიგიური ეთოსის დაპირისპირება .....	286
<b>სოლომონ ტაბუცაძე</b>	
რომანი პოლიტეკონომიის კონტექსტში.....	298
<b>ნონა კუპრეიშვილი</b>	
აკაკი წერეთელი და ქართული მწერლობის პროფესიონალიზაცია .....	318
<b>მაია ჯალიაშვილი</b>	
ქალაქის უდაბნოები .....	339
<b>სოლომონ ტაბუცაძე</b>	
სოფლისა და ქალაქის ანტინომია .....	363
<b>გიული ქეშელაშვილი</b>	
სოფლისა და ქალაქის დისპროპორციის თემა ილია ჭავჭავაძისა და გიორგი წერეთლის პუბლიცისტულ კამპიაში.....	385

<b>მაია ჯალიაშვილი</b>	
ახალი ტიპის გმირები ურბანულ გარემოში (ნიკო ლორთქიფანიძის „შელოცვა რადიოთი“).....	407
<b>მირანდა ტყეშელაშვილი</b>	
რევან გაბაშვილის სოციოცენტრიზმი და ეკონომიკური უტოპიები .....	417
<b>ნონა კუპრეიშვილი ფარნაოზ ნულაია</b>	
რევან გაბაშვილი და ქართული კოოპერაცია .....	430
<b>ნონა კუპრეიშვილი</b>	
გერონტი ქიქოძე – მზერის გადანაცვლება.....	446
<b>სიუზენ ფ.ფეინერი</b>	
ახალგაზრდა ჰომო ეკონომიკუსის პორტრეტი (თამარ ლომიძის თარგმანი).....	471
<b>გიული ქეშელაშვილი</b>	
ეკონომიკური აზროვნების დივერსიფიკაცია ფილიპე გოგინაშვილთან .....	488
<b>ნონა კუპრეიშვილი</b>	
მხატვრული და ეკონომიკური აზრის კორელაცია მიხეილ ჯავახიშვილის „ჯაყოს ხიზნებში“ .....	503
<b>ნონა კუპრეიშვილი</b>	
„Homo economicus“-იდან „Homo ideologus“-ამდე („ეკონომიკური ადამიანიდან“ „იდეოლოგიურ ადამიანამდე“) .....	514
<b>რუსუდან დარჩიაშვილი</b>	
ახალი დროის ნიშნები – კოლაჟი შედგენილი XIX-XIX სს. მიჯნის ქართული პერიოდული პრესის მიხედვით .....	530

## შესავალი

### ეკონომიკური კონცეპტები ქართულ მხატვრულ პროზაში

უკანასკნელ პერიოდში ჰუმანიტარულ მეცნიერებებს შორის არსებული მყიფე საზღვრების შედეგად გაჩნდა ახალი კომუნიკაციური სივრცე, რომელშიც სულ უფრო მყარ პოზიციებს იკავებს გასული საუკუნის 90-იან წლებში ლიტერატურისა და ეკონომიკის გზასაყარზე აღმოცენებული მიმართულება „ახალი ეკონომიკური კრიტიკა“. დაბეჭდვით შეიძლება ითქვას, რომ ესაა ლიტერატურული ტექსტების ინტერპრეტაციის ის ერთადერთი მეთოდი, რომელიც ქართული მწერლობის აქტივიზებული კვლევის პროცესში ჯერ კიდევ არ არის გამოყენებული. ლიტერატორის ეკონომიკისადმი და პირუკუ – ეკონომისტის ლიტერატურისადმი გაზრდილმა ინტერესმა შექმნა ეკონომიკური კონცეპტების ლიტერატურულ არქეტიპებთან ურთიერთმიმართების კვლევის უნიკალური შესაძლებლობა, რომელიც, თავის მხრივ, დაეფუძნა პიერ ბურდიეს სიმბოლური კაპიტალის თეორიასა და ჩიკაგოს ცნობილი სკოლის თვალსაჩინო წარმომადგენლის ჰარი ბეკერის სოციალური და ადამიანური კაპიტალის კონცეფციას. საკითხის სწორად დაყენების შემთხვევაში ეკონომიკური კრიტიკის მეთოდით შესაძლებელია საზოგადოებაში არსებული ეკონომიკური ურთიერთობების ან ეკონომიკური ტრანსფორმაციების ლიტერატურულ ფაქტებზე ზემოქმედების ხარისხის გამოვლენა, რაც არა მარტო ამ ტექსტების არსებობაზე, არამედ მათ შინაარსსა და სახეობრივ სისტემაზე აისახება.

უკიდურესად იდეოლოგიზებულმა საბჭოთა ლიტერატურისმცოდნეობამ ქართული კულტურის რეპრეზენტირების გარკვეული სტერეოტიპები შექმნა, რომლის კონტექსტში XIX-XX საუკუნეების ქართული მწერლობა ძირითადად მითო-პოეტური იდეებისა და ცნებების გენერაციის დისკურსად განიხილება. სინამდვილეში, მარქსისტულ – ლენინურ ესთეტიკას, მხატვრული ტექსტის შეფასების უკიდურესად შეზღუდულ სოციალურ-კლასობრივ კრიტერიუმებს მინიმუმამდე დაჰყავდა ქართველ მწერალთა მიერ გამოკვეთილ პრობლემათა და კონცეპტთა ადეკვატური გააზრება, მათი ზოგად ევროკულტურულ ქრილში აღქმის შესაძლებლობა. ამით ხელიდან იქნა გაშვებული ლიტერატურული ტექსტის იმგვარი ანალიზი, რომელიც ემსახურება პიროვნების მართებულ სოციალიზაციას და სოციუმსა და კულტურას შორის გაჩენილი დისტანციის აღმოფხვრას.

ცნობილი პარადიგმატული ძვრების შემდეგ, როდესაც XX საუკუნის 90-იანი წლებიდან ქვეყანამ დამოუკიდებლობა მოიპოვა, ჩვენი ლიტერატურისმცოდნეობაც ტექსტის ინტერპრეტაციული საზღვრების გაფართოების აუცილებლობის წინაშე დადგა. სწორედ ამ მიმართულებით შეუძლია „ახალ ეკონომიკურ კრიტიკას“ დაძლიოს ტექსტზე მუშაობის საბჭოური პრაქტიკა და ნაკლებად ცნობილ თუ „ამომწურავად შესწავლილ“ ავტორთა ნააზრევი კიდევ ერთი განსხვავებული რაკურსით წარმოადგინოს.

მოცემული პროექტის ფარგლებში ამ ამოცანის რეალიზებისთვის გამოვიყენეთ ეკონომიკური კრიტიკის ინტერესთა სამი ძირითადი ვექტორი: ლიტერატურის ეკონომიკა, ეკონომიკა ლიტერატურაში და ე. წ. პოზიცია ლიტერატურასა და ეკონომიკას შუა. ამათგან პირველი – ლიტერატურის ეკონომიკა -- ლიტერატურის, როგორც მოღ-

ვანეობის ერთ-ერთი ფორმის ეკონომიკურ (პროფესიულ და ინსტიტუციურ დონეზე) ასპექტებს ანალიზებს. ლიტერატურული ტექსტების წარმოებისა და ცირკულაციის ფაქტორებთან ერთად, როგორცაა ტირაჟი, მასობრივი და ელიტარული ბაზარი, ლიტერატურული მარკეტინგი, ჰონორარი, პატრონაჟი, იგი შეისწავლის ჩვენთვის მეტად საყურადღებო მწერლობის პროფესიონალიზების პროცესსაც, რომლის განვითარების ხასიათი გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის კონკრეტულ კულტურულ არეალზე, ჩვენს სოციალურ რეალობასა და სოციალურ ისტორიაზე. ამ თვალსაზრისით უაღრესად საყურადღებოა პირველი პროფესიონალი პოეტის აკაკი წერეთლისა და ამ მხრივ მისი სრული ანტიპოდის, ვაჟა-ფშაველას, სამწერლო საქმიანობის ურთერთშედარება, რომ არაფერი ვთქვათ იმ სირთულეთა კომპლექსზე, რომელთა გადალახვა, მწერლობისადმი არაადეკვატური დამოკიდებულების კონტექსტში, პირველ ქართველ გამომცემლებს, (ვთქვათ, სტ. მელიქიშვილს, ენთიაჯინცს ან ე. ხელაძეს) უხდებოდათ.

მეორე ვექტორი – ეკონომიკა ლიტერატურაში -- ლიტერატურული ნაწარმოების შიგნით მოქცეული ეკონომიკური ცნებებისა და მოვლენების, ლიტერატურულ ტექსტებში უკუფენილი ეკონომიკური პრობლემების გააზრებას გულისხმობს. მაქს ვებერის მიერ კაპიტალიზმის „სულის“ ანატომირების (ჩვენ კი საქართველოში სწორედ ამ საზოგადოებრივ-ეკონომიკური წყობის განვითარების ხანმოკლე ისტორის გვანტერესებს), ახალ ეკონომიკურ ფორმათა ფუნქციონირების შესახებ გამოთქმულ კონცეპტუალურ მოსაზრებათა კვალდაკვალ შესაძლებელი ხდება არა მარტო რეალისტურ (დანყებულ გ. ერისთავიდან ვიდრე მ. ჯავახიშვილამდე), არამედ მოდერნისტულ (მაგ. ნ. ლორთქი-

ფანიძის, ადრეული კ. გამსახურდიასა და შენგელაიას, სტ. კასრაძის, მ. მრევლიშვილის, ი. იოსელიანის, პ. ნოზაძის ნაწარმოებთა გათვალისწინებით) ტექსტებში ისეთი პრობლემის აქცენტირება, როგორცაა კონფლიქტი ნაციონალურ-რელიგიურ ეთოსსა და მე-19 საუკუნის უკანასკნელი მესამედიდან შემოჭრილ ახალ კაპიტალისტურ ეთოსს შორის ან ურბანიზაციის ტემპის მიზეზ-შედეგობრიობა; იკვეთება აგრეთვე სიტყვისა და საქმის ურთიერთმიმართების საკითხი, „სიხარბე-ინტერესისა“ და „ჩუქების“ კონცეპტები, „ინტერესიანი ადამიანისა“ და მოგვიანებით, XX საუკუნის 10-20-იან წლებში აქტივიზებული „იდური ადამიანის“ ტრაგიკული შეუთავსებლობის პრინციპები. აღნიშნული საკვლევი მასალის მიხედვით აქცენტირდება ისეთი ანტინომიებიც, როგორცაა, ქალაქი და სოფელი, „ხმალი“ და „სააანგარიშო“, მამული, როგორც მეტაფორა და მამული, როგორც ეკონომიკური ფაქტორი.

რაც შეეხება მესამე ვექტორს – პოზიციას ლიტერატურასა და ეკონომიკას შუა – იგი მიზნად ისახავს ლიტერატურულ და ეკონომიკურ დისკურსთა ურთიერთზეგავლენის, მათი საერთო რიტორიკული ბუნების ანალიზს, ყურადღებას ამახვილებს ეკონომიკის რიტორიკასა და ტექსტობრივ რიტორიკაზე. გარდა რიტორიკულისა, იკვეთება ინტერესი ამ ორი დისკურსის ფილოსოფიური და სემიოტიკური ანალიზებისადმი. შეგვიძლია დავადგინოთ მხატვრული და ეკონომიკური დისკურსების კორელაციის ხარისხი (მაგ. მის. ჯავახიშვილის შემოქმედებაში); აკაკის, გ. წერეთლის, ვაჟას, ყაზბეგის ლოგიკურ-შეფასებით მსჯელობათა, არამედ სახეობრივი სისტემის მიხედვით კი ვიკვლიოთ ქართული საზოგადოების დამოკიდებულება „მეხუთე სტიქიად“ ნოდებულ ფულის რეპრეზენტატიული ფუნქციისა და

სხვა რეპრეზენტატიული პრაქტიკების ურთიერთდამოკიდებულებისადმი.

კვლევის ქრონოლოგიურ ჩარჩოდ აღებულია საუკუნეთაშორისი მიჯნა, კერძოდ კი XIX საუკუნის მეორე ნახევარი ვიდრე XX საუკუნის 30-იან წლებამდე, ანუ დროის ის მონაკვეთი, რომელიც, ჩვენი თვალთახედვით, იტევს ილიას მოდენიზატორული პროექტის პირველ (1860-1907) და მეორე (1907-1930) ეტაპებს. ვითვალისწინებთ რა თანამედროვეობის მოთხოვნას, ყოველდღიურობის წვრილთემიანობიდან მზერა გადავიტანოთ კონცეპტუალურ ღირებულებებზე, საჭიროდ მიგვაჩნია არა მხოლოდ ლიტერატურულ-ესთეტიკური და ეკონომიკური აზრის ისტორიის, ასე ვთქვათ, დარგობრივი დამოუკიდებელი მეცნიერული კვლევა (რაც კარგა ხანია ისედაც წარმატებით მიმდინარეობს), არამედ ქართული კულტურის ევროპეიზების მეტად მნიშვნელოვან მონაკვეთში ამ ორი სფეროს ურთიერთგადაკვეთის პროცესის აქცენტირება. ამ ფაქტის მიზეზ-შედეგობრიობის წარმოჩენა და ანალიზი, ვფიქრობთ, გახსნის ახალ სააზროვნო სივრცეს, რომელიც მიზანმიმართულად „იმუშავებს“ ჩვენი ლიტერატურული და ეკონომიკური მეხსიერების გაჯანსაღებაზე.

ეკონომიკური კრიტიკის ახალი მეთოდოლოგია გარკვეული ასპექტით სხვა კულტუროლოგიურ საკითხთა სისტემატიზების შესაძლებლობებსაც გულისხმობს. იგი კულტურული პარადიგმების ცვლის პათოსით გამორჩეული XIX-XX საუკუნეთა მიჯნაზე გამოკვეთს იმ ქართველ მოღვაწეთა (ილია და ნ. ნიკოლაძე, გ. ქიქოძე, მ. ჯავახიშვილი, რ. გაბაშვილი თუ ფ. გოგიჩაიშვილი) ძალისხმევას, რომელიც სამოქალაქო ცნობიერების ფორმირებისკენ, შესაბამისად კი ლიტერატურაცენტრისტული საზოგადოების სო-



ციოცენტრისტული საზოგადოებით ჩანაცვლებისკენ იყო მიმართული.

ამ დივერსიფიკაციას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭებოდა ქვეყნისთვის, რომელშიც ისტორიული განვითარების სპეციფიკით გამონვეული არქაული ეკონომიკური ფორმების ბატონობის ხანგრძლივი ტრადიცია არსებობდა. აღნიშნულ გარღვევას ქართული კულტურის არქეტიპში სუბლიმირებული ურთიერთგამომრიცხავი თვისებებიც უნდა გაენეიტრალებინა. სამწუხაროდ, ხალხის გარკვეული ნაწილის ჯერ სოციალისტური იდეებით, შემდეგ კი ბოლშევიკური დემაგოგიით მოხიბვლამ, რეფორმირების გზაზე უკვე მიღწეული ხელშესახები შედეგების უგულვებლყოფამ და საბოლოოდ „ისტორიიდან ამოვარდნამ“ ქართველთა ცნობიერებაში „თვითმოქმედი ქვეყნისა“ და თვითორგანიზაციის უნარის მქონე საზოგადოების ჩამოყალიბების პროცესის წყვეტა გამოიწვია. ამ მოვლენათა მიუკერძოებელი ანალიზი კი მომავლის ორიენტირების განსაზღვრის მნიშვნელოვანი წინაპირობაა.

## რა არის ეკონომიკური კრიტიკა?

### შესავალი შენიშვნა<sup>1</sup>

ახალი ეკონომიკური კრიტიკის თაობაზე (ისე, როგორც მის შესახებ დაწერდა ახალი ეკონომიკური კრიტიკოსი).

ახალი ეკონომიკური კრიტიკა არც ისე დიდი ხნის წინ შეიქმნა ამერიკული ლიტერატურათმცოდნეობაში. მის წარმომადგენლებს აერთიანებთ არა საერთო მეთოდი, თეზისი ან თვალსაზრისი სამყაროს შესახებ, არამედ – საერთო ინტერესი. ახალ ეკონომიკურ კრიტიკოსთა სტატიათა ჯერჯერობით ერთადერთი ფუძემდებლური კრებულის [1] ქვესათაური – „კვლევები ეკონომიკისა და ლიტერატურის გზაჯვარედინზე“ – შეიძლება მთელი ამ მიმართულების მანიფესტადაც მივიჩნიოთ. კრებულის ავტორთა ორ მესამედს შეადგენენ ეკონომიკის პრობლემებით დაინტერესებული ჰუმანიტარები, ერთ მესამედს კი – ჰუმანიტარული საკითხებით დაინტერესებული ეკონომისტები. არსებითად, თემატურად მსგავს (და არა საერთო ინტერესით გაერთიანებულ) მიდგომათა ასეთსავე კონგლომერატს წარმოადგენდა წინამორბედი „ახალი“ კრიტიკა – ახალი ისტორიზმი. მაგრამ თუ ახალი ისტორიკოსები ცდილობდნენ – უმეტესად წარუმატებლად – ჩამოეყალიბებინათ ერთგვარი საერთო მეთოდოლოგია, ახალი ეკონომისტები ამის შესახებ ზრუნვით არც ისე ინუხებდნენ თავს. ამიტომაც მათ შესახებ მსჯელობის დაწყებისას ჯობს განვიხილოთ არა მათ მიერ შემოთავაზებული „სიახლეები“, არამედ ის,

<sup>1</sup> სტატია დაიბეჭდა ჟურნალში „Новое литературное обозрение“, 2002, № 58



თუ რა ადგილი განეკუთვნება იდეათა აკადემიურ ბაზარზე ამ სიახლეებს.

ახალი ეკონომიკური კრიტიკა – ისევე, როგორც სხვა ჰუმანიტარული „ბრენდების“ (ახალი ისტორიზმი, cultural studies) ამერიკულ (და, უფრო ფართოდ, დასავლურ) აკადემიაში შეიქმნა ჰუმანიტარულ დისციპლინათა სტრუქტურული კრიზისის შედეგად. მაღალი კულტურისადმი ინტერესის საერთო შესუსტებასთან დაკავშირებით სოციალურად „გაუფასურდა“ ამ დისციპლინათა ტრადიციული საგნები, მაგალითად, კლასიკური ლიტერატურა. საგნისადმი საზოგადოებრივი ინტერესის დაკარგვა გარდაუვლად იწვევს დისციპლინის ზეგავლენის დაკარგვას – როგორც ფართო კონტექსტში, ანუ საზოგადოებაში, ისე – აკადემიის ფარგლებში.

კრიზისიდან გამოსვლის შესაძლებლობები უსასრულოდ მრავალფეროვანი როდია, არამედ განსაზღვრულია იმ ადგილით, რომელიც ჰუმანიტარულ სივრცეს უკავია ცოდნის საერთო სტრუქტურაში. როგორც ჩანს, არსებობს ორი სტრატეგია:

*კოლონიზაცია* – იმ ახალი საგნობრივი სფეროების ათვისება, რომლებიც ჯერ არ დაუკავებია მეზობელ დისციპლინებს, მაგრამ უკვე წარმოადგენენ საზოგადოებრივ ფასეულობას [2];

და *ექსპანსია* – მეზობელი დისციპლინებით უკვე დაკავებული (ანუ სხვისი) საგნობრივი სფეროების დაპყრობა (სწორედ ამ სტრატეგიას უწოდებენ ინტერდისციპლინარულობას).

ახალი ეკონომიკური კრიტიკა სწორედ რომ ამგვარი ინტერდისციპლინარული ექსპანსიის ნიმუშია. და აგრესიის ობიექტი შემთხვევით როდია შერჩეული.

ექვგვარეშეა, რომ ეკონომიკა ყველაზე პრესტიჟული, სოციალურად ფასეული არასაბუნებისმეტყველო მეცნიერებაა. ეს, პირველ რიგში, განპირობებულია ეკონომიკისა და ეკონომისტების ზეგავლენით რეალური პოლიტიკური და ფინანსური ძალაუფლების ცენტრებზე: მთავრობაზე, კორპორაციებზე, ბაზარზე. ეკონომიკის საგანი თანამედროვე საზოგადოების გულისგულია. გარდა ამისა, ეკონომიკის მეთოდებიც სოციალურ ფასეულობას წარმოადგენს. ეკონომიკა, ყოველ შემთხვევაში, თანამედროვე სახით, თვითონაც ხანგრძლივი და გეგმაზომიერი ინტერდისციპლინარული ექსპანსიის შედეგად ჩამოყალიბდა. ეს ექსპანსია თავს იჩენდა ჯერ კიდევ კლასიკური ეკონომიკის ორიენტაციაში კლასიკურ ნიუტონისეულ ფიზიკაზე [3] და, აგრეთვე, რთული მათემატიკური აპარატის (ვალრასის განტოლებებით დაწყებული) განვითარებაში. სწორედ ამგვარად მიაღწია ეკონომიკამ „თითქმის საბუნებისმეტყველო“, „შედარებით უფრო ზუსტი“ მეცნიერების მაღალ სტატუსს. მას აქვს განვითარებული ფორმალური აპარატი, რომლის დაუფლება ხანგრძლივ აკადემიურ მომზადებას საჭიროებს. აშკარაა, რომ ჰუმანიტარულ დისციპლინათა თვალსაზრისით, „ეკონომიკის ტერიტორია“ ძალზე მაცდუნებლად გამოიყურება [4].

ის კრიტიკოსები, რომლებიც ეკონომიკისკენ „დაიძრნენ“, შუაგზაზე წაანყდნენ საპირისპირო მიმართულებით მომავალ ეკონომისტებს. ამ უკანასკნელთა მიგრაცია მათ საკუთარ დისციპლინაში მიმდინარე კრიზისის შედეგია. უკანასკნელ ათწლეულში ნეოკლასიკური ეკონომიკის მწყობრი შენობა შეტორტმანდა.

1960-იანი წლებიდან დაწყებული, ამერიკულ (და მსოფლიო) ეკონომიკურ მეცნიერებაში განუყოფლად ბატონობ-

და ჩიკაგოს სკოლა, რომლის ლიდერებმა – ისინი კი, თითქმის ყველანი, ნობელის პრემიის ლაურეატები გახლდნენ – განავითარეს, ლოგიკურ და მათემატიკურ სრულყოფილებამდე მიიყვანეს ნეოკლასიკური ეკონომიკური თეორია. ნეოკლასიკური ეკონომიკისთვის – მის განშტოებათა მთელი მრავალფეროვნების მიუხედავად – დამახასიათებელია ძირეული მეცნიერებამდელი შეხედულება ადამიანის, როგორც სარგებლის რაციონალური მაქსიმიზატორის შესახებ და, აგრეთვე, ის ფაქტი, რომ ეს დისციპლინა აცნობიერებს თავს, როგორც მკაცრ, ემპირიულად შემოწმებად მეცნიერებას.

ცნობილია, რომ მეოცე საუკუნის ბოლოს ისტორიამ ნეოკლასიკოსებს შესაძლებლობა მიეცა თითქმის განუსაზღვრელი ექსპერიმენტირებისათვის – მაგრამ მსხვილმასშტაბიანმა ეკონომიკურმა ექსპერიმენტებმა ხშირ შემთხვევებში, უპირველეს ყოვლისა რუსეთში და მესამე მსოფლიოს ქვეყნებში, გამოიწვია უარყოფითი შედეგები, რომლებიც დიამეტრულად უპირისპირდება ნეოკლასიკური თეორიის პროგნოზებს.

ამ უიღბლო მცდელობებმა აიძულა ეკონომისტები (განსაკუთრებით – დამწყებნი, რომლებიც ცდილობდნენ „ახალი სიტყვა“ ეთქვათ და ისინიც, რომლებიც უკმაყოფილონი იყვნენ ნეოკლასიკის გაჭიანურებული ბატონობით), ყურადღება მიექციათ თეორიის სუსტი ადგილებისთვის. კრიტიკა ორი მიმართულებით განვითარდა – და ორივე მიმართულებამ მიაახლოვა ეკონომისტები „ჰუმანიტარულ ტერიტორიასთან“.

ჯერ ერთი, ეჭვქვეშ იქნა დაყენებული ნეოკლასიკის უნივერსალიზმი, „რაციონალური მაქსიმიზაციის“ საყოველთაო მნიშვნელობისა და საყოველთაოდ გამოყენებადობის

პოსტულატი, რომლიდანაც გამომდინარეობს თავისუფლად თვითრეგულირებადი ბაზრისა და ნეოკლასიკოსების სხვა პრაქტიკული რეკომენდაციების მოდელის საყოველთაოდ გამოყენებადობა. ადამიან-მაქსიმიზატორის ერთიანი, უნივერსალური მოდელის ნაცვლად შემუშავებულ იქნა ეკონომიკური აგენტების კულტურული და ინსტიტუციონალური თვალსაზრისით სპეციფიკური, მრავლობითი მოდელები. ეკონომისტებმა გაიხსენეს ვებერი და ვებლენი და ალაპარაკდნენ ეკონომიკურ სისტემებზე კულტურული, რელიგიური და ინსტიტუციონალური ფაქტორების ზეგავლენის შესახებ [5]. მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოიპოვა ჩიკაგოს ნეოკლასიკის წიაღში ჩასახულმა ახალმა ინსტიტუციონალურმა სკოლამ (დონალდ კოასი, კენეტ აროუ), რომელიც ძირითად ეკონომიკურ აგენტად მიიჩნევდა არა ინდივიდს, არამედ – კულტურული თვალსაზრისით სპეციფიკურ ინსტიტუციას. „წმინდა“ ეკონომისტებმა დაიწყეს გათვალისწინება ნაკლებად „მკაცრი“, ჰუმანიტარული მიდგომებისა ეკონომიკისადმი: ასეთია, მაგალითად, ფილოსოფიური მსჯელობა ჩუქების შესახებ, რომელიც მარსელ მოსიდან მომდინარეობს, ნაშრომები ეკონომიკური ანთროპოლოგიის სფეროში, ფსიქოეკონომიკა.

შემდგომ, კრიტიკულად იქნა გაანალიზებული ეკონომიკის ეპისტემოლოგიური სტატუსი, მისი „მეცნიერულობა“: ამ სფეროში პიონერად იქცა ჩიკაგოს ეკონომიკური სკოლის უმცროსი თაობის წარმომადგენელი დონალდ (1995 წლიდან – დეიდრე [6] მაკ-კლოსკი.

მაკ-კლოსკიმ გამოაშკარავა, რომ ნეოკლასიკურ ეკონომიკას არ მიესადაგება ისეთი ტრადიციული ეპისტემოლოგიური კრიტერიუმები, როგორებიცაა ვერიფიკაცია, ფალსიფიკაცია, ექსპერიმენტების განმეორებადობა. მან,

ასევე, ყურადღება მიაქცია ეკონომიკური დისკურსის რიტორიკულ ბუნებას: იმას, რომ ამგვარი დისკურსი დამოკიდებულია თვითნებურად შერჩეული საბაზო მეტაფორებისგან, მათემატიკური მოდელების ფუნქციონირებას მეტაფორების სახით, რიტორიკული ამოცანების ზეგავლენას (ამ ამოცანებს შორისაა „მკაცრი მეცნიერულობის“ შეგრძნების შექმნა). მაკ-კლოსკი და მისმა მოწაფეები, რომლებმაც შექმნეს ეკონომიკური რიტორიკის სკოლა, „ახალი ეკონომიკური კრიტიკოსების“ ბუნებრივ მოკავშირეებად იქცნენ და შეიძლება მიჩნეულ იქნან ამ მოძრაობის შემადგენელ ნაწილად.

ზემოთ განვიხილეთ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და ეკონომიკის „ურთიერთმიზიდულობის“ წარმოშობის წანამძღვრები. ყველაზე უფრო ხელსაყრელია, ახალ ეკონომიკურ კრიტიკოსებად მივიჩნიოთ ის მეცნიერები, რომლებიც ასე თუ ისე მოქცეულნი არიან ამ ორბიტაში.

შეიძლება ვისაუბროთ ინტერესთა სამი ვექტორის შესახებ, რომლებსაც მოიცავს ეს მიმართულება:

– „ლიტერატურის ეკონომიკა“: ლიტერატურის, როგორც მოღვაწეობის გარკვეული სახეობის ფუნქციონირების ეკონომიკურ (პროფესიონალურ, ინსტიტუციონალურ) ასპექტთა ანალიზი;

– „ეკონომიკა ლიტერატურაში“: იმ ეკონომიკურ ცნებათა და მოვლენათა ანალიზი, რომლებიც გვხვდება ლიტერატურული ნაწარმოების ფარგლებში; ეკონომიკური პრობლემატიკა ლიტერატურულ ტექსტებში;

– „ლიტერატურასა და ეკონომიკას შორის“: ამ დისკურსთა ურთიერთზეგავლენის, მათი საერთო რიტორიკული ბუნების ანალიზი; ეკონომიკის რიტორიკა და ტექსტუალური

ეკონომიკა (მაგალითად, ტროპები, როგორც ტრანსაქციები და ა.შ.).

მე ვისარგებლებ ამ სქემით, რომელიც, რა თქმა უნდა, მსჯელობის გასაადვილებლად მოვიხმე, რათა წარმოვადგინო შერჩეული სტატიები და, ზოგადად, ამ მიმართულების პრობლემატიკა.

„ლიტერატურის ეკონომიკაში“ დასაშვებია ორგვარი მიდგომა – ზომიერი და რადიკალური. „ლიტერატურის ზომიერი ეკონომიკა“ შეისწავლის ლიტერატურული ტექსტების წარმოებისა და ცირკულაციის ეკონომიკურ ასპექტებს. „ზომიერება“ იმაში მდგომარეობს, რომ განიხილება იმგვარი მოვლენები, რომელთა ეკონომიკური ბუნება მეტნაკლებად თვალსაჩინოა. ესენია: ტირაჟულობა, წიგნების მასობრივი და ელიტარული ბაზარი, ლიტერატურული მარკეტინგი, საბიბლიოთეკო სტატისტიკა, ჰონორარი, პატრონაჟი, ლიტერატორთა პროფესიონალიზაციის /ლუმპენიზაციის პროცესები და ა.შ. ამტიკებენ არა იმას, რომ ყველა ეს მოვლენა ეკონომიკის სფეროს განეკუთვნება (ამაში ეჭვი არავის ეპარება), არამედ ის, რომ მათი ანალიზი ემპირიულად მნიშვნელოვანია, რადგან ავსებს ლაკუნებს ლიტერატურისა და კითხვის ისტორიაში და ხელს უწყობს საკუთრივ ლიტერატურული ფაქტების უფრო ღრმად გააზრებას. ეს, ალბათ, კვლევათა ყველაზე პოპულარული და საკმარისად ტრადიციული სფეროა: რუსულ ლიტერატურათმცოდნეობაში ამ სფეროს შეიძლება მივაკუთვნოთ ფორმალისტთა გვიანდელი გამოკვლევები და მოსკოვის სოციოლოგიური სკოლის წარმომადგენელთა – ლ. გუდკოვის, ბ. დუბინის, ა. რეიტბლატის – ბევრი ნაშრომი.

ამავე ტრადიციას მიეკუთვნება „Новое литературное обозрение“-ში გამოქვეყნებული უილიამ მილზ ტოდ III-ის

სტატია „დოსტოევსკი როგორც პროფესიონალი მწერალი: პროფესია, საქმიანობა, ეთიკა“. უ. ტოდის განიხილავს დოსტოევსკის ბიოგრაფიის ცნობილ და ნაკლებად ცნობილ ფაქტებს და ცდლობს განსაზღვროს, რამდენად მიესადაგება დოსტოევსკის – მისი მოღვაწეობის სხვადასხვა პერიოდში – პროფესიონალიზმის განსხვავებული კრიტერიუმები. შედეგად ვიღებთ ერთგვარ ახალ ლიტერატურათმცოდნეობით ფანრს: მწერლის პროფესიონალურ ბიოგრაფიას.

ტოდის სტატიაში, ასევე, მონიშნულია (და სხვა ნაშრომებში განვითარებულია) პოეტიკაზე ტექსტის ნარმოებისა და ცირკულაციის („ფორმატის“) ეკონომიკურ თავისებურებათა ზეგავლენის თემა. ტოდის აზრით, „სერიული“ რომანის (ესე იგი, იმგვარი რომანის, რომელიც „სქელტანიანი“ ჟურნალის რამდენიმე ნომერში ნაწილ-ნაწილ, „გაგრძელებებით“ იბეჭდება) ფორმატი ერთ-ერთია იმ მნიშვნელოვან ფაქტორთაგან, რომლებმაც ჩამოაყალიბეს დოსტოევსკის სტილი და სიუჟეტი. გარკვეული თარიღისთვის რომანის მორიგი ნაწილის დაწერის აუცილებლობა აისახება ნახტომისებრ სიუჟეტებში; გრძელი „დანეხილი“ სცენები, რომლებიც ჩაკეტილ სივრცეებში მიმდინარეობს, ბუნებრივი ხერხია იმისთვის, რომ გარკვეულ ვადაში გამზადებულ იქნას ტექსტის აუცილებელი ნაწილი, ოღონდ მისი სიუჟეტის განვითარების გარეშე (ესე იგი, ისე, რომ ავტორი არ იყოს შებოჭილი კონკრეტული სიუჟეტური ხაზით, რომლის უგულებელყოფაც შემდგომ გაძნელდება).

„ლიტერატურის რადიკალური ეკონომიკა“ გულისხმობს ეკონომიკურ თვალსაზრისს მთელი კულტურული სფეროს შესახებ – მათ შორის და უპირველეს ყოვლისა – იმ სფეროების შესახებ, რომლებსაც არავითარი კავშირი არა აქვთ „ფულად“ ეკონომიკასთან“ და ეკონომიკურ ინსტიტუტებ-

თან. ამ გზით მტკიცდება უკვე არა ეკონომიკურის მნიშვნელობა ლიტერატურის ისტორიისათვის, არამედ კულტურის, როგორც ასეთის, ტოტალური ეკონომიკურობა. ამავე ხასიათისაა სხვადასხვაგვარი მცდელობები, გამოყენებულ იქნა ლიტერატურული ანალიზის დროს პიერ ბურდიეს სიმბოლური კაპიტალის თეორია და არამატერიალური კაპიტალების სხვა თეორიები, უპირველეს ყოვლისა, სოციალური და ადამიანური კაპიტალის კონცეფცია, რომელიც შეიმუშავა ჩიკაგოს სკოლის ერთ-ერთმა უკანასკნელმა ტიტანმა, გერი ბეკერმა. ბეკერი შეეცადა გაეგრძელებინა ნეოკლასიკური მეთოდის გამოყენების სფერო (ე.ი. პირველ რიგში, მაქსიმიზაციის პრინციპი) ისეთ „არაეკონომიკურ“ დარგებზე, როგორცაა, მაგალითად, სიყვარული [8], ოჯახური ურთიერთობები და – უკანასკნელ ნაშრომებში – ესთეტიკური პრიორიტეტები.

პრობლემას „ეკონომიკა ლიტერატურაში“ მიეძღვნა მიხაილ მაკეევის სტატია „გარიგება ეშმაკთან რუსეთში კაპიტალიზმის განვითარების პირობებში: ქრისტიანული სიმბოლიკის ეკონომიკური მნიშვნელობა სალტიკოვ-შჩედრინთან“ და ჯვიმს დრისკოლის სტატია „ადამიანი ინტერესის გარეშე: ჩუქების ეკონომიკა ფ. მ. დოსტოევსკის რომანში „იდიოტი“. შესაძლებელია ორივე სტატიას ვებერიანული გამოკვლევები ვუნოდოთ: საუბარია იმის შესახებ, თუ როგორ აისახა შჩედრინისა და დოსტოევსკის ნაწარმოებებში კონფლიქტი ეროვნულ რელიგიურ ეთოსსა და „ქმნადი კაპიტალიზმის ეთოსს შორის XIX საუკუნის უკანასკნელი მესამედის რუსეთში.

პრობლემატიკით „ლიტერატურასა და ეკონომიკას შორის“ დაკავებული არიან ეკონომიკის რიტორიკის სკოლის წარმომადგენლები, რომელიც ზემოთ ვახსენეთ და – ჰუ-



მანიტარულ ასპექტში – ის მკვლევრები, რომელთაც აინტერესებთ რიტორიკული, ფილოსოფიური და სემიოტიკური ანალოგიები ამ დისკურსებს შორის. როგორც ჩანს, ყველაზე უფრო რადიკალურია ჟან-ჟოზეფ გუს მცდელობა [9], შექმნას სიმბოლური გაცვლა-გამოცვლის ზოგადი თეორია. გუ ემყარება ვარაუდს, რომ საზოგადოებაში მიღებული ფულადი სისტემა ყველა დანარჩენი სიმბოლური სისტემის ჰომოლოგიურია, ესე იგი, ფულის აბსტრაქტიზების ისტორიული პროცესი – ფულის, როგორც გაცვლითი ეკვივალენტის გამოგონება, ლითონის ფულიდან ქალაქის ფულზე, შემდეგ კი – ელექტრონულზე გადასვლა – ასახავს სიმბოლურ სისტემათა ევოლუციის სიღრმისეულ პროცესს (ე.ი. მაგალითად, არსებობს კავშირი ფულის რეპრეზენტაციულობასა და, მეორე მხრივ, ფერწერისა და ლიტერატურის რეპრეზენტაციულობას ან პოლიტიკურ რეპრეზენტაციას შორის).

ფულის რეპრეზენტაციულ ფუნქციასა და სხვა რეპრეზენტაციულ პრაქტიკებს შორის არსებული კავშირების ნაკლებად ამბიციური (მაგრამ, ჩემი აზრით, უფრო ღრმა) ანალიზი განხორციელებულია ახალი ეკონომიკური კრიტიკის მეორე კლასიკოსის, მარკ შელის ნაშრომებში [10].

„Новое литературное обозрение“-ს 2002 წლის 58-ე ნომერში ეს მიმართულება წარმოდგენილია კირილ პოსტოუტენკოს სტატიით („კურიოზების კაბინეტის“) გაყიდვა („ეკონომიკური ტოტალურობის ხატები ბალზაკთან, დიკენსთან, მარქსთან და ჩესტერტონთან“). პოსტოუტენკო აანალიზებს ევოლუციას, რომელიც განიცადა ახალ დროში „კურიოზების კაბინეტმა“ – ერთდროულად, თანამედროვე მუზეუმებისა და თანამედროვე მაღაზიების წინაპარმა.

ბლოკის დანართში გამოქვეყნებულია რუსეთის თანამედროვე „პრაქტიკოსის“ [11], ლევ უსისკინის სტატია „ა. ალოვისა და ვ. ნაუმოვის ფილმი „სრბოლა“ როგორც პირადი გაყიდვების ტექნიკის სახელმძღვანელო“. ავტორი 1970-იანი წლების კინემატოგრაფის ანალიზის მეშვეობით ცდილობს განიხილოს ზოგიერთი მარკეტოლოგიური მექანიზმი, რომელთაც თქმის ნახევარი საუკუნის შემდეგ აცოცხლებს ბულგაკოვის პიესის ტექსტი.

ეკონომიკური და არაეკონომიკური – სოციალური ფენომენებია. ამკარაა, რომ მათ შორის ფიზიკური ზღვარი არ არსებობს. ამ ზღვრის განსაზღვრა – საზოგადოებრივი დიალოგის საგანია (რომელსაც, ასევე, შეიძლება ვუნოდოთ კამათი, ომი, ვაჭრობა – და, ბოლოს და ბოლოს, ცეკვაც კი).

მეორე მხრივ, ეს არაა სრულიად აბსტრაქტული კონსტრუქტები: მეტ-ნაკლებად თვალსაჩინოა, რომ თამაში აქციათა ბაზარზე უფრო მეტად მიემართება ეკონომიკას, ვიდრე – ვიოლინოზე დაკვრა<sup>1</sup> (ამასთან, აქციათა ბაზარზე შეიძლება ითამაშო აზარტის კარნახით და არა ფულის გამო, ხოლო ვიოლინოზე, პირიქით, ანგარებიანი მიზნით დაუკრა).

ამ ორ თვალსაჩინო ფენომენს შორის არსებულ სივრცეში გათამაშდება დრამა, რომლის მიზანია სამყაროს შესახებ თვალსაზრისის თავს მოხვევა. კულტურა ცდილობს განდევნოს, მიაჩუმათოს ეკონომიკური; ეკონომიკა ასევე ექცევა თავისუფლებისა და არაპროგნოზირებადობის სივრცეს თავის ტერიტორიაზე და, ბუნებრივია, ხელყოფს სხვისას. ახალ ეკონომიკურ კრიტიკას (რა თქმა უნდა, არა

<sup>1</sup> სიტყვათა თამაში: რუსულად ვიოლინოზე დაკვრაც და აქციათა ბაზარზე ანუ ბირჟაზე თამაში ერთი და იმავე სიტყვით *игра* აღინიშნება.

თვით ამ კრიტიკას, არამედ იმ დამოკიდებულებას სამყაროსადმი, რომელსაც ის, შესაძლოა, წარმოადგენს) სურს იქცეს ერთგვარ დემილიტარიოზებულ ზონად მტრულ მხარეებს შორის და მიუკერძოებლად და ყურადღებით მოისმინოს ორივე მათგანის პრეტენზიები.

1) The New Economic Criticism. Studies at the Intersection of Literature and Economics. / Ed. Martha Woodmansee, Mark Osteen. N.Y.; London: Routledge, 1999.

2) ამგვარ „აუთვისებელ“ სფეროებს მიეკუთვნება:

– მასობრივი, პოპულარული, არაკანონიზებული ლიტერატურა – რომელსაც, კერძოდ, იკვლევს cultural studies;

– ზოგიერთი ჯგუფის (და არა მთელი საზოგადოების თვალსაზრისით) ფასეული კულტურული ობიექტები (ასეთ შემთხვევაში საზოგადოების განურჩეველ დამოკიდებულებას აწონასწორებს ჯგუფების ქარბი ინტერესი).

– ამგვარია ფემინიზმი, პოსტკოლონიალიზმი, black studies, queer studies;

– ქსელური კულტურა, კომპიუტერული თამაშები – იმ სუბდისციპლინის საგანი (ან საგნები), რომელიც ქმნადობის სტადიაში იმყოფება და ჯერჯერობით სხვადასხვა სახელწოდებით მოიხსენიება – მაგალითად, ინფოესთეტიკა, cyber-cultural studies და ა.შ.

3) იხ., მაგ., *Mirowski Philip*. More Heat than Light: Economics as Social Physics, Physics as Nature's Economics. Cambridge; N.Y.: Cambridge University Press, 1989 *и* *ещо же*: Machine Dreams: Economics Becomes Cyborg Science. Cambridge; N.Y.: Cambridge University Press, 2002. კერძოდ, მიროვსკი ამტკიცებს („Machine Dreams“, p. 7), რომ ნეოკლასიკური ეკონომიკის ფუძემდებლების – ჯევონსის, ვალრასის, პარეტოს,

ეჯვორთისა და ფიშერის მიერ ცენტრალური ნეოკლასიკური ცნების utility-ს (მოგება, სარგებლიანობა) მოდელირება ხდებოდა კლასიკური მექანიკის ცნების – პოტენციალური ენერჯის ანალოგიით. 1930-იან წლებში ნეოკლასიკოსები თამაშების მათემატიკურ თეორიასაც იყენებდნენ.

4) ყოველივე ეს, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს, რომ ახალმა ეკონომიკურმა კრიტიკოსებმა უბრალოდ გაითვალეს პლუსები და მინუსები და ამის საფუძველზე გამოიგონეს „ბრენდი“, ისე, რომ ცინიკურად იმედოვნებდნენ სიმბოლური შემოსავლების მიღების შესახებ. რეალურად აქ მოქმედებდა არა ანგარიშიანობა, არამედ „აღლო“ ყოველივე ახლისა და საინტერესოს მიმართ, რაც ჰუმანიტარის ჰაბიტუსის საფუძველია. ჰაბიტუსზე ზემოქმედებს, აგრეთვე, მასობრივი ფსიქოლოგია. აქციათა ბაზარზე მოსახელობის დიდი ნაწილის შემოსვლამ უბიძგა ყველა ამერიკელს, მათ შორის – ჰუმანიტარებსაც, „გულუბრყვილო“ ეკონომიკისკენ. გამორიცხული არაა, რომ ამერიკულ აკადემიაში ეგრეთ წოდებული body studies-ის გავრცელებაც უკავშირდება საყოველთაო გატაცებას აერობიკითა და ძუნძულით 1980-იანი წლების დასაწყისში.

5) ესაა ნიშანდობლივი მონშობა მომხდარი პარადიგმატული ძვრის შესახებ, რომელიც ციტირებულია გაზეთ „უოშონგტონ პოსტ“-ის (Spt 20, 2000, A33) ეკონომიკური მიმომხილველის, რობერტ სამუელსონის საგაზეთო სვეტიდან – ის მნიშვნელოვანია, რადგან ეკონომიკური მიმომხილველები ახორციელებენ კავშირს „მაღალ“ ეკონომიკასა და ფართო საზოგადოებას შორის და პროფესიონალურად მგრძნობიარენი არიან ეკონომიკური დოგმების ცვლილებების მიმართ:

„გლობალიზაციის მოთავეები ჩივიან სიძნელეების გამო: ძალზე ბევრი ქვეყანა ეწინააღმდეგება რეფორმებს – ან ვერ ახორციელებს მათ. ეს მართალია. აფრიკა, მეტწილად, განზე დგას. რუსეთში ცენტრალიზებული ეკონომიკის დაშლამ გამოიწვია თაღლითური „პრივატიზაცია“ და ადგილობრივი ელიტების გამდიდრება. ეს ფაქტების გვაიძულებენ დავფიქრდეთ, რატომ უგულებელყოფენ ქვეყნები რეფორმებს? რატომ, რომ ზოგიერთ ქვეყანაში რეფორმები ვერ ხორციელდება? მაგალითად, სამხრეთ ამერიკის უმეტესმა ნაწილმა უგულებელყო ტრადიციული პროტექციონიზმი და ადგილობრივი კომპანიების მხარდაჭერა. 1985-დან 1996 წლამდე სატარიფო განაკვეთები სამხრეთ ამერიკაში, საშუალოდ, 50%-დან 10%-მდე შემცირდა. მაგრამ ამას არავითარი შედეგი არ მოჰყოლია.

რით უნდა აიხსნას მკვეთრი კონტრასტი, მაგალითად, სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიასთან?

ალბათ, კულტურით. კაპიტალიზმის ევანგელე გვაუწყებს, რომ ადამიანის ბუნება უცვლელია. თუკი ადამიანს ჭეშმარიტი სტიმული ექნება – და თავისი შრომიდან და რისკიდან სარგებლის მიღების შესაძლებლობაც – აყვავება გარანტირებულია. მაგრამ საქმე ასე მარტივად არაა.

აშშ-ს, აფრიკისა და სამხრეთ ამერიკის ბევრი მეცნიერი ამტკიცებს, რომ საზოგადოებრივი და ეთიკური ფასეულობები ზემოქმედებს სახელმწიფოს ეკონომიკურ განვითარებაზე. კულტურა ზემოქმედებს პოლიტიკაზე, და ზოგიერთი საზოგადოების ისტორია, რელიგია, ტრადიციები მათ საშუალებას არ აძლევს, შეითვისონ კაპიტალისტური მიმართებები და ინსტიტუციები. მაშინაც კი, როდესაც ისინი ცდილობენ – არაფერი გამოსდით“.

6) სქესის გამოსაცვლელად ჩატარებული ოპერაციის შემდეგ.

7) იხ., *McCloskey Donald N. The Rhetoric of Economics. University of Wisconsin Press, 1985; McCloskey Deirdre N. How to Be Human: Though an Economist. Ann Arbor: University of Michigan Press, 2000.*

8. აი, მაგალითად, როგორ განმარტავს ბეკერი იმას, რომ უმჯობესია სიყვარულით დაქორწინება:

„შეიძლება ითქვას, რომ Mi-ს (მამაკაც i-ს) უყვარს ქვ (ქალი q), თუკი ამ უკანასკნელის კეთილდღეობა შედის მამაკაცის სარგებლიანობის ფუნქციაში (რაც უფრო კარგად გრძნობს თავს ქალი, მით უკეთესია ეს მამაკაცისთვის – მ.გ.) და, შესაძლებელია, თუკი მი ძალზე აფასებს ფიზიკურსა და ემოციურ კონტაქტს ქვ-სთან. აშკარაა, რომ მი-სთვის მომგებიანია ქორწინება ქვ-სთან: ჯერ ერთი, იმიტომ, რომ სწორედ ამგვარად შეუძლია მას მაქსიმალური სარგებლობა მოუტანოს ქვ-ს (ესე იგი, საკუთარ თავსაც); მეორეც, იმიტომ, რომ ქვ-სთან კონტაქტის შედეგად მოპოვებული „პროდუქტები“ [commodities measuring „contact“] გაცილებით უფრო იაფია იმ შემთხვევაში, როდესაც მი დაქორწინებულია ქვ-ზე, ვიდრე იმ შემთხვევაში, როდესაც მას სურს არაფორმალური კავშირების დამყარება ქვ-სთან. მაშინაც კი, როდესაც „ეგოისტი“ ქვ არ პასუხობს ვაჟის გრძნობებს, მისთვის მაინც უფრო მომგებიანია სწორედ მასზე გათხოვება. რადგან ის, როგორც ქვ-ს კეთილდღეობის ზრდაში დაინტერესებული პირი, ქვ-ს გადასცემს ამისთვის საჭირო რესურსებსაც. სიყვარულით (თუნდა ცალმხრივით) დაქორწინება – ქორწინების ყველაზე უფრო ეფექტიანი სახეობაა: იმ შემთხვევაშიც კი, თუ ერთ-ერთი პარტნიორი – გულგრილი ეგოისტია, ეფექტიანობის საერთო ამაღლება



მისთვისაც სასარგებლო იქნება <...>. სიყვარული პოტენციური საქმროების გადარჩევის მნიშვნელოვანი კრიტერიუმია, რადგან, ბაზრის თვალსაზრისით, სიყვარულით დაქორწინება ყველაზე უფრო პროდუქტიულია“ (ციტ. ნიგნიდან: *Nelson Robert H. Economics as Religion. Pennsylvania UP, 2001. P.178*).

9) იხ.: *Goux Jean-Joseph. Freud, Marx: Economie et symbolique. Edition de Seuil, 1973; Goux Jean-Joseph. Symbolic Economies After Marx and Freud. Ithaca: Cornell UP, 1990.*

10) *Shell Marc. The Economy of Literature. Baltimore: John Hopkins UP, 1978; Shell Marc. Money, Language, and Thought: Literary and Philosophical Economies from the Medieval to the Modern Era. University of California Press, 1982; Shell Marc. Art & Money. Chicago: University of Chicago Press, 1995.*

11. ლევ უსისკინი – პროზაიკოსი, პუბლიცისტი და, იმავდროულად, პიარ-მენეჯერი და გაყიდვათა ტექნიკის სემინარის ხელმძღვანელია.

მარკ ოსტინი, მარტა ვუდმანსი  
(ლონდონი-ნიუ-იორკი, 1999)

## კვლევები ეკონომიკისა და ლიტერატურის გზაჯვარედინზე

1991 წელს ამერიკის შეერთებულ შტატებში შეიქმნა ლიტერატორთა დაჯგუფება, სახელწოდებით „ახალი ეკონომიკური კრიტიკა“, რომლის ძალისხმევით შედეგად ჩამოყალიბდა ლიტერატურული და კულტურული კვლევების ერთ-ერთ ყველაზე პერსპექტიული დარგი.

მეორე მხრივ, ეკონომიკაშიც ხორციელდებოდა კრიტიკული კვლევები, რომლებიც ლიტერატურული და რიტორიკული მეთოდების მეშვეობით ცდილობდა გამოეველინა ეკონომიკის ფუძემდებლური ფარული მეტაფორები და ფიქციები. ეს ორი სფერო დამოუკიდებლად ფუნქციონირებდა, ამიტომ 1994 წელს საგანგებოდ გამართულ კონფერენციაზე ამ დარგების სპეციალისტებმა შეძლეს ერთმანეთისთვის გაეზიარებინათ თავიანთი მოსაზრებები.

ეკონომიკური კრიტიკის პირველი ტალღა აგორდა 70-იანი და 80-იანი წლების მიჯნაზე და ბიძგი მისცა ლიტერატურის, კულტურისა და ეკონომიკისა მეცნიერული კვლევების მეორე ტალღას. რამ განაპირობა ეს პროცესი?

1. აღსანიშნავია, რომ ლიტერატურათმცოდნეობამ უკან, ისტორიული მეთოდებისკენ დაიხია და უგულებელყო დეკონსტრუქცია, სემიოტიკა და 1970-80-იან წლებში გაბატონებული სხვა ფორმალისტური მეთოდები. ლიტერატურის კრიტიკოსებმა შეიმუშავეს ახალი მეთოდები სხვა დარგის მეთოდებსა და ტექსტებზე დაყრდნობით. ერთ-ერთი მათგანი გახლდათ ეკონომიკა.

2. ამ თეორიული გარღვევის მიზეზებმაც და შედეგებმაც აიძულეს ლიტერატურის კრიტიკოსები, ეძებნათ ახალი, უვალი გზები.

3. კულტურული კვლევების განვითარების პროცესი ადვილად ექვემდებარება ეკონომიკურ განმარტებებს.

ნამოიჭრება ისეთი კითხვები, როგორებიცაა: რა არის ეკონომიკური კრიტიკა? რა შეიძლება ისწავლონ ლიტერატურისა და კულტურის მკვლევრებმა ეკონომისტებისგან? რა შეიძლება აითვისონ ეკონომისტებმა ლიტერატურული და კულტურული კვლევებიდან?

### **წარმომავლობა და დეფინიციები**

ეკონომიკური კრიტიკის პირველი ტალღა საკმარისად მკაფიოდ განსაზღვრავდა თავის თავს. მაგალითად, წიგნში „წარმოსახვის ეკონომიკა“ კურტ ჰაინც(ზ)ელმანი (ჰეინ-ზელმანი) (1980) განასხვავებს, ერთი მხრივ, „წარმოსახვით ეკონომიკას“, რომლის თანახმად, „ეკონომიკური სისტემები სტრუქტურულად ნარმოსახვითი ხერხებით – არსებითად, ფიქტიური ცნებების მეშვეობით“ და, მეორე მხრივ, „პოეტურ ეკონომიკას“, რომლის მიხედვით, მწერლები იყენებენ „ფიქტიურ ეკონომიკურ დისკურსს, როგორც მათი ნაწარმოების მათგან განსხვავებულ პრინციპს“. წარმოსახვითი ეკონომიკა განიხილავს ეკონომიკას ლიტერატურული მეთოდებით; პოეტური ეკონომიკა განიხილავს ლიტერატურას ეკონომიკური მეთოდებით. მეორე დეფინიცია შეიმუშავა მარკ შელმა (1978) თავის ძალზე გავლენიან ნაშრომში „ლიტერატურის ეკონომიკა“. შელის აზრით, ლიტერატურული ნაწარმოებები შედგება ტროპული შენაცვლებებისგან ან მეტაფორებისგან, რომელთაგან ზოგიერთი შეიძლება გავაანალიზოთ ეკონომიკური ცნებების მეშვეობით“;

მაშასადამე, ეკონომიკური ლიტერატურული კრიტიკა ცდილობს „ჩასწვდეს მიმართებას ლიტერატურულ გაცვლა-გამოცვლასა და იმ გაცვლა-გამოცვლას შორის, რომელიც პოლიტიკურ ეკონომიკის საფუძველს წარმოადგენს“ და გააერთიანოს ამ ორი სფეროს დისკურსები. აქ უნდა გავიხსენოთ, რომ პოლიტიკური ეკონომიის მეცნიერება წარმოიშვა ტიპურ ბურჟუაზიულ ლიტერატურულ ფორმასთან – რომანთან ერთად. რამდენიმე თანამედროვე ლიტერატურულ ნაშრომში განხილულია ამ ორი დისკურსის წარმოშობის თანმხლები გარემოებები. მაგალითად, დევიდ კაუფმანი სვამს კითხვას, რატომ მოხდა, რომ „ეკონომიკის თეორია და ნარატიული მხატვრული ჟანრი (ნარატივე ფიციტიონ) ... იქცა ინტელექტუალური დებატების საგნად და საშუალებად ერთსა და იმავე პერიოდში“. ამ კითხვაზე ის პასუხობს, რომ კომერციული კაპიტალიზმის სწრაფმა განვითარებამ და ინსტიტუციურმა კონსოლიდაციამ მეთვრამეტე საუკუნეში წარმოქმნა ეკონომიკის, სახელმწიფოს, მორალისა და სამოქალაქო უფლებების ახლებური აღწერებისა და აპოლოგიის საჭიროება, რომელიც დაკმაყოფილებულ იქნა როგორც პოლიტიკური ეკონომიის, ისე რომანის მიერ“. კაუფმანი იზიარებს ნენსი არმსტრონგის დამაჯერებელ არგუმენტს, რომ რომანის დანიშნულება გახლდათ მასკულინური და ფემინინური სფეროების დიქტომიის კოდიფიკაცია: ამგვარად, ეკონომიკის გამიჯვნა ლიტერატურისგან მჭიდროდ უკავშირდება კულტურის გენდერიზაციას და, მეთვრამეტე საუკუნის ბოლოს, პოლიტიკური და საშინაო (დომესტიკური) სფეროების ურთიერთგამიჯვნას. ჯეიმს ტომპსონის თქმით, თუკი რომანი არის დისკურსი, რომელიც აღწერს ან წარმოგვისახავს და ამ გზით წარმოქმნის პრივატულობასა და ოჯახურ ცხოვრებას, პოლიტი-

კური ეკონომია არის დისკურსი, რომელიც წარმოადგენს ან აღწერს სამოქალაქო საზოგადოებასა და საჯაროობას (პაბლისიტის).“ ეკონომიკურ ლიტერატურულ კრიტიკაში მიმდინარე თანამედროვე კვლევები ააშკარავენ, აგრეთვე, როგორ განაპირობებს ეს ორი სფერო ერთმანეთს. ტომპსონი ამტკიცებს, რომ მეთვრამეტე საუკუნე ის ისტორიული მომენტი, როდესაც „ღირებულების ცნებამ ღრმა ტრანსფორმაცია განიცადა და ბიძგი მისცა მრავალფეროვანი ჰუმანიტარული, ფინანსური და ესთეტიკური დისკურსების ჩამოყალიბებას“, რასაც საფუძვლად ედო „ფულის რეკონცეპტუალიზაცია განიდან კაპიტალად, და. მაშასადამე, მონეტარული ფულის მომდევნო შენაცვლება ბანკოტეზით“. ამ რეკონცეპტუალიზაციამ დრამატული ზეგავლენა მოახდინა ეროვნების კულტურულ დეფინიციებზე. სანდრა შერმანის აზრით, „ბაზარმა იდეების სფეროში, ლიტერატურაში P და ბაზარმა, რომელიც შეიქმნა ქალაქის ფულის ზეგავლენით (ორივე მათგანი ჩამოყალიბდა მეთვრამეტე საუკუნეში), წარმოშვა საერთო დისკურსული ველი „მხატვრული ლიტერატურის“ ცნების ირგვლივ, მაგალითად, ის, რომ „გრძელვადიანი კრედიტი ჩართავს კულტურას ნარატივის ახალ სახეობაში“. ამგვარად, ლიტერატურული ტექსტები და, განსაკუთრებით რომანები, წარმოქმნის და პასუხობს ფულადი კრედიტისა და ეკონომიკური სისტემის რეპრეზენტაციის ახალ ფორმულირება. მეთვრამეტე საუკუნეში დისკურსული სფეროების გამიჯვნის ისტორია საშუალებას გვაძლევს განვმარტოთ, რატომაა, რომ თანამედროვე ეკონომიკური ლიტერატურული კრიტიკა ესოდენ ფოკუსირებულია მეთვრამეტე-მეცხრამეტე საუკუნეების ინგლისურ ლიტერატურაზე. თუმცა, მარტა ვუდმანის აზ-

რით, ეკონომიკის გამიჯვნა ჰუმანიტარული სფეროსგან უშუალოდ უკავშირდება რომანტიკულ იდეოლოგიას, რომელიც განსაზღვრავს ლიტერატურას (და, რა თქმა უნდა, მთლიანად ხელოვნებას) კომერციასთან დაპირისპირების მეშვეობით. რომანტიკოსებმა ესთეტიკური ღირებულების გამიჯნეს მონეტარული ღირებულებისგან, და ეს ტენდენცია დღემდე არსებობს.

### ენა და ფული

შეიძლება ითქვას, რომ ეკონომიკური კრიტიკა არსებობდა 1960-იან წლებამდე – მაგალითად, მარქსიზმის იმ განშტოებაში, რომელსაც იყენებდა გეორგ ლუკაჩი ფრანკფურტის სკოლაში, და, აგრეთვე, 1930-იანი წლების მემარცხენე კრიტიკა. მაგრამ 1950-60-იან წლებში ამგვარი მიდგომა მოძველდა და გაბატონდა თითქოსდა აპოლიტიკური ახალი კრიტიკა. ამიტომ ამ პერიოდში თვით ეკონომიკური კრიტიკაც, რომელიც ემყარებოდა უფრო ფართო მეთოდებს, კონცენტრირებული იყო ტექსტების თვალსაჩინოდ მანიფესტირებულ შინაარსზე – პერსონაჟების ქცევაზე, ფულად ცნებებზე, ტროპებზე და ა.შ. ის, ხშირად, არ ითვალისწინებდა ავტორის ფინანსურ ჩვეულებებს ან შეხედულებებს და რა თქმა უნდა, არ ითვალისწინებდა ეროვნულ ან ადგილობრივ ეკონომიკებს, ან კიდევ – თანამედროვე ეკონომიკურ პრაქტიკებსა და თეორიებს. ორი მაგალითი, რომლებიც ანალოგიურია, თუმცა კი გამიჯნულია ოც წელზე მეტი პერიოდით, ესაა დონალდ მალის (1973) და პეგი მაკკორმაკის მიერ ჰენრი ჯეიმსის შემოქმედების ანალიზი. მაშინ, როდესაც მალის წიგნი „ფული და მისი გადაქცევა ცნობიერების მასალად“ სხვა არაფერია, თუ არა ტროპის, პერსონაჟისა და ხდომილების საგულდაგულო ფორმალისტური ანალი-

ზი, მაკკორმაკის გამოკვლევა უბრუნდება „ახალ კრიტიკას“ და იყენებს ისეთ ცნებებს, როგორებიცაა „კაპიტალიზმი“, „მოხმარება“ ან „მოხმარების საგნები“, ისე, რომ, ფაქტობრივად, არ განიხილავს მათს რთულ მნიშვნელობებს სხვა კონტექსტებში. თუმცა ამგვარ გამოკვლევას შეუძლია შემოგვთავაზოს სასარგებლო დასკვნები ტროპებისა და სცენების „ეკონომიკათა“ შესახებ, მაგრამ მათი ამოსავალი დებულება ისაა, რომ ტექსტები დახურული სისტემებია, რომელთა ღირებულება შეზღუდულია. მაგრამ ფორმალისტური ანალიზი, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ის განიხილავს ტექსტს, როგორც გაცვლა-გამოცვლისა და ტრანსაქციების ლოკუსს, შეიძლება ნაყოფიერი იყოს. იან რედი ნარატოლოგიური მეთოდებით განიხილავს ნარატიული „გაკოტრებასა“ და „გაცვლა-გამოცვლას“, მაგალითად, შემოაქვს რამდენიმე სასარგებლო „ეკონომიკური“ მოდელი ძალთა ურთიერთმიმართების აღსაწერად, ერთი მხრივ, ტექსტების შიგნით და, მეორე მხრივ, ტექსტებსა და მათ ავტორებს შორის. სამწუხაროდ, რედი იშვიათად აკავშირებს ტექსტების შინაგან ეკონომიკებს მათს ეკონომიკურ კონტექსტთან და იმ კონტექსტებთან, რომლებშიც ტექსტები არსებობს. მიუხედავად ამისა, რედის ნაშრომი იმპლიციტურად გვიჩვენებს მთელი თანამედროვე ეკონომიკური კრიტიკის ნაკლს – იმის უგულებელყოფას, რასაც მარკშელი უწოდებს „ტროპების გაცვლა-გამოცვლას“ ტექსტებში – და აგრეთვე ააშკარავებს ისტორიული ცოდნის გათვალისწინების აუცილებლობას: განმარტებითი კონტექსტის გარეშე ეკონომიკური ცნებები თითქოს უნესრიგოდაა შერჩეული და არც ინტრატექსტუალური, ინტერტექსტუალური და ექსტრატექსტუალური დინამიკითაა ნაკარნახევი.

თუკი არ გავითვალისწინებთ ლიტერატურულ დისკურსებს, როგორც მრავალი სოციალური დისკურსის ერთ-ერთ სახეობას, მაშინ დაუსაბუთებელი იქნება, რატომ უნდა გამოვიყენოთ ნარატივის დინამიკის აღსაწერად ეკონომიკური ცნებები ნაცვლად, მაგალითად, ფსიქოლოგიური ტერმინებისა.

ეკონომიკური კრიტიკის მეორე ფორმა განიხილავს ცალკეული ავტორების ან სკოლების ეკონომიკურ ჩვენებებს, წარმოდგენებს, ტრადიციებს და აანალიზებს, თუ რამდენად აისახება ეს ჩვენებები მათს შემოქმედებაში. ეს გამოკვლევები, რომლებიც ახლოა მემარცხენე ან მარქსისტულ იდეოლოგიასთან, კმაყოფილდება იმით, რომ სესხულობს ცნებებს სოციალურ თეორეტიკოსთა წინა თაობისგან მათი კრიტიკული განხილვის გარეშე, უპირობოდ. გარდა ამისა, ბევრი ამგვარი ნაშრომის მიზანია სხვადასხვაგვარი ეკონომიკური თეორიების, ცნებების ან ფილოსოფიური საფუძვლების გამოყენება იმის განხილვის გარეშე, როგორ იყო გააზრებული კრედიტი, ღირებულება და ფული და ა.შ. იმ ეპოქის კულტურაში, როდესაც შეიქმნა და აღქმულ იქნა ნაწარმოები. ეს კვლევები, მოკლედ რომ ვთქვათ, თითქმის მთლიანად ემყარება ტექსტების ზედაპირულ შინაარსს და უგულებელყოფს როგორც თეორიულ ნაშრომებს ეკონომიკური კრიტიკის სფეროში, ისე ეკონომიკის ისტორიას. მაგრამ ყველაზე უფრო საინტერესო ადრეული კრიტიკა იკვლევდა პარალელებს ლიტერატურაში გამოყენებულ ტროპებსა და ეკონომიკის დარგში გამოყენებულ ტროპებს შორის. მათ შორისაა ჰაინცელმანის (1980) საუკეთესო ადრეული ნაშრომი, სადაც გაანალიზებულია „ენა და ლოგიკა, რომლებიც საერთოა პოეტურსა და ეკონომიკურ სისტემებს შორის“ სპენსერის, თოროს, უილიამ კარლოს უილიამ-



სის ღრმა და გააზრებული ეკონომიკური ნაკითხვის მეშვეობით, და ჯონ სტიუარტ მილის, მარქსისა და ჯონ რასკინის ეკონომიკური პოეტიკების ლიტერატურული ნაკითხვის მეშვეობით. ჰაინცელმანის მსგავსად, ეკონომიკური კრიტიკის სხვა ფუძემდებლებმა, უბრალოდ, გამოიყენეს ის, რაც მაკკლოსკის და რიტორიკული ეკონომიკის სხვა წარმომადგენელთა მიერ ესოდენ საგულდაგულოდაა დამუშავებული: რომ ეკონომიკა უზრუნველყოფს ტროპებისა და გამონაგონის (ფიცტიონს) მზა სისტემას ღირებულების, სესხის, ფულისა და გაცვლა-გამოცვლის შესახებ, რაც საფუძვლად უდევს არა მარტო მათს საკუთარ პრაქტიკებსა და ტექსტებს, არამედ – ლიტერატურულ დისკურსებსაც, რომელთა კავშირი ეკონომიკასთან ნაკლებად თვალსაჩინოა. მოკლედ რომ ვთქვათ, ეკონომიკურ კრიტიკას მიენერება არსებობა და გამოვლენა პარალელებისა და ანალოგიებისა ლინგვისტურსა და ეკონომიკურ სისტემებს შორის. ამიტომ ლიტერატურული ეკონომიკის რომელსამე თეორეტიკოსმა უნდა დაიწყოს სოსიურის ლინგვისტიკისა და პოსტსტრუქტურალისტური თეორიის აქსიომებით – რომ ყველა ნიშანი არბიტრარულია და სინტაგმატურ კავშირშია ერთმანეთთან. შემდეგ კი უნდა გაანალიზდეს ფულისა და ფინანსების ერთნაირად ფიქტიური ან კონსტრუირებული ბუნება. შეღმა, ჟან-ჟოზეფ გუმ და უოლტერ ბენ მაიკლსმა გაანალიზეს ისტორიული და ფილოსოფიური პარალელები – რომელთაც ჩვეულებრივ ჰომოლოგიებს უწოდებენ – ეკონომიკურსა და ლინგვისტურ სისტემებს შორის. მათმა გამოკვლევებმა საფუძველი დაუდეს ფაქტობრივად მთელ ლიტერატურულ ეკონომიკურ კრიტიკას, რომელიც მას შემდეგ განვითარდა.

## ახალი დეფინიციები

ახლა პასუხი გავცეთ კითხვაზე: რა არის ეკონომიკური კრიტიკა? ისტორიული მიმოხილვის საფუძველზე შეიძლება შემოგთავაზოთ რამდენიმე – თუმცა კი ურთიერთდაკავშირებული მიდგომა ლიტერატურული ტექსტების ეკონომიკისადმი.

### 1. წარმოება

ეკონომიკური კრიტიკის ყველაზე უფრო ხშირად იკვლევს სოციალურ, კულტურულ და ეკონომიკურ კონტექსტებს, რომლებშიც პიროვნება ან სოციალური ჯგუფი მუშაობს:

1. აქ ეკონომიკური კრიტიკა მოიცავს ახალი ისტორიზმის კულტურულ კვლევებს. ამგვარი კვლევისას შეიძლება განხილულ იქნას, ჯერ ერთი, ცალკეული ავტორის შეხედულებები ფულის, ამ ავტორის ფინანსური პრაქტიკების, შემოქმედებითი შრომის მეშვეობით მოპოვებული შემოსავლის, ბაზარზე მისი ადგილის და ა. შ. შესახებ.

2. აქვე შეიძლება გაანალიზებულ იქნას ეკონომიკა ფართო გაგებით, რომელშიც არსებობენ ავტორი და მისი ნაწარმოები, რაც მოიცავს ხელოვნების ძეგლის ან ლიტერატურული ნაწარმოებების აღქმასა და შეფასებას ფართო ბაზარზე; შეიძლება განხილულ იქნას სხვა კულტურული დისკურსები (მაგალითად, რეკლამა, მატერიალური კულტურის სხვა საგნები და პრაქტიკები), რომლებიც ზემოქმედებას ახდენს განსახილველ ტექსტზე ან ტექსტებზე; შეიძლება გაანალიზებულ იქნას სხვა ტექსტების ზეგავლენა ან პარალელები მათთან; შეიძლება გამოკვლევულ იქნას სქესის, ეთნიკური კუთვნილების და სექსუალური ორიენტაციის ეკონომიკური ან სოციალური ზეგავლენა ტექსტის შექმნაზე. ბოლოს, შეიძლება გათვალისწინებულ იქნას

ეროვნული, რეგიონალური ან ტრანსნაციონალური ეკონომიკების თავისებურებები, რომლებიც არსებობდა ტექსტის შექმნის პერიოდში.

მაგალითად, იმისთვის, რათა ადეკვატურად გავიაზროთ ჩარღზ დიკენსის მიერ ფულის, კლასის და ბურჟუაზიული სუბიექტურობის აღწერა, უნდა გამოვიკვლიოთ: როგორი ზემოქმედება მოახდინა დიკენსის მამის დაპატიმრებამ (ვალების გადაუხდელობის გამო) მწერლის დამოკიდებულებაზე ფულისა და სამუშაოს მიმართ; დიკენსის მანიპულაციები ბაზარზე მისი ნაწარმოებებით: როგორი რეაქცია ჰქონდა მას საზოგადოების დამოკიდებულებაზე და რეკლამაზე (სახელის მოხვეჭის მიზნით); რამდენად განსაზღვრა გასაღებაზე ზრუნვამ მწერლის მანიაკალური შრომისმოყვარეობა; დიკენსის ზრუნვა საავტორო უფლებების დაცვის შესახებ; შესაძლოა, აგრეთვე, განხილულ იქნას დიკენსისა და მისი შემოქმედების მიმართება სწრაფად განვითარებადი ინდუსტრიული და იმპერიალისტური ეკონომიკისა და ვიქტორიანულ ინგლისში მიმდინარე კლასობრივი პროცესებისადმი. თანამედროვე ეკონომიკურ კრიტიკაში ამგვარი განხილვის მაგალითები უხვად მოიპოვება. ამგვარი პროდუქციონისტური კრიტიკა ძირითადად ექსტრატექსტუალურია: ის აერთიანებს ბიოგრაფიულ, ისტორიულ და კულტურულ მეთოდებს, როგორც იმის საშუალებას, რომ განვიხილოთ ტექსტები და ავტორები ვიწრო და ფართო ექსტრატექსტუალურ ეკონომიკებში, მაგრამ იშვიათად განიხილავს თვით ტექსტების შიდა ეკონომიკებს.

### **შიდა მოძრაობა**

ეკონომიკური კრიტიკის მეორე ფორმაა პროდუქციონისტური (ზემოთ განხილული) მეთოდების გამდიდრება

შელის იმ შეხედულების საფუძველზე, რომლის თანახმად, ფული სხვა არაფერია, თუ არა „ტროპების სისტემა“, რომელიც მონაწილეობს ენის ლოგიკურ ან სემიოლოგიურ ორგანიზებაში“. ამგვარი კრიტიკა იყენებს ფორმალისტურ მეთოდებს ტექსტის ან ტექსტების შიდა (ინტერნალური) ან ინტრატექსტუალური „ეკონომიკების“ განსახილველად. ამ მიდგომაში ძირითადია წარმოდგენა ტექსტების, როგორც გაცვლა-გამოცვლის სისტემების შესახებ, რომელშიც შედის გამაერთიანებელი ომეტაფორული შენაცვლებების დინამიკური მოდელები. გასაკვირი არაა, რომ ამგვარი შენაცვლებების ძირითადი საშუალებაა ტროპები, რომლებიც, ასევე, მონეტარულია დენოტაციისას ნარატიული ფორმების მიმართ გამოყენებისას ამგვარი კრიტიკა, ჩვეულებრივ, იწყება პერსონაჟთა მოქმედებებისა და ურთიერთქმედებების განხილვით – მათი გაცვლა-გამოცვლა, ვალები, შენაცვლები, დანაკარგები, საჩუქრები და ა.შ. – რათა გამოამკარავებულ იქნას, როგორ ხდება შინაგანი (ინტერნალური) ტროპული ეკონომიკის ხორცშესხმა. ამგვარმა კრიტიკამ შეიძლება განიხილოს ეკონომიკური ტროპები ცალკეულ ლიტერატურულ ნაწარმოებებში, ლიტერატურულ მიმდინარეობებში ან ამა თუ იმ ავტორის შემოქმედებაში, რათა გამოჰყოს განმეორებადი სახეობრივი მოდელები და ამის საშუალებით განსაზღვროს ავტორისეული შეფასება საკუთარი შემოქმედებითი შრომისა (ჰაინცელმანი სწორედ ასე იქცევა). მოკლედ. ამგვარი ფორმალისტური კრიტიკის პროცედურები მნიშვნელოვანწილად ინტრატექსტუალურია. მაგრამ თუ ახალი ისტორიზმი უგულებელყოფს ინტრატექსტუალურს ექსტრატექსტუალურის სასარგებლოდ, ფორმალისტური ეკონომიკური კრიტიკა, თავის მხრივ, დაზარალა მისმა უნივერსალისტურმა და არაისტორიულმა

შეხედულებებმა იმ დამოკიდებულებების შესახებ, რომლებიც არსებობს ავტორებსა და სოციალურ გარემოს შორის. ამიტომ ეკონომიკურმა კრიტიკამ უნდა გააერთიანოს ანალიზის რამდენიმე მეთოდი და თავი შეიკავოს როგორც ვიწრო ფორმალისტური მიდგომისგან, ასევე – ზედაპირული კავშირებისა და განზოგადებებისგან, რომლებიც ახალ ისტორიზმს ახასიათებს. ამ მეთოდების კომბინირების მეშვეობით კრიტიკოსს შეუძლია გამოავლინოს ტექსტების მთელი სიღრმე და, იმავდროულად, აჩვენოს, როგორ ასახავს მიკროკოსმს მაკროკოსმს, გადახადოს საფარი კულტურულ არტიფაქტებს. მაგალითად, კრიტიკოსმა ჯეიმს ჯოისის „ულისეს“ განხილვისას უნდა განმარტოს არა მარტო ის, თუ როგორ ასახავს ეს უზარმაზარი რომანი ირლანდიის ცხოვრების ეკონომიკურ ასპექტებს, არამედ ისიც, თუ როგორ ასახავს მისი ტექსტუალური ეკონომიკა ირლანდიის ეკონომიკურ პირობებს. ამგვარ კრიტიკოსს შეუძლია გამოაშკარავოს, რომ ტექსტი თავს არიდებს მუდმივ ფლუქტუაციას კონტროლსა და თავაშვებულობას შორის, ან მომჭირნეობასა და ხარჯვას შორის, რაც ასახავს მისი ავტორისა და ირლანდიის რეალური ცხოვრების ეკონომიკურ ამბივალენტურობას 1904 წელს, განადგურების პირას მყოფი კოლონიური ეკონომიკის ვითარებაში. გარკვეული ეკონომიკური ქცევა – მაგალითად, მაქსიმალური უტილიტარიზმი – ინგლისური მენტალიტეტის გამოვლინებად შეიძლება მივიჩნიოთ. კრიტიკოსი-ფორმალისტი მიხვდება, რომ ჯოისის მერყეობა ვერბალურ უზადრუკობასა (რომელშიც სიტყვები და პერსონაჟები დაქვემდებარებულია მომჭირნეობის მკაცრი ეკონომიკური ეთიკისადმი) და ენის კომიკურ ექსტრავაგანტურობას შორის (როდესაც სიტყვები თავისუფლად „იხარჯება“), საშუალებას აძლევს მწე-

რალს, გადააქციოს თავისი ესთეტიკური მუშაობა ინგლისური ენის მასალაზე ირლანდიის კულტურულ კაპიტალად.

ლიტერატურისა და კულტურის კვლევისას ეკონომიკური მეთოდების გამოყენებამ შეიძლება მრავალი პრობლემა წარმოშვას. ერთ-ერთი ამგვარი პრობლემაა ტერმინ „ეკონომიკით“ განსხვავებათა ნებისმიერი სისტემის აღნიშვნა, განურჩევლად იმისა, მოიცავს თუ არა ეს სისტემა ფასეულობას, ფულს, დეფიციტსა და შრომას. ამგვარად, ეკონომიკური კრიტიკისთვის არსებითია ეკონომიკური ცნებების დახვეწა და დაზუსტება. ეკონომიკური კრიტიკა ახორციელებს ამგვარ მეტაკრიტიკულ ოპერაციებს, როდესაც აანალიზებს თვით ეკონომიკური კრიტიკის პრაქტიკებსა და ჰიპოთეზებს: ეკონომიკური პარადიგმებისა და ტერმინების (მაგ., „ღირებულება“, „კაპიტალი“, „ეკონომიკური“) გამოყენებას; ჰომოლოგიური მეთოდის არსს; ხარისხს, რომლითაც ეკონომიკური დისკურსი იცნობიერებს საკუთარ მოძველებულ წარმოდგენებს. რა თქმა უნდა, წინამდებარე ნარკვევიც ამ კატეგორიაში შედის, რადგანაც ცდილობს, აღმოაჩინოს როგორც ბზარები, ასევე – შემაერთებელი ხიდეები ეკონომიკურ და ლიტერატურულ-კულტურულ კვლევებს შორის და ხელი შეუწყოს ცოდნის გაცვლა-გამოცვლას სხვადასხვა დისციპლინას შორის. კროსდისციპლინარული დიალოგის ამ საფეხურზე ეკონომიკური კრიტიკისთვის არსებითია – როგორც ლიტერატურულ, ისე ეკონომიკურ ასპექტში – შემონიშნება და დახვეწა ვარაუდებისა და ცნებებისა, რათა თავიდან იქნეს აცილებული ჭარბი განზოგადებები, ტერმინოლოგიის არასწორად გამოყენება ან განვრცობა და გულუბრყვილო „ეკონომიზმი“, რომელიც რთულ კულტურულ ფენომენებს მარტივი მიზეზებით ხსნის.



ამიტომ, რომ წინამდებარე კრებულში ადგილი ეთმობა პოლემიკას, რომელიც ეხება ეკონომიკური კრიტიკისა და კრიტიკული ეკონომიკის როლსა და ღირებულებას; მიზეზებს, რომელთა გამოც ეკონომისტები ეწინააღმდეგებიან ლიტერატურული მეთოდების დანერგვას მათს დარგში; ობიექტურსა და ლაკონიურ კრიტიკას ისეთი „ანტი-ეკონომიკური“ კრიტიკოსებისა, როგორებიც არიან ბატაი და ლიოტარი. მიუხედავად ამისა, ამგვარ ანტიეკონომიკურ ეკონომიკებს შეუძლიათ კორექტივები შეიტანონ როგორც მარქსიზმის, ისე – ნეოკლასიკალიზმის ესენციალიზმში და ხელი შეუწყონ ჭეშმარიტად „ეკონომიკური“ ცოდნის ჩამოყალიბებას. ლიტერატურულმა და ეკონომიკურმა კრიტიკამ შეიძლება უზრუნველყოს საქონლისა და მომსახურების დისტრიბუციის, გემოვნების და, ასევე, ადამიანების სოციალური ბუნების ალტერნატიული გაგებები. ამასთან გასათვალისწინებელია (თუნდაც განსხვავების ლიოტარისეულ გაგების საფუძველზე), რომ შეუძლებელია ნებისმიერი დისციპლინის წესების ან აქსიომების მექანიკური გამოყენება მეორის მიმართ. საჭიროა გააზრებულ იქნას კროსდისციპლინარული მეთოდების საზღვრები.

ეკონომიკური კრიტიკა განიხილავს გზებს, რომლებითაც ეკონომიკა უკავშირდება მხატვრული პროდუქციის წარმოებას, მის აღქმას და, უფრო ზოგადად, ყველა კულტურული ობიექტისა და მეთოდის ღირებულებას. ამ კრიტიკული გამოკითხვისა და გაცვლა-გამოცვლის უდიდესი მნიშვნელობა ისაა, რომ ვეცნობით სოციალურ ქცევას და ვუპასუხებთ ოდინდელ ეთიკურ, ფილოსოფიურ და ეკონომიკურ კითხვებს: რა აიძულებს ადამიანებს, მიიღონ ესა თუ ის ეკონომიკური გადაწყვეტილებები სხვების ნაცვლად? როგორია ხელოვნების ქმნილებათა ეკონომიკური

სტატუსი: ესე იგი, როგორ ხდება, რომ ლიტერატურული ნაწარმოებები ასახავს ინდივიდუალურ ეკონომიკურ ქცევას და, ამასთან, აყალიბებს კიდევ მას, ისევე, როგორც – უფრო ფართო ეკონომიკურ პრაქტიკებს გარკვეულ ისტორიულ პერიოდში? როგორ მუშაობს ფინანსური ბაზრები და რა განსაზღვრავს მათს დინამიკას? რა გაგებით და რა დონემდე არის შედარებადი ლინგვისტური და ეკონომიკური სისტემები? როგორ ასახავს ან აყალიბებს ფულის მზარდი დემატერიალიზაცია სხვა კულტურულ პრაქტიკებსა და შეხედულებებს? როგორია ურთიერთმიმართება ეკონომიკურ პრაქტიკებს, კანონებს ან თეორიებს (საკუთრებას, კრედიტსა და დებეტს, ფულს) – და პიროვნებას შორის? წინამდებარე წიგნი, კრიტიკულ გამოკვლევებთან ერთად, გვთავაზობს ამ კითხვების ფორმულირების უამრავ ახალ გზას და შესაძლო პასუხებს მათზე.

როგორ ძალუძს ეკონომიკურ კრიტიკასა და კრიტიკულ ეკონომიკას გააფართოოს კულტურის ჩვენეული გაგება? ორი დისკურსული სფერო – ჩუქების თეორია და მოხმარება – ძალზე პერსპექტიულია მომავალი მუშაობისთვის. მაგრამ საჭიროა, ასევე, ეკონომიკური ნარატივების ძველი სფეროებთან – მაგალითად, საბუღალტრო დავთრებთან, კონტრაქტურ ჰიპოთეზებთან – და ნარატიული მოთხრობების სხვა ფორმებთან მათი მიმართებების ახლებური გამოკვლევა. გარდა ამისა, უკეთ უნდა განიმარტოს სქესისა და ეთნიკური კუთვნილების როლი როგორც ეკონომიკაში, ისე – ლიტერატურულ ეკონომიკაში: მაგალითად, რა კავშირი აქვს სქესობრივ კუთვნილებას ეკონომიკურ ნარატივებთან და ნარატივებთან ეკონომიკის შესახებ? საჭიროა, ასევე, ბატაის, მოსის და ლიოტარის მსგავსი მოაზროვნების „არაეკონომიკური“ და „ანტიეკონომიკური“ თეორი-

ების შეჯერება მარქსისტულ და ნეოკლასიკურ შეხედულებებთან და დაკვირვებულ ანალიზის მეოხებით ამგვარი თეორიების ხარვეზებისა და გაზვიადებების გამოვლენა; სასარგებლო იქნება გამოკვლევა იმისა, როგორ შეიძლება გაღრმავდეს ეკონომიკური ფენომენების შესახებ ჩვენი ცოდნა მათი უფრო ფართო კულტურული მნიშვნელობების გათვალისწინების მეშვეობით; მრავლისაღმტყმელი უნდა იყოს დისკუსიაც იმის თაობაზე, როგორ შეიძლება შეიცვალოს წიგნების ან სხვა კულტურული არტეფაქტების ჩვენეული გაგება „მექანიკური რეპროდუქციის“ ან „გვიანი კაპიტალიზმის“ ხანაში, როდესაც ყველაფერს საქონლის სახე აქვს მიცემული და, ამასთან, ყველაფერი სიმბოლიზებულია; აუცილებელია ელექტრონული ფულის (მაგალითად, საკრედიტო ბარათების, სადებეტო ბარათების და პლასტიკური ბარათების) ეკონომიკური და ფსიქოლოგიური ეფექტის საგულდაგულო განხილვა.

ბოლოს, ჩვენ, ლიტერატურის კრიტიკოსები, უკეთ უნდა გავერკვეთ ეკონომიკური ტერმინებისა და პარადიგმების შინაარსში, მაგრამ ეკონომისტებმაც უფრო კორექტულად უნდა გამოიყენონ ისეთი ლიტერატურული ცნებები, როგორებიცაა, მაგალითად, „მეტაფორა“ ან „ნარატივი“. ზოგადად, გვჭირდება უფრო გააზრებული, კარგად ინფორმირებული, სისტემატიზებული ცოდნა და კვლევა ორსავე სფეროში, რათა ეკონომიკური ლიტერატურული კრიტიკა უფრო ეკონომიკური გახდეს (მაგრამ თავი აარიდოს დეფინიციათა შეზღუდულობასა და სიხისტეს), ხოლო კრიტიკული ეკონომიკა – უფრო სოციალური და უფრო კრიტიკული.

ამჟამად ეკონომიკური კრიტიკა, რომელიც თითქოს მოითხოვს ზუსტ და ლოგიკურ მეთოდებს, თითქმის ყოველთვის ყურადღებას ამახვილებს მხოლოდ ტექსტების

ზედაპირულ შრეზე – პერსონაჟთა ქცევაზე, მონეტარულ ტერმინებსა და ტროპებზე და ა.შ. – ხშირად იმგვარად, რომ არ იკვლევს თვით ავტორის საკუთარ ფინანსურ ჩვევებს ან შეხედულებებს და არ ითვალისწინებს არც ეროვნულ თუ ლოკალურ ეკონომიკებს და არც თანამედროვე ეკონომიკურ პრაქტიკებს ან თეორიებს. მაგალითად, ერთმანეთისგან თითქმის ოცი წლით გამიჯნულ ორ – დონალდ მალის (Donald Mull) (1973) და პეგი მაკკორმაკის (Peggy McCormack) (1990) – ნაშრომში განხილულია ჰენრი ჯეიმსის თხზულებები. მალის გამოკვლევა ეძღვნება „ცნობიერებაში ფულისა და მისი კონვერსიის“ ანალიზს; ის საგულდაგულოდ ახასიათებს ტროპებს, პერსონაჟებსა და მოვლენებს, თავისი დროისთვის ჩვეული წარმოდგენების შესაბამისად (თუმცა კი მოკლედ განიხილავს ფულის მიმართ ჯეიმსის დამოკიდებულებასაც), ხოლო მაკკორმაკი ემყარება ახალ კრიტიკას და იყენებს ისეთ ცნებებს, როგორებიცაა „კაპიტალიზმი“, „მონხარება“ ან „საქონელი“, მაგრამ არ განიხილავს მათ რთულ მნიშვნელობებს სხვა კონტექსტებში. ამ ნაშრომში გვხვდება საინტერესო ვარაუდები ტროპებისა და მოვლენების „ეკონომიკების“ შესახებ, მაგრამ ამოსავალი დებულება, რომლის თანახმადაც, ტექსტები ჩაკეტილი სისტემებია, აკნინებს მათს ღირებულებას.

ამგვარი ფორმალისტური ანალიზი, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ის განიხილავს ტექსტს, როგორც გაცვლა-გამოცვლისა და გარიგებების ლოკუსს, შეიძლება ნაყოფიერი იყოს. მაგალითად, იან რეიდის (Ian Reid) ბოლოდროინდელ ნარატოლოგიურ გამოკვლევაში, რომელიც ეხება ნარატიულ „უფლებობას“ და „გაცვლა-გამოცვლას“ (exchange), შემოაქვს რამდენიმე სასარგებლო „ეკონომიკური“ მოდელი ტექსტებსა და ავტორს შორის ძალთა თამაშის განსაზღვ-

რის მიზნით. სამწუხაროდ, რეიდი იშვიათად აკავშირებს ტექსტების შინაგან ეკონომიკებს მათს ეკონომიკურ შინაარსთან ან კონტექსტებთან, რომლებშიც ტექსტები განთავსებულია. მისი ნაშრომი ააშკარავებს მთელი თანამედროვე ეკონომიკური კრიტიკის ხარვეზს – უგულებელყოფას იმისა, რასაც მარკ შელი (Marc Shell) უწოდებს „ტროპების გაცვლა-გამოცვლას“ ტექსტთა შორის – და, აგრეთვე, ავლენს ისტორიული ინფორმირებულობის აუცილებლობას: განმარტებითი კონტექსტის გარეშე ეკონომიკური ცნებები თითქოს შემთხვევით არის ხოლმე შერჩეული და არაა განპირობებული ინტრატექსტუალური, ინტერტექსტუალური და ექსტრატექსტუალური დინამიკით. თუ არ განვიხილავთ ლიტერატურულ დისკურსებს, როგორც მრავალფეროვანი სოციალური დისკურსების გარკვეულ ჯგუფს, მაშინ გაუგებარი იქნება, რატომ არ შეიძლება, ვთქვათ, ფსიქონალიტიკური ცნებების გამოყენება ეკონომიკური ცნებების ნაცვლად (მაგალითად, ნარატიული დინამიკის აღწერისას).

ეკონომიკური კრიტიკის მეორე ფორმა (ძირითადად, 1990 წლამდე ჩამოყალიბებული) განიხილავს ინდივიდუალური ავტორებისა ან სკოლების ეკონომიკურ ჩვევებს იმის განსასაზღვრად, თუ როგორ აისახება ეს ჩვევები მათს თხზულებებზე. მემარცხენე ან მარქსისტული იდეოლოგიასთან დაკავშირებული ამ ნაშრომების უმრავლესობაში უკრიტიკოდაა გამოყენებულია წინამორბედი სოციალური თეორიების ცნებები. გარდა ამისა, ბევრი ამგვარი გამოკვლევის მიზანია, უმეტესად, სხვადასხვაგვარი ეკონომიკური თეორიების, ცნებებისა ან ფილოსოფიების „გამოყენება“, ისე, რომ არ განიხილება, მაგალითად, როგორ იყო გააზრებული კრედიტი, ღირებულება ან ფული ნაწარმოების გამოქვეყნებისა და აღქმის პერიოდში. ეს გამოკვლევები

ჯერ კიდევ მთელ ყურადღებას უთმობს ტექსტთა ზედაპირულ შრეს – შინაარსს და უგულებელყოფს თეორიულ კვლევებს ეკონომიკურ კრიტიკასა და თვით ეკონომიკის ისტორიაში. ამასთან, ყველაზე დახვეწილი ადრეული კრიტიკა ეძიებდა პარალელებს, ერთი მხრივ, ეკონომიკურ ბელეტრისტიკას (გამონაგონს) ან ტროპებსა (ტექსტებში) და, მეორე მხრივ, ეკონომიკაში გამოყენებულ ტროპებს შორის. ამგვარ საუკეთესო ნაშრომებს შორის შეიძლება დავასახელოთ ჰაინცელმანის (Heinzelman) გამოკვლევა, რომელშიც გაანალიზებულია სპენსერის, თოროსა და უილიამ კარლოს სპენსერის ენა და ლოგიკა (რომელიც საერთოა პოეტური და ეკონომიკური სისტემებისთვის), საგულდაგულო ანალიტიკური ეკონომიკური ნაკითხვის მეშვეობით..

ჰაინცელმანის მსგავსად. ეკონომიკური კრიტიკის სხვა ფუძემდებლებმა უბრალოდ აღიარეს: ეკონომიკა წარმოქმნის ღირებულების, სესხის, ფულის და გაცვლა-გამოცვლის ამსახველი ტროპებისა და ნარატივების მზა სისტემას, რომელიც საფუძვლად უდევს არა მარტო მის საკუთარ პრაქტიკებსა და ტექსტებს, არამედ – ლიტერატურულ (არაეკონომიკური ხასიათის მქონე) დისკურსებსაც. მოკლედ, ეკონომიკური კრიტიკა ემყარება პარალელებსა და ანალოგიებს ენობრივსა და ეკონომიკურ სისტემებს შორის. ამასთან, ლიტერატურული ეკონომიკის თეორეტიკოსებმა უნდა დაიწყონ სოსიურისეული ლინგვისტიკისა და პოსტსტრუქტურალისტური თეორიის აქსიომებით – იმით, რომ ყველა ნიშანი არბიტრარულია და ერთმანეთთან სინტაგმატურად დაკავშირებული – და შემდეგ იკვლიონ ფულისა და ფინანსების ერთნაირად ფიქტიური ან კონსტრუირებული ბუნება.

შესაძლოა, ყველაზე ადრეულ მცდელობას ღრმა ჰომოლოგიური კავშირებისა ფულსა და ენას შორის წარმოადგენს ფ. როსი-ლანდის ან უკვე დაავიწყებული წიგნი „ლინგვისტიკა და ეკონომიკა“ (1975), რომელიც ინარჩუნებს თავის ფასეულობას იმის გამო, რომ მასში ენა განხილულია, როგორც ისტორიული და სოციალური „კაპიტალი“ და დეტალურადაა განსაზღვრული ენისა და ფულის მორფოლოგიის პრაქტიკული და თეორიული კვლევების შესაძლო საშუალებები. როსი-ლანდის ჰომოლოგია ანალოგია როდია: ანალოგია თავს იჩენს *a posteriori*, როდესაც ორი ობიექტი უკვე არსებობს; ჰომოლოგიური მეთოდი, პირიქით, შეისწავლის თანაზომად არტეფაქტებს ან ობიექტებს როგორც ისტორიულად, ისე ონტოლოგიურად, რათა მათში საერთო ანთროპოგენური ფესვები აღმოაჩინოს. ბედის ირონიით, როსი-ლანდის უიღბლო მცდელობა, გამოეყენებინა მარქსისტული ტერმინოლოგია ენის მიმართ, იმპლიციტურად გულისხმობს ჭეშმარიტი ჰომოლოგიის აღმოჩენის სიძნელეს. ჰომოლოგიური მეთოდი შეიცავს სხვა პოტენციურ საფრთხესაც, რომელმაც მისი კრიტიკული განხილვისას იჩინა თავი. მიუხედავად ამისა, მეთოდის მნიშვნელოვანი უპირატესობას წარმოადგენს სოციალური ფორმების „შიგნიდან“ შესწავლის შესაძლებლობა.

ჩვენი აზრით, ლიტერატორებისა და ეკონომისტების თანამშრომლობა განსაკუთრებით ნაყოფიერი იქნება ორ დისკურსულ სფეროში, რომლებიც აქამდე ეკონომიკა, ისევე, როგორც ეკონომიკური კრიტიკა არ ითვალისწინებდა. პირველი მათგანი მოიცავს ანტიბურჟუაზიული და ანტიკაპიტალისტური წერილობის ფართო სპექტრს, რომელიც მომდინარეობს ფრანგული სტრუქტურალიზმიდან, რომელიც აერთიანებს ანთროპოლოგიას, სოციოლოგიას, ეკონომი-

კასა და ფსიქონალიზს: ჩუქების თეორიას. მეორე მათგანი წარმოიშვა ფრანკფურტის სკოლაში, მაგრამ ბოლო ხანებამდე უგულვებელყოფილი იყო როგორც მემარცხენეების, ისე მემარჯვენეების მიერ: ესაა მოხმარებისა და მომხმარებლობის ეკონომიკური და დისკურსული ანალიზი. ამ ორ სფეროში ეკონომისტებსა და ლიტერატურის/კულტურის კრიტიკოსებს შეუძლიათ ნაყოფიერად გააერთიანონ ძალები ფემინიზმთან, ოპოზიციურ კულტურულ კრიტიკასთან, ეკონომიკასა და ფსიქონალიზთან, ლიტერატურის თეორიასა და კრიტიკასთან. ერთობლივად, დისკურსების ამ ორი (ჩუქებისა და მოხმარების) სახეობის კვლევის საფუძველზე შეიძლება შემუშავებულ იქნას ეკონომიკისა და ეკონომიკური კრიტიკის ახალი პრინციპები. ჩუქების თეორიის საკითხები პირველად განიხილა მარსელ მოსმა (Marcel Mauss) 1925 წლის ანთროპოლოგიურ თხზულებაში „ესე ჩუქების შესახებ“. მოსის გამოკვლევა გამოიყენა უამრავმა მოაზროვნემ, რომელთაგან თითოეული ხაზს უსვამდა მოსის თხზულების სხვადასხვა ასპექტს. მაგალითად, ლუის ჰაიდმა (Lewis Hyde) (1983) განავრცო მოსის იდეები ბაზრისა და ჩუქების ეკონომიას შორის რადიკალური განსხვავების პოსტულირებისას, რაც, მისი აზრით, ასევე, განმარტავს მხატვრული შემოქმედების სოციალურ ფუნქციასა და წარმომავლობას. რომანისტი და ფილოსოფოსი ჟორჟ ბატაი (1988) აყალიბებს „ზოგადი ეკონომიკის“ გავლენიან თეორიას, რომელიც ემყარება პოსტულატს იმის შესახებ, რომ მრავალი სოციალური ფორმის საფუძველია ხარჯვა და არა მოგება, ჟაკ დერიდა – დეკონსტრუქტივიზმის ფუძემდებელი ითვალისწინებდა მოსის და ბატაის იდეებს, ყოველ შემთხვევაში, ესეში „კერძო ეკონომიკიდან ზოგადი ეკონომიკისკენ“ (ნაშრომში „წერილობა და განსხვავება“,



1978), და მომდევნო გამოკვლევებში „დროის პრეზენტაცია: ყალბი ფული“ (1992). აქ დერიდა ამტკიცებს, რომ მცდარია მოსისეული წარმოდგენა იმის შესახებ, თითქოს საჩუქარი სრულიად თავისუფალია ანგარებისგან. ჟან-ფრანსუა ლიოტარი აკრიტიკებს მოსს „პრიმიტიული კულტურების“ უტოპიური რომანტიზების გამო, მაგრამ იმავეს სჩადის (ოღონდ განსხვავებული ფორმით) თავის „ლიბიდურ ეკონომიკაში“ (1993) (როგორც დერიდას, ისე ლიოტარის შეხედულებები განხილულია ამარილიოსა და რუჩოს სტატიაში, რომელიც წინამდებარე კრებულშია განთავსებული). თუკი „ენისა და ფულის“ თეორეტიკოსთა ყველაზე საჭირობო პრობლემა ეხება სხვადასხვაგვარი კულტურული ფორმებისა და რეპრეზენტაციის ტიპების ჰომოლოგიურობის პრობლემას, ჩუქების თეორეტიკოსებს აინტერესებთ, რა მიმართება არსებობს საჩუქრის გაცემასა და ანგარებას ან მოგებას შორის. განსხვავდება თუ არა ჩუქების ეკონომიკა (თუკი შევთანხმდებით, რომ ასეთი რამ არსებობს) საბაზრო ეკონომიკისგან? და თუ ასეა, წარმოქმნის თუ არა ის ქცევებისა და პარადიგმების სხვადასხვაგვარ ერთობლიობებს? მოტივირებულია თუ არა ჩუქება (მთლიანად ან ნაწილობრივ) ალტრუიზმით, თუ ის მხოლოდ ნიღბავს ანგარებას? ჩუქების პრობლემის გამოკვლევათა უმრავლესობას ორი ურთიერთსაპირისპირო პოზიცია უკავია. პირველი მათგანი წარმომადგენლები გახლავან ბატაი და ჰაიდი. ჩუქების ჰაიდისეულმა ანთროპოლოგიამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა იმაში, რომ ამ საკითხს გაეცნო ინგლისურენოვანი აუდიტორია. ბატაისთვის კაცობრიობის კულტურის უმნიშვნელოვანესი ფენომენია არა ნაკლებობა (დეფიციტი), არამედ – სიჭარბე, რომელიც ეფექტურად ვერ გამოიყენება და, აქედან გამომდინარე, გამოყენებულ ან დაკარგულ

უნდა იქნას (მოგების გარეშე). ისევე, როგორც მოსისთვის, ბატაისთვისაც ჩუქების სანიმუშო რიტუალს წარმოადგენს წყნარი ოკეანის ჩრდილო-დასავლეთის მკვიდრ ამერიკელ ინდიელთა შორის გავრცელებული პოტლახის რიტუალი, როდესაც მდიდრული, უჩვეულო საჩუქრის გაცემა საშუალებას აძლევს ბელადებს, განზრახ გაფლანგონ დოვლათი და ამ დანაკარგის წყალობით პრესტიჟი მოიპოვონ. ბატაის „ზოგადი ეკონომიკის“ თანახმად, „ადამიანები არსებობენ არა იმისთვის, რომ დააგროვონ“, არამედ – „თავისუფალი, შეუზღუდველი ხარჯვისთვის“. ამგვარად, ბატაისთვის ყველა მნიშვნელოვანი რიტუალი, მათ შორის (და განსაკუთრებით) ხელოვნება და პოეზია უკავშირდება დანაკარგს და მსხვერპლშენივას. ჰაიდის, ისევე, როგორც მოსის თხზულება აღბეჭდილია გულუბრყვილი უტოპიზმით. როდესაც ჰაიდი ყოფს ეკონომიკურ ქცევებს, ერთი მხრივ, ბაზრისა და, მეორე მხრივ, ჩუქების არათანაზომიერ სფეროებად, ის მიმართავს ბაზრების დემონიზებას და ჩუქების სენტიმენტალიზებას. დევიდ ჩილის (David Cheal) მსგავსად, რომელიც აკავშირებდა საჩუქრების გაცვლა-გამოცვლის „ზნეობრივ ეკონომიკას“ დასავლურ კულტურაში ქალების შრომასა და ქალის სოციალურ როლთან, ჰაიდი განსაზღვრავს საჩუქრებს, როგორც „ქალთა საკუთრებას“, ხოლო ჩუქებას – როგორც „ქალურ კომერციას“. (ჰაიდის კონცეფცია შეიძლება გაფართოებულ იქნას გეილ რუბინის ცნობილი ნარკვევით „ქალებით ვაჭრობა“, რომელშიც ჩამოყალიბებულია კონტრარგუმენტი ლევი-სტროსის მიერ „ნათესაობის ელემენტარულ სტრუქტურებში“ წარმოდგენილი ცნობილი დებულებისა იმის შესახებ, რომ ქალების გაცვლა-გამოცვლა თვით კულტურის საფუძველს წარმოადგენს). ამგვარად, ჰაიდისეულ გამოკვლევაში გადააზრებულია ჩუქებისა და

სქესის (გენდერის) ურთიერთმიმართებები: ესაა კიდევ ერთი ასპარეზი, სადაც შეიძლება გაერთიანდეს ლიტერატურის კრიტიკა, კულტურის კვლევები და ეკონომიკა.

საინტერესოა, რომ ჩუქება (საჩუქრების გაცვლა-გამოცვლა) წარმოადგენს, შესაძლოა, ყოველგვარი ეკონომიკური ქცევის ფუნდამენტურ ნორმას: რეციპროკულობას (ორმხრივობას). უფრო მეტიც, ჩუქების თეორია გვაიძულებს, დავსვათ მნიშვნელოვანი კითხვები სხვა სახის ეკონომიკური აქტივობების შესახებ: არსებითად განსხვავდება თუ არა ჩუქება სესხის გაცემისგან? და თუ ასეა, მაშინ რა სახის ვალდებულებებს გულისხმობს ჩუქება? რა შემთხვევაში წარმოადგენს საჩუქარი სესხს? გამოკვლევები ჩუქების შესახებ ამკარად თუ ფარულად მიემართება საკუთრებისა და ქონების არსს: ვინ არის საჩუქრის მფლობელი? როგორ ზემოქმედებს პიროვნებებზე – რომლებიც, მოსის, ჰაიდის და ლევი-სტროსის მიხედვით, გარდუვალად სიმბოლიზებულნი არიან საჩუქრებში (მიღებულში ან გაცემულში) – საკუთრება, როდესაც ისინი საკუთრებას აღარ ფლობენ? ეს საკითხები განხილულია წინამდებარე კრებულის იმ ნაწილში, რომელსაც ეწოდება „სესხი და დამოკიდებული მდგომარეობა“. მაგალითად, დევიდ მარტინი აანალიზებს უკუგების ეთიკას მარკიზ დე სადის „ჟუსტინაში“ და გვიჩვენებს, რომ სადი მადლიერებას, არსებითად, ეგოიზმის გამოვლინებად მიიჩნევს. მარტინის თანახმად, უკუგების სისტემას სადთან უპირისპირდება ქურდობა, რომელიც აუქმებს მადლიერების აუცილებლობას. ჟუსტინას ნარატივი, მარტინის აზრით, საშუალებას აძლევს ქალს, დაიცვას თავისი სხეული, რომლის დაუფლებსკენაც მიისწრაფვიან მისი მსმენლები. ამდენად, ჟუსტინას ნარატიული ეკონომიკა, რომლის მიზნები და შედეგები გაურკვეველია, უკუგების ეთიკური ეკო-

ნომიკის მიღმა ძევს – აღარ საჭიროებს მას. სამირა კავოში აამკარავებს, რომ მონები ქურდობის ჩადენის შემთხვევაში არღვევენ საკუთრების კანონს და ექვემდებარებიან მის სანქციებს: თუ მონა (რომელიც იურიდიულად პიროვნება არაა) კანონდამრღვევად იქნება აღიარებული, მაშინ ის აღიარებულ უნდა იქნას პიროვნებად. ეპშტეინისა და მერთინის მსგავსად, კავოში აკრიტიკებს პიროვნების ბურჟუაზიული კონცეფციების შეზღუდულობას იმის წყალობით, რომ აკვირდება რთულ ურთიერთმიმართებებს მონობას, ნარაციას, საკუთრებასა და ვალდებულებებს შორის.

საჩუქრების გაცვლა-გამოცვლის (და მისი თანამდევი) თეორიები უკუგების, ვალდებულების და ალტრუიზმის შესახებ ძალზე ნაყოფიერია ეკონომისტებისთვის, ისევე, როგორც – ლიტერატურათმცოდნეებისთვის. ძირითადი საკითხები ამგვარია: სცილდება თუ არა საჩუქრების გაცვლა-გამოცვლა ეკონომიკის ფარგლებს და თუ ასეა, როგორ; მოუტანა თუ არა მდებდრობითი სქესს არასასურველი შედეგები აკრძალვითმა ისტორიულმა პრაქტიკებმ; როგორია ჩუქების პრაქტიკები „მამაკაცურ“ სფეროებში და როგორ უნდა აღინეროს ისინი; არის თუ არა საჩუქრების გაცვლა-გამოცვლა ნაკარნახევი ალტრუიზმით ან ეგოიზმით; ემყარება თუ არა პიროვნების სხვაგვარ გაგებას, ვიდრე საბაზრო ურთიერთობებით იგულისხმება; როგორ ენაცვლება ეკონომიკის ეროტიზება (ლიოტარის ან ბატაის კვალობაზე) ეკონომიკურ პარადიგმებს.

წინამდებარე კრებულის სამი მნიშვნელოვანი სტატია გვიჩვენებს მეოცე საუკუნის კულტურისა და ეკონომიკის ურთიერთმიმართებების მომავალი კვლევების გზებს. 1. პოლ დელანის „ვინ გადაიხადა მოდერნიზმის საზღაური?“ დამაჯერებლად გვიჩვენებს, რომ ლიტერატურული მო-

დერნიზმის წარმოშობა განაპირობა, ძირითადად, ქალურმა რანტიერულმა კულტურამ. მოდერნისტებს, რომლებიც აცხადებდნენ, რომ სძულდათ რეკლამა, მფარველები მისგან იცავდნენ და თავიანთი ვალდებულებების მისტიფიცირების საშუალებას აძლევდნენ. ბედის ირონიით, სწორედ „მაღალი მოდერნიზმის“ ტექსტებმა დაადასტურა მათი, როგორც „სუპერსაქონლის“ სტატუსი ლიტერატურულსა და კულტურულ ბაზარზე: რთულად აღქმადი მოდერნისტული ლიტერატურული თხზულებები, საბოლოოდ, იქცა ინვესტირებად ან კომერციული ღირებულების მქონე კაპიტალად, რომელიც ფასეული იყო მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ანტიკაპიტალისტური მიზანდასახულებით გამოირჩეოდა.

2. დევიდ ჰოუკი ახასიათებს ჯონ მეინარდ კეინსს – ნევრს ბლუმსბერის ჯგუფისა, რომელმაც არსებითი წვლილი შეიტანა მოდერნიზმის ლიტერატურასა და ესთეტიკაში – რათა აჩვენოს, როგორ შეუწყო ხელი კეინსის რიტორიკულმა ხელოვნებამ (ეს უკანასკნელი თავს იჩენს, მაგალითად, მის ორ წერილში პრეზიდენტ ფრანკლინ რუზველტისადმი), ეკონომიკის აღმავლობას, რაც თვით კეინსმა იწინასწარმეტყველა. რიტორიკული ხელოვნების წყალობით კეინსმა ჩამოაყალიბა წარმოდგენა ეკონომისტთა, როგორც წინასწარმეტყველთა შესახებ. 3. სკოტ ფიცჯერალდის „დიდი გეტსბის“ ინტერპრეტაციისას მაიკლ ტრეტნერი განიხილავს ურთიერთმიმართებას ამერიკულ ლიტერატურასა და ეკონომიკურ პოლიტიკას შორის; ფიცჯერალდისეულ ნარატორსა და ნომინალურ პროტაგონისტს (ბუტლეგერს) ის აკავშირებს 1920-იან წლებში კრედიტის მიმართ დამოკიდებულების შეცვლასთან; ავლებს რა პარალელებს სექსუალოგიასა და მომჭირნეობას შორის, ტრეტნერი გვიჩვენებს, როგორ იქცა განგსტერი გეტსბი ნუვორიშად, რომელიც

შიდა დეფიციტის ვალორიზაციის შედეგთა სიმბოლოდ გვევლინება. ამგვარად, სამივე სტატიაში დამყარებულია ურთიერთმიმართებებს მოდერნისტულ წერილობასა და ბაზრის ახალ ცნებებს შორის და სამივე მათგანი გვთავაზობს ახალ გზებს იმის გასააზრებლად, თუ როგორ ზემოქმედებს კონსიუმერიზმის აღმავლობა ეკონომიკურ პოლიტიკასა და მხატვრულ პროდუქციაზე.

*ახლა გავცეთ პასუხი კითხვაზე – რა არის ეკონომიკური კრიტიკა?*

ეკონომიკური კრიტიკის ყველაზე გავრცელებული სახეობის ყურადღების ცენტრშია მხატვრული ქმნილებების შექმნის სოციალური, კულტურული და ეკონომიკური პირობები. ასეთ შემთხვევაში ეკონომიკური კრიტიკა კულტურული კვლევების ან „ახალი ისტორიზმის“ განშტოებად წარმოგვიდგება. ის შეიძლება განიხილავდეს: 1. ცალკეული ავტორის თვალსაზრისს ფულის შესახებ, მის ფინანსურ პრაქტიკებს, მის შემოსავალს მხატვრული შემოქმედებისგან, მის პოზიციას ბაზარზე და ა.შ. 2. მას შეუძლია გააანალიზოს უფრო ფართო ეკონომიკური ვითარება, რომელშიც იმყოფება ავტორი ან მისი თხზულება და რაც გულისხმობს მხატვრული ტექსტების აღქმას და შეფასებას უფრო ფართომასშტაბიან ბაზარზე; მას შეუძლია განიხილოს სხვა კულტურული დისკურსები (მაგალითად, რეკლამა, პოპულარული კულტურული არტეფაქტები და პრაქტიკები), რომლებიც განსხვავდება განსახილველი ტექსტისგან, ზემოქმედებს მასზე ან ემსგავსება მას; მან შეიძლება გააანალიზოს ავტორის სქესის, ეთნიკური კუთვნილებისა და სექსუალური ორიენტაციის ეკონომიკური და სოციალური ზეგავლენა ტექსტზე. ბოლოს, გასათვალისწინებელია, რო-



გორი იყო ეროვნული, რეგიონალური ან ტრანსნაციონალური ეკონომიკები ტექსტის შეთხზვის დროს.

ეკონომიკური კრიტიკა ზოგჯერ ყურადღებას ამახვილებს ისეთ საკითხებზე, როგორცაა საბაზრო ძალების როლი შემოქმედის კანონიზაციაში; მხატვრული ნაწარმოების გაყიდვის ან გამოქვეყნების პირობები; ესთეტიკური ფასეულობის ცვალებადი დინამიკა; ავტორის, როგორც მოხმარების საგნის აღქმა და ა.შ. აქ კრიტიკოსს შეუძლია, ასევე, მიმართოს კითხვის ეკონომიკებს – გაცვლა-გამოცვლას ავტორებსა და მკითხველებს ან ტექსტებსა და მკითხველებს შორის (რაც შეიძლება გააზრებულ იქნას, როგორც ხელშეკრულება, საჩუქარი, სესხი ან დიალოგი). ასეთ შემთხვევაში ტექსტი შეიძლება წარმოდგენილ იქნას, როგორც ჩეკი ან ქვითარი, რომელშიც ჩანერილია წინამორბედი ავტორების ან ტექსტების სახელწოდებები და, ამასთან, როგორც ბიუჯეტის, კრედიტის ან საბუღალტრო ჩანაწერები ინტერტექსტუალური ეკონომიკის ფარგლებში.

ბოლო ხანებში რამდენიმე კრიტიკოსმა განიხილა კანონიკურობის ეკონომიკა და ავტორობის როლი პოლემიკაში ესთეტიკური ფასეულობის შესახებ. მაგრამ ლიტერატურის ისტორიის ეკონომიკა, რომელშიც ტექსტები წარმოდგენილია, ისტორიული გაცვლა-გამოცვლის სისტემების სახით, შედარებით აუთვისებელი ტერიტორიაა. ამ მეთოდის საფუძველია წინასწარ ნაგულისხმევი ჰომოლოგია ფინანსურსა და ლიტერატურულ სესხსა და თანამდევ „სარგებელს“ შორის, რომელიც დროთა განმავლობაში იზრდება. ავტორებს შეუძლიათ გამოიყენონ სხვა ავტორთა ტექსტუალური მასალა საკუთარი ტექსტის შესაქმნელად, ისე, როგორც ფინანსისტები ან ბანკები ქმნიან დოვლათს კრედიტების მეშვეობით: ორსავე შემთხვევაში იქმნება გარკვე-

ული ფასეულობა. ესაა ალტერნატიული გააზრება ინტერტექსტუალობისა, რომლის შესახებაც მსჯელობდნენ, ერთი მხრივ, დერიდა და ბარტი (მათი აზრით, ყოველი ტექსტი, როგორც ქსოვილი, ციტატებისგანაა აგებული), მეორე მხრივ კი, ისეთი მწერლები, როგორცაა მაიკლ რიფატერი. მისი შეხედულებით, ინტერტექსტუალობა წარმოადგენს ლიტერატურულ სესხს; გამოყენებული ტექსტები დეპოზიტებია, ხოლო მკითხველები – აუდიტორები, რომლებმაც უნდა იპოვონ ნასესხობანი, რათა სრულად იქნას გააზრებული ტექსტის საზრისი და, მაშასადამე, წინამორბედ ავტორებთან ინტერტექსტუალური ტექსტის ავტორის „გარიგების“ მეშვეობით მიღებული მოგებაც.

ინტერტექსტუალური ეკონომიკის გამოკვლევებში შეიძლება, აგრეთვე, განვიხილოთ იქნას ინტელექტუალური საკუთრების პრობლემები, მაგალითად, საავტორო უფლების არსი და ცვალებადი დეფინიციები, ასევე – პრობლემები, რომლებიც უკავშირდება პასტიშს, პლაგიატს, გაყალბებას და ა.შ. გასაკვირი არაა, რომ ამგვარი კვლევისას ინტერტექსტუალური ეკონომიკა თავს იჩინოს ფულისა და სესხის აშკარა და ფარულ მეტაფორიკაში. მაგალითად, შელი გვიჩვენებს, როგორ გამოიყენა შექსპირმა „ვენეციელ ვაჭარში“ ტოკოსის (რომელიც ერთდროულად აღნიშნავს პროცენტსაც და მოგებასაც) არისტოტელესეული გაგება, რომელიც ემყარება სესხის უძველესი ცნებას და მომდინარეობს მეფასშეობის ისტორიიდან და ანტისემიტიზმისადმი მისი მიმართებიდან.

**ინგლისურიდან თარგმნა თამარ ლომიძემ**

**კულტურული პარადიგმის ცვლა, ანუ  
მეტაფორულ-მენტალური შემოთრიალება  
XIX საუკუნის მეორე ნახევრის ქართულ  
კულტურულ სივრცეში**

*„Wir wissen Einiges jetzt zu gut, wir Wis-  
senden: oh wie wir nunmehr lernen, gut zu wer-  
gesen, gut nicht-zu-wissen, als Künstler!“<sup>1</sup>*

ფრიდრიხ ნიცშე

*„მოვიკლათ წარსულ დროებზე დარდი, ჩვენ  
უნდა ვსდითთ ახლა სხვა ვარსკვლავს.“<sup>2</sup>*

ილია ჭავჭავაძე

ევროპული კულტურის მიერ საკუთარი თავის გაგე-  
ბის, ევროპული იდენტობის თავისებურების განსაზღვრის  
თვალსაზრისით ერთ-ერთ მნიშვნელოვან ნაშრომში „პრო-  
ტესტანტული ეთიკა და კაპიტალიზმის სულისკვეთება“<sup>3</sup>  
მაქს ვებერმა (1864-1920) დასვა კითხვა, რომელზეც პასუ-  
ხით ის შეეცადა აეხსნა დასავლურ ევროპულ კულტურაში

<sup>1</sup> „ჩვენ, მცოდნეებმა, ერთი რამ ვიცით საგანგებოდ კარგად: ან უკ-  
ვე როგორც ხელოვანი – ვსწავლობთ კარგ დაზინყებას, კარგ  
არცოდნას.“ Fridrich Nietzsche, Die fröhliche Wissenschaft, (la gaya  
scienza) 1882

<sup>2</sup> ი.ჭავჭავაძე, ქართველის დედას (1858), თხზულებათა სრული კრე-  
ბული ოც ტომად, ტომი I, 67

<sup>3</sup> მაქს ვებერმა 1904-1905 წლებში Archiv für Sozialwissenschaften  
und Sozialpolitik-ის XX და XXI ტომებში გამოაქვეყნა ნაშრომები  
სათაურით „პრობლემა“ და „ასკეტური პროტესტანტიზმის პრო-  
ფესიული ეთიკა“, რომელიც ვებერმა 1920 წელს გადაამუშავა და  
1920 წელსვე გამოვიდა სათაურით: Die protestantische Ethik und  
der Geist des Kapitalismus

მომხდარი ის ცვლილება, რომლის მიერ მოტანილმა შედე-  
გებმა არაევროპული კულტურებისათვისაც კი ლამის ნორ-  
მატიული მნიშვნელობა შეიძინა. „ისტორიის უნივერსალურ  
პრობლემებს თანამედროვე ევროპული სამყაროს პირმშო,  
ევროპელი ადამიანი, უცილობლად და სრული უფლება-  
მოსილებით განიხილავს იმ კუთხით, თუ გარემოებათა რა  
გადაჯაჭვამ მიგვიყვანა იქამდე, რომ სწორედ დასავლეთის  
ნიადაგზე და მხოლოდ აქ იჩენს თავს კულტურის მოვლე-  
ნები – თუნდაც ეს ჩვენი სურვილისამებრ წარმოგვიდგენია  
– რომელთა განვითარება უნივერსალური მნიშვნელობი-  
სა და ვარგისიანობის მიმართულებით წარიმართა?“ „Von  
universeller Bedeutung und Gültigkeit“ -ასეთია დასავლური  
კულტურის ხასიათი. ევროპული კულტურის მთელი კა-  
ცობრიობისათვის „უნივერსალური მნიშვნელობისა“ და  
„ვარგისიანობის“ დადასტურებას ვებერი პოულობს ემპი-  
რიულ რაციონალობაზე დაფუძნებულ დასავლურ მეცნი-  
ერებაში, ხელოვნებასა და მუსიკაში და ბოლოს თვით და-  
სავლურ კაპიტალიზმში, რომელსაც ის „ჩვენი ბედისწერის  
განმსაზღვრელს უწოდებს“ („Und so steht es nun auch mit  
der schicksalsvollsten Macht unseres modernen Lebens: dem  
Kapitalismus.“<sup>1</sup> დასავლური მეცნიერება, ხელოვნება და  
განსაკუთრებით კი ეკონომიკური ცხოვრების ორგანიზა-  
ციის ფორმა – დასავლური კაპიტალიზმი – თავის მხრივ,  
არის იმ ღრმა ცვლილების, გნებავთ, კულტურული წყვე-  
ტის, სოციალური რევოლუციის შედეგი, რომელიც პრო-  
ტესტანტულმა რელიგიამ მოიტანა. სწორედ მან შექმნა  
„თანამედროვე ევროპული კულტურული სამყაროს პირმ-  
შო, ევროპელი ადამიანი.“ ვინ არის ეს ადამიანი? რა მოხდა

<sup>1</sup> Max Weber, Die protestantische Ethik und Geist des Kapitalismus,  
Joker edition, 2009, 10

ევროპულ კულტურაში ისეთი, რამაც ეს ადამიანი დაბადა და შემდგომ მსოფლიო უნივერსალური მნიშვნელობის ფენომენი – „ევროპული კაპიტალიზმი“ – შექმნა?

ვებერის სოციოლოგიური კონცეფციის ცენტრში დგას აქტიური ინდივიდი. სოციალური ცვლილებების დინამიკის ახსნაში ის მთავარ პრიორიტეტს ინდივიდს ანიჭებს. ჯერ ინდივიდის ცნობიერებაში, მის მსოფლმხედველობაში ხდება ცვლილება, ხოლო შემდეგ ამ მსოფლმხედველობით აღჭურვილი ინდივიდი თავისი სოციალური პრაქტიკით, ყოველდღიური მოქმედებით ცვლის და ამკვიდრებს ცხოვრების ახალ წესს; საკუთარი აქტივობით იწვევს საზოგადოების სოციალური სტრუქტურის ტრანსფორმაციას და ამგვარად ახალ რეალობას ქმნის. პრაქტიკულად, ვებერი ახალ ადამიანსა და მის დაბადებაზე გვესაუბრება და „ახალი ადამიანის“ პროტესტანტული გაგების საფუძველზე აღმოცენებული პროფესიული პასუხისმგებლობის ეთიკას ახალი რეალობის – ევროპული კაპიტალიზმის – ფორმირების განმსაზღვრელ ფაქტორად მიიჩნევს.

ევროპული თვითგაგებისათვის „ახალი ადამიანის“ კონცეპტი სრულებით არ არის ახალი. ახალი ადამიანი ქრისტიანული კულტურისათვის ენდემური კატეგორიაა და ქრისტიანობის, როგორც „ახალი რელიგიის,“ უმთავრესი რეფლექსიის საგანია. პავლე მოციქული ეფესელთა მიმართ წერილში წერს: მაცხოვარმა „მტრობა თავისი ხორციით გააუქმა, მცნებათა რჯული – ბრძანებებით, რათა ორისაგან თავის თავში შეექმნა ერთი ახალი კაცი, მშვიდობისმყოფელი“ (ეფეს. 2,15), ხოლო კოლასელთა მიმართ წერილში პავლე მოგვინოვებს: „და შეიმოსეთ ახალი, რომელიც განახლებულია მისი შემოქმედის ხატისამებრ, სადაც არ არის არც ბერძენი, არც იუდეველი, არც

წინადაცვეთა, არც წინადაუცველობა, არ არის ბარბაროსი, სკვითი, მონა და თავისუფალი, არამედ ქრისტეა ყოველივე და ყოველივეში“ (კოლ.3,10.11). კორინთელთა მიმართ მეორე წერილში პავლე მოციქული ამბობს: „მამასადამე, ის, ვინც ქრისტეშია, ის ახალი ქმნილებაა. ძველი გადავიდა და ახლა ყოველივე ახალია“ (2 კორ. 5, 17).

ახალი აღთქმის ადამიანი „ახალი ადამიანია“ („ახალი ებრაელი“), რადგან მისთვის უკვე აღარ არსებობს არსებითი განსხვავება ადამიანებს შორის არც წარმომავლობის (გვარ-ტომობის), არც სოციალური სტატუსის (წარჩინებულის/უჩინოს) და ა.შ. მიხედვით, რადგან ქრისტეს წინაშე ყველა ადამიანი თანასწორია.

პავლეს თანახმად, ღვთის წინაშე ორი ადამი დგას: ძველი აღთქმის ადამი და ახალი აღთქმის ადამი. ასე მაგალითად, პირველ წერილში კორინთელთა მიმართ პავლე წერს: „პირველი კაცი ადამი გახდა ცოცხალ არსებად.“ ხოლო უკანასკნელი ადამი – მაცოცხლებელ სულად. მაგრამ პირველად სულიერი კი არ არის (ე.ი. ძველი აღთქმის ადამიანი-ე.ჯ.), არამედ მიწიერი და შემდეგ სულიერი. პირველი კაცი მინისაგანაა, მიწიერი, ხოლო მეორე (ანუ ახალი აღთქმის ადამიანი-ე.ჯ.) კაცი – ცისაგან“ (1 კორ. 15, 45.46.47).

ქრისტეს წინაშე ნებისმიერი ხალხის შვილი და სოციალური სტატუსის მატარებელი ადამიანი თანასწორია. მთელი ევროპული ცივილიზაცია შეიძლება წარმოვიდგინოთ, როგორც ღმერთის წინაშე თანასწორობის, ზეციური მოქალაქეობის ქრისტიანული იდეის („სადაც არ არის არც ბერძენი, არც იუდეველი“) ამქვეყნიურ-სააქაო ცხოვრებაში პრაქტიკული გადატანისა და ამ იდეაზე დაფუძნებული პოლიტიკური და ეკონომიკური ინტიტუტების მშენებლობის ისტორიად.

ვებერი ევროპულ კულტურაში მომხდარ ცვლილებას, და თუ გნებავთ, ევროპული კულტურის პარადიგმის შეცვლას ევროპელი ადამიანის მიერ ქრისტიანობის ახლებურ ინტერპრეტაციას და ამ ინტერპრეტაციის პროდუქტს- პროტესტანტიზმს და მის მიერ მოტანილ შრომის ეთიკას, მოვალეობების ახლებურ გაგებას უკავშირებს. ვებერის თანახმად, ამ ახლებური ინტერპრეტაციის საფუძველზე წარმოიქმნება ახალი ეკონომიკური სისტემა – ევროპული კაპიტალიზმი – კაცობრიობისათვის აქამდე უცნობი ეკონომიკური (და არა მარტო) ცხოვრების წესი.

კულტურის პარადიგმის ცვლილება მორწმუნეთა მიერ „გამოცხადების“ ერთი პასაჟის თავისებურ ინტერპრეტაციას, კერძოდ, მეშვიდე თავს მოჰყვა. ამ თავში იოანე მახარობელი გვამცნობს, რომ ღმერთი დასაღუპავად არ განირავს მთელ კაცობრიობას, არამედ აპოკალიფსამდე გამოარჩევს 144 000 ადამიანს, რომელთაც ის ბეჭდით მონიშნავს: „3. ნუ დააზიანებთ მიწას, ზღვას და ხეს, ვიდრე ბეჭდებს შუბლზე დავასვამდეთ. 4. მომესმა ბეჭედდასმულთა რიცხვი: ას ორმოცდაოთხი ათასი ბეჭედდასმული, ისრაელიანთა თითო ტომიდან თორმეტი ათასი“ (გამოცხ. 7, 3. 4.)

„ბეჭედდასმულები“ არიან ისინი, ვისაც საღვთო რისხვა არ დაატყდება; ას ორმოცდაოთხი ათასი კაცობრიობის ის ნაწილია, რომელიც ღმერთმა წინასწარ ამოარჩია (რჩეულნი), ხოლო დანარჩენები დასაღუპავად განირა. ვებერის აზრით, ხვედრის წინასწარგანსაზღვრულობის (პრედესტინაციის) ეს კონცეფცია გახდა შემდგომ დასავლური კაპიტალიზმის, ზოგადად, პროტესტანტიზმის ქვაკუთხედი და ერთიან ევროპულ (კათოლიკურ) კულტურაში წყვეტის – პროტესტანტული რევილუციის – საფუძველი.

„გამოცხადების“ ეს პასაჟი მორწმუნე ადამიანისაგან მოითხოვდა, მოეძებნა სარწმუნო და დამაჯერებელი პასუხი კითხვაზე: მივეკუთვნები თუ არა რჩეულთა, ღმერთის მიერ გადასარჩენად ამორჩეულ ადამიანთა ერთობას, თუ დასაღუპავად ვარ განწირული? და თუ მივეკუთვნები, რა შეიძლება იყოს რჩეულობის სარწმუნო ნიშანი? ვებერის აზრით, ამ კითხვაზე პასუხის ძიებაში არსებითი როლი ითამაშა მარტინ ლუთერმა (1483-1546) და მის მიერ გერმანულ ენაზე ბიბლიის თარგმანისას გერმანულ ენაში „პროფესიის“ აღმნიშვნელი სიტყვის „Der Beruf“ – ისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობის მინიჭებამ<sup>1</sup>. პირველად ლუთერთან

<sup>1</sup> ვებერის აზრით, ლუთერის მიერ ამ სიტყვისათვის განსაკუთრებული შინაარსის მინიჭების ნიმუშს წარმოადგენს იესო ზირაქის ძის მეთერთმეტე თავის 20.21. მუხლების ლუთერისეული თარგმანი (1533 იანვარი): „verliere dich nicht in viele Geschäfte, denn wenn du dir zu viel vornimmst, bleibst du nicht ohne Schuld. Wenn du dich noch so sehr anstrengst, so erlangst du doch nichts; und wenn du auch davonlaufen möchtest, so kommst du doch nicht heraus. Mancher lässt sich es sauer werden, müht sich und rennt dem Reichtum nach und fällt doch immer meher zurück.“ „მისდევ შენს საქმეს“ ბიბლიის თანამედროვე გერმანულ თარგმანში ასეა მოცემული: „steh fest in deiner Pflicht und gehe ihr nach, bei deinem Werk verharre bis ins Alter! Sei nicht erstaunt im Hinblick auf die Übeltäter; wend eifrig dich zum Herrn und harre auf sein Licht! Denn einfach ist es in den Augen Gottes, plötzlich und sofortigen Armen reich zu machen“.

(ზირაქის წიგნი: „მტკიცედ მისდევ შენს აღთქმას, ნუ უღალატებ და შენს საქმეს შეაბერდი. ნუ გაგაკვირვებს ცოდვილის საქმე. გწამდეს უფლისა და შენი საქმის ერთგული დარჩი, რადგან ადვილია უფლის თვალში უცაბედი და ანაზღვეული გამდიდრება გლახაკისა“ (11.20,21) (ბიბლია, გაერთიანებული ბიბლიური საზოგადოების საქართველოს წარმომადგენლობა, 2013, 981)

და პროტესტანტულ მოძრაობაში სიტყვა „პროფესიამ“ (Der Beruf) „მონოდეულების“ რელიგიური მნიშვნელობა შეიძინა. მართალია, კათოლიკური ასკეზაც პროფესიულ საქმიანობას, ხელობას, ასევე საღვთო მონოდეების კონტექსტში განიხილავდა, მაგრამ კათოლიკურ წარმოდგენაში მთავარი იყო „საერო ზნეობრიობის ბერმონაზვნური ასკეზით დაჯაბნა“ (ვებერი) (ანუ, ბერმონაზვნური შრომა, სააქაოს საცდურთა დასათრგუნად კონკრეტული საქმიანობის, პროფესიის ერთგულად შესრულება, მხოლოდ ბერობის პროფესიული მონოდეა იყო), ხოლო პროტესტანტიზმმა „საერო ზნეობრიობის ბერმონაზვნური ასკეზით დაჯაბნა“ საერო ადამიანის ყოველდღიურ ცხოვრებაზე გაავრცელა. უფრო გასაგებად, ეს იმას ნიშნავდა, რომ ნებისმიერი პროფესიის საერო ადამიანს საკუთარი პროფესია იმგვარი მონოდეებით და ერთგულებით უნდა შეესრულებინა, როგორც ამას აკეთებდა კათოლიკე ბერი.

პროტესტანტის შრომაში, უპირველეს ყოვლისა, რელიგიური მიზანია ჩადებული: შრომით მიღწეული წარმატება (სიმდიდრე, კარიერა) არის ღვთისრჩეულობის სარწმუნო ნიშანი. შრომით წარმატების მიღწევას კი სჭირდება ქედუხრელი, ყოველდღიური, მეთოდური შრომა. წარმატება მიიღწევა არა ერთჯერადი მოქმედებით, არამედ სისტემური, დაგეგმილი, ყოველდღიური რუტინული შრომით. ამგვარ შრომას კი შედეგად მოაქვს ის, რასაც ვებერი „სოციალური მოქმედების გაუთვალისწინებელ შედეგებს“ უწოდებდა: პროტესტანტი შრომობს იმისათვის, რათა თავისი შრომით ღვთისრჩეულობის დადასტურება – წარმატება – მოიპოვოს; წარმატების მიღწევას კი მეთოდური და სისტემური შრომა სჭირდება; სისტემურ და მეთოდურ შრომას კი

შედეგად მოაქვს სიმდიდრე ან კარიერული წინსვლა. შრომისადმი ამგვარი დამოკიდებულებით მოპოვებული კაპიტალი განცხრომის საფუძველი არ უნდა გახდეს. პირიქით, მორწმუნე ვალდებულია მოპოვებული კაპიტალი კვლავ წარმოებაში ჩადოს, რადგან ღვთისრჩეულობაში თავდაჯერებულობას მხოლოდ ერთჯერადი წარმატება კი არ მოიტანს, არამედ პერმანენტული და უწყვეტი წარმატება. ეს არის ის, რასაც ვებერი სააქაო ასკეზას, ანუ მოპოვებული სიმდიდრისადმი ასკეტურ დამოკიდებულებას უწოდებს. შესაბამისად, დროის კონტროლს მორწმუნის ცხოვრებაში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება, რადგან ყოველი უქმად და ფუჭად გატარებული დრო წარუმატებლობის წინაპირობას ქმნის და ფუქსავატობაში გატარებული დრო მორწმუნისათვის ეშმაკისა და ცდუნებისათვის დათმობილი დროის მნიშვნელობას იძენს.

„ლტოლვა შეძენისაკენ“ ზოგადადამიანური თვისებაა, მაგრამ, ვებერის აზრით, მას არაფერი აქვს საერთო კაპიტალიზმთან. „მოხვეჭის უკიდურესად ზღვარგადასული ჟინი ოდნავადაც კი არ უდრის კაპიტალიზმს“, – აღნიშნავს ვებერი. მაშ, რა არის კაპიტალიზმი? ვებერის პასუხი ასეთია: „კაპიტალიზმი შეიძლება სწორედ მოთოკვის, სულ მცირე კი ამ ირაციონალური ლტოლვის (სიმდიდრის მოპოვების-ე.ჯ.) რაციონალური დარეგულირების იდენტური იყოს.... „კაპიტალისტური“ სამეურნეო აქტი ამ ეტაპზე შეიძლება ისეთ რამეს ვუწოდოთ, რომელიც გაცვლის შანსების გამოყენებით მოგების მოლოდინზეა დამყარებული: ანუ (ფორმალურად) მშვიდობიანი შეძენის შანსებზე.... ცალკეული წარმოების ფულადი ღირებულების მქონე სასაქონლო მასის ბალანსობრივად გამოანგარიშებულმა



საბლოო შემოსავალმა დაანგარიშების დასასრულს უნდა გადააჭარბოს „კაპიტალს“, ანუ გაცვლით მიღებული შემოსავლისათვის გამოყენებული შემოსავლის მატერიალური საშუალებების ბალანსობრივ სავარაუდო ღირებულებას უნდა გადააჭარბოს.“<sup>1</sup> კაპიტალისტური ეკონომიკა, მართლაც, ცხოველურ სიხარბეს კი არ ეფუძნება, ის არც ყაჩაღობით მოპოვებული ქონებით იქმნება; არც გამართლების შედეგია, არამედ მშვიდობიანი შრომის, წაგება-მოგების მუდმივ გაანგარიშებაზე, შემოსავლისა და გასავლის რაციონალურ გათვლაზე დამყარებული, რუტინულ, სისტემატურ, მუდამ ფხიზელ კალკულაციაზე დაფუძნებული ეკონომიკაა. ეს ეკონომიკა ლუთერის, რეფორმაციის, პროტესტანტული თეოლოგიის, ანუ ქრისტიანობის ხელახალი გადააზრების ირიბი პროდუქტია.

პროტესტანტიზმისა და რეფორმაციის თეოლოგიიდან გამოვიდა ყოველდღიურობის ეთიკა, შრომის ეთიკა (ვებერის მთავარი ინტერესი), რომელმაც შექმნა კაპიტალიზმი და რომელსაც ვებერი დრამატულად აღწერს: „დღევანდელი კაპიტალისტური ეკონომიკური წყობა ძრწოლვისმომგვრელი კოსმოსია, რომელშიც დაბადებითვე ჩართულია ცალკეული ინდივიდი და რომელიც მისთვის, როგორც ცალკეული ინდივიდისათვის, ფაქტობრივად, უცვლელ გარსად იქცევა, სადაც მან უნდა იცხოვროს. იგი ინდივიდს, რამდენადაც ეს უკანასკნელი საბაზრო კავშირურთიერთობაშია ჩაბმული, საკუთარი ეკონომიკური ქცევის ნორმებს ახვევს თავს. ფაბრიკანტი, რომელიც ერთთავად ამ ნორმების საპირისპიროდ მოქმედებს, ეკონომიკურად უცილობლად ჩამოცილებული იქნება, ისევე, როგორც მუშა, რო-

<sup>1</sup> მ. ვებერი, რჩეული ნაწერები რელიგიის სოციოლოგიაში, მთარგ. ნ. ფირცხალავა, ე. ჯგერენაია, რედ. ზ. კიკნაძე, თბ. 2004, 45

მელიც ხსენებულ ნორმებს ან ვერ, ან არ ერგება, ქუჩაში ამოყოფს თავს, როგორც უმუშევარი.“<sup>1</sup>

ამკარაა, რომ ევროპულ კულტურაში კულტურული პარადიგმის ცვლა ლუთერს, რეფორმაციას, რეფორმაციის თეოლოგიას და ამ თეოლოგიიდან გამომდინარე ყოველდღიურ ეთიკას, ანუ შრომისა და პროფესიული ვალის ახლებურ გაგებას უკავშირდება. პროტესტანტიზმის თეოლოგია ყოველდღიურობის ეთიკაში ტრანსფორმირდება და ყოველდღიურობის პრაქტიკად იქცევა. პროტესტანტული ყოველდღიურობის ეთიკა, ვებერის აზრით, იდეალურტიპურად მოცემულია ბენჟამენ ფრანკლინის (1706-1790) დარიგებებსა და რჩევებში, რომელიც ადამიანს მოუწოდებს პატიოსნებისაკენ, რადგან პატიოსნებას „უტილიტარული დანიშნულება“ აქვს, მას მოაქვს ნდობა, ანუ კრედიტი. ყველაზე შეკუმშულად კი პოსტრეფორმაციული კაპიტალისტური ევროპის მთელ სულისკვეთებას ფრანკლინის ერთი ფრაზა უყრის თავს: „გახსოვდეს, რომ დრო ფულია.“<sup>2</sup> ცხადია, ეს ფული არსებითად განსხვავდება იმ კულტურაში მოპოვებული ფულისაგან, რომელიც ფულის დანიშნულებას მომავალი წარმატების უზრუნველყოფაში კი არ ხედავს, არამედ „დროის უქმად გატარებას“ და „მოცალეობაში.“<sup>3</sup>

<sup>1</sup> მ. ვებერი, რჩეული ნაწერები რელიგიის სოციოლოგიაში, საგამომცემლო სახლი „მარსი“, თბილისი, 2004, 47

<sup>2</sup> „Remember that Time is Money“, Remember that Credit is Money ეს და სხვა შეგონებანი მოცემულია ბენჟამენ ფრანკლინის (1706-1790) Advise to Young Tradesmen (1748)

<sup>3</sup> ქართული კულტურის ფულისადმი დამოკიდებულების ერთ-ერთ შემთხვევას შესაძლოა კარგად გამოხატავდეს ქართული მიუზიკლის „ჩხიკვა ქორწილის“ ლიბრეტოს ერთი მონაკვეთი: „ქეიფს ვინცებ დილიდან/ ვიქირავებ დილიყანს/ შიგ შევაბამ ლომებს ფაფარაშლილს.“ თუმცა ეს ფრაზა ასევე ირეკლავს ეკლესიასტეს, „ადამიანურ საქმეთა წარმავლობის“ პავანიზებულ ფილოსოფიას.

კაპიტალისტმა, პროტესტანტული ეთიკის მატარებელმა კი, მოგებით მიღებული ფული კვლავ წარმოებაში უნდა ჩაედოს, რათა მან კვლავ ფული მოიტანოს, ფულის დანიშნულება მენარმის ფუფუნების უზრუნველყოფა კი არ არის, არამედ ფულით ფულის უსასრულო მოპოვების პროცესის ხელშეწყობაა, რათა მუდმივად მზარდმა მოგებამ პროტესტანტი თავისი პროფესიული მოვალეობის შესრულებით ღვთისსასურველობასა და საკუთარ ღვთითრჩეულობაში დაარწმუნოს.

პროტესტანტული ეთიკით ნასულდგმულები დასავლური კაპიტალიზმი არის დასავლეთ ევროპული კულტურის პარადიგმის რადიკალური ცვლის პირველი ეტაპი.

ასე აღწერს ვებერი ევროპული კულტურის პარადიგმის ცვლის ერთ შემთხვევას, რომელსაც ის პროტესტანტიზმთან აკავშირებს.

კულტურული პარადიგმის ცვლილება რეფორმაციით დაიწყო, მაგრამ მისით არ დასრულებულა. რეფორმაციამ ევროპული ცივილიზაციის შიგნით გახსნა „პანდორას ყუთი,“ საიდანაც ინტერპრეტაციების, კულტურული წყვეტების, ტრადიციის გადაწერისა და ფრაგმენტაციების მთელი წყება წამოვიდა.

პროტესტანტული გადატრიალების შემდეგ ყველაზე მასშტაბური იყო განმანათლებლობა, რომლის შედეგები თანამედროვე კაცობრიობასაც ბოლომდე მონელებული არ აქვს. ის, რაც განმანათლებლობამ მოიტანა, იყო „ქვეშევრდომის“ „მოქალაქედ“ ტრანსფორმაცია, რაც ნოდებრივი საზოგადოების სოციალურ და პოლიტიკურ სისტემასთან რადიკალურ წყვეტას აღნიშნავდა. განმანათლებლობამ მოიტანა ხელისუფლების წარმომავლობის ქრისტიანული იდეის დესაკრალიზაცია. განმანათლებლური იდეის თა-

ნახმად, ხელისუფლება არ არის ღმერთის დანესებულება, ხელისუფლების ლეგიტიმატორი აღარ არის ეკლესია, არამედ ასპარეზზე გამოდის ხალხი და ხალხი არის ის, ვინც ხელისუფლების ლეგიტიმაციის წყაროა. ხელისუფლების ლეგიტიმაციის წყაროს ეს გაგება აღნიშნავდა ახალ ეპოქას ევროპულ ცივილიზაციაში, რომლის ცენტრში დგას ავტონომიური ინდივიდი და რომლის ერთობლიობა ქმნის **ხალხს** – ხელისუფლების ერთადერთ წყაროსა და ლეგიტიმატორს.

განმანათლებლობის მიერ ხელისუფლების დესაკრალიზაციას საფუძველს უქმნიდა განმანათლებლობის მიერ ტრადიციისა და გონების დაპირისპირება, ტრადიციის კრიტიკა, რომლის ბირთვს, განმანათლებლობის თანახმად, რელიგია წარმოადგენდა. განმანათლებლობა რელიგიას ძირითადად გონების საპირისპირო მოვლენად, „ანტიმეცნიერულ“ ფენომენად, გონების ერთგვარ „უძლურებად“ „ილუზიად“ და „ექსპლუატაციის ინსტრუმენტად“ აცხადებდა. რელიგიის დეკონსტრუქციით (დეკონსტრუქციის ერთ-ერთ ფორმას კი რელიგიური პლურალიზმის სამართლებრივი უზრუნველყოფა წარმოადგენდა) ნოდებრივი საზოგადოების ყველა ინსტიტუტის დესტრუქცია უნდა მომხდარიყო. ასეც მოხდა ევროპაში. რაც შეეხება ქართულ სინამდვილეს, ქართული დაგვიანებული განმანათლებლობა (მის პირველ წარმომადგენლებთან-“თერგდალეულებთან“) არასოდეს მისულა რელიგიის კრიტიკამდე, მაგრამ ხელისუფლების ღვთაებრივი წარმომავლობის იდეა ეჭვქვეშ დააყენა. შესაბამისად, ქართული განმანათლებლობა „შუა გზაზე გაჩერებული განმანათლებლობაა;“ პარადოქსულად, ის ერთსა და იმავე დროს არსებობს და არც არსებობს კიდევ.



## კულტურული პარადიგმის ცვლილება და ქართული კულტურა

მხოლოდ ახალი იდეები, ქარიზმატული ლიდერის, ინტელექტუალის თავში მომხდარი მსოფლმხედველობრივი გადატრიალება, უფრო სწორად კი, ძველ იდეათა ახლებური ინტერპრეტაცია როდია საკმარისი სოციალური რევოლუციისათვის. ვებერის აზრით, აუცილებელია არსებობდეს სოციალური კლასი, ადამიანთა ერთობლიობა, რომელიც ახალი იდეის მოლოდინშია; ადამიანები, რომლებიც ჩათვლიან, რომ ლიდერის წამოყენებული იდეები, მისი მიმართვები სრულებით პასუხობს მათ გამოუთქმელ, ჩამოუყალიბებულ, მათ მიერ იმპლიციტურად ნაგულისხმევ იდეებს. ლიდერი გვევლინება იმ სოციალური ჯგუფის, სოციალური ფენის, თუ კლასის იდეების გამომთქმელად, რომელსაც თვით არ ძალუძს, არ აქვს უნარი და კომპეტენცია გამოთქვას, ჩამოაყალიბოს საკუთარი მოთხოვნები. რეფორმაცია და მისი შედეგი – ევროპული კაპიტალისტური მეურნეობა – ვებერის თანახმად, შესაძლებელი გახდა არა მხოლოდ მ. ლუთერის მიერ კათოლიკური ეკლესიის კრიტიკის, არამედ ახალი იდეების მოლოდინში მყოფი სოციალური ფენის არსებობის გამოც. ეს მნიშვნელოვანი თეზისი, რომელიც ძალზე არსებითია ვებერის კონცეფციაში, გასათვალისწინებელია ქართულ კულტურაში საქართველოს „კვაზირეფორმაციული“ მოძრაობის ასახსნელად. ქართული კულტურის რეფორმისტული წამოწყებების მთელი პრობლემა მდგომარეობდა და მდგომარეობს იმაში, რომ (1) რეფორმისტული იდეები არასოდეს არ არის საკუთრივ „ადგილობრივი პროდუქტი“, ადგილობრივი საზოგადოებრივი ყოფის და სოციალური ურთიერთობების „ნაწარმი“, არამედ ის ყოველთვის იმპორტირებულია და, როგორც წესი, (2) ამ იდეებს არ აქვს

სოციალური საყრდენი, არ არსებობს სოციალური კლასი, ფენა ან ჯგუფი, რომელიც ლიდერის მიერ ინსპირირებული იდეების საჭიროებას განიცდის და მათ მოლოდინშია. ამიტომაც რეფორმატორი ქართული საზოგადოების შიგნით გამოიყურება როგორც დიქტატორი, მოძალადე და საზოგადოებრივი აზრის მიერ მისი მარკირება ხდება ემოციური ეპითეტებით: „გიჟი“, „ფსიქიკურად დაავადებული“, „უცხო ქვეყნის აგენტი“, „მოლაღატე“, „ანტიეროვნული“<sup>1</sup> და ა.შ. განსხვავებით ევროპისაგან, სადაც „რეფორმაციები“ ყოველთვის მხადაჭერილია დიდი სოციალური ჯგუფების მიერ და ახალი მსოფლმხედველობრივი წამოწყება თვით ევროპული კულტურის იმანენტურ პროდუქტად აღიქმება.

რეფორმაციის მიერ მოტანილი ცვლილების ვებერისეული ინტერპრეტაცია ზოგადად ყველა კულტურის, და მათ შორის ქართული კულტურის მიმართ, ერთი კითხვის დასმის შესაძლებლობას იძლევა: როდის ხდება კულტურული პარადიგმის ცვლა საქართველოში და ვინ დგას მის სათავესთან? რა შედეგები მოაქვს მას? სხვაგვარად, არსებობდა თუ არა „ქართული რეფორმაცია“? გვყავდა თუ არა „ქართველი ლუთერი“? შეიძლება თუ არა ევროპულ რეფორმაციას ფუნქციური ანალოგი დაეძებნოს ქართულ კულტურაში?

ჩემი თეზისია, რომ ყველა კულტურაში, და მათ შორის ქართულ კულტურაში, გარკვეულ ისტორიულ ეპოქაში სხვადასხვა ფაქტორთა ზეგავლენით ადგილი აქვს რეფორმაციის ფუნქციურ ეკვივალენტს, რეფორმაციის ტოლფასს,

<sup>1</sup> ეპითეტი, რომლითაც გ. ორბელიანი ილიას აღწერდა, კერძოდ, ფრაზა: „ის ლიბერალი, ბურთივით მრგვალი“ ისეთ შეურაცხმყოფელ მნიშვნელობას ატარებდა, როგორც დღეს სიტყვა „ლიბერალისტ“ აქვს

მის მსგავს მოვლენას, რომელმაც კულტურული პარადიგმის რადიკალური ცვლილება გამოიწვია.

რასაკვირველია, ასეთი ცვლილების საფუძველი ყოველთვის რელიგიის ან თუ იმ დებულების ახლებური ინტერპრეტაცია როდია. ეს საფუძველები კულტურიდან კულტურამდე სრულებით განსხვავებული შეიძლება იყოს, მაგრამ შედეგი ყოველთვის კონკრეტული კულტურის პარადიგმის შეცვლაა.

ცხადია, ქართულ სინამდვილეში რეფორმაცია XVI საუკუნეში ვერ მოხდებოდა,<sup>1</sup> რადგან საქართველო არ იყო ჩართული საერთო ევროპულ ცხოვრებაში. ევროპული საზოგადოებები ერთიან, კათოლიკურ-ქრისტიანულ სივრცეში იყვნენ მოქცეულნი და რეფორმაციამდე ევროპული საზოგადოებების ცხოვრება კათოლიკური ეკლესიისა და მისი ღირებულებების დომინანტობის ქვეშ მიმდინარეობდა. საქართველო ამ სივრცეს გეოგრაფიულ-სივრცობრივად მონყვეტილი, იდეურად და პოლიტიკურად ჩამოშორებული იყო.<sup>2</sup> თუმცა XVII საუკუნეში ვახტანგ მეექვსის (1675-

737) პირადი და მისი სამეფო კარის საქმიანობა, რომელიც შორს იყო ევროპული რეფორმაციის სულისკვეთებისა და იდეური ბირთვისაგან, ევროპასთან მიახლოების გარკვეულ შესაძლებლობებს ქმნიდა: სულხან-საბა ორბელიანის დიპლომატიური მისიით ევროპაში გაგზავნა; კანონმდებლობის (დასტურლამალი) შექმნა, ნიგნის ბეჭდვის დაწყება, (რაც ნიგნის ბეჭდვისათვის უწყვეტი პირობების არსებობის შემთხვევაში შესაძლოა ბიბლიის (სახარება 1709) ხალხში გავრცელების და შემდგომ მისი „არაორთოდოქსული“ ინტერპრეტაციის საფუძველი გამხდარიყო, რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ დაბეჭდვა (1712) და კომენტირება (ფილოლოგიის დასაწყისი), „სწავლულ კაცთა“ კომისიის შექმნა და „ქართლის ცხოვრების“ ახალი რედაქციის მომზადება, სულხან-საბა ორბელიანის მიერ ლექსიკონის შექმნა<sup>1</sup> – ამ და სხვა კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობას შესაძლოა ბიძგი მიეცა ღრმა და მდგრადი რეფორმატო-

<sup>1</sup> ევროპულ საზოგადოებებში ლექსიკონების შექმნა წინ უძღოდა ნაციონალიზმის ფორმირებას. ამ მოსაზრებას გამოთქვამს ბ. ანდერსონი სეტონ უტსონის (Hugh seton-Watson 1916-1984) ნაშრომზე (იხ. Nations and states: an enquiry into the origins of nations and the politics of nationalism 1979) დაყრდნობით ნიგნში „წარმოსახვითი საზოგადოება.“ (იხ. ქართული თარგმანის, 109). სულხან-საბა ორბელიანის მიერ ლექსიკონის შექმნა უაღრესად მნიშვნელოვანი მოვლენა იყო, რადგან ის ქრონოლოგიურად ევროპელი ფილოლოგიის ლექსიკოგრაფიით გატაცებას ემთხვევა. სამწუხაროდ, საქართველოს ისტორია ევროპული ისტორიის მიმართულებით ვერ განვითარდა, შესაბამისად, სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონი, ისევე როგორც ვახტანგ VI-ის ეპოქა, ვერ გახდა ქართული ნაციონალიზმის მომზადების საწყისი ფაზის აღმნიშვნელი, თუმცა დღევანდელი ქართული ნაციონალიზმისათვის მას გარკვეული მნიშვნელობა აქვს

<sup>1</sup> რეფორმაციის დასაწყისად ითვლება 1517 წელი, როცა მარტინ ლუთერმა ვიტენბერგის ეკლესიის კარებზე 95 თეზისად ჩამოყალიბებული მოთხოვნები მიაკრა, ხოლო რეფორმაციის დასასრულად 1648 წელი სახელდება, მიუნსტერსა და ოსნაბრუკში დადებული ვესტფალიის სამშვიდობო ზავის ხელმოწერის თარიღი, რომლითაც ევროპაში დამთავრდა 30-წლიანი ომი

<sup>2</sup> ევროპის სახელმწიფოებთან, განსაკუთრებით კი საფრანგეთთან, ქართველ საზოგადო მოღვაწეთა მიერ პოლიტიკური მხარდაჭერის ძიებას მხოლოდ სპორადული მცდელობების ხასიათი ჰქონდა და პრაქტიკული პოლიტიკური შედეგი ქვეყნისათვის არ მოუტანია, თუმცა „ევროპულ ოჯახში დაბრუნების“ თანამედროვე ქართული პოლიტიკური დისკურსი ამგვარი სპორადული მცდელობების ჰიპერბოლიზაციას ეფუძნება

რული მოძრაობისა და დაგროვილი კულტურული მემკვიდრეობის ახლებური თვითრეფლექსიისათვის, მაგრამ ასე არ მოხდა. რატომ? ერთი მხრივ, ეს შეიძლება აიხსნას საგარეო პოლიტიკური ფაქტორებით, პოლიტიკური და კულტურული ცხოვრების უწყვეტობისათვის პირობების არარსებობით. (ქართულ ისტორიოგრაფიაში არასახარბიელო პოლიტიკური ვითარება „მსხვერპლის დისკურსით“ არის წარმოდგენილი.<sup>1</sup>) მეორე მხრივ, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ კონკრეტულ კულტურაში რადიკალურად ახალი თვითრეფლექსიის დანყება, გარდა გამოკვეთილი ინტელექტუალური ლიდერის ან ინტელექტუალური მოძრაობის არსებობისა, თითქმის ყოველთვის გულისხმობს ისეთ პროცესს, როგორცაა საზოგადოების სოციალური სტრუქტურის ღრმა ცვლილება. ვახტანგ VI-ის წამოწყებას შესაძლოა სულ სხვა შედეგი გამოეღო იმ შემთხვევაში, თუ მის საგანმანათლებლო საქმიანობას თანმხლებ პროცესად ფეოდალური, ტრადიციული, წოდებრივი საზოგადოების რღვევა ექნებოდა.

XVII საუკუნის საქართველოში არც რელიგიური რეფორმაცია და არც სოციალური სტრუქტურის რადიკალური ცვლილება მომხდარა; ფეოდალური სოციალური სისტემა არ ტრანსფორმირებულა სხვა, ვთქვათ, არანოდებრივ სოციალურ სისტემად; შესაბამისად, არც ავტონომიური უფ-

ლებებით აღჭურვილი ინდივიდისა და სოციალური თანასწორობის კონცეფცია დამუშავებულა.<sup>1</sup>

ვახტანგ VI-ის მიერ წამოწყებული საქმიანობა ის ინტელექტუალური მოძრაობა იყო, რომელსაც, იმავდროულად, სოციალური ცვლილების პროცესი არ ახლდა. ტექსტების შეგროვება და მონესრიგება, მათი შედარება და კომენტარის თავისთავად დიდი მოვლენა იყო, რადგან ეს პროცესი „მნიშვნელოვანისა“ და „უმნიშვნელოს“, „ცენტრალურისა“ და „მარგინალურის“ გარჩევას გულისხმობდა, მაგრამ ამ პროცესს არ ახლდა საზოგადოების სისტემური, სტრუქტურული ცვლილება; შეგროვებას და კომენტარს აკლდა ტრადიციას დაპირისპირებული (ტრადიციისაგან რადიკალურად განსხვავებული) ინტერპრეტაცია, რომელიც მხოლოდ XIX საუკუნის საქართველოში გახდა შესაძლებელი. მანამდე კი ქართული კულტურის თვითდაკვირვება ფეოდალური ნარატივის კანონს არ სცდებდა, რადგან ის ფეოდალური სოციალური სტრუქტურის შიგნით მიმდინარეობდა, რომლის ფორმულა ქართულ შუა საუკუნეებში „ვეფხისტყაოსნის“ პროლოგში ერთი სტროფით არის გადმოცემული: „რაცა ვის რა ბედმან მისცეს, დასჯერდეს და მას უბნობდეს: მუშა მინყივ მუშაკობდეს, მეომარი გულოვნებდეს; კვლა მიჯნურსა მიჯნურობა უყვარდეს და გამოსცნობდეს, არცა ვისგან დაიწუნოს, არცა სხვათა უწუნობდეს,“ რაც ტრადიციით მიღებულ სოციალურ სტატუსთა და როლთა

<sup>1</sup> ქვეყნის პოლიტიკური და ეკონომიკური წარუმატებლობის მუდმივად სხვებზე გადაბრალება, „მსხვერპლის დისკურსი“ ქართული ისტორიოგრაფიისა და საზოგადოებრივი აზრის ბირთვია, რაც მკაფიოდ მიუთითებს ქართული კულტურის „კონტროლის ლოკუსსზე“, რომელიც მუდამ გარეთ არის მიმართული და ეგზოგენურია („დამნაშავეა სხვა და არა მე“)

<sup>1</sup> ფეოდალური საქართველოს მთავარი პოეტური ნარატივის რუსთველის „ვეფხისტყაოსნის“ ნაციონალურ ნარატივად ქვეყნის შესახებ იხ. ზ.შათირიშვილი, პოეტიკა და რიტორიკა, 1915-1927, ლოგოს პრესი, თბილისი, 2004, 148-153

უცვლელობასა და ურყეობას გულისხმობს.<sup>1</sup> თავის მხრივ, ნოდებრივი, ფეოდალური საზოგადოების სოციალური სტრუქტურის ერთგვარი ურყეობა უზრუნველყოფილი იყო სპეციალური პოლიტიკური თეორიით, პოლიტიკური თეოლოგიით, რომლის ცენტრალურ ფიგურას ღვთიანობის ხეული მეფე, სამეფო ხელისუფლება წარმოადგენდა.

ის, რაც საქართველოს ევროპულ კულტურასთან აახლოვებს, არის სამეფო ხელისუფლების ფეოდალური კონცეფცია, პოლიტიკური თეოლოგია, რომლის ზეგავლენა XIX საუკუნემდე აღწევს და რომლის დეკონსტრუქციასაც კვლავ XIX საუკუნეში ეყრება საფუძველი. სწორედ ამ დროს ხდება კულტურული პარადიგმის ცვლილება და, უპირველეს ყოვლისა, ეს ხდება ქართველი საზოგადო მოღვაწეების მიერ პოლიტიკური თეოლოგიის გადაზრებით. ამ გადაზრების პროცესში ორი პოეტი აღმოჩნდა ერთმანეთის პირისპირ: გრიგოლ ორბელიანი და ილია ჭავჭავაძე.

---

1 საინტერესოა, რომ „ვეფხისტყაოსნის“ პოეტური დეკონსტრუქციის ერთ-ერთი მცდელობა, როგორცაა პ. შამუგიას „ანტიტყაოსანი“, იმპლიციტურად ფეოდალიზმის სოციალური სტრუქტურის საფუძველს, მინერალ სოციალურ როლებს არყევს, რადგან თანამედროვე პოეტი „ვეფხისტყაოსნის“ განსხვავებული სოციალური სტატუსის მქონე პერსონაჟებს შორის (ტარიელი და ასმათი) სექსუალურ ურთიერთობას შესაძლებლს ხდის. თუმცა ეს სექსუალური ურთიერთობა პოეტს „სიყვარულის“ რანგში არ აწყავს. იხ. პ. შამუგია, ანტიტყაოსანი: მინიპოემა და პოსტლექსები-Post პოეზია, თბ. 2007

## ხელისუფლების წარმომავლობის ფეოდალური კონცეფცია

ფეოდალიზმის ეპოქის ხელისუფლების თავისებურების დადგენის თვალსაზრისით საეტაპო მნიშვნელობა აქვს ერნსტ კანტოროვიჩის (1895-963) ნაშრომს *The King's Two Bodies: A Study in Medieval Political Theology* (1957), სადაც ის შუა საუკუნეების პოლიტიკურ თეოლოგიას – ხელისუფლების კონცეფციას – განიხილავს. ამ კონცეფციის თანახმად, მეფეს ორი სხეული აქვს: ბუნებრივი სხეული (**body natural**) და პოლიტიკური სხეული (**body politic**). ბუნებრივი სხეული მოკვდავია, ხოლო პოლიტიკური სხეული (სამეფო ინსტიტუტები) უკვდავი.<sup>1</sup> პოლიტიკური სხეული ფიზიკური (ბუნებრივი) სხეულისგან დამოუკიდებელია, ის მეფის სიკვდილის შემდეგაც აგრძელებს არსებობას. ეს წარმოდგენა სამეფო ხელისუფლებაზე – კანტოროვიჩის აზრით – სხეულისა და სულის ქრისტიანულ დიქოტომიას ეფუძნება, რომლის თანახმადაც, ყველა ადამიანი მოკვდავი სხეულისა და უკვდავი სულის ერთიანობას წარმოადგენს. მეფის საპატიო ადგილი, მისი მდგომარეობის ღვთიანობის ხელობა წარმოშობს პოლიტიკურ სისტემას, ანუ პოლიტიკურ სხეულს, რომელიც, ამავე დროს, საკრალური და პატივსაცემი სხეულია. კანტოროვიჩის საკუთარი დასკვნები მხოლოდ თეოლოგიასა და სამართლებრივ დოკუმენტებზე დაკვირვებიდან როდი გამოჰყავს. ის მიმართავს მხატვრულ ლიტერატურას, მაგალითად, შექსპირის შემოქმედებას (მეფე რიჩარდ II),<sup>2</sup> სადაც, მისი აზრით, მეფის ორი

---

<sup>1</sup> იხ. Ernst H. Kantorowicz, *Die zwei Körper des Königs, Eine Studie politischen Theologie des Mittelalters*, Ketta-Cotta, 1992, 29

<sup>2</sup> Ibid, 45



სხეულის კონცეფცია აშკარად თვალშისაცემია. ევროპაში ხელისუფლების ასეთი გაგება, კანტოროვიჩის თანახმად, სადღაც XI საუკუნიდან ყალიბდება და XVII საუკუნემდე აღწევს. ე. კანტოროვიჩის ამ მონუმენტური ნაშრომიდან ერთი დაკვნა იკვეთება, კერძოდ, ყოველ ხელისუფლებას აქვს იმპლიციტური ან ექსპლიციტურად ფორულირებული, მკაფიოდ გამოთქმული საკუთარი არსებობის „თვითგამართლების“ ფილოსოფია ანუ პოლიტიკური თეოლოგია.

ფეოდალური ეპოქის ხელისუფლების ბუნებას სწავლობდა ასევე მარკ ბლოკი (1886-1944), რომლის წიგნი „სასწაულმოქმედი მეფეები“ (ფრანგულ ენაზე 1924) ევროპის შუა საუკუნეების პოლიტიკურ ისტორიას ეძღვნება. მაგრამ ამ პოლიტიკურ ისტორიას ბლოკი გადმოსცემს ფეოდალურ საზოგადოებაში გავრცელებული ერთი წარმოდგენის ანალიზით. საქმე ეხება ფეოდალურ საზოგადოებაში მეფის ხელით შეხების (ხელდასმის) სასწაულებრივი კურნების ძალის რწმენას (ბლოკი მიმართავს ფრანგულ და ინგლისურ საზოგადოებაში გავრცელებულ წარმოდგენას მეფის ხელის შეხებით ავადმყოფის კურნების ძალაზე). ეს წარმოდგენა მეფის ღვთაებრივ უნარზე უილიამ შექსპირის „მაკბეტის“ მესამე სურათშია გადმოცემული, სადაც „მაკბეტის“ ერთი პერსონაჟი, კერძოდ, ინგლისში გაქცეული შოტლანდიის უფლისწული მალკოლმი მეფის ამ ღვთაებრივ ძალას აღწერს: „მაგ სენს უხმობენ ხელმწიფის სენად და სიკეთით აღსავსე მეფე სასწაულებრივ ჰკურნავს სნეულთ; რაც ინგლისში ვარ, მე ჩემის თვალთ ეგ ამბავი ხშირად მინახავს“.<sup>1</sup>

შუა საუკუნეების დოკუმენტების შესწავლის საფუძველზე ბლოკმა დაადგინა, სად და როდის იწყება და მთავრდება

ეს წარმოდგენა (შესაბამისად, რიტუალი). ბლოკის თანახმად, მეფის შეხების კურნების ძალის შესახებ წარმოდგენა საფრანგეთში სადღაც 1000 წელს, ხოლო ინგლისში ოდნავ უფრო გვიან, იწყება და ეს წარმოდგენა, მის თანმხლებ რიტუალთან ერთად, 1714 წელს წყდება ინგლისში მას შემდეგ, რაც ინგლისის ტახტი ჰანოვერიდან (გერმანია) მოსულმა დინასტიამ დაიკავა. ბლოკის ეს ნაწარმოები, რომელიც სხვა მნიშვნელოვან დაკვირვებასაც შეიცავს, ამჯერად ჩვენთვის მხოლოდ ერთი აზრით არის საინტერესო, კერძოდ, იმით, რომ აქ აშკარად ნაჩვენებია მეფის ხელით შეხების კურნების ძალის რწმენის განპირობებულობა მეფის ძალაუფლების ღვთაებრივი წარმომავლობით. სამეფო ხელისუფლება მისი მთელი ისტორიით, აღნიშნავს მარკ ბლოკი, უწყვეტ კავშირშია ყველა ევროპული ინსტიტუტების ევოლუციასთან. ყველა ევროპული ერი სამეფო ხელისუფლებით იმართებოდა და ევროპის ხალხების ისტორია ერთგვარად სამეფო დინასტიათა მონაცვლეობის ისტორიაა. სამეფო ხელისუფლების ხანგრძლივი ბატონობის ასახსნელად, ბლოკის აზრით, საკმარისი არ არის სამეფო ხელისუფლების ადმინისტრაციული, ფინანსური, სამართლებრივი ზეგავლენა ქვეშემრდეობზე და არც ხელისუფლების ღვთაებრივი წარმომავლობის კონცეფცია. ამ ხანგრძლივი ბატონობის ასახსნელად, ფიქრობს ბლოკი, აუცილებელია ყურადღება მივაქციოთ ერთი შეხედვით ანეგდოტურ, თავშესაქცევ წარმოდგენას მეფის განსაკუთრებულ უნარზე ხელის შეხებით განკურნოს ავადმყოფი.

ნორბერ ელიასი (1897-1990) დასავლეთ ევროპული (N. Elias, *Über den Prozess der Zivilisation* 1939) ფეოდალიზმის ბუნების ახსნის სხვა ფოკუსს გვთავაზობს. მას აინტერესებს არა სამეფო ხელისუფლების ღვთაებრივი წარმო-

<sup>1</sup> უილიამ შექსპირი, პიესები, მთარგმ. ივანე მაჩაბელი, ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, 2014, 267



მავლობის პრობლემა, არამედ დასავლური საზოგადოების ყოველდღიური ცხოვრების „გაცივილიზება,“ ერთგვარი „ცივილიზაციის პროცესი,“ რომელსაც თან პიროვნების სტრუქტურის ცვლილებები ახლავს.<sup>1</sup>

ნ. ელიასი ფეოდალიზმის განვითარების ორ ეტაპს წარმოგვიდგენს. პირველი ეტაპი – ეს არის შუა საუკუნეების ეპოქის ფეოდალიზმი, ხოლო მეორე ეტაპი – ფრანგული აბსოლუტიზმის მსგავსი პოლიტიკური სისტემა, რომელიც ახლოს დგას თანამედროვე ერი-სახელმწიფოს სისტემასთან.

პირველ ეტაპზე, ელიასის აზრით, ფეოდალური საზოგადოება, ფეოდალური პოლიტიკური სისტემა, წარმოდგენილია მრავალი მცირე სათავადოებით (საგრაფოები და ა.შ.), რომელთაც ტრადიციის ძალით გარანტირებული დამოუკიდებლობა აქვთ და დამოუკიდებელი ძალაუფლების წერტილებს წარმოადგენენ. თითოეული ფეოდალი მიწის გარკვეულ ნაწილს განკარგავს. მთელი ფეოდალური სისტემა დამოუკიდებელი ფეოდალების გაერთიანებაა. ასეთ პოლიტიკურ სისტემაში თითოეული ფეოდალი დამოუკიდებელია მთელ რიგ საკითხებში: ტრადიციით აღიარებული

<sup>1</sup> „ცივილიზაციის პროცესის“ ცნებით ელიასი აღწერს დასავლეთ ევროპული საზოგადოების „გაცივილიზების“ პროცესს. ცივილიზებულობა პროცესია, ის ევროპაში ხანგრძლივად მიმდინარეობდა. მისი ორტომიანი ნაშრომი „ცივილიზაციის პროცესის შესახებ“ (გერმ. 1939, ქართ. თარგმან. 2005) აღწერს ამ პროცესს (ახ. წ. აღ. 800-1900 დროის მონაკვეთში). ეს პროცესი გულისხმობს პიროვნების სტრუქტურის ცვლილებას, რასაც ასევე თან ახლავს სოციალური სტრუქტურის ცვლილებები-სოციალური დიფერენციაცია. „ცივილიზებულობა“ (რაც საკუთარი ემოციების მართვას გულისხმობს) ჯერ ზედა ფენაში მკვიდრდება (არისტოკრატია) და შემდეგ „დაბალ“ სოციალურ ფენებში ჰპოვებს გავრცელებას

ტერიტორიის-მიწის განკარგვაში, მეზობელ ფეოდალებთან პრობლემების მოგვარებაში, სამართალის აღსრულებასა თუ საკუთარი უფლებისა და საკუთრების დამოუკიდებელ დაცვაში. ამ სისტემის შიგნით მეფის ამოცანა მდგომარეობს სამეფოს, როგორც მთელის დაცვასა და მის უსაფრთხოებაზე ზრუნვაში. იმ შემთხვევაში, თუ სამეფოს საფრთხე დაემუქრება, მეფე იწვევს ფეოდალთა საბჭოს, კრებს ფეოდალებისაგან შედგენილ არმიას. სხვა დროს, მშვიდობის პირობებში მეფე ერთ-ერთი ფეოდალთაგანია და პრობლემებს სხვა ფეოდალებთან ურთიერთობაში იმავე მეთოდებით წყვეტს, რა მეთოდებსაც „რიგითი“ ფეოდალები ერთმანეთთან ურთიერთობისას მიმართავენ. საყოველთაო, ყველგან შემღწევი, ერი-სახელმწიფოსათვის დამახასიათებელი ძალაუფლება ჯერ არც არსებობს, რადგან სუსტია ფეოდალების ერთმანეთზე დამოკიდებულება, ჯერ კიდევ არ არსებობს ცალკეული ფეოდალების ძალაუფლებისაგან დამოუკიდებელი ბატონობის ტექნიკები, როგორცაა, მაგალითად, მმართველობითი ბიუროკრატია ან მსგავსი ინფრასტრუქტურა, რომელსაც შეუძლია უწყვეტი, თანმიმდევრული კონტროლისა და იძულების/ძალაუფლების განხორციელება. ძალაუფლების ამ ლაბილური სტრუქტურის ზეგავლენით ფორმირებულ ხასიათს აღწერს „ქართლის ცხოვრება:“ „ვინაშე თან ნათესავი ქართველთა ორგულ-ბუნება არს პირველითგან თვსთა უფალთა; რა|მეთუ, რაჟამს განდიდნენ, განსუქნენ<sup>1</sup> და მშკდობაჲ პოონ და განსუენებაჲ, ინყონ | განზრახვად ბოროტისა\*, ვითარცა მოგვთხრობს ძუელი მატთანე ქართლისაჲ და საქმენი ან ხილულნი.“<sup>1</sup>

<sup>1</sup> ცხოვრებაი მეფეთ-მეფისა დავითისი, (ქართლის ცხოვრება, მთ. რედ. რ. მეტრეველი, „მერიდიანი“ „არტანუჯი“, თბილისი, 2008, 343). ამ ფრაზის ზეგავლენა თანამედროვე ქართველების თვით-

ასეთ პოლიტიკურ სისტემაში უღრესად სუსტია საერთო – სახალხო, ერთიანი, ყველა სოციალური ფენის განმსჭვალავი, მეხსიერება და უფრო კატეგორიულადაც კი: ფეოდალიზმი გამორიცხავს საერთო სახალხო, ყველა სოციალური ჯგუფის მომცველ საერთო მეხსიერებას. ჯერ კიდევ არ არსებობს მედიაციის ის საშუალება, რომელიც საზოგადოებას შესაძლებლობას მისცემს „წარმოისახოს“ ერთიანობა, ერთიანი ისტორია და საერთო კულტურული და პოლიტიკური სივრცე.<sup>1</sup>

---

ცნობიერებაზე ცალკე შესწავლის საგანია. დღეს ყოველდღიურ საუბრებში ხშირად გაიგონებთ ამ ფრაზის ანალოგიურ გამონათქვამებს. ფეოდალური პოლიტიკური სისტემის ზეგავლენით შექმნილი ქართველთა „ბუნების“ ამ კონცეფციის ანარეკლი უნდა იყოს კ. გამსახურდიას „დიდოსტატის მარჯვენაში,“ „პიპას მონოლოგში:“ „ჩვენი უბედურება ამჟამადაც ეგაა: ჩვენში მოღალატენი სჭარბობენ ერთგულებს, განა თუ სხვისი, საკუთარი თავის მოღალატენი...“ (იხ. კ. გამსახურდია, დიდოსტატის კონსტანტინეს მარჯვენა, „ნაკადული“, 1990, გვ. 375). უნდა ვივარაუდოთ, რომ საბჭოთა სასკოლო ქრესტომათიაში შესული „დიდოსტატის მარჯვენა“ „ქართველთა ბუნების“ შუა საუკუნეებრივი წარმოდგენის გავრცელებას უწყობდა ხელს. ფეოდალიზმის პოლიტიკური სისტემის და ძალაუფლებით მიმართებებს მეტაფორულად აღწერს კვლავ „ცხოვრებაი მეფეთ-მეფისა დავითისი“, როცა მემათიანე საუბრობს ლიპარიტ ბაღვაშზე: „რამეთუ კუდი ძაღლისაი არა განემართების, არცა კირჩხიბი მართლად ვალს“ (იხ. ქართლის ცხოვრება, მთ. რედ. რ. მეტრეველი, „მერიდიანი“ „არტანუჯი“, თბილისი, 2008, 308)

<sup>1</sup> ბ. ანდერსონმა ბესტსელერად ქცეულ წიგნში „წარმოსახვითი საზოგადოებები“ (Imagined Communities 1983) აჩვენა, თუ როგორ იქმნება ახალი რეალობა „ერი“ ენის მეშვეობით. „ძველი რეჟიმის“ დამხობა საფრანგეთში სწორედ ამ რევოლუციის შედეგია. ფილოლოგიის სოციალურ ფუნქციაზე საუბრობს ასევე Hugh Seton-Watson, შრომაში: Nations and States. An Enquiry into the Origins of Nations

ბენედიკტ ანდერსონმა (1936-2015) ბესტსელერად ქცეულ წიგნში „წარმოსახვითი საზოგადოებები“ (Imagined Communities 1983, ქართ. თარგმან. 2003) აჩვენა, თუ როგორ იქმნება ახალი რეალობა – „ერი“ – ენის მეშვეობით. „ძველი რეჟიმის“ დამხობა საფრანგეთში და, საერთოდ, ევროპული ერების ფორმირება სწორედ „ლექსიკოგრაფიული რევოლუციის“/„ფილოლოგიური რევოლუციის“ მეშვეობით გახდა შესაძლებელი,<sup>1</sup> რადგან ახალ დროში სწორედ ფილოლოგია ქმნის ენის ერთიან ნორმას; სადღაც XVI საუკუნიდან მოყოლებული ერთი საზოგადოების შიგნით დიალექტებისა და ცალკეული „ენებისაგან“ ფილოლოგიის მეშვეობით „ნაციონალური ენები“ იქმნება და ის ნორმატულად დადგენილ საერთო კომუნიკაციის საშუალებად (ეროვნულ ენად) გარდაიქმნება, ხოლო შემდეგ ამ ენაზე მედიები – „საერთო ეროვნული“ პრობლემების ან უკვე ყველასათვის გასაგებ ენაზე გადაცემით – ქმნიან პოლიტიკურად წარმოსახულ საზოგადოებას, რომელიც შემოსაზღვრულია (საკუთარი საზღვრების მქონეა) და „ავტონომიურია.“ ფილოლოგიის მეშვეობით „ეროვნული ენის“ ფორმირებას საქართველოში ის გზა არ გაუვლია, რაც ევროპაში ეროვნულმა ენებმა გაიარეს. ევროპული ერები ეროვნული ენების და ნაციონალიზმის ფორმირებამდე „რელიგიურ საზოგადოებებს“ წარმოადგენდნენ და ამ საზოგადოებების ენა ლათინური იყო. ქართული ფეოდალური „რელიგიური საზოგადოების“ ენა

---

and the Politics of Nationalism, London 1977, რომლის მოსაზრებებსაც ბ. ანდერსონი მიმართავს. მისი აზრით, სწორედ XIX საუკუნე უნდა მივიჩნიოთ ფილოლოგიისათვის ოქროს ხანად.

<sup>1</sup> იხ. Benedict Anderson, Die Erfindung der Nation. Zur Karriere eines fogenreichen Konzepts, Frankfurt, New York, 1996, 76,82 ქართული თარგმანი, 109,111

კი ყოველთვის ქართული ენა იყო, თუმცა XIX საუკუნეში ი. ჭავჭავაძის მიერ ჩატარებულმა რეფორმამ ნაციონალიზმის ფორმირების თავსაზრისით იგივე როლი შეასრულა, რაც ლუთერის მიერ ბიბლიის გერმანულ ენაზე თარგმნამ.

ნაციონალიზმს სჭირდება და ნაციონალიზმს ქმნის „ერთიანი ეროვნული მეხსიერება“ (მეხსიერება, რომელიც ფორმალურად თანასწორი საზოგადოების წევრებისაგან შემდგარ ყველა სოციალურ ფენას გამსჭვალავს). მაგრამ ეს მეხსიერება ყველასათვის გასაგებ ენაზე უნდა კონსტრუირდეს. ამ ენის გავრცელებას კი სოციალურმა ბარიერებმა (მინერული სოციალური როლები, წოდებრივი საზოგადოება და ა.შ) ხელი არ უნდა შეუშალოს. განმანათლებლობა და საფრანგეთის რევოლუცია ასეთი მეხსიერების კონსტრუირებისათვის საკუთესო პირობებს შექმნის. ის დაბადებს თანასწორობამოპოვებულ, სოციალურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში აქტიურად ჩართულ, ავტონომიურ ინდივიდს, რომელიც უკვე ერთიან ერად ყოფნის მეხსიერების ახალი გამოგონებით – ნაციონალიზმით – „ერის ერთიანი ისტორიით“, „ეროვნული კულტურით“ გამოიკვებება.

ქართულ კულტურაში ასეთი საერთო მეხსიერებისა და ისტორიის „გამოგონება“ „ძველი პარადიგმის“ დასასრულისა და „ახალი პარადიგმის“ დასაწყისის, კულტურული პარადიგმის შეცვლის აღმნიშვნელია.

განმანათლებლური იდეების ათვისებას საქართველოს შემთხვევაში ქართული ფეოდალიზმის ევროპულ ფეოდალიზმთან მსგავსება აადვილებდა, რომლის პოლიტიკური თეოლოგიაც ევროპული პოლიტიკური თეოლოგიის იდენტური იყო. ევროპული განმანათლებლობის ერთ-ერთი სამიზნე სწორედ შუსაუკუნეების პოლიტიკური თეოლოგიის დეკონსტრუქცია იყო. საქართველოს სინამდველეშიც დაგ-

ვიანებული განმანათლებლობის სამიზნე შუა საუკუნეების პოლიტიკური თეოლოგია აღმოჩნდა.

მართალია, შუა საუკუნეების ქართული პოლიტიკური თეოლოგია არ შეიცავს. ბლოკის მიერ აღწერილ მეფის კურნების ძალის შესახებ წარმოდგენას, მაგრამ სხვა თავსაზრისით, მაგალითად, სამეფო ხელისუფლების ღვთაებრივი წარმომავლობის (კანტოროვიჩი), ფეოდალური საზოგადოების პოლიტიკური ორგანიზაციის თვალსაზრისით (ელიასი), ქართული ფეოდალიზმი ევროპულის იდენტურია.

ქართული და ევროპული ფეოდალიზმის მსგავსებას ასახულებს ქართული წარმოშობის ფრანგი ისტორიკოსი გიორგი შარაშიძე (1930-2010).<sup>1</sup> ნაშრომში „შესავალი ქართული ფეოდალიზმის კვლევაში“ (ფრან. 1971, ქართ. 2011) მან აჩვენა, რომ ქართული ფეოდალიზმი ტიპოლოგიურად მსგავსია რეჟიმის იმ ფორმისა, რომელიც ევროპაში, კერძოდ, „რაინსა და ლუარას შორის“ წარმოიშვა და განვითარდა: „ის ურთიერთობა, რომელიც აკავშირებდა „დამოკიდებულს“ თავის „პატრონთან“ ანდა ვასალს სიუზერენთან, დიდი ხნის განმავლობაში ითვლებოდა საქართველოში არსებული სოციალური ურთიერთდამოკიდებულების განმასხვავებელ ნიშნად... ვასალური წყობილების ეს სპეციფიკური ნიუანსი... პირდაპირ კავშირშია შუა საუკუნეების საფრანგეთთან.“<sup>2</sup> როგორია ფეოდალიზმის ბუნება? მისი „Geist“? ფეოდალიზმი, აღნიშნავს გიორგი შარაშიძე, „სოციალური და პოლიტიკური ორგანიზაციაა, დაფუძნებული

<sup>1</sup> გიორგი შარაშიძე, შესავალი ქართული ფეოდალიზმის კვლევაში, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2011. Charachidzé, Georges. 1971. *Introduction à l'étude de la féodalité géorgienne: le Code de Georges le Brillant*. Paris

<sup>2</sup> Ibid. 16

ლი ერთმანეთზე „გადაჯაჭვულ“ პირად (ვასალურ – ე.წ.) ურთიერთობებზე.“<sup>1</sup>

რაც შეეხება ქართული პოლიტიკური თეოლოგიის ევროპულ პოლიტიკურ თეოლოგიასთან მსგავსებას, ეს დასტურდება ქართული ისტორიოგრაფიული და ლიტერატურული ნარატივების ზედაპირული დაკვირვებითაც. ასე მაგალითად, „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“ თხზულების ავტორი გიორგი მერჩულე ბაგრატიონთა გვარის წარმომავლობას ბიბლიურ დავით მეფესთან აკავშირებს: „დავით წინასწარმეტყველისა და უფლისა მიერ ცხებულისა შვილად წოდებულო ხელმწიფეო! მეფობაი და სათნოებანიცა მისნი დაგიმკვიდრენ ქრისტემან ღმერთმან, რომელისთვისაც ამას მოგახსენებ: არა მოაკლდეს მთავრობაი შვილთა შენთა და ნათესავთა მათთა ქვეყანათა ამათ უკუნისამდე ჟამთა, არამედ იყვნენ იგინი მტკიცედ უფროისა კლდეთა მყართა და მათთა საუკუნეთა და დიდებულ იყვნენ უკუნისამდე.“<sup>2</sup> გარდა სამეფო ხელისუფლების ღვთაებრივი წარმომავლობისა, რომელიც პრაქტიკულად ქართულ ფეოდალიზმში ევროპულ გაგებას ემთხვევა, ევროპულ და ქართულ ფეოდალიზმს „ცოდვით დაცემის“ ქრისტიანულ კონცეპტებზე დაფუძნებული ისტორიის ფილოსოფიაც აკავშირებს.

ქრისტიანული რელიგიის ზეგავლენით შექმნილი ისტორიის ფილოსოფია კაცობრიობის ისტორიას წარმოგვისახავს, როგორც ადამიანის ცოდვით დაცემის პროდუქტს,

<sup>1</sup> Ibid . 13

<sup>2</sup> გიორგი მერჩულე, გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება, თავი XI. (ძველი ქართული მოთხრობა, V-XII საუკუნეები, შეადგინა, წინასიტყვაობა დაურთო და რედაქცია გაუკეთა რევაზ თვარაძემ, 1979, 207)

ყველა პრობლემა, რომელიც კონკრეტულ საზოგადოებებს აქვთ, ამ წარმოდგენის თანახმად, ადამის პირველი ცოდვის პროდუქტია. ევროპული ფეოდალიზმის როგორც პოლიტიკური და სოციალური სისტემის ორი ნიშანი: (1) სამეფო ხელისუფლების ღვთაებრივი წარმომავლობის იდეა, (2) ისტორია, როგორც ცოდვით დაცემის ისტორია, ქართულ პოეტურ ნარატივებს XIX საუკუნემდე გასდევს. ამ ნარატივის ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენელი დ. გურამიშვილი (1705-1792) და გ. ორბელიანი არიან (1804-1883).

დ. გურამიშვილი „ქართლის ჭირს“ წარმოგვიდგენს, როგორც საერთო საკაცობრიო პრობლემის ნაწილს. ქართლ-კახეთის აოხრება სპარსელებისა და ჩრდილოეთ კავკასიელების მიერ, ისევე როგორც ქართველთა დაპირისპირება („კახელების აღმა ხნული ქართლელებმა დაღმა ფარცხეს“) ადამის ცოდვის ისტორიაში გამოვლინების ერთი შემთხვევაა. გურამიშვილი არსად საუბრობს „ეროვნულ ტკივილზე“, მისთვის ეს კონცეპტი უცნობია, ტრაგედიისა და გასაჭირის ამხსნელ კატეგორიად „შეცოდებას“ (ცოდვით დაცემას) იყენებს.

„მათ ღმერთსა სცოდეს, ღმერთმან მათ პასუხი  
უყო ცოდვისა;

ცა რისხვით შუა განიპის, ქვეყანა შეიძროდისა;  
ვენახთ უწვიმის სეტყვანი, მზგავსი ნახეთქი ლოდისა.  
მკალია დასცის ყანებსა, ქარი უქროლის ოდისა!  
მოუგის დიდი სიმყილი, შემუხრის ძალი პურისა;  
ალარვინ იყვის ღვინითა აღმავსებელი ჭურისა.  
შემცირდის ხართა ნახნავი, მოსწყდის ნაწველი ფურისა,  
ყვნის სასწაული, არ იყვის კაცი მიმგდები ყურისა ....  
ქორონიკონს ქრისტეს აქეთ ათას-შვიდას-ოც-და ერთსა  
ცოდვა მათი უმეტესად ესმა, მოეხსენა ღმერთსა;



აღმოსავლეთ მტერი აღძრა, მოუწოდა კვლა სამხრეთსა,  
ღმერთმან მტერსა მოუვლინოს, რაც ქართლს უყვეს,  
ან კახეთსა.“

ან კიდევ:

„ორთა მათ ჩემთა უფალთა ერთად ვუხსენე გვარია.  
თუმცა ძირთაგან შორს იყვნენ, შტოდ

ახლოს მონაგვარია:

ერთი დავითის ძედ თქმული, რომელმან ივნო ჯვარია,  
მეორე ვახტანგ მეექვსე, ქართველთა მეფედ მჯდარია.  
მას მორჩილებდნენ ქართველნი, ვით წესი იყო მონისა,  
უმისოდ ჭირად მიაჩნდათ ცხოვრება სიამოვნისა:  
მაგრამ კვლავ შესცდნენ მისი გზით, რა ცოდვის  
ბურმან მონისა.

ჩაცვივდნენ ცოდვის მორევთა, გზა ვერ სცნეს

მადლთა ფონისა.“

რასაც შედეგად მოჰყვა:

„გაუორგულდა სპა-ჯარი, ერი მიმცემი ხარკისა,  
ბავით პატივ სცეს, აჩვენეს გული მტყუვარი ზაკვისა  
უარყვეს მცნება უფლისა, ისმინეს თქმა ეშმაკისა,  
რაც თესეს, ბოლოს მოიმკეს თავიანთ ნამუშაკისა.“<sup>1</sup>

ორი უფალი: ზეციერი ქრისტე და მიწიერი მეფე ერთმანეთთან არის დაკავშირებული. მიწიერი მეფე ზეციერი მეფის ხელდასხმით ქმნის წესრიგს დედამიწაზე, მაგრამ მეფე ადამიანია და ადამის ცოდვის მემკვიდრეა.

მოსაზრებით, რომ ქართველთა უბედურება, ადამის, პირველი ადამიანის დაცემის შედეგია, დ. გურამიშვილი გვევლინება ქრისტიანულ-ფეოდალური პოლიტიკური თე-

1 დ. გურამიშვილი, დავითიანი, თხზულებათა სრული კრებული, სახელგამი, თბილისი, 1955, 49

ოლოგიის წარმომადგენლად, რომელსაც შემდგომ განსხვავებულ საფუძველზე დაყრდნობით გრიგოლ ორბელიანიც აგრძელებს.<sup>1</sup>

მ. ზანდუკელმა (1889-1968) შენიშნა გ. ორბელიანის შემოქმედებისა და პიროვნების ერთი თავისებურება: მ. ზანდუკელი წერდა: „გრიგოლ ორბელიანი, ერთი მხრით, პატრიოტია, ძველი საქართველოს დიდების მოტრფიალე, „სხვა საქართველოს“ ვერ დამნახველი, რომლისთვისაც „დიდება ივერიისა მასთან (ე.ი. ერეკლე მეფესთან) მარხია სამარეს“ და რომელიც თვალცრემლიანი შესცქერის დიდებულ წინაპართა აჩრდილებს... და, მეორე მხრით, რუსეთის ტახტის დიდი მოხელე... გულწრფელად გუნდრუკის მკმეველი რუსეთის იმპერატორის ნიკოლოზ I, ალექსანდრე II, დიდად შეჭმუხვნილი და შეშფოთებული რუსეთის ბედით.“<sup>2</sup> სინამდველეში, აღნიშნავს მ. ზანდუკელი, „ეს გარეგნულად მოწინააღმდეგე მოვლენები გრ. ორბელიანში ორგანულ მთლიანობაშია თავმოყრილი, ერთიერთმანეთთან შეგუებული და მორიგებული ერთი ძირითადი იდეის გარშემო ძველი ფეოდალური საქართველოს ფენიქსებრ აღდგენის გარშემო. აქ წინააღმდეგობა კი არ არის, ან გაბზარულ-გაორებულ პიროვნებასთან კი არა გვაქვს საქმე, არამედ მთლიანი, მონოლითური პიროვნება დგას ჩვენს წინაშე.“<sup>3</sup>

<sup>1</sup> ცხადია, გრიგოლ ორბელიანი არ იცნობდა დ. გურამიშვილის შემოქმედებას, მაგრამ გ. ორბელიანის პოლიტიკური იდეები დისკურსულად გურამიშვილს მისდევს

<sup>2</sup> გრიგოლ ორბელიანი, ლექსები, მიხ. ზანდუკელის რედაქციით, შენიშვნებითა და კრიტიკული წერილით, მეხუთე გამოცემა, სახელმწიფო გამომცემლობა, ტფილისი, 1935, 9

<sup>3</sup> გრიგოლ ორბელიანი, ლექსები, მიხ. ზანდუკელის რედაქციით, შენიშვნებითა და კრიტიკული წერილით, მეხუთე გამოცემა, სახელმწიფო გამომცემლობა, ტფილისი, 1935, 10



ეს „ერთიანობა“ გულისხმობს ხელისუფლების წარმომავლობისა და ბუნების ქრისტიანულ-ფეოდალურ გაგებას, რომლის თანახმადაც მეფე მირონცხებული ხელისუფალია, მისი ლეგიტიმაცია ხალხისგან კი არ არის, არამედ ღვთისგან, ინსტიტუციურად კი ეკლესიისაგან. ამიტომ გ. ორბელიანისთვის თითქოს გულდასაწყვეტი უნდა იყოს, რომ ბაგრატიონები აღარ არიან მეფეები, მათ აღარ უპყრიათ სკიპტრა და აღარ არიან „თარჯ-თომრიან ჯილოიანნი“-ები (დ. გურამიშვილის ეპითეტია), მაგრამ მთავარი მაინც არის არა ის, რომ ბაგრატიონები აღარ მეფობენ, არამედ მთავარია, რომ მმართველობის პრინციპი – მონარქია, რომელსაც ახლა რომანოვები წარმოადგენენ და რომანოვები ახორცილებენ – მართვის ღვთაებრივი პრინციპი შენარჩუნებულია. ამ პრინციპზე დამყარებული მმართველობა-მონარქია-საქართველოს ძველ დიდებას დაუბრუნებს:

„ხელმწიფევე ჩვენო,  
ძლიერო, ბრძენო,  
ნიკოლოზ დიდო სულგრძელებითა,  
მხედარნი შენნი,  
ერთგულნი, მხნენი,  
ვსვამთ შენს სადღეგრძოს მონინებითა!  
გულნი ივერთა,  
გვაქვს მსხვერპლად მზადა,  
შენდა შესაფერ შესანიშნავად,  
ტაძარი შენი  
სდგას გულსა ჩვენსა,  
მოვედ მშვიდობის ჩვენდა სასმევად.  
ძველი ივერი,  
შენი ივერი  
შენდა მოჰმართავს თვალსა და გულსა,

შენგან მოელის,  
რომ ლამპარს სწავლის  
კვალად აღუნთებ ძველად გამქრალსა!  
შენგან მოელის ვით გაზაფხულსა  
ყვავილი მზისგან აღმოცენასა!  
განახლებული,  
განათლებული,  
ფენიქსებრ იწყებს აღმაფრენასა!  
მტრისა მძლეველსა,  
ჩვენს მფარველსა,  
მარჯვენას შენსა განავრცობ ჩვენზე,  
ახლის ცხოვრებით  
ავყვავილდებით,  
ვითარცა მდელი მზის შარავანდზე!  
მტერი შეძრწუნდეს,  
რაც მოახლოვდეს  
მხნეობით დაცულს შენსა სამზღვარსა!  
თამარის დღენი,  
დიდების დღენი,  
შენ მოუვლინე შენსა ივერსა!..  
ღმერთო, გვისმინე,  
მეფეს მოჰფინე  
ძლევა, კურთხევა, მაღლი ზეციერ,  
ჩვენდა დიდებად,  
ბედნიერებად  
მეფე გვიცოცხლე მრავალ ჟამიერ!“<sup>1</sup>

საქართველო, გრიგოლ ორბელიანის თანახმად, სწორედ მირონცხებული რომანოვების მმართველობის წყალობით

<sup>1</sup> გრ. ორბელიანი, ლექსები, რედ. ვახტანგ კოტეტიშვილი, ტფლისი 1928, 115-116

ღვეთებრივ, ღვეთითდადგენილ სოციალურ წესრიგშია მოქცეული, ის, ვინც მას წინ აღუდგება, ღვეთაებრივი წესრიგის, შესაბამისად კი, ტრადიციის წინააღმდეგია.

**ილია ჭავჭავაძე: ისტორიის და ხელისუფლების ფეოდალური კონცეფციის დეკონსტრუქცია: პარადიგმის შეცვლა**

კულტურული პარადიგმის ცვლილება XIX საუკუნეში ილია ჭავჭავაძის სახელს უკავშირდება და, პირველ რიგში, ეს ცვლილება გულისხმობს ხელისუფლების ბუნებისა და წარმომავლობის სრულებით ახლებურ, ჩვენი კულტურისათვის აქამდე უცნობ, გააზრებას; „რელიგიური საზოგადოების,“ „სამოქალაქო საზოგადოებად/ერად“ ტრანსფორმაციისათვის აუცილებელი კონცეპტების გამოგონებას, ანუ ნაციონალიზმის თეორიულ გაფორმებას. აღსანიშნავია ი. ჭავჭავაძის მიერ ტრანსფორმატორულ აქტივობაში ფილოლოგიის სოციალური ფუნქციის გააზრება. ერთი მხრივ, ფილოლოგიის ამოცანების გადააზრება (რაც მკაფიოდ თეორეტიზებული არ არის, მაგრამ იმპლიციტურად მის სტატიაში „ორიოდე სიტყვა თავად რევაზ შალვას ძე ერისთავის კოზლოვიდამ „შემლილის“ თარგმანზედ“ არის მოცემული), ხოლო, მეორე მხრივ, ხელისუფლების წარმომავლობისა და ლეგიტიმაციის ახლებური გაგება („ძველი საქართველოს ეკონომიკური წყობის შესახებ“), პრაქტიკულად ევროპული „რეფორმაციის“ ფუნქციურ ეკვივალენტს წარმოაგენს ჩვენი კულტურისათვის. ამიტომ ილია კიდევაც არის „ქართველი ლუთერი,“ „ქართველი პროტესტანტი,“ ადამიანი, რომელმაც ქართული კულტურა სხვა ფანჯარაში გაახედა.

განმანათლებლობის შემდგომი ეპოქა, ნაციონალიზმის იდეოლოგია, ფილოლოგიას სრულებით ახალი ამოცანების წინაშე აყენებს. ნაციონალიზმის ეპოქაში ფილოლოგია

და ფილოლოგობა არ არის მხოლოდ ტექსტის კომენტარი, ნაბეჭდი ტექსტის „ცარიელი ველების შევსება“<sup>1</sup> და ტექსტების შეგროვება, ხოლო მწერალი და მწერლობა „მაღალი შტილით“ უბრალოდ „ამბის“ მთხრობელი. ფილოლოგი და მწერალი, ფილოლოგია და მწერლობა ერთ ეროვნულ ინტერესსა და დაქვემდებარებული: გადაარჩიოს, დაახარისხოს, შეაფასოს ესა თუ ის ნაწარმოები ერთი პოზიციიდან: რამდენად მნიშვნელოვანია ეს ნაწარმოები ერისთვის და რას მოუტანს ის ერს, მის სხეულს. ნაციის სხეულზე ზრუნვა (ბიოპოლიტიკა და ეკონომიკური პოლიტიკა: „ერის წყლული მაჩნდეს წყლულად..“ „ოთარანთ ქვრივი“-ხუთი ქისის ეკონომიკა, „ძველი საქართველოს ეკონომიკური წყობის შესახებ“) ფილოლოგიას და მწერლობას ერთ ამოცნას უსახავს მიზნად: რაც შეიძლება ღრმად შეაღწიოს სოციალურ ქსოვილში, შევიდეს ყველაზე „ბნელ,“ „გაუნათ(ლ)ებელ“ ტერიტორიებში, რათა თითოეული ადამიანი „დიდი სხეულის“-ერის- მსახურებას დაუქვემდებაროს („ყოველ დღესა შენს თავს ჰკითხე, აბა დღეს მე ვის რა ვარგე“). ამისათვის ენა უნდა „გამარტივდეს“, „გახალხურდეს“, რათა ის ნებისმიერი ადამიანისათვის ადვილად ასათვისებელი გახდეს (ანბანის რეფორმა). ამ ენით კი ერთიანი ნაციონალური სხეულისადმი კუთვნილების შეგნება და მეხსიერება უნდა კონსტრუირდეს („ოსმალის საქართველო“). აქედან ფილოლოგს და მწერალს გარკვეული მისია აკისრია: მწერალი „ამბის“ მთხრობელიდან, ნაციის ზნეობრივ ზედამხედველად გადაიქცევა; მისი მეხსიერების კონსტრუქტორი ხდება; მწერლობა და ფილოლოგია – ერის ცენტრში საგუშაგო კომპლექსური პანოპტიკონიად- აღიმართება.

<sup>1</sup> ფილოლოგიის ამოცანების შესახებ, ჰანს ულრიხ გუმრეხტის „ფილოლოგიის ძალა“, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2016

ფეოდალური მემკვიდრეობა ნაციონალიზმის ეპოქაში როდი ქრება. პირიქით, ის „გადაინერება“, ნაციონალური ისტორიის ინტეგრალურ შემადგენლად იქცევა. ხდება ფეოდალური მემკვიდრეობის ნაციონალისტური მითვისება (ფეოდალური ისტორიის ეროვნულ ისტორიად წარმოდგენა) და ამ პროცესში არალიტერატურული ტექსტი ლიტერატურად გადაიქცევა: ჰაგიოგრაფიული ნაწარმოები მხატვრული ლიტერატურის, (fiction) „გამონაგონის“ სემანტიკას შეიძენს. ნაციონალიზმი მას ნაციონალურ ლიტერატურად გადააქცევს. არა მხოლოდ ფილოლოგია, არამედ ისტორიაც იცვლის თავის დანიშნულებას, რადგან ისტორიის სუბიექტს განმანათლებლობისა და ნაციონალიზმის იდეოლოგიის თანახმად, უფლებამოსილი ინდივიდების ერთობლიობას – ხალხი – წარმოადგენს. ი. ჭავჭავაძე ამ აზრს ასე გამოხატავს: „ჩვენ ვამბობთ მარტო იმისთანა ფაქტების თაობაზე, რომელშიც ერთობ ხალხი იჩენს თავის-თავსა, თავის თვისებასა, თავის მონაწილეობასა ისტორიაში. ერთი სიტყვით, ჩვენი შიდა ცხოვრების ისტორია ჯერ ფარდაუხდელია და უცნობი ჩვენგან. ჩვენი „ქართლის ცხოვრება“ ხალხის ისტორია კი არ არის, მეფეთა ისტორიაა, და ხალხი კი, როგორც მოქმედი პირი ისტორიისა, ჩრდილშია მიყენებული.“<sup>1</sup> სწორედ ამ ფრაზით ი. ჭავჭავაძე შორდება ფეოდალურ ისტორიას. აქ სიტყვები „მონაწილეობა“ და „ხალხი“ შემთხვევითი არ არის, რადგან ერის ისტორია ყველა ინდივიდის (ხალხის) მონაწილეობით იქმნება, ეს სიტყვა დემოკრატიისათვის ცენტრალურია. ისტორია არ არის მეფეთა ისტორია, ისტორია – ეს ხალხის ისტორიაა, საიდანაც ერთი დასკვნა გამოდის: ხელისუფლების ლეგიტიმაციის წყარო არის ხალხი და არა ეკლესია.

<sup>1</sup> ილია ჭავჭავაძე, ძველი საქართველოს ეკონომიკური წყობის შესახებ, 1880, თხზულებათა ათტომეული, ტომი IV, 175

მეფე „რჩეულია ამ სიტყვის ორმაგი სემანტიკით: ის ოდესღაც ხალხმა „აირჩია“ და და ამავე დროს თავის ხალხში „გამორჩეულიც“ არის. ამ აზრით, სამეფო ხელისუფლება, მეფე არის ხალხის რეპრეზენტატორი, ილია ამ მოსაზრებას ალბათ არ უგულვებელყოფდა. მაგრამ ილია ცდილობს შეცვალოს „რჩეულობის“ ეს კონცეფცია და რეპრეზენტაციის ფუნქცია მეფეს კი არ დააკისროს, არამედ ხალხს, როგორც ისტორიის შემოქმედს, ისტორიის სუბიექტს, სადაც მეფე არ არის ღვთაებრივი ნების გამტარებელი, არამედ ხალხის ნების მორჩილი. ასეთი მეფე პრაქტიკულად პარლამენტია, რომელსაც მოსავს არა ღვთაებრივი, არამედ ხალხის ნების შარავანდედი. მაგრამ ილიას არ შეუძლია ფეოდალური ისტორიის სრული „გადაგდება“, რადგან ქართველებს ჯერ კიდევ არ აქვთ „სამოქალაქო ისტორია“, რადგან საქართველოს არ გაუვლია განმანათლებლობისა და ფრანგული რევოლუციების მსგავსი კატაკლიზმები, რადგან საქართველოს არ ყავს „სამოქალაქო გმირები“, „გავრომი“ ჯერ არ დაბადებულა, ამიტომ ერთადერთი გამოსავალი არის ფეოდალური მემკვიდრეობის ახლებური გადააზრება, მისი გადანერა, მაგრამ არა სრული ელიმინაცია. ამიტომაც XIX საუკუნის ქართულ ნაციონალიზმს ფეოდალიზმის ჩრდილი ეცემა: ფეოდალური ისტორია, რომლის ცენტრში მბრუნებული მეფე დგას, ნაციონალურ ისტორიად, ანუ „ხალხის/ერის ისტორიად“ სუბლიმირდება. ი. ჭავჭავაძე ფეოდალურ ისტორიას ნაციონალისტურ ისტორიად გარდაქმნის.<sup>1</sup>

<sup>1</sup> ფეოდალური ისტორიის განაცხადების საილუსტრაციოდ „ეროვნული ლიტერატურის“ ქართული კონცეპტი შეიძლება გამოდგეს. ნაციონალიზმის პოზიციიდან დაწერილი ქართული ლიტერატურის ისტორია არსობრივად არამხატვრულ ლიტერატურას, მაგალითად, ჰაგიოგრაფიას მხატვრული ლიტერატურის ჟანრად აცხადებს.

ხალხის/ერის ისტორია, ყველა ადამიანის ისტორიაში მონაწილეობით იქმნება და ასე შექმნილი ისტორიის ათვისება ცალკეულ ინდივიდს დიდი ერთობის ორგანულ ნაწილად აქცევს. ინდივიდს ერთიანი ნაციონალური სხეულისადმი კუთვნილების განცდას კი ყველაზე მეტად ერთიანი ისტორიის მეხსიერება აძლევს. საერთო ისტორიული მეხსიერება თითოეული ინდივიდის მონაწილეობით უნდა შეიქმნას, ხოლო შემდეგ ეს მეხსიერება კვლავ ხალხში უნდა დაბრუნდეს.

ამიტომ საერთო-ეროვნული მეხსიერების კონცეპტი ი. ჭავჭავაძის ყველა სხვა კონცეპტს იმორჩილებს. „ყოველი ერი თავისი ისტორიით სულდგმულობს. იგია საგანძე, საცა ერი პოულობს თავისი სულის ღონეს, თავისი სულის ბგერას, თვის ზნეობითს და გონებითს აღმატებულებას, თვის ვინაობას, თვის თვისებას. ჩვენის ფიქრით, არც ერთობა ენისა, არც ერთობა სარწმუნოებისა და გვარტომობისა ისე არ შეამსჭვალეხს ხოლმე ადამიანს ერთმანეთთან, როგორც ერთობა ისტორიისა. ერი, ერთის ღვანლის დამდები, ერთს ისტორიულ უღელში ბმული, ერთად მეგრძოლი, ერთსა და იმავე ჭირსა და ლხინში გამოტარებული – ერთსულობით, ერთგულობით, ძლიერია. თუნდ დროთა ბრუნვას ერი განეყოს, დაერღვიოს, – მაგრამ მაინც რღვეულთა შორის იდუმალი შემსჭვალეხა, იდუმალი მიმზიდველობა იმოდენად სუფევს, რომ სამყოფია ხოლმე ერთი რაიმე შემთხვევა, რათა იფეთქოს, იჭექოს დაძინებულმა ისტორიამ და ერთსულობამ, ერთგულობამ თვისი ძლიერი ფრთა გაშალოს. ამ დღეში ვართ დღეს ჩვენა და ოსმალეთის საქართველო.“<sup>1</sup>

საინტერესოა, რომ ილია საუბრობს ერთიან ეროვნულ მეხსიერებაზე, ერთიან ისტორიაზე, მაგრამ იმ მომენტში,

როცა ილია ამ სტრიქონებს წერს, არც ერი (ერი-სახელმწიფოს აზრით) არსებობს, არც ერთიანი ნაციონალური მეხსიერება და ერთიანი ისტორია. ილია დემიურგივით ერთსა და იმავე დროს საუბრობს მათზე და ამ საუბრით ქმნის ერისა და ერთიანი ეროვნული მეხსიერების რეალობას. სულაც არ არის შემთხვევით მისი გაოცება, როცა სამეგრელოში ჩასული ილია ამბობს: „სამეგრელოში ჩავედი, საქართველო კი ვნახეო.“<sup>1</sup>

არც „ენას,“ არც „სარწმუნეობას,“ არც „მამულს“ თავისთავად დიდი მნიშვნელობა არ ენიჭება: ენა საერთო ისტორიული მეხსიერების გარეშე უბრალოდ კომუნიკაციის ინსტრუმენტია, ტერიტორია მხოლოდ გეოგრაფიული სივრცე, ხოლო სარწმუნოება არადაამაჯერებელი კრედო. ისინი მნიშვნელობენ მხოლოდ საერთო ეროვნული/საერთო-სახალხო ისტორიის მეხსიერების პირობებში. ენაც, სარწმუნეობაც მხოლოდ ერთიანი ნაციონალური ნარატივის შექმნის, მეხსიერების შენახვის და გადაცემის კონტექსტშია მნიშვნელოვანი.

ჯერ კიდევ „ყვარლის მთების“ (1857) პერიოდის ილიამ უკვე იცის მეხსიერების კონცეპტის მნიშვნელობა. ყვარლის მთა მხოლოდ გეოლოგიური წარმონაქმნი და ლანდშაფტის ნაწილი კი არ არის, არამედ ნარატივებით დაფარული სამშობლოს მეტონიმიური წარმოდგენაა. ენამ ერთიანი ისტორიის მეხსიერების მედიაცია უნდა მოახდინოს; მამული წარმოსახვით რუკაში უნად გაფორმდეს, სარწმუნეობამ იდენტობის უზრუნველყოფის ფუნქცია უნდა შეასრულოს. აქედან ცხადია, რომ ეს სამი ელემენტი: მამული, ენა სარწმუნოება მხოლოდ ერთიანი ისტორიის მეხსიერების კონტექსტში იძენს მნიშვნელობას:

<sup>1</sup> ილია ჭავჭავაძე, ოსმალის საქართველო, „ივერია“ 1877 №9, 1-3

<sup>1</sup> ს. ცაიშვილი, ლიტერატურული ნარკვევები, თბილისი, 1962, 213



„სამი ღვთაებრივი საუნჯე დაგვრჩა ჩვენ მამა-პაპათაგან: მამული, ენა, სარწმუნოება. თუ ამათ არ ვუპატრონეთ, რა კაცები ვიქნებით, რა პასუხს გავსცემთ შთამომავლობას? სხვების არ ვიცით და ჩვენ კი მშობელ მამასაც არ დავუთმობდით ჩვენ მშობლიურ ენის მიწასთან გასწორებას. ენა საღმრთო რამ არის, საზოგადო საკუთრებაა, მაგას კაცი ცოდვილის ხელით არ უნდა შეეხოს“<sup>1</sup>

„ხალხის“ განმანათლებლური კონცეპტის შემოტანამ სხვა ეფექტებიც მოიტანა. გაჩნდა ახალი ადამიანის – ეკონომიკური ადამიანის – გაგება. პირველად ქართულ კულტურაში სწორედ ილია – ერის, ხალხის, ეროვნული მეხსიერების, ისტორიის ცნების გავლით – გზას უხსნის **Homo economicus** – ეკონომიკურ ადამიანს. სწორედ ეს ცნება გააღებს კარებს ახალი პერსონაჟისათვის, რომელიც მასთან ოთარაანთ ქვრივია, ხოლო სხვა მწერალთან – ბახვა ფულავა ან სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილი. ეს კონცეპტი თვით მწერალსაც მიემართება: მწერალი თავისი ნაწერით, თავისი „საქონლით“ ბაზარზე გამოჩნდება და თავისი შრომის პროდუქტის ეკონომიკური ეფექტისათვის თვალთვალი მოუწევს. ლიტერატურული ქმნილება და თვით მწერალი წაგება – მოგების ეკონომიკურ კატეგორიად იქცევა. ამიტომ გასაგებია, თუ რატომ არ არის ილიასათვის საქართველო „ტაძარი“ ანუ კონტემპლაციის, ხოტბის შესხმის, კვაზირელიგიური დრამატურგიის ადგილი, არამედ, უპირველეს ყოვლისა, „სახელოსნო“, რაც თანამედროვე ენაზე ნიშნავს ტექნოლოგიებს. ილია ცდილობს ლიტერატურაზე ორიენტირებული ერის (ლიტერატურაცენტრისტული კულტურის) „ტექნოლოგიურ-ტექნიკურ ერად“ (ხელოსნო-

ბის და ვაჭრობის მცონდე) ტრანსფორმაციას: „ტყულიადკი არა სთქვა ტურგენევმა, რომ ეს ქვეყანა ტაძარი კი არ არის, საცა კაცი უნდა ჰლოცულობდეს, არამედ სახელოსნოა, საცა უნდა ირჯებოდეს და ჰმუშაობდეს“.<sup>1</sup>

როგორც აღვნიშნეთ, ი. ჭავჭავაძე ლაპარაკობს „მოქალაქეზე“ და „ერზე“, მაგრამ არც ერთი და არც მეორე როგორც რუსეთის იმპერიაში, ასევე საქართველოში ჯერ რეალურად დაბადებული არ არის. ეს ცნებები მხოლოდ აზრობრივად, ინტელიგიბელურად (ლოგოსში) არსებობს, ის მხოლოდ ევროპული იდეური ინტერვენციაა და მთელი ტრაგედია ილიას მოღვაწეობისა სწორედ ეს არის: მას ესმის ეს ევროპული ცნებები: „მოქალაქე“, „ეკონომიკური ადამიანი“, „ერის“ ევროპული კონცეპტები, მაგრამ საზოგადოებას, მის წევრს „ქვემეგრდომს“, რომელიც ჯერ კიდევ ფეოდალურ სოციალურ სტრუქტურაშია მოქცეული, ეს არ ესმის. ფრაზაში „ამდენ ხალხში კაცი არ არის“ – „კაცი“ არა მხოლოდ ცალკე აღებულ ინდივიდს აღნიშნავს, არამედ სოციალურ ფენასაც, რომელსაც ილია მიმართავს. მაგრამ არც „მოქალაქე“, არც „ეკონომიკური ადამიანი“, არც „ნაცია“ ჯერ არ არსებობს. ის მხოლოდ ილიას ლოგოსშია. აქედან გასაგებია, რას უჩივის ილია, როცა წერს: „მაგრამ, მამულო, ჩემი ტანჯვა მხოლოდ ის არი, /ის არის მხოლოდ სავალალო და სამწუხარო, /რომ შენს მიწაზე, ამდენ ხალხ-

<sup>1</sup> ილია ჭავჭავაძე, აზია წინათ და ეხლა, 1889. იხ. ილია ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად. პ. ინგოროყვას რედაქტორობით, ტომი 9. გვ.114. ივან ტურგენივის პერსონაჟი ბაზაროვი (1818-1883) რომანიდან „მამები და შვილები“ (IX თავი) ამბობს: „Природа не храм, а мастерская, и человек в ней работник“. სიტყვა „Природа“ ილიამ თარგმნა როგორც „ქვეყანა“ და შესაბამისად, „ხელოსნობის“ დაუფლება კონკრეტულად ქართული კულტურის ერთ-ერთ უმთავრეს გამოწვევად გამოაცხადა

<sup>1</sup> ი. ჭავჭავაძე, ორიოდ სიტყვა თავად რევაზ შალვას ძის ერისთავის კაზლოვის მიერ „შემლილი“-ს თარგმანზედა



ში კაცი არ არი, / რომ ფიქრი ვანდო, გრძნობა ჩემი გავუზი-  
არო!“ (1861).

ი. ჭავჭავაძემ გზა გაუხსნა განმანათლებლურ დის-  
კურსს და საზოგადოებას ამ დისკურსზე აღმოცენებული  
პრაქტიკებით ცხოვრებისაკენ მოუწოდა, მაგრამ ისე რო-  
გორც მ. ლუთერს ვერ წარმოედგინა, თუ რა „გვერდითი  
ეფექტი,“ „გაუთვალისწინებელი შედეგი“ მოჰყვებოდა მის  
საქმიანობას, ასევე ილიასაც არ შეეძლო დაენახა განმა-  
ნათლებლური იდეების შედეგები არა მხოლოდ ქვეყნისათ-  
ვის, არამედ პირადად მისთვისაც.

განმანათლებლობა ამბივალენტობით ხასიათდება. ეს  
ყველაზე მკაფიოდ მის მიერ ბიძგმიცემულ პოლიტიკურ  
ფენომენებში ვლინდება: გერმანული ნაციზმი და რუსული  
კომუნიზმი, ისევე როგორც დასავლური წარმომადგენლო-  
ბითი დემოკრატია, განმანათლებლობის პროდუქტებია.  
მართალია, ი. ჭავჭავაძემ თავისი კონცეპტებით („ხალხი,  
„ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნეს“, „ერთობა ისტორიისა,  
ანუ საერთო ეროვნული მეხსიერება, როგორც ნაციონა-  
ლური იდენტობის მთავარი უზრუნველმყოფი და ა.შ.) და  
საქმიანობით (საადგილმამულო ბანკი და ქართველთა შო-  
რის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება) ახალ  
ევროპულ განმანათლებლურ იდეებს გაუხსნა გზა ქართულ  
კულტურაში, მაგრამ ამავე განმანათლებლობამ ასევე კა-  
რები გაულო განმანათლებლობის სხვა პროდუქტს – სო-  
ციალ-დემოკრატიას, რომლის მიერ გასროლილმა ტყვიამ  
(გავრცელებული საზოგადოებრივი აზრის თანახმად) მას  
სიცოცხლე მოუსწრაფა. მაგრამ ილიას გიგანტურ ფიგურას  
ჩვენს XXI საუკუნეში ახალი ტრასფორმაცია ელოდებოდა:  
მისი ერთი ნაწილი ეკლესიამ „მიითვისა“(ილია მართალი),  
ხოლო მეორე ნაწილი ქართული ლიბერალიზმის ქვაკუთხე-  
დად მოგვევლინა.

თუ კულტურული პარადიგმის შეცვლაში ვიგულისხ-  
მებთ ტრადიციის რღვევას, ანუ „რელიგიური საზოგადო-  
ების“ „სამოქალაქო საზოგადოებაში“ გადასვლას („მოქა-  
ლაქე“ „ქვეშევრდომის“ ნაცვლად, ერთიანი ნაციონალური  
მეხსიერება, ნაცვლად ფეოდალური-მეფეების ისტორია-  
მეხსიერებისა) და ფეოდალური ისტორიის ნაციონალურ  
ისტორიად ტრანსფორმაციას, ავტონომიური ინდივიდის  
ერთობისაგან შემდგარ ეროვნულ სახელმწიფოს (ერი-სა-  
ხელმწიფოს), შეიძლება ვთქვათ, რომ ი. ჭავჭავაძე (ცხადია,  
თერგდალეულებთან ერთად) გვევლინება პიროვნებად,  
რომელმაც ქართული კულტურული პარადიგმა შემოატრი-  
ალა: თეორიულად გაიაზრა და ქართულ კულტურაში ნა-  
რტიულად გააფორმა განმანათლებლური იდეები და ამით  
ქართულ საზოგადოებას ახალი ჰორიზონტის დანახვის შე-  
საძლებლობა მისცა, რომელიც ჩვენს XXI საუკუნეში ისხამს  
ხორცს.

კულტურული პარადიგმის ცვლა/ტრადიციის წყვეტა აშ-  
კარად თვალშისაცემია არა მხოლოდ პოლიტიკურ თეოლო-  
გიაში, არამედ ქართული კულტურისათვის აქამდე უცნობ  
სიკვდილისადმი დამოკიდებულების გაჩენაში. სიკვდილი-  
სადმი ეს ახალი დამოკიდებულება ასევე განმანათლებლო-  
ბის პროდუქტია და აქაც ილიას ფიგურა განმსაზღვრელია.

### **სიკვდილისადმი დამოკიდებულების პარადიგმები ქართულ კულტურაში და მისი ცვლილება**

Vivere noluit, qui mori non vult „ვისაც სიკვდილი არ სურს,  
არ სურს სიცოცხლე“ – ამბობს სენეკა ლუცილიასადმი  
(XXX, 10) მიწერილ წერილში. სენეკა ხაზს უსვამს იმას, რომ  
სიკვდილი და სიცოცხლე ერთმანეთთან არის დაკავშირე-  
ბული. სიცოცხლე ხელოვნებაა, მაგრამ სიკვდილიც არის

ხელოვნება. ვისაც ერთი არ ძალუძს, არ ძალუძს მეორეც. ლათინური ენა ამ ხელოვნებებს ასე გამოთქვამს: **Ars morendi** – სიკვდილის ხელოვნება, **ars Vivendi** – სიცოცხლის ხელოვნება. სიკვდილისა და სიცოცხლის ხელოვნება განსწავლას ექვემდებარება და სიკვდილისადმი დამოკიდებულება კი სოციალურად დეტერმინირებულია. ყველა ადამიანი მოკვდავია, მაგრამ სიკვდილისადმი დამოკიდებულება, ერთი მხრივ, ჩვენი ადგილით, სოციალურ სივრცეში პოზიციით, ჩვენი სოციალური კუთვნილებით კონკრეტული კლასისა თუ სოციალური ფენისადმი, ჩვენი სოციალური ჰაბიტუსით არის განსაზღვრული, ხოლო მეორე მხრივ, ჩვენ დამოკიდებულებას სიკვდილისადმი განსაზღვრავს კონკრეტული ეპოქის იდეოლოგიები, ფილოსოფიები, გნებავთ, აზროვნების მოდელები, დიდი ნარატივები, რომლებიც გვიხსნიან თუ რა დანიშნულებისათვის მოვევლინეთ ქვეყნას და რა არის ადამიანის ცხოვრების საზრისი. გარდა ამისა, ყველა ეპოქას აქვს „იდეალური სიკვდილის“, „ნარმატებული სიკვდილის“ საკუთარი კონცეფცია. „აზროვნების მოდელების/იდეოლოგიების/დიდი ნარატივების“ და „სიცოცხლის საზრისების“ და „ნარმატებული სიკვდილის“ ცნებათა ურთიერთდაკავშირებით ჩვენ მივიღებთ სიკვდილისადმი დამოკიდებულების დიაქრონულ მიმდევრობას, რომელიც მკაფიოდ აჩვენებს, სად მოხდა სიკვდილისადმი დამოკიდებულების პარადგიმის შეცვლა ქართულ კულტურაში. ქვემოთ მოყვანილი „იდეალური ტიპის“ პრინციპზე აგებული ცხრილი<sup>1</sup> გარკვეულ განმარტებას მოითხოვს:

<sup>1</sup> ამ ცხრილის ყველა ელემენტის ანალიზს აქ თავს ავარიდებთ, რადგან განზრახული გვაქვს სიკვდილისადმი ქართულ კულტურაში არსებული დამოკიდებულების განხილვა სპეციალურ კვლევაში (ე. ჯგ.)

აზროვნების მოდელები/ იდეოლოგიები/ დიდი ნარატივები	პერსონაჟი	სიცოცხლის საზრისი// მთავარი მიზანი	„იდეალური/ ნარმატებული სიკვდილი“
ანტიკური ნარმატობა/ მითი (ყანრი: ეპოსი/ბალადა)	გმირი	მესიურებაში დარჩენა/ „ღირსეული სიცოცხლე“/დიდებისა და სახელის მოპოვება.	გმირული სიკვდილი/ სიკვდილი „ხმლით ხელში.“
ქრისტიანობა/ ჰაგიოგრაფია (მაგალითი და არა ისტორია. მაგალითი ისტორიის ნინააღმდეგ)	წმინდანი/წამებული/მონაშენი/ რაინდი (ქრისტეს მხედარი).	სულის ხსნა/ მიბაძვა ქრისტესი/ თვითდამცრობა.	სიკვდილი სინაწულში/ მოულოდნელი სიკვდილი არასასურველია, იდეალურია სიკვდილი, როცა მონანიებას ასწრებ.
ნაციონალიზმი (ყანრი: ისტორია/ რომანო/ლირიკა)	ეროვნული გმირი/მოქალაქე/ ხალხი (ყველა სოციალური ფენა შეადგენს „ხალხს“). ნარსულის ნაციონალისტური ნაკითხვა (ქრისტიანი წმინდანი იქცევა ეროვნულ გმირად: „წმიდა იგი ვისაც უღირსა სამშობლოსათვის თავის განიოვ.“// სინკრეტული/ ჰიბრიდული გმირი).	„ერის წყლული მაჩნდეს წყლულად“/ინდივიდი. „დიდი ხის ფოთოლი“. „საქართველო, შენ ვინ მოგცა შეილი დასაკარგავი“	ერისთვის თავგანწირვა/ გმირული სიკვდილი.

მარქსიზმი/ კომუნისმი I	რევოლუციონერი/ პროლეტარიატი, „ხალხი“ (წარმოადგენს მუშების, გლეხების და მათგან გამოსული ინტელიგენციის ერთობას).	მსოფლიოს „გადარჩენა“, მსოფლიო კომუნისტური რევოლუცია/ ნაციონალიზმის უარყოფა/კომუნისმიზმის იდეა შეუთავსებელია ნაციონალიზმთან – ნაციონალურ სამშობლოსთან.	„ხალხისთვის წამება“, გმირული სიკვდილი მსოფლიო პროლეტარიატისათვის.
მარქსიზმი/ კომუნისმი II	რევოლუციონერი/ პროლეტარიატი, „ხალხი“ (წარმოადგენს მუშების, გლეხების და მათგან გამოსული ინტელიგენციის ერთობას)//ჭიბრიდული გმირი: ნაციონალისტი, პატრიოტი კომუნისტი (კომუნისტებად ივარგებდნენ: „ბერი თევდორე“, „ხერხეულიძე ცხრა ძმა“ და ა.შ.).	საბჭოთა სამშობლოს დაცვა კომუნისმი არ გამოირჩევა სამშობლოს სიყვარულს/ კომუნისტური ნაციონალიზმი. უკუქცევა ნაციონალიზმში.	კომუნისტი, რომელიც საკუთარ ეროვნულ იდენტობას იცავს. თავდადება ერთდროულად კომუნისმიზმსა და სამშობლოსათვის.
მოდერნი/ ბოსტმოდერნი/ ინდივიდუალური ისტორია/„კანონები“ და არა მხოლოდ ერთი „კანონი“.	იდენტობის მაძიებელი არსება/ინდივიდი/„ბოდისტე/ სხეულის დაცვისათვის/ სრულყოფისათვის წამება“/ „კანონი“ თანასწორია.	წარმატება/იდენტობის მოპოვება/სხეულზე ზრუნვა/„ბოდისტის წამება“/ ადამიანის უფლებებისათვის წამება.	„გვიანი სიკვდილი“ „სიკვდილი. მაქსიმალურად ხანგრძლივი სიცოცხლე. ადამიანის უფლების დაცვისათვის ბრძოლაში“.

ანტიკური ეპოქის, ანტიკური თვითგაგების და ადამიანის ცხოვრების საზრისის მთავარი საკითხი სახელის მოპოვება და მესხიერებაში დარჩენაა. ბედისწერასთან მებრძოლი, „საიქიოში უმომავლო“ ანტიკური ეპოქის ადამიანის ცხოვრების უმთავრესი საზრისი არის ცოცხალთა „მესხიერებაში დარჩენა“, რაც სახელის მოხვეჭით მიიღწევა. იდეალური სიკვდილი ეს „ხმლით ხელში“ სიკვდილია, ღირსების დაცვისთვის თავის დადება, სიცოცხლის საზრისი სახელი მოხვეჭაა.<sup>1</sup> ეს მოდელი არ არის უცხო ქართული სინამდვილისთვის. ქართული ფოლკლორი აღსავსეა „ღირსებისათვის“, „სახელისათვის“ თავდადებულთა სახობტო პოეტური ნიმუშებით. ვაჟას „კაი ყმა“ (რომელიც აშკარად ხალხურ მოტივზეა) იდეალური, „წარმატებული სიკვდილის,“ შესაბამისად, სანიმუშო ცხოვრების – იდეალს გამოხატავს.

### კაი ყმა

(ხევსურულ ჰანგზე)

კარგ ყმად ვინა ვსთქვათ, ვაჟებო,  
ნათქვამი არა გვცხვენოდეს,  
მსმენლის გულს აბორგოვებდეს,  
არავის არა სწყენოდეს?  
ვინა, ვინ არი კაი ყმა,  
ვის ტანზე ხმალი ჰშვენოდეს?

<sup>1</sup> სიცოცხლის საზრისის ეს არაქრისტიანული გაგება (სახელი არა სააქაო თვალსაზრისით) რუსთაველთანაც არის მოცემული: „სჯობს სახელისა მოხვეჭა ყოველსა მოსახვეჭელსა“, ან კიდევ „სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა, სიკვდილი სახელოვანი.“ თუმცა ორივე ეს ციტატა არისტროკრატის ვაჭართა კლასთან დაპირისპირების გამომხატველიცაა: სახელი ფულის წინააღმდეგ, სახელი მომხვეჭელოებაში გატარებული ცხოვრების წინააღმდეგ

მიდით, იქ მიდით, სადაცა  
ხალხი ხალხზედა ჰღელავდეს:  
მტერი ჩვენ გვცემდეს, ჩვენ – მტერსა,  
მლები, ხანჯრები ელავდეს.

სისხლის ტბა მუხლებს სწვებოდეს,  
ცოცხლები მკვდრებსა სთელავდეს;  
ფარების დადგეს ჯღრდეები,  
თვალეი თვალეებს სწველავდეს,  
მოციქულობდენ ტყვიანი,  
შუბები შუბებს სწვერავდეს;  
ჭიაფრად მუზარადებსა  
სისხლის წვიმაი ჰფერავდეს;  
დაგელაობდეს სიკვდილი,  
სუდარაებსა ჰკერავდეს.

ვინც მიეგებოს მტერს წინა,  
წინ-წინ ვინც რისხვას ეტყოდეს,  
სახე-სისხლ-გადამდინარი  
ტკივილს არ გამოიტყოდეს,  
თავზარსა სცემდეს სიკვდილსა,  
ზედ ქორებულად ფრინავდეს,  
სიცხეში სიოდ დაჰბეროს,  
დაათბოს, როცა ჰყინავდეს.  
პირველად ომის დამწყები,  
ბრძოლის ველს ბოლოს სწირავდეს;  
სხვანი იყოფდენ ნადავლსა,  
ის ისევ მტრის წინ გრგვინავდეს;  
მიძღვნილსა საუფროსოსა  
ამხანაგებსვე სწირავდეს.

დარაჯად ედგას ლაშქარსა,  
როს ის ღრმა ძილით ხვრინავდეს.  
სწორს ფიქრს აძლევდეს თემ-სოფელს,  
ცდუნება არა სძირავდეს.

მტრის ჯავრის ედგას ლოგინი,  
მტრის ჯავრი საბნად ჰფარავდეს.  
იქ იდგეს ხმალ-ამონვდილი,  
საც ძალა აღმართს ჰკვალავდეს,  
დაბეჩავებულს სიმართლეს  
უსამართლობა სძალავდეს.  
სხვისა იუბნოს სახელი,  
თავის გარჯასა ჰმალავდეს.  
მზედ იდგეს ხევსურეთისა,  
უხვად შუქს ჩამოჰლალავდეს.  
სჯობ, მოკვდეს მშიერ-ტიტველი:  
კვდებოდეს, არა გმინავდეს;  
თავის სამარხად, სუდრადა,  
მარტო სახელსა სწირავდეს.

ვადღეგრძელებდეთ ცოცხალსა,  
მკვდრისა ვთქვათ შესანდობარი.  
წყლული სცნას დედის კოცნადა,  
თავის ლოგინად – სამარი,  
საკაცე – თავის ლურჯადა,  
ქვა \_ ლოდი – ნაბდად საფარი,  
ქალისა, რძლისა ქვითინი  
ეგონოს სიცილ-ხარხარი,  
დენა ცრემლისა – ხორხომა,  
ღრუბელთა გადმონაყარი.

სულეთს შავიდეს ხმლიანი  
ლალი ლალისა ცხენითა,  
წინ მიუძლოდეს არწივი  
ხმით მოყაშყაშე, ფრენითა.  
ქება უყვილონ გმირებმა,  
გადასრულებმა ჩვენითა.  
ერეკლემ ხელი მაჰხვიოს,  
დაისვას თავის გვერდითა,  
გამაეგებოს თამარი  
მცინარი, თავის ფეხითა.  
გახარებული უფალი  
კარგს ყმას ჯვარს სწერდეს ზენითა.  
ანგელოზები ხარობდენ,  
ალ-ქაჯნი იყვნენ წყენითა.

აი, ვინაა კაი ყმა,  
მოსაგონარი ქებითა!  
არა თქვენ, სადიაცენო,  
რო ძროხებივით სძლებითა;  
ღამე მაძღრები დასწვებით,  
დილით მშივრები სდგებითა;<sup>1</sup>

ანტიკურობის მთავარი იდეალი „ქებით მოსაგონარი“  
გმირია. გმირია ანტიკური წარმართობის მთავარი პერსონაჟი.

ქრისტიანობა რადიკალურად ცვლის სიცოცხლის საზრისის პრობლემატიკას. ქრისტიანობა ადამიანის ცხოვრების მთავარ საზრისს ხედავს „ქრისტეს მიბაძვაში“, აქ მთავარი

<sup>1</sup> ვაჟა-ფშაველა, კაი ყმა, ქართული კლასიკური მწერლობა, ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, 2011, ტ.9,15

ჟანრი ჰაგიოგრაფიაა, ხოლო მთავარი პერსონაჟი „წამებუ-  
ლი“, „მონამე.“ სიცოცხლის მთავარი დანიშნულება არა ამქ-  
ვეყნიური დიდების მოპოვება, არამედ ამქვეყნიურ საქმეთა  
საიქიოში დიდების მოსაპოვებლად წარმართვაა (ცხოვნება).  
წარმატებული, იდეალური სიკვდილი გულისხმობს არა მო-  
ულოდნელ სიკვდილს (ეს ძალზე არასასურველი სიკვდი-  
ლია), არამედ „მომზადებულ სიკვდილს“: იდეალურია ვითა-  
რება, როცა ქრისტიანი ასწრებს სიკვდილისათვის მზადე-  
ბას, ცოდვათა მონანიებას, მიტევების მიღებას, სხვათა და-  
რიგებას და მაგალითის – ნიმუშის ჩვენებას. ამიტომ ქრის-  
ტიანულ ნარატივში „წამებულს“ ხშირად განგების ჩარევით  
ეცნობება გარდაცვალების ზუსტი დრო. შესაბამისად, ის  
„ასწრებს“ მონანიებას, მოსწავლეების დარიგებას და საბო-  
ლოო განკარგულების გაცემას. ასეთ პერსონაჟს განასახი-  
ერებს გიორგი მთაწმინდელი, ექვთიმე ათონელი<sup>1</sup>, გრიგოლ  
ხანძთელი, ისევე როგორც ცხოვრების ჟანრის ყველა პერ-  
სონაჟი. გიორგი მთაწმინდელის ცხოვრების ავტორი მის  
გარდაცვალებას, მის დამოკიდებულებას სიკვდილთან აღ-  
წერს, როგორც რაინდის, გემის კაპიტნის, გმირის ქცევას,  
მაგრამ ასევე ვაჭრის, საუნჯის დამგროვებლის ქმედებას:  
„ვითარცა ჯელოვანმან მენავეთ-მოძღუარმან, რომელსა  
მრავალნი უფსკრულნი განევლნიან და მრავალთა ღელვა-  
თა და ბრძოლა ეცის, და ნავთ-საყუდელისა მიმართ მხიარუ-  
ლი შესლვად განემზადის, გინა, ვითარცა მკედარი ძღვეა-  
შემოსილი, რომელსა-იგი ურიცხუნი სპარაზენნი მოესრ-

<sup>1</sup> ექვთიმე ათონელი ვირიდან ჩამოვარდა და დაიღუპა, მაგრამ რო-  
გორც ეს „ცხოვრების“ ჟანრისთვის არის დამახასიათებელი, ის  
სიკვდილის წინ ასწრებს ბოლო დარიგებების მიცემას თავისი მო-  
წაფეებისათვის



ნიან და მრავალნი ძლევანი და ბრძოლანი ექმნიან, და ყოველსავე შინა განმარჯვებული მივალნ მეფისა თვისისა, ანუ თუ ვაჭარსა რომელსა მცირითა რაიმე საფასითა ურიცხვ სიმდიდრე შეეკრიბის და საუნჯისა მიმართ თვისისა მხიარული მიისწრაფინ, გინათუ ვითარცა მუშაკი ურნატ-სავსე ნაყოფთა ზედა თვსთა მხიარულ არიან“,<sup>1</sup> მაგრამ ყოველივე ეს მხოლოდ მაშინ იძენს საზრისს, თუ ის შეიცავს იმქვეყნიურ რეალობაში გადასვლის განზრახვას და „მხედარის, ვაჭარის, მუშაკის ურნატ-სავსეს“ აქტივობა საიქიოს (ღმერთს) ეძღვნება: „ეგრეთვე წმიდაა ესე ჟამსა მიცვალებისა თვისისა ამათ ყოველთავე ზემონწერილთა მიემსგავსა, რამეთუ დაღაცათუ იყო რაა ჯორცთა შინა, ჯორცთაგან მიცვალებულ იყო განგებითა. ხოლო ან ესრეთ იყო სრულიადი განსლვაჲ მისი ჯორცთაგან. რამეთუ განირთხნა წმიდანი იგი ფერჴნი მისნი წესიერად, რომელთა ღმრთის-მსახურებისათჳს მრავალი შრომაჲ თავს-იდვეს, და ჴელნი სანატრელნი, მწერალნი საღმრთოთა მოძღურებათანი, უმანკოსა მას და უბინოსა გულსა ზედა თვსსა დაიჯუარედნა, და მცირედ ოფლნი გარდაეცნეს, რომელნი-იგი ღმრთის-მსახურებისათჳს მრავალ-გზის დასთხინა, ესრეთ ჯუარი პირსა დაიბეჭდა, რომელი-იგი მარადის სასოდ და ზღუდედ აქუნდა. და კუალად დადვა წმიდაჲ იგი მარჯ[უენ]ე თვსსავე ადგილსა და თქუა სიტყუაჲ დასასრულისაჲ, რომელი-იგი, ვითარცა შარავანდედი მზისაჲ, წარიძლუნა უფლისა მიმართ, ვითარმედ: „ჴელთა შენთა, უფალო, შევჴვედრებ სულსა ჩემსა!“ და ესრეთ, დიდად რაიმე აღმოიფშვნა, ერთგზის ხოლო, და მისცა წმიდაჲ

<sup>1</sup> იხ.გიორგი მცირე, ცხოვრება გიორგი მთაწმინდელისა, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ივანე ლოლაშვილმა, თბილისი, 1994, 245-247

სული თვისი წმიდათა ანგელოზთა“ – აღნიშნავს ცხოვრების ავტორი გიორგი მცირე.<sup>1</sup>

გიორგი მერჩულის პერსონაჟისათვის სიკვდილი შოკის-მომგვრელი მოულოდნელობა როდია. უფრო მეტიც, მან უწყის (მას ეუწყება) აღსასრულის ზუსტი დრო: „ხოლო ნეტარსა მამასა ჩუენსა გრიგოლს გულმან უთქუა განსლვაჲ ჯორცთაგან და ღმრთისა მისლვაჲ. და აუწყა უფალმან აღსრულებაჲ ნებისა მისისაჲ, ვითარცა თქუა დავით, „რამეთუ ნებაჲ მოშიშთა მისთაჲ ყოს უფალმან, ლოცვანი მათნი ისმინნეს და აცხოვნნეს იგინი“.<sup>2</sup> ამის შემდეგ კი შესაძლებელია ბოლო რჩევების მიცემა, თანამოძმეთა დარიგება და გამხნეება, რომ სიკვდილი არ არსებობს, არამედ არსებობს მხოლოდ მარადიული სიცოცხლე. სიკვდილი შესვენებაა. ის წამიერი გაჩერებაა დიდი გზის დასაწყისთან. ქრისტიანული ნარატივი არ ცნობს სიკვდილს, სიკვდილი მხოლოდ სააქაოს დასასრულია, ის მხოლოდ ფიზიკური (სამედიცინო) ფაქტია. ქრისტიანი არ კვდება, ის მიდის, მისი გზა გრძელდება.

ნაციონალიზმი რადიკალურად ცვლის ქრისტიანობის სიკვდილისადმი ამგვარ დამოკიდებულებას. და სწორედ აქ შესაძლებელია დავაკვირდეთ კულტურული პარადიგმის რადიკალურ ცვლილებას. ჩვენ შემთხვევაში კი ნაციონალიზმის ფორმირება „თერგდალეულებს“ უკავშირდება.

<sup>1</sup> გიორგი მცირე, ცხოვრება გიორგი მთაწმინდელისა, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო ივანე ლოლაშვილმა, თბილისი, 1994, 245-247.

<sup>2</sup> გიორგი მერჩულე, გრიგოლ ხანძთელი ცხოვრება, იხ. ძველი ქართული მოთხრობა, V-XII საუკუნეები, შეადგინა, წინასიტყვაობა დაურთო და რედაქცია გაუკეთა რევაზ თვარაძემ, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1979, 279

„თერგდალეულები“ იწყებენ ახალ ეპოქას, დასრულდება „მონამეთა ეპოქა“ და დაიწყება „გმირების ეპოქა“. მაგრამ „მონამე-წმინდანი“ არ განიდევენება ნაციონალისტური ნარატივიდან, ის რჩება როგორც მეტაფორა, ის ტრანსფორმირდება „ეროვნულ წამებულში – ეროვნულ წმინდანში“, ახალი წმინდანი-მონამე სხვა ნაკითხვას/ინტერპრეტაციას და განზომილებას იძენს. ეს ნაკითხვა/ინტერპრეტაცია და განზომილება ორმაგი ბუნებისაა. ქრისტიანობისათვის წამებულში, ამავე დროს, ერისთვის წამებულად მიიჩნევა. ერის კატეგორია, რომელიც საქართველოში XIX საუკუნეში იძენს დასავლური თვალსაზრისით „ნაციის“ მნიშვნელობას, სიკვდილისადმი დამოკიდებულებას „წმინდანთა ეპოქისათვის“ აქამდე უცნობ ელფერს აძლევს. ამ დროიდან მოყოლებული „ქრისტიანობისათვის“ თავგანწირვა იმავდროულად „მამულისათვის“ თავგანწირვად ცხადდება და შესაბამისად, „წმინდანთა ეპოქის“ პერსონაჟი „ეროვნულ გმირად“ გადაიქცევა.<sup>1</sup>

ამიტომ XIX საუკუნის დასაწყისის ნაციონალისტური ნარატივისათვის დამახასიათებელია: (1) ერის როგორც ტოტალობის გაგება ; (2) საერთო ეროვნული სატკივარის კონცეფცია („პოეტი“: „ერის წყლული მაჩნდეს წყლულად“ 1860); (3) ეროვნული გმირის ძიება („ბაზალეთის ტბა“, 1883), (4) ქრისტიანული/ფეოდალური წარსულიდან პერსონაჟების გამოხმობა და მათი ნაციონალურ გმირებად შერაცხვა, რაც (5) ნიშნავს ფეოდალური ისტორიის ნაციონალისტურ

<sup>1</sup> „თერგდალეულები“ (იხ. Die Schule der Georgischen Nation, Eine sozialhistorische Untersuchung der nationalen Bewegung in Georgien am Beispiel der „Gesellschaft zur verbreitung der Lese- und Schreibkunde unter den Georgiern (1850-1917), Reichert verlag Wiesbaden 2004, 2004, S. 78).

გადანერას („თორნიკე ერისთავი“ 1884, „დიმიტრი თავდადებული“ 1878) (6) Vita Contemplativa-ის ვიტა Vita Activa-ით შეცვლა (რასაც ნარატიულად ადასტურებს ილიას „განდევილი“, 1883); შესაბამისად, (7) ანმცოსთვის მეტი წონის და მნიშვნელობის მინიჭება და წარსულის გადარჩევა ანმცოს მოთხოვნების გათვალისწინებით; წარსულის ნაციონალური სიამაყის ობიექტად ქცევა; (8) სიცოცხლის მთავარ დანიშნულებად ერის მსახურება და ეროვნული ინტერესებისათვის თავგანწირვის გამოცხადება („აჩრდილი“: „წმინდა იგი, ვისაც ეღირსა/მამულისათვის თავის დადება“, 1859).

ნაციონალიზმი ყოველ ადამიანს ერთიანი, დიდი ეროვნული/ნაციონალური სხეულის ნაწილად წარმოგვიდგენს (აკაკი წერეთელი: „ნათელა“: „ჩონგური საქართველოა/სიმები ჩვენ ვართ ყველაო“, 1897). შესაბამისად, თითოეული ინდივიდის სიკვდილი ნაციონალური ტანის „კლებას“ ნიშნავს,<sup>1</sup> თითოეული ადამიანის სიკვდილზე პასუხისმგე-

<sup>1</sup> სულაც არ არის შემთხვევითი, რომ ნაციის დაბადებას თან ახლავს ნაციის სხეულის მოვლის დისციპლინების წარმოშობა. მათ რიგშია დემოგრაფია, როგორც მეცნიერება, რომელიც ნაციის სხეულის მდგომარეობის დაკვირვების ინსტრუმენტად წარმოგვიდგება. დემოგრაფიის მეშვეობით ჩვენ ვიგებთ, თუ რა მდგომარეობაშია ჩვენი „ერის სხეული“. ნაციონალური ისტორია, რომელიც კონკრეტულ ტერიტორიაზე მცხოვრები ადამიანების ურთიერთობას წარმოგვიდგენს, როგორც ერთიან და პერმანენტულ ბრძოლას გადარჩენისათვის და ა.შ. ნაციის დაბადებას ასევე თან ახლავს ერთიანი ნაციონალური სისტემების შექმნა. ასეთია, მაგალითად, ნაციონალური ჯანდაცვის სისტემა, საერთო სამხედრო ვალდებულება, ეროვნული მედია, საყოველთაო განათლება და ა.შ. ამ აზრით, მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ილია ჭავჭავაძის მიერ შექმნილმა „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ“ და გაზეთმა „ივერიამ“ (ამასთან დაკავშირებით იხ. O. Reisner Die Schule der georgischen Nation: eine sozialhistorische

ბელია მთელი საზოგადოება. დანაშაული/ დევნაცია, „ამორალური ქცევა“ აღიქმება არა როგორც „ცოდვით დაცემა“, არამედ საზოგადოებაში გამეფებული უყურადღებობის, სოციალური უთანასწორობის, სოციალურ კლასებს შორის არსებული არალიარების („ხიდჩატეხილობა“), ნაციონალური სხეულის ნაწილებისადმი-ინდვიდებისადმი-გულგრილობის შედეგი.

გმირი, ის ეპითეტია, რომელიც წარსულიდან გამოსხმობილი „წმინდანის“ სახეს „ემატება.“ ამ ლიბერალურ დისკურსში მეფის სხეული მხოლოდ იმდენად არის მნიშვნელოვანი, რამდენადაც შესაძლებელია მისი „განაცონალურება“, ნაციის სხეულის ნაწილად გადაქცევა. აქედან გამომდინარეობს სიკვდილისადმი დამოკიდებულება, რომელიც XIX საუკუნის ქართულმა ლიბერალიზმმა მოიტანა – სიკვდილი მამულისათვის, რომელიც „წმინდანის“ ქრისტიანული ღირსებითაც არის შემკული: „წმინდაა იგი ვისაც ეღირსა, მამულისათვის თავის დადება“<sup>1</sup> და ქრისტესათვის სიკვდილის გაიგივება მამულისათვის სიკვდილთან. ლიბერალური და შუასაუკუნეობრივი ფეოდალური (ტრადიციონალისტური) მეტაფორების ამგვარი სიმბიოზი და ჰიბრიდული პერსონაჟების -“ეროვნული მეფე“-ის (რასაც შეიძლება „ნარატიული შიზოფრენია“ ვუნოდოთ) წარმოშობის მიზეზები აიხსნება იმ ორი ამოცანით, რომელსაც XIX საუკუნის ქართული ლიბერალური აზროვნების წარმომადგენლები ისახავდნენ:

---

Untersuchung der nationalen Bewegung in Georgien am Beispiel der „Gesellschaft zur Verbreitung der Lese- und Schreibkunde unter den Georgiern“ (1850-1917) / von Oliver Reisner; hrsg. von Eva-Maria Auch [u.a.]. – [1. Aufl.]. – Wiesbaden: Reichert Verlag, 2004.

<sup>1</sup> ილია ჭავჭავაძე, აწრდილი, ლექსები, პოემები, თბილისი, საბჭოთა საქართველო, 1989, 61

(1) კოლონიალიზმის პირობებში ეროვნული სიამაყის გაღვივება და (2) ლიბერალური ღირებულებების დამკვიდრება, ანუ ნაციის შექმნა და საქართველოს გათანამედროვეობა/ მოდერნიზება.<sup>1</sup>

XIX საუკუნის საქართველოში კულტურის პარადიგმის ცვლილებას ორი ასპექტი აქვს: პირველი – ეს არის ხელისუფლების ლეგიტიმაციის ქრისტიანული პოლიტიკური თეოლოგიის შეცვლა ახალი, ქართული საზოგადოებისათვის აქამდე უცნობი პოლიტიკური ფილოსოფიით, რომლის თანახმადაც ხელისუფლების წყარო და ლეგიტიმატორი ხალხია და მეორე: სიცოცხლის საზრისი და სიკვდილისადმი დამოკიდებულების რადიკალური ცვლილება, რომელიც გულისხმობს „ქრისტესათვის სიკვდილის“ შეცვლას „ერი-სათვის სიკვდილით.“

ამიერიდან საქართველოს ორგვარი მეფე ჰყავს: ილიამდეელი და ილიას შემდგომი: ილამდეელი მეფე ქრისტიანი მეფეა, ის მირონცხებუღია, ამიტომ მისთვის სიკვდილი ქრისტესათვის სიკვდილია, აქედან გასაგებია, რასაც გულისხმობს რუსთაველი, როცა ამბობს: „ვინცა მოკვდეს მეფეთათვის, სულნი მათნი ზეცას რბიან.“ მეორე მეფე ეს უკვე განმანათლებლობის ქართული ვერსიის მიერ შექმნილი, „გადანერილი მეფეა,“ რომლის მთავარი ნიშანი მისი მირონცხებუღობა კი არ არის, არამედ „ხალხურობა,“ მთა-

---

<sup>1</sup> 2009 წელს საქართველოს საზოგადოებრივი ტელევიზიით მიმდინარე გადაცემამ „დიდი ათეული“ ათეულის სათავეში დავით აღმაშენებელი დაასახელა. მართალია, ტელევიზიას არ ჩაუტარებია რეპრეზენტატული გამოკვლევა, მაგრამ დიდი ალბათობით შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ შედეგი არსებითად ასახავს იმ განწყობას, რომელიც საქართველოს მოსახლეობაში დღესაც არსებობს: „წმინდანი“ იგივეა, რაც ნაციონალური „გმირი“

ირმა რატიანი  
გუბაშ ლეთოდანი  
არჩილ წერედანი

## ბურჟუა XIX საუკუნის ქართულ დრამატურგიაში

ვარი განზრახვა კი ხალხის მხრიდან ლეგიტიმაციის მოპოვება. აქედან გასაგებია ილიასეული დიმიტრი თავდადებულის სიტყვა – „ხორცი მოკვდეს სული ცხონდეს მეფის თქვენის დიმიტრისა“ – სადაც მეფე კვდება „ერისთვის“, „ხალხისთვის“ და არა პოლიტიკური თეოლოგიით განსაზღვრული ღმერთისაგან მინიჭებული ღირსებისათვის, რომელსაც ხალხისაგან ლეგიტიმაცია არ სჭირდება.

და მიუხედავად ამისა, კულტურული პარადიგმის ცვლილება საქართველოში არასოდეს ყოფილა ისეთი რადიკალური, როგორც ეს ევროპაში იყო. „ჩვენი განმანათლებლობა“ მუდამ წარსულისაკენ იხედებოდა და მასთან რადიკალურად კავშირის განწყვეტას ერიდებოდა. ეს „ნახევრადფეხმძიმობა,“ ეს „ნარატიული შიზოფრენია“ ზოგადად ქართული კულტურის ნიშანია.

და მაინც. ილიამ შეარყია ქართული კულტურის ტრადიციული თვითგაგება და სხვა თერგდალეულებთან ერთად რეალურად სწორედ ილია გვევლინება თანამედროვე ქართველი ერის არქიტექტორად, რომლის სხეული ვერ გაექცა მის მიერვე შექმნილ „ეროვნული გმირი-ქრისტიანი წმინდანის“ ამბივალენტურ ჰიპოსტატს.

მე-19 საუკუნის 60-70-იანი წლების ქართული მწერლობა სრულიად სამართლიანად იხსენიება „ქართული კრიტიკული რეალიზმის“ სახელით. ამ ეპოქაში საფუძველი ეყრება არა მარტო ახალ კონცეპტებსა და ღირებულებებს (ანტიკოლონიური მოძრაობის გადანაცვლება ეროვნული იდეის სიბრტყეზე, ახალი იდენტობის ძიება), არამედ – ახალ ჟანრებს, თემებსა და გამომსახველობით ფორმებს. ქართული კრიტიკული რეალიზმი, ერთი მხრივ, ინარჩუნებს მჭიდრო კავშირს რეალიზმის დასავლურ მოდელებთან, ხოლო მეორე მხრივ – აღავსებს მას ქართული სინამდვილისათვის ნიშანდობლივი მახასიათებლებით.

კრიტიკული რეალიზმის დასავლური მოდელი, რომელიც მე-19 საუკუნის 40-იანი წლებიდან დიდწილად იპყრობს მსოფლიო ლიტერატურულ სივრცეს, წარმოადგენდა რეაქციას რომანტიზმისათვის ნიშანდობლივ სუბიექტივიზმზე: „რომანტიზმი ინარჩუნებდა გარკვეულ ილუზიებს და ახალი ცხოვრების არასრულყოფილების განცდას ამკვიდრებდა. კრიტიკული რეალიზმი კი იყო ფხიზელი ანალიზი „დაკარგული ილუზიებისა“, რომელსაც გაცნობიერებული ჰქონდა, რომ სამყაროს „ღვთაებრივი კომედია“ თანდათან იძენდა ყოფით მახასიათებლებს და „ადამიანურ კომედიად“ ყალიბდებოდა“ (ბორევი 2001: 390). ეს იყო „მკვდარი სულების“, „ცოცხალი გვამების“, „დამცირებულებისა და შეურაცხყოფის“



ფილების“ „ლარიბი ადამიანების“, აგრეთვე – გორიოების, ჩიჩიკოვების, ობლომოვების, თათქარიძეების სამყარო, მოთხრობილი დინჯი, აუჩქარებელი და დაკვირვებულ მანერით. კრიტიკული რეალიზმის ეპოქის ნამყვანი ლიტერატურული ჟანრები – რომანი, მოთხრობა, პოემა, ისევე როგორც დრამატული ჟანრები, წარმატებით იყენებდნენ სატირასა და იუმორს, გროტესკსა და ირონიას, რათა უკეთ გამოეხატათ ლიტერატურის პოზიცია: იდეალის აღმოჩენა ხომ მხოლოდ არსებულის კრიტიკისა და უარყოფის გზითაა შესაძლებელი. მწერლები ცდილობენ ჩასწვდნენ იდეალს, საამისოდ კი მეტად უნდა შეიჭრან ცხოვრებაში, იქ, სადაც ადამიანი მუდმივ ჭიდილში იმყოფება ისტორიასთან. რეალიზმის კულტურული მისია ხომ ადამიანის ისტორიული დანიშნულებისა და ჰუმანურობის ძიებაა! (ბორევი 2001: 388)

კრიტიკულ რეალიზმს პოლიტიკურად ინტენსიურ და სოციალურად დიფერენცირებულ ეპოქაში უხდებოდა მუშაობა. მარტივი ფეოდალური სტრუქტურები დიდი ხანია შეცვალა სოციალურად აჭრელებულმა საზოგადოებამ: არისტოკრატის ჩრდილში აქამდე მოკრძალებით მდგარმა ბურჟუაზიამ ისტორიული ძლევამოსილება შეიძინა და მთელი ძალითა და ენერგიით აღიძრა დამსახურებული პატივისცემის მოსაპოვებლად. ღირებულებათა ჭიდილი – ყველა სახისა და სირთულის – კრიტიკული რეალიზმის განმსაზღვრელ მახასიათებლად იქცა: ბურჟუაზიული მსოფლმხედველობა დაუპირისპირდა არისტოკრატიულს, ფული – გვარსა და წარმომავლობას, სიმდიდრე – საუკუნეობით გამყარებულ ტრადიციასა და ეტიკეტს. გამოიკვეთა ძირითადი კონცეპტუალური ოპოზიციები: ფული/უფულობა, მატერიალური ბედნიერება/სულიერი სიმდიდრით მიღწეული ბედნიერება, „პატიოსანი ფული“/„არაპატიოსანი ფული“. თუმცა, ოპოზი-

ციების პოზიციონირებისა და გადაჭრის მექანიზმები სხვადასხვა აღმოჩნდა კრიტიკული რეალიზმის ყოველ კულტურულ და ნაციონალურ მოდელში, რომელაგანაც განსაკუთრებით გამოვარჩევთ ევროპულ და რუსულ მოდელებს, როგორც მეტად დაახლოვებულთ ქართულ ლიტერატურულ სივრცესთან.

დასავლეთ ევროპის ქვეყნებში ფორმირებული კრიტიკული რეალიზმისთვის (დიკენსი, სტენდალი, ბალზაკი, ფლობერი) ურთულეს პრობლემად ჩამოყალიბდა ადამიანის მიერ ბედნიერებისა და დამოუკიდებლობის მიღწევის შეუძლებლობა ფულის პრიმატზე დაფუძნებულ საზოგადოებაში. ამგვარ საზოგადოებაში ბედნიერების მიღწევა მხოლოდ სიმდიდრის მოხვეჭას უკავშირდება, რაც ან მიუღწეველია, ანაც – სულიერად დამანგრეველი ამაღლებული და სულიერად მდიდარი პიროვნებისთვის... ადამიანის მთავარ ამოცანად ალტერნატივის მიღწევა ისახება: მან ან უნდა ეძიოს ბედნიერება სიმდიდრის მიღმა, ანაც გამდიდრდეს „თეთრი ხელებით“, პატიოსნად. თავისთავად ამგვარი ალტერნატივის უტოპიურობა იქცევა ბურჟუაზიული საზოგადოების მწვავე კრიტიკის იარაღად, საზოგადოებისა, რომელიც აყენებს პიროვნებას ესოდენ მერყევ და უპერსპექტივო მდგომარეობაში“ (ბორევი 2001: 399). განსხვავებით რეალიზმის დასავლური ფრთისაგან, რუსული კრიტიკული რეალიზმი (გოგოლი, ტურგენევი, ტოლსტოი, დოსტოევსკი, ჩეხოვი) „ახალი დოვლათს“ თემას (ისევე როგორც სხვა მნიშვნელოვან თემებს) პიროვნებისა და სამყაროს გლობალური შეუთავსებლობის პრობლემის ფონზე ამუშავებს. რუსული კრიტიკული რეალიზმის ამ ძირეული კონცეფციის წიაღში სრულად ვლინდება ადამიანსა და სამყაროს შორის არსებული წინააღმდეგობანი, სადაც სამყაროს ბოროტების



აღმოფხვრის გზას წარმოადგენს არა ძალადობა, რომელიც ისტორიულად საშიში და გაუმართლებელია, არამედ – მისი გაკეთილშობილების მცდელობა: სხვა გამოსავალს, თუ არა პიროვნების თვითსრულყოფა და ბოროტებაზე შენდობით პასუხი, რუსული რეალიზმი ვერ ხედავს. ბოროტებათა შორის ერთ-ერთი სწორედ ფულით ნაყიდი ბედნიერებაა. დასავლური და რუსული კრიტიკული რეალიზმის წიაღში გამომუშავებული სოციალური და კულტურული ტენდენციები სრულად რეალიზდა არა მარტო პროზაში, არამედ – დრამატურგიაშიც (მერიმე, ტურგენევი, ოსტროვსკი, იბსენი).

ქართულმა კრიტიკულმა რეალიზმმა, მიუხედავად იმისა, რომ თავის მთავარ სათქმელად, მიზანდასახულობად, იმთავითვე გამოკვეთა ეროვნული თვითმყოფადობის იდეა და ახალი ნაციონალური იდენტობის ძიება, ძალდაუტანებლად შეითავსა კრიტიკული რეალიზმის როგორც დასავლეთ ევროპული, ისე – რუსული გამოცდილება (ლ. არდაზიანის „სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილი“, გ. ერისთავის „გაყრა“, ი. ჭავჭავაძის „სარჩობელაზედ“) და ხედვის არეალში შემოიტანა დიფერენცირებული სოციალური გარემოს აღწერა და ანალიზი, როგორც რეალობის შეფასების უტყუარი კრიტერიუმი. სოციალური პრობლემატიკის აქცენტირება ქართული კრიტიკული რეალიზმისთვის ნიშანდობლივ მძლავრ ტენდენციად ჩამოყალიბდა. თუმცაღა, სოციალური პრობლემა არ დარჩა ოდენ სოციალურ პრობლემად, არამედ მიემართა ეროვნული თვითმყოფადობის იდეას, როგორც ქართული კრიტიკული რეალიზმის მთავარ სათქმელს. ამ თვალსაზრისით საეტაპო მნიშვნელობა შეიძინა ილია ჭავჭავაძის მიერ შექმნილმა მხატვრულმა სახემ ლუარსაბ თათქარიძისა: მწერალმა შექმნა თუმცაღა უბოროტო, მაგრამ

მუქთახორა, ზარმაცი და ინერტული ხასიათი-ტიპი, რომელიც არა მხოლოდ იმიტომაცა საშიში, რომ სოციალურად დრომოჭმული და რეგრესულია, არამედ იმიტომაც, რომ მისი გაძლიერების შემთხვევაში საქართველოს სულ უფრო მეტად გაუჭირდება მისთვის ესოდენ სანუკვარი მიზნის – დამოუკიდებლობის მიღწევა: დამოუკიდებლობის გზა გადის ბძოლაზე, რომლის უნარიც თათქარიძეს და მისწრაფებს არ გააჩნიათ. ეს უნარი, სამწუხაროდ, არც „ახალ დროებას“ ვითომ ფეხანუბილ თავადიშვილებს შერჩათ, რომლებმაც თავიანთი საგვარეულო ქონება ქარს გაატანეს, დაივიწყეს ღირსება და ცდილობენ, გადაირჩინონ თავი ახლადგამდიდრებულ ბურჟუებთან ალიანსით. ან ბურჟუებს კი აქვთ ღირსება? რას წარმოადგენს ეს კლასი და რამდენად მნიშვნელოვანია ის ქართული მიზნისთვის?

თავის ერთ-ერთ ბოლო ნაშრომში – „ბურჟუა. ისტორიასა და ლიტერატურას შორის“, ეძიებს რა ბურჟუას ცნების ახალ განმარტებას, ფრანკო მორეტი იმონებს იმანუილ ვალერშტეინის ნაშრომს – „ბურჟუა, როგორც კონცეპტი და რეალობა“: „ბურჟუა სადღაც შუაშუ აღმოცენდა. ის არც გლეხი იყო, არც ფეოდალი და არც – დიდგვაროვანი“ და სწორედ „შუაშიმყოფობა“ იყო ბარიერი, რომლის დაძლევა-საც ის გამუდმებით მიეღწეოდა“ (ვალერშტეინი 1988: 98). თუ ბურჟუაზიის კლასის აღმოცენება ეკონომიკური პროცესებით ნაკარნახევი ისტორიული აუცილებლობა იყო, მე-19 საუკუნის შუანლებიდან მან პოლიტიკური მნიშვნელობაც შეიძინა და აქტიურად ჩაერთო საზოგადოებრივ ცხოვრებაში (კოკა 1999 : 193); ბურჟუას „ახალი მდიდრის“ პირვანდელი სტატუსი, ესოდენ არასასურველი და მიუღებელი თავად ბურჟუებისთვის, სხვა სტატუსებით შეიცვალა

– „ენერგიული“, „ნათელი გონების მქონე“, „ნესიერი საქმისმწარმოებელი“, „მიზანდასახული“ და სხვ. თუმცა, ეს „კარგი“ თვისებები მაინც არასაკმარისად კარგი აღმოჩნდა საიმისოდ, რომ ბურჟუასაგან შექმნილიყო თხრობითი ჟანრის გმირი, ისეთი, როგორც იყო მეომარი, რაინდი, დამპყრობელი ან ავანტიურისტი – გმირები, რომელთაც ასობით წლების მანძილზე ეყრდობოდა დასავლური ლიტერატურის სიუჟეტები“ (მორეტი 2014: 30). ბურჟუა არ იყო გმირი, არამედ უფრო – ანტიგმირი, რომელმაც ცალკეულ შემთხვევებში დადებითი ინტერპრეტაცია შეიძინა. ასეთი წარუმატებლობის მთავარი მიზეზი, ალბათ, „იმ უზარმაზარ განხეთქილებაში უნდა ვეძიოთ, რომელიც ძველსა და ახალ მმართველ ძალებს შორის არებობდა: თუკი არისტოკრატიას ეყო თავხედობა, შეექმნა უშიშარი და უნაკლო რაინდების მთელი გალერეა და ამით მოეხდინა საკუთარი თავის იდეალიზაცია, ბურჟუაზიამ ეს არ ჩაიდინა. თავგადასავლის დიადი მექანიზმი თანდათან დაიშალა ახალი ბურჟუაზიული ცივილიზაციით, თავგადასავლის გარეშე კი გმირმა დაკარგა უნიკალურობა, რომელიც მოულოდნელობასთან შეხვედრის შარმით იყო განსაზღვრული. რაინდთან შედარებით ბურჟუა არაფრით გამორჩეული და მოუხელთებელი მოჩანდა, ნებისმიერი სხვა ბურჟუების მსგავსი“ (მორეტი 2014: 31). . .

მე-19 საუკუნის 50-60-იანი წლების ქართული პროზა და დრამატურგია ჯერ შორს იდგა ბურჟუას მომნიშვნელოვანი გაგებისაგან. ბურჟუას სოციალურმა კლასმა ჯერ ვერ შექმნა საქართველოში ის აუცილებელი დისტანცია, რომელიც უკვე არსებობდა ევროპასა და ამერიკაში „ძალიან მდიდრებსა“ და „ძალიან ღარიბებს“ შორის; არც „მესაკუთრეებისა“ და „საკუთრებას მოკლებული მშრომელების“ ან – „მწარმოებ-

ლებისა“ და „მუშა-ხელის“ გაგება იყო დამკვიდრებული<sup>1</sup>. შესაბამისად, ამ პერიოდის ქართულ მწერლობაში ბურჟუას ჯერ არ ჰქონდა შექმნილი ისეთი თვისებები, როგორცაა – მშრომელი, სერიოზული, განათლებული, გამოსადეგარი, კომფორტის მოყვარული, გავლენიანი<sup>2</sup>. ის ჯერ კიდევ უმნიშვარი, უტიფარი, უინტელექტო და უსულგულო დახლიდარი იყო – მხოლოდ დახლიდარი<sup>3</sup>. მეტიც, დასავლური სამყაროსგან განსხვავებით, სადაც მე-19 – მე-20 საუკუნეების მიჯნაზე ბურჟუა მმართველ კლასად იქცევა, ხოლო ბურჟუას ცნება სოციალური და კულტურული განვითარების სხვადასხვა ეტაპებს გაივლის, საქართველოს, მისი ისტორიული ფატუმის გამო, თითქმის არ დასცალდება ბურჟუას გააზრების ჩანასახოვანი ფაზის დაძლევა: საზოგადოებრივ-სოციალურ არენაზე მას მარქსისტულ-ბოლშევიკური მოძრაობა და ბოლშევიკური რევოლუციის ზვირთები შთანთქავს, ლიტერატურის სიბრტყეზე კი ჯერ „ხალხოსნური“, ხოლო მოგვიანებით – სოციალისტური მწერლობის იდეოლოგია დაუპირსიპირდება. და მიუხედავად ამისა, თავისი ისტორიული მოცემულობის ფარგლებშიც კი, ქართული მწერლობა შეძლებს ბურჟუაზიის ფუნქციისა და როლის, აგრეთვე, არისტოკრატიასთან მისი მიმართების ქართული რაკურსის წარმოჩენას; შეიქმნება არაერთი საინტერესო ლიტერატურული ტექსტი, სადაც გამორჩეულ ადგილს უდაოდ დრამატურგიული გამოცდილება დაიკავებს.

<sup>1</sup> იხ. ემანუელ ვალერშტეინი, „ბურჟუა როგორც კონცეპტი და რეალობა“ (1988), იურგენ კოკა, ინდრუსტრიული კულტურა და ბურჟუაზიული საზოგადოება“ (1999), ჯეიმს მილი, „ესსე მთავრობის შესახებ“ (1937) და სხვ

<sup>2</sup> მორეტისეული კლასიფიკაცია

<sup>3</sup> კლასიფიკაცია ჩვენია

ბურჟუას სახე მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის ქართულ დრამატურგიაში ასახვის ირონიულ-გროტესკული მანერის ჩარჩოებშია მოქცეული. ცნება ბურჟუა ჩანაცვლებულია ცნებით ვაჭარი, რომელიც ბურჟუას გაგების შედარებით ადრეული და პრიმიტიული მოდელის ექვივალენტია, ხოლო მთავარ ოპოზიციად განსაზღვრულია სოციალური ოპოზიციის ვაჭარი/თავადი, იგივე – წვრილი ბურჟუა/არისტოკრატია, სადაც ვაჭარი ანუ წვრილი ბურჟუა ფულის პრიმატზე დაფუძნებული ახალი დროების სიმბოლოა, თავადი ანუ არისტოკრატია კი – ისტორიულად, „ძველ დროში“ გამოშვებული ქართული რაინდული ცნობიერების დევალვაციისა. ქართული დრამატურგია შეურიგებელია როგორც ერთის, ისე – მეორეს მიმართ: მას ჯერ არ სჯერა ბურჟუაზიის, რომელიც ფულით იკვლევს გზას და უკვე აღარ სჯერა არისტოკრატის, რომელმაც დაკარგა ზნეობრივი ორიენტირები. სრულიად ცხადია, რომ ამ სახით არც ერთი მათგანი არ ერგება ქართულ მიზანს; შესაბამისად, ტექსტებში ყოველ ნაბიჯზე შეიგრძნობა სინანული მიუღწეველი სამართლიანობის, დაუძლეველი მერკანტილიზმისა და შეუსმენელი ტკივილების გამო.

მოვლენების მთავარ პერსონაჟებად ქართველმა დრამატურგებმა ვაჭრები და თავადები აქციეს, ხოლო ავანსცენად – ქალაქი, თანამედროვე ქალაქის ქუჩები, მოედნები, სახლები და მათი ბინადარნი. მიუხედავად იმისა, რომ ქართული კრიტიკული რეალიზმის ფუძემდებლებს, უპირველესად კი ილია ჭავჭავაძეს, თვალთახედვის არედან არ გამოჰპარვიათ ქართული საზოგადოებისათვის საჭირობოროტო არცერთი საკითხი, გარკვეულ მიზეზთა გამო, რომელთა შორის უმთავრესად უნდა მივიჩნიოთ რეალიზმის ლიტერატურული სკოლის შედარებით სწრაფი განვითარება საქარ-

თველოში, მათ შემოქმედებაში ნაკლებად აისახა ქალაქის ცხოვრება (თუ არ ჩავთვლით ლავრენტი არდაზიანს, რომლის „სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილიც“ ერთ-ერთი ადრეული ქალაქური ტექსტია). ქართულმა დრამატურგიამ და თეატრმა სიამოვნებით შეავსო ეს დანაკლისი და რეალიზმის მხატვრული პრინციპებით შექმნილ პოლემიკურ გარემოს წარმატებით მიუერთა ქალაქური ცხოვრების მოდელი, როგორც აუცილებელი რგოლი, მისი რიტმით, ფილოსოფიითა და სოციალური სიჭრელით. განსაკუთრებული ყურადღება, ცხადია, დაეთმო ახალ სოციალურ ფენას, ქალაქის ტოპოსის ახალ წევრს – წვრილ ბურჟუაზიას, რომელიც ჯერეთ ჩანასახოვან დონეზე მყოფი, მწერლების ირონიასა და სატირულ დაცივნას იწვევდა.

მაგრამ, მე-19 საუკუნის ქართული თეატრის დაინტერესება ქალაქური ცხოვრებით მხოლოდ რეალიზმის მხატვრული პრინციპების დანერგვის მიზეზით ვერ აიხსნება. პირველ ყოვლისა, გასათვალისწინებელია, რომ თეატრალურ წარმოდგენას სამიზნედ არასოდეს ჰყავს წარმოსახვითი ადრესატი, არამედ, კონკრეტული ადამიანები – ისინი, ვინც უნდა დაესწრონ წარმოდგენას და ბოლომდე გაადევნონ თვალი პიესის მსვლელობას. შესაბამისად, თეატრის „სიცოცხლისუნარიანობას“ მისი სიღრმისეული საზოგადოებრივი და სოციალური პოზიცია განსაზღვრავს, ე.ი. ის, თუ რამდენად კარგად არის გააზრებული იმ საზოგადოების მაჯისცემა, რომელსაც თეატრი თავის პროდუქტს სთავაზობს. ანტიკური თეატრიც ხომ მჭიდროდ იყო დაკავშირებული ათენურ დემოკრატიასთან, შეიძლება ითქვას, მის სამსახურშიც კი იდგა. თეატრისა და საზოგადოებრივი ყოფის კავშირი განსაკუთრებით თვალშისაცემია კომედიური ფანრის პიესებში, გამომდინარე მათთვის დამახასიათებელი უშუალობიდან

და სტილის რეალისტურობიდან. ცნობილია, რომ არისტოფანეს კომედიების გათამაშებისას, მაყურებელი (ხშირად კონკრეტული პიროვნებები, ვინც ესწრებოდა კიდეც დადგმას) მოქმედ გმირებს შორის ამოიცნობდა ხოლმე საკუთარ თავს! სწორედ ამგვარი ამოცნობაა ქართულ კომედიებშიც საზოგადოებრივ ცხოვრებაზე დაკვირვების მთავარი ბერკეტი და სიცილის უპირველესი წყარო.

აქედან გამომდინარეობს თეატრის ქალაქური ცხოვრებით მოხიბვლის მეორე მიზეზიც. ნებისმიერი თეატრი, რომელიც ქალაქში ფუნქციონირებს, თავადაც ჩართულია კომერციის პროცესში: მისი არსებობისთვის ხომ აუცილებელია, მაყურებელი დაინტერესდეს წარმოდგენით და ბილეთი შეიძინოს. ინტერესი კი, უპირველეს ყოვლისა, საზოგადოების თვითიდენტიფიკაციის აქტით მიიღწევა: დამსწრე საზოგადოებამ სცენაზე უნდა იხილოს არა მარტო პერსონაჟთა ხასიათების მსგავსება რეალურ პიროვნებებთან, არამედ ის მოდელეებიც დაინახოს, რომლითაც ფუნქციონირებს საზოგადოება, რომელსაც თავადაც მიეკუთვნება. ამრიგად, თეატრს არა მხოლოდ კულტურული, საზოგადოებრივი და სოციალური, არამედ *კომერციული ფუნქცია*ც ეკისრება.

მე-19 საუკუნის ქართული თეატრი ცდილობს, დააკმაყოფილოს ორივე მონიშნული კრიტერიუმი: შესთავაზოს ხალხს *სანახაობა*, რომელშიც ის თავის თავსა და გარეშე რეალობას ამოიცნობს, და – შექმნას *დოვლათი*, რომლითაც საკუთარ თავს შეინახავს<sup>1</sup>. ქართველი დრამატურგე-

ბის მთავარი დაკვირვების საგნად მათი თანამედროვე ქალაქური საზოგადოება იქცევა, ცხოვრების წესის, დროისა და, მასთან ერთად, ღირებულებათა სისტემის ცვლილება. ცვლილებები კი რადიკალურია: ტრადიციული ფოედალური საზოგადოებრივი სტრუქტურა ინგრევა – ვერც თავადაზნაურობა და ვერც გლეხოზა საკუთარ ფუნქციას ველარ ასრულებს და სასონარკვეთილი, კარგავს ისტორიულად გამომუშავებულ ეთიკურ-ზნეობრივ ღირებულებებს; სამაგიეროდ, ასპარეზზე გამოდის წვრილ ბურჟუათა ფენა, რომელიც იხვეჭს სიმდიდრეს, მაგრამ, ჯერ-ჯერობით ვერ ითავისებს ტრადიციულ ღირებულებებს. . .

სწორედ ასეთი რეალური პრობლემების გარემოცვაში იქმნება ახალი ქართული თეატრი და მისი ფუძემდებლის, გიორგი ერისთავის (1813-1864) დრამატურგია. ერისთავის დაინტერესება კომედიური ჟანრით („გაყრა“, „ძუნწი“, „დავა“, „წარსული დროების სურათები“ და სხვ.). შემთხვევითი არ ყოფილა. მე-19 საუკუნის 40-50-იანი წლების საზოგადოებრივი ცხოვრება, თავისი გარდამავალი ისტორიული პერიოდის მოცემულობით, სწორედ რომ შესაფერის მასალას იძლეოდა კომედიისთვის: გიორგი ერისთავიც კრიტიკულად აღწერდა, ერთი მხრივ, ფულით აღტყინებული წვრილი ბურჟუების, მეორე მხრივ კი – ფეოდალიზმის ძველი სისტემის ნანგრევებქვეშ მოყოლილ თავადაზნაურთა ზნეობრივ-ეთიკური გადაგვარების პროცესს. ერისთავმა კომიკურ პერსონაჟებად აქცია როგორც ყოფილი დიდებულები, რომელთაც არ აღმოაჩნდათ ალლო ფეხი აენწყოთ ახალი, ბურჟუაზიული წყობისთვის და სასაცილონი იყვნენ თავიანთ უმწეობასა და უსუსურობაში („დავა“, „გაყრა“), ისე – სავაჭრო საქმეში განაფული წვრილი ბურჟუები, რომლებიც ფულს ეთაყვანებიან („დავა“, „გაყრა“, „ძუნწი“), ყოფილ „დიდებულთა“ ქონების „გადაბარებით“ აგროვებენ

<sup>1</sup> ამ ბოლო მისიის შესრულება საკმაოდ რთულია ყველა თეატრისათვის და გამონაკლისი არც ქართული თეატრი ყოფილა. იხ. ი. მილორავა, გიორგი ერისთავი// ქართული რეალიზმის სათავეებთან (2015), თ. ციციშვილი, ზურაბ ანტონოვი, იქვე



ფულს, მაგრამ აღარაფერი ფულის გარდა მათთვის აღარ მნიშვნელობს.

სად არის გამოსავალი?

ამ კითხვაზე პასუხის გაცემის მცდელობას წარმოადგენს გიორგი ერისთვის კომედიები, მათ შორის, მაშინდელი ქართული თეატრალური აფიშების ერთ-ერთი ლიდერი – „ძუნწი“, რომელიც, თავისი არსით, ხასიათების კომედიია და უკვე ას ნელზე მეტია ერთგულად ემსახურება ქართველ მაყურებელს.

წინარმოების ჯერ კიდევ სათაურიდან იკვეთება თუ ვინ შეიძლება იყოს კომედიის მთავარი პერსონაჟი – ეს ძუნწი ქალაქელი ვაჭარია, კარაპეტა დაბალოვი, რომლის კომიკური მახასიათებლების ჰიპერბოლიზება მწვავე გროტესკის ეფექტს ახდენს. კარაპეტა იმდენად ძუნწია, რომ ოჯახში ნახშირსაც კი არ წვავს, თანაც ყველას არწმუნებს, სიცივე ადამიანებს უხდება და რახან ლოყებს აწითლებს, კიდევ ალამაზებსო; სანთელს არ აწვევინებს თავის ერთადერთ ქალიშვილს, ხამფერას; თვითონ დახეული ხალათით დაიარება და ყველას გასაგონად უფულობაზე ჩივის – სინამდვილეში, ფული კი არ უჭირს, არამედ მისი დახარჯვა და გამოყენება; ყოველ ღამით, ძილის წინ, ფულით სავსე ზანდუკთან მიდის, მასზე ლოცულობს და ისე მიმართავს, როგორც ცოცხალ არსებას: „თუ თქვენ ერთი ერთმანეთს მოგაკლოთ, ღორი გავხდე“ (ერისთავი 1993: 82); კარაპეტასთვის ყველაფრის საზომი ფულია და რაღა თქმა უნდა, სასიძოც ამ „უტყუარი“ მეთოდით უნდა რომ შეარჩიოს. ხამფერას კი არჩილი უყვარს! არჩილსაც უყვარს ხამფერა, მაგრამ კარაპეტა მათი ქორწინების წინააღმდეგია, ვინაიდან. . . არჩილს ფული არა აქვს!

არჩილი უმტიციცებს კარაპეტას, რომ შეირთავს თუ არა მის ქალს, სოფელში გადასახლდება: „ფული ღმერთი ხომ

არ არის? ჩვენ უმჯობესი გვაქვს ფულზედა: პური, ღვინო, ძროხა, ცხვარი, ქათამი“ (ერისთავი 1993: 87). არჩილისა და კარაპეტას დიალოგში ცხადად იკვეთება განსხვავებანი, რომელთაც ფული ქმნის სოფლად და ქალაქად ცხოვრების წესს შორის: სოფლად ადამიანს თავისი შრომით შეუძლია აწარმოოს ის პროდუქტი, რომლებიც ქალაქში მართალია იყიდება, მაგრამ არ იწარმოება. ეს ერთგვარი მინიშნებაა მზარდ ოპოზიციას: ქალაქი/სოფელი, ბუნება/ცივილიზაცია, წარმოება/მომხარებლობა. ამ კონკრეტულ შემთხვევაში წარმოების ოპოზიციად უფრო დამგროვებლობა წარმოგვიდგება – ფული მიზანია და არა საშუალება. ამგვარი ოპოზიციები, რომლებიც წითელ ზოლად გასდევს მთელ ტექსტს, გამოკვეთს ღირებულებათა დეველვაციას, რის ნათელი მაგალითიცაა ძუნწი კარაპეტას „ვნებანი“: კარაპეტასათვის ფული საკრალურ მნიშვნელობას იძენს – „ჩემი მუზიკა ეს არის“, „ჩემი ცოლი შენა ხარ, ჩემი შვილი შენა ხარ“, „ფული გიცხონებს სული“ (ერისთავი 1993: 82) – გაიძახის კარაპეტა. ძუნწი ყველაფერს, რაც ღირებული შეიძლება იყოს ადამიანისათვის, ფულით ანაცვლებს. მას სამოთხეც კი ოქროს სკივრად წარმოუდგენია!<sup>1</sup> ფულთან პირისპირ დიალოგისას, წაანყდება რა ამ ტიპის კომედიებისათვის დამახასიათებელ „წინააღმდეგობებს“ – რა ჰქნას კარაპეტამ, როდესაც სიკვდილი მოადგება კარს? ვინღა მოუვლის მის ფულებს? და სხვ. – მალევე პოულობს გამოსავალს: ფულს გადაადნობს, დალევს და ასე დაიხსნის თავის ქონებას უცხო ხელისგან. . .

<sup>1</sup> ამ თვისებით ერისთავის პერსონაჟი უდაოდ ამჟღავნებს ნათესაობას შექსპირისა და მოლიერის პერსონაჟებთან (შესაბამისად, შეილოკთან და გარპაგონთან)



კარაპეტასგან განსხვავებით, არჩილს სხვა მიდრეკილებები აქვს. მას მართლაც უყვარს ხამფერა, მასთან ერთად ოჯახის შექმნა სურს. ოცნებობს, რომ, ქორწინების შემდეგ, სოფლად იცხოვრებენ, სადაც ფული არ დაჭირდებათ და ასეთი სიმწვავითაც აღარ შეიგრძნობენ საკუთარ ხელმოკლეობას. სიყვარულის რომანტიკული ხაზი ადამიანებში შემორჩენილი ღირსების აპოლოგიაა, ხოლო „სოფლად ცხოვრების“ პერსპექტივა – პირველყოფილი იდილიის მოდერნიზებული მოდელი, ფულისაგან თავისუფალი სივრცე, სადაც ადამიანებს შეუძლიათ უფრო ამაღლებულ ფიქრებსა და ოცნებებს მიეცნენ. სწორედ სიყვარულისა და იდილიური ცხოვრების უტოპიური ოცნება გამოარჩევს არჩილსა და ხამფერას ფულის ზარდახშასა თუ დაკარგული ღირსების ნანგრევებში გამოკეტილის სხვა პერსონაჟებისაგან.

კონტრასტი არჩილსა და კარაპეტას შორის მთელი ძალით ვლინდება პიესის ბოლო მოქმედებაში: კარაპეტა, რომელსაც მოტყუებით დაითანხმებენ და თავის ქალს არჩილისათვის „მიაცემინებენ“, არასასურველ სიძეს საჩუქრად დაჟანგებულ ხმალს მიათმევს; ხმალი არჩილის ბაბუის, ავთანდილისა აღმოჩნდება, რაც ამ ახალგაზრდა ქართველში, არჩილში, ამაღლებულ ემოციას გააღვიძებს და ლექსად ათქმევინებს:

შენ გხედავ, ხმალო, პაპისა ჩემის.  
ჩემგან შექედვა და მორთვა გშვენის!  
შენგან არ იყო, ავთანდილ გმირი  
ამარცხის სპარსნი? ...

(ერისთავი 1993: 92)

რთულია ვივარაუდოთ, რამდენად გამიზნულია არჩილის ბაბუის სახელის დამთხვევა „ვეფხისტყაოსნის“ ერთ-ერთი მთავარი გმირის, ავთანდილის სახელთან. სხვა თუ არაფე-

რი, ასოციაცია მაინც ჩნდება „ვეფხისტყაოსნისეულ“ ავთანდილთან, რომელიც, სიუჟეტის თანახმად, არც თუ ისე კეთილგანწყობილია ვაჭრების მიმართ: „თქვენ ვაჭარნი ჯაბანნი ხართ“... კომედიაში ხაზგასმული ეს თემა თითქოს მინიშნებაა, რომ ოდესღაც გმირთა ნაქონი და ომში გამონვრთილი ხმალი ახლა ძუნწი მევახშის ხელში ჟანგდება და ფუნქციას კარგავს. ის, რაც არჩილისთვის ოჯახისეულ რელიკვიას წარმოადგენს, რომელსაც თავისი ისტორია და მნიშვნელობა გააჩნია, კარაპეტასთვის უსარგებლო ჟანგიანი რკინაა („გუეზნებით, რომ ქართველს ფული არ უნდა, ხედავთ, ჟანგიან რკინაზედ რასა ბოდამს? ჩემ ოქროებს თვალი არ უყურა!“ (ერისთავი 1993: 93)). . .

კარაპეტას სიძუნწე მართლაც რომ გროტესკულად სასაცილო მოსჩანს იმ ღირებულებათა ფონზე, რომელიც არჩილსა და ხამფერას ამოძრავებს. კარაპეტასთვის ფული ხომ მიზანია საშუალების გარეშე: არსებითი მნიშვნელობა არ აქვს მისი ზანდუკი კენჭებით იქნება გამოტენილი თუ ოქროთი, ის მაინც გამოუყენებელი და არარეალიზებული დარჩება კარაპეტას ხელში.

მაშ, რის მაქნისია ფული/ქონება, რომელსაც სწორი დანიშნულება არ ეძებნება?

ამ პრობლემას და მის შემამოფოთებელ შედეგებს უტრიალებს მეორე ქართველი დრამატურგი ზურაბ ანტონოვი (1820-1854 წწ), რომელმაც თავისი კომედიებით „მზის დაბნელება საქართველოში“, „მინდა კნენა გავხდე“, „ტივით მოგზაურობა ლიტერატორთა“ და სხვ., გააგრძელა ქართული თეატრის დამფუძნებლის – გიორგი ერისთავის ხაზი. მიუხედავად იმისა, რომ თემატიკით მათი პიესები ერთმანეთისაგან დიდად არ განსხვავდება, ანტონოვის შემოქმედებანი გადადგმულ ნაბიჯად მოსჩანს ქართული თეატრის ის-

ტორიაში: ანტონოვის თეატრი კიდევ უფრო მწვავე და სარკასტულია, ამავდროს, გამორჩეული კონცეპტუალური სიღრმითა და სტილისტური ვარიაციებით. „ახალბედა ავტორმა შეძლო, რომ ყველა მისი პიესა ახლებური მიგნებებისა და არჩევანის ორიგინალურობით გამორჩეულიყო. მისი პერსონაჟები თითქოსდა ქართული ცხოვრების ნიალიდან იყვნენ სცენაზე გადმოყვანილნი“ (ციციშვილი 2015: 77).

გიორგი ერისთავის „ძუნწის“ მსგავსად, ანტონოვის პიესაშიც „მზის დაბნელება საქართველოში“ ავტორის დაკვირვების საგანი არსებულ ღირებულებათა დეგრადირებისა და მათი გადასხვაფერების, უპირველესად, ფულით ჩანაცვლების პროცესია. თავად-აზნურთა ფეოდალური ფენის დაქვეითებას შედეგად მოჰყვება მალაზნეობრივი რაინდული იდეალების, აგრეთვე, ინტელექტისა და განათლების მნიშვნელობის დაკნინება; ვაჭართა გაძლიერება ცხოვრების მთავარ ღირებულებად მატერიალურ სიმდიდრეს – ფულს გადააქცევს.

ანტონოვის პიესაში „მზის დაბნელება საქართველოში“ იმდროინდელი ქართული საზოგადოებრივი ცხოვრების სრული პანორამაა წარმოდგენილი. პანოს მასშტაბურობა აღტაცებას იწვევს. პერსონაჟები, პირობითად, რამდენიმე ძირითადი ოპოზიციის მიხედვით შეიძლება გაიმიჯნონ: ფულიანი / უფულო; ძველი თაობა / ახალი თაობა; განათლებული / უსწავლელი. აღნიშნულ ოპოზიციებს ერთი რამ აერთიანებს – დაპირისპირება ფულსა და ზნეობრივ ღირებულებათა შორის.

ოპოზიცია ფულიანი / უფულო ანტონოვის კომედიის პერსონაჟთა სოციალური სტატუსის გამომხატველი მთავარი დიქოტომიური წყვილია. იმ დროისთვის, როცა პიესის მოქმედება ვითარდება (1851წ.), ჯერ კიდევ ძალაშია საზო-

გადობის ტრადიციული ფეოდალური დაყოფა; ჯერ კიდევ შენარჩუნებულია ბატონ-ყმობის ეპოქის სოციალური ნოდებები – თავადი, აზნაური და გლეხი და თითოეულ მათგანს პიესაში საკუთარი წარმომადგენელი ჰყავს – შესაბამისად, ინდო შერმანაძე, ზაალ პინტრიშიძე და ბერუა ლაპინაშვილი; თუმცა, ისიც ნათელია, რომ სოციალური განსხვავების მაჩვენებელი მარკერები გაფერმკრთლებულია: ფული არც ერთ მათგანს აღარ აქვს და სამივენი ვაჭარ გეურქ კარაპეტოვის მევალებეები გამხდარან! მათი მთავარი დანაშაული, ასე ვთქვათ, საერთო ცოდვა, სოციალური სიბეცეა: ისინი ვერ აჰყვნენ საზოგადოებაში მომხდარ სოციალურ ცვლილებებს ანუ არ აღმოაჩნდათ ფულის „შოვნის შნო“, და იძულებულნი გახდნენ, დაჰყოლოდნენ კარაპეტას დიქტატს. ვაჭარმა კარაპეტოვმა კი ახალ დროს დიდი წარმატებით აუწყო ფეხი. სწორედ ის და მისი მსგავსი ვაჭრები იქცნენ საზოგადოების მონინავე ფენად, მათ ხელში აღმოჩნდა ქვეყნის კაპიტალი. კარაპეტოვიც ცდილობს მეტად გაზარდოს თვისი ქონება და ქალიშვილი ცოლად შერთოს არა უბრალო ჩინოვნიკს (საუბარი ზედმეტია თავადზე ან აზნაურზე), არამედ – მდიდარ ვაჭარს. მისი ამგვარი სურვილი ბუნებრივიცაა: თუ ადრე ქართველი თავადი არაფრის დიდებით არ მიათხოვებდა გლეხს ქალიშვილს, ახლა ვაჭარიც ზუსტად ასევე იქცევა, რადგან საკუთარ უპირატესობას მშვენივრად ხედავს. მისთვის უმთავრესი ღირებულება ფულის დაგროვებაა და ყველაფერი დანარჩენი მეორეხარისხოვანია. ამ მხრივ, კარაპეტოვი და გიორგი ერისთავის „ძუნწის“ მთავარი პერსონაჟი კარაპეტა, შეიძლება ითქვას, ერთიდაიგივე სახეა. თუმცა, დამგროვებლობის თემა ანტონოვის პიესაში უკვე ნაგულისხმევია და, „ძუნწისგან“ განსხვავებით, ამაზე შედარებით ნაკლებადაა ყურადღება გამახვილებული.

ოპოზიცია *ძველი თაობა / ახალი თაობა* პიესის კიდევ ერთი ცენტრალური ოპოზიციაა, რომელიც დროის (ისტორიული და სოციალური დროის) ცვალებადობას ასახავს. ამის ხაზგასასმელად ტექსტში შემოდის სამი თაობის სხვადასხვა პერსონაჟი. ძველ თაობას წარმოადგენენ: გეურქ კარაპეტოვის დედა – ნენე, მისი ცოლი – რეესიმე და თავად გეურქი, ასევე, მისი მევალენი – ზემოთ მოხსენიებული თავადი, აზნაური და გლეხი. მეორეს მხრივ, ახალგაზრდა თაობას წარმოადგენენ: კარაპეტოვის ქალიშვილი – მარეხი და მისი სატრფო, გეურქას მდგმური გრიგოლი (სამხედრო პირი). თაობებს შორის დაპირისპირებას ერთი ძირითადი მიზეზი აქვს, რომლებიც ნაწარმოების დასაწყისშივე გამოიკვეთება და შემდგომში მთელი პიესის განმავლობაში არაერთხელ გამოვლინდება: სიტყვისა და საქმის სხვადასხვაობა. პირველივე სცენაში, რომელშიც ბებია-შვილიშვილის (ნენე-მარეხის) დიალოგია გადმოცემული, ნათელი ხდება, რომ ძველი თაობა, რომელიც სიტყვით ზნეობრივი ღირებულებების დამცველია და ახალგაზრდებს რჩევა-დარიგებებსაც არ აკლებს, საქმით საპირისპიროს აჩვენებს: ზნეობრივი ღირებულებები (სიკეთე, სიყვარული, პატივისცემა და სხვ.) დეგრადირებულია და მათ მხოლოდ ფული ენაცვლება. ძველი თაობის უკმაყოფილება ახალი თაობის მიმართ თვალსაჩინოა მთელი პიესის განმავლობაში.

ოპოზიცია *განათლებული / უსწავლელი* პიესის არანაკლებად მნიშვნელოვანი ოპოზიციაა, რომელიც თაობათა შორის წინააღმდეგობის მთავარ მიზეზს წარმოადგენს. განათლების არქონა პიესაში ძველი თაობის აღმნიშვნელია. ამ თვალსაზრისით, ერთნაირად უვიცნი, ცრუმორწმუნენი, შეიძლება ითქვას, ბრიყვები არიან როგორც მდიდარი გეურქა და მისი ოჯახის წევრები (ახალგაზრდა მარეხის გარდა),

ისევე – მშიერ-მწყურვალი და გაღარიბებული თავადი, გლეხი და აზნაური. კარაპეტოვი ჯერ კიდევ იმ ეტაპზეა, როცა განათლების მიღებას, ცოდნას ზოგადად მნიშვნელოვნად არ მიიჩნევს, ვინაიდან წარმატებაში, რომელსაც მან მიაღწია, ცოდნა არ დახმარებია, არამედ – მოხერხებულობა და ვაჭრობის ალღო. მას ისევე პანიკურად ეშინია მოახლოებული მზის დაბნელების, როგორც ბევრ, ვაჭრობაში წარუმატებელ მის კოლეგას. ამ თვალსაზრისით, პიესაში მხოლოდ ორი პროგრესული პერსონაჟია – გრიგოლი და მარეხი (ახალგაზრდა თაობა), რომლებიც ეწინააღმდეგებიან წინა თაობას, არ იზიარებენ მათ ღირებულებებს. გეურქასა და დანარჩენებისგან განსხვავებით, ისინი განათლებას ბევრად დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ. თუ მამამისი მხოლოდ ვაჭართა ფენის წარმომადგენელს მიიჩნევს ღირსეულ სასიძოდ, მარეხი არჩევანს ინტელექტის სასარგებლოდ აკეთებს: „იმისი ზრდილობა და სწავლა, უმჯობესი არის ყოველს სიმდიდრეზედა“ (ანტონოვი 2005: 211). ისინი მთელი პიესის განმავლობაში ირონიულად არიან განწყობილნი უფროსი თაობის ცრუმორწმუნეობის, უსწავლელობისა და დამგროვებლობისადმი. შემთხვევითი არ არის, რომ რამდენჯერმე „ვეფხისტყაოსანსაც“ კი დაესესებინან.

საგულისხმოა, რომ პიესაში გამოკვეთილი ყველა ოპოზიციის თვალსაზრისით მარეხი და გრიგოლი გამორჩეული პერსონაჟები არიან. ისინი ახალ თაობას წარმოადგენენ, მხოლოდ მის განათლებულ, ღირებულ ნაწილს, რომლისთვისაც ფული მხოლოდ არსებობის საშუალებაა და არა – ცხოვრების მიზანი, მისაღწევი ყველა წესიერი და არანესიერი გზით. მათი განსაკუთრებულობა ვლინდება პიესის ფინალშიც, როდესაც მთელი ქალაქი დიდუბის მოედანზე იკრიბება მზის დაბნელების სანახავად. შიში მზის დაბნელებ-

ბის წინაშე იმდენად დიდია, რომ ყველაფერი ერთმანეთში ირევა, იზილება და ადაიმანებისთვის ნიშანდობლივი სისუსტეებიც (ტყუილი, ეშმაკობა, თვალთმაქცობა, სიხარბე) მეტი სიმკვეთრით იჩენს თავს. თითქოს მთელი დიდუბის მოედანი კარაპეტას სულისკვეთებითაა განმსჭვალული; გლესაც, თავადსაც, აზნაურსაც, ყველას, ვინც აქამდე წარუმატებელი იყო და ფულის „შოვნა“ არ შეეძლო, თითქოს ამ „უბედურების ჟამს“ (იგულისხმება მზის დაბნელება) საშუალება ეძლევა ეზიაროს კარაპეტას „წარმატების“ საიდუმლოს, რა თქმა უნდა, მისივე „წესებით“! მხოლოდ მარეხი და გრიგოლი ემიჯნებიან ამ ზნეობადაკარგულ სივრცეს.

დიდუბის მინდორი, სადაც პიესის ბოლო მოქმედება ვითარდება, ბაზრის მოედნის ყველა ტრადიციულ ნიშანს ამჟღავნებს:

- *სოციალური სიჭრელე*: სახეზეა სოციალური (წარმოდგენილია ყველა სოციალური ფენა) და ეთნიკური (გვხვდებიან როგორც ქართველი და სომეხი, ისე რუსი, ფრანგი და გერმანელი) სიჭრელე. პიესის ენობრივი ქსოვილიც ჭრელია: პიესის პერსონაჟები საუბრობენ არა მარტო ქართულად, არამედ – სომხურად და რუსულადაც<sup>1</sup>.

- *ტყუილი როგორც ზნეობრივი ნორმა*: ყველა ცდილობს ბუნებრივი მოვლენით – მზის დაბნელებით მანიპულირებას, ვაჭრობის დროს ერთმანეთის მოტყუებას და ა.შ.

- *სანახაობა*: მზის დაბნელებას, რომელიც პიესის სათაურშივე ფიგურირებს, სანახაობის დატვირთვა აქვს:

ზოგი შიშით ელოდება მას, ზოგი სეირის სანახავადაა მოსული, ზოგიც ამ მოვლენას სათავისოდ გამოყენებას ცდილობს. მზის დაბნელების მოლოდინში მყოფი ხალხით სავსე მოედანი დაახლოებით იგივე სიმბოლური მნიშვნელობის მატარებელია, როგორსაც ის ფრიდრიხ ნიცშეს ტექსტში „ასე იტყოდა ზარატუსტრა“ ატარებს, მხოლოდ, ნიცშეს ტექსტში თვალსაყვირად სანახაობას ბაზრის მოედანს ჯამბაზი წარმოუდგენს, ანტონოვის პიესაში კი „შოუს“ ფუნქციას ჩვეულებრივი ბუნებრივი მოვლენა, მზის დაბნელება ასრულებს. იმ საზოგადოების ზნეობრივი ღირებულებები, რომელიც სანახაობით არის გატაცებული, როგორც წესი, დაბალია ხოლმე. ისეთი ღირებულებების მქონე ადამიანს, როგორსაც მრავლად მოუყრია თავი ანტონოვის პიესის ბოლოს, ნიცშე „უკანასკნელ ადამიანად“ მოიხსენიებს. ასე ახასიათებს გერმანელი ფილოსოფოსი ბიურგერული საზოგადოების ცხოვრების წესს და ღირებულებებს, რომლის ერთადერთი საზრუნავი უზრუნველი არსებობა და საკუთარი თვითკმაყოფილებით ტკობაა.

ქართული პიესის სანახაობრივ მხარეს კიდევ უფრო აძლიერებენ და ზეიმურობასა და კარნავალურ ელფერს სძენენ მეზურნეები, საზანდრები და „ტფილისელი შარლატანები“. ისინი მღერიან, ცეკვავენ, ამბობენ ლექსებს, სვამენ ღვინოს და ლალობენ, რაშიც რიგითი ტფილისელებიც აპყობიან. კარნავალის ერთ-ერთი მთავარი ნიშანი, როგორც მიხეილ ბახტინი შენიშნავს, საყოველთაოობა და ადამიანთა შორის სოციალური სტატუსების გაუქმებაა (ბახტინი 1986: 297-298). საკარნავალო მოედანზე ადამიანები თანასწორნი არიან, ამ სივრცეში მნიშვნელობა აღარ აქვს ვინ მეფეა, ვინ – გლეხი და ვინ – თავადი. მიუხედავად იმისა, რომ, სოციალური თვალსაზრისით, მათ შორის უფსკრული არსებობს,

<sup>1</sup> ენობრივი მოდელი ერისთავისა და ანტონოვის პიესების ერთ-ერთი არსებითი მოდელია, რომელიც კონცეპტუალიზებულია ორივე ავტორთან და მნიშვნელოვან სოციალურ და ანთროპოლოგიურ მახასიათებლებს ავლენს. პრობლემის ანალიზი სცდება წინამდებარე ნარკვევის თემას

კარნავალის წიაღში ურთიერთობები ფამილარულ ხასიათს იძენს; მიმდინარეობს საკრალური, მაღალი ღირებულებების პროფანაცია. ანტონოვის პიესაშიც კარნავალური სურათია დახატული, სურათი, რომელშიც ყველა პერსონაჟია ჩახატული. მოედანზე ხომ მთელი ქალაქი იკრიბება: თავადიც, გლეხიც, ვაჭარიც, ღარიბიც, მდიდარიც, განათლებულიც, უნივერსიტეტიც, მოხუციც, ახალგაზრდაც. . . მაგრამ, ანტონოვისეული კარნავალის განმსაზღვრელი ნიშანი ზნეობრივი ღირებულებების დეგრადაციაა, ხოლო ურთიერთობის ერთადერთი ფორმა – ტყუილი. ეს უფრო ფსევდოკარნავალია, ვიდრე კარნავალი. „კარნავალური ნარატივის ჩანაცვლება ფსევდოკარნავალური ნარატივით ტექსტში მოტივირებულია ბრუტალური რეალობის აქცენტირებითა და მასთან პერსონაჟი[ები]ს მიმართების მკვეთრი ფიქსირებით“ (რატიანი 2009: 85). „მზის დაბნელების“ ფინალურ სცენაზე გათამაშებულ ფსევდოკარნავალში, ზნეობრივი თვალსაზრისით, ყველანი კარაპეტოვის სიბრტყეზე დგანან და მხოლოდ ისინი, ვინც არ იზიარებს ამგვარ ღირებულებებს, კერძოდ, გრიგოლი და მარეხი, მზის დაბნელების დროს, გარბიან მოედნიდან, გარბიან შორს ამ ზნეობისაგან დაცლილი სივრციდან. . .

როგორი იქნება ისტორიის პასუხი მწერლის/ მწერლების ბრალდებებზე?

სხვადასხვაგვარი.

საქართველოში აგრესია ვაჭართა ფენის მიმართ ლოიალობით შეიცვლება. შეიცვლება ვაჭართა ცხოვრების წესიც: გაუნათლებლობა და უნივერსიტეტი წარსულს ჩაბარდება. ბურჟუაზია თანდათან გაძლიერდება და მარჯვედ ააჟღარუნებს ახალი ცხოვრების გასაღებს, ფეოდალური საზოგადოების ნანგრევებში მოყოლილი არისტოკრატია კი

ზანტად, მაგრამ ქმედითად დაიწყებს ფიქრს გადარჩენაზე. ეგ არის, რომ გადარჩენის ქმედითი მექანიზმი არასოდეს იქნება ერთგვაროვანი: ზოგი მაღალი ინტელექტუალური და ზნეობრივი ამოცანების დასახვას შეეცდება, ზოგი – გაქცევით უშველის თავს, ზოგი – თაღლითობით, ზოგიც – ბედს მიენდობა. . . 1921 წელს კი, ამ ჯერეთ ჩამოუყალიბებელ სურათს ერთიანად წაშლის საბჭოთა ნიაღვარი, წაშლის, რათა ზედ ახალი ტილო გადაახატოს, გადაჭრელებული საბჭოთა ემბლემებითა და სიმბოლიკით, დოვლათის დაგროვების საბჭოთა კანონებითა თუ უკანონობით.

ბედის ირონიით, არც კაპიტალიზმის პრინციპებზე აშენებულ და დაფუძნებულ დასავლურ საზოგადოებაში ერგება ბურჟუას უკეთესი ხვედრი!

„ბურჟუა. . . თუკი ცოტა ხნის წინათ ეს ცნება შეუცვლელი ჩანდა სოციალური ანალიზისათვის, ახლა ისე იცხოვრებთ წლობით, რომ მას ყურსაც კი ვერ მოკრავთ, – წერს ფრანკო მორეტი, – კაპიტალიზმი ძლიერია, როგორც არასდროს, მაგრამ ადამიანები, რომლებიც მას განასახიერებდნენ, თითქოს უკვალოდ გაუჩინარდნენ“. . . (მორეტი 2014: 11). როგორც ჩანს, რადიკალურად შეიცვალა მიდგომები, თეორიები, ანალიზის პრინციპები. ვინძლო ამითაა გამონვეული „ბურჟუას“ ახალი როლის ძიება საზოგადოებრივი და კულტურული ისტორიის სცენებზე, რომელიც კარგა ხნის დაწყებულია დასავლურ ლიტერატურათცოდნობაში და თავის ყველაზე საინტერესო ფაზაშიც კი შედის, მაგრამ. . . ეს უკვე სხვა ნარკვევის თემაა.

### დამონმებანი

ანტონოვი 2005: ზურაბ ანტონოვი. თხზულებანი. თბ. უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2005.



ბახტინი 1986: Бахтин М. Литературно-критические статьи. Москва: 1986

ბორევი 2001: Боров, Ю. Критический реализм XIX века... В кн: *Теория литературы*, т. IV. Литературный процесс. Москва: ИМЛИ РАН, «Наследие», 2001.

ერისთავი 1993: გიორგი ერისთავი, „ძუნწი“.ახალი ქართული ლიტერატურა (XIX ს.) ქრესტომათია II ნაწილი. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1993.

ვალერშტეინი 1988: Wallerstein, Immanuel. The Bourgeois (ie) as Concept and Reality. *New Left Review* I/67 (January-February) 1988.

კოკა 1999: Jurgen, Kocka. Middle Class and Authoritarian State: Toward a History of the German Burgertum in the Nineteenth Century // Jurgen, Kocka, *Industrial Culture and Bourgeois Society. Business, Labor and Bureaucracy in Modern Germany*, New York/Oxford, 1999.

მორეტი 2014: Морети Фр. Буржуа. Между историей и литературой. Москва: Издательство института Гайдара. 2014

რატიანი 2009: რატიანი ი. ფსევდოკარნავალური ნარატივი რომანში – კულტურათაშორისი დიალოგის ფორმა // ნახნაგი, ფილოლოგიურ კვლევათა წელიწდეული. თბ, გამომც. მემკვიდრეობა, 2009.

ციციშვილი 2015: ციციშვილი თ. ზურაბ ანტონოვი // ქართული რეალიზმის სათავეებთან. თბ. შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის გამოცემა, 2015

## ჟურნალების „გუთნისდაღისა“ და „საქართველოს მოაზრების“ ეკონომიკური კონცეფცია

XIX საუკუნეში საქართველოში განსაკუთრებული სწრაფვა და ინტერესი შეინიშნება ევროპული კულტურისა და ყოფის მიმართ. ქართველთა ბუნებრივი მსგავსება, ერთობა ევროპასთან თავის გამოძახილს ჰოვებდა ამ სწრაფვაში. ამ ეპოქაში ჩვენი უმთავრესი საწინააღმდეგო დაკარგვა და ამით გამონეული ეროვნული გადაგვარების საფრთხე იყო. ერის უკეთეს მამულიშვილთა აზრით, შეუძლებელი გახლდათ ყურადღების მიქცევა ცხოვრების ერთი, რომელიმე მხარისთვის. საჭირო და აუცილებელი შეიქნა ეროვნულ ძალთა გაერთიანება და საერთო (შეთანხმებული) მოქმედება (მუშაობა) ყველა მიმართულებით, ყველა სფეროში.. ასე რომ, გასაკვირი არაა განსაკუთრებული ინტერესი ეკონომიკისადმი (ვაჭრობა, მრეწველობა, სოფლის მეურნეობა, ბანკები...), რადგან ამ პერიოდში ეკონომიკის განვითარებაც ეროვნულ ჭრილში მოიაზრებოდა.

მზადება ეროვნული დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად გულისხმობდა ეკონომიკის გარდაქმნასაც ევროპულ ყაიდაზე, რათა შემდეგ სრულფასოვან ქვეყანას არ გაჭირვებოდა არსებობა, განვითარება, რომ დამოკიდებული არ ყოფილიყო სხვაზე – თუნდ ეკონომიკურად. კაპიტალისტური ეთიკა, ცნობილია, დაუპირისპირდა ნაციონალურ-რელიგიურს. თუ როგორ შეცვალა ადამიანი ფულის გემოს შეცნობამ, ეს პროცესი ჩვენს მწერლობაში კარგად აისახა (გიორგი ერისთავისა და სხვა მწერალთა მიერ), ხოლო ილიას უნდო-

და, ეკონომიკის განვითარება დაყრდნობოდა ქრისტიანულ ზნეობას.

„ილია მთელი თავისი შეგნებით, ლიტერატურული ნაწერებით, მოღვაწეობით მშობელ ერს ეხმარებოდა, გაეცნობიერებინა ახალი ეპოქის მოთხოვნილებები: საჭირო იყო არა მხოლოდ ლიტერატურა, თეატრი, ლექსი, პოეზია, არამედ ბანკი, ვაჭრობა, ალებ-მიცემობა, უპირველესად კი ეკონომიკური, სოციალური მეცნიერებების განვითარება საქართველოში“ (ჩიტაური, 2004: 336).

ამ რწმენის რეალიზებას ემსახურებოდა თვით ილიას ბანკირობა. „არც თუ ისე შორეულ წარსულში ილიას საბანკო საქმიანობის დამცრობა ლიტერატურისადმი „წმინდა სიყვარულის“ რეპრეზენტაციის უტყუარი საშუალება იყო. განსაკუთრებული გულისწყრომა, გამოთქმული ბანკის გამო უქმად დაკარგული დროისა თუ პოეტური კალმის საანგარიშოზე გაცვლის შესახებ, ზედმინევენითი სიზუსტით ავლენდა საზოგადოების ინფანტილურობასა და ზერელობას“, – წერს ნონა კუპრეიშვილი (კუპრეიშვილი, 2007: 288). ხოლო აკაკი ბაქრაძე აღნიშნავდა, რომ მავანთათვის „სიახლე, გარდაქმნა თუ თამამი ინიციატივა ქვეყნის დასასრულთან იყო ასოცირებული“ (ბაქრაძე, 2003: 387).

ილია ჭავჭავაძეს ქვეყნის წინსვლის საფუძვლად ხალხის განათლება მიაჩნდა. 1863 წელს გამომავალი ჟურნალის („საქართველოს მოამბე“) მთავარ დანიშნულებად მან ხალხის ცხოვრების გამჯობინება დასახა და სხვა მრავალ საინტერესო თემასთან ერთად განსაკუთრებული გულისყური მიაპყრო პოლიტიკური ეკონომიკის საკითხებს. აი, რას წერს „საქართველოს მოამბის“ შესახებ ნოდარ ტაბიძე: „საქართველოს მოამბე“ ის ნიშანსვეტია, რომლითაც იზომება ეროვნული გამოცემები. მასთან გატოლებისა თუ კვალ-

ში დგომის სურვილი ბუნებრივად იბადება და ჩნდება კიდევ პარალელები. ამ ჟურნალმა ფერი უცვალა სამამულო პრესას და განვითარების მრავალასპექტიანი კონტურები მოხაზა; უფრო მეტიც, ლიბოდ დაედო თანამედროვე ქართულ მასმედიას“ (ტაბიძე 2003:44).

მრავალასპექტიანი კონტურების ერთი უდავოდ საინტერესო და მნიშვნელოვანი ასპექტი სწორედ ეკონომიკური საკითხების გაშუქებაა. ჟურნალში დაბეჭდილია ნათარგმნი სტატიები ევროპელი მოაზროვნეებისა – ბასტიასი და პრუდონისა. მთარგმნელი – ბ. ვ. – როგორც აღმოჩნდა, თვით ილია ჭავჭავაძეა. კლოდ ფრედერიკ ბასტია – ფრანგი ეკონომისტი და ჟურნალისტი (1801-1850), მხარს უჭერდა კერძო საკუთრებას, თავისუფალ ვაჭრობას და მასში სახელმწიფოს ჩაურევლობას. მან მოამზადა ადამ სმითის საუკეთესო ნაშრომებიდან საკვანძო შინაარსის მქონე ამონარიდების კრებული. ბასტიას მთავარი დამსახურებაა ეკონომიკური მეცნიერების გახალხურება. მან მონახა ენა და ლიტერატურული ხერხები, რომლებიც ყველასათვის, ყველა დროში გასაგები აღმოჩნდა. პიერ ჟოზეფ პრუდონი – ფრანგი პუბლიცისტი, ფილოსოფოსი, ეკონომისტი, ანარქისტი (1809-1865). მთელი ხალხის სულიერი, სოციალ-ეკონომიკური და პოლიტიკური გათავისუფლება უნდოდა.

ბასტიას „ეკონომიკური სოფიზმებიდან“ ამოვიღე მარტო ერთი ნაწილი „მცარცველობის ფიზიოლოგია“, რომელიც ჩვენთვის, იქნებ, უნაყოფო არ იქნესო, – ამბობს სქოლიოში მთარგმნელი ( ჟურნალი „საქართველოს მოამბე“, 1863, №8 ).

„სიმდიდრე – ჩემის ფიქრით – ორიოდე პირის შეძლება კი არ არის, არამედ კმაყოფილება, კეთილმდგომარეობა, უშიშარობა, დამოუკიდებლობა, განათლება ყველასი“. ცხოვრების დაცვა, შემკობა და სისრულეში მოყვანა ორი

რამით შეიძლებაო – „ნამუშევრობით“ (ანუ მუშაობით) და „მცარცველობით“.

მძარცველობაა: ომი და გამარჯვებულთა მიერ დამარცხებულებზე შეუცილებელი უფლება; „მონაობა“ – როცა ერთი მუშაობს და ნაყოფს სხვა იღებს და ბოლოს – „მონოპოლია“. ავტორი მკითხველს განუმარტავს მონოპოლიის არსს და აფრთხილებს იმ საშიშროების შესახებ, რაც მონოპოლიზმს მოსდევს ხოლმე.

როგორც წესი, ბევრი კი არ ჩაგრავს ცოტას, არამედ – პირიქით – ცოტანი ჩაგრავენ ბევრს. ოღონდ „ომიანობასა“ და „მონაობაში“ აშკარაა, რომ ღონე და ძალა ერევა უძლეურებას. აქ ჩაგვრა თვალთ ჩანს, არ იმალება. აი, „მონოპოლიაში“ კი ძარცვა ცბიერებით, მოტყუებით წარმოებს.

„მონოპოლია“ მძარცველობის ერთი სახეა.

„მონოპოლია... მით უფრო დიდ ყბას აღებს, რამოდენადაც ჩასაყლაპავი ცოტავდება, სწორედ ისე, როგორც მწველელი მით უფრო დიდის ძალით ჰსწველის, რამოდენადაც ძუძუ შრება“ (იქვე: 64).

მონოპოლისტები ხშირად ხალხს ყვლეფენ ისე, რომ ხალხმა ამის შესახებ არაფერი იცის და შეიძლება მძარცველის მაღლიერიც იყოს იმისთვისაც, რასაც მას შეარჩენენ ხოლმე, იმისთვისაც, რასაც წაართმევენ და იმისთვისაც – რაც იკარგება. ასეთი მონოპოლიები ხალხის გონებრივი სიბნელით საზრდოობენ და მათ განათლება გააქრობთ. ლამპარი კი ამ შემთხვევაში საპოლიტიკო ეკონომიკაა, რომელსაც დიდი პრაქტიკული სარგებლობა მოაქვს.

დანვრილებითაა საუბარი „საპოლიტიკო ეკონომიის“ სარგებლობაზე. სხვათა შორის, ამავე წელს, ცოტა უფრო ადრე, ამავე საკითხზე ანუ პოლიტიკონომიის სარგებლობაზე საუბარია „გუთნის დედაშიც“. აქ მთარგმნელი მიუთით-

თებს პოლიტიკური ეკონომიკის პრაქტიკულ გამოყენებაზე და აღნიშნავს, რომ ეს მეცნიერება გამოააშკარავებს შეცდომებს და აღმოფხვრის იმ ურიგობას, რომელსაც მძარცველობას ვეძახით. „ვილაცამ – მგონია ქალმა – საპოლიტიკო ეკონომია ჭეშმარიტად ახსნა ამნაირად: იგი ციხეაო, საცა ხალხის ქონებას არაფრის შიში არა აქვსო“.

ნათარგმნ სტატიას თვითონ მთარგმნელი ურთავს ახსნას, რომელშიც აღნიშნავს, რომ სტატიაში აზრები მოკლედ და ზოგჯერ ბუნდოვნადაც არისო გამოთქმული. ამის გამო ახსნაა საჭირო და თვითონვე შევეცდებით (თითქოს ჩვილ ქართველ ხალხს ფხალით ზრდიდეს და კვებავდეს).

სამართლიანი კანონი ცხოვრებისა არის: თავისუფალი გაცვლა ღვანლისა ღვანლზედ „(услуга за услугу)“. მძარცველობა, ძალადობა კი მაშინაა, როცა ღვანლის მიმღები ღვანლის მომტანს არაფერს აძლევს. ეს და ათი წართმევაა მცნებითაც ცხადად აკრძალული. თუ ეს ამბავი კერძო პირთა შორის ხდება, ქურდობაა და ისჯება და თუ ხალხთა შორის ხდება, დაპყრობას ეძახიან და დამპყრობელი დიდებით იმოსება. ეს იმიტომ ხდება, რომ ქურდი მარტო მოქმედებს და საზოგადოება კიცხავს, არცხვენს... დამპყრობელს კი თანამოაზრენი აქებენ, აგულიანებენ, ხოლო დაპყრობილთა საზოგადო ხმა მისგან შორსაა და არ ესმის. ასე რომ, დამპყრობელს უსამართლობის განცდა არა აქვს ხოლმე, თავის დანაშაულს ვერცა გრძნობს...

შემდეგ ავტორი საინტერესოდ და ვრცლად მსჯელობს, ფსიქოლოგის თვალთ აკვირდება გამარჯვებულ-დამარცხებულის ურთიერთობას (ალბათ, საქართველოსა და რუსეთს გულისხმობს უპირველესად).

მონობის მაგალითებსაც ასახელებს და მიაჩნია, რომ მის მოსასპობად კაცთმოყვარეობისა და სარწმუნოების

გრძნობა უღონოა. „იმოდენად მოველი, რომ ძალამ თავის თავს საზღვარი დაუდვას, რამოდენადაც მოველი, რომ მალლიდან წამოსული ქვა თავის თავს შეაყენებს“, – ასეთ მოხდენილ შედარებას მიაგნო.

„საპოლიტიკო ეკონომია“ ამტკიცებს, რომ მონობა მოისპობა საზოგადო სარგებლობის გათვალისწინებით, თავისუფალი შრომით... (შრომის გათავისუფლებაზე იღია „აჩრდილშიც“ წერს). საერთოდ, საჭირო და აუცილებელია ხალხის განათლება, მისთვის ეკონომიკური ცოდნის მიცემა, რათა არ გაბრიყვდეს, მძარცველს არ დაუჯეროს. „ამის წამალი ცოდნაა, ჭეშმარიტებაა. აქედამ გამოდის, რომ ცოდნა უნდა გავრცელდეს, გონება უნდა განათლდეს და ამით წაერთოს საზღო ამ გვარს მცარცველობასა“ და სტატიის ბოლოს კიდევ ერთხელ დაბეჯითებით იმეორებს: „საითაც უნდა წახვიდე, ყოველთვის იმას ნახამ, რომ საზოგადო ხმისა და აზრის განათლება აუცილებელია. სხვა გზა არ არის, რომ ხალხი მცარცველობისაგან დაიხსნას“...

ბასტიას მეორე სტატიაშიც („ორნაირი სწავლა“, №11) საუბარია იმაზე, რომ დამონებულმა თავი არ უნდა მოატყუებინოს, არ გააძარცვინოს მჩაგვრელს. კაცმა შეიძლება იფიქროს, რომ მძარცველობა ბედისწერა ყოფილაო... პოლიტიკური ეკონომიკა არ იკვლევს იმას, როგორი იქნებოდა საზოგადოება, ღმერთს რომ ადამიანი უკეთესი გაეჩინა, – ირონიას გამოურევს ავტორი. ალბათ, შემოქმედმა ზოგიერთი ბრძენი არ მოინვია, როცა კაცს აჩენდა, რომ რჩევა ეკითხა. ეკონომიკა კი სწავლობს იმას, რაც არის... ამიტომ საზოგადოების კანონები უნდა გამოვიკვლიოთ და შევისწავლოთ, რათა ცხოვრება გავაუმჯობესოთ.

ადამიანს თავისი ბუნებით უყვარს სიამოვნება და სძულს შრომა, – ეს ისტორიული დასკვნაა. მაგრამ ისტო-

რია იმასაც გვიჩვენებს, რომ არსებობს ძალა, რომელსაც მძარცველობის, უსამართლობის დამარცხება შეუძლია. ბოროტის მოქმედს, მოძალადეს სარწმუნოება ასწავლის სიკეთეს და ანახებს ჭეშმარიტ გზას. თუმცა მხოლოდ ეს ხერხი საკმარისი არ არის ხოლმე სამართლიანობის დასამყარებლად. საჭიროა, რომ დაჩაგრულმა გაუნიოს წინააღმდეგობა მჩაგვრელს. მაგრამ როგორ, რა გზით? პასუხი ერთია – ცოდნით, განათლებით, ეკონომიკის შესწავლით. ეკონომიკის დანიშნულება ის კი არ არის, რომ ადამიანს დაანახვოს თავისი უნუგეშო ყოფა და ამით გული ატკინოს, არამედ ის, რომ ახსნას და გამოიკვლიოს არსებული. მხოლოდ ამით დაიძლევა ბოროტებაო, დაასკვნის ავტორი. თუ ილიამ მწერლობის დანიშნულებად განსაზღვრა ხალხისთვის სიმართლის თქმა, მისი ყოფის შეუღამაზებლად ასახვა, ბასტიამ იგივე მოვალეობა ეკონომიკურ მეცნიერებათა დანიშნულებად მიიჩნია. სარწმუნოება და განათლება – აი, ორნაირი, ორმხრივი ძალა, რომელმაც უნდა შეცვალოს ცხოვრება.

საქართველოს მოამბის №12-ში მოთავსებულია თერგდალეულის (ილიას) სტატია ამერიკაში ტყვეობის შესახებ. საუბარია ძალდატანებული, მონური შრომის მავნებლობასა და თავისუფალი (თუნდაც დაქირავებული) შრომის სარგებლობაზე. ეკონომიკური გაანგარიშებით, ციფრებით არის დადასტურებული, რომ სამხრეთი, სადაც მონები ჰყავთ, უფრო ღარიბია, ვიდრე ჩრდილოეთი, სადაც მუშას ქირაობენ და შრომის საფასურს უხდიან. მიზანი სტატიისა ქართველი მკითხველის დაინტერესებაა ეკონომიკის მეცნიერებით. სხვა ქვეყნის (ამერიკის) მაგალითით დადასტურებულია, რომ ეკონომიკურად გათვლა, შემოსავლისა და ხარჯის გათვალისწინება საზოგადოებას, ქვეყანას ამდი-

რებს, ხოლო მონური შრომა, მართალია, რამდენიმე პლანტატორს დიდ შემოსავალს აძლევს, თუმცა მთელ საზოგადოებას სიღარიბის ბეჭედს ასვამს.

„საქართველოს მოამბის“ №10-ში დაბეჭდილია თარგმანი პრუდონის წერილისა – „სიღარიბე, როგორც ეკონომიკური პრინციპი“. აზრი პუბლიკაციისა ის გახლავთ, რომ რომელიმე ხალხის კეთილმდგომარეობა თურმე მარტო იმით კი არ გამოიხატება, სარჩო ბევრი აქვს თუ არა, უფრო იმით – ეს სარჩო ყველასთვის მისაწვდომია და თანასწორად განაწილებული თუ არა. რადგან ასეთი რამ არსად არ ხდება, ე.ი. ყველა ხალხი კეთილმდგომარეობას მოკლებულია. და საზოგადოება, თვალად მდიდარი, სინამდვილეში ღარიბია და უილაჯო.

ეკონომიკის პირველი და საშინელი კანონია ჭამა-სმის აუცილებლობა და მისი მოქმედებით პირუტყვეებზე უარესნიც ვხდებით ხოლმე (მოტყუებას, ძალადობას, კაცის კვლასაც... არ ვერიდებით). მეორე კანონი ის გახლავთ, რომ ჭამა-სმის აუცილებლობის ძალით, აუცილებლად უნდა ვიმოქმედოთ და ვიშრომოთ. ეს მარტო ხორცს კი არ არგებს, არამედ სულსაც ააყვავებს. მეცნიერება, ხელოვნება, სიმდიდრე – სულ შრომის ნაყოფია. ე.ი. საჭიროების კანონი გვამდაბლებს, მაგრამ შრომის კანონი გვამაღლებს.

ახლა მესამე კანონი ვნახოთ.

კაცის მიერ მოხმარების შესაძლებლობასა და მის სურვილებს საზღვარი არა აქვს, მაშინ, როდესაც კეთების, შექმნის ნიჭი, უნარი დასაზღვრულია.

სამყაროში ყველაფერი დასაზღვრულია და გარკვეულ ნესრიგს ემორჩილება. კაცსაც თავისი შრომით იმდენი ეძლევა, რამდენიც საჭიროა მისი ხორცისა და სულისათვის. აი, ამას ჰქვია „სიღარიბე“ და ეს გახლავთ ეკონომიკის

მესამე კანონი. აქ შემდეგ საუბრობს ზომიერების აუცილებლობაზე (რომელიც ოთხ სათნოებათა შორის უპირველესია). კაცის ცხოვრების წყარო შრომა და სიღარიბეა, „ბევრს მუშაობდე და გაუნყვეტლად სწავლობდე – აი წესი, რომლის მაგალითსაც სახელმწიფო თავის ხალხს უნდა უჩვენებდეს“. „უნდა... შრომა და ღვაწლი თანასწორად იყოს ყველასაგან კისრად აღებული თავის ნიჭის და შეძლების მიხედვით და ყოველს მუშაკს მის ნამუშევრის და გვარად ფასი უნდა ეძლეოდეს. თუ ეს თანასწორობა არ გექნებათ, თქვენ სიგლახაკეში იქნებით და მთელი თქვენი ნამუშევრობა თქვენთვის უბედურება იქნება“.

რადგან სიღარიბე რიგიანი, უძრახველი და ბედნიერია, არც უნდა გვინდოდეს ასეთი ყოფიდან გამოსვლა. ჩვენ უნდა ზნეობა გავამარტივოთ (ალბათ, განვიმნიდოთ), სიამოვნებას ზომიერად ვექცეოდეთ, შრომა შევიყვაროთ და ყოველი ჩვენი ნადილი და მიდრეკილება სიმართლეს დავუმორჩილოთ.

პოლიტეკონომიკის კანონია: სიმდიდრის განვითარებისათვის უფრო და უფრო თანასწორად გაიყავით ცოდნაც, ღვაწლიც (ე.ი. მუშაობა) და ნამუშევარიცა.

დაახლოებით ეს თქვა ილიამ პოეტურად „აჩრდილში“ შრომის სუფევა, შრომის თავისუფლება რომ იქადაგა.

ვხედავთ, როგორ ემთხვევა ილიას შეხედულებანი ამ საკითხში პრუდონისას. ამ ჟურნალში, ძირითადად, თეორიული ნააზრევია წარმოდგენილი და ეკონომიკური ცოდნა აუცილებელ პირობადაა დასახული სიმდიდრის მისაღწევად.

უფრო პრაქტიკული დანიშნულება აქვს 1861 წელს გამოცემულ „გუთნის-დედას“, რომელსაც ხან გაზეთად, ხან ჟურნალად იხსენიებენ (გამოდიოდა 1861-1876 წლებში).



გამოცემის მიზანია, ევროპული განათლება და გამოცდილება დანერგოს ჩვენში და პრაქტიკულად დაეხმაროს მეურნეს მისთვის მნიშვნელოვან საკითხებში...

„ორმოცდაათი წელიწადია მას აქეთ, როდესაც დასავლეთის ევროპაში მიხვდნენ, რომ მიწის შემუშავების წარმატებისათვის საჭიროა ჰსწავლის საგნები“. ჩვენ იმ ხალხს ვეკუთვნით, რომელთაც თავიდან თქვეს, რა საჭიროა სწავლა, ისედაც ვიცით მეურნეობა, მაგრამ იმათ შეიგნეს სწავლის საჭიროება და „ახლა ჰსწავლით აყვავებულ მდგომარეობაში იმყოფებიან“, – ვკითხულობთ ჟურნალში. „ერთი სიტყვით, საქართველოში სოფლის მეურნეობის განვითარებისა და, შესაბამისად, საზოგადოების მატერიალური ყოფის გაუმჯობესებისათვის, „გუთნის-დედის“ ინიციატორთა და გამომცემელთა აზრით, აუცილებელი იყო მეცნიერული ცოდნისა („ჰსწავლის საგნების“) და ევროპული გამოცდილების პრაქტიკული დანერგვა საქართველოს სოფლის მეურნეობაში“ (ჯოლოგუა, 2011: 196).

ჟურნალი პროპაგანდას უწევს უცხოურ მანქანა-იარაღებს. მაგალითად, ერთ ნომერში მოთავსებულია შუმანის გუთნის სურათი, დაწვრილებით არის ის აღწერილი, გამოკვეთილია მისი უპირატესობა ქართულ გუთანთან შედარებით. გუთანი გამოსაცდელად მიუციათ ივანე მუხრან-ბატონისთვის და რა დარწმუნდნენ მის სიკეთეში, ნომრიდან ნომერში, მიზანმიმართულად, ხანგრძლივი დროის განმავლობაში რედაქცია მკითხველს ამ გუთნის შეძენას ურჩევს, ფასს აცნობს, გამოწერაში დახმარებას ჰპირდება.

ჟურნალი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ევროპული ცხოვრების წესის პოპულარიზაციას და ამის კვალობაზე ქართველ მკითხველს სთავაზობს ფერმის მოწყობას. ერთგან განმარტავს: „ფერმა ამ შემთხვევაში არის მამული,

აშენებული ევროპიის რიგზედ. ანგლიაში და ფრანციაში ფერმას უწოდებენ ყოველს განსაკუთრებულ მამულსა (მინისასა), რომელიცა ცალკე მიეცემა იჯარით“.

საუბარია საქართველოში ორი ფერმის აშენებაზე – ერთისა ქართლში, მუხრანის ახლოს, ქსნის პირზე, ხოლო მეორის – ქუთაისის ახლო, იმერეთში. საყურადღებოა, რომ დასავლეთ საქართველოსაც სათანადო ყურადღებას აქცევენ. მუხრანის ფერმის მეპატრონემ, ივანე მუხრანსკიმ თურმე დაიქირავა სწავლული ფრანგი აგრონომი, ასევე მოიქცა ქუთაისის ფერმის პატრონი, მდიდარი მოსკოველი ვაჭარი ონანოვი, რომელსაც მამულის გამგებლად ჰყოლია აქაური სწავლული აგრონომი, ხატისოვი.

სტატის ავტორი (ივ. ს...ვი) ყურადღებას მიაქცევს, თუ რა დახმარების განევა შეუძლია ასეთ ფერმებს სხვა მემამულეებისათვის, საერთოდ, რა მნიშვნელობა აქვთ მათ მეურნეობის გაუმჯობესებისთვის.

სახალხოდ აზრის გამოთქმა, სიახლეების ერთმანეთისთვის გაცნობა უპირველეს საჭიროებად ესახება რედაქციას. ჟურნალი ერთ-ერთ ნომერში აცნობს მკითხველს სოლომონ ანდრონიკაშვილის გამოცდილებას. რედაქციას წაუმიძღვარებია შესავალი, სადაც ნათქვამია: „ერთი ერთმანეთის მიბაძვა, გამოცდილება და მამულის შემუშავების გასინჯვა მებატონეთა შორის, რომელნიცა თან და თან შორდებიან მამაპაპათ მამულის მოვლის ჩვეულებას, შეადგენენ უპირველეს საგანს მამულის მოვლის გამშვენიერებისათვის“.

ადგილობრივი მეურნეობის ევროპეიზაცია კიდევ ერთხელ, ხაზგასმით, დასახულია ეკონომიკური წინსვლის აუცილებელ წინაპირობად. ახლა ისე სასიამოვნოდ მიგვაჩინია „ჩვენის მდიდარი მიწების მოვლა, იმგვარ სასიამოვნოდ, როგორც ოდესმე მიგვაჩნდა სამხედრო მუზიკის ხმა. ეს სა-

ზოგადოდ ახალის სიცოცხლით განღვიძება, შეიცავს მომავალს წარმატებას“. აქვე იმასაც დასძენს, რომ განახლება უნდა მოხდეს მშვიდად, გონივრულად, ვერიდოთ ფულის ამაოდ ხარჯვასა და სხვა.

ჩანს, ადვილი არ იყო ძველებური, ჩვეული, მამაპაპური მეურნეობიდან ახლებურ ყაიდაზე გადაწყობა, თუმცა ახლის შემოტანისა და დანერგვის აუცილებლობა აშკარა გახლდათ და ამ აზრის დამკვიდრებაში დიდ, მნიშვნელოვან როლს ასრულებდა „გუთნის-დედაც“, რომელიც გვიჩვენებს, არ დაველოდოთ დროს, რომელიც თვითონ შეგვაჩვენებს ახალი იარაღების მოხმარებას და არ დავივიწყოთ ინგლისური გამოთქმა, რომ „დრო იგივე ფულია“.

„ლონდონის ვისტავკის“ გახსნასთან დაკავშირებით ვეცნობით „ანგლიის გაზეთის“ ცნობას. ისე ცოცხლადაა აღწერილი ამბები, რომ თითქოს ჩვენც მონანილენი ვხდებით გამოფენისა. ცისკარზე მზის ამონვერვიდან საღამომდე, ხმაც გვესმის, ფერებსაც ვხედავთ, შენობასაც ვათვალიერებთ, ლონდონის მერის სადღესასწაულო ეკიპაჟს, კემბრიჯის ჰერცოგის, კენტემბერის არქიეპისკოპოსისასა და სხვათა მსვლელობას ვადევნებთ თვალს. სამეფო ტახტის ბრწყინვალეობასაც ვამჩნევთ და არც ქალების ლამაზად მორთვა-მოკაზმვა გამოგვრჩება. ერთი სიტყვით, ჩვენც იმ ოცდახუთი ათასზე მეტ ადამიანში ვურევივართ, გამოფენის გახსნის პირველ დღეს რომ შეკრებილა. ამ წერილით ყურნალმა ლონდონის გამოფენა ქართველისთვისაც ხელმისაწვდომად აქცია, შორეული მოგვიახლოვა, საკაცობრიო გაგვიშინაურა.

სხვა დროს რედაქცია მოკლე ინფორმაციას ბეჭდავს „ტფილისის ვისტავკის“ შესახებ. ჩანს, გამოფენებს დიდ

მნიშვნელობას ანიჭებენ. გახსნას გრიგოლ ორბელიანიც დასწრებია, რაც საგანგებოდაა აღნიშნული ქრონიკაში.

1863 წლიდან რედაქცია ჰპირდება მკითხველს, რომ მამულის სარგებლობის გარდა, ყურადღებას მიაქცევს ვაჭრობის განვითარებასაც. ამისათვის ჩვენ გვიშოვია დიდი აღებმიცემობის პატრონი და ვაჭრობის შესახებ ამბების მცოდნე კაციო. საინტერესოა, რომ სათაურის ქვეშ მინაწერი გახდა: მამულის პატრონობის და ვაჭრობის გაზეთი მანამდე იყო: ადგილ-მამულის მართვის ფურცელი(1861წ. №1) მამულის-პატრონობისა ფურცელი (1862 წ. №1) მამულის – მოვლისათვის (№ 2-დან). ი.ს. (ივანე სერებრიაკოვი) საქართველოსთვის დიდად სასარგებლო საქმედ მიიჩნევს ევროპასთან ვაჭრობის განვითარებას. შამილის დამარცხების შემდეგ მშვიდობა დამყარდა და ხალხს საშუალება მიეცა, თავის მამულს მიხედოსო. „რამდენი ხელი და თავი მიემატა მიწის მუშაობას?...“ მთავარი სათქმელი კი ავტორისა ეს გახლავთ: „ხელისა და თავის გარდა მიემატა მიწას მესამე უმთავრესი საჭიროება მამულის კეთებისა-ფული ანუ თანხა“.

და შემდეგ საუბარია პოლიტიკური ეკონომიის წესზე, თუ როგორ და რანაირად (რა გზით) იშოვება ფული. „თვით გამრავლება ტფილისში ფრანციელების მოდის მაღაზიებისა, რომელიცა პირველის შეხედვით მხოლოდ მფანტველობისა და ბედოვლათობის ნიშანი ჰგონია კაცსა, არის სასარგებლო ჩვენის მიწის გამოსავლისათვის...“ ასე მსჯელობს სტატიის ავტორი და ამტკიცებს, რომ ევროპელები თავიანთ ქვეყანაში ფულის გაგზავნას ამჯობინებენ ადგილობრივი საქონლის გაგზავნას, რათა უფრო დიდი მოგება ნახონ. ეს კი სასარგებლოა ჩვენთვის, ჩვენი მეურნეობის განვითარე-

ბისათვის (ამ ბოლო დროს ევროპელები ყიდულობენ ჩვენს ბამბას, აბრეშუმს, მატყლს, წმინდასანთელსა და სხვას). ურჩევს ქართველებს, ღვინის გასაღების ბაზარი ეძებონ რუსეთში, ისწავლონ დაყენებისა და შენახვის ევროპული წესი, რათა საქონელი გზაში არ გაფუჭდეს. საუბრობს ქარხნების აუცილებლობასა და მათ სარგებლობაზე.

რა არის გამორჩენა (მოგება), რით განისაზღვრება მისი სიდიდე? გაზეთი ასწავლის: მარტო მოგების დათვლით ამას ვერ გავიგებთ. საჭიროა ვიცოდეთ, რა შრომა და ხარჯი ჩაიდო მოსავალში. ასე რომ, ზოგჯერ მცირე მოგება უფრო სარფიანია ხოლმე დიდ მოგებაზე.

საგულისხმოა ანტონ ფურცელაძის „სასოფლო წერილები“. ოთხივე ნაწილი ცალ-ცალკე და ერთად ძალიან საინტერესოა, მიმზიდველი ენითაა დაწერილი, წარმოადგენს თეორიულ განსჯასაც ჩვენი მეურნეობის დაკნინების მიზეზების შესახებ და პრაქტიკულ რჩევებსაც მოსავლისა და ვაჭრობის გასაუმჯობესებლად. სხვათა შორის, ანტონ ფურცელაძესაც აკაკის, ალ. ორბელიანისა და სხვათა მსგავსად, მიაჩნია, რომ ჩვენში ძველად ბატონყმობა არ იყო ძალმომრეობითა და სისასტიკით აღბეჭდილი.

ავტორის აზრით, ევროპიდან ჩვენში სიკეთე რომ შემოდოდეს, კი არ დაგვჩაგრავდა, დიდ წარმატებას მოგვცემდა. ჩვენი გონება ყველაფერს მიიღებდა, მაგრამ სწავლა გვაქვს მცირე (თარგამოსის დროინდელი, წარღვნამდელი...). ანტონ ფურცელაძე გლეხის განათლებაში ხედავს მომავალ წარმატებას. გამოთქვამს ხალხოსნურ იდეებსა და შეხედულებებს.

ასეთი გახლავთ ჟურნალების, „საქართველოს მოამბისა“ და „გუთნის-დედის“, ძირითადი ეკონომიკური კონცეფცია.

## დამონმებანი

ჟურნალი „საქართველოს მოამბე“, 1863, №8, №10, №11, №12.

ჟურნალი „გუთნის-დედა“, 1861-1873

ბაქრაძე 2003: ბაქრაძე ა., თხზულებანი, ტ. 1, თბ. 2003 კუბრეიშვილი: კუბრეიშვილი ნ., ილიას ბანკი და სოციოცენტრიზმის დეფიციტი. წიგნში: ილია ჭავჭავაძე – 170, თბ., 2007  
ტაბიძე: 2003 ტაბიძე ნ., „საქართველოს მოამბე“, მნიგნობარი, 3, თბ., 2003

ჩიტაური: 2014 ჩიტაური ნ., დროთა შესაფერისი სამამაციონი ზნენია, კრებ.: „ილია ჭავჭავაძე გლობალიზაციის სათავეებთან“, თბ., 2014

ჯოლოგუა : 2011 ჯოლოგუა თ., ქართული ჟურნალისტიკის ისტორია, ნაკვეთი I, თბ., 2011

## ეკონომიკური კონცეპტები ილიას პროზაში

გასაგები მიზეზების გამო ნახევარ საუკუნეზე მეტია, რაც ილია ჭავჭავაძის პიროვნებას და შემოქმედებას ქართული ლიტმცოდნეობის ყურადღების ცენტრშია. არსებობს კიდევ მეცნიერული კვლევის ასეთი მიმართულება – ილიალოგია, რომელსაც რეალური მიღწევები გააჩნია. რამდენადაც მრავალმხრივია თვით ილიას მოღვაწეობა, იმდენად განსხვავებული აღმოჩნდა ინტერესთა ის სხვადასხვა სფერო, რომელიც ამ ტიპის ნაშრომებში გამოიკვეთა. თუმცა შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, რომ არსებობს კვლევის კიდევ ერთი ახალი მეთოდი, რომელიც არც ილიასა და არც სხვა რომელიმე ქართველი მწერლის შემოქმედების ინტერპრეტირების პროცესში ჯერ არ გამოუყენებიათ. ეს გახლავთ ამერიკულ ლიტმცოდნეობაში ფაქტობრივად XX – XXI საუკუნეთა მიჯნაზე ჩამოყალიბებული ახალი მიმართულება, ე. წ. ახალი ეკონომიკური კრიტიკა, რომლის არსებობას ეკონომიკისა და ლიტერატურის ურთიერთდაახლოებას, ლიტერატორთა და ეკონომისტთა ინტერესთა ურთიერთგადაკვეთას უნდა ვუმაღლოდეთ. ამიტომაც პოსტსაბჭოთა სივრცეში ეკონომიკური კრიტიკის პირველი ნარმდგენი მიხეილ გრონასი, რომელიც 2002 წელს ჟურნალ „ახალ ლიტერატურულ მიმოხილვაში“ (Гронас, 2002, 129) სათანადო განმარტებებით ამავე სახელწოდების თეორიულ რუბრიკას უძღვება, წერს კიდევ: „კვლევები ეკონომიკისა და ლიტერატურის გადაკვეთაზე ავლენენ ჰუმანიტარებს, რომლებსაც აინტერესებთ ეკონომიკა და ეკონომისტებს,

რომლებიც გულგრილნი არ არიან ლიტერატურის მიმართ“. რამ განაპირობა ეს?

ახალი ეკონომიკური კრიტიკის პირველივე, ასე ვთქვათ, საბაზისო კრებულის შესავალ წერილში (The new ekonomik criticism, Ed Marta Woodmance, Mark Osteen, 1999) ავტორები სამ ძირითად მიზეზზე მიუთითებენ: „1. ლიტერატურათმცოდნეობამ უკან, ისტორიული მეთოდებისკენ დაიხია და უგულვებლყო დეკონსტრუქცია, სემიოტიკა და 1970-80-იან წლებში გაბატონებული სხვა ფორმალისტური მეთოდები; 2. ამ თეორიული გარღვევის მიზეზებმაც და შედეგებმაც აიძულა ლიტერატურის კრიტიკოსები ეძებნათ ახალი გაუკვალავი გზები და 3. კულტურული კვლევების განვითარების პროცესი ადვილად ექვემდებარება ეკონომიკურ განმარტებებს“ (თარგმ. თ. ლომიძის). ამასთან ერთად იგივე გროისი საუბრობს რა ეკონომიკური კრიტიკისთვის დამახასიათებელ ინტერდისციპლინარულ ექსპანსიაზე, ყურადღებას ამახვილებს თანამედროვე სამყაროში ეკონომიკის, როგორც დარგის, პრესტიჟულობაზე, ჩიკაგოს ნეოკლასიკური ეკონომიკური თეორიების პოპულარობასა (რად ღირს თუნდაც ამ სკოლის უპირველესი ლიდერის, ნობელის პრემიის ლაურეატის, მილტონ ფრიდმანის დასახელება) და ამ ფონზე ამერიკულ და დასავლურ აკადემიებში ჰუმანიტარული დისციპლინების, კერძოდ კი კლასიკური ლიტერატურისადმი საზოგადოებრივი ინტერესის საგრძნობ კლებაზე, რამაც, მისი აზრით, იდეების აკადემიურ ბაზარზე, ეკონომიკური კრიტიკის სახით, შეუწყო კიდევ ხელი ამ ახალი ბრენდის გაჩენას.

იმათთვის, ვისაც ამ მხრივ სერიოზული ინტერესი გაუჩნდება, ზემოდასახელებულ კრებულსა და სტატიაში მითითებულია საინტერესო ლიტერატურა, რომელიც, სხვათა

შორის, ეკონომიკური კრიტიკის, როგორც კვლევის ახალი მეთოდის, ერთგვარ გენეზისსაც წარმოგვიდგენს. ეს ავტორებისა: დონალდ მალი – „ფული და მისი გადაქცევა ცნობიერების მასალად“, 1973; ჟან-ჟოზეფ გუ – „ფროიდი. მარქსი: ეკონომიკა და სიმბოლიზმი“ (1973), მარკ შელი თავისი მნიშვნელოვანი ნაშრომით „ლიტერატურის ეკონომიკა“ (1978), მისივე „ფული, ენა და აზროვნება“ (1982), კურტ ჰაინზელმანი წიგნით „წარმოსახვის ეკონომიკა“ (1980); მაკ კლოსკი დონალდი „ეკონომიკური რიტორიკა“ (1985); ფილიპ მიროვსკი „მეტი სიცხე, ვიდრე სინათლე“ (1989); ნელსონ რობერტი „ეკონომიკა როგორც რელიგია“ (2001).

ჩვენი მოხსენების ფორმატი არ გვაძლევს საშუალებას, რამდენადმე სრულად მოვიცვათ, ან თუნდაც ძირითად პარამეტრებში შევეხოთ დასახელებულ ავტორთა მიერ თავის დროზე მიკვლეულ ან აქცენტირებულ ამ საინტერესო საკითხებს. ამჯერად ჩვენ განსხვავებული მიზანი გვაქვს. ამიტომ წარმოდგენილი თემის მართებული სტრუქტურირებისათვის აუცილებელი და ვიტყვით, ფუნდამენტური დეტერმინირებით შემოვიფარგლებით. მხედველობაში გვაქვს ეკონომიკური კრიტიკის შიგნით არსებული სამი ძირითადი ვექტორი, რომელიც აღნიშნული მეთოდით კვლევის საგანსაც და თავად მეთოდსაც მეტი სიცხადით წარმოაჩინს:

ა) ლიტერატურის ეკონომიკა, ანუ ლიტერატურის ფუნქციონირების ეკონომიკური (პროფესიული, ინსტიტუციური) ასპექტების ანალიზი. მასში შედის: ტირაჟის, მასობრივი და ელიტარული წიგნების ბაზრების, ლიტერატურული მარკეტინგის, ჰონორარის, პატრონაჟის, ლიტერატორთა პროფესიონალიზაციისა თუ ლუმპენიზაციის პროცესის შესწავლა, რაც ამდღერებს ლიტერატურის ისტორიას,

ცხადყოფს ლიტერატურული ფაქტების მნიშვნელობას.

ბ) ეკონომიკა ლიტერატურაში – ლიტერატურულ ნაწარმოებებში წარმოდგენილი ეკონომიკური ცნებებისა და მოვლენების ანალიზი, ეკონომიკური პრობლემატიკის ასახვა მხატვრულ ტექსტებში.

გ) ლიტერატურასა და ეკონომიკას შუა – ლიტერატურულ და ეკონომიკურ ღირებულებათა რიტორიკის ურთიერთზემოქმედების ანალიზი; ეკონომიკის რიტორიკა და ტექსტუალური ეკონომიკა (მაგ. ტროპები, როგორც ტრანზაქციები და სხვ.).

ახალი ეკონომიკური კრიტიკის ამ სამ ძირითად ვექტორთაგან ილია ჭავჭავაძის შემოქმედების კვლევა უპირატესად მაინც იმ მიმართულებითაა შესაძლებელი, რომელსაც „ეკონომიკა ლიტერატურაში“ ეწოდება. ლიტერატურაში ასახული ეკონომიკა – ეს არის ლიტერატურულ ნაწარმოებში წარმოდგენილი ეკონომიკური ცნებების და მოვლენების ანალიზი, ლიტერატურულ ტექსტებში უკუფენილი ეკონომიკური პრობლემები. თუმცა ილიას რანგის შემოქმედის კვლევისას ვერც დანარჩენი ორი ვექტორის იგნორირება მოხერხდება. მაგ. ლიტერატურის ეკონომიკის, ანუ ლიტერატურის, როგორც მოღვაწეობის ერთ-ერთი ფორმის ფუნქციონირების განხილვა (პროფესიულ და ინსტიტუციურ დონეზე), მწერლობის პროფესიონალიზაციის ასპექტები; იგივე შეიძლება ითქვას მესამე ვექტორზეც – ლიტერატურასა და ეკონომიკას შუა – რომლის საშუალებით თვალს მივადევნებთ ლიტერატურულ და ეკონომიკურ ინტერესთა რიტორიკის ურთიერთზემოქმედების ხარისხს და სხვ.

ილია ჭავჭავაძე მთლიანი პიროვნება იყო. ამიტომ მის მხატვრულსა და პუბლიცისტურ ტექსტებში საკმაოდ თვალნათლივ იკვეთება იდეურ-კონცეპტუალური პოზი-



ციის არსობრივი კავშირი სახეობრივ სისტემასთან, რასაც ჩვენ მიერ უკვე ნახსენები ილიალოგები კრიტიკული და მხატვრული ნარატივის ურთიერთდაახლოებას, მათ ერთგვარ კორელაციას უწოდებენ (კალანდარიშვილი, 2007, 28). ილიას მხატვრული აზროვნების სწორედ ეს თავისებურება გვაძლევს საშუალებას მისი ტექსტების ანალიზისას გამოვიყენოთ ეკონომიკური კრიტიკის მეთოდოლოგია და თამამად ვისაუბროთ ახლა უკვე ლიტერატურულ და ეკონომიკურ დისკურსთა თანაარსებობის სრულიად გარკვეულ ფორმებზე. მაგალითისთვის გავიხსენოთ ილიას წერილები მევენახეობა-მელვინეობაზე, ვენახის განაშენიანების ტექნიკურ საკითხებზე, ღვინის დაყენების ისტორიულად ადაპტირებულ თუ მომავალში დასახვეწ ნესებზე. ეს ცოდნა ირიბად არეკლილია კიდევ არჩილისა და გიორგის იმ საუბარში, რომელსაც „ოთარაანთ ქვრივის“ ერთ-ერთ თავში, სახელწოდებით „უცნაური წკიპურტი“, ვხვდებით; ან ავიღოთ ოთარაანთ ქვრივის ურთიერთობა მათხოვართან, რასაც თავად ილია „პილპილმოყრილ მადლს“ უწოდებს. ეს ურთიერთობა, რომელიც, პირველ რიგში, მათხოვარში კონკრეტულად – პიროვნული ღირსების გაღვივებას, უფრო ზოგადად კი – უსაქმურობისა და მცონარობის გმობას ემსახურება, საკმაოდ წინააღმდეგობრივია. ეკონომიკური კრიტიკის კონტექსტში მრავალგზის ციტირებული ჩუქების აქტის თვალსაჩინო ანალიტიკოსის, ფრანგი სოციოლოგის მარსელ მოსის (მხედველობაში გვაქვს მისი „ნარკვევი ჩუქების შესახებ, ანუ ჩუქების ფორმირება და დამკვიდრება არქაულ საზოგადოებაში“, 1923) მიხედვით, ჩუქება, სასაქონლო ურთიერთობათა წინა ეტაპია, ერთი შეხედვით ნებაყოფლობითი, სინამდვილეში კი სავალდებულო და ამასთან საკმაოდ ორაზროვანი. იგი განასახიერებს

თავისებურ ეკონომიკურ წესრიგს, რომლის დროსაც ჩვეულებრივ სისხლითა და რევოლუციით მიღწევადი სიმდიდრის გადანაწილება უმტკივნეულოდ ხორციელდება. ილიას გმირი ქრისტიანული ქველმოქმედების პრინციპით მოქმედებს, სადაც ჩუქებას, გაცემას, წყალობის გაღებას უდიდესი ადგილი უჭირავს. თუმცა შეინიშნება ის ორაზროვნებაც, რომელზედაც მოსის კვალდაკვალ ყურადღებას ბურდიეც ამახვილებდა (ბურდიე ჩუქებას „ორგვარ ჭეშმარიტებასაც“ უწოდებდა, Гронас, Бурдые о культуре). ქრისტიანული ალტრუიზმის გამომხატველი ოთარაანთ ქვრივისთვის გართულებულა ჩუქების ანგარებიანი მოტივაციისგან (გაცვლის თავისებური ლოგიკით, მჩუქებელს ჩუქება ძვირად უჯდება, მიმღებს კი გარკვეული ვალდებულება ეკისრება) სრულად გათავისუფლება. აქედან მისი ცნობილი ფრაზაც: „ამ წუთისოფელში ვისა აქვს მეტი ლუკმა, რომ შენც გაძლიოს. ვერა ხედავ, შე გულმკვდარო, რომ ვინც კია, წელებზედ ფეხს იდგამს და დღის სარჩოს ძლივსლა ჰპოულობს და შენ როგორღა გარჩინოს... ქვეყანას თავისი თავი კი შეუნახავს, რომ ეგ შენი ბრიყვი თავიც ინახოს?...“ აშკარაა, აქ ერთ გმირში „მჩუქებელი ადამიანი“ – Homo Donator-ი და ეკონომიკური ადამიანი, Homo economicus-ია პერსონიფიცირებული. ეკონომიკური კრიტიკის მიმდევრები კი იტყოდნენ, რომ ილიას ეს პერსონაჟი რწმენის კულტურისა და ბაზრის კულტურის მიჯნაზე დგას. მართლაც, თუ გავითვალისწინებთ იმ სიმბოლურ-ალეგორიულ დატვირთვას, რომელიც კონკრეტულად ოთარაანთ ქვრივის მხატვრულ სახეს, მთლიანობაში კი მთელ მოთხრობას ენიჭება, მივხვდებით, რომ ავტორს, რომელსაც სურს ქართული საზოგადოება უმნიშვნელოვანესი სოციო-ეკონომიკური ძვრებისთვის მოამზადოს, პერსონაჟთა ქცევის სწორედ ასეთი მო-

ტივაცია სჭირდება. მან კარგად იცის, რომ განსხვავებულ სოციო-კულტურულ გარემოს განსხვავებული მორალი და ეკონომიკური ურთიერთობები მოაქვს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ „Homo donator“, ანუ ადამიანი პირადი ინტერესის გარეშე, როგორი კეთილშობილიც არ უნდა იყოს იგი, თუნდაც მას შემდეგ, რაც დევიდ იუმმა და ადამ სმითმა (დიდი შოტლანდიელი განმანათლებლები) საზოგადოებრივი განვითარების სტიმულატორად სიხარბისგან ტრანსფორმირებული ადამიანის პირადი ინტერესი აღიარეს, ძველ ფორმასა და შინაარსს უცვლელად ვერ შეინარჩუნებს. ამ ლოგიკით ჩუქებასთან ოთარაანთ ქვრივისა და მისი ავტორის მსგავსი დამოკიდებულება სრულიად ბუნებრივი უნდა გვეჩვენოს.

ილიას პროზაულ ტექსტებსა და მასთან ერთად მთელ რიგ პუბლიცისტურ მასალაში ეკონომიკისა და ლიტერატურის საინტერესო ურთიერთშელწევადობას სეკულარიზაციის პრობლემამდეც მივყავართ. ილიალოგთა ერთი ნაწილი ამაში ილიას ქრისტიანული მრწამსის შებღალავს, მასში ეჭვის შეტანის მცდელობას ხედავს. თუმცა თვით ილიას მიერ ქრისტიანული სიბრძნის ახალ ეკონომიკურ წესრიგთან მორიგების მცდელობა დასტურდება მისივე უნივერსალური ფორმულით „ლონე ხორციელი და ღონე სულიერი“, რომელიც კაპიტალისტური ეთიკისათვის დამახასიათებელი მოხვეჭა-დაგროვებისა და გადამეტებული სიხარბისათვის ზომიერების დაპირისპირებას გულისხმობს, სწორედ აქ ჩნდება მსგავს ანტინომიებთან ილიასეული მიდგომის პრინციპი, რომელსაც თავის დროზე მკვლევარმა კ. კაციტაძემ „ფაქიზი ბალანსირება“ უწოდა (კაციტაძე, 2007, 18). „ოთარაანთ ქვრივშივე“ „უქმი სიტყვის“ სინონიმად „ტკბილი სიტყვის“ წარმოდგენა – „რას მიქვიან ტკბილი სიტყვა?“ – (მაშინ, როდესაც ტკბილსიტყვაობა, კეთილსიტყ-

ვაობა, სიტყვაკეთილობა, თაფლსა და გოლეულზე უტკბესობა, ბიბლიის მიხედვით, საღმრთო სიტყვის, ლოგოსის მნიშვნელობას უკავშირდება და უქმ სიტყვასთან საერთო არაფერი აქვს), უფრო ზუსტად კი სემანტიკური გადანაცვლება, რასაც აქ „უქმი სიტყვის“ სახისმეტყველებითი მოდელი განიცდის, მიმდინარე და მოსალოდნელ კატაკლიზმათა ილიასეული ხედვის სიღრმეზე მიგვანიშნებს. გარდა ამისა, ეკონომიკური კრიტიკა ათვალსაჩინოებს მომენტის ისტორიულობასაც, რომელიც დროის ამ უღელტეხილზე „თერგდალეულთა“ და განსაკუთრებით ილიას მიერ ახალი ლოგოსის, „ქართველობის ახალი პარადიგმის“ (ფირალიშვილი, 2007, 42) და ახალი ეკონომიკური აზროვნების ერთდროულად წარმოქმნას უკავშირდება. ევროპულ სინამდვილეში ამ დროს (და ცოტა ხნით კიდევ უფრო ადრეც), კომერციული კაპიტალიზმის სწრაფი განვითარებისა და ინტუიტიური კონსოლიდაციის პირობებში, როდესაც დადგა ეკონომიკის, სახელმწიფოს, მორალისა და სამოქალაქო უფლებების ახლებური აღწერებისა და აპოლოგიის საჭიროება, პოლიტიკურ ეკონომიასთან ერთად იქმნება რომანი და ეს უბრალო დამთხვევად სულაც არ არის მიჩნეული. ჯეიმს ტომპსონის აზრით, თუკი რომანი არის დისკურსი, რომელიც აღწერს ან წარმოგვსახავს და ამ გზით წარმოქმნის პრივატულობასა და ოჯახურ ცხოვრებას, პოლიტიკური ეკონომია არის დიკურსი, რომელიც წარმოადგენს ან აღწერს სამოქალაქო საზოგადოებასა და საჯაროობას (პაბლისიტი) (Woodmanse, Osteen, თარგმ. თ. ლომიძის). ჩვენ კი მხოლოდ XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან ვინყებდით ანალოგიურ პრობლემებზე ფიქრსა და განსჯას, ამიტომ სავსებით ბუნებრივია ახალი სამეტყველო ენის, ანუ როგორც უკვე ითქვა, ახალი ლოგოსის და ახალი ეკონო-

მიკუური ურთიერთობების, რომელსაც ილია „კაცთა შორის ურთიერთობის წესსაც“ უწოდებდა, ფორმირების პროცესთა დროის ერთ ლოკალში მოქცევა.

გავიხსენოთ, ილიას სწრაფვა რეფორმირებისკენ. იგი კულტურული ლინგვისტიკის შექმნასთან ერთად რამდენიმე სასიცოცხლო მნიშვნელობის საკითხსაც მოიცავდა: ა) დაცემული ვინაობის აღდგენას, ბ) ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ევროპეიზებას; გ) თავად ქართველში ოპტიმიზმისა და აქტიურობის გაღვიძებას. ამგვარ პროგრამირებას კი თავისთავად მოჰყვა ცხოვრების ეკონომიკური მხარის მუდმივად აქცენტირების აუცილებლობა, რაც ილიას ეკონომიკური მოძღვრების შექმნით დაგვირგვინდა. სრულიად ახლებურად, განსხვავებული რაკურსით დასმული კითხვიდან – „რა ქონებამ გაუძლო ამისთანა ყოფას? რა ჰკვებავდა ხალხსა, რა ქონებით უძღვებოდა ამოდენა ომებსა და სისხლის ღვრასა?“, რომელსაც, სხვათა შორის, ივ. ჯავახიშვილმა „საქართველოს ისტორიის დიდმნიშვნელოვანი კითხვა“ უწოდა – ვიდრე საყოველთაო პროგრესის იდეამდე (კომუნისტებმა მას უტოპიური, ხოლო თავად ილიას უტოპისტი უწოდეს), ილია დაბეჯითებით ნერგავდა ქართველთა „თვითმოძრაობისა“ და „თვითმსჯელობის“ რწმენას. ამან კი „ეკონომიკის გალიტერატურებისა“ და პირუკუ, „ლიტერატურის გაეკონომიკურების“ მისეულ ხერხებს გარკვეული სპეციფიურობა მიანიჭა. პუბლიცისტური დისკური, რომელიც დროში, როგორც წესი, უსწრებდა ხოლმე ლიტერატურულს, ხშირად ამ უკანასკნელის იდეურ-მხატვრული სისავსის გენერატორად იქცეოდა, ზოგჯერ კი პუბლიცისტურ წერილში წლების წინ დასმული პრობლემა პირდაპირ თუ ფარულად მოგვიანებით იჩენდა თავს ლიტერატურულ სახეებსა თუ ტიპებში, რაც იმის დასტური იყო,

რომ ილია ამ კონკრეტულ საკითხს განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა.

ილიას ეკონომიკური ხედვა თავდაპირველად რეპრეზენტირებულია აზრობრივად მეტად ტევადსა და ზუსტ იდეოლოგემაში: „სხვის დახლთან მდგარი ერი“ (ნინიძე, 2007, 11), რომელიც აღებ-მიცემობასთან, როგორც ცხოვრების ახალ სავალდებულო წესთან და ქართველთა მიერ ამ წესის უგულვებელყოფასთან ასოცირდება: „ჩვენი უღონობა, ჩვენი უსაქმურობა სხვას საქმიანობათ გაუხდია. ჩვენი უცოდინარობა სხვის ცოდნად ქცეულა და ამების წყალობით ჩვენი ქვეყანა დღეს წარმოადგენს თაფლს, რომელსაც ბუზი ბაღდადიდან მოჰყავს... ჩვენს გარეთ კი ჩვენი ხსნა სიზმარია...“ ილიას ტექსტებიდან ამგვარი და ამაზე ბევრად უფრო მწარე ციტატების ამოკრეფა არავის გაუჭირდება. თუმცა აქ საყურადღებო ისაა, რომ 1863 წელს დაწერილი „კაცთა-ადამიანის“ ერთ თავში, რომელსაც პირობითად „სადარბაზო ხანი“ შეიძლება ვუწოდოთ, პერსონაჟთა ბრიყვულ დიალოგებში (ეს დიალოგი დარეჯანს, ელისაბედსა და ლუარსაბს შორის იმართება) უკვე ჩანს პრობლემის სათავე – ჩვენებური თავადაზნაურობა, რომელიც არა მარტო უუნარობას, არამედ ცხოვრების რეალური რიტმისგან, მისი საჭიროებისგან სრულიად გაუმართლებელ განაპირებას ავლენს.

თვალნათელი ნიმუში იმისა, როდესაც ერთ კონკრეტულ ტექსტში პუბლიცისტი და მწერალი ერთიანდება, მაინც „გლახთა განთავისუფლების პირველ დროების სცენები“ (1865). აქ ილია ნარატორიცაა და საზოგადოებრივი აგენტიც, ანუ იმპერატორ ალექსანდრე მეორის ბატონყმური რეფორმის იურიდიული და ეკონომიკური მხარით დაინტერესებული სახელმწიფო მოხელე (დეშეთის პერიოდი), მჭვრეტელიცა და მოვლენათა უშუალო რეგულატორიც.

აქედან თვით ამ ნაწარმოების ჟანრული თავისებურებაც. იგი მხატვრულ-პუბლიცისტურია. როდესაც ილიას შემოქმედებას „რუსული იდეის“ (ანუ, როგორც ტ. ტაბიძე იტყობდა, „რუსული ხორბლის“) ილუსტრაციად განვიხილავთ (კაკაბაძე, 2008, 47), უნდა გვახსოვდეს, მიუხედავად რუსეთის იმპერიის მთელ ტერიტორიაზე 1862-64 წლებში განვითარებული მოვლენების ერთფეროვნებისა, ის, რასაც ილიასთან ვხვდებით, ლოკალური ქართული რეაქციაა ცხოვრების ჩვეული რიტმის ცვლილებასა და დაჩქარებაზე. ამკარაა, არც მებატონე და არც ნაყმევი რეალური ტრანსფორმაციისთვის მზად არ არის, მეტიც, მტრულად აღიქვამს იმას, რაზედაც, ფაქტობრივად, ბუნდოვანი წარმოდგენა აქვს.

რად ღირს თუნდაც მოხუცი ქვრივი თავადის ქალისა და მისი მაზლის არაადეკვატური რეაქცია მოსამართლე – „პოსრედნიკის“ შეკითხვაზე, მწირმინიანებია ხართ თუ არაო. „როგორ გეკადრებათ, ვინ ჩვენ და ვინ მცირე მინა, დიხნაც, დიდი მინის პატრონები ვართო“. ჩვეულებრივი თავადური კუდაბზიკობა ახალ კანონებში ჩაუხედავებს მოსალოდნელზე ძვირად უფლებათ, რადგან მათ, როგორც ნაბატონარებს თავიანთ ნაყმევთათვის ფულადი კომპენსაციის გადახდას ავალდებულებს. ეს კი გულწრფელი პასუხის შემთხვევაში არ მოხდებოდა.

ლიტერატურისა და ეკონომიკის გადაკვეთაზე ილიას პროზაში წარმოდგენილი ოპოზიციური წყვილები: დათიკო – გაბრიელი, დათიკო – პეპია („გლახის ნაამბობი“), ძველი მებატონე – იაკო შაიაშვილი („გლეხთა განთავისუფლების სცენებიდან“), ლუარსაბი – დათო, დარეჯანი – ლამაზისეული („კაცია-ადამიანიდან“) ბატონყმობის გაუქმების წინა პერიოდს მოიცავს და სოციალ-ეკონომიკური „რეფორმაციის“ ქართული იდეის მხატვრულ ტრანსფორმაციას წარ-

მოადგენს. ცხოვრების ამ მხარის დანახვის ილიასეული უნარი, ამკარად, გამორჩეულია. იგი ეფუძნება ყოველდღიურობაში თითქოს უსისტემოდ მიმოხეული, ერთი შეხედვით, უმნიშვნელო ყოფითი დეტალების აღმოჩენას და მათ შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირის ზუსტ ფიქსაციას, რასაც რობერტ ჰაილბრონერი თავის ნიგნში „დიდ ეკონომიკურ მოაზროვნეთა ცხოვრება: დრო და იდეები“ (Hailbroner, 1985) „ეკონომიკურ ურთიერთობათა ბადის ქსოვის“ ნიჭს უწოდებს. სწორედ ამგვარმა რეპროდუცირებამ მიიყვანა ილია საკუთარ ქვეყანასთან ქართველთა გაუცხოების, მათ მიერ ეკონომიკური ცხოვრების სრულად დათმობის ტრაგიკულ აღქმამდე: „ჩვენ შუასაუკუნეთა რაინდობის ანდერძებით გულს ვიფხანდით, თავს ვინწონებდით: ხმალი, თოფი, ცხენი, რახტი, ლამაზი ქულაჯა და სხვა ამგვარი შეადგენდა საგანს ჩვენის ნატვრისა და წყურვილისას და როცა ჩვენ გატაცებული ვიყავით ამ ნატვრითა და წყურვილით, ჩრჩილი შემოგვეპარა. ჩვენის ერის ნაშრომ-ნაღვანი ჩვენგან დაწუნებული ვაჭრობით ხელთ იგდო, ამ გზით საქმით გაგვიბატონდა, ყმად დაგვიჭირა და სიტყვით კი თავს გვიქონავდა და გვეძახდა, – ბარაქალაო, კაცებიც თქვენა ხართ და ქუდიც თქვენა გხურავთო; ჩვენ ეს ბარაქალა დავიჯერეთ, ამით მოვტყუვდით... ბურთი და მოედანი ეკონომიკური ცხოვრებისა... დაინარჩუნა იმან, ვინც უფრო მალე მიხვდა დროთა ბრუნვას, დროთა ჭირ-ბოროტს“ (ჭავჭავაძე, 1956, 113).

ეკონომიკური კრიტიკა, პირველ ყოვლისა კი, ეკონომიკის დიდი მამების ანალიტიკური განსჯის მასშტაბურობა ან მოსისეული „განჩხრეკის“ პრინციპი, არა მშრალი სოციოლოგიური (მხედველობაში გვაქვს ე.წ. სოციოლოგიური კრიტიკა, რომელთანაც ხშირად მცდარად აიგივებენ ეკო-



ნომიკურ კრიტიკას – ნ.კ.) კვლევებისკენ, არამედ კლიშეებისგან თავისუფალი მიდგომებისკენ გვიბიძგებს, რითაც ხსნის კიდევ ინტერპრეტაციის ახალ ჰორიზონტებს. რაც უფრო წონადია საკვლევი მასალა, მით უფრო შთამბეჭდავი და ყოვლისმომცველია მიღებული შედეგი. გავითვალისწინეთ რა დასავლურ-რუსულ ლიტმცოდნეობაში ამ მიმართულებით მიღწეული ხელშესახები მიღწევები, ჩვენი საკვლევი საგნის, ილიას მხატვრული პროზის, მიხედვით ეკონომიკური ცხოვრების კანონზომიერებებთან ახლოს მდგარი ან სულაც ამ კანონზომიერებებით განპირობებული სახის-მეტყველებითი პარადიგმები, ლიტერატურული არქეტიპები, კულტურული და ანტიკულტურული მოდელები შემდეგნაირად დავაჯგუფეთ:

- ა) ხმლისა და საანგარიშოს ანტინომია;
- ბ) მამული, როგორც ეკონომიკური ფაქტორი და როგორც მეტაფორა;
- გ) სოფელი და ქალაქი: თეზა და ანტითეზა;
- დ) გლეხური ეთიკა და ფუნქციური ადამიანის პრობლემა

ხმლისა და საანგარიშოს ანტინომიურობა ქართულ არეალში გადმოტანილი რაინდისა და ბურჟუას ისტორიული შეუთავსებლობის აპლიკატურაა (Осовская, 1987). საინტერესოა, რომ იგი, როგორც ძველი საზოგადოებრივი მორალის რღვევის სიმპტომი, ილიას მიერ უკვე „გლახის ნაამბობშია“ დანახული. დათიკო და გაბრიელი ერთმანეთს შემთხვევით როდი უნოდებენ ავთანდილსა და შერმადინს: „ეგ არის შენი შერმადინობა?... როგორი ავთანდილიც შენ იყავი, მეც ისეთი შერმადინობა გაგინიე...“. გაბრიელის

სამართლიან შურისძიებას მის დამაქცევარ ბატონზე სავსებით სამართლიანად ეწოდა „მკვლელობა, რითაც (ევროპის მსგავსად, ოღონდ რამდენიმე საუკუნის დაგვიანებით) დაიწყო არაფეოდალური საქართველოს ისტორია“, იმავე ევროპისგან კიდევ ერთი არსებითი განსხვავებით: მკვლელობის ჩამდენი ბურჟუა არ არის (კვერცხიშვილი, 2005, 358). მართლაც, ჩვენთან აქტიური ეროვნული ბურჟუაზია ვერ შეიქმნა, თუმცა რაინდის მოკვდინება ქართული საზოგადოების წიაღში განვითარებულ სოციალ-პოლიტიკურ ცვლილებებთან ზუსტ შესატყვისობაში მაინც განხორციელდა. ფიზიკური ღონითა და ტანადობით გამორჩეული, თუმცა მორალურად აშკარად დეგრადირებული რაინდი, ტარიელ მკლავაძე, ეგ. ნინოშვილის „ჩვენი ქვეყნის რაინდის“ მიხედვით, მოკლა რევოლუციური, ყველა ნიშნით კი სოციალ-დემოკრატიული იდეების მიმდევარმა უჩინარმა სოფლის მასწავლებელმა, სპირიდონ მცირიშვილმა. ამრიგად, განხორციელდა სოციალური სამართლიანობის აქტი, რომელიც ჩვენს სინამდვილეში სულ მალე რეალობად იქცა. მოგვიანებით მ. ჯავახიშვილის „კვაჭი კვაჭანტირაძე“ ანტირაინდულ სულისკვეთებას ამჟღავნებს. მასში რაინდი, აქედან გამომდინარე ყველა შედეგით, ახალი დროის გმირით, იმავე ანტიგმირით, ტრიქსტერიტაა ჩანაცვლებული (კვაჭანტირაძე, 2013, 164).

მამულის, როგორც ეკონომიკური ფაქტორისა და მამულის, როგორც მეტაფორის ურთიერთგამიჯვნის დეკლარირებას, ფაქტობრივად, ეყრდნობა ილიას ე. წ. მოდერნიზატორული პროექტის ერთ-ერთი წამყვანი იდეა, რომელშიც ეროვნული ვინაობის ძიება, ქვეყნის გააზრებული გულშემატკივრობა და თითოეული ქართველის აქტიური, დროის შესაბამისობასთან მოყვანილი აქტიურობაა სუბლიმი-



რებული. მეტაფიზიკური და პრაგმატულ-რაციონალური მიდგომის ჭრილში მამული გააზრებული, როგორც, ერთი მხრივ, ეროვნული ცნობიერების პოსტულატი და, მეორე მხრივ, ტყრუშული ღობით შემოსაზღვრული მამული-მინის ნაკვეთი, ილიას აზრით, სერიოზული განსჯის საგნად უნდა იქცეს. სხვაგვარად ხანგრძლივი მონობითა და უუფლებობით ტრავმირებულ ქართველთა ცნობიერებაში ვერ მოხერხდება „მე“-სა და პირადი ეგოისტური ინტერესების ტყვეობიდან გათავისუფლება, „ჩემი“ და „ჩვენი“ მამულის ცნებათა იმგვარი ტრანსფორმირება, რომელიც კერძო საკუთრების ხელშეუხებლობის პრინციპებსაც დაიცავს და საცხოვრებელ ტერიტორიასაც სამშობლოდ, ერთადერთ და უმაღლეს მოცემულობად განიხილავს. თუ ა. ბაქრაძე და გ. ასათიანი „მამულს“ ილიას სულიერი და პრაქტიკული მოღვაწეობის ერთიან სისტემაში განიხილავენ, ზ. კიკნაძე ნერილში „ილიას მამული“ პრიორიტეტულად ამ ცნების გამოცალკავებას და მისი სიმბოლურ-სემანტიკური მნიშვნელობის ამოცნობას მიიჩნევს (კიკნაძე, 2005, 73). შედეგად აქცენტირებულია, ვთქვათ, სეკულარული საუკუნის მიერ „წმინდა სამწყსოს“ ცნების ახალი რიტორიკით განპირობებული „მამულით“ ჩანაცვლება. ასეა თუ ისე, გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ილიასთვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა „მცირე“ და „დიდი“ მამულის აზრობრივ-შინაარსობრივი დატვირთვის ქართველის გაზანტებულ გონებამდე მიყვანას, რადგან იგი, ახალი ეკონომიკური ნესრიგის პირობებში, ცოდნითა და რწმენით შეიარაღებული არა მარტო ანწყოს, არამედ მომავლის სწორად განკარგვას შეძლებდა.

ევროპული კაპიტალიზმის, განსაკუთრებით კი მისი სანყისი ეტაპის, კონტექსტში მუდმივად განიხილება ქალა-

ქისა და სოფლის ურთიერდამოკიდებულების პრობლემა. ადამ სმითის „ფულადი ეკონომიკის ასპარეზის“ ცნებიდან ვებერ-ზიმელის ურბანსოციოლოგიამდე წარმოდგენილია ამ ორი კულტურულ-სოციოლოგიური ტოპოსის როგორც განვითარების, ისე დაპირისპირების კანონზომიერება, რომელიც საბოლოოდ ქალაქისა და სოფლის ჰარმონიზებული თუ არა ეკონომიკურად განწონასწორებული თანაარსებობისკენ სწრაფვითაა აღბეჭდილი. საქართველოში სხვა მრავალ დომინანტურ ფაქტორთან ერთად მინასთან მინის მუშის (იმავე გლახის) განსაკუთრებული მიჯაჭვულობის გამო აქცენტირებულია ქალაქის წინაშე სწორედ რომ სოფლის და სოფელში წარმოებული მეურნეობის უპირატესობა. ილიას პროზაულ ტექსტებშიც (ისევე როგორც მის პუბლიცისტიკაში) ანალოგიური შეფასებების მხატვრულ ტრანსფორმაციას ვხვდებით. სოფლური ცხოვრების, როგორც მთელი ქვეყნისა და თვით ქალაქის მასაზრდოებელი ძალის, უპირატესობა აქ მრავალგზისაა დადასტურებული. ამ დამოკიდებულებას ეფუძნება კიდევ ილიას ყველაზე ღირსეული პოლემისტის, არჩილ ჯორჯაძის, საყვედურიც: „ავტორი მარტო სოფლის ცხოვრებას ადევნებს თვალყურს, ქალაქი თავისი რთული აგებულებით აქვს სრულებით მივიწყებული... ჩვენი ავტორი კმაყოფილდება ცხოვრების ცალმხრივი შესწავლით და მასთან არ ასახელებს ძირითადს – წოდებრივ უთანხმოებას“ (ჯორჯაძე, 1989, 65). საინტერესო გამოდგა ამ მხრივ ილიას ე. წ. ქალაქური ტექსტის კვლევა. მ. ხარბედიას ნერილში „კენჭადაყლაპული. მასალები ილია ჭავჭავაძის ქალაქური ტექსტისთვის“ (ხარბედია, 2007, 57) ქალაქთან იმგვარი გაუცხოება იკვეთება (მ. ხარბედია: „ილიას ქალაქი არ უყვარდა“), რომლის მიზეზები, ჩვენი აზრით, კაპიტალიზმის სანყის ეტაპზე ქართული

საზოგადოებრივ-ეკონომიკური ცხოვრების არაერთ სიმრუდეს უკავშირდება. მრავალთაგან გამოვყოფდით ერთს, რომლის მიხედვითაც, იდეაში ქვეყნის მასტიმულირებელ-მაკოორდინებელი ცენტრი (თბილისი) „ნართმეულ“ ქალაქად განიხილება. და აქ, ცხადია, მხოლოდ ქალაქური ყოფის სირთულით გამონვეული ზნეობრივი პრობლემები (მაგ. ქალაქში „გლახის ნაამბობის“ თამროს „ავლაბრის უნამუსოდ“ გადაქცევა, ან იმავე ქალაქის გულგრილობას შენირული ძმები მოთხრობიდან „სარჩობელაზედ“, „ულეჩაქო და უნამუსო“ ქალაქის ამირინდო დებედაძისეული შეფასება „უცნაური ამბიდან“ , ქართველი დიურუას, ბეჟან ბეჟანის ძე კალმახელიძის, ვნებანი მოთხრობიდან „დიამბეგობა“ და სხვ.) არ იგულისხმება. ილიასთვის თბილისი უცხოტომელთა (სპარსელთა, განსაკუთრებით კი სომეხთა) მიერ ათვისებული საარსებო სივრცეა, სადაც ჩქარი ტემპით იმავე უცხოელთა მიერ ე. წ. „უნოდებრიო საკუთრება“ და არა-ეროვნული კაპიტალი იქმნება. ასეთი ქალაქის გამოსხნა განსაკუთრებულ მომზადებას საჭიროებს. სწორედ ამგვარი მომზადების ქრილში უნდა განვიხილოთ ილიას ბრძოლა ჩვენი სოციუმის ცენტრალური ფიგურანტის, გლეხის, უმინოდ დატოვების და კლასობრივი დაპირისპირების გაღრმავების გზით მისი ხელოვნურად გალატაკების (ანუ გაპროლეტარებასა და რევოლუციისთვის მომზადებას) ნინააღმდეგ. ილია აუცილებლად მიიჩნევს მესაკუთრული უფლებების შემდგომი სრულყოფის გზით იმავე გლეხის მიწასთან მიმაგრება-მოძლიერებას. „მინათმოქმედი მუშა ისე არანაირ ქონებას არ ეტანება, როგორც უძრავსა, ე. ი. მიწასა“ (ჭავჭავაძე, 1956: 97). ილია შეგნებულად არ ამახვილებს ყურადღებას „ნოდებრივ უთანხმოებაზე“, რადგან პრობლემის გადაჭრის საშუალებას ამ სიბრტყეში ვერ ხედავს.

მომავლის სოციალ-ეკონომიკური წესრიგის პროექცია გამოკვეთილია არა ნაბატონარისა და ნაყმევის („გლეხთა გათავისუფლების სცენები“), არამედ გიორგისა და არჩილის ურთიერთობაში „ოთარაანთ ქვრივიდან“ (არჩილის სურვილი შეგირდად დაუდგეს გიორგის, უნოდოს მას „ცხოვრების ნიგნი“ და სხვ.). სხვა სიტყვებით, „ნოდებათა განმტკიცებითა და გაერთიანებით უნდა შექმნილიყო ის საფუძველი, რომელზედაც უნდა დაემყნოთ საბანკო კაპიტალის მოძრაობა, განათლების ორიენტაცია და სხვ.“ (თევზაძე, 2010) ა. ჯორჯაძის საყვედური კი ილიას მიერ „ცხოვრების ცალმხრივი ხედვის“ შესახებ, სამწუხაროდ, ამ საბოლოო მიზნის ვერგანჭვრეტას ან უგულებელყოფას ნიშნავდა.

რეფორმის შემდგომი პერიოდი ილიას სოციოლოგიური ფილოსოფიისა და ეკონომიკური მოძღვრების საბოლოოდ დახვეწა-ჩამოყალიბებას ემთხვევა. მიუხედავად იმისა, რომ ამ პერიოდში შემოქმედებითი მუშაობისთვის სულ უფრო ნაკლები დრო რჩება, მაინც იქმნება საეტაპო მხატვრული ნაწარმოები („ოთარაანთ ქვრივი“), რომელშიც აკუმულირებულია „ნოდებათა შერიგების“ ანუ, როგორც ტექსტში ვკითხულობთ, „ხიდჩატეხილობის“ პრობლემა და მისი გადაწყვეტის გზებიც. იკვეთება გლეხობაზე, უფრო სწორად კი, მის ყველაზე საღ ნაწილზე (თავად ოთარაანთ ქვრივი, გიორგი) ორიენტირებული მომავლის კულტურული პროგნოზი, რომელიც რევოლუციური ძვრების გვერდის ავლით როგორც მაღალი, ისე დაბალი სოციალური ფენების ქრისტიანულ შეგნებასა და ცოდნით გამყარებულ ცხოვრებისეულ გამოცდილებას ეფუძნება. ფაქტობრივად, ეს ქრისტიანული მორალისა და კაპიტალისტური ეთიკის მორიგეების ცდაცაა, რასაც ილიასთვის, როგორც მისი მხატვრულ-პუბლიცისტური მემკვიდრეობიდან ჩანს, დიდი მნიშვნელო-

ბა ჰქონდა. უმთავრეს ამოცანად „ყოფილ ყმაში თავისუფალი მესაკუთრის შეგნების აღზრდა“ რჩება. ეს პროცესი კი საზოგადოების განვითარების ილიასეულ გაგებასაც უკავშირდება, რადგან „ილიას სწამდა პროგრესის არა მარტო ეკონომიკური და სამართლებრივი, არამედ ეთიკური მხარეც“ (თევზაძე, 2010). გლახის (უფრო ზოგადად კი, „ახალი ქართველის“) ფუნქციურობა პირდაპირ კავშირშია „დროთა შესაფერისი საქმიანობის“ სწორად აღქმასა და სისტემურ აღსრულებაში. ამ გამონვევათა შორის კი უპირველესია შრომის პროცესის კულტივირება, შრომასთან სწორი დამოკიდებულების გამომუშავება. შრომა, როგორც ღვთისმსახურება (პავლე მოციქული, ლუთერი), როგორც ინდივიდის სოციალურ ატომად ჩამოყალიბების პირობა, როგორც პიროვნული, ეროვნული და სოციალური თავისუფლების გარანტი (ნ. ნიკოლაძე, მ. ჯავახიშვილი, რ. გაბაშვილი, გ. ქიქოძე, ფ. გოგიჩაიშვილი). კაპიტალიზმის საწყის ეტაპზე აქტუალური ხდება ჯერ კიდევ ადამ სმითის მიერ („ხალხთა სიმდიდრის ბუნებისა და მიზეზების კვლევა“, 1776) სიმდიდრის ფენომენის კვლევისას მიგნებული სიხარბის კონცეპტის ფუნქციურ-სემანტიკური ცვლილება, ანუ სიხარბის ინტერესად გადაქცევის ტენდენცია. სმითის „ახალი დროის ეკონომიკის უმნიშვნელოვანეს ინტელექტუალურ დოგმად ნოდებული“ (ჯ. დრისკოლი) ეს მიგნება, ცხადია, არ და ვერ აისახა ილიამდელ ქართულ პროზასა და დრამატურგიაში (ერისთავი, ანტონოვი, არდაზიანი, ცაგარელი). პირუკუ, სიხარბე თავისი ტრადიციული გაგებით, ლამის ფიზიოლოგიურად და ამდენად ზიზლისმომგვრელად იქნა პორტრეტირებული. არადა ახალი სეკულარული ხანა, საზოგადოებრივ-ეკონომიკურ ფორმაციათა ცვლილების მიჯნაზე ყოფნა უბიძგებს ილიას ამ პრობლემების სიღრმისეული

განხილვისაკენ. ილია მთელი არსებით შრომისმოყვარე, მიზანდასახული და აქტიური ადამიანის აპოლოგეტი ხდება. დანყებული „გლახის ნაამბობის“ მღვდლის მიერ ტალანტის შესახებ ბიბლიური იგავის დამონმებიდან (იგი აიხსნება ქრისტიანული სიმბოლიკის ეკონომიკური მნიშვნელობით – ნ.კ.), ვიდრე შრომაზე დაფუძნებული მარტოობის დამთრგუნველი პიროვნული თავისუფლების ოთარაანთ ქვრივისეულ მითოლოგიამდე (შდრ. ქალაქურ სივრცეში მ. ვებერისეულ ქონებრივად დაკმაყოფილებულ, თუმცა მარტოობისთვის განწირულ ადამიანს), წარმოდგენილია ილიასეული „მოდრაობის იდეის“ სახისმეტყველებითი ასპექტების (თერგი-მყინვარი, დღე-ღამე) გაშლა-გაფართოება. ეს კი საბოლოო ჯამში თავს იყრის მომავლის ქართული სახელმწიფოებრიობის მოწყობის სერიოზულ თეორიულ გააზრებებში: როგორი უნდა იყოს ამგვარი სახელმწიფოს შემქმნელი – ეგოისტი (ჯ. ლოკი) თუ ალტრუისტი, მორალური ადამიანი (ჟ. ჟ. რუსო). შესაძლოა, სწორედ ამ საკითხის გადანყვეტაში ყველაზე რელიეფურად მჟღავნდება ილიასეული ზემოთ უკვე ნახსენები „ფაქიზი ბალანსირების“ პრინციპი, რითაც იგი ქვეყნისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან პრობლემებს უდგება. სამწუხაროდ, ამ ტიპის აზროვნებას თანამედროვენი საგრძნობლად ჩამორჩებოდნენ, სოციალური ატმოსფერო კი კლასობრივი ბრძოლის იდეით იყო მონამლული. ამიტომაც იგი სათანადოდ ვერ იქნა აღქმული და დაფასებული.

## დამონმებანი

ანდონიკაშვილი 2007: ანდონიკაშვილი ზ. *მამულის დაბადება ლიტერატურის სულიდან*. კრ. ილია ჭავჭავაძე 170. თბ. 2007

თევზაძე 2010: თევზაძე გ. ბურუსი. „ილია ჭავჭავაძე და ახალი აზროვნება: შესაძლებლობა და სინამდვილე ილია ჭავჭავაძის ისტორიის ფილოსოფიაში. <https://burusi.wordpress.com/2010/.../guramtevezadze/>

კალანდარიშვილი 2007: კალანდარიშვილი გ. *კრიტიკული დისკურსისა და მხატვრული ხედვის კრიტიკა ილია ჭავჭავაძის შემოქმედებაში*, კრ. ილია ჭავჭავაძე და მისი ეპოქა. თბ. 2007

კაკაბაძე 2008: კაკაბაძე გ. *რუსული იდეა*, ჟ. ცხელი შოკოლადი, ლიტერატურა, №12.

კაციტაძე 2007: კაციტაძე კ. , *ქართული საზოგადოება და თანამედროვე გამონვევები*, თბ. 2007

კვერცხიშვილი 2005: კვერცხიშვილი ზ. *სიმბოლოები*, კრ. საქართველო ათასწლეულთა გასაყარზე. თბ. 2005

კიკნაძე 2007: კიკნაძე ზ. *ილია ჭავჭავაძის სიმბოლური აზროვნებისათვის*, კრ. ილია ჭავჭავაძე – 170. თბ. 2007

ნინიძე 2007: ნინიძე მ. *სხვის დახლთან მდგომი ერი*, ჟ. ფუძე, №7

ფირალიშვილი 2007: ფირალიშვილი ზ. *ილია – ისტორიული კონტექსტი და პიროვნება*, კრ. ილია ჭავჭავაძე – 170, თბ. 2007

ხარბედია 2007: ხარბედია მ. , *ენჭგადაყლაპული. მასალები ილია ჭავჭავაძის ქალაქური ტექსტისთვის*, კრ. ილია ჭავჭავაძე – 170. თბ. 2007

ჩაისნერი 2008: ჩაისნერი ო. *ორი სამყაროს მგზავრთერგდალეულთა იდენტობის კონფლიქტი და ეროვნული*

*ცნობიერება*, კრ. სეკულარიზაცია, თბ. 2008

ჯავახიშვილი 1938: ჯავახიშვილი ი. *ილია ჭავჭავაძე და საქართველოს ისტორია*, ტფ. 1938

ჯორჯაძე 1989: ჯორჯაძე ა. *რჩეული ნაწერები*. თბ, 1989

ჭავჭავაძე 1956: ჭავჭავაძე ი. *თხზ. სრ. კრებული*. ტ. VIII, თბ. 1956

Гронас 2002: Гронас М. ж. *Новая экономическая критика*. №58

Осовская 1987: Осовская М. *Рыцарь и буржуа*, 1987

Макеев 2002: Макеев М. *Договор с дьяволом в условиях становления капитализма в России*. ж. НЛО, №58

Woodmanse - Osteen. 1999: *The Economics Criticism. Studies at the Entersection of literature and economics*. London: N. Y. 1999

## ბურჟუას ვერდაბადება ქართული ლიტერატურის სულიდან

“როგორც უნდა იყოს, ხოლო ნამდვილი კია, რომ საეკონომიო მატერიალიზმა ჩვენშიც ბინა მოიპოვა, მოწაფენი შეიძინა. ეს დროთა და ჟამთა ნიშანია. ცხოვრებასა და ლიტერატურაში უმიზეზოდ ახალი მოძღვრება თუ მიმართულება არ ჩნდება და არ იბადება.” (მესამე დასი და ბურჟაზია, გვ. 77)

„სამოც წლებიდან დაწყებული უკანასკნელ ხანამდე ქართული ლიტერატურა უმეტეს ნაწილად საეროვნო და სალიბერალო მოძღვრებას ემსახურებოდა, ამ ლიტერატურამ თავისი ძალა და ღონე თითქმის მხოლოდ მამულიშვილობის და საკაცობრიო აზრების ქადაგებას შეაღწია... ლიტერატურამ ჯეროვანი ყურადღება არ მიაქცია საეკონომიო ცხოვრებას და იმთავითვე აბურხად დაიჭირა ეგრეთ წოდებული ჩვენებური „კულტუროსანი“ ბურჟაზია. ამ ბურჟაზიას ყბად თუ იღებდენ კამედიებსა და ვოდევილებში, თორემ სხვა ყურადღებას არ აქცევენ“ (მესამე დასი და ბურჟაზია, გვ.78). ავტორს მხედველობაში აქვს, რომ ლიტერატურა სერიოზულად არ მოეკიდა ბურჟაზიის გამოჩენას საქართველოს სინამდვილეში, ის მხოლოდ კომიკურ და სატირულ ასპექტში წარმოადგინა, მაგრამ მას შემდეგ, რაც ბურჟაზიამ „ვითარცა ზღაპრულმა სფინქსმა პირი დააღო, წინ გამოგვეჭიმა და ჩასაყლაპად პირი გააღო, მაშინ მოგვაგონდა, რომ მარტო მამულისშვილობისა და ჰუმანურობის ღალადისი საკმარისი არ ყოფილა.“ (გვ. 78). ნეგატიური დამოკიდებულება ბურჟაზიისადმი, არისტოკრატიის, ეროვნულის მომხრე, რადგან ბურჟაზია სომხურია.

„მესამე დასმა ჩვენს მდგომარეობას, ჩვენს წარსულს და აწმყოს ყურადღება არ მიაქცია და გაზეპირებული ფორმულებით“... მიუდგა მის ახსნას.

ავტორის პოზიცია: საქართველოში ევროპული კაპიტალიზმი არ არსებობს, მარქსმა საკუთარი თეორია ინგლისის ეკონომიკაზე დაყრდნობით ააგო, ამიტომ მარქსის თეორია მესამე დასს მექანიკურად გადმოაქვს საქართველოში, ქართული ბურჟაზია კი მხოლოდ სავაჭრო ბურჟაზიაა და სხვა არაფერი.

თანამედროვე კაპიტალიზმის ბუნებისა და შრომის ეთიკის თავისებურებათა წარმოჩენის თვალსაზრისით ფრიად საყურადღებო შრომაში „The Corrosion of Character“ (1998) რიჩარდ სენეტი<sup>1</sup> აღნიშნავს, რომ „კაპიტალისტები და მუშები დიდი ხანია არსებობენ, მაგრამ სიტყვა კაპიტალიზმს ხანმოკლე ისტორია აქვს“. ამ სიტყვის პირველი გამოყენებას, სენეტის თანახმად, ვაწყდებით სამუელ ტილორ კოლრიჯთან<sup>2</sup>. კოლრიჯი 1823 წელს გამოცემულ Tabletalk პირველად ახსენებს „კაპიტალისტებს“ და ამ სიტყვით ის ახასიათებს იმ ადამიანებს, რომლებიც „მუშებს და მანქანებს განკარგავენ“, მათზე მბრძანებლობენ. ამ დროიდან მოყოლობეული ევროპული სოციალური და პოლიტიკური

<sup>1</sup> რიჩარდ სენეტი (Richard Sennett) რუსი ემიგრანტის შვილი, დაიბადა ჩიკაგოში (1943) წელს. ის ცნობილი ამერიკელი სოციოლოგების დევიდ რისმენის, ერიკ ერიკსონისა და ოსკარ ჰანდლინის მოწაფეა. სწავლობდა მუსიკას და დირიჟორობას, უკრავდა ჩელოზე. ერთ დროს მუშობდა კლუს ადამის ცნობილ კვარტეტში (Juilliard String Quarter). მისი შრომები ძირითადად კულტურის სფეროს, თანამედროვე ქალაქს ეხება. მისი მეუღლე სასკია ზასენი (დაიბ. 1949) ასევე ცნობილი სოციოლოგია.

<sup>2</sup> ინგლისელი პოეტი, კრიტიკოსი და ფილოსოფოსი (Samuel Taylor Coleridge 1772-1834), ინგლისური რომანტიზმის ფუძემდებელი.



მეცნიერება ახალი სოციალური რეალობის აღსაწერად სიტყვა „კაპიტალიზმს“ მიმართავს, რომელიც მჭიდრო იმილიკაციაშია სიტყვებთან: „ბურჟუა“, „პროლეტარიატი“, „ექსპლუატაცია“ და „რევოლუცია“. მემარჯვენე თუ მემარცხენე აზროვნება პრაქტიკულად თანაბრად იზიარებს მოსაზრებას, რომ სიტყვები „კაპიტალიზმი“ და „კაპიტალისტი“ იმ სოციალურ წესრიგს გვაუწყებს, რომელიც განსხვავდება მე-18 საუკუნის ბოლო და მე-19 საუკუნის 50-იანი წლების დასაწყისამდე არსებული ეკონომიკური და მისგან გამომდინარე პოლიტიკური სისტემისაგან, მაგრამ მის მიერ მოტანილი შედეგებისადმი სხვადასხვა, რადიკალურად დაპირისპირებული მოსაზრება აქვს. ცხადია, ჩვენი მიზნებისათვის ამ დაპირისპირების წარმოჩენა სრულებით არარელევანტურია, თუმცა მნიშვნელოვანია მე-19 საუკუნის საქართველოსათვის სრულებით ახალი რეალობის – კაპიტალიზმისა და ბურჟუას- არსებითი ნიშნების მოხაზვა, რომლის მორალური და სოციალური ასპექტების შესახებ დისკუსია მე-19 საუკუნის ბოლოსა და მე-20 დასაწყისში ქართული საზოგადოებრივი აზრისა და რეალური პოლიტიკისათვის ფრიად მნიშვნელოვანი თუ სულაც საბედისწეროც კი აღმოჩნდა.<sup>1</sup>

1848 წელს კ. მარქსმა (1818-1983) და ფ. ენგელსმა (1820-1895) გამოაქვეყნეს „კომუნისტური პარტიის მანიფესტი“, რომელიც კომუნისტური იდეოლოგიის საკულტო ტექტად იქცა. ამ ტექსტს დღემდე არ დაუკარგავს მნიშვნელობა. მეტიც, იგი დღემდე რჩება მემარცხენე მოაზროვნეებისა

<sup>1</sup> მენშევიკური მთავრობის გამარჯვება საქართველოს პირველ რესპუბლიკაში, ამ მთავრობის მარქსიზმის იდეებით უპასუხისმგებლო, ინფანტილურმა შთაგონებულობამ გარკვეული როლი ითამაშა საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის დაკარგვაში

და პოლტიკური მოძრაობისათვის „წმინდა წიგნად“. ეპოქის დიაგნოსტიკის თვალსაზრისით, „კომუნისტური პარტიის მანიფესტი“ მართლაც საეტაპო ტექსტია.

ავტორები ფიქრობდნენ, რომ ახალი ეპოქა კაპიტალიზმის ეპოქა – ბურჟუაზიის ეპოქა – რადიკალურად განსხვავდება სხვა ეპოქებისაგან იმით, რომ მასში მკაფიოდ თვალსაჩინოვდება კლასობრივი საზოგადოების ძირითადი წინაღობა: ქონებრივი უთანასწორობის საფუძველზე წარმოქმნილი მტრული, კლასობრივი დაპირისპირება, რომელიც მხოლოდ რევოლუციის გზით (საყოველთაო ეკონომიკური თანასწორობისა და კლასობრივი დაპირისპირების საფუძვლის – კერძო საკუთრების – მოსპობით) შეიძლება გადაიჭრას.

ტიპოლოგიურად ბურჟუაზია ქალაქების პირმშოა („შუა საუკუნეების ყმებიდან წარმოიშვა პირველ ქალაქთა თავისუფალი მოსახლეობა; მოქალაქეთა ამ წოდებიდან განვითარდნენ ბურჟუაზიის პირველი ელემენტები“<sup>1</sup>). ქალაქი, რომელიც წარმოშობს ნოდებრივი საზოგადოების სტრუქტურიდან ამოვარდნილ სოციალურ კლასს ვაჭართა, ხელოსანთა და ა.შ. სახით, წარმოადგენს ბურჟუაზიის დაბადების ადგილს. ეს სოციალური კლასი, რომელსაც დროთა განმავლობაში ქონება უგროვდება, მიიღტვის სოციალური აღიარებისაკენ და ტრადიციის მიერ წინასწარდადგენილი სტატუსების (მინერული სოციალური სტატუსების) გაუქმების მოთხოვნით გამოდის. ფეოდალურ სოციალურ სტრუქტურაში ბურჟუაზია ექსპლუატირებული სოციალური კლასია, მაგრამ თავისუფლების მოპოვების შემდეგ ის ხდება მთავრი ექსპლუატატორი და ამჯერად კლასობრი-

<sup>1</sup> კ. მარქსი, ფ.ენგელსი, კომუნისტური პარტიის მანიფესტი, თბ. 1954

ვი უთანასწორობის მთავარი დამცველი. ეს კლასობრივი წინააღმდეგობა, რომელიც კაპიტალისტის მიერ საზოგადოებრივად წარმოებული შრომის პროდუქტის მითვისებას ეფუძნება, ავტორების აზრით, მხოლოდ რევოლუციით შეიძლება გადაწყდეს.

ავტორები დრამატულად გადმოსცემენ ახალი სოციალური კლასის, ბურჟუაზიის, მიერ შექმნილ ეკონომიკურ და სოციალურ წესრიგს:

*„სადაც კი ბურჟუაზიამ ბატონობას მიაღწია, ყველგან დაანგრია ყველა ფეოდალური, პატრიარქალური, იდილიური ურთიერთობანი. მან შეუბრალებლად დაამსხვრია ის სხვადასხვანაირი ფეოდალური ჯაჭვი, რომლითაც ადამიანი მიბმული იყო მის „ბუნებრივ მბრძანებლებზე“, და არ დატოვა არავითარი სხვა კავშირი ადამიანსა და ადამიანს შორის, გარდა გაშიშვლებული ინტერესისა, გარდა უსულგულო „ნაღდად გადახდისა“, ეგოისტური ანგარიშის ყინულოვან წყალში ჩაახრჩო მან საღმრთო ჟრუანტელი რელიგიური აღტკინებისა, რაინდული აღფრთოვანებისა, მემჩანური გრძნობიერებისა. მან პირადი ღირსება საცვლელ ღირებულებად გადააქცია და უთვალავ ნაბოძვარ და კეთილშენადნ თავისუფლებათა ადგილას დაამყარა ერთადერთი უსინდისო თავისუფლება ვაჭრობისა.“*

ასე ეუნყა კაცობრიობას ახალი სოციალური კლასის, ბურჟუაზიის, და მასთან ერთად მარქსის და ენგელსის მიერ ბურჟუაზიის მესაფლავედ სახელდებული პროლეტარიატის დაბადება.

ბურჟუაზიამ ახალი ღირებულებები მოიტანა და მასზე დაფუძნებული მორალის დიქტატს დაუქვემდებარა ადამიანური ცხოვრების ყველა სფერო, რომლის ცენტრში ნებისმიერი საშუალებით გამდიდრება და ფული დააყენა. ის

შეეხო ოჯახურ ურთიერთობებსაც, ოჯახური ცხოვრების ტრადიციული ღირებულებები ფულის კულტს სრულებით დაუქვემდებარა „ბურჟუაზიამ ოჯახურ ურთიერთობას მისი მგრძნობიერ-სანტიმენტალური საბურველი ჩამოაფხრინა და იგი მარტოოდენ ფულად ურთიერთობად აქცია“.

როგორც ქვემოთ დავინახავთ, ეს მოვლენა ქართული მხატვრული ლიტერატურის ზოგიერთი წარმომადგენლის ლიტერატურული რეფლექციის საგნად იქცევა.

მ. ვებერის (1864-1920) სოციოლოგიურ კონცეფციაში კაპიტალიზმი და ბურჟუა კ. მარქსის და ფ. ენგელსის შეხედულებისაგან განსხვავებულად არის ინტერპრეტირებული. აქ კაპიტალიზმი კულტურულ-ისტორიული თვალსაზრისით ნეგატიურად არ არის დანახული. მ. ვებერი არც კლასთა ბრძოლის მარქსისტულ პარადიგმას იზიარებს, თუმცა კაპიტალიზმის შედეგების, მის მიერ მოტანილი ტრანსფორმაციების „პროტესტანტული ეთიკისა და კაპიტალიზმის სულიკვეთების“ ერთ მონაკვეთში მოცემულ სურათს კ.მარქსისა და ფ.ენგელსის მიერ „კომუნისტური პარტიის მანიფესტში“ დახატულ კაპიტალიზმის პორტრეტთან აახლოვებს:

*„დღევანდელი კაპიტალისტური ეკონომიკური წყობა ძრწოლვის მომგვრელი კოსმოსია, რომელშიც დაბადებითვე ჩართულია ცალკეული ინდივიდი და რომელიც მისთვის, როგორც ცალკეული ინდივიდისთვის, ფაქტიურად უცვლელ გარსად იქცევა, სადაც მან უნდა იცხოვროს. იგი ინდივიდს, რამდენადაც ეს უკანასკნელი საბაზრო კავშირურთიერთობებშია ჩაბმული, საკუთარი ეკონომიკური ქცევის ნორმებს ახვევს თავს. ფაბრიკანტი, რომელიც ერთთავად ამ ნორმების საპირისპიროდ მოქმედებს, ეკონომიკურად უცილობლად ჩამოცილებული იქნება ისევე, როგორც მუშა,*

რომელიც ხსენებულ ნორმებს ან ვერ ან არ ერგება, ქუჩაში ამოყოფს თავს, როგორც უმუშევარი.”<sup>1</sup>

მ. ვებერმა ახალი სოციალური წესრიგი-ევროპული კაპიტალიზმის წარმოშობა – პროტესტანტული რელიგიის, პროტესტანტი აღმსარებლის მიერ ცხოვრების საზრისის ძიების მოთხოვნით ახსნა. მისი აზრით, მორწმუნისათვის მთავარ კითხვაზე: ვარ თუ არა ღვთის რჩეული, და თუ ღვთის რჩეული ვარ, რა შეიძლება ამის სარწმუნო ნიშანი იყოს, საკუთარ მოვალეობათა ბერული თავდადებით აღსრულებით, დროის მკაცრ კონტროლს დაქვედებარული სისტემურად ორგანიზებული შრომით უპასუხა, რამაც სიმდიდრის, კაპიტალის დაგროვება მოიტანა (სოციალური მოქმედების გაუთავლინებელი შედეგები) და ამიერიდან მკაცრი მორალითა და მეთოდური შრომით მოპოვებული კარიერა და კაპიტალი (წარმატება) ღვთისრჩეულობის ერთადერთ ნიშნად გამოაცხადა. შესაბამისად, ვებერი მარქსისაგან განსხვავებით (რომლის შრომებსაც ის კარგად იცნობდა), კაპიტალსა და შრომას ექსპლუატაციისა და კლასობრივი ჩაგვრის ჩარჩო/მოდელში კი არ განიხილავს, არამედ ადამიანისთვის უმთავრესი მოთხოვნების – ცხოვრების საზრისის ძიების მწველი სურვილით. აქვე უნდა ითქვას, რომ ამ მოთხოვნების დაკმაყოფილებასათვის აუცილებელმა „მონოდების“ აღსრულების მკაცრმა დისციპლინამ და თამაშის წესების (მუდმივი ორიენტაცია მოგებაზე) დაცვამ კაპიტალიზმი „ძრწოლვის მომგვრელ კოსმოსად აქცია“.

<sup>1</sup> მ. ვებერი, ნარკვევები რელიგიის სოციოლოგიის შესახებ, თბ. საგამომცემლო სახლი „მარსი“, თბ. 2004, 47

მ. ვებერის კონცეფციის ცენტრში (გასხვავებით მარქსისაგან) მოქცეულია არა კლასი, არამედ ინდივიდი, რომელიც ინდივიდუალურად, პირისპირ დარჩენილი ცხოვრების საზრისის რაობის გარკვევის წინაშე, პოულობს გზას კითხვაზე: რა არის ცხოვრების საზრისი?

ვერნერ ზომბარტი (1863-1941)<sup>1</sup> 1902 წელს აქვეყნებს „თანამედროვე კაპიტალიზმს“ (Der moderne Kapitalismus, 1902), რომელსაც ამკარად ატყვია მარქსის ზეგავლენის კვალი, 1911 წელს გამოდის „ებრაელები და ეკონომიკური ცხოვრება“ (Die Juden und das Wirtschaftsleben), ხოლო 1913 წელს „ბურჟუაზია“ (Der Bourgeoisie). ამ ნაშრომებში ზომბარტი მოგვითხრობს ევროპის ეკონომიკურ ისტორიას. ზომბარტის ანალიზის ცენტრში მოქცეულია ინდივიდი, უფრო სწორად მენარმე, რომლის მთავრი მიზანი მოგების მიღებაა. ამ მიზნის განხორციელების გზაზე მენარმე ერთ-

<sup>1</sup> ვერნერ ზომბარტი (1863-1941) გერმანელი სოციოლოგი, დაიბადა მემამულის ოჯახში, მამამისი პოლიტიკოსი იყო, სწავლობდა იტალიაში, პიზას უნივერსიტეტში, ბერლინისა და რომის უნივერსიტეტებში ეუფლებოდა სამართალს, მაგრამ ასევე ისმენდა ლექციებს ეკონომიკაში. დისერტაცია დაიცვა გუსტავ შმოლერთან (1838-1917), რომლის სოციალისტურმა იდეებმა ზეგავლენა იქონია ვ. ზომბარტის მსოფლმხედველობაზე. ის წინააღმდეგობრივი მოაზროვნე იყო: ერთსა და იმავე დროს ის კაპიტალიზმით აღფრთოვანებულიც იყო და სძულდა კიდევაც ის. მარქსით თავდაპირველი გატაცება მალე მისდამი სკეპტიკური დამოკიდებულებით შეიცვალა. ის ერთგვარად მისდევდა ეპოქის ეკონომიკურ მოდას, თავდაპირველად სოციალიზმს თანაუგრძნობდა, მოგვიანებით ნაციზმს უჭერდა მხარს, მაგრამ 1933 წლის შემდეგ ფაშიზმისადმიც დაკარგა სიმპათია. მისი ბიბლიოთეკა, რომელიც 35 ათას ტომს მოიცავდა დღეს ინახება ოსაკას უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში (იაპონია).

სა და იმავე დროს არის შემოქმედის და დამანგრეველიც. ისტორიის ამ ახალ სუბიექტს – მენარმეს – ზომბარტი განსაკუთრებული ეთიკის „ეკონომიკური ეთიკის“ „მრწამსის“, „კაპიტალისტური სულიკვეთების“ მატარებლად მიიჩნევს. დაპყრობის სურვილი, მოგების წყურვილი მას სტიქიური მოქმედებისაკენ როდი უბიძგებს, არამედ რაციონალურ, გეგმაზომიერად მოქმედ მანქანად აქცევს. რაციონალიზმის გამოვლინების მაგალითად ზომბარტი ჩრდილოეთ იტალიაში წარმოშობილ და შემდგომ მთელ ევროპაში გავრცელებულ „ორმაგ ბულალტერიას“<sup>1</sup> ასახელებს. კაპიტალიზმის წარმოშობას და გვრცელებას ზომბარტი ხსნის ებრაული ცხოვრების წესის ზეგავლენით გერმანულ კულტურაზე.<sup>2</sup>

ვ. ზომბარტი, რომელზეც გავლენას ახდენდა მარქსის კონცეფცია (მისი შემოქმედების ბოლო პერიოდში ის მარცხნივ, და შესაბამისად, ნაციონალ-სოციალიზმისკენ გადაიხარა), კაპიტალიზმის წარმოშობის განმსაზღვრელ ფაქტორთა შორის ასახელებს ინდივიდუალიზმს, ბაზარს, ახალ ინსტიტუციონალურ სისტემებს და ასევე მეცნიერებისა და ტექნოლოგიების განვითარებას, მაგრამ ამასთან, კ. მარქსის ზეგავლენით, ის მიუთითებს, რომ თანამედროვე კაპიტალისტური მეორნეობისა და სოციალური ცვლილების დინამიკას განსაზღვრავს ახალი სოციალურ კლასებს, – ბურჟუაზიასა და პროლეტარიატს, შორის დაპირიპირება და პროლეტარიატის პოლიტიკურ სუბიექტად ქცევა. მაგრამ სწორედ ინდივიდუალიზმის და ტექნოლოგიის და მეც-

ნიერების წინსვლა, ზომბარტის აზრით, „აფუჭებს“ ადამიანის სულს და ხელს უნობს ამორალური ინდივიდუალიზმის გავრცელებას. ვებერის მსგავსად, ისიც საუბრობს კაპიტალიზმის ნევროზულობაზე, მის მოუთოკავ დინამიკაზე, მოუთმენლობაზე, გაურკველობაზე და იმაზე, რომ კონკურეციამ ადამიანის ცხოვრების ყველა სფეროში შეაღწია. ამიერიდან არაფერია მარადიული, ყველაფერი კრიტიკას არის დაქვემდებარებული და სწორედ ეს არის ბურჟუას მახასიათებელი და ამ კრიტიკულ გონებას ბურჟუაზიამ დაუქვემდებარა ყველაფერი: დანყებული რელიგიიდან მორალით დამთავრებული. ვ. ზომბარტის თანახმად, ბურჟუაზიას სხვა სოციალური კლასებისაგან გამოარჩევს კაპიტალისტური მიდრეკილებები (**Kapitalistische Veranlagung**). ის დამპყრობელია (**Der Erober**), აქვს მოქმედების და შედეგის მიღწევის წყურვილი (**Die Tatenlust**) და მოქმედების ენერგია (**Die Tataenkraft**),<sup>1</sup> მაგრამ ეს თვისებები: ქედუხრელი შრომა და მიზანდასახულობა, მუდმივი სწრაფვა ახლისაკენ საბოლოოდ მას გადალამდე მიიყვანს, ხოლო „გაცხიმოვნება“, „გამდიდრება“ მის ლტოლვას სიახლისკენ ჩაკლავს, საქმის წარმოება ბიუროკრატიზაციის მძიმე მარწუხებში მოაქცევს კაპიტალისტურ ეკონომიკას და საბოლოოდ კაპიტალიზმი თავის დასასრულს მიუახლოვდება.

<sup>1</sup> იხ. Wolfgang Martynkewicz, Das Zeitalter der Erschöpfung, Die Überforderung des Menschaen durch Die Modene, 2013, [https://books.google.ge/books?id=YAjYAgAAQBAJ&pg=PT53&lpg=PT53&dq=wer+ist+Bourgeois+nach+sombart&source=bl&ots=qUX1d5tQDo&si=mBPazQvfdXzDXAHIKr5nn\\_x28E8&h](https://books.google.ge/books?id=YAjYAgAAQBAJ&pg=PT53&lpg=PT53&dq=wer+ist+Bourgeois+nach+sombart&source=bl&ots=qUX1d5tQDo&si=mBPazQvfdXzDXAHIKr5nn_x28E8&h). აღსანიშნავია, რომ ვოლფგანგ კარტინკევიჩი ერთმანეთს ადარებს თომას მანის (1875-1955) „ბუდენბროკებს“ (1901) და ვ. ზომბარტის „ბურჟუას“ (1913) წ. და წარმოგვიდგენს ეკონომისტისა და მწერლის განსხვავებულ წარმოდგენას ბურჟუაზიაზე

<sup>1</sup> Doppelte Buchführung-ისევე როგორც თანამედროვე დასავლეთის და შესაბამისად, ევროპული კაპიტალიზმის ერთ-ერთ ნიშნად მიაჩნია ასევე მაქს ვებერს. ზომბარტის ზეგავლენა ვებერზე, და პირიქით, ვებერის ზეგავლენა ზომბარტზე აღიარებული ფაქტია.

<sup>2</sup> (იხ. Die Juden und das Wirtschaftsleben)



ვ. ზომბარტის მოსაზრებებიდან ჩვენი მიზნებისათვის მნიშვნელოვანია მისი კრიტიკული დამოკიდებლება კაპიტალიზმისადმი (*Die Götterdämmerung der Kultur*-კულტურის დაისი) და ბურჟუას სურათ-ხატი: სიახლისაკენ ლტოლვა, რაციონალობა და ანგარიშიანობა.

მ. ვებერიც და ვ. ზომბარტიც კაპიტალიზმს მიიჩნევენ არა მხოლოდ ეკონომიკურ, არამედ და უპირატესად კულტურულ ფენომენად. პრაქტიკულად ორივეს, მ. ვებერსაც და ვ. ზომბარტსაც, აინტერესებთ კაპიტალიზმის და ბურჟუას ანთროპოლოგია. ეკონომიკური ცხოვრების ანალიზი მათთვის ახალ კულტურაში ანალიტიკური შედენვის, „ბურჟუას“ ანთროპოლოგიური შემეცნების საშუალებაა.

### ბურჟუა და კაპიტალიზმი

ორმა ევროპელმა ავტორმა, ეკონომისტმა და ლიტერატურათმცოდნემ, 2013 წელს ორი შრომა გამოაქვეყნა კაპიტალიზმის შესახებ. 2013 წელს გამოვიდა ფრანკო მორეტის „ბურჟუაზია ისტორიასა და ლიტერატურას შორის“ (*Bourgeois, Between History and Literature*, London, New York, Verso, 2013) და ამავე წელს ფრანგულად, ხოლო 2014 წელს ინგლისურ ენაზე გამოვიდა თომას პიკეტის ნაშრომი „კაპიტალი 21-ე სუკუნეში“ (*Capital in the Twenty-First Century*).<sup>1</sup> ამ წიგნში მთავრი თემა არის შემოსავლებისა და

<sup>1</sup> თომას პიკეტი, ფრანგი ეკონომისტი, დაიბ. 1971 წელს. სწავლობდა პარიზში ჯერ მათემატიკას, ხოლო მოგვიანებით ეკონომიკას. ის დაინტერესებულია ასევე ისტორიით, პოლიტიკის მეცნიერებით და სოციოლოგიით. მისთვის მნიშვნელოვან ავტორებს შორის ის ასახელებს პიერ ბურდიეს. სადოქტორო დისერტაცია მან დაიცვა სოციალური მეცნიერებების პარიზის უმაღლეს სკოლაში, სადაც ბურდიე ხანგძლივად მუშაობდა. მეცნიერს დიდი სახელი მოუტანა

ქონების უთანასწორო განაწილება თანამედროვე სამყაროში. მთავარი კითხვა: თუ როგორია შემოსავლის განაწილება ინდუსტრიული რევოლუციის შემდეგ? ქონების რამდენ პროცენტს ფლობს მსოფლიო საზოგადოების ზედა 10 პროცენტი? თ. პიკეტი თანამედროვე სამყაროს უთანასწორობის დრამატიზმით აღსავსე სურათს გვიხატავს, სადაც ქონებრივი შეუსაბამობა გამუდმებით იზრდება. თანამედროვე კაპიტალიზმი გამუდმებით აწარმოებს ახალ უთანასწორობას, შემოსავლები საზოგადოების უმაღლეს საფეხურზე უფრო და უფრო იზრდება მაშინ, როცა საზოგადოების ფართო ფენების საშუალო შემოსავალი მცირდება. წიგნი მოგვითხრობს კაპიტალიზმის 250 წლიან ისტორიას, რომელიც, ავტორის ვარაუდით, თავის არსებობას დაასრულებს (პრომარქსისტული ესქატოლოგია), თუ ქონების გადანაწილების გზით სახელმწიფო უთანასწორობის აღმოფხვრას ვერ შეძლებს. თ. პიკეტის, მათემატიკოსისა და ეკონომისტის, ნაშრომი ზუსტ და მათემატიკურად კარგად ორგანიზებულ სტატისტიკას ემყარება, მაგრამ ავტორი ასევე მიმართავს მხატვრულ ლიტერატურას, რომელიც ინდუსტრიული რევოლუციის შემდეგ კაპიტალიზმის მიერ მოტანილ უთანასწორობასა და თანმხლებ შედეგებს ასახავს. ასეთ ავტორთა შორის არის ონორე დე ბალზაკი (1799-1850), რომლის „მამა გორიოს“ ანალიზს ავტორი საკმარისად დიდი ადგილს (50 გვერდი) უთმობს. პიკეტი ფიქრობს, რომ ბალზაკი საუკეთესოდ აჩვენებს თავისი ეპოქის საზოგადოების უთანასწორობას, კაპიტალისტური საზოგადოების სტრუქტურებს, რომელიც ამ უთანასწორობას წარმოშობს.

ნაშრომმა „კაპიტალი XXI საუკუნეში“. მას თანამედროვე მარქსსაც კი უწოდებენ



თ.პიკეტს აინტერესებს „ბალზაკი ეკონომისტი“, მას აინტერესებს მდიდარი, როგორც „პერონიფიცირებული კაპიტალი“(მარქსის ტერმინია), ანუ როგორია ბალზაკის ეკონომიკური წარმოდგენები, ხოლო ფ. მორეტი ყურადღებას ამახვილებს არა ბალზაკის ეკონომიკურ მოსაზრებებზე, არამედ იმაზე, თუ როგორ ახდენს ბალზაკი საკუთარი ეკონომიკური წარმოდგენებიდან პერონაჟების ფარიკაცია-წარმოებას.<sup>1</sup> ეს ორი განსხვავებული მიდგომაა, რომელიც თავისუფლად შეიძლება გადმოვიტანოთ ქართული მხატვრული ლიტერატურის ანალიზისას.

ლიტერატურისა და სოციოლოგიის, გნებავთ, ეკონომიკის შეხვედრა სულაც არ არის ახალი ამბავი. ამ ამბის თაურნყარო მარქსიზმია, რომელიც ზედნაშენის ყველა ინსტიტუციონალიზებულ ფორმაში ისტორიის გამჭოლ კანონზმიერებას, „კლასთა ბრძოლას“, ხედავს. ხელოვნების სხვადასხვა ფორმა, განსაკუთრებით კი მხატვრული ლიტერატურა, კლასთა ბრძოლას ასახავს და ირეკლავს. შესაძლოა, კლასობრივი ბრძოლის თეორია არ გავიზიაროთ, მაგრამ ძნელია არ დაეთანხმო მოსაზრებას, რომ ლიტერატურა ინდუსტრიალიზაციის, კაპიტალიზმის საწყის ეტაპზე ბევრად უფრო მგრძნობიარე აღმოჩნდა ახალი რეალობის – კაპიტალიზმის – მიმართ. სწორედ ევროპულმა მხატვრულმა ლიტერატურამ გამოკვეთა ახალი სოციალურ-ეკონომიკური სისტემების უმთავრესი კონტურები და ხშირ შემთხვევაში ბევრად დრამატულად და სარწმუნოდ, ვიდრე სოციალურმა მეცნიერებამ. ბურჟუასა და კაპიტალიზმის შესახებ სოციოლოგიური რეფლექსია უფრო გვიანდელია,

<sup>1</sup> პიკეტისა და მორეტის შედარებისას ვეყრდნობით Andreas Isenschmid, Der unerhörte Glanz von Paris, <http://www.zeit.de/2014/52/honore-de-balzac-verlorene-illusionen-neue-uebersetzung>

ხოლო მწერლობა და მხატვრული ლიტერატურა ბევრად წინმსწრები და პოლიფონიური. სულაც არ არის შემთხვევითი, რომ ფ. ენგელსი ბალზაკის შემოქმედებას განსაკუთრებულად ეპყრობოდა. ინგლისელი სოციალისტი მწერლისადმი, მაგარეტ ჰარკნესისადმი (1854-1923), 1888 წელს მიწერილ წერილში ის წერდა: ბალზაკის „ადამიანური კომედიდან“ „ეკონომიკური დეტალების თვასაზრისითაც მე უფრო მეტი გავიგე (მაგალითად, რეალური და პირადი საკუთრების შესახებ რეგულაციის შემდეგ), ვიდრე ამას გავიგებდი ერთად აღებული ამ ეპოქის ყველა პროფესიონალი ისტორიკოსის, ეკონომისტის, სტატისტიკოსის წიგნებიდან“. ამ დინამიკური, მოუთოკავი და უთანასწორობით აღსავსე სამყაროს შემოქმედი, მთავარი აქტორი არის ბურჟუა. მაგრამ ვინ არის ეს ბურჟუა? როგორია მისი ანთროპოლოგია? „კომუნისტური პარტიის მანიფესტი“ 1848 წლის ვერსია არ შეიცავდა ახალი ეკონომიკური წყობისა და მისგან ნაწარმოები პოლიტიკური სისტემის ნამდვილი შემოქმედის, „ბურჟუას“, ექსპლიციტურ დეფინიციას, ამიტომ მარქსის სიკვდილის შემდეგ 1888 წლის ინგლისურ გამოცემაში ენგელსმა საჭიროდ ჩათვლა მოეცა ამ წოდების წარმომადგენლის სრული განსაზღვრება: „ბურჟუაზიად იგულისხმება კლასი თანამედროვე კაპიტალისტებისა, საზოგადოებრივი წარმოების საშუალებათა მესაკუთრეებისა, რომელნიც დაქირავებულ შრომას იყენებენ.“ მ. ვებერისა და ვ. ზომბარტსათვის ბურჟუა რაციონალურად, გეგმაზომიერად მოქმედი ინდივიდია, მ. ვებერი მას ოპტიმიზტურად უყურებს, ხოლო ვ. ზომბარტი მისადმი ამბივალენტურ დამოკიდებულებას ავლენს. თ. პიკეტი ზოგადად ბურჟუაზიის ქმნილებას კაპიტალიზმის კრიტიკას უქვემდებარებს და მასში თვითგანადგურების რესურსს ხედავს. მაგრამ სად არის ბურჟუა დღეს?

როლან ბარტი (1915-1980) „მითოლოგიებში“ საუბრობს ბურჟუაზიის ანონიმურობაზე<sup>1</sup> ბარტი, როგორც მარქსიზმის ზეგავლენის ქვეშ მყოფი პოსტსტრუქტურალისტი, აღნიშნავს, რომ თანამედროვე საფრანგეთში ბურჟუაზიულმა ღირებულებებმა იმდენად ღმად შეაღწია, რომ თვით ბურჟუაზია უჩინარი და ანონიმური გახდა. ყველა სოციალური კლასი და ინსტიტუტი და ინდივიდი (არაც-ნობიერდად) ბურჟუაზიული ცხოვრების წესით და ღირებულებებით არის გაჟღენთილი. რა არის ამის მიზეზი? რ. ბარტის აზრით, ამის მთავრესი მიზეზი „ერის“, „ნაციის“ ცნებაა. ბურჟუაზია ერის ცნებაში „გაიხსნა“, „გათქვიფა“. თავდაპირველად ბურჟუაზია პოზიტიური ცნება იყო, რომელიც არისტოკრატის იზოლაციას ემსახურებოდა, მაგრამ დროთა განმავლობაში მან მთლიანად შეაღწია ერის კატეგორიაში იმგვარად, რომ ერის ცნებიდან გამორიცხა ზოგიერთი ელემენტი, როგორც უცხო სხეული (მაგ. კომუნისტები). შესაბამისად, ბურჟუაზია „დაიკარგა“. ეს ვითარება სხვა კლასებთან და ჯგუფებთან ბურჟუაზიას უპირატესობას აძლევს, რადგან მისი ცხოვრების სტილი და მორალი, ფრანგული საზოგადების ყველა სფეროში შეღწეული, საყოველთაო სტილად, მორალად გადაიქცა. ეს ვითარება კარგად ჩანს ადამიანური ცხოვრების ყველა სფეროში. რ. ბარტი სამ განზომილებას გამოყოფს, სადაც ამგვარ გათქვიფვას აქვს ადგილი: პოლიტიკური (1), კულტურული (2) და ყოველდღიური ცხოვრება-ყოველდღიურობა (3). (1) პოლიტიკური განზომილება: თანამედროვე საფრანგეთში აღარ არსებობს ბურჟუაზიული პარტია, არსებობენ „ეროვნული პარტიები“; თანამედროვე სახელმწიფოს (სახელმწი-

ფო – როგორც ზედანაშენი) ანცობს „ბურჟუაზიის“ ცნების „ერის“ ცნებით გადაფარვა, რადგან მას სურს იმ კლასობრივი წინააღმდეგობების მიჩქმალვა, რომელსაც ადგილი აქვს უთანასწორო საზოგადოებაში; (2) კულტურული განზომილება: გაქრა პროლეტარული კულტურა, მორალი და ხელოვნება. ყველა არაბურჟუაზიული ჯგუფი იძულებულია კულტურული ნომრები ისესხოს ბურჟუაზიისაგან და, შესაბამისად, ბურჟუაზიული ესთეტიკა გაჟღენთავს და ავსებს ყველა სხვას. ასეთი ექსპანსიის შემდეგ ბურჟუაზია თვით კარგავს თავის სახელს, „განსახელდება“, „ქრება“ და განიბნევა. (3) ყოველდღიური ცხოვრება-ყოველდღიურობა: ანონიმურობა-გაუჩინარების, „გახსნისა“ და „გადღაბნილობის“ ხარისხი კიდევ უფრო მატულობს, როცა ბურჟუაზიის კულტურა აღწევს და იჭრება „ცხოვრების ფილოსოფიაში“, სახალხო-გამოყვებით ხელოვნებაში. კინო, პრესა, თეატრი, მასობრივი ლიტერატურა, ცერემონიალები, იუსტიცია და დიპლომატია, ყოველდღიური საუბრები, სისხლის სამართლის პროცესები, სენსაციური ქორწინებები, კერძები, სამოსი-ყველაფერი ეს „ნორმალიზებული“ ბურჟუაზიული შეხედულებებითაა განმსჭვალული. ეს იმდენად ღმა შეღწევას საზოგადების ყველა სფეროში, რომ უკვე შეუძლებელია ბურჟუაზიულისა და არაბურჟუაზიულის გამოცალაკვება ერთმანეთისაგან. სწორედ ამის გამო, ჩვენ ვცხოვრობთ საზოგადოებაში, სადაც თვით ბურჟუაზია უჩინარი გახდა, მაგრამ საზოგადოების ბურჟუაზიულობის ხარისხმა უმღლეს დონეს მიაღწია.

ზოგიერთი მოსაზრების თანახმად, კაპიტალიზმი უშუალოდ ბურჟუაზიისათან, მის წარმოშობასთან არ არის დაკავშირებული ელენ მაიკსინს ვუდი:“ არ არის აუცილებელი

<sup>1</sup> იხ. როლან ბარტი, **მითოლოგიები**; ფრანგ. თარგმნა ნატალია მთივლიშვილმა, თბ. აგორა, 2011

ბურჟუა გავაიგივოთ...კაპიტალისტთან“<sup>1</sup> ამავე გარემოებაზე მიუთითებს მ.ვებერი (1864-1920) 1920 წელს დაწერილ წინასწარ შენიშვნებში, რომელიც მკვეთრად მიჯნავს ერთმანეთისაგან დასავლურ კაპიტალიზმს ბურჟუაზიისაგან: „მსოფლიო კულტურის ისტორიაში ჩვენთვის წმინდა ეკონომიკური თვალსაზრისით საბოლოო ჯამში ცენტრალურ პრობლემას წარმოადგენს არა კაპიტალისტური საქმიანობის, როგორც ასეთის, სხვაგან ყველგან მხოლოდ ფორმაცვლილი გაშლა: ავანტურისტული ტიპის ან მოვაჭრე, ან კიდევ ომზე, პოლიტიკაზე, ადმინისტრაციულ მართვასა და მათგან მოგების მიღების შანსებზე ორიენტირებული კაპიტალიზმი, არამედ უპირატესად ბურჟუაზიული საწარმოო კაპიტალიზმის წარმოშობა მისი თავისუფალი შრომის რაციონალური ორგანიზაციით ან, თუ კულტურის ისტორიის თვალსაზრისით გადავხედავთ, დასავლური ბურჟუაზიისა და მისი თავისებურების წარმოშობა, რაც, რა თქმა უნდა, კაპიტალისტური შრომის ორგანიზაციასთან ახლო კავშირში კი იმყოფება, მაგრამ, ცხადია, ასე უბრალოდ მისი იდენტური არ არის. ვინაიდან, „ბურჟუა“, წოდებრივი გაგებით, ჯერ კიდევ სპეციფიკური დასავლური კაპიტალიზმის განვითარებამდე არსებობდა; მაგრამ, რაღა თქმა უნდა, მხოლოდ დასავლეთში. სპეციფიკური ტიპის თანამედროვე დასავლური კაპიტალიზმი აშკარად, უპირატესად ტექნიკური საშუალებების განვითარებამ განსაზღვრა. მისი რაციონალობა დღეს არსებითად განპირობებულია ტექნიკურად გადამწყვეტი ფაქტორების გაანგარიშებადობით: ზუსტი კალკულაციის დოკუმენტაციით. ეს კი სინამდვილე-

ში გულისხმობს დასავლური მეცნიერების თავისებურებას, განსაკუთრებით მათემატიკურად და ექსპერიმენტულად ზუსტად და რაციონალურად დაეფუძნოს საბუნებისმეტყველო მეცნიერებებს. მეორე მხრივ, ამ მეცნიერებებისა და მათზე დამყარებული ტექნიკის განვითარება, თავის მხრივ, უმთავრეს იმპულსებს იღებდა და იღებს კაპიტალისტური შანსებიდან, რომლებიც მის ეკონომიკურ ვარგისიანობას უკავშირდება, როგორც წახალისება.“<sup>1</sup>

ფ. მორეტიც ამ ვითარებაზე მიუთითებს. მისი აზრით, ბურჟუას პერონაჟის დანახვა მე-19 საუკუნეში ჯერ კიდევ შესაძლებელი იყო, ამ კლასს გააჩნდა იდენტობა. ამ დებულების საილუსტრაციოდ ფ. მორეტს მოჰყავს მ. ვებერის ერთი ციტატა: „მე ბურჟუაზიული კლასის ერთ-ერთი წარმომადგენელი ვარ, ასეთად აღვიქვამ ჩემს თავს და აღზრდილი ვარ მის შეხედულებებსა და იდეალებზე“.<sup>2</sup> რა არის ეს იდეალები, სვამს კითხვას ფ.მორეტი, ვინ არის თანამედროვე ისტორიის ეს „მთავრი პროტაგონისტი“ (ი. ვალერსტაინი მეტაფორა) სამეცნიერო ლიტერატურაში, რომელსაც საფუძვლიანად მიმოიხილავს ფ. მორეტი ერთმნიშვნელოვნად პასუხი ამ კითხვაზე არ არსებობს. გარდა ამისა, საკამათოა, რამდენად არის კაპიტალიზმის წარმოშობა ბურჟუაზიის დამსახურება. ფ. მორეტის მოჰყავს გერმანელი ისტორიკოსის იურგენ კოკას<sup>3</sup> (დაიბად.1941) მოსაზრება, რომ ბურ-

<sup>1</sup> მ. ვებერი, ნარკვევები რელიგიის სოციოლოგიის შესახებ, თბილისი, საგამომცემლო სახლი „მარსი“, თბილისი, 2004, 18-19

<sup>2</sup> Ф. Моретти, Буржуа между историей и литературой, Москва, 2014, 11

<sup>3</sup> იურგენ კოკა (Jürgen Kocka), დაიბ. 1941, გერმანელი ისტორიკოსი, ბერლინის სოციალური კვლევების ცენტრის დირექტორი, ახალი სოციალური ისტორიის ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო წარ-

<sup>1</sup> Ellen Meiksins Wood, The Origin of Capitalism: A Longer View, London 2002, p.63

ჟუას მაიდენტიფიცირებელი ნიშნები სოციალური და ისტორიული თვალსაზრისით ვარირებდა. მე-18 საუკუნემდე ბურჟუა წარმოადგენდა თვითდასაქმებულ მცირე მენარმეს (ხელოსნები, საცალო მოვაჭრენი, წვრილი მესკუთრენი), ასლი წლის შემდეგ ბურჟუა შედგებოდა სახელმწიფო მოსამსახურეთა საშუალო და წვრილი კლერკებისაგან, ხოლო მე-19 საუკუნეში გაჩნდა „განათლებული ბურჟუას“ სინკრეტული ფიგურა. ფრიად საკამათო ჩანს ბურჟუას მთავრი როლი კაპიტალიზმის ფორმირებაში. ელენ მეიკსინს ვუდი<sup>1</sup> ასაბუთებს, რომ ეს კავშირი არც თუ ისე ცხადია. მისი აზრით, ინგლისური კაპიტალიზმი არ შეუქმნია ბურჟუაზიას. საფრანგეთში არსებობდა ბურჟუაზია, მაგრამ მის რევოლუციურ პროექტს კავშირი არ ჰქონდა კაპიტალიზმთან. ამდენად, ბურჟუასა და კაპიტალიზმის გაიგივება ფრიად საკამათოა.

ქართული ფეოდალური ყოფა იცნობს აზატს, მოქალაქეს და ვაჭარს, მაგრამ ქართული ფეოდალურ სისტემის შიგნით ფეოდალური ვალდებულებებისაგან თავისუფალ თვითდასაქმებულ ეთნიკურ ქართველს (გარდა აზატისა. სახელწოდება სომხურიდან მომდინარეობს) ჩვენი კულტურა არ იცნობს. ეთნიკური ქართველი ქართული ფეოდალური სისტემის შიგნით ან არისტოკრატია ან ყმა, ხელოსანიც კი

---

მომადგენელი. მას იცნობენ, როგორც ბილფელდის (გერმანია) სკოლის წარმომადგენელს. მისი მთავრი შრომა ეხება ევროპული ბურჟუაზიის კვლევას.ი. კოკას აინტერესებს საკუთრებისა და ლიტერატურის შეხვედრა, რაც ასევე ფ. მორეტის ცენტრალური თემაა.

<sup>1</sup> ელენ მეიკსინს ვუდი (Ellen Meiksins Wood), დაიბად. 1942 წელს ამერიკელი მარქსისტი ისტორიკოსი. სწავლობდა სლავურ ენებს. მრავალი მისი ნაშრომი დაწერილია მეუღლესათან, ნოელ ვუდთან, თანავტორობით.

ყმურ დამოკიდებულებაშია არისტოკრატიასთან. შესაბამისად, თვითდასაქმებული და ფეოდალური ვალდებულებებისაგან თავისუფალი ფეოდალური სისტემის შიგნით არის არაქართველი, რომლის საქმიანობა ვაჭრობა და ხელოსნობაა. ამ ჯგუფს ასევე ეწოდება „მოქალაქე“, რომელიც ფეოდალური ვალდებულებებისაგან თავისუფალ არაქართველს აღნიშნავს. ეს არაქართული ეთნიკური ჯგუფი ასევე „პროფესიები“; პროფესია და ეთნიკური ჯგუფი ერთი და იმავე სემანტიკისა და სოციალური სტატუსის აღმნიშვნელი ხდება. ასეთი ეთნიკური ჯგუფი ქართული ფეოდალური რეალობისათვის არის სომეხი და ებრაელი, რომელიც ასევე პროფესიული საქმიანობით, ვაჭრობითა და ხელოსნით, არის მარკირებული. ეს თავისებურება მემკვიდრეობით მე-19 საუკუნეს გადაეცა, რამაც ბევრად განსაზღვრა მე-19 საუკუნეში ქართული ნაციონალური იდეოლოგიის სპეციფიკა, კერძოდ, ქართული ნაციონალიზმი იდეოლოგიურად მოამზადა არა ბურჟუაზიამ, არამედ განათლებულმა არისტოკრატამ, რადგან ბურჟუაზია უპირატესად არაქართული ეთნიკური ჯგუფით იყო წარმოდგენილი: ბურჟუაზია იყო სომხური ან ებრაელური ბურჟუაზია. ნაციონალისტური და პროევროპული იდეები თავის თავზე ეთნიკურად ქართულმა არისტოკრატამ და გლეხობიდან გამოსულმა ინტელიგენციამ (განათლება როგორც „გაბრუჟუების“ საშუალება) აიღო თავისთავზე, რითაც ეთნიკურად არაქართველ ბურჟუას ქართული ნაციონალიზმის ფორმირებაში მონაწილეებისაკენ გზა დაუხშო. პროფესიისა და ეთნიკური წარმომავლობის მნიშვნელობები იმდენად დაუკავშირდა ერთმანეთს, რომ ვაჭარი ეთნიკური ქართველი „სომხობის“ ან კიდევ „ებრაელობის“ სემანტიკასაც შეიცავდა. ლ. არდაზიანის სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილი, რომელიც ზოგ-



ჯერ თავს სომეხს, ხოლო ზოგჯერ ქართველს უწოდებს და რომელიც ქართულსაც ისევე ფლობს, როგორც სომხურს – გარკვეულ პირობებში შესაძლოა ქართველი ნაციონალური იდეოლოგიის შემქნელთა შორის აღმოჩენილიყო, მაგრამ მე-20 საუკუნის ბოლოს სოციალ-დემოკრატიის გამარჯვებამ და პირველი რევოლუციის მარცხმა ეს კლასი საერთოდაც საბჭოთა საქართველოს ისტორიიდან გაიყვანა.

მე-19 საუკუნის ინტელექტუალებისათვის ევროპას მასწავლებლის სტატუსი ენიჭება. ევროპა, და არა რუსეთი, ხდება მასწავლებელი და მიბაძვის მთავარი მაგალითი. შესაბამისად, ევროპული ცხოვრების წესი, განათლება ყოველდღიურობა ქართული კულტურის შიგნით განსაკუთრებული წინააღმდეგობის გარეშე წინაურდება.<sup>1</sup> ეს ვითარება მე-19 საუკუნის ევროპაში არსებული პოლიტიკური კონტექსტით არის დეტერმინირებული: ევროპული სახელმწიფოები დამოუკიდებელი ერი-სახელმწიფოებია, ევროპა ტექნოლოგიურად დაწინაურებულია, რაც ქართველ ინტელექტუალებს ხიბლავს. გარკვეულ პრობლემას ქმნის ის, რომ ევროპული საზოგადოება სექსუალურად საქართველოზე ბევრად თავისუფალია, რაც ქართველი დამკვირვებლისათვის გაევროპულების გზაზე ერთგვარ დაბრკოლებად წარმოჩინდება. ზ. ანტონოვის „მზის დაბნელება საქართველოში, ნამდვილი კომედია სამს მოქმედებად, რუსულის სცენარითურთ,“ თბილისი, (დაიდგა 1853, გამოქვეყნდა 1876). ევროპული განმანათლებლობის სულისკვეთებითაა გამსჭვალული. „მზის დაბნელება“ აქ „გონების დაბნელების“, რაციონალური მეცნიერული აზროვნების

არქონის მეტაფორული ეკვივალენცია. „მზე“ გონებას განსახიერებს, ხოლო „დაბნელება“ ტრადიციულ, რელიგიური და მაგიური აზროვნების ეკვივალენცია. პროგრესის და ევროპულობის მატარებლად პიესაში სამხედრო, არისტოკრატი გვევლინება და არა სავაჭრო კაპიტალის წარმომადგენელი ბურჟუა.

გეურქა: „ვა რა კაცია, პლუტი ჩინოვნიკი მიეცი შენი ქალიო, ისიც ვოენი (სამხედრო აქ რაინდის სიმბოლოა ე.ჯ), ფულების ისე ფანტავენ როგორც ბზე, სადაც მივლენ დაიძახებენ დავაი შაფანცკუ, გადაუყრიან ფული თითქო რიყზედ მოეგროვებინოთო, მერე შაფანცკიც ხომ წორეთ არ გახსნიან, შემოჰკვრენ შპაგა და ბუთილკა შუაზედ გახეთქამენ, ნახევარი იქცევა, ნახევარი სმენ, მერე მოუთ ჩხუბი დუელი იქმონენ, ეხლა მე რო ჩემი ქალი ჩემი მდგმური აფიცერი მივცე, ერთიც ვნახო დალეული მოვიდა, ერთი სიტყვა უთხრა, მაშინვე შპაგა მდებს თავში და კტრიც გლუხ... მიზიდე გეურქ, ვა რა კაცია მიკირტუმა, აპლატი აქვსო მაკვირვებს, დიდი რამე გონია ჰა... იმისთანა მუშური გრვანქა სამი აბაზით“, გვ. 20 (დამოკიდებულება ფულისადმი და განსხვავება ცხოვრების სტილში), შემოსავალი და კეთილდღეობა ერთმანეთთან კავშირში არ არის არც მეჯღანუამვილთან. ვაჭრებისათვის ფული თვითმიზანია. ალექსანდრე რაინდიძე (არდაზიანის პერსონაჟი) კი გარბის ქალაქიდან და იწყობს სოფლურ იდილიას. ქალაქი უკვე ნიშნავს ალებ-მიცემობას, სოფელი ზომიერებას და სიმშვიდეს. არისტოკრატია მარცხება ქალაქის „ვაჭრულ ლოგიკასთან“ დაპირისპირებაში.

ბურჟუაზია არ ენდობა არისტოკრატიას ფინანსური თვალსაზრისით, რომელიც მჭიდრო კავშირშია არისტოკრატის მორალის მიმართ უნდობლობასთან:

<sup>1</sup> თანამედროვე საქართველოში გაევროპულებას ბევრად უფრო მეტი მოწინააღმდეგე ჰყავს, ვიდრე მე-19 საუკუნეში



გეურქა: „ფულები კნიაზჯან! რავექნა ნუ გენყინება ვერ მოცემ, ერთი ამისთვინა რომ ვაი ჩუენც დავიხოცნეთ და ვირამ გამოგართოს, და მეორეც იმისთვინა რომ კი ნუ გენყინება და თავადები ნასესხები ფულები აღარ იძლევით“.

თავადების ეპითეტი აქ მგელია: „მგლის ხელში ბატკანი ჩავარდეს კიდევ გამმართმევს ვინმე, უკაცრავად კი ნუ ვიქნები კნიაზჯან და თქვენ წორეთ ფულის მგლები ხართ“.

აქესენტი ცაგარელი „სცენები ვაჭრების ცხოვრებიდამ,“ (აქესენტი ცაგარელი, დროება, საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი, თბილისი, 1880, 20 სექტემ. #199) წარმოადგენს პამფლეტს ვაჭრებზე, რომელთაც ნებისმიერი, თუნდაც მინიმალური რისკის შემცველი საქმის წამოწყების ემინიათ. ამას გარდა, ცაგარელი აჩვენებს ვაჭართა კლასის და არა მხოლოდ მათ გაუნათლებლობას, მათი ცოდნისა და გამოცდილების სრულ შეუთავსებლობას თანამედროვე სამეცნიერო და ტექნოლოგიურ მიღწევებთან. მიუხედავად იმისა, რომ ეს ფენა ფლობს საკმარისად დიდ კაპიტალს, პროგრესისკენ მიდრეკილი არ არის. ეს არ არის ევროპული ვაჭართა კლასი, რომელიც რაციონალურად აზროვნებს, ახალ ტექნოლოგიებს იყენებს და სამყაროში მიმდინარე მოვლენების ასახსნელად მეცნიერებას, რაციონალურ აზროვნებას მიმართავს. შესაბამისად, მე-19 საუკუნის 50-60-ინი სამოციანი წლების ავტორები საკუთარ მხატვრულ ნაწარმოებებსა და პუბლიცისტურ ნერილებში აჩვენებენ ევროპული ცხოვრების წესის ერთგვარ მიუღებლობას: კრიტიკის საგნად იქცევა ევროპულად ჭამა, ევროპული ჩაცმა და გასაკუთრებით კრიტიკულია მთელი საზოგადოების დამოკიდებულება სექსუალური ცხოვრების თავისუფლების მიმართ, რომელზეც ხმები უკვე აღწევს ქართულ საზოგადოებაში. მოდერნიზაციის ტალღას განსაკუთრებულ

დაბრკოლებას უქმნის: გაუნათლებლობა (მაგია - ცოდნის წინააღმდეგ), მეურნეობის და ვაჭრობის კომერციის წარმოების ტრადიციული აღმოსავლური, გნებავთ აზიური წესი - (ტრადიციული მეურნეობა (საოჯახო მეურნეობისა და წარმოების გაუმიჯნაობა) - რაციონალურ მართავზე დაფუძნებული წარმოება), ქალიშვილობის ინსტიტუტი ლიბერალური სექსუალური ცხოვრების წესის წინააღმდეგ (გ. ერისთავის „გაყრაში“ თავად ივანე დიდებულის მსახური შეჰნატრის იმ დროს, როცა თავის ბატონთან ერთად პოლონეთში ცხოვრობდა და სადაც ყოველდღე ახალი პარტნიორი შეეძლო ყოლოდა. მსახური ქალისათვის მწერლის მიერ შერქმეული სახელი იმპლიციტურად ტრადიციული სექსუალური კულტურის დრომოჭმულობის აღნიშნავს).

სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილი სახელი და გვარი ერთგვარი პალიმფსესტია, ის სხვადასხვა შრისაგან შედგება: ებრაელი, სომეხი (ეთნიკური წარმომავლობა, როგორც პროფესია). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ქართულ კულტურაში „ბურჟუაზიულობა“ სომხობას მიენერება, მაგრამ ქართული მხატვრული ლიტერატურის ანალიზი აჩვენებს, რომ სომხობის უკან ებრაელობა დგას. ლავრენტი არდაზიანის რომანის პერსონაჟი სოლონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილი ორმაგად კოდირებულია: „სოლომონ ისაკიჩი“ ებრაული სემანტიკის შემცველია, ხოლო მეჯღანუაშვილი (გვარი წარმომავლობის, დაბალი სოციალური სტატუსის მაჩვენებელი) სომხობას განასახიერებს. ამგვარად, ჩვენ წინაშეა სახელი პალიმფსესტი: ზედაპირზე სომხობა, ხოლო სიღრმეში ებრაელი.

დიმიტრი ჯანაშვილის სტატიას „ვაჭრობა“ წინ უძღვის ანდაზა: „ქართველის დუქანი, სომხის გუთანი“<sup>1</sup>, რაც გუ-

<sup>1</sup> გ. გრემელი (დიმიტრი ჯანაშვილი), ვაჭრობა, დროება 1876, #37

ლისხმობს პროფესიული საქმიანობის ეთნიკურ დეტერმინირებულობას: ქართველს ვაჭრობა არ ეხერხება, ხოლო სომეხს – სოფლის მეურნეობა.

მე-20 საუკუნის დასაწყისში საქართველოს გასაბჭოებამ „გაბურჟუების“ პროცესი შეაჩერა. დღეს მხოლოდ ვარაუდის გამოთქმა შეიძლება იმაზე, თუ როგორ განვითარდებოდა მოვლენები, რა სახეს მიიღებდა კაპიტალიზმი და როგორ მოახდენდა ლიტერატურა ამ პროცესის დახატვას.

კვლევის შემდგომ ეტაპზე აქცენტები სწორედ მე-20 საუკუნის 20-იანი წლების ლიტერატურული ნარატივის ანალიზზე გაკეთდება.

## ენა, როგორც კერსონაჟი

(გიორგი ერისთავი ლავრენტი არდაზიანი)

ენის პერსონიფიცირების იდეა, რომელსაც სულ უფრო ხშირად მიმართავენ ლიტერატურული ტექსტების თანამედროვე მკვლევრები, გასულ საუკუნეში „ლინგვისტური შემოტრიალების“ სახელით ცნობილ მოვლენას უკავშირდება. სწორედ იგი იქცა კულტურის იმ განსაკუთრებულ ნიშნად, რომელმაც ადამიანის, სამყაროს შეცნობის საიდუმლო კოდი ენის ზედაპირიდან მის შუაგულში გადაიტანა. რეალობის შემეცნების ერთადერთ გამოცდილებად ამიერიდან მიჩნეულ იქნა სწორედ ლინგვისტური გამოცდილება პრინციპით: შეუძლებელია აღიაროთ რაიმეს არსებობა მანამ, სანამ ის არ იქნება აღწერილი. გამოდის, რომ დესკრიპცია ახდენს საგნის აქტუალიზებას და განაპირობებს კულტურაში მის არსებობას (ბრაზგოვსკაია, 2012:14). თუმცა სხვადასხვა ენობრივი თამაშების ფონზე თავად ენების განსხვავებული აღწერილობითი საშუალებები განაპირობებენ ჩვენი წარმოდგენების სისავსეს როგორც კონკრეტული რეალობის, ასევე ზოგადად ენის კომპეტენციის დონეზე. ასე რომ „ლინგვისტური შემოტრიალება“ თავისი თვისებრივი სიახლის შემცველი მიდგომების გამო მთელი რიგი ჰუმანიტარული გამოკვლევებისათვის ქმნის ხედვის ახალ რაკურსს. ამ მიმართულებებით მომუშავე მეცნიერები კი ერთხმად აღიარებენ, რომ XX საუკუნის კულტურის „ენით მოხიბლვა“ შეიძლება კონსტატირებულ იქნას როგორც შემდგარი ფაქტი.

ამ ფაქტმა კი დადასტურება ჰპოვა უკვე საკმაოდ კარგად ნაცნობ იდეებში:

ა) ენა როგორც ყოფიერების სახლი (მ. ჰაიდეგერი);

ბ) როგორც ჩვენი არსებობის გარემო, რომელშიც ხდება ცხოვრებისა და ცნობიერების შერწყმა-შეერთება (ბ. გასპაროვი, კ. აპელი, ე. კასირერი);

გ) როგორც არაცნობიერის სივრცე (ჟ. ლაკანი); დ) როგორც სოციალური გარემოს ფორმირების ინსტრუმენტი (მ. ფუკოს დისკურსული ფორმაციები და „არქივი“); და ე) თვით სოციალური გარემო (ლ. ვიტგენშტეინის ენობრივი თამაშები). ეკონომიკური კრიტიკაც, როგორც უკანასკნელი პერიოდის ჰუმანიტარულ კვლევათა ერთ-ერთი ნოვაციური მიმართულება, ცხადია, ითვალისწინებს ამ დეფინიციებს და შესაბამისად ახდენს მისთვის მისაღები ენისეული პრიორიტეტების დემონსტრირებას, მეტიც, ცნობილ ლინგვოკულტურულ პოზიციაში კულტურა/მენტალობა – ენა თავისი კორექტივებიც შეაქვს. ვინაიდან ეკონომიკური კრიტიკის ინტერესის ძირითადი სფერო ის სოციალური, ეკონომიკური და კულტურული კონტექსტებია, რომელშიც პიროვნება ან სოციალური ჯგუფი მუშაობს, ამიტომ აღნიშნული ტიპის კვლევებში ვერ იქნება და არც არის წარმოდგენილი ენის მხოლოდ კომუნიკატორული ან აღწერილობითი ფუნქციები, არც ტექსტებში მანიფესტირებული შინაარსის (პერსონაჟების ქცევის, ფულადი ცნებების, ტროპების და ა. შ.) ტრადიციული ანალიზი, არამედ აქცენტირებულია ესთეტიკური ღირებულებების მონეტარული ღირებულებებით ჩანაცვლების რთული და მტკივნეული პროცესის მთელი სისრულით ენით პორტრეტიტების პროცესი. ეს პროცესი კი იმდენად რეზონანსული იყო, რომ ევროპულ ლიტერატურაში, სადაც კაპიტალიზმმა

ფუნდამენტური საზოგადოებრივი ძვრები გამოიწვია, პოლიტიკური ეკონომიის, როგორც ახალი საზოგადოებრივი მეცნიერების, პარალელურად წარმოშვა ლიტერატურის ასევე ახალი ჟანრი, რომანი. სწორედ ამის შესახებ წერს დევიდ კაუფმანი: „კომერციული კაპიტალიზმის სწრაფმა განვითარებამ და ინსტიტუციურმა კონსოლიდაციამ მეთვრამეტე საუკუნეში წარმოქმნა ეკონომიკის, სახელმწიფოს, მორალისა და სამოქალაქო უფლებების ახლებური აღწერებისა და აპოლოგიის საჭიროება, რომელიც დაკმაყოფილებულ იქნა როგორც პოლიტიკური ეკონომიის, ისე რომანის მიერ“ (მ. ვუდმანსი- მ. ოსტინი, ახალი ეკონომიკური კრიტიკა, 1999, თარგმ. თ. ლომიძე). ჩვენთვის განსაკუთრებით საყურადღებოა ამ მოვლენის ერთ-ერთი მიზეზი, რომელიც თავის დროზე ჩამოაყალიბა ჰარვარდის უნივერსიტეტის პროფესორმა მარკ შელმა თავის გახმაურებულ ნაშრომში „ლიტერატურის ეკონომიკა“ (1978). „შელის აზრით, ლიტერატურული ნაწარმოებები შედგება ტროპული შენაცვლებებისგან ან მეტაფორებისგან, რომელთაგან ზოგიერთი შეიძლება გავაანალიზოთ ეკონომიკური ცნებების მეშვეობით“. მაშასადამე, ეკონომიკური ლიტერატურული კრიტიკა ცდილობს ჩანვდეს მიმართებას ლიტერატურულ გაცვლა-გამოცვლასა და იმ გაცვლა-გამოცვლას შორის, რომელიც პოლიტიკური ეკონომიკის საფუძველს წარმოადგენს და გააერთიანოს ამ ორი სფეროს დისკურსები“ (მ. ვუდმანსი- მ. ოსტინი , ახალი ეკონომიკური კრიტიკა, 1999).

ჩვენი კვლევის ობიექტად შერჩეული პერიოდი, რომელიც XIX საუკუნის შუა ხანების ქართული მწერლობის ორი თვალსაჩინო წარმომადგენლის, გ ი ო რ გ ი ე რ ი ს თ ა ვ ი ს ა და ლ ა ვ რ ე ნ ტ ი ა რ დ ა ზ ი ა ნ ი ს, თემატურადაც და ენობრივი თვალსაზრისითაც იმ დროისთვის

საკმაოდ თამამი ტექსტების შექმნას ემთხვევა, რა თქმა უნდა, არ იცნობდა ზემოაღნიშნულ ენობრივ დეფინიციებს. ვინაიდან ეს მწერლები ხელმძღვანელობდნენ კრიტიკული რეალიზმის სახელით ცნობილი მხატვრული მეთოდით, რომელიც ძირითად აქცენტს ტიპიზაციაზე აკეთებდა, ხოლო ენობრივი აქტივობები, რომლებიც არა მარტო გმირთა ხასიათების გახსნას ემსახურებოდა, არა თუ შორეულ XIX, არამედ XX საუკუნის 60-იან წლებამდეც კი, და ისიც უკეთეს შემთხვევაში, სტილურ თავისებურებებად იყო მიჩნეული. სწორედ ამის შესახებ წერდა ამ პერიოდის ერთი ახალგაზრდა ენათმეცნიერი არლი თაყაიშვილი: „არავისთვის უცხო ამბავი არ არის, რომ ზოგჯერ ენა და სტილი მივიწყებულა ჩვენი კრიტიკოსების ნაწარმოებებში. ისინი ცდილობენ ღრმად ჩასწვდნენ მწერლის იდეურ-მხატვრულ კონცეფციას, ზედმინენით დაახასიათონ გმირები, მაგრამ ენაზე რომ მიდგება საქმე, რატომღაც ენას კბილს აჭერენ“ (ა. თაყაიშვილი, 1963: 38). სხვა სიტყვებით „ენის მრავალსახეობის პრობლემა“ იმ დროისთვის ჯერ კიდევ დახურული იყო. კრიტიკული რეალიზმი, როგორც ვიცით, ის ლიტერატურული მიმართულებაა, რომელიც მიზნად ისახავდა ევროპის „პოლიტიკურად ინტენსიური და სოციალურად დიფერენცირებული“ საზოგადოების მხატვრულ ასახვას. ეს დროში ემთხვევა კაპიტალიზმის დამკვიდრების ხანას, როდესაც ადამიანთა ურთიერთობები, მათი სოციალური სტატუსი მატერიალური ფასეულობების შოვნა-შეძენის ზედმეტად აქტივიზებულ, ზოგჯერ კი საკმაოდ მტაცებლურ უნარებს დაექვემდებარა. მეტიც, მდიდართა და ღარიბთა შორის გაჩნდა ე.წ. საშუალო ფენა (ინგ. middle state) – ბურჟუაზია, რომელიც ყველაზე უკეთ განასახიერებდა ახალი დროის სახეს და რომლის „წარმოქმნაც ეკონომი-

კის ფართო ისტორიული მოთხოვნებით იყო განპირობებული“. ჩვენთან ბურჟუაზიული კლასი, თავისი კლასიკური გაგებით ბოლომდე ვერც ჩამოყალიბდა, მეტიც, იგი თითქოს არც იყო ორგანული ქართველთა ბუნებისათვის, რადგან, მცირეოდენი გამონაკლისის გარდა, გამდიდრება ძირითადად არაქართველებმა შეძლეს. განსხვავებული ელფერი ჰქონდა „კრიტიკული რეალიზმის განმსაზღვრელ მახასიათებლებსაც: „ბურჟუაზიული მსოფლმხედველობის არისტოკრატიულთან დაპირისპირებას“, რადგან იგი სოციალურ შინაარსზე მეტად ეროვნული დაპირისპირების ნიშნით დაიტვირთა. მით უფრო, როცა ცხადი გახდა, რომ „ფული აღემატება გვარსა და წარმომავლობას, სიმდიდრე – საუკუნეობით გამყარებულ ტრადიციასა და ეტიკეტს. ამასთან გამოიკვეთა ძირითადი კონცეპტუალური ოპოზიციები: ფული/უფულობა; მატერიალური ბედნიერება/სულიერი სიმდიდრით მიღწეული ბედნიერება, „პატიოსანი ფული“/„არაპატიოსანი ფული“ (ი. ბორევი, 2001: 399) და ა. შ. ზემოაღნიშნულ მიზეზთა გამო საქართველოში ბურჟუაზიის განვითარება-ჩამოყალიბება თითქმის არ გასცილებია სავაზმო კაპიტალის შექმნას. სწორედ ამ პროცესის ეტაპობრივი განვითარება ასახა კრიტიკული რეალიზმის პირველმა პერიოდმა.

ყველაზე თვალსაჩინო მოვლენა, რომელიც XIX საუკუნის პირველ ნახევარში ხდება – სახელმწიფოებრიობის გაუქმების შემდეგ – ამავე მოვლენაზე თავადაზნაურობის მწვავე რეაქციის (მხედველობაში, ცხადია, 1832 წლის შეთქმულება გვაქვს) უშედეგოდ დასრულებაა. მართალია, რუსეთის იმპერატორმა პოლონეთში გამართული სისხლისღვრის ფონზე (იქ აჯანყება 1830 წელს დაიწყო) ქართველი მეთაურობები ნაკლები სისასტიკით დასაჯა, ამ მარცხმა

შეთქმულებაში მონაწილეთ დალი დაასვა და შექმნა დამარცხებული გარკვეული სინდრომი: ერთი ნაწილი წარსულის იდეალიზაციას მიეცა და რომანტიკული ხასიათის ტექსტები შექმნა, მეორე, უფრო მცირე ნაწილი კი სინამდვილისადმი რაციონალური, შეიძლება ასეც ითქვას, მწვავედ კრიტიკული დამოკიდებულების გამო რეალიზმის სათავეებთან აღმოჩნდა. გიორგი ერისთავიც ერთ-ერთი „განდობილი“ იყო, თუმცა თავისი ასაკისა (1832 წელს იგი მხოლოდ 17 წლის ყმაწვილი იყო) და ევროპაში (პოლონეთში) განსწავლულობის გამო არა მარტო ახალი ლიტერატურული მიმართულების, ახალი სამწერლო ჟანრის, კომედიოგრაფიის და მასთან ერთად თეატრის, არამედ ახალი ენის, ახალი ლოგოსის შემქმნელიც აღმოჩნდა (უფრო ზუსტად ეს იყო სამოციანელები თაობის მიერ სალიტერატურო ენის შექმნის სანყისი ეტაპი). ასეთი ტიპის ცვლილებების გათავისების უნარი კი, როგორც წესი, დიდი სოციალ-ეკონომიკური ცვლილებებისადმი რეალისტური აღლოს მქონე მოღვაწეებს აქვთ. გ. ერისთავს ეს აღლო ნამდვილად ჰქონდა და ამიტომაც მან ცვლილებათა აუცილებლობის არტიკულირება ენით დაიწყო. აი, რას წერდა პლატონ იოსელიანი პიესა „გაყრის“ წინასიტყვაობაში: „მწერლობა ძველთა, გარდა რუსთაველისა და მცირეთა სხვათა, არა იყო ჩვეულებითის საუბარის ენით, რომელიც არის და უნდა იყოს ქვეშარიტი ენა ხალხისა. დამწერმან ამა პირველისა ქართულს ენაზედ კომედიისა, თ. გ. ერისთავმან, დაბადა ენა ქართული ახალისა გვარისა მწერლობისათვის...“. სხვა სიტყვებით, ენის დემოკრატიულობისკენ გადადგმული ნაბიჯი მიჩნეულ იქნა სერიოზული სოციალ-ეკონომიკური ცვლილებების მაუწყებლად და ეს პრინციპულად სწორი მიდგომაა. XIX საუკუნის საქართველოში ცნობილი ისტორიული მოვლე-

ნების შედეგად (ხდება ქვეყნის ახალი კოლონიზაცია) პარადოქსული ვითარება იქმნება, ანუ როგორც მოგვიანებით ითქვა, (ქვეყანა) ცხოვრობდა სიტყვით სხვისი „მფარველობის“ ქვეშ, ხოლო საქმით სხვისი „მონობის“ განცდით...“ (კ. აბაშიძე). სახეზეა მოძველებული ეკონომიკური ფორმებისადმი მიჯაჭვულობის დემონსტრირება, რომელსაც ახდენს საზოგადოების არა რომელიმე მარგინალური ჯგუფი, არამედ სწორედ ყველაზე პრივილიგირებული და ამდენად მომავალ კულტურულ ორიენტირებზე პასუხისმგებელი ფენა. ეს არის თავადაზნაურობა. განსაკუთრებით კი ამ ფენის ახალგაზრდა წარმომადგენლები, რომლებიც განათლებას უკვე ევროპის, განსაკუთრებით კი რუსეთის, უნივერსიტეტებში იღებენ და რომლებიც თავიანთი საზოგადოებრივი სტატუსისა და ევროპული განმანათლებლობის მიღწევებთან მეტი სიახლოვის გამო წესით ევროპულ ფასეულობათა შემომტანნი და დამწერგავნი უნდა ყოფილიყვნენ, უნდა მდგარიყვნენ ქვეყნის შემდგომი განვითარების ავანგარდში. ნიკოლოზ ბარათაშვილის პროგნოზი გამოთქმული ლექსში „საფლავი მეფის ირაკლისა“, „ჟამ-ვითარებით გარდახვენილთ შენთ შვილთ მიდამო / მოაქვთ მამულში განათლება და ხმა საამო...“, ახმოვანებდა ამგვარი შესაძლებლობის მნიშვნელობას. თუმცა თავდაპირველად, როგორც ჩანს, ამასთან დაკავშირებულ იმედთა რეალიზებას იმედგაცრუება სჭარბობდა. ამ იმედგაცრუების მხატვრული ასახვის პროდუქტიცაა გ. ერისთავის დრამატურგია და ამ დრამატურგიით გამოხატული ძლიერი კრიტიციკული პათოსი. აშკარაა, გ ი ო რ გ ი ე რ ი ს თ ა ვ ი უფრო სმენით აღიქვამს გარემოს, ვიდრე ვიზუალურად. ამიტომაც მის მიერ საგანგებოდაა შერჩეული დიალოგებით აზროვნების მანერა, ანუ დრამატურგია, „ყოველდღიურობის



გახმოვანების ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური საშუალება“, რომელიც წერის თვალსაზრისითაც ფრიად ეკონომიურია, შესაძლებლობებით კი მრავალფეროვანი. მწერლობის ამ დარგს ახასიათებს ცხოვრებისეული სცენისა და კულისებისადმი ერთნაირი ინტერესი და ამიტომაც თვითგამოხატვის საშუალებად ინტონაციებით მდიდარ მეტყველებას ირჩევს, რაც პერსონაჟებს მათ სოციალურ სტატუსსა თუ რეგალიებზე არანაკლებად ახასიათებს. ზუსტადაა დეტერმინირებული, როგორც დროება (თავისი განახლებული მნიშვნელობებით), ისე მისი მთავარი ფიგურანტები: გალატაკებული თავადი, მერყევი ფსიქიკის, მორალურ-ზნეობრივად ჩამოუყალიბებელი ახალგაზრდა თავადიშვილი, ფულით აღზევებული გაიძვერა სომეხი ვაჭარი და მომსახურე პერსონალი, რომელთაც თავიანთი ბატონების გადამკიდეთ, ფარისევლობისა და ორგულობის გარდა არაფერი დარჩენიათ. გ. ერისთავის პიესების ანალიზის დროს ცნობილი კრიტიკოსი კიტა აბაშიძე ორ ძირითად ღირსებაზე ამახვილებდა ყურადღებას. პირველი, ცოცხალი სამეტყველო ენის ქუჩებიდან და ბაზრობებიდან შემოტანა, ენისა, რომელმაც შემდგომი სრულყოფა, როგორც აღვნიშნეთ, სამოციანელთა ენობრივ რეფორმაში ჰპოვა და მეორე, იმ იმედის გამქარწყლებელთა წარმოჩენა, რომელზედაც ზემოთ მივანიშნეთ. აი, რას წერს კ. აბაშიძე: „... მეორე დიდი მნიშვნელობა ამ კომედიების იმაში მდგომარეობს, რომ გ. ერისთავი თვისის ნიჭიერი კალმით პირველად შეეხო ჩვენში ახალ ცხოვრებას ამ ცხოვრებისგან შექმნილ პირობით. პირველად მან დაგვანახვა ძველის წყობილების – ფეოდალიზმის და ახლის – ვაჭრულის ბრძოლა, პირველის მისუსტება და მეორის გაღვიძება. პირველად მან სცადა ახალ პირობებში აღზრდილ ახალგაზრდათა დახასიათება,

პირველად მიაქცია ყურადღება ამ ჯგუფს საზოგადოებისას. პირველად მან დაასურათა და დაგვანახვა ახალის გარემოების ნაშობნი...“ (კ.აბაშიძე, 1893:94). მართალია, ეს „უძღები შვილები“ „განათლებულის ენით“ მეტყველებენ, მაგრამ მას სიზუსტე და პრაგმატულობა აკლიათ. ვარშავიდან ახალდაბრუნებული ივანე დიდებულისძე (პიესიდან „გაყრა“) და პოეტი ბეგლარი და მიხეილი (პიესიდან „დავა“), წარმოგვიდგენენ იმგვარ ახალ ძალას, რომელსაც ყველა ნიშნით არსებული პატრიარქალური წყობისადმი, აშკარად მოძველებული სოციალ-ეკონომიკური ურთიერთობებისადმი და ზოგადად ფეოდალური მორალისადმი სერიოზული პროტესტის გრძნობა უნდა გასჩენოდათ (თავიდან ამგვარი პროტესტის ნიშნები ჩანს კიდევ ქართული რომანის უქონლობის გამო ივანეს მიერ წარმოთქმულ ტირადებში, თუმცა მოგვიანებით იგი ფულზე ქორწინდება და მევახშის სიძე ხდება), მაგრამ ერთის მისწრაფება შექმნას ევროპული ტიპის მეურნეობა სომეხი ვაჭრის, მიკირტუმ გასპარიჩის, დაცინვის საგანი ხდება (აქ მიმართავს სწორედ ავტორი ივანესა და მიკირტუმ გასპარიჩის ორი სამეტყველო ხაზის, ორი დისკურსის, ფაქტობრივად კი ორი მსოფლხედველობის ირონიულ-სარკასტულ შეწყმას, რითაც ცხადყოფს თითოეული მათგანის უუნარობას) თავიანთი მოდავე მამების ახირებას აყოლილი იმ ორ ახალგაზრდას კი, იმავე მამების მსგავსად, ძალზე უადვილდება ჩინოვნიკების მოსყიდვა და ამით უკანონობის არა მარტო აღიარება, არამედ მასთან შეგუებაც. ვფიქრობ, სწორედ ამ პერსონაჟებს უკავშირდება ავტორის განსაკუთრებული გულისტკივილი და მსგავს გარდამავალ ეპოქათა ამსახველი კომედიოგრაფებისთვის დამახასიათებელი სკეპსისიც.

გ. ერისთავი, როგორც დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში დამარცხებული ქართველი არისტოკრატი (იგი, როგორც ვიცით, ქსნის ერისთავთა შთამომავალი იყო), რომელსაც მალე მეტროპოლიის ყველაზე დახვეწილ დიპლომატთან, მეფისნაცვალ მიხეილ ვორონცოვთან, მოუწევს თანამშრომლობა (ამ თანამშრომლობის დროს იგი დამფინანსებლის „შემწეობის“ გონივრულად წარმართვამოხმარების შესაშურ ნიჭს ამჟღავნებს. თუმცა ივანე კერესელიძის მოგონებების მიხედვით, ვორონცოვის ფინანსური დახმარების შეწყვეტისთანავე – 1853 წელს – კარგავს ინტერესს საზოგადოებრივი საქმიანობისადმი, თავს ანებებს „ცისკარს“ და, რაც განსაკუთრებით საგულისხმოა, პედანტური თანმიმდევრობით, ფაქტობრივად, ყოველგვარი შეღავათის გარეშე ითხოვს კერესელიძისგან მისთვის გადაცემული სტამბის საფასურს) მაშინვე, ცხადად ხედავს „რუსეთის ფეოდალურ-ბატონყმურ წყობილებასთან ქართული წყობილების სოციალური უნიფიკაციის“ შედეგებს (აკოფაშვილი, 1960:33): მოჩვენებით ნოდებრივ უპირატესობებს, რომლებიც შეცვლილ გარემოში ანაქრონიზმად ქცეულან, სავაჭრო კაპიტალის განვითარებასთან ერთად ფეოდალურ – ნატურალური მეურნეობის რღვევას და, რაც ყველაზე სავალალოა, ყოველივე ამის გამო თავად-აზნაურთა დაცემა-გადაგვარებას. ეს უკანასკნელი კი არა მარტო მათ გადანყვეტილებებსა და ქცევათა მოტივაციებში, არამედ მათ ენაშიც ჩანს.

გ. ერისთავის პიესებში გადმოსახლებული ეს პერსონაჟები უცნაურად მეტყველებენ. ესაა არა მარტო ქრონოლოგიურად საუკუნეთა გზასაყარზე, არამედ გეოგრაფიულადაც გზაჯვარედინზე მდებარე ქვეყნის წარმომადგენელთა მეტყველება, მათი ენობრივი ცნობიერების დემონსტრი-

რება. აი, რას წერდა ამის შესახებ აკაკი ბაქრაძე წერილში „მეცხრამეტე საუკუნე“: „გიორგი ერისთავის პერსონაჟები ამღვრეული ენით მეტყველებენ: ქართულ-რუსულ-სომხურად. ასეთ პერსონაჟებს ცნობიერებას მოკლებულ ადამიანებს ვუნოდებდი... ეს კი სრულიად თავისებური მოვლენაა. ისინი არსებობენ მხოლოდ კოლონიურ ლიტერატურაში და იბადებიან ორი კულტურის შეჯახების დროს. მით უმეტეს, თუ ერთი კულტურა მეორეს ჩაგრავს პოლიტიკურად, სამხედრო და სახელმწიფო ძლიერების მხრივ...“ (ბაქრაძე, 2005:74). სხვათა შორის, „გაყრაში“ საუბარია არა მარტო ცხოვრების ახალ ეკონომიკურ მოწყობაზე, არამედ ნახსენებია თვით ეს ცნებაც „ეკონომიკა“, ოღონდ დამახინჯებულად – „ეკომონია“, ისე როგორც ეს პერსონაჟთა მეტყველების სტილს, მათ ინტელექტუალურ შესაძლებლობებს შეეფერება. მწერალი ამით საკუთრივ თავისი ეკონომიკური გამოცდილების ქრილში წარმოგვიდგენს იმათ, ვისაც ძალიან შორეული წარმოდგენა აქვს როგორც ამ ახალ სიტყვაზე, ისე მის შინაარსზე.

თუ გავიხსენებთ ნობელიანტი პოეტის, იოსებ ბროდსკის, ფრიად ორიგინალურ ენობრივ კონცეფციას (ის, როგორც ვიცით, აღიარებს შემოქმედზე ენის სრულ დიქტატს), რომლის ერთ-ერთ საყურადღებო ასპექტზე, ანუ ენის მეტაფიკურობაზე პოეტი ბროდსკისებურ მახვილს სვამს (ხაიროვი, 2004:94), დავრწმუნდებით ახალი ეკონომიკური კრიტიკის კვლევის მეთოდოლოგიასთან მისი მისადაგების მართებულობაში. იდეალურ შემთხვევაში, და ეს შემთხვევა ბროდსკისთვის ინგლისურია, ენის ლინგვოკულტურული ტიპი ასეთი ფორმულით განისაზღვრება: სუბიექტი – ზმნა – სუბიექტი, რაც გამოხატვის შესაძლებლობების მაქსიმუმს უდრის მაშინ, როდესაც ნაკლებად ლოგიკური ენა (ეს

კი იმავე ბროდსკისთვის, მიუხედავად თავისი მონოლითურობისა, რუსულია) მაგ. დოსტოვესკის მხატვრული დისკურსი თავისებური სინტაქსური წყობით, „ეშმაკური ჩახლართულობით“, „სიზუსტის უქონლობით“ შინაარსის ამბივალენტურობის გამომწვევი ხდება. აქედან რაციონალური ინგლისურისა და რეფლექსიური რუსულის ანტინომიური წყვილი. ამ მოსაზრების გათვალისწინებით შესაძლებელია არა ერთი კონკრეტული მწერლის ან პერსონაჟის, არამედ მთელი ერის პორტრეტირება, მისი ფსიქოტიპის დადგენა.

გ. ერისთავის პიესებში, სადაც ახალ ეკონომიკურ ურთიერთობათა პირველი გამოვლინების ფონზე ყველა მონაწილე საკუთარ არსს ენით მატერიალიზებული აზრით, ენაში დაგროვილი ინფორმაციულობით ამჟღავნებს, შესაძლებელია მეტ-ნაკლებად სრული წარმოდგენა შევიქმნათ ახალ სოციალ-ეკონომიკურ ფორმაციასთან შეხვედრისთვის ქართველთა მოუმზადებლობის ხარისხზე, არსებობის ფორმებში მათ უიმედო ჩარჩენაზე, სწორად მიმართული ინიციატივობისა და აქტიურობის დეფიციტზე, რომ არაფერი ვთქვათ ცხოვრების კანონზომიერებათა უცოდინარობით გამონვეულ გულუბრყვილობაზე, რომლითაც, როგორც წესი, მხოლოდ გვერდით მცხოვრები უცხოტომელი სარგებლობს. „ძუნწის“ მთავარი პერსონაჟი კარაპეტ დაბალოვი ასეთი პირდაპირობით ახასიათებს დროის ახალ ეკონომიკურ ვექტორს: „უფულო კაცისთვის არ არის ცხოვრება გაჩენილი“. გ.ერისთავისთვის პრობლემა სწორედ ამ რეალობის მისაღებად აუცილებელი ალლოიანობისა და უნარ-ჩვევების უქონლობაშია.

თუმცა XIX საუკუნის ქართული კრიტიკული რეალიზმის კიდევ ერთი წარმომადგენელი ლ ა ვ რ ე ნ ტ ი ა რ დ ა ზ ი ა

ნ ი, როგორც ჟურნალისტი და როგორც მწერალი, აფიქსირებს იმ ცვლილებებს, რომლებიც ამ მხრივ საზოგადოებაში სულ რაღაც ერთი ათეული წლის მანძილზე მომხდარა. ივანე კერესელიძისეულ ჟურნალ „ცისკრის“ ანტიბატონური მესიჯი იმ ახალგაზრდებისთვის, რომლებიც რედაქტორის გარშემო არიან შემოკრებილნი (გრ. რჩეულიშვილი, დ. ჭონქაძე, ი. ჩიქოვანი) ის უმთავრესი კონტექსტია, რომელიც ლიტერატურული ცხოვრების განახლებისთვის აუცილებელ წინაპირობად უნდა მივიჩნიოთ, ანუ ეს ის სასტარტო პოზიციაა, რომელიც ახლებური ხედვისა და შეფასებების საშუალებას იძლევა. 1859 წელს ჟურნალი აქვეყნებს ლავრენტი არდაზიანის ლექსს „ფულები“, რომელშიც ფული პრაქტიკულად სამყაროს მმართველ უნივერსალურ ძალადაა აღიარებული და ამასთან აღიარებულია ე.წ. „ფულის ენის“ საყოველთაოობა. სწორედ ისე, როგორც ამას ფ. დოსტოვესკისადმი მიძღვნილ ესეში „დოსტოვესკის შესახებ“ წერდა ი. ბროდსკი: „მინასთან, წყალთან, ჰაერთან და ცეცხლთან ერთად ფული მეხუთე სტიქიაა, რომლისთვისაც ანგარიშის გაწევა ადამიანს ყველაზე ხშირად უწევს...“ (ბროდსკი, 2009:41). ლავრენტი არდაზიანი, მართალია, ფულებს „უნესოდ გაჩენილს“, „იუდას სისხლით სვრილს“, „სიმართლის დამჩაგვრელსა“ და „კაცთ ზნეობის გამრყენელს“ უწოდებს, თუმცა ამასთან ერთად აღიარებს მათ უნივერსალურ უნარს თანაბრად აკეთონ ბოროტიცა და კეთილიც. ეს ფულის ენის სწორად წაკითხვის გამოვლინებაა. ეკონომიკური კრიტიკა მუდმივი მოძრაობის, განუწყვეტელი ფლექსიურობის, ყოვლისმომცველობის თვალსაზრისით ხედავს გარკვეულ სიახლოვეს ენასა და ფულს შორის, რასაც არც თანამედროვე მწერლები და კრიტიკოსები უარყოფენ (მაგ.

იგივე ბროდსკი, ბორის გროისი). ბორის გროისი წერს: „ენა, რომლითაც აპელირებს დღევანდელი საზოგადოება, როდესაც სურს საკუთარ თავზე ისაუბროს, ფულის ენაა. ფული განაპირობებს სამყაროს ერთიანობას, ანუ ასრულებს ადრე რელიგიისთვის დაკისრებულ ფუნქციას და ა. შ.“ (Гроис, 2003:17).

შესაძლოა ფულის ამ ახალი სტატუსისა და ფულის ენის ინტუიტიურმა წვდომამ უბიძგა ლავრენტი არდაზიანს შეექმნა ტექსტი ადამიანზე, რომელსაც ქმნის ფული. ეს სოლომონ ისაკიჩ მეფლანუაშვილია. ავტორს აინტერესებს ის რთული გზა, რომელიც უნდა გაიაროს სოლომონის სოციალური წარმომავლობისა და სასტატო მდგომარეობის მქონე უსახსრო კაცმა. „ფულის შოვნისა და დაგროვების“ დამაჯერებლად აღწერილი პროცესი მეტყველებს თვით ლავრენტი არდაზიანის ფინანსურ ჩვევებზე, მის გარკვეულობაზე იმდროინდელი (ანუ XIX საუკუნის 50-60-იანი წლების მიჯნა) ეკონომიკური ცხოვრების პირობებში, იმათ ფსიქიკაში, ვისაც სოციალური ლიფტის ერთი საფეხურიდან მეორეზე, მეორედან კი სულაც მესამეზე განუზრახავს ასვლა. არდაზიანის გმირი, თუ გავითვალისწინებთ ფულზე დაფუძნებული ჩვენი დღევანდელი ფასეულობებს, ოპტიმიზმს უფრო აღძრავს, ვიდრე პესიმიზმს. მართლაც, სოლომონის თავგანწირვა თვითდამკვიდრებისთვის, სულიერი და ფიზიკური სიკერზე, ნებისყოფის სიმტკიცე, უკვე საკმაოდ მდიდარმა ყველას, და პირველ ყოვლისა, საკუთარი ოჯახის წევრებს თავი კვლავ ღარიბად მოაჩვენოს, იმ მიზანდასახულობის დემონსტრირებაა, რომლითაც თავს იწონებენ მომდევნო პერიოდის უმდიდრესი ადამიანები. ფულის დაგროვება, შემდეგ მისი გაცვლა-გამოცვლა, გა-

სესხება თუ ღირებულება მუდმივ მოძრაობაშია, რომლის კვალდაკვალ იგება და ყალიბდება თავად მთავარი პერსონაჟის ზეაღმავალი ცხოვრებისეული ეტაპები, ანუ ეკონომიკური პოეტიკის წარმოჩენა შესაძლებელი ხდება ლიტერატურული ნაკითხვის საშუალებით. ამ პრინციპით თავის დროზე გაანალიზებულ იქნა ჰენრი ჯეიმსის შემოქმედება, რომლის ავტორები იყვნენ დონალდ მალი და პეგი მაკკორმაკი. რაც შეეხება ფულის მიმოქცევის გავლენას ადამიანის არა მარტო მატერიალურ, არამედ მეტაფიზიკურ არსზე, მალისთვის ცხადია ტენდენცია, რომელსაც იგი ასე ახასიათებს „ფული და მისი გადაქცევა ცნობიერების მასალად“. თუ ამოვალთ იმ დებულებიდან, რომ „ტექსტები ღია სისტემებია, თუმცა მათი ღირებულება შეზღუდულია“, ლავრენტი არდაზიანის საინტერესო ნაწარმოებს იმაზე მეტს ვერ მივანეროთ, ვიდრე ის ამის საშუალებას იძლევა, თუმცა ერთი რამ ცხადია, ის ეგზისტენციალური გამოცდილება, რომელიც მან თავისი პერსონაჟის ცხოვრების სახით წარმოგვიდგინა, მრავალმხრივ იყო გასაზიარებელიც და გასაანალიზებელიც, ამის ნაცვლად ჩვენ სულ ის ეპოზოდები გვახსოვდა, როგორ ცდილობდა გადიდკაცებას გუშინდელი ღარიბული ქოხის ბინადარი და როგორ ვერ მოიცილა მან თავისი გვარიდან საძულველი ბგერათშეთანხმება „ჯღან“.

### დამონმებანი

აბაშიძე 1893: აბაშიძე კ., ეტიუდები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, წინასიტყვაობა, თბ. 1893

აკოფაშვილი 1960: აკოფაშვილი გ. ცვლილებები აზნაურთა ფენის მდგომარეობაში XIX საუკუნის I ნახევრის

აღმოსავლეთ საქართველოში, მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის, თბ. 1960

ბაქრაძე 2005: ბაქრაძე ა. მეცხრამეტე საუკუნე, თხზულებანი რვა ტომად, ტ. 3, თბ. 2005

ბროდსკი 2009 : ბროდსკი ი. დოსტოევსკის შესახებ, უ. არილი, #9, 2009

Бразговская 2012: Бразговская Е, Чеслав Милош: Язык как персонаж, М.2012

Гроис 2003: Гроис Б. Язык денег, ж. Художественная литература, 2003, №47

Хаиров 2004: Хаиров Ш, Если есть бог , то это для меня язык, НЛО, 2004 , №67

მარკ შელი

## რეკონსტრუქციის პრობლემა

*ბანკნოტების აღწერითი ანალიზი აუცილებლად უნდა განხორციელდეს. ამგვარი გამოკვლევის სატირული პათოსი მის ობიექტურობას თუ გაუტოლდება. კაპიტალიზმის არსი ყველაზე უფრო უშუალოდ სწორედ ბანკნოტებში ვლინდება.*

*ვალტერ ბენიამინი*

ქალაქის ფულის ფართოდ გამოყენება (დასავლურ სამყაროში პირველად) შეერთებულ შტატებში დაიწყო. საინტერესოა, როგორ ხდებოდა ამ ქვეყნის კულტურაში ღირებულებათა რეპრეზენტაცია და შენაცვლება ფულის მეშვეობით. შეერთებული შტატები შევარჩიეთ არა მარტო იმის გამო, რომ ეს ქვეყანა ზოგჯერ თავის თავს „სეკულარულ“ – ესე იგი, არაქრისტიანულ – სახელმწიფოს უწოდებს, არამედ იმიტომაც, რომ მეცხრამეტე საუკუნის ამერიკაში მიმდინარეობდა მწვავე პოლემიკა ქალაქის ფულის თაობაზე, რომელსაც, ისევე, როგორც „რელიგიურ“ ბიზანტიაში გაჩაღებულ დებატებს ფულის მოჭრის შესახებ, ესთეტიკური და პოლიტიკური ხასიათის ქვეტექსტიც ჰქონდა.

ლითონის ფულისა და ქალაქის ფულის უპირატესობებისა და ნაკლოვანებების შესახებ მსჯელობასთან ერთად ამერიკაში განიხილებოდა რეპრეზენტაციის საკითხი. ქალაქის ფულის მომხრეებს ოქროს ფულის მომხრეები უპირისპირდებოდნენ. ლითონის ფულის მომხრეები ხაზგასმით აღნიშნავდნენ, რომ ოქროს, როგორც ძვირფას



ლითონს, თავისთავადი ღირებულება ჰქონდა. ისინი აბუჩად იგდებდნენ ქალაქის ფულს, როგორც ღირებულების „ილუზორულ“ ნიშნებს. ქალაქს, როგორც ფულის ნიშნების მასალას და როგორც საქონელს, შედარებით უმნიშვნელო ღირებულება ჰქონდა და ამიტომ, მათი თქმით, ეკონომიკური გაცვლა-გამოცვლის სისტემაში ის სათანადო ფუნქციას ვერ შეასრულებდა. სამოქალაქო ომის დროს პოლემიკა ეხებოდა, ძირითადად, მთავრობის მიერ გამოშვებულ ე.წ. „მწვანეზურგიან“<sup>1</sup> ქალაქის ფულს, რომელიც ოქროთი არ იყო უზრუნველყოფილი. საუკუნის ბოლოს მონომეტალისტების (რომლებიც დასაშვებად მიიჩნევდნენ ფულის სისტემაში მხოლოდ და მხოლოდ ოქროს გამოყენებას) შემფოთება გამოიწვია ზოგიერთი პოლიტიკოსის მოთხოვნამ, რომ მთავრობას მარტოოდენ ვერცხლის ფული და ბანკნოტები უნდა გამოეშვა.

ნდობა, ერთგვარად, ესთეტიკურ განცდას ემყარება და საზოგადოების დამოკიდებულება ფულისა (ბანკნოტებისა) და ფულთან დაკავშირებული ჩანაწერების (საბუღალტრო აღრიცხვისა და ანგარიშების ჩათვლით) მიმართ კულტურაშიც აისახება. ბანკნოტები, ერთი მხრივ, ფულია, მეორე მხრივ კი, მხატვრულად გაფორმებული ნიშნები, რომლებიც წარმოდგენას გვიქმნის საგნებისა და სიმბოლოების ურთიერთმიმართების შესახებ. ამერიკელთა მიერ მოწონებული და გავრცელებული ეს სატანური ნიშნები წააგავს კა-

ენის შუბლზე აღბეჭდილ ნიშანს, რომელიც ამერიკის მთავარ კერპად იქცა.

საბოლოო ანგარიშში, სწორედ ამერიკაში გამართულმა პოლემიკამ ჩაუყარა საფუძველი ელექტრონულ კრედიტებს, ტრანსფერებსა და სახელმწიფო ფულს, რომელიც უზრუნველყოფილი არაა ოქროთი ან სხვა მატერიალური სუბსტანციით. ფულად სფეროში მატერიალური ღირებულების მქონე სუბსტანციას წარწერა მონეტების გამოჩენისთანავე ჩაენაცვლა. თავისთავად, მონეტები, ესე იგი, საზოგადოებრივ ნდობაზე დამყარებული („ფიდუციარული“) ლითონის საგნები, გაიგივებულ იქნა იმ ღირებულებასთან, რომელიც მათზე იყო აღბეჭდილი. ამ ღირებულებას საერთო არაფერი ჰქონდა ლითონის სისუფთავესა და წონასთან – ის ემყარებოდა მყიდველთა და გამყიდველთა შეთანხმებას. სხვა საკითხია, რომ პოლიტიკური ხელისუფლება დაუდევრად ეკიდებოდა მონეტების ზომისა და წონის სიზუსტეს, ხოლო მოვაჭრეები ყურადღებას არ აქცევდნენ ძველი ყაიდის მონეტების გაცვეთილობასა და სხვა ხარვეზებს, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ მონეტების გამოჩენისთანავე მათი ნომინალური ღირებულება ყოველთვის განსხვავდებოდა მათივე მატერიალური ღირებულებისგან. ჯერ კიდევ ჰერაკლიტე და პლატონი ფიქრობდნენ ფულის ნიშნების პირობითი ღირებულებისა და რეალური ღირებულების ურთიერთმიმართებისა და ვალუტის სფეროში შესატანი დიალექტიკური ცვლილებების აუცილებლობის თაობაზე, მაგრამ სპეციფიკური განსხვავება, რომელიც არსებობს ფულზე წარწერილ ღირებულებას და თვით ფულად ნიშნებს შორის, განსაკუთრებით აქტუალური გახდა ქალაქის ფულის შემოღებასთან ერთად.

1 სამოქალაქო ომის შემდეგ ჩრდილოეთის შტატების დოლარები, რომლებსაც მწვანე „ზურგი“ ჰქონდათ, სამხრეთის შტატებშიც გამოიყენებოდა. მათ „მწვანეზურგიანები“ (greenbacks) უწოდეს. ეს მეტსახელი მთელ ქვეყანაში გავრცელდა და შეკვეცილი ფორმით „ბაქსებად“ მოიხსენიებოდა.

ამერიკელები ვერ აკავშირებდნენ ქალაქის – მატერი-ალური სუბსტანციის – ღირებულებას ქალაქის ნიშნების, როგორც ფულის ღირებულებასთან. ამიტომ მათი ძალისხმევით ბანკნოტები უზრუნველყოფილი იყო მიწით, ოქროთი, ვერცხლით, ან მთავრობის რეალური ან პოტენციური ძალაუფლებით. (*Exitus indubioest* – „შედეგი საეჭვოა“ – ენერა ამერიკული რევოლუციის დროს გამოშვებულ კუპონურებზე). მაგრამ ზუსტი მიმართება ოქროსა და ქალაქს შორის მათთვის ამოუცნობი რჩებოდა. ამასთან, ქალაქის ფულთან დაკავშირებული დაბნეულობა სცილდებოდა ფულის, როგორც ასეთის, სფეროს და მოიცავდა ხელოვნების სფეროსაც.

ედგარ პოს ცნობილ ნოველაში – „ოქროს ხოჭო“ – მთავარი პერსონაჟი, განძის მაძიებელი უილიამ ლეგრანი „იდეალური“, აბსტრაქტული კრიპტოგრაფიული ნახაზის მეშვეობით პოულობს „რეალურ“ ოქროს. ურთიერთმიმართება ეკონომიკურსა და ესთეტიკურ სფეროებს შორის, რომლითაც ხელმძღვანელობს ედგარ პოს პერსონაჟი, აისახა ჰ. რ. რობინსონის კარიკატურებში. რობინსონი და ნაპოლეონ სარონი საკუთარ თავს კარიკატურებით მოვაჭრეებს უწოდებდნენ, ხოლო ბანკირებსა და კანონმდებლებს – ქეშმარიტებებით ან ნაყალბევეებით მოვაჭრეებს.

ეს ტომას ნასტის კარიკატურის – „ჩრდილი არაა რეალობა“ (რომელიც გამოქვეყნდა დევიდ უელსის „რობინზონ კრუზოს ფულში“ (1876) – მიხედვით, ურთიერთმიმართება რეალობასა და მის იდეალისტურ გამოვლინებას შორის, იგივეა, რაც მიმართება ფულისა და ესთეტიკის სფეროებს შორის; ალბათ ამიტომ, რომ მრავალი ამერიკელი მხატვრისა და ეკონომისტის მიერ ქალაქის ფული სპირიტუალურ, მოჩვენებით ფენომენად გაიაზრებოდა, ხოლო ოს-

ტატურად შექმნილი სუროგატი რეალობად მიიჩნეოდა ეშმაკეული მოვლენის – ურწმუნობის ზეგავლენით. კონგრესს შეეძლო გადაეცია ქალაქი ოქროდ „კონგრესის გადაწყვეტილებით“, ისევე, როგორც გოეთეს „ფაუსტში“ ქალაქი ფულად იქცევა მეფისტოფელის ძალისხმევით. რატომ არ შეიძლებოდა, „ფაუსტში“ ქალაქი, რომელზეც ღირებულებას ნაანერდნენ, ოქროდ ქცეულიყო? ამგვარი სიტუაცია ალბეჭდილი ნასტის კარიკატურაზე „რძის ბილეთები ბავშვებისთვის რძის ნაცვლად“. აქ ქალაქზე დახატულია ძროხა და წერია: „ესაა მხატვრის მიერ შექმნილი ძროხა“ (გერმანიაში, ინფლაციურ 1920-იან წლებში დამატებით გამოშვებულ ფულზე ეწერა: „ერთი ლიტრი რძე 550 მილიარდი გერმანული მარკის ტოლფასია“ (ნახ. 2.6). ზოგიერთ ამგვარ ბანკნოტზე კი ირონიულად მოყვანილია ციტატა „ფაუსტიდან“, მაგალითად, „ამ ვალუტას... მისი ღირებულება ზედანერია“.

ამერიკელთა პოლემიკა ქალაქის ფულთან დაკავშირებით, ეხებოდა, ზოგადად, სიმბოლიზაციას, მაშასადამე – ერთდროულად ფულსაც და ესთეტიკასაც. სიმბოლიზაცია ამ კონტექსტში გულისხმობს მიმართებას ნივთიერ საგანსა და მის ნიშანს შორის. ოქრო კონვენციურად ასოცირდებოდა მატერიალურ ღირებულებასთან. განურჩევლად იმისა, მიიჩნეოდა თუ არა ქალაქი შეუსაბამო „ნიშნად“, ეს ნიშანი „არამატერიალური“ იყო, იმდენად, რამდენადაც ქალაქს, როგორც საქონელს, არავითარი ღირებულება არ ჰქონდა. ამიტომ ის „ინდიფერენტული“ იყო გაცვლა-გამოცვლის ეკონომიკურ სისტემაში. (ფრანგი სიმბოლისტი პოეტი სტეფან მალარმე ძალზე დააინტერესა პანამის საერთაშორისო ფინანსურმა სკანდალმა 1890-იან წლებში, როდესაც ამერიკაში საპრეზიდენტო არჩევნები მიმდინა-

რეობდა და ოქროს სტანდარტის საკითხი განიხილებოდა. მალარმე წერდა, რომ ამერიკაში იმხანად ყველაფერი განიხილებოდა არა მარტო პოლიტიკური ეკონომიის, არამედ – ესთეტიკის თვალსაზრისითაც).

ამერიკელთა დებატები ესთეტიკისა და ეკონომიკის შესახებ უკავშირდებოდა ფულის არსის შესწავლას ფილოსოფიისა და ხელოვნების ეკონოლოგიის თვალსაზრისით. ჯოზეფ ჯ. ბოლდუინის მტკიცებით, ქალაქის ფულის შემოღება ნიშნავს იმის აღიარებას, რომ სულიერის მნიშვნელობა აღემატება მატერიალურის ღირებულებას; ალბერტ ბრისბენმა თავის „ფულის ფილოსოფიაში“ გამოიკვლია ფულადი ნიშნების „ონტოლოგია“. დემოკრატიული პარტიის ფრაქციის – „ლოკოფოკოსის“ თვალსაჩინო წევრი, კლინტონ რუზველტი თავის „პოლიტიკური ეკონომიის პარადოქსში“ (1859) მოითხოვდა (როდესაც ოქროს ფულის მომხრემ, მარტინ ვან ბიურენმა პრეზიდენტის პოსტი დატოვა), რომ მეცნიერების განვითარების ამერიკულ ასოციაციას უნდა შეექმნა „ონტოლოგიური განყოფილება პოლიტიკური ეკონომიის ძირითად პრინციპთა განხილვისა და დადგენისათვის“.

ამგვარი დისკუსია უკვე ჩატარდა გერმანიაში იდეალიზმისა და რეალიზმის მომხრეთა შორის. მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში სწორედ ეს დისკუსია კარიკატურებით დაასურათა ტომას ნასტმა ამერიკულ გაზეთებში, ეშმაკეული „იდეალური ფულის“ სახელწოდებით. ნასტისა და მისი თანამშრომლის, უელსისთვის – ისევე, როგორც მრავალი ამერიკელისთვის, რომლებიც ცხოვრობდნენ ქალაქის ფულის ფართოდ გავრცელებისა და *trompe l'oeil* („თვალის მაცდუნებელი“) სტილის მხატვრობის პერიოდში – ქალაქი ისე მიემართებოდა ფულს, როგორც ჩრდილი – საგანს,

ხოლო ცხენის პორტრეტი – თვით ცხენს.

ესთეტიკის თვალსაზრისით, პრობლემა ეხება რეპრეზენტაციას, როგორც შენაცვლებას. ყურძნის გამოსახულება, ჩიბუხის გამოსახულება ან ფულზე აღბეჭდილი წარწერა ძირითადად რალაც სხვას – ფარულ მტკიცებას აღნიშნავს: „საკვებად ვარგისი ყურძენი ვარ“, „ჩიბუხი ვარ“, „ათი მონეტა ვარ“. ზოგჯერ მაცურებლები იმიტაციას რეალობად მიიჩნევენ. მაგალითად, როგორც ამბობენ, ფრინველებმა ძველი ბერძენი მხატვრის, ზევკსისის მიერ დახატული ყურძნის კენკვა დაიწყეს. (ზევკსისი პირველი მხატვარი იყო, რომელმაც მხატვრობით დიდძალი ქონება დააგროვა). რენე მაგრიტის ერთ-ერთ ტილოზე სერიიდან *trompe l'oeil* ჩიბუხია დახატული, მაგრამ მაცურებელმა იცის, რომ ჩიბუხი ვერ მოსცილდება ტილოს და მისი მონევა შეუძლებელია (ნახ. 2.8). მაგრამ მაგრიტის ჩანაფიქრი ემყარება იმ ფაქტს, რომ მხატვრული გამოსახულების ხილვისას საღი განსჯის უნარს ნაწილობრივ ვკარგავთ ხოლმე. ჩვენ აღვიქვამთ ჩიბუხის გამოსახულებას, მაგრამ ჩიბუხები და ყურძენი, ძალზე ზუსტადაც რომ იყოს ასახული, მაინც მეტ-ნაკლებად „ორიგინალური“ ობიექტებია, მეორე მხრივ, ქალაქის ფული ასეთი არაა და თითქმის ყოველთვის წარმოადგენს ჭეშმარიტი ღირებულების მარტოოდენ რეპრეზენტაციას, ანუ სიმბოლოს, რომელიც სხვა საგანს ენაცვლება. რა თქმა უნდა, ქალაქი ლითონის ფულის ასლი ან რეპრეზენტანტი არ გახლავთ, მაგრამ, ზოგადად, ქალაქიც, მონეტებიც და ფულიც მხოლოდ წარმოადგენს და ენაცვლება სხვა საგნებს და სხვა ფასეულობებს.

(ბანკნოტები ზოგჯერ ვიზუალურად მიგვანიშნებენ, რომ ისინი ფულის რეპრეზენტაციას ახდენენ ან თვითვე არიან ფული; ამგვარია ამერიკული ბანკნოტები ნახატზე და ჩი-

ნური ბანკნოტები, რომლებიც ფორმალურად მონეტებს ჰგვანან. ასევე, საფოსტო მარკები ხშირად ფულად ნიშნებს ჰგვანან და მათი გამომშვები საფოსტო ორგანიზაცია ხშირად ითხოვს უფლებას ამგვარი მარკების სისტემატურად გამოსაშვებად. ანალოგიურად, ბანქოს ქალაქი ზოგჯერ ვიზუალურად მიგვანიშნებს, რომ ის ფულის რეპრეზენტაციას წარმოადგენს ან თვითვე წარმოადგენს ფულს. აქ იგულისხმება ბანქოს მრგვალი ქალაქები, რომლებიც მონეტებს წააგავს. ბანქოს ქალაქები, თავისთავად, ქალაქის ფულის შემოღებას უკავშირდება და თვით თანამედროვე ეპოქაშიც ფინანსური კრიზისის პერიოდებში ბანქოს ქალაქის ფულს უშვებდნენ<sup>1</sup>. უფრო მეტიც, აზარტულ თამაშებში ურთიერთმიმართება რისკსა და ბანქოს ქალაქებს შორის წააგავს ისეთ თამაშებს, როგორცაა ალჩუ და თოხანი. ბლეზ პასკალი ამ თამაშის საფუძველზე განმარტავდა, რატომ უნდა ამტკიცო სანაძლეოს დადებისას, რომ ღმერთი არსებობს<sup>2</sup>; ხოლო ალბათობის თეორიის სპეციალისტები და ეკონომეტრისტები, როგორც წესი, ამ თამაშის მეშვეობით განმარტავენ კავშირს ალბათობასა და

<sup>1</sup> ბანქოს ფული სხვა არაფერია, თუ არა ერთგვარი ქალაქის ფული, რომელიც იბეჭდებოდა უბრალო მუყაოს ქალაქებზე და ვალუტის სახით გამოიყენებოდა (მე-17 საუკუნიდან მოყოლებული მე-19 საუკუნის დასაწყისამდე) კოლონიებსა და მთელ რიგ ქვეყნებში. იქ, სადაც ამგვარი ფული გამოიყენება, ჩვეულებრივ, ინფლაცია მაღალი ტემპით მიმდინარეობს ხოლმე.

<sup>2</sup> ჩვენსა და ღმერთს შორის უსასრულო ქაოსია. სადღაც, ამ უსასრულობის კიდეზე მიმდინარეობს თამაში – ალჩუ თუ თოხანი. გინდათ თუ არა, უნდა ითამაშოთ, რადგან თქვენ უკვე ჩაგითრიეს თამაშში. თუ სანაძლეოს ალჩუზე, ესე იგი, ღმერთზე დადებთ და მოიგებთ, მაშინ მოიგებთ ყველაფერს, ხოლო თუ წააგებთ, არაფერს დაკარგავთ.

ამა თუ იმ გამოსახულებას შორის – იმის ალბათობას, რომ ერთი და იმავე ღირებულების მქონე მონეტების ალჩუზე ან თოხანზე დაცემის ალბათობა თითქმის ერთნაირია.

ნასტის კარიკატურა „რძის ბილეთები ჩვილებისთვის, რძის ნაცვლად“ ძალზე მკაფიოდ გვიჩვენებს ოქროს ფულის მომხრეთა წარმოდგენას რეპრეზენტაციის, როგორც შენაცვლების შესახებ. ესაა ზუსტი ილუსტრაცია იმ ტენდენციისა, თუ როგორ ირღვევა ნდობა პოლიტიკური ან ეკონომიკური საკითხებისადმი, რის შედეგადაც ფული იქცევა ხელოვნებად, ხელოვნება კი – ფულად. აქ ერთ-ერთ ბანკნოტზე წერია: „ესაა ძროხა მხატვრის ძალისხმევის წყალობით“, სადაც სიტყვა „ძროხა“ ძროხის გამოსახულებაზეა აღბეჭდილი. მეორე ბანკნოტზე კი ვკითხულობთ – „ესაა რძე, თაღლითობის წყალობით“, რაც იმას ნიშნავს, რომ ამერიკელები მოატყუეს და, ნამდვილი რძის ნაცვლად, რძის ერზაცი შესთავაზეს. მახსენდება ჟან კალვინის შენიშვნას იმასთან დაკავშირებით, რომ ბევრი ეკლესია აცხადებდა, სწორედ ჩვენთან ინახება ღვთისმშობლის რძეო: „ღვთისმშობელი ძროხაც რომ ყოფილიყო, მთელი სიცოცხლის განმავლობაში ამდენ რძეს მაინც ვერ მოიწველიდა“. კიდევ ერთ „ბანკნოტზე“ წერია: „ესაა ფული, კანიბალური აქტის ძალით“, რაც ხაზს უსვამს, ერთი მხრივ, ფულისა და, მეორე მხრივ, ზიარებისა და ევქარისტის ანალოგიურ ფუნქციებს. კიდევ ერთ ბანკნოტზე ვკითხულობთ: „კონგრესის გადაწყვეტილების თანახმად, ეს თოჯინა კი არა, ნამდვილი ბავშვია“. კარლაილი თავის „საფრანგეთის რევოლუციაში“ წერდა ამგვარი „თოჯინების“ შესახებ: „ბანკნოტები შეგიძლიათ გამოიყენოთ, როდესაც ოქრო გამოგელევათ. ქალაქი – რომელზეც აღიბეჭდება ბრწყინვალე თეორიები, ფილოსოფიური კონცეფციები, გრძნობები –

არა მარტო ალვიძებს აზრებს, არამედ მარჯვედ გვიმალავს კიდევ მათ. ქალაქი შექმნილია ოდესღაც არსებული საგნების ნარჩენებისგან, ქალაქი ყოველისშემძლეა“. ძალზე მნიშვნელოვანია ნარწერა ქალაქის ფულზე: „კონგრესის გადაწყვეტილების თანახმად, ესაა ფული“, რომელიც გულისხმობს, რომ მხატვრის ძალაუფლება არ ჩამორჩება ბანკირის ან სახელმწიფო მოღვაწის ძალაუფლებას. როგორც მხატვარს, ისე პოლიტიკოსს ძალუძთ აიღონ ქალაქის უსარგებლო ნაფლეთი და სიტყვის ან ნახატის წყალობით ღირებულება მიანიჭონ მას.

დაპირისპირება პოლიტიკურ ერსა და ინდივიდუალურ წარმოსახვას შორის ასახულია პოლ კოტონის ნახატში „წარმოსახვის (imagi-nation) ბანკი“. თანამედროვე სამხრეთამერიკელი მხატვრები, რომლებიც მუშაობდნენ პოსტკოლონიურ ვითარებაში, პოლიტიკური ტირანიისა და ფულის ინფლაციის პირობებში, ასევე მიიჩნევენ, რომ ფული ფიქციაა, ფიქცია კი – ფული: მაგალითად, ჯეკ ლერნერის *Os cem* (1986-7)-ის მიხედვით, „ბანკოტი თითქმის არარაა“.

შეუძლია თუ არა მხატვარს, ბანკის მსგავსად, ფული დაამზადოს? ზოგიერთი მხატვარი ასეც იქცევა. ბევრი მხატვარი მეოცე საუკუნეში ჩეკებს ხატავდა. მაგალითად, მარსელ დიუშანმა თავის დანტისტს დენიელ ცანკს ფულის ნაცვლად ხელით დახატულ ჩეკი მისცა. მხატვარმა მოგვიანებით გამოიხსიდა ჩეკი, რაც უფრო ძვირი დაუჯდა, ვიდრე მისი დახატვა.

აი კიდევ ერთ-ერთი მაგალითი იმისა, როგორ უკავშირდება ფულადი ღირებულება ნარწერას: მხატვარმა დანიელ სპერიმ ერთხელ გადაშალა ჩეკების წიგნაკი და ამოიწერა ჩეკების სერიები, რომელთა ღირებულება ათი გერმანული მარკა იყო. მან გაყიდა ისინი (როგორც ხელოვნების ნიმუ-

შები), თითოეული – ოც გერმანულ მარკად. ერთი აბსტრაქცია მეორეში გავცვალეო, ამბობდა შპერი. დონ ჯადმა ანალოგიურად მიყიდა ხელოვნების ნიმუშთა კოლექციონერს ჰენრი გელდზალერს ხუთდოლარიანის ფოტოასლი.

მოყვანილ მაგალითებში რეპრეზენტაციისა და ღირებულების კომბინაცია ხორციელდება მხატვრის და არა სახელმწიფოს სურვილითა და ხელმონერით. სწორედ მხატვარი მიმართავს მეტაფორულ გადატანას. ხელმონერა აქ ფეტიშიზებულია, – აღნიშნავს კარლ ფრედრიკ რეიტერი – ცნობილი შვედი მხატვარი და მოქანდაკე.

ქვემოთ ნახავთ ტომას ნასტის კარიკატურებს: „ჩრდილი არაა რეალობა“ და „რძის ბილეთები ბავშვებისათვის“, ასევე – მონეტების ფორმის მქონე საფოსტო მარკებს და ასეთივე ფორმის მქონე ბანქოს ქალაქებს.



## ფული – მესხეთე სტიქია

„გახსოვდეს, რომ დრო ფულია“  
ბენჯამინ ფრანკლინი

„მინასთან, ნყალთან, ჰაერსა და ცეცხლთან ერთად, ფული მესხეთე სტიქიად უნდა მივიჩნიოთ, სტიქიად, რომელსაც ადამიანი ყველაზე ხშირად უწევს ანგარიშს“, – წერს იოსიფ ბროდსკი წერილში „დოსტოევსკის შესახებ“ (ბროდსკი 2009: 14). მისი აზრით, „კაცობრიობის უმრავლესობა სწორედ ამას ესწრაფვის – მიაწიოს ნორმალურ ადამიანურ პირობებს“. იგი დოსტოევსკის („რომლის შემოქმედებაშიც ადამიანური ფსიქიკის ლაბირინთი ასეთ მნიშვნელოვან როლს თამაშობს“), მაგალითზე წარმოაჩენს, როგორ იქცევა ფული გარკვეული ეპოქისა და ადამიანური ურთიერთობების წარმომჩენ-მასხასიათებლად. განია ივოლგინი ეუბნება თავად მიშკინს: „ფულია ყველაფერზე საზიზღარი და საძულველი, რომ ის ნიჭსაც აძლევს ადამიანს და მისცემს კიდევ, ვიდრე ეს ქვეყანა იარსებებს“ („იდიოტი“). ბროდსკი წერილში წარმოაჩენს, რა მნიშვნელოვანი იყო თვით დოსტოევსკისთვის ის თანხა, რომელსაც ნასტასია ფილიპოვნა („იდიოტი“) ასეთი გულგრილობით შეაგდებს ბუხარში.

კაცობრიობის ისტორია მონაშობს, რომ ფული გაჩენის დღიდან იქცა ერთგვარ კერპად და იმგვარი გამძლეობა გამოიჩინა, რომ დღესაც არ აკლია თავყანისცემა და მონინება. საუკუნეების განმავლობაში იცვლება ფულის ფორმა, ხარისხი და სხვა თვისებები, მაგრამ რჩება როგორც გაცვლისა და დაგროვების მთავარი საშუალება. მის მიმართ ადამიანის დამოკიდებულებაც უცვლელია. ადამიანი ფულ-

თან აკავშირებს თავისუფლებას, დამოუკიდებლობას, ძალაუფლებას, საზოგადოებრივ სტატუსს, კეთილდღეობას და ღირსებას.

ფული, როგორც ეკონომიკური კონცეპტი, საუკეთესოდ წარმოჩნდება ლიტერატურაში. სახარებისეული „30 ვერცხლი“, იუდას სულიერი დაღუპვისა მიზეზი, იქცა ფულის სიყვარულის, როგორც ადამიანური სისუსტის გამომხატველ პარადიგმად. კურტ ვონეგუტი თავის რომანში „სასაკულაო №5“ წერს: „კილგორ ტრაუტს ერთი წიგნი ფულმსხმოიარე ხეზეც აქვს დანერილი. ფოთლების მაგიერ იმ ხეზე ოცდოლარიანი კუბიურები იზრდება; ყვავილების მაგიერ – ობლიგაციები, ნაყოფად ბრილიანტებს ისხამს. ის ხე ადამიანებს იზიდავს, რომლებიც მერე მის ძირში ხოცავენ ერთმანეთს და ხესაც სასუქი არ აკლდება“ (ვონეგუტი 2015: 65).

ფრედერიკ ბეგბედერმა თავის რომანში „99 ფრანკი“ კარგად წარმოაჩინა, როგორ შეიქრა ფული ადამიანური ყოფის საფუძველში. მისი აზრით, დეკარტისეული: „ვაზროვნებ, მაშასადამე, ვარსობ“ დღეს ასეა შეცვლილი: „ვხარჯავ, ესე იგი, ვარსებობ“.

„ფულის ქონას მხოლოდ ეს აზრი აქვს: თავისუფალი ხარ და შენი დრო შენ გეკუთვნის“, – წერს მიშელ უელბეკი ერთ ინტერვიუში (უელბეკი 2011: 10). დრო, მოცალეობა, აუცილებელია შემოქმედისთვის, ამიტომაც ვერ გაძლო ვაჟა-ფშაველამ ილიას „ივერიის“ რედაქციაში და რამდენიმე დღეში გაიქცა. ილიამ იცოდა მისი ფასი და ხელფასს მაინც უხდიდა.

ემილ ზოლამ 1891 წელს დანერილ რომან „ფულში“ კარგად წარმოაჩინა, როგორ მართავს ფული საზოგადოებას, როგორ ცვლის ადამიანურ ურთიერთობებს და რა გავლენას ახდენს ადამიანის ფსიქიკაზე.

სტენდალი ერთ ესეში წერს: „მდიდარს შეუძლია მშვიდად იყოს, მას ყველგან კარგად მიიღებენ. პარიზში სახელშელახულ და ყველასგან შეჩვენებულ მილიონერს მშვიდად შეუძლია რომში გაემგზავროს. აქ მას თავისი ფულის ოდენობის შესაბამისად მიაგებენ პატივს“ (სტენდალი 2013: 44).

„რად გამომრიყე, ღმერთო, ამ ბულალტრების საუკუნეში“, – ჩივის კონსტანტინე სავარსამიძე, „დიონისოს ღმერთის“ მთავარი პერსონაჟი, საკუთარი თავის შემეცნებისთვის სულიერსა და მატერიალურ გზებზე მოხეტილად, ევროპის დიდი ქალაქების ხორციელ კომფორტსა და სულიერ უდაბნოებს ზიარებული (გამსახურდია 1992: 63). ბულალტერი მისთვის ანგარიშიანობის, პრაგმატულობის სინონიმია. საქართველოში კი ფულს ყოველთვის ერთგვარი ამრეზით ეკიდებოდნენ.

ამ ყოველივეს კარგად აანალიზებს ევროპელი ჰექსლეი, ნიკო ლორთქიფანიძის ნოველის პერსონაჟი, როდესაც ქართველ ელის ამერიკელი ბრომლეის ფულის შოვნით გატაცებასა და ქართველთა ბუნებაზე ესაუბრება („შელოცვა რადიოთი“): „ქრისტეს მოციქულებმა, უბრალო მეზადურებმა დაიპყრეს ქვეყანა თავიანთი გატაცებით, თავდადებით და რად გიკვირთ, რომ ამერიკელები იძენდნენ სიმდიდრეს, როცა ისინი ისეთივე თავდადებულნი არიან სიმდიდრისთვის. ევროპას აღარ აქვს შეურყენელი მისწრაფება სიმდიდრისადმი... იგი გატაცებულია პოლიტიკური, მეცნიერული, მხატვრული იდეებით. როგორც თქვენ არა გყავთ როკფელერი, მორგანი, ბრომლეი, ისე მათ არ ჰყავთ ლენინი, ბეთჰოვენი, კანტი... თქვენ მხოლოდ ნახევარი გულით ეკიდებით სიმდიდრეს, დოვლათს – ამერიკელები „ნახევარი გულით“ ეკიდებიან მეცნიერებას, ხელოვნებას, პოლიტიკას. თქვენთვის პირველია სახელი აზროვნების მეფო-

ბისა, ჩვენთვის პირველია – მეფობა სიდიდრეზე... თქვენ, ქართველები, ყველაზე უფრო არსებობის შენარჩუნებაზე ფიქრობდით და ჭეშმარიტად განსაცვიფრებელია, როგორ გადაიტანეთ ამდენი მრავალგვარი უბედურება... მაკვირვებს, როგორ გადარჩით ამდენ მტერს, მტერს უცხოს, შემოსეულს, მტერს შინაურს და თქვენ გაკაჟებული იბრძოდით არსებობისთვის – ეს არის პირველი. ყველა დანარჩენი – ევროპული გატაცება მეცნიერებით, პოლიტიკით, ხელოვნებით და ამერიკის დევიზი – სიმდიდრე, დოვლათი, დოლარი – თქვენთვის მეორეხარისხოვანი მოთხოვნილება იყო თქვენი სულისა“ (ლორთქიფანიძე 2000 : 121).

ეს შეფასება კარგად წარმოაჩენს ქართული ლიტერატურის პერსონაჟთა დამოკიდებულებას ფულის შოვნისა თუ დაგროვების მიმართ.

ქართველი მკითხველისთვის სამაგალითო რაინდები ზიზლით უყურებენ ვაჭრებს ქართველთა ეთიკურ-ესთეტიკურ „ბიბლიაში“, საუკუნეთა განმავლობაში მორალისა და გემოვნების განმსაზღვრელ „ვეფხისტყაოსანში“. პოემაში ვაჟკაცობა და ფულის სიყვარული ერთმანეთს უპირისპირდება. მდიდარ რაინდებს არ მოსწონთ ფულის მშოვნელი ვაჭრები, რადგან მათთვის ფული მიზანია, რაინდებისთვის კი – მხოლოდ საშუალება. ეს კარგად წარმოჩნდება სარაინდო რომანების პაროდიაში, სერვანტესის „დონ კიხოტეში“: „დონ კიხოტი მედუქნეს ეუბნება: „არც თუ სადმე წამიკითხავს, მოგზაურ რაინდებს თან ფული ეტარებინოთო. ამაზე მასპინძელმა უთხრა, ძალიან სცდებითო. მართალია, რომანებში ამის შესახებ არას ამბობენ, მაგრამ ეგ იმიტომ, რომ ისეთ ჩვეულებრივ საგანზე, როგორც ფული და საცვალის ტანისამოსია, არ შეშვენით ილაპარაკონო. მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რაინდებს არც ერთი გააჩნდათ და არც მე-

ორე: პირიქით, მე დანამდვილებით ვიცი, რომ ყველა მოგზაური რაინდი, რომელთა საგმირო საქმეებით სავსეა უამრავი რომანი, მუდამ და ყველა შემთხვევისათვის, კარგად გატენილ ქისას, სუფთა პერანგებს და ჭრილობისათვის კოლოფით მაღამოს ატარებდა თან“ (სერვანტესი 1994 : 34).

„შეკრა წითელი ასი ათასი პირად მზემან და ტანად სარომან“, – ამ ასი ათასს იოლად გასცემს მდიდარი ავთანდილი, რომელსაც თანაბრად აქვს მატერიალურ-სულიერი ქონება. მას ჰგვანან „ვეფხისტყაოსნის“ სხვა პერსონაჟებიც, რომლებიც უხვად გასცემენ, რადგან „ზღვათაცა შესდით და გაედინების“. ქონების ფლობა სწორედ გაცემას გულისხმობს: „დება რა სავარგულია“.

ქონების კარგად მოხმარების აუცილებლობა წარმოჩნდება სულხან-საბას იგავ-არაკებში („ძუნწი ვაჭარი“, „ძუნწი და ოქრო“ და სხვ.) ძველი ქართული ლიტერატურის არაერთი მაგალითიც კარგად მოწმობს სულიერი და ხორციელი „პატივის“ შეზავების აუცილებლობას (მაგალითად, „გრიგოლ ხანთელის ცხოვრებიდან“ გაბრიელ დაფანჩულისა და გრიგოლ ხანძთელის პირველი შეხვედრის ეპიზოდი).

მეცხრამეტე საუკუნის 90-იანი წლებიდან ქართულ მწერლობაში გამოჩნდნენ პერსონაჟები, რომელთათვისაც ფული მატერიალურ-სულიერი კომფორტის საყრდენადაც იქცა. ისინი სხვადასხვა გზით შოულობენ ფულს და სიმდიდრეს თავიანთი არსებობის მიზნად აქცევენ. ერთ-ერთი ასეთი პერსონაჟია ბახვა ფულავა, გიორგი წერეთლის „პირველი ნაბიჯის“ (1890 წ.) მთავარი გმირი, რომლის პრაგმატიზმი, ანგარიშიანობა, მოხერხებულობა მკითხველს წარმოუჩენს ახალ რეალობას, საზოგადოებრივ ცხოვრებაში ადგილის დასამკვიდრებლად კაპიტალის დაგროვების აუცილებლობას. ლავრენტი არდაზიანის „სოლომონ ისაკიმ მეჯღანუამ-

ვილი“, გიორგი ერისთავის „გაყრა“, გიორგი წერეთლის „პირველი ნაბიჯი“ და სხვ. – ფულიან პერსონაჟებს, ხშირ შემთხვევაში, უკულტურო და უზნეო ადამიანებად წარმოაჩენენ და და მკითხველსაც მათ მიმართ ანტიპათიურად განაწყობენ.

მიხეილ ჯავახიშვილი თეიმურაზ ხევისთავის პირით ასე გამოკვეთდა, ამ თვალსაზრისით, მეცხრამეტე საუკუნის მწერალთა ბრალეულობას: „ჩვენს მამა-პაპებსაც სძულდათ ფულიანი ხალხი. მეცხრამეტე საუკუნის მწერლობაც ასეთი ზიზლით და შხამით არის სავსე. გაიხსენე, როგორ გაამასხრეს ვაჭარი გიორგი ერისთავმა, ცაგარელმა, ანტონოვმა და ასმა სხვა მწერალმა. გინდა გაიგო ღრმა მიზეზი ასეთი სიძულვილისა? ინებე: ადამიანს სძულს ყოველივე, რაც არ ეხერხება და არ ძალუძს, ესე იგი, მას ეზიზლება საკუთარი თავის უძლურება, უმწეობა და ჩამორჩენა! მორჩა და გათავდა! ამიტომ მოხდა, რომ ფულიანების მახვილს ჩვენ დავუპირდაპირეთ ჩვენი აზნაურული ფარი – დენდობა და რაინდობა, ესე იგი, ფუქსავატი ცხოვრება, მფლანგველობა, ყოყორობა, კუდაბზიკობა, ნებამოშლილი ადამიანის უძლური ამპარტავნება და ლატაკის ჭექა-ქუხილი“ (ჯავახიშვილი 2011: 127).

ქართული ლიტერატურის პერსონაჟებს შორის გამოირჩევა ოთარაანთ ქვრივი, რომელიც უპირისპირდება საზოგადოებაში გამეფებულ ფულის კერპად ქცევას. „ფული რა არის? ხელის ჭუჭყია“, – ამბობს იგი და, ამგვარად, ფულის ჭუჭყთან გაიგივებით ის მთლიანად აუფასურებს მის საზოგადოებრივ ღირებულებას. ჭუჭყი აბინძურებს და ამცირებს ადამიანს და ამიტომაც მოსაშორებელია, ჩამოსარეცხია. და თუ ფული მაინც საჭიროა „გუბერნატორამდე მისასვლელად“ და საკუთარი სიმართლის დასამტკიცებლად, ეს

მანც სათვალავში ჩასაგდები არ არის. სამაგიეროდ, ყველაფერზე აღმატებულია ღირსება: „ტყუილუბრალოდ რომ არ დავეჩაგვრინე, ცოტაა?!“ (ჭავჭავაძე 2012: 145). და ეს რიტორიკული კითხვა გულისხმობს პასუხს, რომ სწორედ ესაა მთავარი – არავის მისცე უფლება დაჩაგვრისა. ოთარაანთ ქვრივი საზოგადოებისთვის ერთგვარი მარგინალია, ინდივიდუალური შეხედულებებითა და დამოკიდებულებებით. იგი საზოგადოების გაჯანსაღებისთვის „მებრძოლ“ რაინდს ემსგავსება, ამიტომაც შეადარეს იგი კრიტიკოსებმა „კაბაგადაცმულ ილიას“.

მიუხედავად ფულის მიმართ ამგვარი დამოკიდებულებისა, მან იცის მისი ყადრი. იგი შემოსავალს ხუთ ქისაში ანაწილებს, გონიერი ქალი თვითონ ადგენს ამგვარ წლიურ ბიუჯეტს, რომელშიც არა მხოლოდ შემოსავალ-გასავალია გათვალისწინებული, რაციონალური გათვლებით, არამედ ერთგვარი ირაციონალური ქისაც აქვს – საქველმოქმედო – მეხუთე ქისა, (სახელად „შიოს მარანი“, იგივე, „ფარსილას ქარვასლა“), რომელშიც უანგარიშოდ, (რაც სხვა ქისებისგან მორჩება), ინახავს ფულს გლახაკების გასაკითხავად. „ვალმერთებ სიგიჟეს, ისეთ სიგიჟეს, როცა არ გენალვლება წარმატება, ფული, ძალაუფლება და მხოლოდ სიკეთეზე ფიქრობ“, – წერს თანამედროვე ესპანელი მწერალი გუსტავო მარტინ გარსო (გარსო 2010: 9).

ფულის მიმართ ქართველთა ერთგვარი აგებულებული დამოკიდებულება ირონიულად ამხილა მიხეილ ჯავახიშვილმა, როცა თეიმურაზ ხევისთავს „ჯაყოს ხიზნებში“ ათქმევინა: „ქართველს სულივით უყვარს ფული, მაგრამ უძირო სიძულვილით სძულს და ეზიზღება ფულიანი კაცი, ესე იგი ფულის შოვნის ხერხი, ესე იგი, ვაჭრობა და მრეწველობა. ხოლო ვაჭრობისთვის და მრეწველობისთვის საჭიროა

დიდი თაოსნობა, გარჯა და მომჭირნეობა, ესე იგი, ორის შოვნა და ერთის დახარჯვა, ესე იგი, თავდაჭერილი, დინჯი და ანგარიშიანი ცხოვრება, სულისა და ხორცის დისციპლინა, ესე იგი, შრომა და ნებისყოფა“ (ჯავახიშვილი 2011: 128). ფულის, როგორც საზოგადოების ფინანსური საყრდენის, მიმართ ინტერესი ყოველთვის წარმოჩნდება ყველა დროისა და ხალხის ლიტერატურაში.

დავით კლდიაშვილის მოთხრობებში („დარისპანის გასაჭირი“, „სოლომონ მორბელაძე“, „ქამუშაძის გაჭირვება“ და სხვ.) ფული აქტიურად შემოიჭრება, როგორც ღირებულება, რომელიც განსაზღვრავს ადამიანის ბედს. „კაი ფულით კაი გვარიშვილის კაცს ვიშოვი“, „სანამ ფულით ჯიბას არ გაუტენი, ქალს აღარავინ თხოულობს“ – ამბობს ბესარიონი. „ფული სადაა, სად? სად იშოვოს ეს ოხერ-ტიელი?!“, – მოთქვამს საკუთარ თავსა და მთელ სამყაროზე შემომწყრალი სოლომანი. ლუარსაბ თათქარიძეც, როდესაც სუტკენინა უყვება „მზეთუნახავი“ საცოლის შესახებ, პირველ რიგში, ეკითხება: ფული რამდენი აქვსო? „კაცია-ადამინის?!“ სხვა ეპიზოდში კი ჯვრისწერისას დავითი ათ თუმნად „ყიდის“ ძმას.

მერაბ მამარდაშვილი თავის ერთ ლექციაში ყურადღებას ამახვილებს იმაზე, რომ: „ფული არის რეალობა, რეალური კონცეპტი, რომელიც გულისხმობს გადახდის აუცილებლობას; ფულის გამოყენება იცის ხალხმა. ადამიანებმა იციან, რომ ფულითა და ბაზრის მეშვეობით ხდება გაცვლა-გამოცვლითი ურთიერთობის დამყარება ერთი მეორესთან. ეს არის ყოველდღიური ცხოვრების ნორმა, რითაც ხალხმა იცხოვრა და ცხოვრობს. ეს ყოველდღიურობა საოცარი მოვლენაა, თავისთვისაა, იდეოლოგიურად არ არის დატვირთული. თუ აქვს რაიმე დატვირთვა, ეს უმალ

ადამიანური მოთხოვნილებების ბუნებრივი განხორციელება, გარკვეული მიმართებაა საკუთარ თავსა და სიცოცხლეს შორის. ამ მიმართებაში ადამიანები ერთმანეთს შეიცნობენ, პატივს სცემენ და ავლენენ თავიანთ ადამიანურ ღირსებას; ეს არსებობის ერთგვარი ღირსებაა მოცემული ცხოვრებისეულ ფორმაში“ (მამარდაშვილი 1998: 17).

ფულთან დამოკიდებულების თვალსაზრისით, ქართული ლიტერატურის პერსონაჟებს, რა თქმა უნდა, ბევრ რამ აქვთ საერთო მსოფლიო ლიტერატურის გმირებთან.

1897 წელს აკაკიმ მოთხრობა „ქართული ფულის თავგადასავალი“ დაბეჭდა „აკაკის კრებულში“. მოთხრობის მთავარი პერსონაჟი ვერცხლის მონეტაა, რომელიც მკითხველს მოუთხრობს სხვადასხვა ადამიანის ხელში როგორ გადადიოდა და რა ემართებოდა. მოთხრობა იგავურ-ალეგორიული ხასიათისაა და კარგად წარმოაჩენს ფულის როლს საზოგადოებაში, აგრეთვე იმასაც, როდის რა ღირებულება ენიჭება მას, როგორი ურთიერთობა აქვს ზნეობასთან: „პატარა ვარ, მაგრამ რაცა ვარ, სულ წმინდა ვერცხლი ვარ. ლითონად ჩვენს ქვეყანაში ვარ გაჩენილი, ფულად კი ზარაფხანაში მომჭრეს და ტოლ-ამხანაგებიც ბევრი მყავდა. თვალი დაუდგეს სიბერეს, რომ ხორცსაც აკლებს და ფერსაც უკარგავს ყველაფერს, თვარა პირველ ხანებში ჩემს სანახაობას არა სჯობდა რა: ცით მონყვეტილს ვარსკვლავსავით გამქონდა კაშკაში, ხელისხელსაგომანებელი გადავდიოდი და გადმოვდიოდი აქეთ-იქით. ბევრის მნახველი ვარ, კიდევ უფრო მეტის გამგონე, მაგრამ ყველა რომ მოვთვალო, სად წავა“ (წერეთელი 2015: 252).

ფული თავის თავგადასავალს იწყებს მაშინ, როდესაც მეფე ერეკლემ ახალ წელს ის დედოფალ დარეჯანს აჩუქა. მან კი – თავის მიერ დანიშნურებულ უგვარო ოსეფა ყორ-

ღანაშვილს, რომლის ხელიდან მკურნალი ქვრივის ხელში გადაინაცვალა. ამ ქალმა კი შვილის გამოსაჯანმრთელებლად ფული ღვთისმშობლის ხატს შესწირა. აქ, ხატის უკან, მთელი წელიწადი იდო და „თვალყურს ადევნებდა“ იქაურობას. ამგვარი „მოგზაურობა“ აკაკის საშუალებას აძლევს დაგვიხატოს, როგორც ცალკეულ ადამიანთა ხასიათები, აგრეთვე საზოგადოების ზნეობრივ-მატერიალური მდგომარეობა. ამ თვალსაზრისით, საინტერესოა, როგორ აღწერს ფული ეკლესიის ძველსა და ახალ გარემოს: „მაშინდელი ეკლესია ოქრო-ვერცხლით თუმცა მდიდარი არ ყოფილა, მაგრამ სინძინდე კი დიდი იყო შიგ. მაშინდელ მღვდელს მღვდლობა ეტყობოდა და ერიც ერსა ჰგავდა. განუწყვეტელი წირვა-ლოცვა იყო და საყდარი მლოცველებით ივსებოდა ... გალავნის შიგნიდან, თვალ-მარგალიტიც რომ ყოფილიყო, ვინ რას გაიტანდა. საყდარში ხომ ყოველგვარი სამკაული ხელშეუხებელი იყო. ათასში ერთხელ მღვდელი თუ მოჰკიდებდა ხელს რომელსამე სამკაულს გასაწმენდად, მაშინაც მხოლოდ ლოცვითა და ამბორებით. ბოლოს კი ამასაც გადაეჩვივნენ: ხატის მადლსა და სასწაულს კი აღარ უყურებდნენ, უფრო მის მინანქარსა და ოქრომჭედლობას სინჯავდნენ. იმათ რომ აღარ ეპუებოდნენ, მე ვინდა გამიტანდა! ერთმა ურჯულომ მტაცა ხელი და ორთაჭალის ბალებში ამომაცოფინა თავი!“ (წერეთელი 2015: 254-255). ფული „ჩივის“ სინძინდიდან როგორ აღმოჩნდა ორთაჭალის ჭუჭყსა და ნაგავში, როგორ გადადიოდა ხელიდან ხელში, ისიც შენიშნა, რომ ქართველის ჯიბეში დიდხანს არ აცლიდნენ ყოფას, ბოლოს 10 წლის ამგვარი ბრუნვა-ტრიალის შემდეგ ვაჭრის ხელში აღმოჩნდა და დიდი ხანი გაატარა კიდობანში დამწყვედეულმა. ფული გვიყვება კიდობანში მომხდარი დავა-კამათის შესახებ. ქალაღდის ფულები თავს ამეტებდ-



ნენ ლითონის, ვერცხლის თუ ოქროსას, ისინი „თავზე ასხდნენ“ მონეტებს და თავიანთ აღმატებულ ღირსებას ცხარედ ასაბუთებდნენ. აქ ჩართულია იუმორისტული ამბავი, რომელიც ამხელს სომეხთა მისწრაფებას ყველაფერი მისაკუთრონ. ქალაქის ფული ყველა, როგორ მივიდა სომხეთის მეფესთან ვაზირი და შესთავაზა ქალაქის ფულის გამოშვება, რადგან ოქრო და ვერცხლი გაძვირდა: „რა ვუყოთ, რომ ფული გაძვირდა? თქვენ მათ მაგივრად ქალაქი გამოაჭრევენეთ და ზედ დაანერეთ, რომ ფულად გავიდესო... უბრძანე და გავა! „ასი! გნაციო!“ უთხრა სომხურად, ე.ი. „თქვი და გავაო“ (წერეთელი 2015: 256). ეს გადაიღეს სხვა ხელმწიფეებმაც, გადარჩა ქვეყანა განსაცდელს და ქალაქის ფულსაც „ასიგნაცია“ დაერქვაო.

საგულისხმოა ერთი ოქროს ფულის მოყოლილი ამბავი. მის მონათხრობში კიდევ ერთხელ წარმოჩნდება აკაკის პატივისცემა ვორონცოვის მიმართ. მისი აზრით, ვორონცოვიმა ბევრი კარგი რამ გაუკეთა ქართველებს, ხელი შეუწყო კულტურის აღორძინებას. მანვე დააჯერა ქართველები ვაჭრობის განვითარების აუცილებლობაში. მოთხრობაში გაჩენილ კითხვას, როგორ გაგრძელდება ქართული ფულის ბედი საქართველოში, აკაკის უიმედო პასუხი მოჩანს. ჩვენი ვერცხლის მონეტა ბოლოს აღმოჩნდება განათლებული და საქმიანი ახალგაზრდის ხელში, რომელიც მემკვიდრეობით მიღებულ ქონებას დაახარისხებს, ჩვენს ნაცნობ მონეტას კი, როგორც ახალ დროში გამოუყენებელს, ღილად დაიკერებს სახელოზე. აკაკის სურვილია, სიმდიდრე და განათლება ერთმანეთს დაუკავშირდეს. საგულისხმოა, რომ ამ მოთხრობაში მდიდარი და განათლებული ახალგაზრდა ხუთმანეთიანი ოქროთი ერთი წლით იწერს ჟურნალ „კრებულს“. აკაკი პოემაში „რუსეთუმე“ ირონიულად წარმო-

აჩენს რუსეთში განსწავლულ ახალგაზრდას, რომელმაც ფულის მოხმარება არ იცის.

ივანე გომართელი მეცხრამეტე საუკუნის საზოგადოებრივი-პოლიტიკური ყოფის მიმოხილვისას იმასაც აღნიშნავდა, როგორ გადმოიღო ქართველმა არისტოკრატებმა რუსეთიდან ევროპული ცხოვრების გარეგნული მხარე: „ახალი გასართობები, ახალი დროსტარება ჩვენს არისტოკრატებს ძალიან მოეწონა. ევროპული დროსტარებისათვის კი პური და ღვინო აღარ იყო საკმარისი, ფული გახდა სჭირო. თავადაზნაურობა მოაწვა ქალაქ-ადგილებს, გაიგო ფულის გემო და, აი, სწორედ აქედან იწყება არისტოკრატების დავალიანება და სწრაფი გაღატაკება“ (გომართელი 2012: 164). ივანე გომართელის აზრით, არისტოკრატია იმასაც მიხვდა, რომ: „ფულის უმთავრესი თვისება ის არის, რომ მან გაძღომა არ იცის, არ ფუჭდება და რაც მეტი გექნება, მით უკეთესია“ (გომართელი 2012: 163).

გერმანელ ფილოსოფოსი და სოციოლოგი გეორგ ზიმელი თავის ნაშრომში „ფულის ფილოსოფია“ (1900 წ.) წერს, რომ „თავისთავად ფულს, როგორც გაცვლის უბრალო საშუალებას, არანაირი თვისება არა აქვს, მაგრამ თავისი სხივებით მსჭვალავს ვაჭრობისა და მოხმარების მრავალფეროვნებას და პოტენციურად აერთებს საკუთარ თავში საყოფაცხოვრებო ყოფის ფერების სიმდიდრეს, მსგავსად თეთრი ფერისა, რომელც სპექტრის ყველა ფერს მოიცავს. ფულში კონცენტრირებულია უსაზღვრო რაოდენობის ფუნქცია (ზიმელი 1996: 303).

უფულობას განიცდიდნენ არა მხოლოდ პერსონაჟები, არამედ ღარიბი ქართველი მწერლები, მაგალითად, ვაჟა-ფშაველა წერდა: „რა ვქნა, ძმაო, თუ ეს მინა არ ვჩიჩქნე და პური არ მოვიყვანე, ყველანი მშივრები დავიხოცებით, რად-

გან ჩემი პოეტობა – მწერლობა ნავთის და მარილის ფულს ძლივს მადღევს“, – უთქვამს ვაჟას თავის მეგობარ ა. შამანაურისათვის. ხშირად ამბობდა თურმე ვაჟა: „მთელი ჩემი ცხოვრება პარადოქსია: როცა ვხნავ – პოეზიაზე ვფიქრობ, როცა ლექსებს ვწერ – პრაქტიკულ საქმეებს ვსაზრიანობ. ხან ერთი მიშლის ხელს, ხან მეორეო“ (ქართული ლიტერატურის ისტორია 1982: 443) ამიტომაც დღემდე არ გაცვეთილა და გამაფრთხილებლად გაისმის სერვანტესის ფრაზები: „ერთი უდიდესი ცდუნება ისაა – აზრი შთააგონო კაცს, ვითომ იგი შემძლეა შეთხზას და დასტამბოს წიგნი, რომლისგანაც იმდენ დიდებას მოიხვეჭს, რამდენსაც ფულს, და იმდენ ფულს, რამდენსაც დიდებას“ (სერვანტესი 1994: 6). თუმცა, ამ „ცდუნების“ შედეგად არაერთი დიდი მწერალი დაიბადა. „იმისთვის, რათა ადეკვატურად გავიაზროთ ჩარლზ დიკენსის მიერ ფულის, კლასის და ბურჟუაზიული სუბიექტურობის აღწერა, უნდა გამოვიკვლიოთ: როგორი ზემოქმედება მოახდინა დიკენსის მამის დაპატიმრებამ (ვალეების გადაუხდელობის გამო) მწერლის დამოკიდებულებაზე ფულისა და სამუშაოს მიმართ; დიკენსის მანიპულაციები ბაზარზე თავისი ნაწარმოებებით: როგორი რეაქცია ჰქონდა მას საზოგადოების დამოკიდებულებასა და რეკლამაზე (სახელის მოხვეჭის მიზნით); რამდენად განსაზღვრა გასაღებაზე ზრუნვამ მწერლის მანიაკალური შრომისმოყვარეობა; დიკენსის ზრუნვა საავტორო უფლებების დაცვის შესახებ; შესაძლოა, აგრეთვე, განხილულ იქნას დიკენსისა და მისი შემოქმედების მიმართება სწრაფად განვითარებადი ინდუსტრიული და იმპერიალისტური ეკონომიკისა და ვიქტორიანულ ინგლისში მიმდინარე კლასობრივი პროცესებისადმი“ (ოსტინი, ვუდმანსი 2005: 3).

ფული ხშირად განსაზღვრავს წიგნის შექმნის, გამოცემისა თუ მისი შემდგომი სიცოცხლის ბედს, თუმცა იმის მაგალითებსაც ვხვდებით, როდესაც ავტორები ჰონორარის გარეშე ქმნიან და გამოსცემენ თავიანთ ნაწარმოებებს. „ივანე მაჩაბელს უაღრესად მძიმე პირობებში უხდებოდა დაძაბული შემოქმედებითი შრომა. იგი ზოგჯერ იძულებული იყო ჰონორარზეც კი უარი ეთქვა თავისი თარგმანების გამოცემისას. ვალერიან გუნიას შემდეგი საგულისხმო სიტყვა ნაუნერია „ჰამლეტის“ მაჩაბლისეული თარგმანის ერთი ეგზემპლარის სატიტულო ფურცელზე: „1886 წელს, როცა ვასო აბაშიძემ გადმომცა სრულს ჩემს განკარგულებაში ჟურნალი „თეატრი“ (ეს იყო 1886 წლის მეორე ნახევარი), მე ვანო მაჩაბელთან (ივანე გიორგის ძე მაჩაბელი) ძალიან დაახლოებული ვიყავი და თანდათან შევუდექი მის ცდუნებას – შევაგულიანე შექსპირის თარგმნად. მართლაც, სამი თვის შემდეგ სამი მოქმედება უკვე გადმომცა და მეც „თეატრში“ მას ნაწილ-ნაწილ ვბეჭდავდი. თარგმანი რომ დაასრულა ვანომ, ცალკე წიგნად გამოვეცი ექვთიმე ხელაძის დახმარებით. სტამბის ვალი ექვსი თვის ვადით გამიგრძელდა. ასი ეგზემპლარი ვანოს მივეცი ჰონორარის სახით. რა თქმა უნდა, გროში ფული კი არ აუღია. სულ მუქთად დაარიგა ნაცნობებში“ (ქართული ლიტერატურის ისტორია 1982: 570).

ფულის სიყვარულის კვალდაკვალ გამოწვეული სიძუნწის არაერთი მაგალითია მსოფლიო და ქართულ ლიტერატურაში (მოლიერის „ძუნწი“, გიორგი წერეთლის „ძუნწი“ და სხვ.). მერაბ მამარდაშვილი თავისი ლექციაში ამის თაობაზე საინტერესო დაკვირვებას გვთავაზობს: „სიძუნწე. ესაა ფულთან დამოკიდებულების წესი, რის საშუალებითაც ადამიანმა, რომელსაც ძუნწს ვუნოდებთ, თავისი

ცხოვრებისეული პრობლემები მოაგვარა. მისი პრობლემები გარდაიქმნა თვისებად და სამყარო მისთვის შესაძლებელი გახდა, რამდენადაც იგი ძუნწია. ეს პრობლემები შეიძლება სექსუალურიც იყოს და გამოვლინდეს ამ სუბიექტის ფულთან დამოკიდებულებით. ე.ი ფული ის საგანია, რომელშიც მოხდა ზოგიერთი ფსიქიკური, ბავშობაში არსებული იმპულსების, მოძრაობების და ლტოლვების კონცენტრირება. მათ ამ საგანში მოიყარეს თავი, შემდეგ ცნობიერებას გაეცალნენ და ახლა ამ ადამიანში, და არა ვინმე სხვაში, რეალიზდებიან ფულთან მისი დამოკიდებულების სახით, რასაც ჩვენ აშკარად ვხედავთ და ვამბობთ: ეს კაცი ძუნწია. შეიძლება შემოვებრუნოთ პრობლემა, შეიძლება ავიღოთ ის, რასაც ჩვენ ზედაპირზე ვხვდებით, და წავიდეთ უკან მომხდარისკენ, როგორც მასალისკენ, რომლის საშუალებითაც შეგვიძლია კვანძი გავხსნათ. ამისათვის საჭიროა ორი წანამძღვარი. ჯერ ერთი, სიძუნწე ან აგრესია არ უნდა განვიხილოთ როგორც მზა თვისება, როგორც ახსნის საბოლოო ინსტანცია. მეორე, სიძუნწეს ან აგრესიას უნდა მივანიჭოთ საზრისი: აი, რას ნიშნავს მოცემულ შემთხვევაში სიძუნწე ან აგრესია. ესე იგი საჭიროა დავინახოთ საზრისისეული წარმონაქმნი იმ მნიშვნელობით, რომ რაიმე თვისება გავიგოთ, როგორც მხოლოდ სიმპტომი“ (მამარდაშვილი 1998: 21).

ცხოვრება ბრძოლაა და აქაც, როგორც ომში, ფული მთავარი იარაღია, თუმცა არის მორალურ-ზნეობრივი და სახელოვნებო ღირებულებები, რომელთა შესანარჩუნებლად მაღალი სულიერება, რწმენა და ნიჭია საჭირო, როგორც ვაჟა-ფშაველა ათქმევინებს თავის ალტერეგოს, ალუდა ქეთელაურს: „მით ვაქებ ვაჟკაცობასა, არ იყიდება ფულადა“.

მიხეილ ჯავახიშვილმა თავისი წერილი „როგორ ვმუშაობ“ ასე დაასრულა: „ნაპოლეონი ამბობდა, ომის მოსაგებად ჯერ ფულია საჭირო, მერმე ფული და ბოლოს ისევ ფულიო. მეც ვიტყვი: სალიტერატურო გამარჯვებისთვის ჯერ კარგი ქართულია საჭირო, მერმე კარგი ქართული და ბოლოს ისევ კარგი ქართული“ (ჯავახიშვილი 2011: 362). თუმცა, სალიტერატურო გამარჯვება არ ნიშნავს მიმდინარე რეალურ დროში გამარჯვებას, არამედ გამარჯვებას იმ განზომილებაში, რომელშიც სამყაროული კანონები არსებობას წყვეტენ და ფულიც კარგავს ძალაუფლებას.

### დამონმებანი

ბროდსკი 2009: ბროდსკი ი., დოსტოევსკის შესახებ, ჟ. „არილი“, №9, თბ. 2009

გამსახურდია 1992: გამსახურდია კ. დიონისოს ღიმილი, თბ. 20 ტომად, ტ. II, გამომც. „დიდოსტატი“, თბ. 1992

გომართელი 2012: გომართელი ი. ნიკოლოზ ბარათაშვილი, წიგნში ნიკოლოზ ბარათაშვილი, ჩემი რჩეული, გამომც. პალიტრა, თბ. 2012

ვონეგუტი 2015: ვონეგუტი კ. სასაკლაო №5, გამომც. დიოგენე, თბ. 2015

ზიმელი 1996 : ზიმელი გ., რჩეული, ტ. II. გამომც. იურისტი, მოსკოვი, 1996

ზოლა 2014: ზოლა ე., ფული, გამომც. პალიტრა, თბ. 2014

ლორთქიფანიძე 2000: ლორთქიფანიძე ნ., შელოცვა რადიოთი, თბ. 2000

მამარდაშვილი 1998: მამარდაშვილი მ., ლექციები ფსიქონალიზის შესახებ, მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების კავკასიური ინსტიტუტი, თბ. 1998

გარსო 2010: გუსტავო მარტინ გარსო, ინტერვიუ, ჟ. „არილი“, 24 ივლ., თბ., 2010

სერვანტესი 1994: სერვანტესი მიგელ, „დონ კიხოტი“, პირველი და მეორე ნაწილი, გამომც. სერვანტესის საზოგადოება“, თბ. 1994

ოსტინი, ვუდმანსი 1999: მარკ ოსტინი, მარტა ვუდმანსი, ლონდონი-ნიუ-იორკი, 1999

<http://ekonomikurikonceptebi.blogspot.com/>

სტენდალი 2013: სტენდალი, სიყვარულის შესახებ. გამომც. უსტარი, თბ. 2013

უელბეკი 2011: უელბეკი მიშელ, ჟ. „არილი“, №1, თბ. 2011

წერეთელი 2015: წერეთელი ა., ქართული ფულის თავგადასავალი, აკაკი წერეთელი, მხატვრული პროზა, ტ. VI, გამომც. საქართველოს მაცნე, თბ. 2015

ჭავჭავაძე 2012: ჭავჭავაძე ი., ჩემი რჩეული, ტ.2, გამომც. პალიტრა ,თბ. 2012

ქართული ლიტერატურის ისტორია 1982: ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. 5, გამომც. საბჭოთა საქართველო, თბ., 1982

ჯავახიშვილი 2011: ჯავახიშვილი მ., ჯაყოს ხიზნები, ჩემი რჩეული, ტ.3, გამომც. პალიტრა, თბ. 2011

ჯავახიშვილი 2011: ჯავახიშვილი მ., როგორ ვმუშაობ, ჩემი რჩეული, ტ.7, გამომც. პალიტრა , თბ., 2011

კონსტანტინე ბრეგაძე

## ბოეთა და დასავლეთის ტექნოკრატიზმი

„ეს საუკუნე მეფისტოფელი“.

გალაკტიონი

### 1. ადრეული მოდერნის ისტორიული რეალიები და მინიშნებები ტექნოკრატულ ტენდენციებზე ადრეული მოდერნის ფაზაზე

„ფაუსტის“ მეორე ნაწილში ნაჩვენებია ავტონომიური ინდივიდის გლობალური ისტორიით, უპიროვნო ისტორიული პროცესის სტიქიურობით, ისტორიის კოლექტიური ძალებითა და გლობალური პოლიტიკური კატაკლიზმებით დეტერმინება: კერძოდ, პირველი ნაწილის „მეტაფიზიკური“ იდეალებით შეპყრობილი ინდივიდუალისტი ფაუსტი, რომელსაც სურს ჩანვდეს, თუ რა არის სამყარო, ბუნება თავის არსში, მეორე ნაწილში ტრანსფორმირდება გლობალურ პოლიტიკაში ჩართულ თუ ჩათრეულ ტექნოკრატ კოლონიზატორად, რომელიც იმთავითვე ჩაერთვება ბუნების ათვისების გლობალურ სციენტისტურ, კაპიტალისტურ და ტექნიცისტურ პროცესებში (შდრ., მეორე ნაწილის მეხუთე მოქმედება) (მატენკლოტი 2004: 395). ტრაგედიის მეორე ნაწილში ფაუსტის პერსონაჟი მოდერნის ეპოქის უტილიტარისტი და კონზუმერი ადამიანის ერთგვარი კრებითი სახეა, მისი ობიექტური „იკონაა“. ეკერმანთან საუბარში (17.02.1831) გოეთე სწორედ ფაუსტის პერსონაჟის ამ მკვეთრ ტრანსფორმაციას უსვამს ხაზს:



„პირველი ნაწილი თითქმის მთლიანად სუბიექტივისტურია. აქ ყველაფერი ენთუზიაზმით აღვსილი და ვნებამოჭარბებული ინდივიდისაგან მომდინარეობს, რომლის ბუნდოვანი იდეებით შეპყრობილობა ადამიანს სიამეს ჰგვრის. მეორე ნაწილში თითქმის აღარაფერია სუბიექტივისტური, ინდივიდუალისტური, აქ ჩნდება უგრძობელი, უგულო ვრცელი და სრულიად გამჭვირვალე სამყარო“ (აქ და ყველგან გოეთეს ციტატების თარგმანი, ასევე „ფაუსტის“ მეორე ნაწილიდან შესრულებული ბნკარედული თარგმანები ჩემია – კ. ბ.) (ეკერმანი 1994: 470).

სწორედ ეს „უგრძობელობა“ და „უენთუზიაზმოება“ მოდერნის ეპოქის „ეთიკური“ მახასიათებელი, საიდანაც სათავეს იღებს მოდერნის ეპოქაში აღმოცენებული ტოტალური დეჰუმანიზაცია, ტოტალური გაუცხოება ადამიანებს შორის, ადამიანის ეთიკური და მეტაფიზიკური არსის ნიველირება და რენესანსისა და განმანათლებლობის ანთროპოცენტრული პარადიგმის დესტრუქცია. ამ მოდერნულ მგრძობელობას რომანტიკოსი და მოდერნისტი მხატვრები და მწერლები „ცივი გულისა“ (**“das kalte Herz“**) და „სიცივის“ (**“die Kälte“**) მეტაფორით აღნიშნავდნენ და ასახავდნენ: მაგ., სიცივის მეტაფორიკის დომინირება კ. დ. ფრიდრიხის 1820-30-იანი წლების ფერწერაში, ან სიცივისა „ცივი გულის“ მოტივი ფრ. ჰოლდერლინის ლირიკაში, ლ. ტიკის, ვ. ჰაუფის, თ. ბერნჰარდის პროზაში და ა. შ. (ვიეტა 1998: 531-537).<sup>1</sup>

1 შემთხვევითი არაა, რომ **sicivis** მეტაფორა ნიცშეს „ზარატუსტრაშიც“ გვხვდება, რითაც იგი „უკანასკნელი ადამიანის“ (**“der letzte Mensch“**), ანუ საკუთრივ მოდერნის ეპოქის მომხმარებელი ადამიანის, საშუალო სტატისტიკური ბიურგერის ინდიფერენტულობას

როგორც ითქვა, ტრაგედიის მეორე ნაწილში ფაუსტი გარდაისახება მოდერნის ეპოქის ბიურგერულ-კაპიტალისტური ცნობიერების მატარებელ სუბიექტად და მოდერნიზებული სოციუმის ნაწილად, იგი ამ ეპოქის „ბაზისურ“ კაპიტალისტურ, ეკონომიკურ და ტექნოკრატულ დაკვეთებს ასრულებს, რომლის განსახორციელებლად იგი უკვე კოლექტიურ, მასობრივ და დაგეგმილ გამწევს ძალას (შემდგომ „პროლეტარიატად“ წოდებულს), ახალ მექანიზებულ ტექნიკას და „ცეცხლის მანქანას“ (**“Feuermaschine“**), ანუ ორთქლის ძრავას იყენებს (შდრ., მეხუთე მოქმედებაში ზღვისთვის მიწის გამოტაცებისა და სანაპირო ზოლზე არსებული ჭაობის ამოშრობის მიზნით დამბების აგებისა და არხების გაყვანის სცენები):

„დაავლეთ ხელი ხელსაწყობებს, ნიჩბებსა და ბარს,  
რაც გამოვკაფეთ და გავიყვანეთ შევინარჩუნოთ ხამს.  
მკაცრი წყობით და სწრაფი გარჯით,  
დავიმსახურებთ ყოვლადმშვენიერ ჯილდოს;  
და რომ აღსრულდეს დიადი საქმე  
კმა არს ერთის გონება და ათასის ხელი.

.....  
იქ სადაც ღამით დაფარფატებდნენ ცეცხლისა აღნი,  
მეორე დღეს იმ ადგილზე ჯებირი აღემართათ“  
(ტაეპი: 11505-11510, 11125-11126) (გოეთე 2001: 201).

ფაუსტი აქ უკვე ისწრფვის არა საკრალური ბუნების დაფარული არსის შესაცნობად, როგორც ამას ტრაგედიის პირველ ნაწილში ვხვდებით, არამედ ბუნება მისთვის უკვე

ახასიათებს: „yinuli iyo mis sicilSi“ (**“Es war Eis in seinem Lachen“**) (ნიცშე 2000: 21).



„მკვდარი“, დესაკრალიზებული მატერიაა, რომლის ტექნოკრატიული ათვისებისა და მოხმარების შედეგად (“die Tat“) იგი აბევრებს კაპიტალს, აფართოებს საკუთრებასა და პოლიტიკურ ძალაუფლებას: „ძალაუფლებას მოვიპოვებ და საკუთრებას! / საქმეა ყველა, დიდება – არარა“ (“Herrschaft gewinn’ ich, Eigentum! / Die Tat ist alles, nichts der Ruhm“) (ტაეპი: 10187-10188) (გოეთე 2001: 163).

ამიტომაც, ტრაგედიის მეორე ნაწილში, ბუნებრივია, რომ გაუქმებულია ლიტერატურაში „პოპულარული“ ტრადიციული კონფლიქტი ინდივიდუალისტ სუბიექტურობასა და სოციუმს შორის, იდეალსა და ცხოვრებას შორის, ვინაიდან ფაუსტი სრულიად განზავდება უახლეს მოდერნულ ისტორიაში, ატომიზდება ადრეული მოდერნის ისტორიულ პროცესში და ექვემდებარება და პასუხობს ახალ სოციალურ გამოწვევებს, რაც ახალი მოდერნული საზოგადოების ბიურგერულ, კაპიტალისტურ და ტექნოკრატიულ მოთხოვნილებებს უკავშირდება. თუკი ვისაუბრებთ „კონფლიქტზე“, მაშინ ესაა ცივილიზატორული პროცესების ანტოგონიზმი, დაუნდობლობა და დაპირისპირება ბუნების მიმართ (მატენკლოტი 2004: 396).

ფაუსტი სწორედ ბუნების „გაუპატიურებაზე“ მიმართულ ამ ახალი მოდერნიზაციის პროცესებიდან იღებს სარგებელს: მაშინ, როდესაც ფაუსტი ტრაგედიის პირველ ნაწილში შეზღუდული პროვინციული ფილისტერობის დაძლევის და რომანტიკოსი პერსონაჟის მსგავსად უნივერსუმში ტრანსცენდირებას ცდილობს, მუდმივად აქვს მეტაფიზიკური სწრაფვები, ბუნებას, როგორც უმაღლესი გონის გამოვლინებას, მონივნებით და აღფრთოვანებით ეპყრობა, მეორე ნაწილში იგი საკუთარ უნივერსალურ პიროვნებას

ბიურგერულ ცნობიერებასა და მომხმარებლური საზოგადოების ინტერესებს უქვემდებარებს. სიმპტომატურია, რომ პირველი ნაწილის დასაწყისისაგან განსხვავებით, ტრაგედიის მეორე ნაწილის დასაწყისში ფაუსტი იმზირება არა ზეცისკენ, არა მნათობებისკენ, როდესაც ის ასეთი ქცევით თავის მეტაფიზიკურ სწრაფვებზე მიაწიწნებდა, არამედ იმზირება მიწისკენ (მატენკლოტი 2004: 396) და ამ ქცევით ცხადყოფს, რომ ის უკვე მხოლოდ „მიწის აზრია“, ანუ მხოლოდ „დაზაინ“-ით, ამქვეყნიურობით, ანუ საგნობრივი და მოვლენების სინამდვილით შემოსაზღვრავს საკუთარ ეგზისტენციასა და ცნობიერებას: „მაშ კვლავ ვუჭვრიტოთ ამა მიწას / [...] და დარჩეს მზე ჩემს ზურგსა უკან!“ („So dass wir wieder nach der Erde blicken, / [...] So bleibe denn die Sonne mir im Rücken!“) (ტაეპი: 4713, 4715) (გოეთე 2001: 5-6).

რა გლობალურ ისტორიულ მოვლენებზეა „ფაუსტის“ მეორე ნაწილში მინიშნებული, რომლებიც შესაძლოა გავიზაროთ ადრეული მოდერნის, ანუ მოდერნის ეპოქის საწყისი ეტაპის გამოვლინებად? ასე მაგალითად, ტრაგედიის მეორე ნაწილში გვხვდება შემდეგი ალუზიები გოეთეს თანამედროვე მასშტაბურ ისტორიულ-პოლიტიკურ მოვლენებზე და გრანდიოზულ ეკონომიკურ-ტექნოლოგიურ ძვრებზე: კერძოდ, სიტყვით „მიწისძვრა“ („Erdbeben“) მინიშნებულია საფრანგეთის 1789 წლის ე. წ. დიდ რევოლუციასა და 1830 წლის ე. წ. ივლისის რევოლუციაზე, ასევე მოცემულია მინიშნებები ნაპოლეონის ეპოქაზე (1804-1815), ავსტრიის კანცლერ დიდჰერცოგ მეტერნიხის მიერ ინიცირებულ აბსოლუტიზმის საყოველთაო რესტავრაციაზე (დაიწყო 1815 წლიდან და გაგრძელდა გოეთეს გარდაცვალების შემდგომი პერიოდის ჩათვლით ვიდრე 1848 წლამდე); ასევე, გვხვდება

მინიშნებები იმ პერიოდის მოდერნულ ტექნოლოგიურ მიღწევებზე, რომელთაც თავად გოეთე მოესწრო: ჯეიმს ვატის ორთქლის/ცეცხლის ძრავა (1782-1784), რომელიც იმხანად ინგლისში დაინერგა გამწვევ მექანიკურ-ჰიდრაულიკურ ძალად ტექსტილის ფაბრიკებში, ასევე სამთამადნო წარმოებაში, ხვნა-თესვის საქმეში. ორთქლის/ცეცხლის ძრავა შემდგომ გემებზეც დამონტაჟდა და მე-18-მე-19 საუკუნეების მიჯნაზე პირველი თბომავალი გემიც აიგო (ე. წ. ფულტონის თბომავალი გემი), ხოლო 1825 წელს ინგლისში გამოჩნდა პირველი ორთქმავალი მატარებელი. სიმპტომატურია, რომ სწორედ ამ წელს შეუდგა გოეთე „ფაუსტის“ მეორე ნაწილზე მუშაობას (შმიდტი 2011: 215).

რაც შეეხება ახალ ეკონომიკურ და მილიტარისტულ ძვრებს, რომლებზეც „ფაუსტის“ მეორე ნაწილშია მინიშნებული, იგი უკავშირდება საბანკო-ფინანსურ ურთიერთობათა მოდერნიზებას: 1815 წელს დაფუძნდა როტშილდის საბანკო და საფინანსო სახლი და ამით საფუძველი ჩაეყარა თანამედროვე საბანკო სისტემას (შდრ., პირველი აქტი, ქალაქის ფულის გაჩენის ეპიზოდი), ხოლო სამხედრო წარმოებასა და სამხედრო ხელოვნებაში ნაპოლეონის ომების ფონზე დაიწყო სამხედრო ტექნიკის, განსაკუთრებით, არტილერიის დახვეწა, ასევე დაინერგა სამხედრო მეცნიერებანი, კერძოდ, საველე ინჟინერია, ბალისტიკური გამოთვლები: ტრაგედიის მეოთხე აქტში, სადაც მინიშნებებია ვატერლოოში ნაპოლეონის მარცხსა და ავსტრიის იმპერიის დიდპერცოგ მეტერნიხის მიერ 1815 წელს ვენის კონგრესზე ინიცირებულ და განვითარებულ რესტავრატორულ პროცესებზე (შდრ.: „*უმაღლეს ვარსკვლავთა ელვისებრი ცვენა*“/“*Blickschnelles Fallen Allerhöchsten Sterne*“ (ტაეპი:

10751) (გოეთე 2001: 179), ფაუსტი გვევლინება იმპერატორის მხარეზე მეზრძოლ სარდლად. ის და მეფისტოფელი ამბოხებული „ანტი-იმპერატორის“ (“*Gegen-Kaiser*“) წინააღმდეგ ბრძოლებში უკვე ჩართავენ და იყენებენ იმ პერიოდისთვის მოდერნიზებულ ახალ სამხედრო-სამრეწველო და სამხედრო-სამეცნიერო მიღწევებს – ბალისტიკურ გათვლებზე დაფუძნებულ საზარბაზნე კანონადას, სამხედრო საინჟინრო გამოთვლების მიხედვით აწყობილ ნაგებობებს (მაგ., სახელდახელო ლოჯისტიკური ხიდები) (შმიდტი 2011: 266).

„ფაუსტში“ ასევე აისახა ახალი სოციალ-პოლიტიკური იდეები, კერძოდ, ფრანგული ადრეული სოციალიზმის, ე. წ. სენ-სიმონიზმის იდეები (შდრ., მეხუთე აქტი) (შმიდტი 2011: 216).

„ფაუსტის“ მეორე ნაწილში ასევე მინიშნებებია ახალ აღმოჩენებზე ბუნებისმეტყველებაში: კერძოდ, მინიშნებაა 1828 წელს გერმანელი ბუნებისმეტყველის ფრიდრიხ ვოლერის (Wöhler) ექსპერიმენტებსა და აღმოჩენებზე ბიოქიმიაში, რომლის შედეგადაც შესაძლებელი გახდა არაორგანული ნაერთებისგან მიღებულიყო ორგანული ქსოვილები (კერძოდ, ძუძუმწოვრების ცილის მოლეკულების მიღება). შესაბამისად, გაჩნდა შესაძლებლობა, შემდგომ ეტაპზე ხელოვნურად შექმნილიყო ცოცხალი არსებები.

„ფაუსტზე“ მუშაობისას ფრ. ვოლერის ამ აღმოჩენებისა და ცდების შესახებ გოეთე დეტალურად იყო ინფორმირებული: ინფორმაცია გოეთემ თავად ვოლერის მასწავლებლისაგან, სტოქჰოლმელ ქიმიკოს იაკობ ბერცელიუსისაგან (Berzelius) მიიღო, როდესაც ისინი ქალაქ დორნბურგში ერთმანეთს შეხვდნენ იმავე 1828 წელს. სწორედ ამის შემდეგ ქმნის გოეთე მეორე ნაწილის მეორე მოქმედებაში ცნობილ

ლაბორატორიის სცენას: ტრაგედიის მეორე ნაწილში ჰომუნკულუსის სახით, ამ ხელოვნური ლილიპუტი ადამიანის სახით, ისეთ არსებას ვხვდებით, რომელიც ფაუსტის ფამულუსმა ვაგნერმა და მეფისტოფელმა ლაბორატორიული ცდების შედეგად კოლბაში in vitro გამოიყვანეს სწორედ იმ ბიოქიმიური მეთოდების საფუძველზე (გოეთე-ლექსიკონი... 2004: 209-210).

ამგვარად, უკვე მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში საფუძველი ეყრება ახალ ინდუსტრიულ, ტექნოლოგიურ, ტექნოკრატულ და სციენტისტურ ერას, ანუ საკუთრივ ისტორიული მოდერნის ეპოქას, კერძოდ, ამ ეპოქის ადრეულ ფაზას. მოდერნის ეპოქის სულისკვეთების სიმბოლოდ ტრაგედიის მეორე ნაწილში გვევლინება თავად *მეფისტოფელი*, რომელიც განასახიერებს სწორედ ტოტალური ეკონომიკური, კოლონიზატორული, მომხმარებლური, მილიტარული, ინდუსტრიული ძვრებისა და პროცესების სტიქიურ ძალას. ამ თვალსაზრისით, საინტერესოა მეფისტოს შემდეგი ფრაზა: „*ომი, ვაჭრობა და მეკობრეობა, სამპირ არან ისინი, განუყოფელნი*“ („Krieg, Handel und Piraterie, / Dreieinig sind sie, nicht zu trennen“) (ტაეპი: 11187-11188) (გოეთე 2001: 192). ამ სამერთიანობაში გოეთე მოიაზრებს სწორედ მოდერნის ეპოქის შემდეგ აპრიორულ მახასიათებლებს: „ომს“ („Krieg“), „ვაჭრობას“ („Handel“), „მეკობრეობას“ („Piraterie“): ანუ, ომი როგორც, საკუთრივ ახალი ტიპის ტოტალური ტექნოლოგიური მილიტარიზმი; ვაჭრობა, როგორც ახალი ტოტალური საბაზრო ეკონომიკა; ხოლო მეკობრეობა, ერთი მხრივ, როგორც კონკურენციაზე, წარმატებასა და წარმატობაზე ორიენტირებული ახალი მოდერნული სოციუმის „ეთიკური“ მახასიათებელი, რომელიც ვლინდება დაუნდობელ,

არაჰუმანურ სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობებში, როდესაც გამძაფრებული კონკურენციის პირობებში საპირისპირო მხარეები ერთმანეთის განადგურების ხარჯზე აღწევენ ეკონომიკურ წარმატებას, მეორე მხრივ, მეკობრეობა, როგორც ბუნების კოლონიზატორული და ტექნოკრატული ათვისება ფინანსური მოგების, ეკონომიკის გაფართოებისა და კაპიტალის დაგროვების მიზნით. ეს სამი ფაქტორი ურთიერთს განაპირობებს და ავსებს. რაც მთავარია, ახალ ხანაში სწორედ მანქანურ-ტექნიკურ-ეკონომიკური პროცესები განიხილება საკაცობრიო პროგრესად, სწორედ მათ ენიჭებათ აქსიოლოგიური მარკერი, ვინაიდან ეს პროცესები ეფუძნებიან უკვე იდეოლოგიურ კონსტრუქტად გადაქცეულ სციენტისმს, რომლის მიხედვითაც, ბუნებისმეტყველებათა ემპირიულ კვლევების საფუძველზე მიღებული სამყაროს მატერიალისტურ-პოზიტივისტური სურათი განიხილება ერთადერთ ჭეშმარიტებად. ეს ყველაფერი კი ეფუძნება მკაცრად და ზუსტად გამომთვლელ, დამაანგარიშებელ და დამგეგმავ რაციოს, ინსტრუმენტულ გონებას, რომლის განსახიერებადაც მეფისტოფელი და ფაუსტი გვევლინებიან: „სწრაფ შევადგინე გონებაში გეგმა გეგმაზე“ (ტაეპი: 10227), „რაც გავიფიქრე, მყის აღვასრულე“ (ტაეპი: 11501) („Da fasst ich schnell im Geiste Plan auf Plan“, „Was ich gedacht, ich eil' es zu vollbringen“) (გოეთე 2001: 164, 201).

შემთხვევითი არაა, რომ მეორე ნაწილში ხშირად გვხვდება სიჩქარის, სწრაფი ტემპის აღმნიშვნელი ლექსიკური ერთეულები, რითაც მინიშნებულია, რომ მე-19 საუკუნეში ე. წ. სივრცითი კულტურა (Raumkultur), ანუ ტრადიციული პატრიარქლური პრემოდერნული კულტურა იცვლება დროითი კულტურით (Zeitkultur), ანუ მოდერნული კულტურით,

რაც ნიშნავს ეგზისტენციალური და სოციალური ტემპის მკვეთრ აჩქარებას, საკრალურ სივრცეზე მიბმულობის გაუქმებას (შმიდი 1999: 95-98), რაც სწორედ მოდერნის ეპოქის უმთავრესი ონტოლოგიური მახასიათებელია და სწორედ მე-19 საუკუნის პირველივე ნახევარში, მოდერნის ეპოქის ადრეულ ეტაპზე იღებს სათავეს. როგორც ცნობილია, ეს კულტურული ტრანსფორმაციის პროცესი შემდგომ იმავე საუკუნის მეორე ნახევარში კიდევ და კიდევ აჩქარებულია, ხოლო მეოცე საუკუნეში თავის კულმინაციას აღწევს. შემთხვევითი არაა ისიც, რომ „ფაუსტის“ მეორე ნაწილში ხშირად გვხვდება „სიჩქარის“ გამომხატველი ლექსიკური ერთეულები: „blickschnell“, „Eilebeute“, „Habebald“, „rascher Griff“, „geschwinde“, „aufraffen“, „Gemeindrang eilt“ (შმიდტი 2011: 265). და აქვე კარგად ჩანს თავად „ფაუსტისა“ და მეფისტოფელის ქცევის თავისებურებანი: სწრაფი, მოუთმენელი, გაუაზრებელი, იმპულსური, ინსტინქტური, თავაშვებული ქმედების „ეთიკა“ („die Tat“), რაც ასე დამახასიათებელია მომხმარებელი საზოგადოებისათვის და კონკურენციაზე, წარმატებასა და წარმადობაზე ორიენტირებული სოციალური სფეროსთვის: „ნაბრძანებია სწრაფად, უსწრაფესად ქმნა“ („Geboten schnell, zu schnell getan!“) (ტაეპი: 11382) (გოეთე 2001: 198).<sup>1</sup>

<sup>1</sup> შდრ., „მაქსიმებსა და რეფლექსიებში“ („Maximen und Reflexionen“) (1833 postum) თანამედროვე მოდერნული ფამისა და თანამედროვე ახალი თაობის ადამიანის ახლადჩასახული უტილიტარული და მომხმარებლური ბუნება, ამ ბუნებით აპრიორული შეპყრობილობა და ახალი თაობის ადამიანის ე. წ. „წარმატებაზე“ დაგეშილობა ზუსტად დაახასიათა გოეთემ: „გაცხოველებული სავაჭრო ტემპი *Lebhaftigkeit des Handels*), ქალაქის ფულის გამალებული შრიალი, ვალების ვალებზე დადება, რათა ასე იქნას

ამ კულტურული ტრანსფორმაციის უკიდურესად აჩქარებულ პროცესს და თავად მოდერნის ეპოქის სწრაფ ტემპს გოეთე აღნიშნავს ნეოლოგიზმით „ველოციფერული“ („veloziferisch“). ამით მან, ერთი მხრივ, მიანიშნა პროცესის მანქანურ-ტექნიკურ ბუნებაზე, მეორე მხრივ, თავად ამ პროცესის წარმართველი პოლიტიკური, ფინანსური და სციენტისტური ელიტების სწრაფი და ინსტინქტური ქმედების თავისებურებაზე. და თუ ამ ნეოლოგიზმის ძირს და სუფიქსს დავუკვირდებით, იქვე ფონემურ და ლექსიკურ დონეზე იკითხება სიტყვის კიდევ ერთი დამატებითი სემა, რომელიც აღნიშნული პროცესების „ლუციფერულ-მეფისტოფელურ“, ანუ ტიტანურ არსზე მიანიშნებს (შმიდტი 2011: 266).

ამ პროცესების შედეგად კი ბოლო ელენა გერმანული კლასიკისა (გოეთე/შილერი/ჰუმბოლდტი) და რომანტიზმის ფარგლებში შემუშავებულ ჰუმანისტურ და სუბიექტივისტურ ინდივიდუალობას, იდეალისტური მეტაფიზიკის გონის აპრიორულობასა (კანტი, ფიხტე, ჰეგელი) და ხელოვნების მაღალ გაგებას (ვინკელმანი, მორიცი), რომლის მიხედვითაც ხელოვნება გაიაზრება ავტონომიურ გონით-სულიერ ფენომენად. ხელოვნების ამ მაღალი გაგების საპირისპიროდ კი საფუძველი ეყრება ხელოვნების გარდაუვალ კომერციალიზაციას (შდრ.: „ერთი ხელის მოსმით [...] ერთ ღამეში ათასმა ხელოვანმა გაათასმაგოს“ („mit wenig Federezügen [...] in dieser Nacht / durch Tausendkünstler vertausendfach“) (ტაეპი: 6071) (გოეთე 2001: 43).

ვალეები გასტუმრებული, ესაა ის ყოვლისმომცველი, უკიდურესად და უსასრულო („ungeheuer“) ელემენტები, რომელთაც ახლა მუდმივად გამოდევნებია ახალგაზრდა ადამიანი“ (ციტირებულია ი. შმიდტის ნაშრომის მიხედვით: 2011, 264).



## 2. საიმპერატორო კარი, როგორც ახალი მოდერნული ტიპის გლობალური პოლიტიკის გენერატორი

ტრაგედიის მეორე ნაწილი (იხ. I აქტი) სწორედ საიმპერატორო კარია გოტალური რაციონალიზაციის, კომერციალიზაციისა და ეკონომიზაციის სივრცე, სადაც ხდება სწორედ ქალაქის ფულის გამოგონება და მიმოქცევა, რასაც ფაუსტი და მეფისტოფელი სწორედ „ველოციფერული“ მანქანებით ახორციელებენ. ამით გოეთემ კიდევ ერთხელ მიაწინა თანამედროვე ეკონომიკურ და ფინანსურ სიახლეებზე (აღსანიშნავია, რომ ქალაქის ფული სწორედ გოეთეს სიცოცხლეში, ნაპოლეონის ეპოქაში იქნა გამოგონილი) (გოეთე-ლექსიკონი... 2004: 329). ამასთან, სწორედ ამ საიმპერატორო სივრცეს ახასიათებს აჩქარებული ტემპი, ამ სივრცეში ყველაფერი მყისიერად ხდება, მათ შორის ქალაქის ფულის მიმოქცევაში გაშვება. საიმპერატორო კარი ეს სწორედ ახალი მოდერნული სოციუმის მოდელია, სადაც ხორციელდება ყოფის რაციონალიზაციისა და ხელოვნების კომერციალიზაციის ამოცანები: შდრ., მეფისტოფელის ნათქვამზე, „აქ ფული გვაკლდება“ („hier aber fehlt das Geld“) (ტაეპი: 4890), იმპერატორი მყისვე პასუხობს: „ფული გვაკლდება, მაშ გააჩინე“ („Es fehlt das Geld, so schaff es denn“) (ტაეპი: 4926) (გოეთე 2001: 11).

ხოლო მეფისტოსადმი ფაუსტის შემდეგ სიტყვებში კარგად ჩანს, ერთი მხრივ, პოლიტიკური ელიტების პრიმიტიული ფსიქოლოგია და ტრივიალური ღირებულებები, მეორე მხრივ, ხელოვნების კომერციალიზაციის ტენდენცია ახალ დროში:

„შენ არც კი უწყი, მეგობარო,  
საით წაგვიყვანს შენი ხელოვანება;  
ჩვენ ის (იმპერატორი – კ. ბ.) ჯერ სიმდიდრით ავავსეთ,  
ახლა კი მისი გართობის დროა“  
(ტაეპი: 6191) (გოეთე 2001: 46).

ამგვარად, საიმპერატორო კარი, ანუ პოლიტიკური ელიტები ჯერ ორიენტირებულნი არიან კაპიტალის მაქსიმალურ დაგროვებაზე, რაც ძალაუფლების გამყარებისა და გაფართოების გარანტია; მეორე მხრივ, ამ ელიტებს ამავედროულად აქვთ „ესთეტიკური სისუსტეც“: ანუ, მათ აქვთ მოთხოვნილება ხელოვნებაზე, ოღონდ ის უნდა იყოს თავშესაქცევი („ამუზანტური“), მსუბუქი, პომპეზური, მოგების მომტანი და ა. შ., ამგვარად, უნდა შეიცავდეს ყველა იმ ნიშანს, რაც დამახასიათებელია ე. წ. კომერციული ხელოვნებისათვის. ტრაგედიის პირველ მოქმედებაში ასახული საიმპერატორო კარის, ანუ, ზოგადად, პოლიტიკური ელიტის სახელოვნებო ვნებანი სწორედ კომერციულ, გასართობ ხელოვნებაზეა ორიენტირებული, საიმპერატორო კარიც სწორედ ასეთ ხელოვნებას აფინანსებს და წაახალისებს. (შდრ.: ამავე მოქმედებაში მეფისტოს „ლატერნა მაგიკა“, ან ფაუსტის ინსცენირებული „პარისისა და ელენეს ფანტასმაგორია“).

ამავდროულად, საიმპერატორო კარი, შილერისეულ ფორმულირებას თუ დავეყრდნობით, ე. წ. „ბუნებითი სახელმწიფოს“ (Naturstaat), ანუ ძალადობრივი სახელმწიფოს, მოძალადე სახელმწიფოს (Machtstaat) ტიპიური გამოვლინებაა, რომლის ფარგლებშიც უსასრულოდ ვლინდება ძალაუფლებისმოყვარეობის პათოლოგია. აქ ვერასოდეს ფუძნდება გონებაზე (Vernunft), – რომელიც უნდა იყოს



უნივერსალური მორალისა და კატეგორიული იმპერატივის დაფუძნების აპრიორული წინაპირობა და სულიერი ძალა, – ანუ განმანათლებლურ-კანტიანურ ე. წ. „ფერნუნფტზე“ დამყარებული მაღალი ზნეობრივი იდეალი და გოეთე-შილერისეული Bildung-ის პრინციპი, ანუ ანტიკურობაზე ორიენტირებული ადამიანის სრული ანთროპოლოგიური განვითარების კონცეფცია (ე. ი. სხეულებრივი, სამშვიდობო-ლისეული და გონისმიერი ჰარმონიული განვითარების კონცეფცია) (დდორი 2007: 69-72), რომლის პრაქტიკული ხორცშესხმის მოტივით დააარსა ვილჰელმ ფონ ჰუმბოლდტმა ბერლინის უნივერსიტეტი (1810).

### 3. ფაუსტის ტექნოკრატიზმი და სოციალუტოპიები

ტრაგედიის მეხუთე მოქმედებაში კულმინირებულია ფაუსტის ტექნოკრატიული ვნებები: აქ მოცემულია ბუნებაზე თანამედროვე ტექნიკური ცივილიზაციის ძალადობა, რასაც ფაუსტი ახორციელებს ზღვის სანაპიროზე არხების გაყვანითა და დამბების აშენებით, რითაც მას სურს ზღვას მიწა გამოსტაცოს. ამისთვის ფაუსტი იყენებს მასობრივ გამწვევ პროლეტარულ ცოცხალ ძალას, რომლის მოქმედებასაც ის აფუძნებს შრომითი პროცესების მკაცრ ორგანიზებაზე, დაგეგმვასა და დისციპლინაზე, ასევე – ახალი ტექნიკის, კერძოდ, ცეცხლის/ორთქლის ძრავაზე მომუშავე მექანიზმების, მექანიკური ამძრავების (“ცეცხლის მანქანების“, „Feuermaschinen“) გამოყენებაზე. ფაუსტის ამ დესაკრალიზებული ინსტრუმენტული რაციოს, ანუ გამომთვლელი გონების, – რომლის ფარგლებშიც უკვე გაუქმებულია ბუნების საკრალური გაგება, როგორც ჰქონდა ფაუსტს ტრაგედიის პირველ ნაწილში, – მიერ წარმართულ ტექ-

ნოკრატიულ პროცესებს ეწირება ბუნება, შედეგად, ირღვევა ზღვის სანაპიროს ეკოლოგია, ეწირება ზღვის პირას მცხოვრები მოხუცი ცოლ-ქმრის (ფილემონ და ბაუცის) სიცოცხლე, მათი იდილიური სახლი და ბაღი.

მაგრამ აქ საინტერესო სწორედ ის არის, რომ ფაუსტი ბოლომდე ვერ იმორჩილებს ბუნებას და ზღვის სანაპირო ზოლზე არსებულ ჭაობს ბოლომდე მაინც ვერ ამოაშრობს: „ჭაობი მიიწევს მთიანეთისკენ, / სრულ დაანყლულა ყველაფერი, რაც მოვიპოვეთ“ („Ein Sumpf zieht am Gebirge hin, / verpestet alles schon Errungene“) (გოეთე 2001: 203). ამით კი მიანიშნებულობს, რომ თანამედროვე ადამიანის ტექნოკრატიული ვნებები იწვევს არა კაცობრიობის „პროგრესს“, „ექსპერტული“ სციენტიზმით „გამყარებული“ ტექნოკრატიზმი კაცობრიობის გონის ზნეობრივი განვითარების უმაღლესი გამოხატულება კი არაა, არამედ სრული და გარდაუვალი ეგზისტენციალური ფინალობა (თუნდაც დღეს, გამოვლენილი გლობალურ ეკოლოგიურ კატასტროფებში).

იმავე მეხუთე მოქმედებაში მასობრივ შრომით პროცესებზე მიანიშნებით გოეთე ახდენს ამ პერიოდისთვის (XIX ს. 30-იანი წლები) გავრცელებული ადრეული სოციალიზმის (ე. წ. სენ-სიმონიზმის) იდეების პაროდირებას, რომელთაც გოეთე ეცნობოდა ფრანგული სენ-სიმონისტური გაზეთის „Le Globe“ საშუალებით (შმიდტი 2011: 216): კერძოდ, ფაუსტის უკანასკნელი, სიკვდილისწინა მონოლოგი სწორედ ფრანგული ადრეული სოციალიზმის იდეებს ახმოვანებს, რომელიც ეყრდნობა რაციონალიზებულ ბრძანებისა და მორჩილების ახალ, მოდერნულ დიქტომიას, რაც გულისხმობს ზემოდან წამოსული გეგმაზომიერი ეკონომიკური და ტექნოკრატიული დაგეგმარების მიხედვით მასობრივი გამწვევი

ძალის ორგანიზებას და ამის საფუძველზე მასშტაბური საინჟინრო, ეკონომიკური, ინდუსტრიული და ურბანისტული პროცესების განვითარებას, რასაც, საბოლოო ჯამში, ეწოდება ბუნება და ადამიანების სიცოცხლე. ამ თვალსაზრისით საინტერესოა სწორედ ფაუსტის სიტყვები, რომლის მიხედვითაც, თავად იგი დაქირავებული მასობრივი მუშახელის „ბოსად“ გვევლინება: „*მხოლოდ ბატონის სიტყვას აქვს ძალა. / ჰა, დროზე, ადექით ყმებო, ქუდზე კაცი!*“ (“*Des Herren Wort es gibt allein Gewicht. / Vom Lager auf ihr Knechte! Mann für Mann!*“) (11502-11503) (გოეთე 2001: 201). ამ კონტექსტში კი ფაუსტის ცნობილი სიტყვები „გათავისუფლებულ ხალხთან გათავისუფლებულ მიწაზე დგომა“ („*Auf freiem Grund mit freiem volke stehen*“) (ტაეპი: 11580) (გოეთე 2001: 203) გოეთეს ირონიული ალუზიაა, ერთი მხრივ, სენ-სიმონისტური ტიპის სოციალისტურ უტოპიებზე, და მეორე მხრივ, მიწისშენება სწორედ ბუნებაზე დამოკიდებულებისაგან გათავისუფლებაზე, რასაც ეს ახალი მოდერნული ცნობიერება „ველოციფერული“ გაშმაგებით ავითარებს: *თავისუფლება, თავისუფალ მიწაზე დგომა* აქ სწორედ ბუნების კანონებში ახალი „მაგიით“ ჩარევას (ანუ სამეცნიერო და ტექნოლოგიურ ჩარევას) და ბუნების ძალთა სციენტისტურ-ტექნოკრატულ მართვასა და დამორჩილებას გულისხმობს (რაც ბუნების მართვისა და დამორჩილების ილუზია უფროა), რის შედეგადაც ადამიანი საბოლოოდ თავისუფლდება ბუნებაზე დამოკიდებულებისაგან, შემდგომ გაბატონდება მასზე და იწყებს მის ტექნოკრატულ-ეკონომიკურ ათვისებას (შმიდტი 2011: 266).<sup>1</sup>

<sup>1</sup> შემთხვევითი არაა, რომ უკანასკნელ სიკვდილისწინა მონოლოგში გაცხადებული დაბრმავებული ფაუსტის ვიზიონები (შდრ., si-

ამგვარად, თანამედროვე დროში ტექნოკრატი ფაუსტისთვის ადამიანის „თავისუფლება“ ამის იქით არ მიდის: ახალ მოდერნის ეპოქაში თავად სოციალური პოლიტიკურ-ეკონომიკურად კვლავ მორჩილებაშია და მისი შემდგომი არსებობა დამოკიდებულია ბაზრის მოთხოვნებსა და მონოპოლისტი დამსაქმებლის (ამ შემთხვევაში უტილიტარისტი და პრაგმატიკოსი ფაუსტის) საჭიროებებზე. საბოლოო ჯამში, ტრაგედიის მეორე ნაწილის მეხუთე მოქმედებაში პირველი ნაწილის ოდესღაც ბუნებისმოყვარული და საკრალურ-მეტაფიზიკური ცნობიერების მატარებელი მარად მადიებელი რომანტიკოსი ფაუსტი რედუცირდება ტიპიურ პრაგმატიკოს და უტილიტარისტ ტექნოკრატად, „საშუალოების“ (*Mittelmässigkeit*) (გოეთე), მასობრივი მომხმარებლური სოციაუმის, ანუ საშუალო სტატისტიკური ბიურგერობის წარმომადგენლად და მის ლიდერად.<sup>1</sup>

---

*brnave* ასევე, როგორც პროფეტული ნათელხილვის ტოპოსი, იხ. სიმბოლოთა ლექსიკონი... 2008: 49) სწორედ მასობრივი მშრომელი ძალის მიერ მომავალში ტოტალურად დაფუძნებულ მანქანურ-ტექნიკურ ცივილიზაციას უკავშირდება და არა ღვთაებრივი ტრანსცენდენტურობის ინდივიდუალისტურ-რომანტიკულ დამკვიდრებას: „გავუხსნი სივრცეებს მრავალ მილიონთ/და დავუმკვიდრებ სანახებს შემოსილთ ნაყოფით, სიმწვანით. [...] ამ აზრითა ვარ შეპყრობილი, ესაა სიბრძნე უკანასკნელი“ (“*Eröffn’ ich Räume vielen Millionen,/Grün das Gefilde, fruchtbar; [...] Ja, diesem Sinne bin ich ganz ergeben, das ist der Weisheit letzter Schluss*“) (გოეთე 2001: 203).

<sup>1</sup> აღსანიშნავია, რომ ჯერ კიდევ „ფაუსტის“ მეორე ნაწილის დაწყებამდე კომპოზიტორ და პედაგოგ კარლ ფრიდრიხ ცელტერისადმი (6 ივნისი, 1825) წერილში გოეთე სწორედ ამ ახალ სოციალურ და მენტალურ ტენდენციებზე მიაწინებდა, როდესაც ნელ-ნელა ყალიბდებოდა ე. წ. საშუალო კლასი მომხმარებლური ცნობიერებით,

## დამონებანი

გოეთე 2001: Johann Wolfgang Goethe, Faust. Der Tragödie zweiter Teil, Stuttgart: Reclam.

გოეთე-ლექსიკონი... 2004: Metzler Goethe Lexikon. Personen – Sachen – Begriffe, 2. Aufl., hrsg. von B. Jessing, Stuttgart/Weimar: Metzler.

დორი 2007: Volker C. Dörr, Weimarer Klassik, Raderborn: Fink.

ეკერმანი 1994: Johann Peter Eckermann, Gespräche mit Goethe, Stuttgart: Reclam.

ვიეტა 1998: Silvio vietta, Die Modernekritik der ästhetischen Moderne (S. 531-549); in:

Ästhetische Moderne in Europa. Grundzüge und Problemzusammenhänge seit der Romantik, hrsg. von S. Vietta und D. Kemper, München: Fink.

მატენკლოტი 2004: Gert Mattenklott, Goethes Faust II (S. 391-477); in: Goethe Handbuch, Bd. 2,

hrsg. von Th. Buck, Stuttgart/Weimar: Metzler.

ნიცშე 2000: Friedrich Nietzsche, Sämtliche Werke. Kritische Studienausgabe in 15 Bände (KSA),

Bd. III, hrsg. von Giorgio Colli und Mazzino Montinari, 7. Aufl., München/New York: Deutscher Taschenbuch Verlag / de Gruyter.

სიმბოლოთა ლექსიკონი... 2008: Metzler Lexikon literarischer Symbole, hrsg. von G. Butzer, Stuttgart/Weimar: Metzler.

შმიდი 1999: Wilhelm Schmid, Philosophie der Lebenskunst. Eine Grundlegung, 4. Aufl., Frankfurt am Main: Suhrkamp.

შმიდტი 2011: Jochen Schmidt, Goethes Faust. Erster und Zweiter Teil: Grundlagen – Werk –

Wirkung, 3. Aufl., München: C.H. Beck.

---

რომელიც მე-19 საუკუნიდან მოყოლებული დღემდე საბოლოოდ მოექცევა „ზაზისისა“ და „ზედნაშენის“ დიალექტიკის დეტერმინებულობაში: „ახალგაზრდა ადამიანები ადრეული ასაკიდანვე არიან გააქტიურებულნი და დროის მორევში ჩათრეულნი; დღეს სწორედ სიმდიდრით და აჩქარებული ტემპითაა („Schnelligkeit“) მთელი მსოფლიო აღტაცებული, რისკენაც ყოველი ისწრაფვის; რკინიგზის მატარებლების, საფოსტო ექსპრეს-ეტლების, თბომავალი გემების და კომუნიკაციის სხვა შესაძლებელი მოქნილი საშუალებების წყალობით დღეს განათლებული მსოფლიო ფონს გადის, ადამიანები ერთმანეთის დაჯაბნას ცდილობენ, თავისთავს კიდევ უფრო მეტ ამოცანებს წაუყენებენ და ამის შედეგად საშუალოებაში („Mittelmässigkeit“) იყინებიან“ (ციტირებულია ი. შმიდტის ნაშრომის მიხედვით: 2011 264).

## ჰუმანისტურ ღირებულებათა გააზრებისთვის ვაჟა-ფშაველასა და რედიარდ კიპლინგის შემოქმედებაში

ვაჟა-ფშაველა (1862-1915) და რედიარდ კიპლინგი (1865-1936) დიდი მიახლოებით ერთი და იმავე ისტორიული ეპოქის ორი დიდი წარმომადგენელია. მათი პოეტური შემოქმედების შედარებისას, მსგავსებასთან ერთად, თვალშისაცემია განსხვავებული დამოკიდებულება ადამიანის კონცეპტის მიმართ, ანუ ჰუმანიზმის ცნების რეალური შინაარსი. ეს განსხვავება აიხსნება არამხოლოდ ინდივიდუალური ფაქტორითა და სოციოკულტურულ გარემოთა სხვადასხვაობით, არამედ პრინციპული მნიშვნელობის ერთი ნიშნით: კიპლინგი ბრიტანული იმპერიული პოლიტიკის პრინციპების, შეხედულებების, ნორმების ერთგული დამცველია, ვაჟა-ფშაველა კი – რუსული იმპერიული წნეხის ქვეშ მოქცეული ერის შვილი. ამ, ძალზე მნიშვნელოვანი ფაქტორიდან გამომდინარე, კიპლინგის ჰუმანისტური კონცეპცია შინაგან წინააღმდეგობას შეიცავს: მასში ერთმანეთს უპირისპირდება ბრიტანეთის მოქალაქის იმპერიული ამბიცია და ადამიანის ზოგადი ჰუმანისტური კონცეპცია.

ამ, შედარებით ზოგადი განცხადების საფუძველს, უპირველესად, იძლევა განსხვავებული მიდგომა ამ ეპოქისათვის უკვე პრობლემად ქცეული, სამყაროში ადამიანის პოზიციური არამდგრადობის მიმართ. პრობლემის გადაწყვეტის გზა ორივე პოეტთან იმთავითვე განსხვავებულია: ვაჟა აპელირებს ღმერთთან, ბუნებასთან და იქ ეძებს პასუხს ამ არამდგრადობისა და მისგან გაჩენილი შინაგანი თუ გარე-

განი წინააღმდეგობების ასახსნელად. კიპლინგი აპელირებს თავისი დროის ბრიტანეთის სოციოკულტურული და პოლიტიკური სისტემის ნორმებთან. შესაბამისად, მიმართვის ობიექტი ვაჟასთან ღმერთი და ბუნების ძალაა ( მაგ. „ჩემი ვედრება“, „დამსეტყვე ცაო“, „ვიცანი, ღმერთო, სამყარო“ და სხვ.), კიპლინგთან კი – „თეთრკანიანი ადამიანის“ პოლიტიკურ-კულტურული გამოცდილება. მაგალითად, The White Man's Burden – „თეთრი ადამიანის ტვირთი; The Young British Soldier – „ბრიტანელი ახალწვეული“; South Afrika – სამხრეთი აფრიკა; Two Kopjis – „ორი გორაკი“; The song of the Bunjo – „ბანჯოს სიმღერა“ და ა.შ. „ძლიერი ადამიანის“ გაგება ვაჟასთან ემყარება სიყვარულს, შებრალებას, მონინააღმდეგის ადამიანური უფლების აღიარებას, ბედნიერება-უბედურების მორიგებას, ანუ უბედურების მიღებასა და გარდაქმნას, მის ადაპტირებას ზნეობრივ მოვალეობასთან, ზრუნვასთან („მამრომე საკეთილოდა, /თუნდ არ მოვიმკო ნაყოფი.../ გონებას ფიქრი სტანჯავდეს, /გულს ცეცხლი წვავდეს ძლიერი,/ მშობლ-მწყუროდეს კეთილი, /ვერ გავძლდე, მოვკვდე მშვიერი, / ნუ დამასვენებ ნურა დროს, / მამყოფე შეძრწუნებული,/ მხოლოდ მაშინ ვარ ბედნიერ, /როცა ვარ შეწუხებული“ („ჩემი ვედრება“); კიპლინგთან – ძლიერებას, პოლიტიკური ცვლილებებისათვის ბრძოლას, იმპერიული მოვალეობის შესრულებას და ამ ტვირთის ამაყად ტარებას („დაითმინე ეს ყველაფერი ამაყად, შენი ტოლები, შენი მსგავსები შეაფასებენ შენს საქმეს, ბუნებისადმი დაუმორჩილებლობას, შენს ვაჟკაცობას, შენ და შენს ღმერთებს“ („თეთრი ადამიანის ტვირთი“).

ვაჟა არაა რაიმე შედეგზე ორიენტირებული, გარდა ჰუმანისტურისა. მისთვის მთავარი ადამიანის სულის ქმნადობის თვით პროცესია და მისი დასრულება პროცესის ინტენ-



ციაში არცაა ნაგულისხმევი. იგი სამყაროს იღებს ისეთად, როგორადაც ის ღმერთმა შექმნა. კიპლინგი მისი გარდაქმნის დასავლური იდეის მომხრეა. „თეთრი ადამიანის ტვირთში“ ის ნახევრად ეშმაკებს (half devil), ნახევრად ბავშვებს (half child) უწოდებს აფრიკელებს, ლაპარაკობს მათ სიზარმაცეზე (sloth), წარმართულ უგუნურებაზე (heathen folly), ეგვიპტურ სიბნელეზე („Egyptian night“). კიპლინგის ლექსებიდან რაციონალისტი (ხანდახან ცინიკურიც!) ევროპელი იმზირება („ორი გორაკი“, „ბანჯოს სიმღერა“, „თუ“), მისი ჰუმანისტური კონცეპციის ქვაკუთხედი ანგლოსაქსური აღზრდის პრინციპი: „განაგე თავი შენი“ (Diriges to is tois meme), ვაჟასთან – ქრისტიანულიკოდექსი „გიყვარდეს მოყვასი შენი“.

სხვათა შორის, სწორედ სიყვარულის გზაზე დევს უძველესი დოქტრინაც: „შეიცან თავი შენი“ (Connais toi toi meme). ამ უკანასკნელის ფონზე საინტერესოა „აღუდა ქეთელაურის“ პირველივე ეპიზოდი. გავიხსენოთ: აღუდა და მუცალი ერთმანეთს იძულებით, მტრულ გარემოში გადაეყრებიან. სიცოცხლესთან გაყრის სცენამ გამოიწვია ის, რომ აღუდამ მტერში თავისიანი, თავისნაირი, ანუ მოყვასი შეიცნო. აღუდა ხვდება, რომ მტრობა, და შესაბამისად სიყვარულიც, ინდივიდუალურია და მას არ შეიძლება კანონის ძალა ჰქონდეს. ასეთი სიღრმის შეცნობა, ჩვეულებრივ, დამახასიათებელია არა ყოველდღიურობის, არამედ ტრაგიკული წამისთვის. აღუდა აცნობიერებს, რა წაართვა მუცალს, ანუ რა ღირებულებას ართმევენ ადამიანები ერთმანეთს დაკანონებული მტრობის ჟამს („კაცნი ვერ ცნობენ ბევრჯერა, როგორ დიდ ცოდვას სჩადიან“). მუცალის სიკვდილით აღუდამ საკუთარ სიკვდილს – როგორც შესაძლო

მომავალს – ჩახედა თვალებში, სიცოცხლესთან გაყრის გაშიშვლებულ მუხტს შეეხო (ამ ეპიზოდის შესახებ იხ.: ალ. ჭეიშვილი, გ. ასათიანი, თ. ჩხენკელი, თ. ვასაძე). იმ სიღრმეზე, რომელზედაც აღუდა იმ წამს აღმოჩნდა (ნათელხილვის ჟამს), ანუ სიცოცხლის ინსტინქტის გაშიშვლების მომენტში, ყოველგვარი ოპოზიციურობა ირღვევა, ნორმები, ღირებულებები, ტოპოსები (ამ ნორმებს განალაგებს წერტილები საერთო ზეობრივი სისტემის სივრცეში) აზრს (მნიშვნელობას) კარგავენ და ადგილს იცვლიან. უკიდურესობების, პოლარობების გარშემო იქმნება რალაც საერთო სივრცე, სადაც ოპოზიციური მნიშვნელობები ერთმანეთისკენ მიიზიდებიან და ერთმანეთის ადგილს იკავებენ. ეს დროსივრცე და ეს ცვლილება სხვა არაფერია, თუ არა ყოფიერების მეტაფორიზმის თავისჩენა, რომლის დროსაც ცნობიერების სტრუქტურა იცვლება და როგორც ჭეშმარიტება, იბადება სრულიად ახალი ხედვა. აი, სწორედ ამ ჭეშმარიტებას ხვდება და ეჯახება აღუდა. სიკვდილის წვდომის გზით სიცოცხლის აბსოლუტური ღირებულების შეცნობა – აი, ამ წამის მონაპოვარი. რაც შეეხება ამ მონაპოვრის ნორმირებას, მის სოციოკულტურულ ტრანსფორმაციას, ეს უკვე მორალური ცნობიერების სხვა, ახალი ეტაპია, როცა აღუდა თავისი ახლადმიგნებული ჭეშმარიტების კულტურაში შეტანას, ტრადიციად ქცევას, ანუ ნორმად დამკვიდრებას ცდილობს (ხატობის ეპიზოდი), და მიუხედავად იმისა, რომ ესაა წარუმატებელი მცდელობა, იგი მაგალითის ძალის მქონეა. აღუდას თემს იგი არასდროს დაავიწყდება, იგი ტექტონიკური ძვრის ტოლფასია ეთნოსის ცხოვრებაში.

როგორც ვხედავთ, ორივე დოქტრინას – ანგლოსაქსურსა და ქრისტიანულსა – სიცოცხლის ნებასთან მიყვარ, სიცოცხლის ნებაა მისი აღმომცენებელი. სიცოცხლის



ეს ნება კიპლინგთან შემოზღუდულია ე.წ. „ჯინგოისტური ეთიკით“, ანუ დამპყრობლის, სამყაროს გარდამქმნელის მისიით, ექსპანსიონისტურია და, შესაბამისად, მკაფიოდ განსაზღვრულ იდეოლოგიურ ჩარჩოებშია მოქცეული. ვაჟასთან ეს ნება ზღვარდაუდებელია, განფენილია მთელ სამყაროში – სოციუმშიც და ბუნებაშიც, როგორც თანაგრძნობის, სიკეთის, გაგების, ურთიერთმიზიდულობის პრინციპი და საფუძველი. სიცოცხლის ინსტინქტი ვაჟასთან გაჭუმანურებულია, გაადამიანურებულია და იმთავითვე ატარებს ამ ურთიერთმიზიდულობის მუხტს. ის წინააღმდეგობები, რომელთაც კიპლინგის შემოქმედებაში ვხვდებით, ხაზგასმით სოციალურია, ხანდახან უწყებრივიც კი. მასთან თითქმის ყოველთვის ორი პოზიცია ებრძვის ერთმანეთს და ამ ღია თუ ფარულ პოლემიკაში კიპლინგის ჩარევა გადამწყვეტია, მონოდებითი, აშკარა იდეოლოგიური დატვირთვის მატარებელი. სწორედ იგი, და არა რაიმე სხვა ძალა – ანიჭებს ერთ-ერთს არსებობის უფლებას.

კიპლინგთან ადამიანის საბრძოლო შემართება განუწყვეტლივ ტრიალებს სამხედრო ან სამეწარმეო სფეროში. ვაჟასთან ამ შემართების მოტივაცია უფრო ზოგადია, სოციალურად დაუკონკრეტებელი, და იგი ადამიანის საღმრთო დანიშნულებას მიემართება, ამ რანგში განიხილება სამშობლოს დაცვა. ყველაფერში, მათ შორის ბუნების ძალებში, ცხოველებში, მცენარეებში ვაჟას შეაქვს ეთოსი (მაგ., პურის თავთავების საუბარი მინდიასთან). ეს კი, თავის მხრივ, ქმნის საყოველთაო ჰარმონიის შესაძლებლობისა და ადამიანის, როგორც ღვთის ქმნილების ბუნებასთან ერთიანობის რწმენას. კიპლინგთან ზოგადი ადამიანის კონცეპტი ჩანაცვლებულია თეთრი რასის წარმომადგენლის

კონცეპტით, მისი განსაკუთრებული ღვანლის აღიარებით დანარჩენი კაცობრიობისა და მთელი სამყაროს წინაშე. აქ სწორედ „თეთრი კაცი“ ატარებს თავისუფლების, ცოდნის, ნორმის ტრანსპლანტატორის ფუნქციას.

ადამიანობას სჭირდება ბრძოლა, მოპოვება, სწრაფვა – ამას კიპლინგი გვასწავლის. ადამიანობის საფუძველად სიყვარულსა და შრომას აცხადებს ვაჟა. ვაჟასთან ბრძოლა მხოლოდ თავდაცვითია, შრომა და მოპოვება – მხოლოდ სასიცოცხლო აუცილებლობით ნაკარნახევი. ადამიანს სჭირდება დიდი სულიერი ძალა და ინდივიდუალურ ღირებულებათა მობილიზება იმ წამს, როცა სიცოცხლე და მისი სოციალური ფორმა (ცხოვრება) დაბრკოლებას აღუმართავს, როცა გამოცდილება არარად იქცევა და პიროვნება ახალი არჩევანის დილემის წინაშე აღმოჩნდება. მიუხედავად იმისა, რომ არჩევანის თემა ორივესთან აქტუალურია და ბრძოლასაც არ გააჩნია ალტერნატივა, ვაჟასთან გვზის მიმცემად მაინსპირირებელი გარეშე ძალის (ღმერთი, „არსთაგამრიგე“) არსებობა იგულისხმება. კიპლინგის ადამიანი მხოლოდ საკუთარ თავის ამარაა დარჩენილი, მხოლოდ საკუთარ რაციონალისტურ გადაწყვეტილებაზეა დამოკიდებული.

კიპლინგის ადამიანი არ ფიქრობს ხსნაზე გარდაცვალების შემდეგ. იგი მხოლოდ ამქვეყნიური არსებობის ღირსეულ ფორმას, „აქ და ახლა“ სიცოცხლის წესს გვთავაზობს. მიუხედავად ამისა, ყველაფერი, რასაც ლექსში „თუ“ კიპლინგი ადამიანობის პირობად სახავს, არა მხოლოდ მისაღები, არამედ დიდებულიცაა. ვაჟასთან პირობაში სწორედ ხსნა იგულისხმება („ჩემი ვედრება“). მთელი მისი ვედრება მასში ადამიანურის გადარჩენის მხურვალე თხოვნაა: „ნუ

მავლევ ქვეყანაზედა გაცივებულის ლეშითა“, „არ წამიხდინო, მეუფევ, ეს ჩემი წმინდა ხელობა“!

კიპლინგის მორალური ცნობიერება უფრო სტოიციზმისა და რაციონალიზმის სინთეზს ეფუძნება, ვაჟა – სახარების პრინციპების მიმდევარად მოჩანს.

ლექსიკური ერთეულები კიპლინგთან ნების, აზროვნების, ძალის მნიშვნელობებს აღმოაცენებენ, ძალისხმევის სემანტიკურ ველს ქმნიან. ვაჟას შედარებებითა და მეტაფორებით განუწყვეტლივ მოედინება გრძნობების, ემოციების, მღელვარების, სულიერი ენერგიების მნიშვნელობები. თუკი ერთმანეთს შეეუდარებთ მათ საპროგრამო სულისკვეთების ლექსებს – ვაჟას „ჩემს ვედრება“-სა და კიპლინგის „თუ“-ს, ადამიანის კონცეპტისადმი განსხვავებული დამოკიდებულება აშკარაა. ჯერ ერთი, ვედრების ცნება თავისი სემანტიკით უფრო მძაფრია, ვიდრე თხოვნა და, მით უფრო, „პირობა“, ანუ „თუ“ (If) – კიპლინგის ეჭვი აშკარაა და ეს, უპირველესად, სწორედ ლექსის კავშირებით კილოში და სათაურში („თუ“) გამოსჭვივის. კიპლინგთანაც და ვაჟასთანაც ადამიანობის, ადამიანად სახელდების პირობებია ჩამოთვლილი, მაგრამ, კიპლინგისაგან განსხვავებით, ვაჟა გარკვეულია, არ ეჭვობს, იგი უკვე იცნობს „პირობას“, ზუსტად იცის მისი წარმოდგენელი, ადამიანურ შესაძლებლობებს აღმატებული სირთულე და ამ პირობის შესასრულებლად შემწეობას ღმერთისგან თხოულობს. კიპლინგი ამ ძალას საკუთარ თავში ეძებს. ცხადია, ორივე შემთხვევაში ადამიანის განსხვავებულ ტიპზეა საუბარი.

შეიძლება ვიკითხოთ: მაინც როგორი ადამიანი სჭირდება სამყაროს? პასუხი მხოლოდ ერთი შეიძლება იყოს: ორივენაირი – კიპლინგისაც და ვაჟასიც. ამ საჭიროებაზე

მეტყველებს ისიც, რომ ორივე პოეტი, თითქმის ერთსა და იმავე დროს, სრულიად განსხვავებულ სოციოკულტურულ სივრცეში ერთნაირი პასუხისმგებლობით უტრიალებს ამ კითხვას. ეს ინტერესიც და ეს პასუხისმგებლობაც კანონზომიერია, თუ გავითვალისწინებთ, რომ მე-19 საუკუნის ბოლოს ჰუმანისტურ ცნობიერებაში მომხდარმა ვეებერთელა ცვლილებებმა, ადამიანთან დაკავშირებული კითხვების განსაკუთრებულმა სიმძაფრემ და აქტუალობამ არაორაზროვნად მიუთითა იმაზე, რომ კაცობრიობის ისტორიაში დაიწყო ადამიანის ცნების რეალური შინაარსის გადამონმების ახალი ეტაპი.

კიპლინგთან რადიკალურად დაისვა ფუნდამენტური ოპოზიციის – აღმოსავლეთ-დასავლეთის პრობლემა (The Ballad of East and West – „ბალადა აღმოსავლეთსა და დასავლეთზე“). პიროვნების მეტამორფოზა კიპლინგთან სწორედ ამ ოპოზიციის გადალახვის ფონზე მიმდინარეობს (ბრიტანელი და ავღანელი მეომარი, პოლკოვნიკის ვაჟი და ქემალი, „უცხო“ და „ჩემიანი“). უცხო-ჩემიანის ოპოზიციის პრობლემა გამჭოლი თემაა ვაჟას შემოქმედებაშიც, თუმცა პრობლემის გადაჭრის სპეციფიკა ვაჟასთან და კიპლინგთან, გარკვეულ მსგავსებასთან ერთად, განსხვავებასაც ააშკარავებს. კიპლინგი გვთავაზობს იმგვარ ოპტიმალურ სიტუაციას, როცა პერსონაჟს შეურიგებელ მტერთან უხდება კაცობის ხარისხის შემონმება. ვაჟასთან სქემა გართულებულია და ჯოყოლასაც და ალუდასაც იგივეპრობლემის გადაჭრა საკუთარ თემთანაც (მტრად ქცეულ „ჩემიანთან“) უწევს.

ვაჟას პრობლემის სირთულე აღემატება კიპლინგისას. კიპლინგთან „აღმოსავლეთი აღმოსავლეთია, დასავლეთი – დასავლეთი და ისინი ვერასდროს შეხვდებიან ერთ-

მანეთს“, მაგრამ ორი ვაჟკაცის შეხვედრა ამ განსხვავებას გადალახავს, უფრო ზუსტად კი – გამოცდის და მორიგების შესაძლებლობასაც აჩენს. ცხადია, რომ კიპლინგი ერთეულ შემთხვევაზე ლაპარაკობს და ეს ერთეული არ ცვლის ზოგად სიტუაციას. კიპლინგთან შემთხვევა ის არამყარი ქრონოტოპოსია, ცხოვრების ის ფრაგმენტი, რომელიც ვერ არღვევს კანონს. მეტიც, „შემთხვევითობა“ აქ მთლიანად იმართება ადამიანის ნების მიერ, მამაკაცური დაპირისპირება პოლიტიკური შეფერილობის „მორიგებით“ სრულდება. ბრიტანელი იმიტომ კი არ ხდება შემწყნარებელი, რომ მოყვრად ღებულობს ავღანელს, არამედ იმიტომ, რომ ავღანელი საკუთარ შვილს უგზავნის დედოფალს სამსახურში. აქ უფრო მოთვინიერებაზეა საუბარი და არა ჭეშმარიტ აღიარებაზე (ასეთია კიპლინგის ფინალური ფრაზაც თავისი აშკარა იდეოლოგიურ-დიდაქტიკური პათოსით).

აღუდა მთლიანად იცვლება მუცალთან ინციდენტის შემდეგ. იმას, თუ რამდენად ღრმად ეს ცვლილება, მისი შემდგომი ნაბიჯები და პოემის ფინალური სცენაც ადასტურებს. ზვიადაურიც ცვლის ქისტების ცნობიერებას, თუმცა მომენტალურად, მაგრამ მაინც აღწევს მასის ადამიანურ განცდათა სიღრმეში, აღმოაცენებს სიბრალულსა და სინანულს. „ბახტრიონში“ თვით ბუნების ბოროტი ძალებიც კი იცვლიან მიმართულებას და იჭრებიან „კეთილის“ სივრცეში (ლუხუმისა და გველის ეპიზოდი), თითქოს მთელი სამყარო ერთვება დროებითი ჰარმონიის დამყარებაში. სამყაროს ანტაგონისტურობის აღმკვეთ ფაქტორად ვაჟა პიროვნების ნების (შესაბამისად, სწრაფვის, საქმის) სიძლიერეს ასახელებს. ამ ნების მასაზრდოებელი სიკეთის ქმნისა და სიბრალულის იმპულსია და იგი ორივე დონეზე – ბუნების

და სოციუმის დონეზე მოქმედებს. კიპლინგთან ყოველგვარი ჰარმონია ბრიტანოცენტრიზმის აღიარებას უკავშირდება, კაცობის სტატუსს კი უპირატესად იმპერიული მოვალეობის მიმართ ერგულება განსაზღვრავს და ნაკლებად – თვით კაცობის, ადამიანობის ზოგადი და უღრმესი არსის მიმართ.

ვაჟასთან უცხო-ჩემიანის წინააღმდეგობა არაა შინაგანი, არსობრივი და მორიგებაც ბუნებრივია – გზისტენცი-ალური და ონფოლოგიური ფაქტორებით მოტივირებული. იგი იმთავითვე, წინაპირობების გარეშე განსაზღვრული სასიცოცხლო ინტენციით და ადამიანთა პრესოციალური ერთობით. კიპლინგს შემოაქვს წინაპირობა – ინგლისის არმიის სამსახური და აღმოსავლეთ-დასავლეთის ოპოზიციურობის პრობლემას ამ სიბრტყეზე ჭრის. ეს წინააღმდეგობა კიპლინგის შემოქმედებაში შიგნიდან ამსხვრევს ადამიანისა და ადამიანობის კონცეპტს, რაც შეუმჩნეველი არ დარჩენია არც მის თანამედროვე და არც შემდგომი თაობის ანალიტიკოსებს. აქედანაა, ვფიქრობთ, კიპლინგის შემოქმედების ტოლსტოისეული შეფასებაც: „растрёпан“.

როგორც უკვე ვახსენეთ, ვაჟასთან ოპოზიციურობა სტრუქტურულად გართულებულია: მუცალი „უცხოა“ და აღუდა ახლობელივით გლოვობს. თემი „ჩემიანთა“ ერთობლიობაა და აღუდას უცხოთაგანით უპირისპირდება; ზვიადაურს ჯოყოლა მოყვარესავით ღებულობს და მტერი აღმოჩნდება, მაგრამ ქისტი ბოლომდე ასრულებს მასპინძლის კულტურულ მისიას, თუმცა ამ მისიას მისივე საკუთარი თემი არღვევს. ვაჟამ კარგად იცის – და ამაშია სირთულეც – რომ ეს ოპოზიცია: მტერი-მოყვარე, უცხო-ჩემიანი – თემისთვის რადიკალურ ოპოზიციად უნდა დარჩეს მისი

იდენტობის გადარჩენის აუცილებლობის გამო, მაგრამ ვაჟამ ისიც იცის, რომ პიროვნება ყოველთვის მეტია თვითგადარჩენის ინსტინქტზე, რადგან მას იმავდროულად საკუთარი, პიროვნული, „მე-იდენტობის“ დაცვაც ევალება. სწორედ ამის გამო არა მთლიანად თემს, როგორც ერთობას, არამედ ცალკეულ პიროვნებას შეაქვს ეთიკური არჩევანი თემის კანონშიც, რომელიც, ფაქტობრივად, მისთვის ბუნების განაწესის ტოლფასია. ადამიანი სხვა მისიისთვისაა მოვლენილი და ალუდაც და ჯოყოლაც სწორედ ამ განსაკუთრებულ მისიას ასრულებენ. ნორმიდან გადახვევა აუცილებელია და ამ ერთეულ და „აუცილებელ“ შემთხვევითობებს გახისტებული ნორმის შეცვლის ფუნქცია ეკისრებათ კაცობრიობის, გნებავთ, ნებისმიერი სოციალური ერთობის წინსვლაში.

ალუდასა და ჯოყოლას შინაგანი რწმენა იმდენად ღრმაა, რომ თემის „პირობას“ ვერ მიიღებენ, „სუპერ-ეგოს“ შინაგან წინააღმდეგობებს (სტუმარ-მასპინძლობის ტრადიცია და მტერთან ანგარიშსწორების აუცილებლობა) ისინი თვითონვე აგვარებენ ამ შინაგანი რწმენის საფუძველზე, რომელიც, თავის მხრივ, კაცთმოყვარეობის, ჰუმანიზის უფრო ღრმა და არსებითი გაგებიდან იღებს სათავეს.

მერაბ მამარდაშვილი წერს: „აღმოსავლეთი და დასავლეთი – ესაა ორი მარადიული მხარე კაცობრიობის მდგომარეობისა. ეს არაა გეოგრაფია, ესაა ორი მარადიული მომენტი. და თუკი ეს ასეა, მაშინ ისინი, პირობის თანახმად, ვერ გადაკვეთენ ერთმანეთს და ვერ დაუპირისპირდებიან ერთმანეთს. შეუძლებელია კონფლიქტი დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის, როგორც ადამიანური მდგომარეობის მარადიულ მომენტებს შორის – ჩვენ ან ერთ მდგომ-

მარეობას ვეკუთვნით, ან მეორეს. მაგრამ შესაძლებელია რალაც სივრცე, რომელშიც ეს მხარეები ურთიერთობაში შეიძლება იქნას მოყვანილი – სივრცე, რომელშიც ისინი შეიძლება შეხვდნენ და შევიდნენ კონფლიქტში (მამარდაშვილი 1992: 392).

ვაჟასთან შეხვედრა ისეთი მაქსიმალური დაძაბულობის სივრცეში ხდება, როცა ადამიანი შეიძლება იქცეს ძმისმკვლელის მასპინძლად და დამცველად; როცა შეიძლება აღმოჩნდეს მონმე იმისა, როგორ დაიტირებს შენი ცოლი შენი ძმის მკვლელს. რას აკეთებს ამ დროს ვაჟა? ცნობილია, რომ ვაჟა ბევრს ფიქრობდა, რა ეთქმევინებინა ჯოყოლასათვის ალაზას გულახდილობის პასუხად და მისი საბოლოო გადაწყვეტილება ადათთან, ტრადიციასთან აპელაცია იყო: „ღიაცს მუდამაც უხდება გლოვა ვაჟკაცის კარგისა“. აპელაცია ხდება მარადიულ ღირებულებებთან, სიბრძნესთან, კულტურასთან, მის ყველაზე ღრმა, სიცოცხლის დამცველ და დამამკვიდრებელ, სასიცოცხლო ძალებთან კორელაციაში მყოფ სოციალურ ფორმებთან. ამით ვაჟა როგორც ცნობიერ, ისე ქვეცნობიერ დონეზეც აღიარებს მუდმივი ფორმების უპირატესობას ზნეობრივი და კულტურული კონფლიქტების გადაჭრის დროს. ასე ხდება ჯოყოლას შემთხვევაშიც, მწარე ფსიქოლოგიური განსაცდელის ჟამს, როცა იგი შერცხვენილიცაა, პატივყარილიც, გარიყულიც, სულელურადაც გამოიყურება და ცოლის საქციელი შეიძლება უკანასკნელი წვეთი აღმოჩნდეს შხამიან ფიალაში. გავიხსენოთ, მუსასთან კონფლიქტურ დიალოგში ჯოყოლასთვის გადამწყვეტი აღმოჩნდება მუსას მიმართვა: „აჰყეფდი ქოფაკივითა, აბდა-უბდაობ შტერადა“, მანამდე კი – „ჭკვათხელო“, რაც პირდაპირ აღიქმება ჯოყოლას კაცობის

შეურაცხმყოფელ ბოლო ზღვრად: „ჩემი კაცობის დამქცევ-  
ნო, ლანძღვასაც მემართლებითა?“

ვაჟამ გადაწყვიტა შეემონმებინა მთის რკინისებური  
ადათების სიმყარე და გადაერჩინა მისი წნეხის ქვეშ მოქ-  
ცეული ადამიანი. იგივე გააკეთა კიპლინგმაც, ოღონდ მან  
ბრიტანელი მოქალაქის იმპერიული სულისკვეთების შე-  
მონმება დაისახა მიზნად, იმპერიის იდეოლოგიურ-კულ-  
ტურული უზუსების დაცვისათვის მზადყოფნის ხარისხი.  
ვაჟამ იმისთვის, რათა შეერბილებინა ეს ადათები; კიპლინ-  
გმა კი იმიტომ, რომ ისინი გაემყარებინა. რომანტიკული  
სულისკვეთება ახასიათებდა ორივე პოეტს და ორივესთან  
მას ჰქონდა ღრმა ფილოსოფიურ-მსოფლმხედველობრივი  
საფუძველი. რომანტიზმთან ეს კავშირი, ისევე, როგორც  
დროში მათი თანხვედრა, განაპირობა ცივილიზაციის  
ახალმა, ძლიერმა ტალღამ, რომელმაც დაშალა ადამიანი,  
რწმენა, ტრადიცია და მე-19 საუკუნის ბოლოს ევროპული  
ცნობიერება ტრაგიკული მიჯნის აღიარებამდე მიიყვანა  
(ნიცშესთან, შპენგლერთან), განსაკუთრებული ძალით და  
სიღრმით აგრძნობინა არა მხოლოდ „სულის ობლობა“, არა-  
მედ „სულის სიცარიელეც“.

კიპლინგი ინდოეთში იზრდებოდა, ვაჟა – ფშავში. მიუხე-  
დავად იმისა, რომ კარგად ვაცნობიერებთ, რა მასშტაბის  
გეოგრაფიულ სივრცეებსა და რა პოლიტიკურ რეალობებს  
ვადარებთ ერთმანეთს, ერთი რამ ცხადია: ორივეს ხედვა  
ახალი და უჩვეულო იყო საუკუნის დაძაბუნებული, მოშ-  
ვებული შინაგანი რიტმის ფონზე. ორივემ პერიფერიიდან  
დაიპყრო ცენტრი. კონცეპტუალური დატვირთვის ორივე  
სიტყვათშეთანხმება – კიპლინგის „ჯუნგლების კანონი“ და  
ვაჟას „ბუნების წესი“ ათვალსაჩინოებს მათ დაუფარავ სიმ-

პათიას როგორც ბუნებაში განსხვავებულთა თანაარსებო-  
ბის მშვიდობიანი ფორმების მიმართ, ისე შემრიგებლობას  
ამ კანონის ძალისმიერი ფორმების მიმართაც.

იმ დროისათვის ძალზე ცნობილ და აღიარებულ სტი-  
ვენსონს დაახლოებით ისევე შეუფასებია პროვინციული  
გაზეთის სულ ახალგაზრდა რედაქტორის, რედიარდ კიპ-  
ლინგის ტალანტი, როგორც ილიამ შეაფასა ხურჯინით ჩა-  
მოტანილი ლექსების ავტორი ვაჟა-ფშაველა: „მან აიძულა  
ყველა, ყური დაეგდოთ მისთვის“. ვაჟამაც აიძულა – თავი-  
სი ფშავური კილოთი, უცნაური სათქმელით – და თითქოს  
კიპლინგისეული ინტონაციით თქვა: „...არ განყენთ მთიდან  
ბლავილი ხარისა“. კიპლინგმა კი: „რა იციან ინგლისელებმა  
ინგლისზე, თუ იცნობენ მხოლოდ ინგლისს?“ (იგი იმპერიის  
პერიფერიას გულისხმობდა) და მიუხედავად იმისა, რომ ამ  
შეკითხვის მიღმა იმპერიის პატრიოტის პათოსი იგრძნობა,  
იგი მაინც რაღაცით ეხმიანება ფშავური გამოცდილების შე-  
თავაზების ვაჟასეულ ფორმას, ოღონდ: შეუძლებელია, კიპ-  
ლინგს არ სცოდნოდა, რომ ინდოეთი ინდოეთი იყო და ამ  
მშვენიერი ქვეყნის ცოდნა, გნებავთ, სიყვარული, საკმარი-  
სი არ იყო საიმისოდ, რომ იგი ინგლისის, როგორც ეროვნუ-  
ლი სახელმწიფოს პერიფერიად ჩაეთვალიათ. ამდენად, დას-  
მულ შეკითხვას, მის ფორმას აშკარად აკლდა შინაგანი სი-  
მართლე. ვაჟამ კი დანამდვილებით იცოდა, რას თავაზობ-  
და დანარჩენ საქართველოს მთის თემადიკით, ენით, მეხსი-  
ერებით – თავისას, ღვიძლს, ნამდვილ და ცოცხალ ნაწილს.  
კიპლინგი უკმაყოფილო იყო, რომ ინგლისელებს მხოლოდ  
ინგლისი მიაჩნდა სამშობლოდ. მისთვის ინდოეთიც ბრი-  
ტანეთი იყო, სამხრეთ აფრიკასაც თავისად თვლიდა (South  
Africa) და „ავაზაკად“, „მხდალ მოლალატედ“ მოიხსენიებდა



ყველას, ვინც ბედავდა და უმხედრდებოდა ინგლისელთა „გონივრულ“, „მფარველობით ძალაუფლებას“. ჩანს, ის ამკარად იბნეოდა ამ ცნებებთან დაკავშირებით.

კიდევ ერთი განსხვავება: მიუხედავად იმისა, რომ ორივე განსაკუთრებით წყალობდა სიმღერის ჟანრს, ვაჟას მღერა სევდიან ღიღინს ჰგავდა, კიპლინგისა – მარშს თავისი საბრძოლო განწყობით, მონოდებითი, დიდაქტიკური ხასიათით; ვაჟასი – მგრძნობიარე იყო, დარდიანი, კიპლინგისა – „კუნთოვანი“, წამაქეზებელი. კიპლინგის სიმღერებში, ვაჟასგან განსხვავებით, ნაკლებია ტროპები, სამაგიეროდ ისინი რიტმული და ინტონაციური მრავალფეროვნებით ხასიათდებიან. „რკინის რედიარდისაგან“ განსხვავებით, ვაჟას „დაჭრილი არწივის“ მეტაფორა უფრო შეეფერებოდა. ორივესთან ძალზე მაღალოსტატურად მოხდა იმ უნარის რეალიზება, რომელიც ნებისმიერი ტიპის ცხოვრებისეულ ფაქტს ლიტერატურად გარდაქმნის. და მიუხედავად იმისა, რომ მათ, ძირითადად, ძალზე განსხვავებულ მასალასთან ჰქონდათ საქმე (ვაჟა დაზგებს, მანქანებს, ზოგადად ურბანისტულ თემატიკას თითქმის არ გაჰკარებია), იგი, კიპლინგის მსგავსად, სწორუპოვარი იყო იმის ამეტიყველებში, რისი ენაც ადამიანისას არ ჰგავდა, იმის მოყოლაში, „ამღერებასა“ და განსახოვნებაში, რასაც მხოლოდ ბუნებაში, მითსა და ხალხის წარმოსახვაში ედო ბინა.

კიპლინგის გაბედულება აღიარებული ფაქტია. თავისი უხეში რომანტიზმით, ახალი საგნებითა და თემატიკით მან გაარღვია ინგლისური დენდიზმის, ესთეტიზმის მოჯადოებული წრე, ლამაზი ნივთების, დახვეწილი პროფილების, გამოთქმებისა და აზრების სივრცე. მას არასოდეს დაუშალავს, თუ რამდენი ცრემლი, სისხლი, ოფლი იმალებოდა იმ-

პერიული კეთილდღეობის დასაცავად, აქტიურად ილაშქრებდა უსამართლობის წინააღმდეგაც. თუმცა, გაბედულების მიუხედავად, აკლდა ის სიმართლე, რომელიც ვერსად, ვერასდროს მალავს თავს და უპირველესად – პოეზიაში. ეს მისმა დაკვირვებულმა მკითხველებმაც დალანდეს მისივე ეგზოტიკურობის, გრძნობებისა და სიცოცხლის აპოლოგის მიღმა, რადგან ის, რასაც კიპლინგი წერდა, კაცობრიობის მხოლოდ ერთ ნაწილს აღიარებდა – „მის“ ნაწილს, რომლის ოფლი, სისხლი, გარჯა და შუპოვარობა რატომღაც ყოველთვის მეტად ფასობდა მეორე ნაწილის ასეთსავე ოფლზე, სისხლზე, გარჯასა და შეუპოვრობაზე. ამ უკანასკნელთა თავისუფლების წყურვილი, ბრძოლა და სამშობლოს სიყვარულიც კი რატომღაც ყოველთვის კარგავდა მნიშვნელობას დამპყრობელთა „დიადი იდეებისა“ და ძალისხმევის პირისპირ („თეთრი ადამიანის ტვირთი“, „ბანჯოს სიმღერა“, „ორი გორაკი“, „თეთრი ადამიანის სიმღერა“).

ამიტომ, ვფიქრობ, ვაჟას მეტი უფლება ჰქონდა ესაუბრა ღმერთთან, გაშინაურებოდა სამყაროს, რადგან თვალწინ „თავისი“ (არა მხოლოდ გეოგრაფიულად) ქვეყანა ეფინა, მთელი ქვეყნის დარდი უკლავდა გულს კიპლინგისაგან განსხვავებით, რომლის წაკითხვისას – კუპრინის დაკვირვებით – „იგრძნობა არა გენოსი, რომლის სამშობლოც მსოფლიოა, არამედ ინგლისელი. მხოლოდ ინგლისელი“ (კუპრინი 1964: 497). თავს შევიკავებთ იმის შეფასებისაგან, ასევე კარგად ამჩნევდა თუ არა კუპრინი რუსი პოეტების იმპერიულ გადაცდომებს, გრძნობდა თუ არა მსგავსებას პუშკინის მიმართვას „Смирись, Кавказ!“-სა და კიპლინგისეულ „იმეფე ზღვებზე, ბრიტანეთო“-ს შორის. მაგრამ დამაფიქრებელია, რომ ასეთივე აზრს, კიდევ უფრო მძაფრად, ორუელიც გა-

მოთქვამდა და პრინციპულად უარყოფდა ელიოტის წინადადებას, წაეკითხათ კიპლინგი პოლიტიკური კონტექსტის გარეშე (ურნოვი 1976: 754).

კიპლინგის ადამიანი მხედარს ჰგავს. ოლოდ არა ზეციური მხედრობის წარმომადგენელს, არამედ – ბრიტანული არმიისა. ის ადამიანი, რომელიც კიპლინგმა „თუ“-ში დახატა, ძლიერიცაა, მორალურიც და შეუპოვარიც. როგორც მეზობლი, იგი პატივისცემას იმსახურებს, რადგან ყველაზე ძლიერ მონინაალმდეგეს – საკუთარ თავს ებრძვის იმ ნებისა და ძალის გამოსაგლეჯად, რომელიც მას მოდუნებას, ხელის ჩაქნევას, ადამიანის ამაყი კონცეფციიდან გადახვევას უკრძალავს. ვაჟა ფშაველი ვაჟი იყო, ნაიალალარ, დამაშვრალ ხარს ადარებდა თავს და სწამდა, რომ ღმერთთან ლაპარაკის უფლება ჰქონდა. მიუხედავად იმისა, რომ თავის პოემებსა და ლექსებში უძლიერეს ადამიანებს ხატავდა, ღირსება მასთან ძალასა და წარმატებებს არ უწყვილდებოდა, იგი უბედურების მოგერიების ნებას და თუნდაც უნაყოფო „საკეთილოდ შრომას“ მიაგებდა პატივს. მოსამკელ ბალახად ყოფნა ერჩივნა ცელობას, ძრწოლასა და ნუხილში ხედავდა ბედნიერებას. ვაჟას ადამიანის ძალისხმევა ცხოვრების საშინელ უკუღმართობაში სხვა არაფერია, თუ არა სიცოცხლის ხმა, თავის–უფლების ხმა მდუმარე, უტყვე ყოფიერებაში, ყოველწამიერი „голос присутвия“ (მამარდაშვილი 1992: 394).

...ერთი ბრიტანელი იყო, მეორე – ქართველი, ორივენი ბედკრული კაცობრიობის შვილები იყვნენ.

## დამონმებანი

ვაჟა-ფშაველა. თხზულებათა სრული კრებული ხუთ ტომად. ტ.1, 2. თბ: გამ-ბა „საბჭოთა საქართველო“, 1961.

რედია რდ კიპლინგი: Kipling Rudyard. <http://www.poetryloverspage.com/poets/kipling/kipling-ind.html>.

ასათიანი 2002: ასათიანი გ. თხზულებათა ოთხტომეული, ტ. 2. თბ: გამ- ბა „ნეოსტუდია“, 2002.

ვასაძე 2010: ვასაძე თ. ლიტერატურა ქვეყნარტების ძიებაში. თბ: შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის გამ-ბა, 2010.

მამარდაშვილი 1992: Мамардашвили М. Как я понимаю философию. Москва: „Прогресс“, 1992.

ურნოვი 1976: Урнов Д. Подъем и подение таланта –В кн.: Библиотека всемирной литературы, т. 118. Москва: Изд-ство „Худ. литература“, 1976.

კუპრინი 1964. Куприн А.Н. Собр. соч. в девяти томах, т.9.

**კაპიტალისტური და ნაციონალურ-რელიგიური ეთოსის დაპირისპირება XIX საუკუნის მეორე ნახევრის ქართულ რეალისტურ პროზაში  
(გიორგი ერისთავი)**

XIX საუკუნეში საქართველოში კაპიტალისტური და ნაციონალური ერთმანეთს დაუპირისპირდა და ეს აისახა ლიტერატურაში. ქართველები, სიამაყით აღსავსენი, ვაჭრობას არ კადრულობდნენ, ხოლო სომხები ფულის მოგების (და დაგროვების) მიზნით არაფრის წინაშე უკან არ იხევდნენ.

*სომეხნი, მხნენი ხელოვანნი მომგებლობისა,*

*პირსა ქვეყნისას ამა საქმით ადრივ ცნობილან, –* წერდა ალექსანდრე ჭავჭავაძე (ჭავჭავაძე 1992: 68). თუ ფულის მოგების, გამდიდრების სიყვარული შეიძლება ჩაითვალოს ნაციონალურ ხასიათად, მაშინ ეს თვისება უთუოდ აქვთ სომხებს. ალექსანდრე ორბელიანი მიხაილ ვორონცოვზე საუბრის დროს ერთგან ასეთ რამეს ამბობს: „ქართველებს უნდოდათ დიდკაცობით გამოჩენა ვარანცოვის კარზე, თვითონ ვარანცოვთანაც და გარეშე ხალხში ხომ რასაკვირველია და სომხებსა ფული, რომელმაცა ორსავ მისცა რაც უნდოდათ: ქართველებს ფუჭი დიდკაცობა და სომხებსა გატენილი პარკი ფულებითა (სხვადასხვა სახაზინო შემოსავლებიდან)“ (ორბელიანი 1999: 70). ეს ამონაწერიც კარგად ხსნის ნაციონალური ბუნების განსხვავებას ქართველებსა და სომხებს შორის. სიტყვა „სომეხი“ ჩვენში იქცა ვაჭრის სინონიმად და არა ეროვნების აღმნიშვნელად. საინტერესოა ამ თვალსაზრისით ილია ჭავჭავაძის „მგზავრის“

წერილების“ ის საყოველთაოდ ცნობილი ეპიზოდი, ლელთ ლუნია რომ ესაუბრება მგზავრს. ახასიათებს რა თანამედროვე ყოფას, მოხვევ ამბობს: „ანინა მავალე სვამეხი უფროს გვანიოკებს, უფროს სახლს გვიკლებს“ (ჭავჭავაძე 1988: 31). აქ ეს „სვამეხი“ ნიშნავს ვაჭარს (ქართველიც რომ იყოს, სომხად უხმობენ). ფაქტობრივად, ჩამოყალიბდა ახალი, კაპიტალისტური ეთოსი, რომლისთვისაც უმნიშვნელო აღმოჩნდა ნაციონალურ-რელიგიური მახასიათებლები. მას შემდეგ, რაც ქართველებმაც მოკიდეს ხელი ვაჭრობას, ისინიც ისეთივე „სომეხები“ შეიქნენ, როგორებიც – ყველა სხვა ვაჭარი.

ბუნებრივია, რომ გიორგი ერისთავის კომედიების ვაჭრები ძირითადად სომეხები (მეგანშეები თუ კაპიტალისტები) არიან. რეალისტი ავტორი თვითონ, საკუთარი ცხოვრებით გახლდათ დაახლოებულ-დაკავშირებული მათთან (პირველი ცოლი ამ წრიდან ჰყავდა) და ამდენად ზედმინევენით კარგად იცნობდა მათ ცხოვრებასა და ფსიქოტიპს. რა თქმა უნდა, კომედიებში იყენებდა გროტესკსა და სატირასაც ჟანრის კანონების შესაბამისად, არსებითად კი სწორად გადმოსცემდა დეტალებს. საყურადღებოა, რომ ისეთ პიესებშიც კი, რომლებშიც კაპიტალის დაგროვება, ვაჭრობა მთავარი თემა არაა, მაინც კარგად იხატება გარემო, საზოგადოებრივი ყოფა, შეულამაზებელი სახე ვაჭრისა. ხელშე-სახებად იგრძნობა განსხვავება და დაპირისპირებაც კი სომეხ ვაჭარსა და ქართველ ფრანგს შორის. კომედიაში „უჩინ-მაჩინის ქუდი“ მსახური რომ ქალბატონს სამახარობლო ამბავს უხსენებს, სუსანას (სომეხი ვაჭრის ცოლის) პირველი შეკითხვაა: – რა? თევზის ურმები მოსულან? (ერისთავი 1936: 218). ამ პიესას სიტუაციური კომიზმი უდევს საფუძვლად (ქვციანი ქმრის გაცუცურაკება ვითომ უჩინმაჩინის

ქუდით), ამდენად თითქოს მეორეხარისხოვანი მნიშვნელობისაა ცოლ-ქმრის (სუსანასა და მარტირუზას) საუბარი ახალი ნივთის შექმნაზე. თუმცა კაპიტალიზმის დამკვიდრების პერიპეტეიების გასაცნობად ერთ-ერთი საუკეთესოა. ცოლთან შერიგების ხასიათზე დამდგარი მარტირუზა მისთვის რაიმე ნივთის შექმნას სთავაზობს. სუსანას „ვარატნიკი“ უნდა, ოღონდ იწუნებს იმას, რაც „ქვეყანას ასხია“. გამორჩეულობა, როგორც ჩანს, მის სიმდიდრეს გაუსვამს ხაზს. ქმარს ენანება სამოცი თუმანი ერთი ვარატნიკისთვის, მაგრამ ცოლი მიუთითებს: „ნადი აბა, ჯიგრაშენში ნადი კვირასა, ფარალათოვიანთ ცოლი ნახე, ბობრიანი ვარატნიკით,... ასეთი გაბერილი დადის, როგორც ბატი. არავის უყურებს. განა იმაზე ნაკლები ვარ?“ (იქვე: 223). მაშასადამე, გამორჩეული ტანსაცმლით, სამკაულითა თუ სხვა აქსესუარით თავის მონონება, სიმდიდრის საქვეყნოდ დანახვება დამახასიათებელი ყოფილა ბურჟუებისთვის. ოღონდ, როგორც ჩანს, მთლად საყოველთაოც ჯერ ვერ გამხდარა.

ხელმომჭირნეობა და სიძუნწე ზოგადად დამახასიათებელია იმ ადამიანისთვის, ვინც ფულს შრომით შოულობს. გასაგებია, მან იცის, რა ვაი-ვაგლახი, რამდენი დაბრკოლება, რამდენი გასაჭირი უნდა გადაიტანოს ფულის მოსაგებად. უნდა გამოიჩინოს ნიჭი, უნარი, მოხერხება, გამძლეობა და სხვა. სულ გაკოტრების შიში აქვს და ეს ბუნებრივია. ამიტომაც წარმოიდგენს მარტირუზა იმ ფარალათოვის გაკოტრებას და „ტორგს“... საყურადღებოა, რომ, როგორც ჩანს, გასაყიდი საქონელი სხვადასხვა ქვეყნებიდან ჩამოაქვთ, მათ შორის, ცხადია, მოსკოვიდანაც. ესლა სარქისაანთ ლალო მიდის მოსკოვს, დააბარე, – ამბობს შუშანა. მოსკოვს მარტო „ვარატნიკისთვის“ ან სხვა ნივთისთვის არ მიდიოდნენ ვაჭრები – ურთიერთობას ამყარებდნენ იქაურ

მწარმოებლებთან (ფაბრიკანტებთან და სხვა), ეცნობოდნენ იქაურ ბაზარს, ფასებს, ჩამოტანილ თუ ადგილობრივ საქონელს, ფრთხილად წონიდნენ და განსჯიდნენ, რა წამოეღოთ საქართველოში, რას რამდენს მოუგებდნენ. ასე მდიდრდებოდნენ, იშვიათად კოტრდებოდნენ ვაჭრები. ამ საქმიანობას, ალბათ, დიდი რისკი ახლდა თან, არც ამხელა გზაზე მისვლა-მოსვლა ან საქონლის გამოგზავნა იქნებოდა უსაფრთხო, მაგრამ, როგორც ყველაფერს, ამასაც თავდადებული და ფულის გემოს მცნობი ადამიანები ედგნენ სათავეში და წარმატებითაც ახორციელებდნენ. საყურადღებოა, რომ „უჩინმაჩინის ქუდში“ „გაყრის“ მიკირტუმ გასპარიჩისგან ან „ძუნწის“ კარაპეტასგან განსხვავებით, გამოჩნდა ე.წ. „ფრანტი ვაჭარი“, ანუ მდიდარი, რომელიც ფულს დაგროვების გარდა, კიდევ მოიხმარს. „ევროპიული“ ცხოვრების ნახვამ, გაცნობამ დღის წესრიგში დააყენა ცხოვრების წესის, სტილის შეცვლა. სხვა ქვეყნების სოფდაგრების ნაბაძვით თბილისშიც დაიწყეს სახლების ევროპულად მორთვა, სადილ-ბალების მოწყობა, მოსამსახურეების დაქირავება, ეტლების შექმნა და სხვა.

შენუხებული მარტირუზა ჩივის: „ვნახოთ თუ ბობრები რა ქნან, აი, დაინახამთ. გეთაყვა, ვაჭრობაში ეს გაგონილა? ლალოს მამა ერთი ოთახი ჰქონდა, სპალნაც იყო, გოსტინაც, სტოლოვიც, შაბათობით მწვადი ძლივს ჰსწვამდა, ვა, მაშ ყველა იმითი მოუგია. ახლა შვილი ნახე, ერთი დვარეცი დაუდგამს, ცოლი ბობრით დაჰყავს. ჯანი გავარდეს, დაარბენინოს თავის ცოლი ბობრითა, თითონ გაკოტრდეს, ჩვენ რას გვემართება ყაირათიანი ხალხსა, ჩვენც გაგვაკოტრებს. მაშ ხედავ ჩვენი ცოლები ბუნტი შვრებიან“ (იქვე: 224).

სომეხ ვაჭართა უმრავლესობა სიღარიბიდან, უქონლობიდან წამოვიდა და საოცარი მოთმინებისა და ეკონომიის ხარჯზე გამდიდრდა. ეს პროცესი რეალისტურადაა ასახული ჩვენს ლიტერატურაში და კიდევ ერთხელ, ერთი დეტალით დასტურდება „უჩინმაჩინის ქუდში“. საოცნებო ქუდის დასაუფლებლად მარტირუზას რამდენიმე წესის დაცვას სთავაზობენ, მათ შორის იმასაც, რომ ლობიოს მეტი არაჭამოს რა. რაზეც გახარებული ვაჭარი პასუხობს: – ეგ ჩემი ხელობაა. ეს ნიუანსი, სულაც არაარსებითი პასაჟი, ნათლად, ხელშესახებად წარმოგვადგენინებს, როგორ შიმშილობდა, ოჯახსაც აშიმშილებდა, ოღონდ კაპიკი არ დახარჯვოდა და ლობიოს მეტს პირში არაფერს ჩაიკარებდა მარტირუზ რიბნიკოვი (თავისივე მოძმეების მსგავსად, ლავრენტი არდაზიანის სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილივით ან გიორგი ერისთავისავე სხვა ახალგამდიდრებული ვაჭრებივით). ქართველებს „მუცლის ნებიერებს“ ეძახის, ამიტომაც არა აქვთ ფულიო, – ფიქრობს სომეხი.

არ ვიცი, აიხსნება თუ არა ნაციონალურ-რელიგიური თავისებურებებით ის ფაქტი, რომ ქართველი დაგროვებაზე მეტად ხარჯვას ესწრაფვოდა. თუმცა ის კი ცხადია, რომ, როცა ქართველებმაც მოჰკიდეს ხელი საქმოსნობას, სომხებზე არანაკლები ნიჭი და უნარი გამოიჩინეს ამ საქმეში, გაუსწრეს კიდევ მათ ახალი, ევროპული ყაიდის ვაჭრობით და, მაშასადამე, ფულის, ქონების შოვნითაც. ეს პროცესი (ქართველის ვაჭრად ჩამოყალიბებისა) შესანიშნავადაა აღწერილი XX საუკუნის მწერლის, ნიკოლოზ გაბაონის (ვალერიან გაბაშვილის) რომანში „აივნიანი ქალაქი“. ამ რომანის მთავარი მოქმედი პირი, სოფლიდან ქალაქში გამოქცეული იოსები გარემოებათა დამთხვევის წყალობით მთხოვარა გლახაკიდან ვაჭრად იქცა – ჯერ გიგა ზანდაროვად და

შემდეგ – გრიგოლად. ეს გარდასახვა არ მომხდარა ადვილად. აქაც ჩანს განსხვავება ვაჭრის უზნეობასა და გლეხის უზნეობას შორის, ოღონდ ვაჭარი რომანში გაცილებით სიმპათიურადაა დახატული, ვიდრე წინამორბედი ავტორების (გიორგი ერისთავის, ზურაბ ანტონოვის, ლავრენტი არდაზიანის, გიორგი წერეთლის...) თხზულებებში. გიგას მამობილი, ფირუზა, გატაცებით საუბრობს ფულზე, ვაჭრობის მნიშვნელობაზე, ოქროს ძალაზე. ვაჭრობაში ფირუზას პირველი ნაბიჯები ძალიან ჰგავს სოლომონ ისაკიჩის, მიკირტუმის, კარაპეტას თუ სხვათა საქმიანობას – ფულის საშოვნელად ყველაფერს იკადრებს, თავმოყვარეობა არაფერს დაუშლის, ცოლს აშიმშილებს და სხვა. ფირუზა ზანდარაშვილია, ე.ი. ქართველი. ისიც გიგასავით სოფლიდან გამოქცეულა. მაშასადამე, ქართველებიც იწყებენ ვაჭრობას, ოღონდ საგულისხმო ისაა, რომ ფირუზას სომხობა ურჩევნია, რადგან იმხანად საქართველოში უფრო სომხები და ფრანგები ვაჭრობდნენ. ფირუზა სომხურ ეკლესიაშიც მონათლა და კათოლიკურშიც, რაც, რა თქმა უნდა, იმას ნიშნავს, რომ არცერთი სარწმუნოების მიმდევარი არ არის, ყველასგან გამორჩენას ელის, როგორც მისი ცოლი ამბობს, „ღმერთით ვაჭრობს“.

ამ მრავალთავიან რომანში ყოველი თავი დასათაურებულია და აქვს ეპიგრაფი, სათანადოდ შერჩეული და გააზრებული. იმ თავებს, სადაც ვაჭრობაზეა საუბარი, არაა გასაკვირი, რომ გიორგი ერისთავისა და ლავრენტი არდაზიანის ნაწარმოებებიდან ამოღებული ციტატები უძღვის.

„წარსული დროების სურათებში“ გიორგი ერისთავი გამდიდრებული ვაჭრების უზნეობრივ დეგრადაციას გვიჩვენებს. ძმებს მინასოვებს, ჩანს, ვაჭრობის არეალი გაფართოებული აქვთ. „მთელი ქალაქის კუჭები“ მათ ხელშია. დიდ-



კაცთ (ჩინოვნიკებს, სხვადასხვა თანამდებობაზე მყოფთ) საკუთარი მოგებიდან წილს უგზავნიან, ღარიბებს კი არას არგუნებენ „აყროლებული თევზის“ გარდა. ივანე და გაბრიელ მინასოვებიც და ჯიმშერ აკუნინაციც ქალაქის მოსახმარად რაღაც გარკვეულ თანხას სწირავენ. ესენი ერთმანეთს ემტერებიან, სასამართლოში უჩივიან, ერთმანეთის ბიზნესის ჩაძირვას ცდილობენ და ამით გამდიდრებას. რა თქმა უნდა, არ ერიდებიან მოქრთამვას საჭირო ხალხისა, თუმცა ორივე მხარე გარკვეულ თანხას საქველმოქმედოდ სთავაზობს ქალაქს. როგორც ჩანს, ეს იძულებითი, მაგრამ აუცილებელი ნაბიჯია. რადგან მინასოვების მიერ გაღებული თანხა ბევრად მეტია, საბჭოს მიაჩნია, რომ სწორედ მათ უნდა დაუჭირონ მხარი. ქალაქის საბჭო ითვალისწინებს იმას, რომ სამი წლის ომის განმავლობაში ნანახი დიდი ზარალის მიუხედავად, ძმებმა ქალაქის სასარგებლოდ მაინც გადაიხადეს 300 მან., მათი შრომისმოყვარეობისა და ნიჭის გათვალისწინებით კი ჩინოვნიკებს იმედი აქვთ, რომ მომდევნო წლებში ეს ძმები თავიანთ ბიზნესს კიდევ უფრო გაზრდიან და ქალაქის ბიუჯეტშიც ბევრად მეტ თანხას შეიტანენ. მხოლოდ აკუნინაციისგან მოქრთამულ გრაფს უჭირს, დაეთანხმოს ამ მსჯელობას, თუმცა ხედავს, რომ გადანყვეტილება სამართლიანია. სასაცილო და სახალისოა მისი გამოსვლის ბოლო სიტყვები: „ყვითელი ხიზილალა ენას ისე მიბამს, რომ საუბარს ვერ ვახერხებ“ (ერისთავი 1936: 276). ქრთამით (ფულით, საჩუქრებით) ადამიანების მოსყიდვა არც მინასოვებისთვისაა უცხო. „უსტაბაშების“ გარდა, „ყარტა-მარტა“ ხალხსაც აძლევენ ძღვენს. „ქართველებიც ვინც დიდია, სულ ჩემ ჯიბეზე ჰკიდია!“ – მღერის გაბრიელ მინასოვი (იქვე: 274). თუმცა, როგორც ვთქვით,

მათგან აუცილებლობა ითხოვს საზოგადო სარგებლობისთვისაც თანხის ნაწილის გაღებას.

მინასოვებს სახლი, საცხოვრებელი ევროპულად აქვთ მოწყობილი – ძველებურად ტახტზე კი არ სხდებიან, არამედ „კრესლაზე“ მოკალათდებიან, ქალები ფერუმარილს იყენებენ (მარეხი: „ლემენცის ყვითელმა გომბიომ მიფეშქაშა. კარგი რამ არის! მაგრამ ეს ჩემი ქმრის შტუკაა!“ გვ. 269). ქმრებს გერმანელი და ფრანგი ქალები ჰყავთ საყვარლებად. ალბათ, მათგანაც სწავლობენ, ითვისებენ ევროპულ გემოვნებას. ქალებს კი, ცოლების სამართლიანი შენიშვნით, „განა თუ იმათ თავი უყვართ, იმათი ფულები“. ეს კი ასეა, თუმცა ფული, ოქრო, თვალი, მარგალიტი არც ხამფერასა და შუმანას (ივან და გაბრიელ მინასოვების ცოლებს) აკლიათ, სულაც თავზე საყრელად აქვთ, მაგრამ თავს ბედნიერად მაინც ვერ გრძნობენ. ბუნებითი ჭკუა და გამოცდილება კარნახობს მათ, რომ დრომ შეიძლება ფულები ისე გაფანტოს, როგორც ქართველმა თავადმა. მართალია, ქონებასთან, სიმდიდრესთან ქართველი თავადის აგდებულ, ქედმაღლურ, ზერელე დამოკიდებულებას კიცხავენ, ირონიულად მოიხსენიებენ, სამაგიეროდ, მოსწონთ მათი ზნეობა – ერთგულება, სიყვარული მეუღლისა, ოჯახისა. ჩვენ ქმრები გვეუბნებიან: „ყველა გაქვთო, რაღა გინდათო! ქართველი თავადი კი ცოლს უაღერსებს. ნეტა იმიტომ, ჯიბეში დიდმარხვა რომ უძევთ?“ – ასე სჯის ხამფერა. ეს ჭკვიანი ქალი ხვდება, რომ ბედნიერება სიმდიდრეში არაა. ქმარს მიუთითებს, რომ ღარიბი ხალხისთვის თევზის მიცემა მაღლია, რომ სხვის ხარჯზე გამდიდრება საშიშია სულისთვის, რომ ბევრნი წყევლიან და სხვა... ჭკუა, გათვლა-გაანგარიშების უნარი, მუდამ ფხიზლად, ყურადღებით ყოფნა ივანე მინასოვის დამახასიათებელი თვისებებია. ურთიერთობა

სხვა სოვდაგრებთან, შეძლებულ ხალხთან, ჩინოვნიკებთან, საზღვარგარეთელ მწარმოებლებთან, პარტნიორებთან თუ კონკურენტებთან – დიდ უნარს, ცოდნას, სიახლისკენ სწრაფვის სურვილს, ნიჭსა და გამოცდილებას მოითხოვს. საამაყოდ მიაჩნია და არის კიდევ თავმოსანონებელი: „მამა ჩემი კევი ჰყიდდა! ეხლა ბლალოროდნი ხარ! განა ის ბლალოროდნი, ქართველი, ფეხშიშველა აზნაური... ჩემი სახელი ევროპამ იცის“ (იქვე: 270). მართალია, განათლება, ნიგნი, ენის ცოდნა მისგან შორსაა (ვერაფრით დაიმახსოვრა „ჩლენამ“. მუდმივად შეცდომით ამბობს „ჩნელამ“), მაგრამ, კარგად იცის, როგორ მოექცეს „სოვეტის“ წევრებს – რა შესთავაზოს, როგორ გადაარჩინოს და კიდევ უფრო გაზარდოს წარმოება და სხვა.

თუ თავიანთი უზნეობით, ყოფითი ცხოვრებით, გაუნათლებლობით, ტრახახითა და სხვა თვისებებით ეს ვაჭრები სასაცილონი არიან, სამაგიეროდ, პატივისცემას იმსახურებენ საქმიანობის, შრომისუნარიანობის, მომავლის განჭვრეტისა და სწორად დაგეგმვის უნარის გამო. სხვათა შორის, ნიკოლოზ გაბაონის რომანში ვახტანგ ტაშირელს, განათლებულ ქართველ თავადს ათქმევინებს ავტორი, რომ კომერციული ალღოსა და უნარის მქონე კომერსანტს არ შეიძლება, რაიმე საერთო ჰქონდეს ქურდობასა და უსინდისო ვაჭრობასთან. როცა ტაშირელი საქართველოს მომავალზე ფიქრობს, ქვეყნის აღორძინებას ყოველთვის ზანდაროვს (კომერსანტს) უკავშირებს. დღევანდელი სოვდაგარი ხვალინდელ მეფაბრიკედ წარმოუდგება და, რაც მთავარია, კულტურის განვითარება, ეროვნული ღირებულებების შენარჩუნება (თეატრის დაარსებაცა და ჟურნალის გამოცემაც) ითხოვს ფულს, ვაჭრების მიერ მოგებულ ფულს.

მრავალმხრივ საყურადღებოა გიორგი ერისთავის „ჩემი მოგზაურობა ევროპაში 1862 წელსა და 13 ივნისიდან“. ეს ჩანაწერები იმ მხრივაც ინვეს ინტერესს, რომ ავტორი აშკარად ევროპეიზაციის მქადაგებლად გვევლინება. მოსწონს ევროპული ცხოვრების წესი, სისუფთავე, სიმდიდრე, გართობა და სხვა. გიორგი ერისთავი, რომელიც თავის კომედიებში დასცინის და ამასხრებს ვაჭრებს, ამ მოგზაურობითი ჟანრის თხზულებაში პატივისცემით მოიხსენიებს მათ. არ მალავს სიამოვნებას სიმდიდრის, შეძლებული ხალხის ნახვისას. მოგზაურობის დაწყებისთანავე, ორპირიდან ფოთისკენ გემით მიმავალი მწერლის ყურადღება მიუპყრია რიონის პირას მცხოვრებ ხალხს – მეგრელებსა და გურულებს. „აგერ რამდენიმე ლოტკა მოსცურავს და სეირნობენ ქალნი და კაცნი, სიმკვირცხლე და მოძრაობა შემოსულა მათში, – შეძლება, ვაჭრობა გარდასხმულა ამ მხარეს,“ – წერს მოგზაური. სიამოვნება და სიამაყე გამოსჭვივის ამ აღწერაშიც: „აბა, ახლა ნახეთ ტანოვანნი, ფეროვანნი, სუფთად, მსხდომარენი ვაჭრად დუქნებში, მენავენი, ჩალვადარნი, – მაგრამ არ არის საკვირველი“... (ერისთავი 1936: 331).

ვაჭრობის განვითარება ქვეყნის აუცილებელ პირობად მიაჩნდათ XIX საუკუნის 50-იან წლებიდან ჩვენს მოღვაწეებს. ამ მოსაზრებას მხარს უბამდა, ამაგრებდა და პრაქტიკულად ხელს უწყობდა მეფისნაცვალის მიხაილ ვორონცოვი, რომელიც იმპერიული პოლიტიკის გამტარებელი კი გახლდათ საქართველოში, მაგრამ ისარგებლეს რა მისი ლოიალობით, ამ პერიოდში ქართველებმა ბევრი სამომავლო, სასიკეთო საქმე წამოიწყეს. თავის დროზე ვორონცოვთან დაახლოებულ გიორგი ერისთავს მოგზაურობის დროსაც ახსენდება „კეთილისმყოფელი მეფისნაცვალი“: „მე

მომავლენა, განსვენებული ვარანცოვი იტყოდა, მგონია კიდევ მისწერა ხელმწიფეს, რომ ქუთაისიდან ტრაპიზონამდის გაეკეთებინა გზა, ამისთვის რომ იტყოდა ანგლიჩნები ტრაპიზონიდან გააკეთებენ გზასო და ვაჭრობა სპარსეთისა იმათ დარჩებაო და აქ რო გაკეთდესო, ვაჭრობა ჩვენი იქნებაო!" (იქვე: 334). მაშასადამე, გზის გაყვანა ვაჭრობის განვითარებას და ქვეყნის გამდიდრება-გაძლიერებას შეუწყობდა ხელს. ვორონცოვი (და გიორგი ერისთავიც) მოქმედ პირადაა გამოყვანილი გაბაონის რომანში. შეუძლებელია აქ დეტალურად გადმოცემა იმ ამბებისა, წინააღმდეგობისა თუ მხარდაჭერისა, რომელიც დაკავშირებულია გიორგი ერისთავის (გლუხარიჩის) „ცისკრის“ გამოცემასთან, მის მიერვე პროფესიული ქართული თეატრის შექმნასთან, იტალიურ ოპერასთან, ვორონცოვისა და მისი მეუღლის აქ ყოფნის პერიოდთან... რომანში ვორონცოვის პიროვნება შეფასებულია ისე, როგორც ეს თანამედროვე ისტორიოგრაფიაშია მიღებული. ნათქვამია, რომ ვორონცოვს ქართველები მამას ეძახდნენ, მაგრამ იგი უფრო მამინაცვლობას გვინევდა. აღნიშნულია, როგორც ფაქტი, რომ მეფისნაცვალის მფარველობდა სომეხ ვაჭრებს და ხუმრობით ოქროს თუმნიანის ჩუქებას ჰპირდებოდა იმ ქართველს, რომელიც ვაჭრობას მოჰკიდებდა ხელს. ესე იგი აქეზებდა ამ საქმისკენ. „აივნიან ქალაქშიც“ ვორონცოვი ზრუნავს გზების მოსანესრიგებლად, რათა მისვლა-მოსვლა და ვაჭრობა გაადვილდეს.

სხვაგან, სხვა ადგილასაც საუბრობს მწერალი გზების გაყვანის აუცილებლობის შესახებ. პარიზიდან წამოსულისთვის ერთ ნაცნობს უთქვამს: „როჩილდი არის აქაო და ჰპირდება რკინის გზისთვის საქართველოში მე მოგცემთ ფულებსო“ და ამას მოსდევს გიორგი ერისთავის გულწ-

რფელი ნატვრა: „როდის მომასწრებს ღმერთი რომ ჩვენ ქვეყანას გზა ეშველოს.“ ევროპაში სხვა ბევრ რამესთან ერთად ქართველი მოგზაურები გაუკვირვებია ფაიფურის ჭურჭელსა და საკერავ მანქანებს. ფაიფურის წარმოება არ გვიჩვენესო, – დანანებით წერს ავტორი, საკერავი მანქანების მუშაობის პრინციპის შესწავლა კი მოუნდომებიათ, ორი მანქანა უყდიათ კიდევ...

ასე, რომ, გიორგი ერისთავი გვევლინება ევროპასთან ვაჭრობის, ევროპული საქონლის შემოტანის, ევროპული გემოვნების ჩვენში დამკვიდრების მსურველ მომხრედს და ქომაგად.

### დამონებანი

- გაბაონი 2003 – გაბაონი ნ., აივნიანი ქალაქი, თბ.
- ერისთავი 1936: 218 – ერისთავი გ., უჩინაჩინის ქუდი, თბზულებანი, თბ.
- ერისთავი 1936: 276 – ერისთავი გ., წარსული დროის სურათები, თბზულებანი, თბ.
- ერისთავი 1936: 331 – ერისთავი გ., ჩემი მოგზაურობა ევროპაში, თბზულებანი, თბ.
- ორბელიანი 1999: 70 – ორბელიანი ალ., ვარანცოვთან ჩემი დაბეზლება, „სიტყვა მამულის ტრაპეზზე“, თბ.
- ჭავჭავაძე 1992: 68 – ჭავჭავაძე ალ., გოგრა, ქართული მწერლობა, თბ.
- ჭავჭავაძე 1988:31 – ჭავჭავაძე ი., მგზავრის წერილები, თბზ. სრ. კრებ. ოც ტომად, ტ II, თბ.

## რომანი პოლიტიკონომიის კონტექსტში

მოკლედ მიმოვხილოთ „ჰომო ეკონომიკუსის“ თავგადასავალი და ეკონომიკის თეორია ასე წარმოვადგინოთ:

პოლიტიკური ეკონომიის როგორც მეცნიერების განვითარებაში რამდენიმე ეტაპს გამოყოფენ. ამ დარგის განვითარების პირველი, ყველაზე ხანგრძლივი ეტაპი, საუკუნეებშია ჩაკარგული და მოიცავს ადამიანის გაჩენიდან თუ დედამიწაზე გამოჩენიდან მოკიდებული – მე-16 საუკუნემდე ხანას. ადამიანის ეკონომიკური ცხოვრების საწყისი ეტაპი, ცხადია, ნატურალური მეურნეობით შემოიფარგლება და ამიტომაც მას საქმის მხოლოდ უკეთესად ორგანიზება აღეღვებს. ამის შემდეგ იწყებს ფიქრს გაცვლაზე და ამიტომ წარმოებისა და გაცვლის პროცესი შესაბამისი ცნებით-ტერმინოლოგიური აპარატივით ფორმდება...

„ეკონომიკის“ ცნება, ისე როგორც ბევრი თეორიული კონცეპტი, არისტოტელეს შემოტანილია. ძველ ბერძნთა ნაშრომებში მკვლევარნი *საქონლის*, *სარგებლის*, *ღირებულებისა* და *ფულის* ცნებებსაც აქცევენ ყურადღებას.

ეკონომიკური თეორიის *მეორე* ეტაპი მე-16 – 17 საუკუნეებს მოიცავს და ეს ეტაპი ერთგვარად თავს უყრის გარდასულ დროთა დაგროვილ ცოდნას. აქვეა აღსანიშნავი, რომ თვით ტერმინი „*პოლიტიკური ეკონომია*“ ამ ეტაპზე წარმოიშვის და იგი 1615 წელს შემოაქვს მერკანტილიზმის ერთ-ერთ წარმომადგენელს, მონკრეტიენ დე ვოტევილს, რომელსაც ეკუთვნის ნაშრომი „*პოლიტიკური ეკონომიის ტრაქტატი*“. ეს არის სრულიად პრაქტიკული, ამ ეკონომიკური სკოლისათვის დამახასიათებელი პათოსით გაჯერებუ-

ლი სარეკომენდაციო ტექსტი. მერკანტილიზმის ეპოქაში წარმოების ორგანიზაციის ძირითად ფორმად სასაქონლო მეურნეობა ითვლება და მიიჩნევა, რომ საზოგადოების უმთავრესი სიმდიდრე ფულია, რომლის წყაროსაც საგარეო ვაჭრობა ანუ მიმოქცევის სფერო წარმოადგენდა და მიაჩნდათ, რომ, რაც მეტი ფული აქვს კაცს, მით უფრო მდიდარია.

პოლიტიკონომიის *მესამე* ეტაპზე იბადება კლასიკური ეკონომიკური მეცნიერება, რომლის საფუძველსაც წარმოადგენს შრომითი ღირებულების თეორია და რომელიც საზოგადოების სიმდიდრის ძირითად ფორმად მწარმოებლური შრომის პროდუქტი ესახება.

პოლიტიკონომიის მეცნიერულ დარგად გამოცხადება ამ ეტაპზეც გაჭირდებოდა, რადგან მეცნიერება იწყება იქ, სადაც თავს იჩენს სიღრმისეული, გამეორებადი მიზეზ-შედეგობრივი კავშირები და დამოკიდებულებანი, მაგრამ, ვფიქრობთ, რომ, რადგან დარგის „გამეცნიერება“ უკავშირდება ისეთ სახელს, როგორიცაა ადამ სმიტი, ამიტომ, და ტრადიციაც ასეთია, ეკონომიკის ეს თეორია ამიერიდან „მეცნიერულად“ უნდა მოვიხსენიოთ. სწორედ ადამ სმიტი იყო ის სწავლული, რომელმაც, როგორც წერენ, პოლიტიკური ეკონომია გამოსტაცა ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ალყას, რომელსაც გენიალური თვითნასწავლი ადამიანები აკონტროლებდნენ, და აქცია იგი აკადემიურ დისციპლინად.

ეროვნებით შოტლანდიელი, 1723 წელს მოხელის ოჯახში დაბადებული სმიტი თოთხმეტი წლისა გლაზგოს უნივერსიტეტში ზნეობის ფილოსოფიის განხრით სწავლობს და ოცდასამი წლის ასაკში კითხულობს ბუნებითი სამართლის ლექციებს, რომელიც მე-18 საუკუნეში მოცავდა იურისპრუდენციას, პოლიტიკურ მეცნიერებებს, სოციოლოგიასა და ეკონომიკას.



ადამ სმიტის ეპოქაში უკვე ყალიბდება ეკონომიკური ლიბერალიზმის იდეები და მე-18 საუკუნის ბოლოსათვის, ბურჟუაზიული ეთიკის ჩამოყალიბების ხანაში, დიდი ყურადღება ეთმობა პიროვნების ბუნებრივ, გაუუცხოებელი უფლებებისა და თავისუფლებების კონცეფციის დაფუძნებას. ეს, ცხადია, გულისხმობდა ადამიანის ეკონომიკურ სფეროში თავისუფლებასაც.

ალიარებული შეხედულებით, თავისუფლებას ადამიანი მუდამ საკუთარი ანგარებითი მიზნებისათვის იყენებდა, თუმცა ამ დებულებიდან სხვადასხვა მკვლევართ ურთიერთსაპირისპირო დასკვნები გამოჰქონდათ. მე-17 საუკუნის ინგლისელ ფილოსოფოსთ, კერძოდ, თომას ჰობსს ეგოისტური ინტერესი ყველაზე მძლავრ, ყველაზე დამანგრეველ ადამიანურ ვნებად მიაჩნდა და დაასკვნიდა, რომ ამ ვნების ასალაგმად ავტორიტარული სახელმწიფოა საჭირო. ფრანგი ფილოსოფოსი-რაციონალისტი კლოდ ადრიან ჰელვეციუსის აზრით ეგოიზმი ადამიანის ბუნებრივი თვისება იყო და ამდენად საზოგადოებრივი პროგრესის ფაქტორიც.

ადამ სმიტმა მიიღო და ალიარა ადამიანისადმი მიდგომის ხსენებული პათოსი და იგი ეკონომიკური მოღვაწეობის სფეროს დაუკავშირა. რასაკვირველია, ადამიანის ქმედების მთავარი მოტივი ანგარებითი ინტერესია, მაგრამ ამ ინტერესის განსახორციელებლად მას ესაჭიროება საკუთარი საქონლისა და მომსახურების გაცვლა სხვა ადამიანებთან. სმიტის აზრით, მეხორცის, მელუდისა თუ მეფუნთუშის კეთილმოსურნეობის იმედად კი არ უნდა ვიყოთ, არამედ თითოეული მათგანის საკუთარი ინტერესების დაცვისა. მათ ჰუმანიზმს ნუ კი შევაჩედებით, არამედ სწორედ მათ ეგოიზმს მივაქციოთ ყურადღება და ჩვენს საჭიროებებსა თუ სარგებელზე მათთან სიტყვასაც ნუ ნავიცდენთ. ეკონომი-

კური მდგომარეობის გაუმჯობესების მათეული, ბუნებრივი მისწრაფება იმდენად მძლავრი სტიმულია, რომ საზოგადოების კეთილდება სწორეს მას ეფუძნება. ადამიანის ანგარებითი ინტერესის კონცეფციიდან ამოიზარდა ჩაურევლობისა თუ „ბუნებრივი თავისუფლების“ პოლიტიკა და თუ ადამიანის ეკონომიკური საქმიანობა საზოგადო კეთილდობას ამყარებს, მისი შევიწროება და შეზღუდვა სრულიად დაუშვებელია.

1759 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში („ზნეობრივ გრძნობათა თეორია“) სმიტს, „ბუნებითი კანონების“ არსებობის თეზისიდან გამომდინარე, ადამიანის ბუნებრივი მახასიათებლების სახით შემოაქვს „სიმპათიის გრძნობა“ და „შინაგანი დამკვირვებლის“ ანუ სინდისის ცნება. სიმპათიის საფუძველია სხვის როლში საკუთარი თავის წარმოდგენისა და სხვისეულ გრძნობათა საკუთრად განცდის ადამიანური უნარი. ბუნებითი კანონების არსებობის თვალსაზრისიდან სმიტი ამტკიცებს, რომ სამართლიანია ის, რაც ბუნებრივია, ხოლო ბუნებრივი საკუთარი კეთილდღეობისაკენ ადამიანის სწრაფვაა სხვათა კეთილდღეობის პირობებში; ხოლო ეგოიზმისა და სიმპათიის თანაყოფის შესაძლებლობა საბოლოო ჯამში ბუნებისა და ღმრთის მიერაა კოდირებული ადამიანში და ეს ყველაფერი სინდისთანაა ნილდებული.

საგულისხმოა, რომ „უხილავი ხელის“ ანუ ობიექტური ეკონომიკური კანონების მოქმედების შეგეგად მიღებული ადამიანთა ინტერესების ჰარმონიის თეზისი, სმიტის დასკვნა კი არ არის, არამედ ღმრთის რწმენაზე დამყარებული, ამოსავალი მსოფლმხედველობრივი გზავნილია. ამიტომ ეკონომიკური კანონების სმიტისეული ძიება დასაბამიერ, ბუნებრივ ჰარმონიას ეყრდნობა. ცხადია, არ არის შემთხვევითი, რომ „უხილავი ხელის“ ქმედება მოიცავს არა ოდენ



ეკონომიკურ ასპექტს, რომელიც კეთილისმყოფელის გამიზნულ ქმედებას, საზოგადოებისათვის გაღებულ სიქველეს გულისხმობს, არამედ მსოფლმხედველობრივსაც – განგებისეული სიბრძნის რწმენას, ადამიანური გონის შეზღუდულობის აღიარებას. აღნიშნულ თხზულებაში სმიტი აღწერს სიტუაციას, როდესაც „განგების ხელით“ მართული უგრძობელი, ბუდაყი და ძუნნი მდიდარი მესაკუთრე მისდაუნებურად დგება საზოგადოების სამსახურში, რადგან საკუთარ ქონებაზე ზრუნვისას იგი ასაქმებს და, შესაბამისად, საზრდოსაც აძლევს უქონელთ. აქო, ბრძანებს სმიტი, საგულისხმო ის არის, რომ ამ ეშმაკის თანამეცხედრემ (ეს ჩვენი ინტეპრეტაციაა ს.ტ.) საკუთარი საჭიროებისთვის განა რამდენი უნდა მოიხმაროს თავისი ქონებიდანო, ყოველ შემთხვევაში, რომელიმე უქონელზე მეტს ვერ იზამსო. ჰო, და თუ ეს ასეა, გამოდის, რომ ჩვენ მხოლოდ გვეჩვენება, რომ განგებამ მქონებელს ყველაფერი მიანიჭა, სხვანი კი უბოძვარად დააგდო და დაქირავებულ მუშებად აქცია. მოჩვენებითი ქონებრივი უთანასწორობა, ჩაძიებითი განხილვისას, სწორედაც რომ თანასწორობაა და თანაც იმგვარი პროპორციით, დედამინა რომ თანაბრად გადაგვენაწილებინა ყოველ ადამიანზე. სმიტის ამ ნააზრევში მისი მრწამსი გამსჭვივის, რომლის მიხედვითაც ყველაფერი ღმრთის შექმნილია და საზოგადოებაზეც ისა ზრუნავს. ამდენად, უსამართლობა მოჩვენებითია და მსწრაფლ განქარდების თუ ღმრთის იდუმალ ჩანაფიქრს ჩავწვდებით.

ღმერთმა ადამიანს მიანიჭა სამათლიანობის, თავისუფლებისა და მორალური ვალდებულებების თანდაყოლილი გრძნობა და ეს ყველაფერი იმასაც ნიშნავს, რომ ადამ სმიტი გამსჭვალულია ადამიანისადმი ნდობის იდეით, რომელსაც

მჭიდროდ უკავშირდება ადამიანის თავისუფლების უფლება – მათ შორის ეკონომიკურ სფეროშიც.

სიტყვა გაგვიგრძელდა, მაგრამ უნდა ვახსენოთ ავტორის უკვდავმოფი ნაშრომი „გამოკვლევა ხალხთა სიმდიდრის ბუნებისა და მიზეზების შესახებ“, რომელმაც ახალი ცოდნა შექმნა ეკონომიკის სფეროში. სმიტი აქ იკვლევს ერის სიმდიდრის ზრდის მიზეზებს, შრომის როლს ამ პროცესში, მისი ნაყოფიერების ზრდის ფაქტორებს, კაპიტალის ბუნებას, თანდათანობითი დაგროვების ხერხებს და სხვა.

ნაშრომში სმიტი უპირისპირდება საკუთარი ეპოქის გაბატონებულ ყოფით მოვლენებს – მერკანტილიზმის სისტემასა და ყვალგასულ ფეოდალურ წარმოებით ურთიერთობებს. ვაჭრობის განვითარებამ სრულიად შეცვალა ევროპული წესრიგი: წარსულს ჩაბარდა ადამიანთა უფლებრივი განსხვავებულობის საყრდენი – ფეოდალური ყოფა, ხოლო ახალი კანონმდებლობები აღარა ქმნიდა სოციალურ ტიპრებს და ამით ხელს უწყობდა სამოქალაქო სამართლიანობის დამკვიდრებას. ამან განაპირობა კაპიტალიზმის განვითარება. ქალაქური ცხოვრებამ, სასაქონლო მიმოქცევამ ქალაქსა და სოფელს შორის, შექმნა ეკონომიკური პროგრესის საფუძველი. თუ მემამულური ყოფა ეკონომიკურ სტაგნაციასა და სოციალურ- პოლიტიკურ ჩაგვრას გულისხმობდა, ვაჭრობამ და მრეწველობამ სრულიად შეცვალა საზოგადოებრივი პროფილი. სმიტი სწორედ ამ უკანასკნელთ განიხილავს საზოგადოებრივი, პოლიტიკური და ეკონომიკური წინსვლის გარანტიად.

მოკლედ რომ ვთქვათ, სმიტის ნაშრომის დედააზრი ის არის, რომ თუ ეკონომიკურ სისტემას სრული თავისუფლება ექნება, იგი თვითრეგულირებადი ხდება და ადამ სმიტისეული „უხილავი ხელიც“ სწორედ ამას ეწოდება.

ადამ სმიტის წვლილი პოლიტიკური ეკონომიკის ჩამოყალიბებაში სადღესოდ კი ისტორიული ღირებულების მქონეა, მაგრამ XVIII საუკუნის ეკონომიკური აზრის ეს დიდი მონაპოვარი ესაძირკვლა თითქმის ყველა ახალი ეკონომიკური თეორიის ევოლუციასა და მისი საფუძველმდებარე პრინციპები დღესაც რეფლექსიის საგანია. რაციონალიზმი და ზნეობა სმიტის მოძღვრებაში ხელისხელჩაკიდებული მოემართებიან და, ვფიქრობ, რომ მათი ჰარმონიზებისა და სახვალთო ცხოვრებაში მათი გათვალისწინება ფრიად მნიშვნელოვანია – მით უმეტეს ცხოვრების იმგვარი გამოცდილების მქონე ერში, როგორც ჩვენა ვართ.

პოლიტიკური ეკონომიკის მეცნიერულ სტატუსის დამკვიდრებისთან დაკავშირების გვერდს ვერ ავუვლით დავით რიკარდოს სახელსაც, რადგან პოლიტეკონომიამ სწორედ მის ნაშრომებში შეიძინა საზოგადოების ეკონომიკურ ბაზისზე მოძღვრების მეცნიერული, სისტემური ნიშნები.

ამით გასრულდა კლასიკური ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომიის ხანა, რომელსაც შემდგომში დაეყრდნო ეკონომიკის მარქსისტული თეორია. ჩვენი წარსულითაც შეგვიძლია დავადასტუროთ, რომ XX საუკუნის ერთ-ერთი ყველაზე გავლენიან სააზროვნო დისკურსად და იდეოლოგიად სწორედ მარქსიზმი იქცა. გერმანელმა ეკონომისტმა და სოციალურმა ფილოსოფოსმა, კარლ მარქსმა, შექმნა თეორია, რომელიც აღწერს კაპიტალისტურ სისტემის ფუნქციონირებისა და განვითარების კანონებს. მიშელ ფუკომ მას „მეგადისკურსი“ უწოდა, ხოლო ჟილ დელიოზის აზრით, გასული საუკუნის კულტურა მნიშვნელოვანწილად მარქსისა და ფროიდის ნააზრევზე დგას.

საგულისხმო ფაქტად გვეჩვენება, რომ დღეს ბევრმა თეორეტიკოსმა იქცია პირი მარქსის იდებისაკენ და ეს

ეხება არა მხოლოდ ნასაბჭოვარ სივრცეს, არამედ დასავლელ მოაზროვნეებსაც. ასე რომ, მის მიერ დაღანდული „აჩრდილი კომინიზმისა“ სამუდამოდ რომ გამქრალი გვეგონა, კვლავ ფრთებს იხოშავს და, ვინ იცის, ასაფრენადაც ემზადება.

მარქსმა 1848 წელს ფრიდრიხ ენგელსთან ერთად დაინერა 23 გვერდიანი დოკუმენტი „კომუნისტა მანიფესტი“ (რუსეთში მას პირვანდელი სახელდებით – „კომუნისტური პარტიის მანიფესტი“ – მოიხსენიებდნენ. 1872 წლიდან ანუ პირველი ინტერნაციონალის შემდეგ დასავლეთში იგი „კომუნისტა მანიფესტად“ მოიხსენიება).

პარიზის საერთაშორისო ფილოსოფიური კოლეჯის პროფესორი ნეგრი ტონი წერს თუ რატომ უნდა მივუბრუბდეთ დღეს „კომუნისტა მანიფესტს“ და ასახელებს ორ მიზეზს: ჯერ ერთი, ტექსტის ლიტერატურული მოსაზრებებისა გამო; მის მორალური საფუძვლებში შეღწევისა და გარდასულ ეპოქათა სევედის, ნაწარმოების ამაღლებული სიტყვის შესაგრძობადო, რომელიც ასახავს თანამედროვე სოციალიზმის ეპიკური ისტორიის დასაწყისსა და მათ თეორიულ ენთუზიაზმს, ვინც მის სათავეებთან იდგაო. და მეორეო, – უნდა გადავიკითხოთ მანიფესტი და, გავანალიზოთ მისი შინარსი და ვეცადოთ ახალი მანიფესტის დაწერას, რათა კომუნისტური დისკურსი დავაყენოთ თანამედროვე ეპოქის ანუ პოსტმოდერნის ეპოქის დონეზე.

ნეგრი ტონი ჩემთვის უცნობი ავტორია, მაგრამ უინტერესო არ უნდა იყოს რამდენიმე ინტელექტუალური მაგნატის თვალსაზრისის მოსმენა.

ბრიტანელი ისტორიკოსის („ხანგრძლივი XIX საუკუნის“ ცნების ავტორის) ერიკ ჯონ ერნესტ ჰობსბაუმის აზრით, 1848 წლის თებერვალში გამოქვეყნებული „კომუნისტური

პარტიის მანიფესტი“, საფრანგეთის დიდი რევოლუციის მიერ დეკლარირებული ადამიანის უფლებების შემდეგ, არის ყველაზე გავლენიანი პოლიტიკური დოკუმენტი. ჰანს-მაგნუს ენცენსბერგერი წერს, რომ მაშინ როდესაც წარსულის ბევრი თეორიული ნაშრომი სადღეისოდ მკვდარი ნაწერებია, მარქსისა და ენგელსის ვნებიანი ფრაზები კვლავაც ააღელვებენ და გაანათებენ შემდგომ საუკუნეებს“. უმბერტო ეკო კი ამბობს, რომ ეს არის საოცარი ტექსტი, რომელშიც მონაცველობენ აპოკალიფსური ნოტები და ირონია, ქმედითი ლოზუნგები და ცხადი ახსნები, და < ... > დღეს სარეკლამო სკოლებში მისი გულმოდგინე შტუდირება უნდა ხდებოდესო. დაბოლოს, ისეთი რეაქციონერი, როგორც ენცო ბეტიცაა, ამბობს: „მანიფესტის დიადი წინააღმდეგობრიობა, პეანისა და ბურჟუაზიის სამგოლოვიარო სიმღერისა, ერთი მხრივ, „უპოვართა სოფლისათა“ ლირიკული და დრამატული ჰიმნი, მეორე მხრივ, თავს იჩენს იმგვარის ორატორულის ძალმოსილებითა, ბადალი რომ არ ეძებნება ახალი დროების არც ერთ პოლიტიკურ ტექსტში“.

ტექსტის შინაარსის კრიტიკა გვჩვენებს, რომ ლიტერატურისა და კაპიტალის სფეროს წარმომადგენელთა ტექსტისადმი ინტერესი და ცნობისმოყარეობა თავდაყირა დგება და ემხოება, განსჯა აქტიური ბრძოლის მიზნებს ექვემდებარება, ფიქრი – ქმედებას, კრიტიკული გააზრება – ჯანყს. მანიფესტის არსებობის უკვე ხანგრძლივ ფამთასვლისას მოხდა ერთიც, მეორეც და მესამეც.

მარქსის ცნობილი კონცეპტი *ყოფიერებისა და ცნობიერების ურთიერთმიმართებისა* წარმოჩნდა ნაშრომში „*პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის*“, რომელშიც მას ეკონომიკური თეორიის სისტემატიზაცია განუზრახავს, მაგრამ კვლევის შედეგით უკმაყოფილოს, თავისი ყველაზე

განთქმული „*კაპიტალისთვის*“ (სრული სათაურია „*კაპიტალი. პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკა*“) მიუყვია ხელი. სამტომად ჩაფიქრებული „*კაპიტალი*“ პირველი ტომი გამოუქვეყნებია და შემდეგი ორი ტომი ფრიდრიხ ენგელსმა გამოუცია მარქსის გარდაცვალების შემდეგ. „*კაპიტალი*“ არის, ავტორისავე თქმით, „გერმანული გონის“ ანუ იმ სააზროვნო ტრადიციის ნაყოფი, რომელსაც იგი საკუთარ თავს მიაკუთვნებდა. ნაშრომში მოცემულია კლასობრივი საზოგადოების კაპიტალისტური წარმოების წესის კრიტიკა.

ფული არის საქონელი, რომელიც სტიქიურად გამოიყოფა საქონლის ყველა სახეობისაგან, ასრულებს საყოველთაო ეკვივალენტის როლს და გამოხატავს ყველა საქონლის ღირებულებას. იგი გვევლინება საყოველთაო საგადასახადო და მსყიდველობით საშუალებად, მაგრამ იგი ვერ იარსებებს სასაქონლო გაცლის გარეშე. ამიტომ ფული არის კაპიტალის არსებობის პირველი ფორმა. კაპიტალში იგულისხმება ფული, რომელსაც მოაქვს *ზედმეტი ღირებულება*. კაპიტალწარმოების ციკლი გადის სამ სტადიას: ფულადი ფორმიდან გადადის წარმოებითში, რომელშიც შედის წარმოების საშუალებები და მუშაძალა; მეორე სტადიაზე წარმოებითი კაპიტალი, გადადის რა სასაქონლო ფორმაში, მონანილეობს წარმოების პროცესში; და პროდუქციის რეალიზაციით კაპიტალის სასაქონლო ფორმა გარდაისახება ფულად ფორმად.

სტადიათა ცვალებადობა თანმიმდევრულად ხორციელდება და კაპიტალი, რომელიც ერთდროულად სამი ფორმით (ფულადი, წარმოებითი და სასაქონლო) გამოდის, მარქსის განსაზღვრებით, არის სამრეწველო კაპიტალი.

მარქსის ეკონომიკური მოძღვრებაში მნიშვნელოვანია კაპიტალისა და ზედმეტი ღირებულების საკითხი. კაპიტა-

ლი ნივთი კი არა, ნივთში წარმოდგენილი წარმოებითი ურთიერთობაა, რომელიც ამ ნივთს სპეციფიკურ საზოგადოებრივ ხასიათს ანიჭებს. ზედმეტი ღირებულება არის მუშის შრომის გადაუხადელი პროდუქტის ღირებულება. ამ ცნების შემოტანით ნათელი ხდება თუ როგორაა შესაძლებელი ღირებულების კანონის დაურღვევლად მუშისთვის მისი შრომის საზღაურის მხოლოდ ნაწილობრივი ანაზღაურება.

მარქსმა, ასე ვთქვათ, გახსნა შრომის პროცესი.

ამასთან დაკავშირებით მახსენდება – ლიტერატურის კრიტიკოსთა შორის კლასიკური მაქრქსიზმის ყველაზე გავლენიანი ტრანსლატორი, ტერი იგლტონი, რომელიც წერს, რომ მარქსმა არა მხოლოდ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა პოლიტიკონომიაში, არამედ პრინციპულად შეცვალა იგი. თუ მანამდე პოლიტიკონომია ცალკეულ პიროვნებათა თეორიული მოსაზრებებსა კონცეფციებს ეყრდნობოდა, მარქსმა სისტემური მიდგომით იგი ერთიან, მთლიან მეცნიერებად აქცია და სწორედ ამით ჩადო მასში ის ნაღმი, რომელიც XX საუკუნეში აფეთქდა. საქმე ის არის, რომ მარქსი არა მხოლოდ ეკონომისტი, არამედ ფილოსოფოსი და დიდწილად რევოლუციონერიც იყო, რომელმაც შექმნა ის „ნითელი“ გლობალური პროექტი, რომელიც საბჭოეთსა და სოციალისტურ სისტემად დაედო საფუძვლად.

და კიდევ ერთი, ამჟამად ჩვენი კონკრეტული შემთხვევისთვის მნიშვნელოვანი ნახნაგი. იგლტონი ლაპარაკობს ავტორზე როგორც მწარმოებელზე და ამბობს, რომ მწერალი ტრანსინდივიდუალური მენტალური სტრუქტურების უბრალო გამტარი კი არ არის მხოლოდ, იგი იმავდროს გამომცემლის მიერ საქონლის საწარმოებლად დაქირავებული მუშაკია, რომელიც ბაზარზე იყიდებაო და მოაქვს

მაქსის ციტატი, რომლის მიხედვითაც „მწერალიო, – აღნიშნავს თურმე მარქსი ზედმეტი ღირებულების თეორიებში, – წარმოადგენს მუშას არა იმიტომ, რომ იდეებს აწარმოებს, არამედ იმიტომ, რომ ის ამდიდრებს წიგნის გამომცემელს, რადგან იგი მუშაობს ხელფასზე“. აქედან გასაგები ხდება, რომ შემოქმედიც ექსპლოატაციის მსხვერპლია.

მგონია, რომ სადღეისო პოლიტიკონომიკური ტენდეციების გასაზრებლად იგლტონის მარქსისადმი დამოკიდებულება ყურადსაღებო უნდა იყოს. მოგეხსენებათ, რომ უკვე გაჭირდა დღევანდელ გლობალურ ტენდენციათა სახელდებაც კი და ამიტომ მარქსის მოძღვრების ახლოსმცნობი ადამიანები ალაპარაკდნენ მის წინასწარმეტყველურ, რევოლუციურ ენერჯიათა გამომღვიძებელ, დიდი ფანტაზიისა და ღრმა ერუდიციის მქონე პიროვნებაზე, რომელმაც, ფაქტია, მართლაც გააღვიძა (თუმცა არცარასდროს სძინებია!) ეშმაკური ძალა და შეცვალა ისტორიის სავალი.

მართალია, XIX ს.-ის დასასრულისთვის დასავლეთში პოლიტიკონომია აკრძალეს და „ეკონომიკის“ უწოდეს, მაგრამ, იმაზეც ლაპარაკობენ, რომ ეკონომიკის მარქსისეული ანალიზი მაინც ფავორშია და მასზე ნიღბისა და ფარდის ჩამოფარება, პოლიეკონომიკური კანონის მოქმედებას ვერ ფარავს და დღესაც ხორცს ისხამს მისეული კონცეპტები; მხედველობაში აქვთ ხოლმე სკანდინავიური სოციალიზმი, რომელიც, ვფიქრობ, კაპიტალიზმის ნაირსახეობა უფროა, ვიდრე იმ ტიპის რამ, რას ჩვენს, კონრეტულად ჩვენს, მეხსიერებას შემორჩენია. დიდი ეჭვი მაქვს, თუმცა შეიძლება ვცდები და გამისწირეთ, რომ ჩვენი პროექტის თეორიული ბაზისი – ეკონომიკური კრიტიკა – მარქსიზმის ანასხლეტია და ეს არი არის არც ცუდი და არც კარგი...

რადგან უკვე ლიტერატურას მიუუახლოვდით, მოვიტან მარკ ოსტინისა და მარტა ვუდმანის იმ თვალსაზრისს, რომლდანაც ჩვენი თემა ამოიზარდა:

1978 წელს მარკ შელმა გამოსცა წიგნი „ლიტერატურის ეკონომიკა“, რომელშიც ავითარებს აზრს, რომ ლიტერატურული ნაწარმოები შედგება ტროპული შენაცვლებებისგან, რომელთა გაანალიზება ეკონომიკური ცნებებითაც შეიძლება. ეკონომიკური ლიტერატურული კრიტიკისათვის აქ საგულისხმოა ლიტერატურულ მიმოცვლასა და სასაქონლო მიმოცვლას შორის ანალოგია და იმ დისკურსთა გაერთიანება, რომელთაც სწავლობს ლიტერატურის თეორია და ეკონომიკის თეორია. აქ უნდა გავიხსენოთ, წერენ ოსტინი და ვუდმანი, რომ პოლიტიკური ეკონომიკის მეცნიერება წარმოიშვა ტიპურ ბურჟუაზიულ ლიტერატურულ ფორმასთან – რომანთან ერთად. მკვლევარნი მოიშველიებენ დევიდ კაუფმანის აზრსაც: „კომერციული კაპიტალიზმის სწრაფმა განვითარებამ და ინსტიტუციურმა კონსოლიდაციამ მეთვრამეტე საუკუნეში წარმოქმნა ეკონომიკის, სახელმწიფოს, მორალისა და სამოქალაქო უფლებების ახლებური აღწერებისა და აპოლოგიის საჭიროება, რომელიც დაკმაყოფილებულ იქნა პოლიტიკური ეკონომიის, ისე როგორც რომანის მიერ“.

მკვლევარნი მართებულად აღნიშნავენ, მაგრამ ჩვენის მხრივაც ვთქვათ, რომ ეკონომიკა და ლიტერატურა არათუ უკავშირდება ერთმანეთს, არამედ სრულიად განუწვალელებლნი არიან ერთმანეთისგან, რადგან ერთმანეთს ასახავენ და ერთმანეთში აისახებიან.

ანტიკურობიდან მოყოლებული, ლიტერატურის ძირითად ფუნქცია იყო საზოგადოებაში არსებულ წინააღმდე-

გობათა მხატვრულ სახეებში ნათლად ასახვა და წარმოჩენა. წარსულში ფორმირებული პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ვიდრე სოციოლოგია და პოლიტეკონომია/თეორიული ეკონომიკა მიჰყოფდნენ ხელს საზოგადოებრივი საკითხების ასახვას, მისი არსობრივი მხარეები მხატვრულ ლიტერატურაში აისახებოდა. ამიტომ, შეიძლება ითქვას, რომ ეკონომიკური პრობლემების თავწყაროს მონიშვნა, შემოწერა და მოჩარჩოება სწორედ მხატვრული ლიტერატურაში ხდებოდა. რაც უფრო ზუსტად და დამარწმუნებლადაა აღწერილი ეკონომიკური პრობლემატიკა, მით უფრო ნათელია მხატვრულ სახეთა წყება და მით მეტი ისტორიული მნიშვნელობა ენიჭება ნაწარმოებს. ყოველმა ჩვენგანმა კარგად უნყის, რომ ყოფის ამა თუ იმ პასაჟის ეკონომიკური ნახნავის წარმოჩენის მიხედვით მხატვრული ტექსტის ამოცნობასაც კი შევძლებთ ხოლმე. განგებ არ ჩამოვთვლი ამ მხატვრული მოვლენებთანა პერსონიფიკაციებს და მხოლოდ რამდენიმე ვითარებასა თუ სცენარს გავიხსენებ: მხატვრულ სივრცეში შეიძლება აისახოს უკვე ძველი და დაღმავალი არისტოკრატიის ეკონომიკური სახე, რომლის შესახებაც რევოლუციონერი კლიშირებული რიტორიკით აღნიშნავს, რომ კედელი დამპალა და მისი საბოლოო ჩამოშლისათვის ოდნავი ბიძგილაა საჭირო; ან: რომანტიკულად განწყობილი პერსონაჟი ქალი ყურადღებას არ აქცევს ეკონომიკურ დამოუკიდებლობას და თავის ამ გადანყვეტილებას ეწირება კიდევ; ან: მწერალი აჩვენებს მოხელეთა ბუნებრივ გამყიდველობასა და მექრთამეობას, მათ ზენოლას პროგრესის განმასახიერებელ ვაჭრებზე და, ძნელი არ არის მიხვედრა, რომ სალიტერატურო სივრციდან უამრავი ამგვარი ვითარების გახსენება შეიძლება.



რომანის დაბადებას რაც შეეხება, ნათქვამიდანაც ცხადია, რომ ცნობიერების რომანული ტიპი საზოგადოების დინამიკას უკავშირდება.

ლიტერატურათმცოდნენი ვლასპარაკობთ რომანის ანტიკურ სახეობაზეც, მაგრამ თანამედროვე მნიშვნელობა რომანმა როგორც სინთეზურმა მხატვრულმა მოვლენამ აგერ, გუშინნინ, ანუ XVIII-XIX საუკუნეების მიჯნაზე შეიძინა.

რომანს ჰქონდა, რასაკვირველია, წინარე ისტორია.

შუასაუკუნეების ეპოქაში ევროპულ ენებში ფიგურირებდა ზედსართავი სახელი „რომანს“ (რომანს), რომელიც აღნიშნავდა ზეპირ, „ხალხურ“ ენას წერილობითი ლათინურის საპირისპიროდ. XII საუკუნიდან ამ სახელდებით აღნიშნავენ ტექსტებს, რომლებშიც ფიქსირებული იყო, ადრე ზეპირი ფორმით არსებული, თხრობითი სიტყვიერება და აგრეთვე ის ენაც, რა ენაზეც ეს ტექსტები იქნა ჩაწერილი (ანუ „რომანს“-ი ერქვა ტექსტსაც და ენასაც). ეს მხოლოდ კომუნიკაციის ტექნიკურ – ენობრივ და წერილობით – ფორმას მიუთითებს. გვიანდელი ფრანგული არსებითი სახელი „რომანისტი“ („რომანციერ“) იმდროს არსებობდა როგორც ზმნა და აღნიშნავდა „გადათარგმნას ლათინურიდან ფრანგულზე“, ხოლო XV საუკუნიდან – „ფრანგულად მოყოლას“.

რომანის თვითმყოფადობას უპირისპირდებოდა სასულიეროთა გარკვეული წრეები (იეზუიტები, კალვინისტები). მათ ემატებოდნენ კლასიციზმის გემოვნებაზე ორიენტირებული ლიტერატურის კანონმდებელნი (ბუალო, ვოლტერი, დიდრო).

რომანის ჟანრის წინარეისტორია და დაკანონება ლიტერატურის სისტემაში (გარდა „კეთილშობილი წინაპრებისა“ – აღმოსავლური ზრაპრისა, ანტიკური ეპიკისა, შუასაუკუ-

ნეების სარაინდო თხრობებისა) მიმდინარეობს ორი მიმართულებით.

ერთი მხრივ იგი გამოიმუშავებს საკუთარ ესთეტიკურ ნესებს, აფუძნებს „რეალისტურ“ პირობითობათა სიმრავლეს, როდესაც ძალას იკრებს რეფლექსურობის, თამაშებრივი დრამატიზაციისა და ანალოგიის წარმოსახვითი ფორმები ფიქციური წერილობითი თხრობის – დიალოგისა და პოლილოგის, პირდაპირი, არასაკუთრივ-პირდაპირი და ირიბიმეტყველების, დღიურის, ჩანაწერების, მიმოწერისა და სხვა – ფარგლებში. იხვეწება დოკუმენტურობის ეფექტის შექმნის სხვადასხვა საშუალებები/ხერხები.

მეორე მხრივ, ხაზი ესმის რომანის კითხვის ზნეობრივი სარგებლიანობისა „ღირსეული პუბლიკისათვის“. თვითდადგინების ძიებისას რომანების უწინდელი ავტორები და რომანის ჟანრის თეორეტიკოსები მიმართავენ ახალი დროების ბუნებისმეტყველებითი და ზუსტი მეცნიერებების, ფილოსოფიისა და ისტორიის მიღწევებს. სწორედ ამ ინტელექტურლური არსენალიდანაა ნასესხები „რეალიზმის“, „კონვენციის“ და „ფიქციის“ ცნებები და პრინციპები.

ამასთან ერთად, რომანი სეკულარიზებულ საზოგადოებრივი ჯგუფების ცნობიერებაში იკავებს ცხოვრების საზრისის რელიგიური დაფუძნების ადგილს და თავის თავზე იღებს „საერო წერილობის“ როლს; რომანი მრავალი მაშუალის რგოლის წიაღ ითვისებს ქრისტიანულ „მორალური“ წარმოდგენებს პიროვნულ პასუხისმგებლობაზე და ზნეობრივ ფრომირებაზე, რომლებიც გაიაზრება „საბოლოო“ პესპექტივიდან, უკიდურესი ღერებულეობრივი პოზიციებიდან. აქ ინგლისისათვის მნიშვნელადია ანგლიკანური პრინციპები, გერმანიისათვის პროტესტანტიზმისა და პიეტიზმისა, საფრანგეთისათვის – მორალისტური ესეისტიკის მიერ

ადაპტირებული კონცეფციები იანსენისტებისა (რომლების ადამიანის ღვთაებრივი დანიშნულების ყოვლიშემძლეობა განადიდებდნენ ) და მათი ზემოქმედება რომანზე, კერძოდ, აბატი პრევოს რომანზე და სხვა.

ეს შიდალიტერატურული პროცესები ვითარდებოდა ინტენსიური სოციალური და კულტურული ძვრების კონტექსტში.

XIX ს.-ის პირველ ათწლეულებში ევროპის სოციალური და კულტურული მასშტაბური ცლილებების პროცესის რელევანტური მხატვრული ფორმა ხდება რომანი როგორც სინონიმი „თანამედროვეობისა“. თვით რომანის როგორც ლიტერატურული ფორმის გამოჩენა დაუკავშირდა სოციალური წყობის რადიკალურ ძვრებს. დგება რომანის „ოქროს ხანა“, ამ ჟანრის უდიდესი მიღწევების ჟამი და ამასთან ერთად, საზოგადოდ ლიტერატურისა და ახალი „კლასიკოსების“ ზეობის ეპოქა. მათ შორის არიან ის მწერლები, რომლებმაც ჯერ დაამხეს და შემდეგ შექმნეს ჟანრის პოეტიკა.

სწორედ რომანი იქცა ახალი დროების ყველაზე დიდ მიღწევად.

და ეს ყველაფერი, ცხადია ახალმა დროებამ მოიტანა. კულტურის რაციონალიზაციასა და სეკულარიზაციას თან მოჰყვა ცხოვრების ობიექტური წესის პრობლემატიკიდან ყურადღების თანდათანობითი გადატანა სუბიექტურ აქტორზე, ინვივიდზე. ადამიანური არსებობის, ცხოვრების გაზრება ხდება სუბიექტური სანყისის წიაღ. კარსმომდგარი ახალი, გართულებული რეალობის მონესრიგების ცენტრად აღიქმება პიროვნება. ამ პრობებში სიტყვიერ ხელოვნებას უჩნდება მთლიანად კულტურის მფლობელის სტატუსის პრეტენზია, რადგან, ხელოვნების სხვა დარგების – ფერწერისა და მუსიკისაგან – განსვავებით მას ძალუძს ცხოვრე-

ბისეული, ყოფითი მთლიანობის რეალური ძვრების იმიტირება.

შემოქმედის პრეროგატივით აღჭურვილი ავტორის ნებელობით გაერთიანებული ნაწარმოები თავისი მთლიანი და ჩაკეტილი, წარმოსახული, დროითი ხანგრძლივობისა და გააზრებული სტრუქტურის მქონე „კერძო ადამიანის ისტორია“ წარმოგვიდგება „ადამიანის მოდემის ისტორიად“. კერძობითისა და გვარეობითის მხატვრულ სივრცეში ამგვარი შენივთება ბადებს ახალ, დაინტერესებულ მკითხველს და უაღრესად ზრდის რომანის ჟანრის პოპულარობას ახალ დროებაში. ახალი ლიტერატურული სისტემის ავტონომიური ფარგლების ჩამოყალიბება, რომანის პოეტიკის განმსაზღვრელი ნიშნების ფორმირება, ეს, თავის მხრივ, სადაც ყოფაზეც ახდენდა გავლენას და მხატვრული, მოდელირებული სისტემიდან ახალი ყოფითი პარადიგმა მკვიდრდებოდა. ეს, თავის მხრივ, გავლენას ახდენდა საზოგადოების ღირებულებრივ ორიენტაციაზე და საბოლოო ჯამში ხდებოდა იმ სამოქალაქო ცნობნიერების ფორმირება, რომელსაც დღეს დასავლურს ვუწოდებთ.

ეს ყველაფერი ხდებოდა „იქ“, ჩვენგან შორს, როგორც ბრიტანელმა ისტორიკოსმა ერიკ ჰობსბაუმმა უწოდა, „ხანგრძლივ მეცხრამეტე საუკუნეში“ და, როგორც მერე ილიამაცა თქვა, „სხვათათვის დიდ საუკუნეში“, რაც იმასაც ნიშნავს, რომ კაპიტალიზაციის ის პროცესი ჩვენ არ და ვერ გვეხებოდა.

იქ კი კარგა ხანია იდგა ახალი დროება, რომელიც იყო ბურჟუაზიული რევოლუციების, სამრეწველო გადატიალების ხანა, დემოკრატიული პოლიტიკური სივრცის და სამოქალაქო საზოგადოებების ფორმირების, ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების იდეისა და საბაზრო ეკონომი-

კის დამკვიდრების ეპოქა. მოვლენათა მხოლოდ უბრალო და არასრული ჩამონათვალითაც კი ჩანს, რომ ძველ სამყაროსთან ანუ შუასაუკუნეებთან შედარებით, ამ საგრძნობლად მოკლე ეპოქას სრულიად განსაკუთრებული ადგილი უკავია ევროპულ ისტორიაში.

რა თქმა უნდა, ჩვენშიაც ესმოდათ იქაურობის ხმა და, ილია ვახსენეთ და ისიც დავძინოთ, რომ სწორედ მას ესმოდა „ხმა ტკბილი“ ყველაზე კარგად. სხვა რამდენიმე მოყურადეც იყო, მაგრამ ყრუთა ქვეყანას, ჯელისომინოსი არ იყოს, ეს არ კმაროდა...

ეს ხმა გაისმა გიორგი წერეთლის „პირველ ნაბიჯშიც“, როდესაც „ქალაქ ფოთის ნავსადგურში პირველად ინივლა ცეცხლის გემმა, მისმა წივილმა პირველად განუფრთხო ძილი მტრისგან მოუძღვრებულ საქართველოს ერს. ეს იყო ახალი დროის მამლის ყივილი...“, მაგრამ, ცხადია, ერთი „დანვივლებით“ კაპიტალიზმი ვერც შემოვიდოდა. კოლონიაში ყველაფერი შორიდან გვესმოდა და, რაც ყურთასმენამდე აღწევდა, ისიც ჯერ რუსულ დარჯაკგამოვლილი, მეორეული და მილეული იყო. რუსეთში კი იდგა დიდი ფეოდალიზმის ხანა.

### დამონმებანი

მარკ ოსტინი, მარტა ვუდმანსი. ახალი ეკონომიკური კრიტიკა (შესავალი წიგნისა, შემოკლებით). ნიუ-იორკი, 1999. იხ. მისამართზე: [http://ekonomikurikonceptebi.blogspot.com/2015\\_09\\_01\\_archive.html](http://ekonomikurikonceptebi.blogspot.com/2015_09_01_archive.html)

ჯონ ბ. თომპსონი. მედია და მოდერნულობა (მედიის სოციალური თეორია), ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამოცემა, 2014.

კვერცხიშვილი 2005: კვერცხიშვილი ზ. მშვიდობით რაინდო და... . კრებულში – საქართველო ათასწლეულთა გასაყარზე. არეტი, თბ. 2005.

აბზიანიძე 2015: აბზიანიძე ზ., ლიბერალიზმის ეპოქა და მისი მნიშვნელობა ჩვენი თანამედროვეობისათვის. კრ.-ში: ლიბერალიზმის ეპოქა ქართულ ლიტერატურაში. ლიტერატურის ინსტ. გამომც. 2015

ჭავჭავაძე 1956: ჭავჭავაძე ი. ჩვენი ქვეყნის ეკონომიური ცხოვრების საზრუნავი. თბულებანი ათ ტომად, ტ. 7, თბ., 1956

Гронас 2002: Гронас М. Новая экономическая критика (вступительная заметка), НЛО, 2002, № 58

Лукач 1939: Лукач Г. К истории реализма. М. 1939.

Беньямин 2004: Беньямин В. Маски времени (Эссе о культуре и литературе). Санкт-Петербург, symposium 2004.

Моем 1991: Моем У. С. Подводья итоги. М.: 1991.

## აკაკი წერეთელი და ქართული მწერლობის პროფესიონალიზაციის პროცესი

მრავალრიცხოვან მემუარულ ჩანაწერებში, რომლებიც აკაკი წერეთელს ეძღვნება, არც ისე ადვილია XIX-XX საუკუნეთა მიჯნის სოციო-კულტურულ ინტერიერში პოეტის ობიექტური პორტრეტის აღდგენა. ეს არც არის გასაკვირი, რადგან არც ერთ ქართველ მოღვაწეს, პოეტი იქნებოდა ის, პროზაიკოსი თუ პუბლიცისტი (თუ ყველაფერი ერთად), არ ღირსებია ისეთი საყოველთაო აღტაცება, როგორც აკაკის. ვასილ ამაშუკელის ცნობილ ფირზე აღბეჭდილ „მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმში“ (191 წ.) ჩანს თაყვანისცემის ისეთი ხარისხი, რომლის ახსნა მხოლოდ ნაწილობრივია შესაძლებელი. თუ კონკრეტიკას მივყვებით, სახეზეა რეალური და პოტენციური მკითხველების პოეტთან არნახული ერთიანობა, გმირისმადიებელი ჩაგრული და უუფლებო საზოგადოების ეგზალტაცია, პოეტური სიტყვის, შესაბამისად კი მწერლობის, მაღალი ავტორიტეტი, და როგორც ხშირად ამტკიცებენ ხოლმე, ილიასთვის გადაუხდელი ვალის გამოსყიდვის მცდელობაც. დანარჩენი, როგორც იტყვიან, მეტაფიზიკაა.

ამ ყველაფერში სხვებზე უკეთ, როგორც ჩანს, მაინც აკაკი იყო გარკვეული, რაც დასტურდება კიდევ ერთ-ერთი მემუარისტის, ივანე იოსელიანის, მოსაზრებით: „პირადი ბედნიერება ქვეყანას მტლად დაუდო და 50 წლის შრომას არავინ უფასებს. რამდენი ახალი საქმე ნამოუწყია ნახევარი საუკუნის მანძილზე. მარტო ჭიათურის მარგანეცის

აღმოჩენა რად ღირს, მაგრამ აქაც სახელიც სხვას დარჩა და სახრავიც; პენსია აღუთქვეს, მაგრამ ფულის მისაღებად მისულს სამი თითის კომბინაცია აჩვენეს; მაშ, ვის უნდა ვუმაღლოდე, რომ დღემდე შემრჩენია სიცოცხლე და შრომის სურვილი – ჰკითხულობს პოეტი და თვითონვე უპასუხებს: ხალხს, უბრალო ხალხს, რომელმაც უკრიტიკოდ მიმიღო“.

ხალხის ისტორიის სუბიექტად წარმოჩენა, მისი სახელით აპელირება, რასაც აკაკი ხშირად მიმართავდა, ისევე, როგორც ხალხის გენიის გადაჭარბებული შეფასება, იმ გარდამავალი ეპოქის გამოძახილი იყო, რომელშიც პოეტი ცხოვრობდა. სწორედ ამ ეპოქამ მოამწიფა და შეუქცევადი გახადა ჯერ დასავლეთ, შემდეგ კი აღმოსავლეთ ევროპაში ლამის საყოველთაო ფსიქოზად ქცეული იდეოლოგიურად კარგად შეფუთული სოციალური რევანშის იდეა, აქედან გამომდინარე ყველა შედეგითურთ. თუმცა ეს არ იყო ერთადერთი სიახლე. აკაკის მოღვაწეობის პერიოდი, რომელსაც საფუძვლიანად უწოდებენ როგორც „დიდი რეფორმების“, ასევე ტერორიზმის ზრდისა და რევოლუციური პროტესტის ღიად გამოხატვის ხანას, ყურადღებას „პროფესიების წარმოქმნითაც“ იქცევს. ამ მოვლენამ კი სერიოზულად შეცვალა მწერლობის, როგორც პროფესიისა და თავად მწერლის სტატუსი. თავის ხანგრძლივ და რთულ შემოქმედებით გზაზე აკაკიმ არა მარტო აქტიური მონაწილეობა მიიღო ქართული ლიტერატურისა და კულტურის გარდაქმნაში, არამედ შეძლო ერთ-ერთი პირველი პროფესიონალი მწერლის სახელის დამკვიდრებაც, რაც ჩვენი საზოგადოების განვითარების მთელ რიგ თავისებურებათა გათვალისწინებით, სერიოზულ სირთულეს წარმოადგენდა.

მკვლევართა ის ჯგუფი, რომელიც ეკონომიკურ კრიტიკას ლიტერატურული კვლევების ახალ და პერსპექტიულ

მიმართულებად მიიჩნევს, ტერმინ „პროფესიონალიზმს“, როდესაც მას ლიტერატურასთან მიმართებით განვიხილავთ, სამი სხვადასხვა მნიშვნელობით წარმოგვიდგენს: ა) როგორც „მონოდებას“; ბ) როგორც ფინანსურად სტაბილურ საქმიანობას და არსებობის ძირითად საშუალებას; გ) როგორც ავტორის ხაზგასმულ პატივისცემას სიტყვისადმი, ამასთან კრიტიკოსის პასუხისმგებლობას მკითხველის წინაშე. ვნახოთ, რამდენად მიესადაგება ამგვარი დიფერენცირება XIX საუკუნის დასასრულისა და XX საუკუნის დასაწყისის ქართული მწერლობის განვითარების დინამიკას და თვით აკაკის ამ პროცესებში მონაწილეობის სხვადასხვა ასპექტებს.

იმისათვის, რომ მწერალს ასე თუ ისე ეცხოვრა თავისი შრომის ანაზღაურებით, ბუნებრივია, მხოლოდ მონოდება საკმარისი არ იყო. ვერც ტალანტი, წარმოსახვის უნარი თუ განათლება ჩაანაცვლებდნენ იმ ფინანსურ მხარდაჭერას, რომელიც მას მოღვაწეობის საწყის ეტაპზე მაინც სჭირდებოდა. საჭირო იყო გარკვეული საზოგადოებრივი ინსტიტუტები, რომლებსაც დასავლეთ ევროპის მსგავსად რუსეთშიც (თუმცა, როგორც ყოველთვის, ნელი ტემპით და დაგვიანებით) ეყრებოდა საფუძველი. აქ, როგორც უილიამ ტოდი თავის უაღრესად საგულისხმო წერილში „დოსტოევსკი, როგორც პროფესიონალი მწერალი: პროფესია, საქმიანობა, ეთიკა“ (НЛО, 2002, 149) აღნიშნავს, XIX საუკუნის 20-30-იან წლებში ასე თუ ისე მაინც „იწყება მოძრაობა არისტოკრატიული სალონებიდან და სტუდენტური წრეებიდან ბაზრისკენ, ხოლო კრიტიკა, რომელსაც უნდა წარემართა მკითხველთა დამოკიდებულება, ჯერ არ იყო ჩამოყალიბებული“. ჩვენს რეალობასთან მიმართებით, დაუმატეთ ყოველივე ამას საზოგადოების სრული დეზორიენტაცია, თან-

დათანობით ძალის მომკრები გამარუსებელი პოლიტიკა და მართებულად შეაფასებთ იმ მომენტის ისტორიულობას, რომელსაც, ფაქტობრივად, „სულზე მოუსწრო“ „თერგდალეულთა“ თაობამ და რომლის ერთ-ერთი ანგარიშგასაწივეი ძალა აკაკი წერეთელიც იყო.

საკმაოდ რთულია საუბარი მწერლობის პროფესიონალიზების პროცესის თანმიმდევრობასა და ლოგიკურობაზე იქ, სადაც სერიოზული კულტურული წყვეტა ხდება – სწორედ ისეთი, როგორც XIX საუკუნის დასაწყისის საქართველოში. ჩვენი ტექსტოლოგების საინტერესო დაკვირვებით „1801 -1837 წლებში თბილისში რვა წიგნი დაბეჭდილა მხოლოდ. მიზეზი ამისა ის გახლდათ, რომ ქართველობა იგლოვდა დაკარგულ ეროვნულ თავისუფლებას და, როგორც ჩანს, წიგნისთვის არ ეცალა“. (გაბოძე, 2009, 9).

ცნობილ ოჯახებსა და ლიტერატურულ სალონებში შეკრება, განუსაზღვრელი ვადით საწერი მაგიდის უჯრაში იმთავითვე გამოსაკეტად განწირული ლექს-პოემები, შემოქმედისა და მკითხველის ურთიერთგაუცხოება და მხოლოდღა განსჯა-საუბარი მომავლის ლიტერატურაზე – ეს ყველაფერი XVIII- XIX საუკუნეების პირველი ნახევრის ქართული საზოგადოების მოაზროვნე ნაწილსაც ახასიათებდა. ღვთის პირიდან გადავარდნილი ვოლტერის გამო შვილთან უბრად მყოფი ქართლ-კახეთის უკანასკნელი მეფე გიორგი XI, ზნეობრივად და ინტელექტუალურად მთლიანი პიროვნების, ს. დოდაშვილის, „ტფილისის უწყებათაწინის ლიტერატურული დამატება“, ერისთავისეულ-კერესელიძესეული „ცისკარი“, ფრანგული რომანტიზმით შთაგონებული ალექსანდრე ჭავჭავაძის ანტისპარსული, ანტიალმოსავლური გზავნილი და ბარათაშვილის იმედიანი: „ლიტერატურა ჩვენი, ღვთით, დღე და დღე შოულობს ახალთა მოყვარეთა.



მრავალნი ყმანვილნი კაცნი, მოცლილნი სამსახურიტგან, მყუდროებაში და მარტოობაში, შეენევიან მამეულს ენას, რაოდენითა ძალუძთ...“ – ამ „უგზობის წლების“ ნათელი გამოვლინებებია. ცხადია, არისტოკრატია მწერლობის პროფესიად ქცევის აუცილებლობის აღიარებისგან შორს იდგა (ქართველმა მეფე-პოეტებმა მწერლობას საკრალურობა შესძინეს – ზ. ანდრონიკაშვილი), თუმცა უკვე 50-იანი წლებიდან ლიტერატურასთან ახლოს მდგომ გამომცემელთა და წიგნის გამავრცელებელთა აქტიურობა პერსპექტივაში ამ იდეას შეუძლებელს სულაც არ ხდიდა. პლ. იოსელიანისა და დ. ჩუბინაშვილის გარდა, პ. უმიკაშვილი, ივ. კერესელიძე, მოგვიანებით ზ. ჭიჭინაძე, უშუალოდ აკაკისთან დაკავშირებული ექვთ. ხელაძე, ნ. და გ. დისამიძეები, ი. მერკვილაძე, ძმები ჭილაძეები, მ. ლალიძე, ი. მანსვეტაშვილი, კ. თავართქილაძე, ა. ლულაძე) სწორედ ამ ტიპის ინიციატივებს, ანუ მწერლობის სხვა განზომილებაში გადაყვანის, მისი კომერციალიზების ტენდენციას განასახიერებენ.

და მაინც, ლიტერატურული შრომისადმი განსხვავებული დამოკიდებულება იწყება ილიას მიერ კოზლოვის „შემლილის“ უხეირო თარგმანის გამო დაწყებული კონცეპტუალური კამათით, რომელსაც ეპიგრაფად ბელინსკის ცნობილი ციტატა აქვს წამძღვარებული. ეს ის ბელინსკია, რომელიც ახალი რეალისტური ესთეტიკის შექმნასთან ერთად, სერიოზულადაა დაინტერესებული მწერლობისა და კომერციის ურთიერთობათა დარეგულირების პრობლემით. (მაგ. ბელინსკი გოგოლთან და სენკოვსკის ჟურნალ „Библиотека для чтения“-სთან ერთად პოლემიზირებას ეწევა ვინმე შვიროვთან, რომელიც ლიტერატურული შრომის ფულადი ანაზღაურებით მწერლობას დაქცევას უწინასწარმეტყველებს. მისი არგუმენტები ასეთია: ფასიანი ავტორები

შეგნებულად ხდებიან მრავალსიტყვიანნი, ვაჭრობა დალუპავს გემოვნებას, აზრს, მორალს, დახვეწილობას, მართალ კრიტიკას – ტოდის დასახ. წერილი). შემთხვევითი ადამიანებისგან ლიტერატურული ველის განმენდა, მისი მიზანდასახულობისა და პასუხისმგებლობის გამოკვეთა, რასაც ილია მოითხოვდა, იყო კიდევ მწერლობის პროფესიონალიზებისკენ გადადგმული ქმედითი ნაბიჯი. აკაკიც იწონებდა ამ ნოვაციას და მიუხედავად იმისა, რომ მის დამწერგავს არც ისე ძლიერ პოეტად მიიჩნევდა, იმავდროულად ყველაზე გონიერ ანგარიშგასანევ მოღვაწეს უწოდებდა.

ალექსანდრე მეორის რეფორმების სასტარტო ეტაპზე, 1859 წელს, რუსეთში ინგლისის სამეფო ფონდის მიზაძვით იქმნება თვითმმართველობითი საქველმოქმედო ორგანიზაცია ლიტერატურული ფონდი (აქამდე ამ ტიპის ორგანიზაციები აკრძალული იყო), რომელიც სესხების, დახმარებების და ძირითადად შემონირულობების ხარჯზე ეხმარებოდა მწერლებს, მეცნიერებს და მათ ოჯახებს. ჩვენთან მეტ-ნაკლებად მსგავსი ორგანიზაციები მოგვიანებით შეიქმნა: 1879 წელს „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“ და 1890 წელს „წიგნის გამომცემელთა ქართველთა ამხანაგობა“. ნათელია ის კანონზომიერებაც, რაც მათ წარმოქმნას განაპირობებს: მწერლის შრომის სათანადო დაფასება, ამასთან ჟურნალისტიკის, როგორც პროფესიონალური მწერლობის კიდევ ერთი სახეობის, შემდგომი განვითარება, რომლის გარეშე შეუძლებელია რამდენადმე ადეკვატური მკითხველთა აუდიტორიის შექმნა და საგამომცემლო საქმის გაფართოება, რაც თავის მხრივ ეფუძნება საზოგადოების განათლების საერთო დონეს (მაგ. ინგლისში ნიჭიერების გარდა, მობილური და მზარდი საზოგადოების სწორედ ეს ატრიბუტები განაპირობებდა ჩარლზ

დიკენსის წიგნების არნახულ ტირაჟსაც და მათი გავრცელების სისწრაფესაც). მოკლედ, ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული ეს ტრიადა: საყოველთაო განათლება, ჟურნალისტიკით თავისუფალი სიტყვის უფლებების კულტივირება, წიგნის ბაზრის გაფართოება ის სამი საყრდენი იყო, რომელზედაც უნდა დაფუძნებულიყო მწერლობის პროფესიად გადაქცევა.

ორი რამ, რაშიაც ყველა თაობის მკვლევარი თანხმდება – აკაკის გამორჩეული მახვილ(გნებავთ, მწარე)სიტყვაობა და სახელმწიფო სამსახურისადმი სრული უნდობლობაა. ამ ორმა ფაქტორმა, უფრო ზუსტად კი, თავად პოეტის თვითშეფასება რომ გამოვიყენოთ, ახირებულობამ, განაპირობა მისი მატერიალური სივინროვეც (თვითონ „კნიაზურ ჯიბეს“ რომ უწოდებდა) და გარკვეული თვალსაზრისით, მისივე ყველა ტიპის ტექსტის როგორც თემატური, ისე მხატვრულ-კონცეპტუალური გადაწყვეტაც. აი, რას ეუბნება იგი სამწერლო მოღვაწეობის მოსურნე ერთ ახალგაზრდას: „...მთავრობის სამსახურში მაინც არ შეხვიდე, სადმე კერძოდ მოეწყვე... სამსახური საზოგადოდ ღუპავს კალმის მუშაკს. ეგაა ჩვენი უბედურება, რომ უსახსრონი ვართ და ბევრი საიმედო ახალგაზრდა იღუპება სამსახურის ქაობში...“ (მოგონებანი, 1990, 214)

ბატონყმობის რეფორმირების პერიოდში (იქ ჩრდილოეთში უკვე გამოცხადდა მანიფესტით, აქ ჩვენთან სადაცაა უნდა გახმაურდეს) რუსეთიდან ჩამოსულ აკაკის (1862), როგორც თანამედროვენი ირწმუნებიან, სახელმწიფო დაწესებულებებში სამსახურს სთავაზობენ, თუმცა ახალგაზრდა თავადიშვილი, მაშინ ჯერ კიდევ ბევრისთვის გაურკვეველი ღირებულებებით, მოხელეობა-ჩინოვნის მოძულე აღმოჩნდება. ამით იგი მის მომლოდინე როგორც ძვე-

ლი, ისე ახალი თაობის წარმომადგენლებს გაანზილავს. თუ რატომ ძველებს – ადვილი გასაგებია. თავადაზნაურობას, რომელსაც არ ეთმობა საკუთარი პროვილეგები (სხვათა შორის, ეს თვისება თავად პოეტსაც ახასიათებდა და ამაზე ქვემოთ ვისაუბრებთ), აკაკის პოეტობა, ანუ მესტვირეობა მაღალი ფენის წარმომადგენლისთვის სათაკილო, შეურაცხმყოფელ საქმედ მიაჩნია და არსებული ვითარების გამოსწორებას იმედოვნებს. გავიხსენოთ თუნდაც თავად კონსტანტინე აბაშიძის ცნობილი წერილი აკაკის მამის, როსტომ წერეთლისადი: „ძმაო როსტომ! შენი შვილი რომ რუსეთიდან დაბრუნდა, ჩვენ ყველა სიხარულით მივეგებეთ: გვეგონა, რომ ოჯახს ფეხზე დააყენებდა და ჩვენც, მისიანებს, გვარგებდა, მაგრამ მის ნაცვლად, რომ სამსახურში შესულიყო და წინ ბიჯი წაედგა, ან ადვოკატობით სხვებსავით მოეხვეჭა რამე, ეგ დალოცვილი მესტვირეობას გამოუდგა და ლანძღვით ქვეყანა გადაიკიდა...აქ იმერეთია.... მაგრე ხომ არ იტყვიან, ქვეყანა დასცინის...“ (კვალი, 1893, #34). რაც შეეხება ახლებს, აქ ვითარება ბევრად უფრო რთულია, რადგან ყველა ნიშნით, გამორჩეული ნიჭიერებისა და მახვილი გონების მქონე აკაკი თუ კრონშტადტის პატიმრებს შორის არა (სტუდენტურ მანიფესტაციაში მონაწილეობის გამო მაშინ, როგორც ვიცით, დააპატიმრეს ნ. ნიკოლაძე, კ. ლორთქიფანიძე, გ. წერეთელი, ბ. ლოლობერიძე და სხვ. ილია გადარჩა იმის გამო, რომ ამ დროისთვის უკვე სამშობლოში იყო გამომგზავრებული) ილიას მიერ დაარსებულ „საქართველოს მომზის“ გულშემმატკივართა შორის მაინც უნდა ყოფილიყო. თუ რამ შეუშალა ამას ხელი, გვატყობინებს პოეტის ახლობელი კირილე ლორთქიფანიძე: მას შემდეგ, რაც აკაკის თავისებურად გაუტრიზავებია ილიას „ქართველ სტუდენტების სიმღერა“ ანუ მოუხდენია მისი

პაროდირება, რაც „სიმღერის“ ავტორის მიერ ახალი თაობის უნმინდესი ფიცის ხელყოფად იქნებოდა აღქმული, ილია უარს აცხადებს თანამშრომლობაზე: „მის სტატიას, რომ შემეხვეწოს, არ დავბეჭდავო, ასე ანბობს,,“ ( ლ. ასას-თიანი, ცხოვრება აკაკი წერეთლისა, 2011, გვ. 43). ამკარად ვლინდება ხასიათის, მეტი რომ არა ვთქვათ, თავისებურება (თვითონ სიკერპეს რომ უწოდებდა), რომელიც უბიძგებს კიდეც აკაკის თვითმარგინალიზებით, ხაზგასმული განდგომით ან სულაც განსხვავებულად მოაზროვნე ჯგუფთან დროებით მიკედლებით გახდეს შეუცვლელი, წარმატებას სხვების დაუხმარებლად მიაღწიოს, დაიმსახუროს მოუსყიდველი, პროფესიონალი მწერლის სახელი. (მოკლედ, პროცესები ისე ვითარდება, როგორც ი. მეუნარგიას კითხვარისთვის დაწერილ აკაკისეულ თვითდახასიათებაში: „წერილმანში უხასიათო, საფუძვლიანში მტკიცე“) შესაძლოა, სწორედ ეს სურვილი განაპირობებდეს მის ნაუცბათევე და, როგორც აღმოჩნდება, უიღბლო ქორწინებას, შავი ქვის წარმოების გაშლის ასევე წარუმატებელ მცდელობას, ხანმოკლე საგამომცემლო საქმიანობას და სხვ. თუმცა, როგორც შემოქმედი, იგი არასდროს არ არის ხელმოცარული, რადგან ჟურნალ „ცისკრიდან“ დაწყებული პუბლიკაციებითა (ივ. კერესელიძის მტკიცებით, აკაკის ლექსები ჟურნალის დამატებითი ნომრების ბეჭდვას აიძულებდა, საბოლოოდ კი ხელისმომწერთა რიცხვს ამრავლებდა) და გაზეთ „დროების“ ფელეტონებით, სახელწოდებით „ცხელ-ცხელი ამბები“, ლექსის მთხზველთა და პუბლიცისტთა შორის კუთვნილი (შეიძლება ითქვას, შეუცვლელი) ადგილი აქვს დაკავებული. პასუხი კითხვაზე, თუ რას აძლევს მას მოხელეობის უარყოფა და სტაბილური შემოსავლის გარეშე ყოფნა, იკითხება აკაკის ახლობლის, ბესარიონ ლოლობე-

რიძის, ამ აღიარებაში: „მაგასთან ბრძოლა შეუძლებელია. რა უნდა ნაართვა და რა უნდა დააკლო, რომ არა აბადია რა?! ჭამა-სმას არ დაგიდევს და დასაწოლ-დასახურავს!... მარტო ჰყეფს და იღრინება!“ (ჩემი თავგადასავალი, 1989, 174). ეს კი შემოქმედებითი დამოუკიდებლობის მიღწევის აკაკისეულ გზაზე მიგვანიშნებს.

მართლაც, თბილისში ჩამოსული ახლადდაოჯახებული აკაკის მიერ „გაშლილ ფეხზე“ დაწყებული ცხოვრება სულ მალე შეუთავსებელი ხდება მისსავე შემოქმედებით პრინციპებთან. ზ. ჭიჭინაძე აღწერს მეპატრონისთვის ქირის გადაუხდელობის გამო მობინადრეთა თვალწინ ავეჯის სახელდახელოდ გატანისა და არქიმანდრიტ გრიგოლ დადიანისგან ნასესხები ფულით ცოლ-შვილის რუსეთში გამგზავრებისთანავე, მრავალთახიანი ბინიდან პოეტის მოკრძალებულ ნომერში გადასვლის დრამატულ ეპიზოდს, რაც ქრონიკული უბინაობითა და საბოლოოდ, ქუთაისის სასტუმრო „კოლხიდის“ მეპატრონის, გიორგი ჭელიძის, უანგარო ყესტით ( უფასო ოთახისა და კვების შეთავაზება) სრულდება. იმას, რომ იმ პერიოდში ეს თანადგომა აკაკისთვის არსებობის ერთადერთი საშუალებაა და ამასთან მას გარკვეულწილად ეჭვიც ეპარება ლიტერატურული შრომით თავის გატანის შესაძლებლობაში, ადასტურებს ნიკო ნიკოლაძის შემოთავაზებაზე (ატრ გაფლანგოს თავისი ნიჭი, გახდეს ფუნქციური ლიტერატორი და სტატიების საფასურად თვით ნიკოლაძის ჯიბიდან მიიღოს თვეში ხუთი თუმანი), პოეტის მიერ გაცემული პასუხი. 1869 წელს, მას შემდეგ, რაც გაზეთ „დროების“ რედაქტორად სერგეი მესხი ინიშნება, ნიკო ნიკოლაძე აკაკის თბილისში გადმოსვლას სთავაზობს. რას ამბობ, იქ როგორღა ვიარსებო... აქ გიორგი ჭელიძის დაუმაღლებელი ლუკმა მაინც მაქვსო – პასუხობს

აკაკი. თუმცა თავისი სატირული კალმის ძალას იგი ზემოთ ნახსენები „ცხელ-ცხელი ამბებისა“ და გრ. ორბელიანისადმი მიძღვნილი წერილით „ახმედ-ფაშა კახაბერით“, ლექსებით „ფარშავანგითა“ და „ხარაბუზა ლენერალით“ იგრძნობს (არ დაგვაგინწყდეს, რომ იმ პერიოდში გრ. ორბელიანი თბილისის გენერალ-გუბერნატორია). აკაკის ნაწერს მკითხველი ძალიან ეტანება, საგანგებოდ ეძებს და გამოარჩევს. ეს კი მისი, როგორც ავტორის, ამბიციებს აძლიერებს: „რანაირი კაცია ეს აკაკი წერეთელი? ... მუდამ წყრება, მუდამ მიზეზიანობს და რალაცისთვის გვემდურის!“ – წერს უცხოეთიდან თავის საცოლეს, კეკე მელიქიშვილს, სერგეი მესხი – „რატო ყოველ საზოგადო საქმეში მე არ მეკითხებიანო, მგონი ამიტომ ჯავრობს, თორემ სხვა რა მიზეზი უნდა იყოს ღმერთმანი, ვერ წარმომიდგენია. დღეს ნიკოლაძე ქუთაისში მიდის... ნახავს აკაკის და იმედია, როგორც მე დავალბე შარშან, ისე ესეც ისევე დაალბობს და დაამშვიდებს და ისევე დაანყებინებს წერას...“ მოალბეს, დაარწმუნეს რის შედეგადაც კვლავ გაგრძელდა ოსტატურად დაწერილი ფელეტონების ბეჭდვა ქუთაისის საზოგადოებრივი ცხოვრების, საბანკო საქმეების, ქართული და სომხური წარმოდგენების შესახებ. შესაბამისად გაგრძელდა გაზეთის არსებობაც, მკითხველთა მხარდაჭერითი მისი პუბლიცისტიკის მოწინავე პოზიციებზე დგომა.

აკაკი ხშირად სვამს აქცენტს ქართულ რეალობაში პირადი და საზოგადო ცხოვრების ინტერესთა საბედისწერო შეუთავსებლობაზე. საზოგადო რომ შეუფასებელია, მეტიც, გმობასა და დაცინვას იმსახურებს, მისი ცნობილი კალამბურიდანაც ჩანს: „ჯერ გატირებენ, მერე გიტირებენ...“ მიუხედავად ამისა, პირადულზე გადაგება და საზოგადოს უგულვებლყოფა, მის მიერ ცალსახად პრიმიტიული

და უბადრუკი აზროვნების ნიშნად აღიქმება. „დროება-შივე“ გამოქვეყნებულ ლექსში (1869) „რჩევა ახალგაზრდა მწერლებს“ ამგვარი ცხოვრების ერთგვარ მოდერატორად „ტვინმეისტერად“ წოდებული ცენზორია გამოყვანილი. ლექსი იმდენად ზუსტად გამოხატავდა მკითხველთა დიდი ნაწილის განწყობილებას, რომ აკაკის შემოურიგდა და რედაქციაში ბოდიშის სათქმელად ეწვია ადრე მისი უარყოფელი დავით ერისთავი, ანუ როგორც თვითონ ახასიათებს, „დრამების გადაძველებელი, მეტად გულწრფელი და კეთილი კაცი“. (ააჭიჩინე აჭი-ბაჭია, / მართალს, ჭკვიანურს ნურას იმღერი, / თორემ გამოჭხრავს შენს ჩანგს, ვით ჭია, / ჭკუის მტარვალ ტვინმეისტერი... / ...ხალხში სამართალს ტყვილა ნუ ელი! / თუ გსურს, არ მოჰკვდე ჩვენში მშიერი, / ფარისევლობას მიჰყავი ხელი / და მოგინონებს ტვინმეისტერი!...). მაშინ ცენზურამ ამ ლექსის დაბეჭდვის უფლება რატომღაც დაუბრკოლებლად გასცა (შეაპარესო მაშინდელ ცენზორს, ყაითმაზოვს), მაგრამ ყოველთვის ასე როდი იყო. ცენზორთა ინსტიტუტის პრაქტიკა, ისევე როგორც ზოგიერთ გამომცემელთა თავგასულობა (მაგ. იგივე სენკოვსკის, რუსი გამომცემლის, რომელიც ცნობილი იყო თავისი უპრეცედენტო გამოსხდომებით: სამი სტატიისგან ერთის შეკვრა, საკუთარი იდეებით სხვისი ტექსტის გაჯერება და, ძნელი წარმოსადგენია, მაგრამ თვით ბალზაკის ნაწერის ხელყოფა, მან „მამა გორიოს“ ბედნიერი ფინალი მიაბა) ამ პერიოდის რუსულ ლიტერატურულ ბაზარზე ჩვეულებრივი მოვლენა იყო. იქაურ სპეციფიურ სირთულეებს ვერც 1828 წელს გამოცემული საცენზურო წესდება და მისი დამატების სახით გამოქვეყნებული „მთხველის (СОЧИНИТЕЛЬ-ის) უფლებათა შესახებ“ შევლოდა. საყოველთაოდ ცნობილი იყო, რომ არა თუ ცენზორი, მწერალს მასზე პირადად და-

ბოლმილი რომელიმე ჩინოვნიკი ან თუნდაც ხელისუფალი მაინც წამოენეოდა. ჩვენთან ეს პროცესი უფრო ღია იყო, რადგან ცენზორობას თვით მეფისნაცვლებიც კი არ თაკილობდნენ, მაგალითად, ერმოლოვი, მოგვიანებით მეფისნაცვლის მოვალეობის შემსრულებელი გრ. ორბელიანი. (შეგვიძლია დავასახელოთ სხვებიც: ლ. ისარლოვი, რ. ერისთავი, ყაითმაზოვი, გ. ჟურული. ამ უკანასკნელის უკომპრომისობას იხსენებს ს. ფირცხალავა წერილში „პრესა და ცენზურა“). აკაკის ბიბლიოგრაფიულ ქრონიკაში თუ ჩავიხედავთ (ნ. გურგენიძე, ი. გორგაძე, 1989, 211), ვნახავთ არა მხოლოდ საცენზურო კომიტეტის მუდმივ ზედამხედველობას, არამედ ცენზორის თვალის ასახვევად პოეტის მიერ საკუთარ ლექსებზე გაკეთებულ ამ ტიპის არაერთ მინაწერს: „თარგმნილია რუსულიდან“ ან „გოჩაიანიდამ ამოწერილი“. ცხადია, ხშირია არასასურველი სტროფების ამოღებაც (მაგ. „თორნიკე ერისთავიდან“: „შვიდ სამეფოს მოგაგონებთ / მოელვარე ის შვიდფერი..“ და ა. შ. და ე. წ. ილბლიანი გაპარებებიც. დავასახელოთ თუნდაც თვით ლუკა ისარლოვისადმი მიძღვნილი ხელმოუწერელი ლექსი „არაკი“ („იყო ერთი მაიმუნი, / ეძახოდნენ ლუკა-მელას;/ ზურგს ეკიდა ქვეყნის წუნი,/ ულოკავდა ფეხებს ყველას...“). 1882 წელს, როდესაც აკაკის ჩაფიქრებული ჰქონდა გაზეთ „გზის“ გამოცემა, კავკასიის საცენზური კომიტეტმა თავისი უნდობლობა ორიგინალურად დაასაბუთა: გაზეთ „შრომიდან“ უკვე ვიცით რა მიმართულების ავტორია, გამოსცეს თავისი გაზეთი, ოღონდ ნურც კანონებს, ნურც საეროთო თვითმმართველობის ქრონიკას, ნურც სკოლების ამბებს და სასამართლოს ანგარიშებს, მით უფრო, ადგილობრივ ცნობებს ნუ შეეხებაო. ეს კი სხვა არაფერი იყო, თუ არა ნებართვა, რომელიც აკრძალვას უფრო ნიშნავდა.

ცენზურასთან აკაკის დაპირისპირების ყველაზე გახმაურებული ისტორია უკავშირდება მოგვიანებით, 1905 წელს, მის სარედაქტორო გაზეთ „ხუმარას“ გამოცემას, რომლის პირველ და უკანასკნელ ნომერში მაშინდელ გუბერნატორზე გამოქვეყნებული კარიკატურისა და სატირული ლექსის გამო მცირე ხნით, მაგრამ მაინც მეტეხის ციხეში აღმოჩნდა. ამ ფაქტმა და მხარდაჭერამ, რომელიც მაშინ არა მარტო პატიმრებისგან იგრძნობოდა, პოეტის სახელს მეტი პოპულარობა შესძინა.

რაც შეეხება თვით აკაკის დამოკიდებულებას მაშინდელ საგამომცემლო საქმესთან, იგი ძირითადად მაინც უკმაყოფილების შემცველი იყო (გავიხსენოთ თუნდაც დავა „ქართველთა ამხანაგობის“ თავმჯდომარე ალ. ჯაბადართან ათტომეულში შესატანი მასალის შესახებ დადებული პირობის დარღვევის შესახებ). ზოგადადაც, აკაკი წუხს საკუთარი ნაწერების გამოცემათა სიმწირის გამო. ორი ტომის მეტი არ გამოსულა, მაშინ, როდესაც რამდენიმე ათეული მაინც უნდა გამოსულიყო. მიზეზად ხელმოკლეობასა და დაუდევრობას ასახელებს... რეპუტაცია მწერლისა, რომელსაც ცალკე წიგნებად ან ტომებად უნდა გამოეცა თავისი თხზულებები, აკაკის ამ დროისთვის ნამდვილად ჰქონდა. პოეტის მიერ დასახელებულ მიზეზთა გარდა, საქმე ფერხდებოდა თავად ქართული წიგნის ბაზრის სიმწირით, ყოველი ქართული საქმისადმი თავად ქართველთა მიერ გამჟღავნებული უნდობლობით, სამამულო პროდუქციისთვის რუსული გამოცემების მიერ განეული სერიოზული კონკურენციით. უთუოდ ამ და სხვა ხარვეზების გასწორებას ემსახურება აკაკის ინიციატივა თვითონ უპატრონოს პრესის ფურცლებზე აქა-იქ, ზოგჯერ სრულად, ზოგჯერ კი ფრაგმენტულად დაბეჭდილ, მიუხედავად ამისა კი, მკითხველთა



შორის ესოდენ პოპულარულ თავის ნაწერებს. 1897 წელს თხოვნით მიმართავს კავკასიის საცენზურო კომიტეტს, მიეცეს ნებართვა როგორც საკუთრივ მისი, ასევე ხალხური შემოქმედების ნიმუშების თავმოყრის მიზნით გამოსცეს ჟურნალი „აკაკი თვიური კრებული“. საინტერესოა საცენზურო კომიტეტის მიერ ბეჭდვითი საქმის მთავარი კომიტეტისთვის წარდგენილი შუამდგომლობის ტექსტი, რომელიც აკაკის ორმოცნობიანი მოღვაწეობის ობიექტურ შეფასებას წარმოადგენს (იყო რეფორმებისა და გლეხთა გათავისუფლების აქტიური მომხრე, მრავალფეროვანი ნაწარმოებებით გაამდიდრა ქართული მწერლობა, შექმნა ახალი ლიტერატურული ენა). „კრებულის“ რედაქცია ჯერ თბილისში იყო, შემდეგ – ზესატაფონში. თბილისში მცხოვრებთათვის წლიური გადასახადი ექვსი მანეთი დაწესდა, ქალაქგარეთ გაგზავნით – შვიდი მანეთი, ნახევარი წლით ოთხი მანეთი (მოგვიანებით რედაქტორმა ამ ფასების გადახედვა მოითხოვა). თვით აკაკის სიტყვებით: თითო ნომერი 1 200 ეგზემპლარზე ნაკლები არ დაბეჭდილა. ლ. ასათიანი საგანგებოდ აღნიშნავს: „ეს პირველი მაგალითი იყო..., რომ მწერალს საკუთარი ნაწერებისთვის დაეარსებინოს პერიოდული ორგანო. თუმცა უნდა ითქვას, რომ ეს შეეძლო მხოლოდ ისეთ პროდუქტულ მწერალს, როგორც იყო აკაკი“ (ასათიანი, 2011, 214). მიუხედავად ამისა, აკაკის სამწერლო ენერჯია და ნიჭიერებით პროვოცირებული მუდმივი მოუსვენრობა მხოლოდ ამ თავისთავად მნიშვნელოვან ამოცანას ვერ დასჯერდებოდა. „კრებულით“ ბევრი რამ გაკეთდა ხალხური სიტყვიერების ნიმუშების გადარჩენა-შეკრებისათვის, რეპუბლიკაციების გვერდით ადგილი დაეთმო ახალ პუბლიკაციებს (რად ღირს თუნდაც „სულიკო“, „გამზრდელი“, „ნათელა“, „ჩემი თავგადასავალი“, „ბაში-აჩუკი“,

„მედია“, გამოჩნდნენ სხვა ავტორებიც (მ. ჯანაშვილი, ზ. ჭიჭინაძე, ს. ქვარიანი) და რაც მთავარია, თავი იჩინა პოლემიკის დემონმა, (აკაკი ეპაექრებოდა ნ. მარს, სომხურ გაზეთ „ნორ დარს“, კიტა აბაშიძეს, რომელსაც არ მოსწონდა აკაკის ანტისაბანკო რიტორიკა და სხვ.). ეს კი ცენზურისგან არავიზირებული და ამდენად დასჯადი ქმედება იყო. ამას ემატებოდა ხელისმომწერთა საგრძნობი შემცირება. თანხის უქონლობის გამო ვერ ხერხდებოდა გავრცელებისთვის საჭირო სპეციალური თანამშრომლების დაქირავება. ზოგიერთი აგენტი თურმე არც სარედაქციო თანხის მითვისებს თაკილობდა, რაც არც თუ ისე იშვიათი მოვლენა იყო. საგულისხმოა აკაკის ერთი შეხვედრა ჟურნალის ხელისმომწერთან, რომელიც ქორწილში ყოფნისას მიეჭრება რედაქტორს და გადაუხდელი გამო ბოდიშს სთხოვს. ის ის იყო თანაგრძნობის გამოხატვა დავაპირე, რომ უფულობით შენუხებულმა ჩემმა ხელისმომწერმა „მეთარეს ოქრო გადაუგდო“. (ასათიანი, 2011, 152 ). ამიტომაც 1900 წელს „აკაკის თვიური კრებული“ დაიხურა.

„კრებულის“ გამოცემის დასაწყისში, როგორც ეს რედაქციის გამგედ შერჩეული პოეტის მეგობრის, თედო კიკვაძისთვის, გაგზავნილ ბარათში ჩანს (ლ. გვარამაძე, აკაკის თვიური კრებული, 1996), აკაკის ჰქონდა გარკვეული თანხა და პირველ ეტაპზე მაინც რაღაც მოგებასაც მიიღებდა. ისიც გასათვალისწინებელია, რომ მასალის შერჩევის, მისი განლაგების, საკუთარი ნაწერების ავტორიზებული ვარიანტების შექმნისას იგი სრულად ამჟღავნებს პროფესიონალი ლიტერატორის ყველა თვისებას. მეტიც, სარედაქციო მუშაობის ინტენსიობა ამ პერიოდის შემოქმედებითი საქმიანობის ხარისხსა და ტემპზეც აისახება. პუბლიცისტიკიდან გადმოდის თემატიკა, სახეობრიობა და პროზაული ტექსტე-

ბის სიუჟეტური სვლებიც კი. აკაკი ნაყოფიერად მუშაობს, იგი, შეიძლება ითქვას, თავის სტიქიაშია.

მართალია, იგი ილიას მსგავსად არც „მუდმივი რედაქტორია“ (რომ არაფერი ვთქვათ ილიასავე მოსამართლეობაზე, ბანკირობასა და მემამულეობაზეც) და ი. გოგებაშვილივით არც სერიულად გამოცემულ თუ მომავალში გამოსაცემ სახელმძღვანელოთა ავტორი, (მათზე, მართლაც, ითქმოდა, რომ ლიტერატურული შრომით მეტ-ნაკლებად სტაბილურ ანაზღაურებას ლებულობენო), მიუხედავად ამისა, ახერხებს ეპიზოდურად მაინც აიღოს თავისი შრომის თუ სრული არა მიახლოებითი ანაზღაურება: მაგ. წ კ გ საზოგადოება 30 თუმნამდე უხდის კრილოვის იგავ-არაკების თარგმანში; დრამატული საზოგადოება სპეციალური პრიზით აჯილდოვებს; გახმაურებულ პიესებში „რეპეტიცია“, „კინტო“, „ბუტიაობა“, „კუდურ-ხანუმი“ რაღაც ჰონორარებია, არის ლექციებიც, რომელთაც სიახლის შთამბეჭდავი ეფექტი აქვს; წ კ გ საზოგადოების სასარგებლოდ გამართულ თეატრალურ წარმოდგენათა ანტრაქტებში აკაკი საკუთარი ლექსების დეკლამატორად გვევლინება (მაგ. სურამის საზოგადოებამ ერთი ასეთი ღონისძიებისთვის 26 თუმანი და 7 მანეთი შეაგროვა). თუმცა ყოფილა ისეთი შემთხვევაც, როდესაც გაზ. „დროების“ რედაქციაში მისულს მძაფრი სატირული ლექსის „არაბი ფაშასთვის“ (1882) ჯიბეგაფხეკილი მასპინძლებისგან დიდსულოვნად ეტლის მგზავრობის საფასურილა (ერთი მანეთი) უკმარია.

რაც შეეხება საღამოებისა და იუბილეების დროს მორთმეულ სხვადასხვა გვირგვინებს, მინიატურული მერცხლების ნისკარტებზე გამობმული ძვირფას კალმებსა თუ საათებს თუ ათასგვარ სხვა წვრილმანს, ირკვევა, რომ ბევრი რამ აქედან პეტერბურგის ლომბარდისთვის ირჩეოდა. ეს

ნივთები კი, აკაკის სიკვდილის შემდეგ საისტორიო-საეთნოგრაფო საზოგადოებასთან ერთად დ. სარაჯიშვილის მეუღლემ გამოიყიდა (სარაჯიშვილი, 2010,21).

ერთგან მის სიღარიბეზე დაეჭვებული თაყვანისმცემლისთვის უთქვამს: „ახირებული ხართ, საიდან, ბატონო, საიდან? საჩხერის მამული არაფერს მაძლევს, თქვენც იცით; რედაქციაში კი დაპირებებით მკვებავენ, გროშ-კაპიკს არავინ მიგზავნის. პოეტი ხარ, სულიწმინდამ გარჩინოსო“. არაიშვიათად საღამო-იუბილეებით შემოსული თანხაც არ აღწევდა ადრესატამდე. გავისხენოთ დავით კლდიაშვილისთვის განუღი ნინაალმდეგობა, ცივი უარი საიუბილეო ღონისძიებაზე და მხოლოდ შემოსული თანხის უკლებლივ გადაცემის შემდეგ, აკაკის კმაყოფილი სახე და ფულთან „შენობით“ მოსაუბრე კაცის რეპლიკა: ხვალ ამ თანხიდან ჩემს ჯიბეში ბევრი არაფერი დარჩებაო (კლდიაშვილი, 1981,298).

აკაკის გამომცემელი, განსაკუთრებით კი მ. ლალიძე („თამარ ცბიერი“ – 1903) , ი. მანსვეტაშვილი („ჩემი ნაწერები“, 1912-13), ს. მერკვილაძე („ნათელა“ – 1911, „კიკოლას ნაამბობი“, „ბაში-აჩუკი“, „გამზრდელი“ – 1913), ნერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება არა მარტო პოეტის მიერ უკვე გამოცემულ ტექსტთა რეპუბლიკაციას ეწეოდნენ, არამედ ზოგადად აკაკის ადრეულ გამოცემასთან დაკავშირებული ნაკლოვანების (ფრაგმენტულობა, არათანმიმდევრობა) აღმოფხვრასაც ესწრაფვოდნენ. ამასთან ქართული მწერლობის ავტორიტეტის წამოწევის მიზნით აუცილებელი იყო ილიასთან ერთად მეორე ყველაზე რეიტინგული ავტორის წარმოჩენა. აძლევენ ისეთ ჰონორარს ან ავანსს, რისი შესაძლებლობაც ჰქონდათ, რაც ხშირად გამოცემათა შეწყვეტის ან აკაკის მიერ უფრო ხელ-

საყრელი ვარიანტის ძიებას იწვევდა. ( ერთგან ვ. მაჩაბელს სწერს, მცირე ფორმის პოემა „მედიაში“ ოთხი თუმანიც არ მერგება მაშინ, როდესაც მისთვის საჭირო მასალების შეგროვებას ოთხ წელიწადზე მეტი მოვანდომეო). სხვათა შორის, 1889 წელს, მას შემდეგ, რაც აკაკი უარს იტყვის დირექტორის ადგილზე და ქუთაისის საადგილმამულო ბანკი უნიშნავს პენსიას წელიწადში 150 თუმნის ოდენობით, პუბლიცისტი სტ. ჭრელაშვილი, იგივე სანო, გამოთქვამს რწმენას, რომ ეს იქნება აკაკის თხოვლებათა სრული გამოცემის რეალური წინაპირობა (გურგენიძე, გორგაძე, გვ. 213). თუმცა პენსიის გადახდა მოკლევადიანი აღმოჩნდება და ეს კარგი ინიციატივაც აკაკის ხუმრობის საგანი გახდება: უცნაური კაცი ვარ: ცოლი მყავს და არ მყავს, პენსია მაქვს და არ მაქვს....

აკაკიზე, როგორც პროფესიონალ მწერალზე მსჯელობის დროს, უნდა გავითვალისწინოთ კიდევ რამდენიმე გარემოება: მიუხედავად იმისა, რომ იგი მოიაზრება ახალი მოძრაობის წარმომადგენლად (მეორე დასისი მეთაურადაც კი მიიჩნევდნენ, რასად თვითონ უარყოფდა), ჩართულია და ზოგჯერ ძალზე აქტიურადაც, დაპირისპირებაში „მამათა და შვილთა“, უფრო სწორად კი „არისტოკრატიულ-მონარქისტულ დისკურსსა და ლიბერალურ-ნაციონალურ დისკურსს შორის“ ( შათირიშვილი, 2010, 7), მოგვიანებით კი სულაც „ინტერნაციონალის“ მთარგმნელ-პოპულარიზატორად გვევლინება, საკუთარ თავში ორივე (თუ სამივე) მხარისთვის დამახასიათებელ ნიშნებს აერთიანებს. შესაბამისად მისი (მათი) „რადიკალიზმიც უპირატესად იდეებში გამოიხატება, ვიდრე ქცევაში“. თუმცა მწერლის არა როგორც რეალობის უბრალო ფიქსატორის, არამედ იმავე რე-

ალობასა და ხელოვანის მიერ შექმნილ-დანახულ „ახალ რეალობას“ შორის მედიუმად მოვლენილი ინდივიდის, მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, „შუაკაცის“, უპირატესობა სწამდა და მას ამკვიდრებდა კიდევ. ამ უცნაურმა ცენტრისტულმა პოზიციამ შესაძლოა გარკვეულწილად განაპირობა კიდევ ფინანსური და მასზე მიბმული შემოქმედებითი თავისუფლების მისეული გაგება, რაც პროფესიულ ცხოვრებაზეც აისახა. აკაკი, ცხადია, იყო პროფესიონალი მწერალი იმდენად, რამდენადაც ამის საშუალებას იმდროინდელი სოციალ-კულტურული კონტექსტი იძლეოდა. თუმცა პროფესიონალიზმის სხვა ნიშნებთან შედარებით, იგი უპირატესად მაინც საკუთარი „მონოდებისადმი“ ერთგულებასთან ასოცირდება.

### დამონშებანი

- აკაკის კრებული, ნიგნი პირველი, თსუ, 1999
- აკაკის კრებული, ნიგნი მეორე, თსუ, 2005
- ასათიანი 2011: ასათიანი ლ. ცხოვრება აკაკი წერეთლისა, თბ. 2011
- გაბოძე 2009: გაბოძე ჯ. აკაკის თხზ. გამოცემები, თბ. 2009
- გვარამაძე 1996: გვარამაძე ლ. აკაკის თვითური კრებული, ხელნაწერი, ლიტ. ინსტ. ბიბლიოთეკა, 1996
- გურგენიძე, გორგაძე 1989: გურგენიძე ნ. , გორგაძე ი. აკაკი წერეთელი (ცხოვრებისა და შემოქმედების მატრიანე) ბიბლიოგრაფიული ქრონიკა, თბ. 1989
- კალანდაძე 1977-1985 კალანდაძე ა. ქართული ჟურნალისტიკის ისტორია, ტ. 4-5, თბ. 1977-1985

კლდიაშვილი 1981: კლდიაშვილი დ. ჩემი ცხოვრების გზაზე, თბზ. ტ. 11, თბ. 1981

მეუნარგია 1957: მეუნარგია ი. ქართველი მწერლები, სა-  
მანსოვრო ფურცლები აკაკის შესახებ, თბ. 1957

სარაჯიშვილი 2010: სახალხო მგოსანი და დავით სარა-  
ჯიშვილის ოჯახი, ჟ. საქართველოს ბიბლიოთეკა, 2010, #3

შათირიშვილი 2010: შათირიშვილი ზ. ნიკო ნიკოლაძე  
„კრებულის დანიშნულებაზე, შესავალი ნერილი, თბ. 2010

Тод 2002: Тод У. Достоевский как профессиональный  
писатель: профессия , занятие, этика , НЛО , 2002, №58

## ქალაქის უდაბნოები

მოდერნისტებმა უდიდესი ყურადღება მიაქციეს ქა-  
ლაქურ ყოფაში ადამიანური ფასეულობების დაკარგვას,  
ზნეობრივი დეგრადაციის პრობლემას. თანამედროვე ურ-  
ბანიზებული ყოფაში, ცივილიზაციის ერთგვარ ჰადესში  
(ელიოტი) ადამიანი უთავბოლოდ მოპორობაღე ატომს ემს-  
გავსება, გზა და გამოსავალი რომ ვერ უპოვია ხსნისა. მა-  
ტერიალურ-პრაგმატული, ანგარიშიანი ინტერესებით დათ-  
რგუნული ადამიანი თითქოს სულიერად კნინდება, არსებო-  
ბის აზრსა და მიზანს ვეღარ აგნებს. კულტურის კრიზისს  
მოჰყვება სამყაროს პირველსაწყისების შემეცნების წყურ-  
ვილის დაკარგვა და ხორციელ-ჰედონისტური სწრაფვების  
გაფეტიშება.

დიდი ქალაქები იქცა უდაბნოებად, სადაც ადამიანები  
ვეღარ ცნობენ საკუთარ თავსა და ერთმანეთს. ილუზო-  
რული თავისუფლება, რეალურად, იქცა სხვადასხვა, ხე-  
ლოვნურად შექმნილ კერპთა თაყვანისცემად. რეკლამებით  
აჭრელებული გარემო ლაბირინთს დაემსგავსა, რომელშიც  
ადამიანს გაუჭირდა სუნთქვა და გზის გაგნება. ბოდლე-  
რი პროგრესს განმარტავს, როგორც „სულის პროგრესულ  
დასუსტებას, მატერიის პროგრესულ გაბატონებას“, სხვა-  
გან: როგორც „სულის ატროფიას“. ადამიანი სამყაროს ნა-  
წილია და მას სურს იმ მისტერიების ცოცხლად განცდა,  
რომლებიც ყოველ წამს ხორციელდება ბუნებაში, მაგრამ,  
სამწუხაროდ, მოსწყდა მშობელს, „შინს“ და მოხეტიალედ  
იქცა. ქართულ მოდერნისტულ რომანებში წარმოჩენილია  
ცივილიზებულ ყოფაში გაუცხოებული ადამიანის სულიერ  
ტკივილები, მათი მარტოსულობა და დასალუპავად განწი-

რულება. ადამიანური სამყარო მთლიანად ივსება ჭუჭყიანი ქუჩებით, მათხოვრებით, მეძავეებით, კაფეებით, მლიქვნელურ-ფარისეველური გაცვეთილი, უსულგულო ურთიერთობებით. ქალაქის უდაბნოების ალტერნატივად წარმოჩნდება ჯერ კიდევ შეურყენელი სოფელი, სადაც ჯერ კიდევ არის ხსოვნა სიმშვიდისა, ჰარმონიისა და ღვთაებრივისა.

„თანამედროვე ურბანიზებული ყოფის ზნეობრივი დეგრადაცია ელიოტის „უნაყოფო მიწაში“, პრაქტიკულად, ევროპის ყველა დედაქალაქთან არის დაკავშირებული. უფრო მეტიც, პოემა გადაშლილია მთელი თანამედროვე ცივილიზაციის „ჰადესში“, რომელიც არა მხოლოდ ლონდონს, პარიზს ან რომს, არამედ თვით ალექსანდრიასა და იერუსალიმსაც მოიცავს მათი სულიერი დაკნინების ექსტრემალურ გამოვლენაში“ (კობახიძე 1984: 53).

ჰ. ფრიდრიხის აზრით, მოდერნიზმის „ხელოვნებას უნარი ჰქონდა, არა მხოლოდ დაენახა დიდი ქალაქის უდაბნოში ადამიანის განადგურება, არამედ ეგრძნო აქამდე უჩვეულო იდუმალი მშვენიერება (ფრიდრიხი 1990: 12). „მოდერნიზმი გულისხმობს უმცენარო დიდი ქალაქების სამყაროს, – წერს ჰუგო ფრიდრიხი, – მის სიმახინჯეს, ასფალტს, ხელოვნურ განათებას, ქვის თხრილებს, ცოდვებს და ადამიანთა ზიმიში მარტოსულობას. ასევე, გულისხმობს ორთქლითა და ელექტრონით ამუშავებული ტექნიკისა და პროგრესის ეპოქას. ჩვენ ვიცით, რომ არის „უსასრულო ზიზლი“ პლაკატების, გაზეთების მიმართ, „ყველაფრის გამაუფასურებელი დემოკრატიის აღმავლობის მიმართ“. მსგავსი რამ თქვეს სტენდალმა, ტოკვილმა და, ცოტა მოგვიანებით, ფლობერმაც, მაგრამ ბოდლერის მოდერნიზმის ცნებას მეორე მხარეც აქვს, იგი დისონანსურია და უარყოფითს მიმზიდველს ხდის. უბადრუკს, ლპობადს, ბოროტს, ღამეულს,

ხელოვნურს თავისი ხიბლი აქვს, რომელიც პოეტურ აღქმას იმსახურებს. ისინი შეიცავენ იდუმალებას, რომელსაც პოეზია ახალ გზებზე გაჰყავს. ბოდლერი დიდი ქალაქის ნაგავში მისტერიას გრძნობს. მისი ლირიკა ამ მისტერიას გამოსატავს ფოსფორისებურ ნათებად“ (ფრიდრიხი 1990: 271).

კონსტანტინე სავარსამიძე (კონსტანტინე გამსახურდიას რომანის, „დიონისოს ღიმილის“, მთავარი პერსონაჟი), ჩართულია ცხოვრების ფერხულში. მჩქეფარეა მისი ყოველდღიური ყოფა. (სხვადასხვა ქალაქში მოგზაურობა, სასიყვარულო ინტრიგები, პოლიტიკა, ფილოსოფია, რელიგია, მხატვრობა), მაინც ვერ „ისვენებს“: „საშინელმა მარტოობამ და მწუხარებამ შემიპყრო. იმ საღამოს დავრწმუნდი, რომ მიწაზე სამშობლო არა მქონია და ამ ქვეყნად იმიტომ გავჩენილვარ, რომ იალქანდამსხვრეული გემივით ვიყილო“. ეს დიონისური ფერხულის ვარიაციაა. ერეკლე ტატიშვილი წერდა: „ადამიანები დიონისოს სამხიარულო ფერხულის გზით თავდავინყებულნი უერთდებიან არსთა – არსის შეუმუსრავ მოძრაობას და მარადობის შემოქმედ ქარიშხალს“ (ტატიშვილი 1993: 7).

თავგზააბნეულმა სავარსამიძემ კერპის ძიებაში საკუთარ თავთანაც წაიჩოქა, მაგრამ ერთ დღეს, როცა ლომის სანახავად წავიდა ზოოპარკში, დაინახა „თავისი სიპატარავე“ „ნადირთა მეფის თვალში“: „მე, ჩვენი დროის ახალ ქრისტედ რომ მომქონდა თავი, დამცინოდა კიდევ აბისინიის ჯუნგლების უგვირგვინო მეფე. ჩემი სტუმრობა მას ისე არაფრად ჩაუგდია, თითქოს მე უმნიშვნელო ბუზი ვყოფილიყავი, მის ფერხთით დაგდებული ცხენის ჩონჩხს გარს რომ ეხვია“. ლომთან ეს უბრალო შეხვედრა მნიშვნელოვანი შეიქმნა სავარსამიძისთვის: „ამ დღიდან საშინელი გარდატეხა მოხდა ჩემში. მე ამეხილა თვალი ჩემს ადამიანურ სი-



სუსტესა და არარაობაზე, აქამდე თუ ადამიანები მძულდა, ახლა ჩემი თავიც შემდაგდა. ვიგრძენი ჩემი სივარდაზე და სიპატარავე. იმ ლომის სახით მომელანდა მე ლომისპირა დიონისოს მრისხანება და დიდებულება“.

სავარსამიძის ხელმოცარულობა და სულიერი შეჭირვება გამოსატყულებათა ევროპული ცივილიზაციის კრიზისისა. ნიცშე ფიქრობდა, რომ კაცობრიობის ისტორიაში ტრაგიკული იყო მეცნიერული მსოფლმხედველობის ჩამოყალიბება. განსჯამ, ლოგიკამ განდევნა ცხოვრებიდან დიონისური. „დიონისე შეინირა „თეორეტიკოსმა“ სოკრატემ, მითი – ცოდნამ. ასე დაიწყო ევროპული კულტურის ისტორიაში დაცემის ხანა, წარმოიშვა მეცნიერულ მსოფლგაგებაზე დამყარებული ახალი კულტურა. ნიცშეს თანახმად, თანამედროვე ადამიანი ამ, დიონისურისაგან დაცლილ, ცალმხრივად განვითარებულ კულტურაში ცხოვრობს“ (ბუაჩიძე 1993: 247).

სავარსამიძის დიონისოსთან პირველ შეხვედრას (ხალილ ბეის სურათის „დიონისოს მეორედ მოსვლის“ ნახვა) წინ უძღვის ჯენეტის სალონში საუბარი დასავლეთის სულიერ კრიზისზე: „მთელი მსოფლიო ისტორია დასავლეთის და აღმოსავლეთის ურთიერთშორის ბრძოლა იყო. ყოველ საუკუნეში აღმოსავლეთიდან სესხულობდა იდეებს დასავლეთი. ევროპული კრიზისიც მაშინ გადაწყდება, როცა რაციონალური ევროპის ინტელექტუალური ცხოვრება გრძნობამოჭარბებული აღმოსავლეთის იდეებით გადახალისდება“. ხალილ-ბეი ეუბნება სავარსამიძეს: „ჩვენ ყველას (კავკასიის ხალხებს) ისტორიამ დაგვაკისრა წინა აზიის განახლება“. თავის სურათშიც ამის წინასწარმეტყველება აქვს გადმოცემული: „ხომ იცი, დიონისოც აზიიდან მოვიდა“.

სავარსამიძეც, გაევროპელებული ქართველი, განიცდის სულიერ კრიზისს, ამიტომ დიონისოს მიიღებს, როგორც გადამახალისებელს. შეიყვარებს ფარვიზს და სიყვარულში ცდილობს „ჩაკლას“ ყოფის ამაოების მტანჯველი განცდა.

სავარსამიძის თანადროული სამყარო სიყვარულსაა მოკლებული: „უდაბნო! უდაბნო! დიდი ქალაქის დიდი ქუჩაა ჩემი უდაბნო. ჩირადაც არავინ მაგდება, არავინ მერიდება. არავინ მიცქერის“. ამ უდაბნოდან თავდაღწევისთვის კი მას სჭირდება მაღლი, რომელიც ქაოსს მოაწესრიგებს. იგი გრძნობს, რომ შიგნიდან წამოსული უდაბურება გადანონის გარეგანს, ამიტომაც ებლაუჭება სიყვარულს, თავდავინყებას, რომ როგორმე დაძლიოს მარტოობა, შეერწყას სამყაროს, როგორც ნაწილი მთელს. იგი იფლთება ყოველდღიური ვნებებისგან, მაგრამ ჰყოფნის ძალა კვლავ აღდგენისთვის, თუმცა გამუდმებულ ბრძოლაში იღლება კიდეც.

სავარსამიძე ხშირად ირგებს სხვადასხვა ნიღაბს, რათა სხვადყოფნის მისტერიით სწვდეს საკუთარ არსებას. გრიგოლ რობაქიძე წერდა: „იმ კულტებში, საცა „ცვლა“ ყოფის საიდუმლოდ იყო გამოცხადებული, „ქცევა“ ნიღბით ხდებოდა. მაგალითად, დიონისოს კულტში. „მე“ უნდა გაიხსნას, უნდა გაირღვეს. არსი უნდა გადავიდეს ყოვლადში. პიროვნება უნდა ეზიაროს ზეპიროვნულს. ეს არის დიონისოს ფენომენი. და მერე როგორი იყო რიტუალი ამ ფენომენის – ნიღბის აფარება, ნიღბისა, რომელიც დიონისოს სახავდა“ (რობაქიძე 1991: 341). სავარსამიძეც ცდილობს, რომ ეზიაროს ზეპიროვნულს დიონისოს ნიღბით.

როცა ჯენეტი ეკითხება სავარსამიძეს, „რა გინდათ, რომ იყვეთ“, იგი პაუზობს: „ის, რაც არა ვარ“ (//ბიბლიური ღმერთი ამბობს: მე ვარ ის, ვინც ვარ). ის – რაც არა ვარ – დიონისოს მისტერიის შუაგულს ასახავს. თვითონ დიონი-

სოც ხომ ნიღბებით ევლინებოდა ადამიანებს. ასეა ამ რომანშიც.

გმირის გაორება (უპირველესად ქრისტე – დიონისოს შორის) „ტრადიციულია და, ამავე დროს, ეს არის მწერლის თანამედროვე კულტურის სახე. ესაა გაორება იულიანე აპოსტატისა, გოეტესი, ვაგნერისა, ნიცშესი. ამ გაორებამ დალი დაასვა ქართულ სულიერ კულტურას, მითოსურ შემოქმედებას, ხალხურ რელიგიურ მრწამსს. გავიხსენოთ, ფშავ-ხევსურული ხატობები, ქაჯებს განდობილი მინდია – გველის მჭამელი. გველი – წარმართული სიბრძნის სიმბოლო. გავიხსენოთ სვანეთში, ერთი მხრივ, ლამპრობა, მეზირი საქმისაი, ხეც, ქამერდე, ხოლო მეორე მხრივ, ჯგრაგ, ლამარია, კვირიკე, ივლიტე. ფაუსტური გაორება ევროპული კულტურისა საქართველოში დიდი ხნით ადრე ჰპოვებს არქეტიპს. ფაუსტის ტრაგედია ხომ ორეულის ტრაგედიაა. მეფისტო – ნეგატიური ორეულია. მინდიასთვის – თხისრქიანი ოჩოპინტე (თხა – დიონისოს ცხოველია). ფაუსტს, მისივე თქმით, ორი სული აქვს: ერთი მიწიერებისკენ ქვედამზიდავი, ხოლო მეორე ზეცისკენ მსწრაფი, იქ, სადაც „სულნი დაჰქრიან ეთერში“. ასევეა მინდიაში: უნივერსალური სიყვარული ყველა არსისადმი – ქრისტეს იმპულსი, მეორე მხრივ, დემონიური სანყისი (ოჩოპინტე). ამ გაორების ტრაგედიაა მოცემული „დიონისოს ლიმლში“ (გამსახურდია 1990: 104).

სავარსამიძე გარდაცვლილი ვიტენზონის პასპორტს იღებს. როცა შიგ ჩანერილ გარეგნულ ნიშნებს ამოიკითხავს, მიაშვავსებს თავისას და გაიფიქრებს: „ვხედავ, უნებლიედ მე გავხდი მისი სიკვდილის მიზეზი. ეგებ, მე გავუღე მას სიკვდილის კარები. ჰოი, ადამიანობის კომედიავ, მართლაც, ბილიარდის ბურთები ვართ, უსაზღვრო მიწის სიბ-

რტყეზე უსაზღვროდ გაქანებული. ვილაცას გრძელი ჭოკი უკავია, თამაშობს, იცინის, ჩვენ კი ერთმანეთს ვეხლებით. ასე იქმნება ცხოვრების ფატალური არსი“. „ასე მგონია, სხვისი სული ჩამედგა. ბავშვსავით მახარებს და მაინტერესებს ეს წამიერი „სხვად ქცევა“.

ცხოვრების „შუაგზა“ ის ნერტილია, რომელში ჩაღრმავება ცხადყოფს არჩევანის შეუმცდარობას. ეს ნერტილი იგივე გზაჯვარედინია, რომელიც ერთხელ კიდე შეაგრძნობინებს კაცს ნებისმიერი მიმართულებით წასვლის უგუნურებას. ყველგან სინანულია. „ვისთვის ან რისთვის იყო საჭირო ეს გაუგონარი ველად გაჭრა და მარტვილობა?“ – კითხულობს სავარსამიძე. მან, როგორც იტყოდა ზარატუსტრა, ცხოვრების შუაგზაზე შეჩერება მოინდომა იმისთვის, რომ სანამ ისურვებდა, ჯერ შეემეცნებინა თვითონ სურვილი.

„ღმერთების მიჯნური“ ფარვიზი ილუპება. სავარსამიძე დაისაჯა ღმერთებთან კადნიერი გატოლებისთვის. მან ვერ მიაღწია თავის განვითარებაში იმ ღვთაებრივ გულუბრყვილობას, ჭეშმარიტების ჭვრეტა რომ შესძლებოდა. ცივილიზებულმა ადამიანმა ჩაკლა ღვთაებრივი (საგულისხმოა, რომ ფარვიზის ცხენი დააფრთხო ავტომობილმა).

„ალარც სიცილი შემიძლია, ალარც ტირილი“, – ამბობს დაღლილი სავარსამიძე, მაგრამ სურათი „დიონისოს მეორედ მოსვლა“ ისევ ალორძინებას ჰპირდება. სავარსამიძის ბედში ირეკლება კაცობრიობის მუდმივად ჩაუმქრალი წყურვილი თვითშემეცნებისა.

ექსპრესიონიზმი მიუბრუნდა მითს, შეეცადა მის გაცოცხლებას, ალორძინებას. გავიხსენოთ, როგორ „მოთქვამს“ გამსახურდიას „ტაბუს“ გმირი უმითო სამყაროს გამო. ადამიანი იტანჯება, რადგან სამოთხიდან გამოდევნის მერე

მარტო დარჩა, უღმერთოდ. თანამედროვე, ასფალტიანმა, რკინის ჯაგეშანში ჩამჯდარმა ქალაქმა იგი „შთანთქა“ და გაანადგურა. ადამიანი სამყაროს ნაწილია და მას სურს იმ მისტერიების ცოცხლად განცდა, რომლებიც ყოველ წამს ხორციელდება ბუნებაში, მაგრამ, სამწუხაროდ, მოსწყდა მშობელს, „შინს“ და მოხეტიალედ იქცა.

გრიგოლ რობაქიძემ წერილში „ექსპრესიონიზმი“ წარმოაჩინა, თუ რას გულისხმობდა ეს მიმდინარეობა, რომელიც მისი მხატვრული სისტემის ქვაკუთხედს წარმოადგენს. რობაქიძის აზრით, ექსპრესიონიზმისათვის დამახასიათებელია მთელი ენერჯის მიმართვა საგნის გარდაქმნისაკენ. საგნის „გარდაქმნა“ „გველის პერანგში“ განხორციელებულია მისი სამყაროსთან დაბრუნებით, მის ნაწილად განცდით. ექსპრესიონიზმი აქტიურობას გულისხმობს. მწერალი განუწყვეტილად „მუშაობს“ საგნებში ჩასაღრმავებლად. გრიგოლ რობაქიძეს, როგორც ნამდვილ ექსპრესიონისტს, „საგანი გამოჰყავს ქაოსიდან და გარდაქმნის“. საგნის სულობა ექსპრესიონიზმში გაიგება მეტაფიზიკური და არა ფსიქოლოგიური ასპექტით. სიცოცხლე წარმოდგენილია ინტენსივობაში – ეს მყლავნდება რომანში ამგვარად: აქ არ არის მოქმედება ვინრო არეთი შემოსაზღვრული. გმირის მღელვარებას თუ ტრაგედიას არ ინვევს „თუობა“, მწერალს არ აინტერესებს ერთი ოჯახის, ცოლ-ქმრის ჩაკეტილი სივრცის პრობლემები, რომანში არ მოქმედებენ ტიკინები.

გრიგოლ რობაქიძის აზრით, ექსპრესიონიზმს აინტერესებდა უბრალო ადამიანი. აქ უბრალოება გაიგება, როგორც კოსმოსურ ყოფასთან უშუალო შერთვა. „გველის პერანგის“ გმირი უბრალოდ კი არ ფიქრობს თავის თავზე, არამედ განიცდის საკუთარ თავს იმგვარად, როგორც მოავლინა შემოქმედმა და იმგვარადაც, როგორც სახე „იცვალა“. რო-

მანში „განცდა მიიმართება“ რთული გზით – აქ არის ზიგზაგები, ჩაღრმავებები, „ცენტრიდან“ დაშორებები. შუაგულის წვდომა ხშირად მწერლისგან მოითხოვს დეტალების უარყოფას და ასეც ხდება. როგორც რობაქიძე შენიშნავდა, თაყვანების ადგილს იკავებს სიცხარე, მორჩილებისას – გახელება, ცდისას – ხილვა, იმედისას – ექსტაზი.

ექსპრესიონიზმს აინტერესებს მარადისობა და არა წამი, ამიტომაც „სული ომს უცხადებს თვითმპყრობელურ მატერიას“ – „რეალური ფაქტების“ წინააღმდეგ. მწერალი არღვევს „ყოველდღიურობის ფიზიკას“. მისი მთავარი მიზანია წარმავალ საგნებზე ღვთიური კვალის აღმოჩენა. ექსტაზით არღვევს სული ტრანსცენსს და იხილავს ღმერთს. ამგვარ განცდას კი მოაქვს გამოთქმის ახალი ტექნიკა, სიტყვაში კი გამოვლინდება ახალი, ფარული ძალა.

კ. გამსახურდიას აზრით, ექსპრესიონიზმში მეობა წარმოჩნდება კოსმოსის საზომად. სწორედ ამგვარად მიემართება კოსმოსს სავარსამიძე. პიროვნების ჰარმონიისთვის საჭიროა მე-სა და კოსმოსს შორის ხიდის გადება. მწერლის აზრით, სამყარო და ბუნება ერთი დიდი და მისტიკური გამოცხადებაა, ამიტომაც ხელოვნება ხდება ვიზიონერული. ხილული რეალობა უარიყოფება უფრო ძლიერი და მაღალი რეალობის შესაქმნელად. ამ მაღალ რეალობას რომანში ქმნის სწორედ მითი. სივრცე წარმოჩნდება, როგორც „ვიზიონერული ფასადი სულობისა“, ამიტომაც წინ წამოინვევს ჭვრეტა. სწორედ ამ გზით შეიძლება პირველიდეებთან მიახლება. მწერალი ღვთიურ მისტერიას შეიგრძნობს ყველგან, თვით ჭვარტლიან ქარხანაშიც კი. ხელოვნება მას აძლევს საშუალებას, ფიზიკური გადაადგილების გარეშე მოიხილოს ღვთის შექმნილი მთელი სამყარო.

რობაქიძის აზრით, ერის ისტორიის ყოველი მნიშვნელო-

ვანი მოვლენა შეუცნობლად ცოცხლობს ხელოვანის იდე-  
მალ ბუნებაში და „შექმნის ჟამს“ ეფინება „ხელოვანის შეც-  
ნობილს ველს...“ ამ ისტორიას ახასიათებს „კოლექტიური  
ფანტაზია“, რომლის ნაყოფია ზღაპარი, მითი, ლეგენდა.  
ხელოვანი ამ ფანტაზიით ცოცხლობს და „რამდენად ღრმა  
და ფართოა მასში იგი ფანტაზია, იმდენად სრულქმნილი  
გამოდის მისი მხატვრული ქმნილება“.

საინტერესოა, როგორ ცვლის ხედვის რაკურსი სინამდ-  
ვილეს. გმირი ხედავს მხოლოდ იმას, რასაც განიცდის, რაც  
აღელვებს, მეტს არაფერს. ამგვარად, სავარსამიძისთვის  
ქრება მთელი ქალაქი თავისი ავტომობილებითა და ქუჩე-  
ბით და რჩება მხოლოდ თვალები: „ქალები ჩემს გვერდით,  
ჩემს წინ, ჩემს პირდაპირ, ჩემს უკან... თვალები: ღია, ცის-  
ფერი, მიხაკისფერი, ლურჯი, რჩხია, სათის თვალები. აქ  
ვხედავ იტალიის, ესპანეთის, საფრანგეთის, ბალკანეთის  
მზის ბრწყინვალეობას და ნისლიან აისებს, ინგლისისა და  
შოტლანდიის ზღვების ფირუზნარევ კრიალს ქალების თვა-  
ლებში“ (გამსახურდია 1992: 14).

სავარსამიძე განუწყვეტლივ გარბის, ერთი ადგილიდან  
მეორეზე, ერთი ქალაქიდან მეორესკენ. ბოლოს მას საქარ-  
თველოში ვხედავთ, მაგრამ არ ჩანს ის „ნერტილი“, რომე-  
ლიც მას სადმე დაამაგრებს, ამიტომაც არის მისი სული  
გაჟღენთილი უდიდესი სასონარკვეთილებით. მას დიდი  
„სინათლე“ – ღმერთი, რწმენა „აბრმავეს“, მოძრაობას უშ-  
ლის. მას კი, როგორც ცოცხალს, სწორედ ეს „აბსურდული“  
(კამიუსეული გაგებით) მოძრაობა სწყურია, წრეზე „ბზრი-  
ალი“, სანამ არ დაილლება და არ დაიშლება. მას მუდმივად  
„მიაქანებენ“ ვნებები, სურვილები, ოცნებები, რომელთაც  
ზღვარი არა აქვთ. მათ ყოველწამს წარმოშობს „ნაყოფი-  
ერი“ და „ნიალუხვი“ ყოველდღიურობა.

„ჯანმრთელი ადამიანისთვის, – წერდა კაფკა, – ცხოვრე-  
ბა არის მხოლოდ გაცნობიერებული გაქცევა, მაგრამ თავს  
არ უტყდება იმაში, რომ ეს არის, ადრე თუ გვიან, გარდაც-  
ვლების აზრისგან გაქცევა. ავადმყოფობა კი საუკეთესოდ  
შეახსენებს ადამიანს ამ აზრს, იმავდროულად, ძალებსაც  
მოაკრებინებს. ამიტომაც ტკივილი, ტანჯვა ადამიანში  
ღვთის წყურვილს ამძაფრებს, რელიგიურობას წარმოშობს“  
(კაფკა 1991: 559).

„დიონისოს ღიმილში“ პერსონაჟები ხშირად და ვრცლად  
განსჯიან ცივილიზაციისა და კულტურის საკითხებს, ხე-  
ლოვნებისა და ქალაქის ურთიერთმიმართებას: „ქაოტურ  
გარემოში ხელოვანმაც დაჰკარგა ღვთაებრივი ჰარმონიის  
ხილვისა და შექმნის უნარი“ (გამსახურდია 1992: 81).

ინდუსტრიამ კი სხვაგვარი „სილამაზე“ დაბადა. მუზეუმ-  
ში მოდერნიზტების დარბაზში შესული სავარსამიძე და მისი  
თანმხლებნი ათვალიერებენ კუბისტების, ფუტურისტების,  
ექსპრესიონისტების სურათებს. „საღებავების ისტერიულ-  
მა ყიჟინმა“, სამკუთხა სახეებმა, ხისგან გამოჩორკნილმა  
ფიგურებმა ბევრი „დააფრთხო“. ერთმა სურათმა მიიქცია  
ყურადღება, სადაც გამოსახული იყო ტრამვაი: „ტრამვაის  
სპილენძისა და რკინის ნაწილები თუნუქისგან გამოეჭრა  
მხატვარს. ტრამვაის წინ ყვითელ ჯუბიანი ვატმანის მკაც-  
რი, მრისხანე სახე! უღვაშების ნაცვლად მატყლის ფორჩი“  
(გამსახურდია 1992: 79).

ეს იყო ახალი ესთეტიკის გამოხატულება. სავარსამიძემ  
ასე აუხსნა დოქტორ რაიმერს: „აქ სრულიად ახალი სულია.  
უჩვეულო კომბინაციები საღებავებისა. ჩვენ გვეუცხოვება  
ეს საოცარი, ქაოტური ვიზიონერობა. მაინც სანუგეშოა.  
მატერიის დემატერიალიზაცია იწყება ახალ ხელოვნებაში“  
(გამსახურდია 1992: 80).

ჯოისი წერს ერთ ესეში: „მეცნიერებას შეუძლია, წინ წასწიოს ცხოვრება, მაგრამ უზნეობაც მისი მოტანილია“ (ჯოისი 1989: 384). სავარსამიძემ დაინახა, ქუჩის გადაღმა როგორ ნაიქცა კაცი: „გულცივი ბრბო ერთი წუთითაც არ შემდგარა“ (გამსახურდია 1992: 72).

ასევე განიცდიდა ქალაქის სისასტიკეს მალტე ლაურიდს ბრიგე (რილკეს რომანის „მალტე ლაურიდს ბრიგეს ჩანაწერების“ მთავარი გმირი): „აქ სიკვდილი უფრო ადვილია, ვიდრეს სიცოცხლე“ (რილკე 1992: 23). „დიონისოს ღიმილის“ მიხედვით პარიზისა და ბერლინის ბურჟუათა სალონებში ხშირად ეწყობა ორგები. ნიმფომანია, ჰომოსექსუალიზმი აქ ჩვეულებრივი ამბავია. სარკეებიან დარბაზში ეძლევა მისის ბლუტი სავარსამიძესთან ერთად თავდავინყებას. „წუთის სიყვარული“ მათი კერპია, რომელსაც ერთგულად ემსახურებიან. იტალიაში სავარსამიძე ღამით ქუჩაში შემთხვევით შეხვედრილ ქალს გაჰყვება და უსიტყვოდ დაემორჩილება ეროსს. იგი უცხო ქალთან წევს და შესცქერის კედელზე შავი ფლასით მოსილი მიცვალებულის სურათს. „ამ სანოლზე ოდესმე ეს მიცვალებული წოლილა“, – ფიქრობს იგი. სურათს აქვს წაწერა, რომ ეს კაცი, ქალის ქმარი, გარდაიცვალა 4 საათსა და 15 წუთზე. სწორედ ამ დროს დატოვა სავარსამიძემ ქალის ბინა: „სწორედ ამ დროს მიიცვალა ფიუმეს სამხედრო ლაზარეთში ჩემი შორეული და უცნობი ძმა“ (გამსახურდია 1992: 214).

„მე ვიცი, ჩემს რომანში ალაგ-ალაგ ულტრაეროტიული პასაჟები ურევია, მაგრამ ეს გადაჭარბებული სექსუალიზმი უცილოდ ახასიათებდა მსოფლიო ომის საშინელ ატმოსფეროში მომნიფებულ ჰისტერიულ თაობას. გარდა ამისა, მე მინდოდა ევროპული ცივილიზაციის სნობისტური სენით

შეპყრობილი უნიადაგო აზნაურის ტიპი დამეხატა“, – წერდა კ. გამსახურდია (გამსახურდია 1992: 385).

სავარსამიძე დიდ ქალაქებს უწოდებს „წყეული საუკუნის სოდომსა და გომორს, სადც უკან მოხედვა გაქვავებას უდრის, სადაც სიყვარული თავგასართობ ჩვეულებად ითვლება და ენთუზიაზმი უსაზმნო რომანტიკად, – ადამიანის ბუნების ულოლიკობა!“ (გამსახურდია 1992: 149).

ჯოისის „ულისეში“ დახატულია გმირის უსასობა, მარტოობა გაუცხოებულ ქალაქში. „დუბლინელი ოდისევსი“ თითქოს უარყოფილიც კია თავისიანებისაგან. სავარსამიძე წუხს: „საშინელ მარტოობას ჰგრძნობ ადამიანი დასავლეთის დიდი სადგურების გაუგონარ ფუსფუსში. მსოფლიო ქალაქის სადგური, უძღები ქაოსის დაბჩენილი ხახა. მილიონ ბორბლებზე გაჭენებული მილიონები. ტრაგედია უცილო ერთად ყოფნის და ერთად მგზავრობის, ურთიერთისგან მოწყვეტილი ადამიანობის ტრაგედია“ (გამსახურდია 1992: 148).

ქალაქი თითქოს გადაუჭრის ადამიანს იმ მთავარ ძარღვს, რომელიც მას მთელთან, ბუნებასთან, სამყაროსთან აკავშირებს. ადამიანი გრძნობს მტკივნეულ მოწყვეტას ერისა თუ, საზოგადოდ, კოსმოსის მითიური ფესვებიდან და ეს ინვევს მის ტრაგედიას, უკურნებელ სასონარკვეთას.

ინდუსტრია ადამიანში კლავს სილამაზის გრძნობას. დოქტორი რაიმერი „დიონისოს ღიმილში“ შესჩივის სავარსამიძეს, რომ მთელი ევროპა დაამახინჯეს ტელეფონის ბოძებმა, რადიოს, რკინიგზის სადგურებმა, რკინის ხიდებმა. მთავარი კი ისაა, რომ ადამიანებმა უდიდესი ცოდვა ჩაიდინეს ბუნების მიმართ. საგულისხმოა, რომ ადამიანის ესტეტიკური შეგრძნებაც საგრძნობლად შეილახა. ისინი ველარ



ხედავენ ლამაზ საგნებს, რომელთა გარეშე ვერც სული აღიზრდება ესთეტიკურად.

„დიონისოს ღიმილში“ იკვეთება მწერლის პოზიცია, რომ „ქაოტიურ გარემოში ხელოვანმაც დაჰკარგა ღვთაებრივი ჰარმონიის ხილვისა და შექმნის უნარი“, რომ „ვეროპაში ველარავინ ააგებს სან პიეტროს, ნოტრდამს, შტრასბურგს, კელნის, რაიმსის კათედრალებს, არც პალაცო ვეკიოს და დოჟების სასახლეებს, სრულიად გადაგვარდა ოქროს, ვერცხლის, სპილენძის ქანდაკი“ (გამსახურდია 1992: 81).

ქალაქი და სავარსამიძის უნაყოფობა ერთმანეთს ეჯახება, მიწისგან მოშორება მას შრეტს, ამიტომაც კარგავს თავის სახესა და მეობას, ჰარმონიასა და მადლს: „უდაბნო! უდაბნო! დიდი ქალაქის ქუჩაა ჩემი უდაბნო! აქ არავინ მიცნობს. ჩირადაც არავინ მაგდებს. არავინ მესალმება, არავინ მიცქერის, თითქოს მე სხეული არ მქონდეს, თითქოს მე სისხლი არ მქონდეს“ (გამსახურდია 1992: 67). იგი ამ უდაბნოში მოხეტიალე ლანდს ემსგავსება.

გაჩახჩახებული რეკლამები სავარსამიძეს სულს უფორიაქებენ. ელექტრონის შუქი აღიზიანებს. საზოგადოდ, ელექტრონის შუქი (მზისა და მთვარის შუქისაგან განსხვავებით) მკვდარია. იგი შეიცავს ერთგვარ განურჩევლობას ყველაფრისადმი. არაფერს არ გამოხატავს. მოსაწყენია და მომქანცავი. „არ შეიძლება არც ლოცვა და არც სიყვარული ელექტრონის შუქზე“ (ლოსევი 1990: 431). საგულისხმოა, რომ კურდღელს სწორედ ეს ელექტრონის შუქი აბრმავებს ლიანდაგზე. ამ მეტაფორაში ერთი ნიუანსიც შეიძლება გავიაზროთ – როგორც სავარსამიძის, ამ თავბრუდახვეული კურდღლის შიში გამოწვეულია სწორედ იმ დიდი სიცარიელით, რომელიც ქალაქშია. იგი დარეტიანებულია ამ „მკვდარი“ სინათლით.

სავარსამიძეს კი ფერები უყვარს, რაც ქვეშეცნეულად ამხელს მის მისწრაფებას მიწისკენ, რადგან ფერები სწორედ მზისა და მიწის კავშირიდან წარმოიქმნება.

სავარსამიძე ცდილობს, გაარღვიოს ანგარიშიანი, ყველაფრის ზუსტად აღმრიცხველი გონების ჩარჩოები და თავისუფლება მიანიჭოს ქვეცნობიერ იმპულსებს. (მამის, როგორც კანონის უარყოფა, ტაია შელიასადმი, რიგორც „კანონიდან გადახვევისადმი“ სიმპათია ამ ნიადაგზეც გაიაზრება).

სიცოცხლის ფილოსოფია უარყოფს გონების წესრიგს და თავისუფლებას ანიჭებს სიცოცხლის სტიქიას. „სიცოცხლის ფილოსოფიის“ შესატყვისი სიცოცხლე კარგავს გამაერთიანებელ, ჰარმონიის დამამყარებელ ასპექტს, კარგავს უსასრულობის პერსპექტივას, არის „ყველას ომი ყველას წინააღმდეგ“. საფუძველს ქმნის აგრესიული ინდივიდუალიზმისთვის. ეს ბადებს სწორედ ქრისტიანული თვალსაზრისის აღდგენის ტენდენციას. ნიცშეც არ იყო თავისუფალი ღმერთზე ოცნებისგან. „ნიცშე უღმერთოა, მაგრამ ღმერთს მოწყურებული უღმერთო“ (კაკაბაძე 1985: 29). სავარსამიძეც სწორედ ასეთი ნიცშეანური ტიპია. ისიც უარყოფს და თან დაეძებს ღმერთს.

სავარსამიძე მსხვერპლია თანადროული ევროპული კრიზისისა. ერთი მხრივ, უარმყოფელი ნატურალისტურ-პოზიტივისტური მსოფლმხედველობისა, „სიცოცხლის ფილოსოფიის“ მალმერთებელი, მეორე მხრივ, მაინც დაბნეული და დაკარგული. ამიტომ ამბობს რომანის ბოლოს: „აღარც სიცილი შემიძლია, აღარც ტირილი. და ერთად ერთი ნატურაა ჩემი: ყინულზე დავადნილი ნაპერწკალივით გადნეს თუნდაც ჩემი სხეული“ (გამსახურდია 1992: 377).

რატომ ვერ იქცა ქრისტიანობა სავარსამიძისთვის ნავთსაყუდელად? იგი ვერ შეეგუებოდა უნებობას, საკუთარი თავის უარყოფას, სრულ მორჩილებას. მან ვერ გარდაქმნა გარეგანი აქტივობა შინაგან მოძრაობად, ამიტომაც სხეულსა და სულს შორის გაჩენილი უფსკრულის თავზე გაბმულ თოკზე დარჩა გაკიდული.

სავარსამიძე შინაგანად გაუნონასწორებელია, ამიტომაც ნელდება მასში ფრანჩესკო ასიზელთან „ზიარების“ ხიბლი და იბადება საოცარი აღგზნება – „ღმერთისკენ“ და „ღმერთისგან“ ერთმანეთს ეჯახება. ამ შინაგან სულიერ მოძრაობას ყველაზე მძაფრად ამხელს ცრუ ქრისტეს ეპიზოდი. წითურწვერებიან ანაფორიან მათხოვარს ახალ ქრისტედ მოაქვს თავი, ფეხშიშველა მათხოვრებთან ერთად ვირის ეტლით დადის და ქადაგებს: „ადამიანს დაავინყდა ღმერთი და გაცოფდა. ანტიქრისტემ გაუკეთა ადამიანებს ეს ქალაქები, ანტიქრისტემ აუშენა მას მანქანები... მოწეულია ჟამი, ძმანო და დანო ჩემნო, როცა ყველა ქრისტიანი თვით უნდა გახდეს ქრისტე და აჰა, მე დავძლიე ჩემი ადამიანური სიგლახე“.

რასაც ეს ცრუ ქრისტე ქადაგებს, შინაგანად ყოველთვის აწამებს სავარსამიძეს, ამიტომაც ამ სიტყვების გაგონებისას უცნაური ჟინი აიტაცებს, დროს იხელთებს და დაცარიელებულ ეტლში ჩაჯდება. უხარია, მათხოვრები და ბავშვები ახლა მას რომ მისდევენ ყვირილით, ხოლო როცა ცრუ ქრისტე სილას გაარტყამს და მრისხანედ შესძახებს: „ვინ მოგცათ ნება, ღმერთის ეტლში ჩამჯდარიყავით?“ სავარსამიძე მეორე ყბას მიუშვერს და უპასუხებს, რომ თვითონ არის ღმერთი.

სავარსამიძე იტანჯება და სულიერ მგლოვიარობას განიცდის ჩადენილის გამო. „ასიზის გზაზე ჯვრების დამს-

ხვრევა, პერუჯიელ ცრუქრისტეს სილა, ყველაფერი ეს სიმთვრალესა და ექსტაზში მომხდარი ამბები იყო, მაგრამ მაინც კომმარული ნალექი დამრჩა გულში“ (გამსახურდია 1992: 210).

სავარსამიძემ უთხრა გამომძიებელს: „თქვენ არ იცით, ღვთისმოსაობასა და ღვთისგმობას შორის რომ სულ ერთი ნაბიჯია“. ეს ერთი ნაბიჯი კი უფსკრულს ეთანაბრება.

ერთი სარეკლამო სიტყვა „პერტინაქს“ „დიონისოს ღმერთში“ წარმოაჩენს ცივილიზებულ ყოფაში გაუცხოებული ადამიანის სულიერ ტკივილს. ეს სიტყვა იტევს უამრავ უაზრო ხმას, ჭუჭყიან ქუჩებს, მათხოვრებს, მეძავეებს, კაფეებს, ადამიანთა გაცვეთილ, უსულგულო ურთიერთობებს, ერთი სიტყვით, ყველაფერს, რასაც ქალაქში შეიძლება შეხვდეს ადამიანი. ჟან ბოდრიარი წერს: „ყველაზე უარესი ის კი არ არის, რომ ჩვენ ირგვლივ სულ ნაგავია, არამედ ის, რომ თავად ჩვენც ამ ნაგავად ვიქცებით“ (ბოდრიარი 2010: 3).

ბერლინის ერთ-ერთ ქუჩაში, ტყვიების წვიმაში მოხვედრილი სავარსამიძე ყველგან სიკვდილის ქროლას ხედავს და უცებ მის ყურადღებას მიიპყრობს წითელი რეკლამა – „პერტინაქს“ – რომელიც ყველაფერს ნთქავს – ადამიანებს, სიკვდილს, სიცოცხლეს, ქალაქს და თითქოს მთელ სამყაროსაც. დაღლილ სავარსამიძეს თითქოს სდევნის ეს წითელი პლაკატი. უაზრო „პერტინაქს“ – ბგერათა იმგვარი შერწყმისაა, რომ მისი ჟღერადობა ეკლუბივით ჩხვლევს, ან ნაჯახივით ესობა გულზე. ეს რეკლამა გდაინაცვლებს ფიზიკური სივრციდან სავარსამიძის სულიერ სამყაროშიც და შიგნეულს უფლეთს. მინის ზედაც და მინის ქვეშაც – ყველგან „პერტინაქსია“. სავარსამიძე ცდილობს, თავი დააღწიოს, წავიდეს „მოუსავლეთისკენ, ქაოსისკენ“, სადაც „კედლებზე, ვიტრინებზე და აფიშების ბოძებზე არ აწერია

უაზრო, აბსურდული, ნერვების ამშლელი: პერტინაქს, პერტინაქს, პერტინაქს“ (გამსახურდია 1992: 262). რეკლამის ყოვლისმპყრობელობას კარგად გამოხატავს თანამედროვე ფრანგი მწერალი ფრედერიკ ბეგბედერი რომანში „99 ფრანკი“, რომელშიც დეკარტის ფრაზა: „ვაზროვნებ, მაშასადამე, ვარსებობ“ – შეცვლილია ამგვარად: „ვხარჯავ, ესე იგი, ვარსებობ“ (ბეგბედერი 2014: 9).

„ლიმონისფერი პეპელა გამოფარფატდა და აირია ავტომობილების საოცარ ქარავანში“ (გამსახურდია 1992: 281). პეპელა „ნათელი სულივით“ გაიელვებს ბენზინით აყროლებულ ქუჩაში. თითქოს წამიერად პეპლის ლიმონისფერ შუქში გადანათდება სამყარო. ეს სინათლე გამოჰგლეჯს სავარსამიძეს ქალაქის რკინა – ბეტონს და ბავშვობის ტკბილ მოგონებებში გადაისვრის. პეპელა ამ შემთხვევაში წარმოდგება, როგორც სავარსამიძის სულის სიმბოლო. ისიც ხომ ასეთივე სუსტი, მიუსაფარი და უცხოა ამ ვრცელ ქალქში, როგორც პეპელა. ამ ხატით მწერალმა გმირის სულიერი ტანჯვა გამოკვეთა. ფერთა კონტრასტმა კი ეს ტანჯვა ესთეტიკურ ღირებულებად აქცია. ჰემინგუეიმაც ერთ მოთხრობაში პეპელა, როგორც სახე სინმინდისა, ღვთაებრივისა, დაუპირისპირა ცივილიზაციას, ომს, აგრესიას, ნგრევას („პეპელა და ტანკი“).

სავარსამიძეს შორიდან მოტოციკლეტების ხმაური შემოესმება, „თითქოს შორეულ ტბაზე გარეული ბატები ფრთებს აბარტყუნებდნენ“ (გამსახურდია 1992: 120). ეს შედარება ერთდროულად ერთმანეთთან აკავშირებს ქალაქსა და ბუნებას, თანვე იგრძნობა შესადარებელ ხმათა კონტრასტულობა. ეს ორი ხმა ბუნებას მონყურებულ პერსონაჟის სმენამ შეაერთა და ამგვარად წარმოჩნდა ქალაქიდან გაქცევის, მისგან თავდაღწევის სურვილი.

„უზარმაზარი მკვდარი ქალაქი დაფიქრებული, მოლუშული მეგებება. დაღვრემილი დაბნელებული ფართე ფანჯრები შემომცქერიან (დახოცილი მღევების გამოლამებული თვალები), ყინულით შესუდრული დათოვლილ სახურავებიანი ქალაქი, თეთრი კარტონის ქალაქსა ჰგავს. ჰაუ, ყველაფერი გაყინულა, გაცივებულა! ისეთი გრძნობა მაქვს: ამ ქალაქზე რომ რუხმა ფრინველმა გადაიაროს და სახურავებზე გადაუსვას თავისი ბასრი ფრთები, მთელი ქალაქი დაიმსხვრევა და განადგურდება ეს უშველებელი, დიდი ცივილიზაცია“ (გამსახურდია 1992: 228). ალპების მთები – „უშველებელ, კრისტალის კუბოებში ჩაჭედილი თეთრი გოლიათები!“ (გამსახურდია 1992: 150). „ქარი ბელზებელივით დაჰგელავდა სხურავებზე“ (გამსახურდია 1992: 259).

გრიგოლ რობაქიძის „გველის პერანგში“ რეალური და სიმბოლური სახეები ერთმანეთს ერწყმიან. ხშირად, თანდათანობით ხდება რეალური, კონკრეტული სახის ირეალურ ხატად თუ სიმბოლოდ გარდაქმნა. რომანში ერთი ასეთი საინტერესო სახეა თბილისი, რომელიც სიმბოლური მრავალმნიშვნელოვნებით გამოირჩევა.

„ირყევა ტფილისი – ქალაქი წყეული და უტკბილესი“, – ასეთი ეპიგრაფი წარუძღვარა მწერალმა რომანის იმ თავს, რომელსაც „ტფილისი“ დაარქვა. ამ ქალაქის მისტიკურ სახეში ირეკლება ქართველი ხალხის ბუნება. მწერალი ორიოდვე შტრიხით მოხაზავს მის „მითოლოგიას“ – მცხეთაში აფრენილი ქორისა თუ გოგირდის ღვარში დაფუფქული ხობის ამბავს. მწერალი ხატავს ქალაქის რეალურსა და მეტაფიზიკურ სახეს. კონკრეტული საგნებიდან მზერა გადინაცვლებს ზოგადსა და ირეალურში. ქალაქში შესვლა ერთგვარ ნათლისღებას ედარება. ტფილისი თავის რჯულზე

მოაქცევს ყველას. ადამიანები აქ „განახლებიან“ იმ ცხოვრებისთვის, რომელიც ამ ქალაქში ხვდებათ.

ფერწერულ სახეებს მოაქვთ ქალაქის რიტმი. იხატებიან მექისეები, ხარაზები, მედუქნეები... მწერალი მონტაჟის ხერხით ერთმანეთს უნაცვლებს კალეიდოსკოპურ სურათებს. რიგ-რიგობით გამოიკვეთებიან სხვადასხვა საგნის კონტურები. მკითხველი თანდათან გამოარჩევს „სისხლით გაღებულ“, ტფილისის დამანგრეველ შაჰ-აბასს; ალექსანდრ პუშკინს, რომლის აფრიკული სისხლი „სლავურმა არემ ვერ დააცხრო“, მაგრამ „ტფილისმა დაანელა“.

მწერალი ქმნის სურათებიანი ალბომის თვალწერების ეფექტს. ფურცლები ჯერ ნელა იშლება, შემდეგ რიტმი ჩქარდება და გამოსახულებანი ერთმანეთში ირევა: „სიტყვა ქართული. ბაიათი სპარსული. ხმა „ყარაჩოღელის“... რასსის დომხალი?!“ რასსის დომხალი ქალაქს მრავალნიღბიან მსახიობად აქცევს. ნიღბთა მრავალფეროვნება კი მწერალს საშუალებას აძლევს ქალაქის ცხოვრება დახატოს როგორც ჰორიზონტალურად (რეალური ისტორიული ამბები), ასევე ვერტიკალურ ქრილში (სულიერი ცხოვრება).

მწერალი ხაზგასმით წარმოაჩენს უფორმოებას, დაუხვეწაობას, სიმახინჯეს. მყვირალა ფერები თითქოს მშვენიერებას ნთქავენ და ანადგურებენ. სიჭრელე ამქვეყნიურობის, ამაოების, ცოდვაში დანთქმული, სულიერებისაგან განძარცვული ქვეყნიერების სიმბოლოა.

მწერალი ქალაქს ხატავს, როგორც მოზაიკას, სადაც ყოველ ცალკეულ დეტალს დამოუკიდებელი მნიშვნელობა აქვს, იმავდროულად, მხოლოდ მთელთან კავშირში იძენს თავის ჭეშმარიტ ღირებულებას. მწერალს აინტერესებს ადამიანი ქუჩაში, რომელიც მისთვის ქაოსის სიმბოლოა. ქუჩის მოძრაობა „შლის“ და „ანგრევს“ კაცის სხეულს. მკითხ-

ველს თვალწინ კუბისტური ნახატი წარმოუდგება. „სხეული მირბის: ხელი-ფეხი – ყელი – თავი: თითქო მანქანაა აძრული. სხეული კუთხურ იტეხება და კუთხურ გარბის. მოჭქრის ტრამვაი. სხეული შეჩერდება. დაიკრუნჩხება: თითქო „ქარები“ აქვს ათასი“. მწერლისთვის ეს „აპოკალიფსური ჩვენებაა“. ამ განცდას ამძაფრებს ქალაქში უწმინდურების სიმრავლე. მხოლოდ ქაშუეთის „შემოხედვა“ არღვევს სიბნელეს. მის მზერაში მოჩანს შეურეველი და ხალასი რასა.

მწერალი მკითხველს ნელა შეამზადებს იმისთვის, რომ ტფილისის სახეში ბაბილონი დაილანდოს. ძველი ბაბილონი რომანში თბილისის, ხოლო საზოგადოდ, ცივილიზაციის უპირველესი პირმშოს – ქალაქის არქეტიპია, კანური მოდემის მოღვაწეობის ნაყოფი. აქადურად ბაბილონი „ღმერთების კარს“ ნიშნავდა. იგი წარმოდგებოდა წმინდა ქალაქად, რადგან მის წიაღში ღმერთები იყვნენ დავანებულნი. ბაბილონური კოსმოგონიის თანახმად. ამქვეყნიური ბაბილონი ღმერთების განსასვენებელი ზეციური ბაბილონის ყაიდაზე აშენდა. ეს თბილისი ბიბლიურ ბაბილონსაც წამოატივტივებს.

მკითხველის მზერა ვერტიკალურ ქრილში ღრმავდება და საუკუნეთა დანალექები ცნაურდება. აქ წარმოდგენილი ეპიზოდები კომპოზიციურად ისეა შეკრული, იმგვარად დაკავშირებული ერთმანეთთან, რომ „მოძრაობისას“ ხდება სხვადასხვა შრის გადანაცვლება. მწერალი ასოციაციებით, ალუზიებითა და რემინისცენციებით მკითხველს ახსენებს შორეულ ისტორიას.

მწერალი თბილისს წარმოადგენს, როგორც ყველას „შინას“ – ეს კი სამოთხისა თუ ჯოჯოხეთის ასოციაციას იწვევს. რეალური ქალაქი ჯოჯოხეთის სიმბოლოა. არჩიბალდი ამ ქალაქში უნდა გამოიცადოს, ეზიაროს მის ჯურღმუ-



ლებს და მისგან თავდაღწეულ – განწმენდილი მისწვდეს სანადელს. ქაშუეთის ხატი კი სამოთხე წარმოჩნდება. ტაძრის „მოქალაქეობა“ კაცს ზეცასთან აახლოებს. ქალაქის მისტიკური ბუნება ირეკლება მოჩვენებათა სიმრავლითაც. აქ მოჩვენებასა და სინამდვილეს თანაბარი მნიშვნელობა ენიჭება.

ქალაქი, როგორც სიმბოლო, არა ერთ მწერალს აქვს წარმოჩენილი. მათ შორის, ანდრეი ბელის „პეტერბურგსა“ და დემნა შენგელაიას „ტფილისს“ დავასახელებთ. სახეთა განსხვავებულობის მიუხედავად, მათ მსგავსებაც აქვთ, უპირველესად კი ის, რომ ეს ქალაქები „პერსონაჟთა თავებიდან“ იბადებიან და რელურ ფიზიკურ ქალაქებს ენაცვლებიან.

მწერალი თბილისს კაცობრიობის მოდელადაც სახავს, რომლის ცხოვრებაში თანაბრად ირეკლება მისი განვითარების ოთხივე ხანა (ოქროსი, ვერცხლის, ბრინჯაოსი, რკინისა). თბილისი არჩიბალდ მეკემმა იგზნო, როგორც სარკე, რომელშიც თავი შეიმეცნა.

თბილისის სიმბოლურ სახეში არტურ რემბოს „მთვრალი ხომალდის“ სახეც ირეკლება. ეს ქალაქიც ქანაობს: „ტფილისიც ხომალდია: ტფილისიც მთვრალია“. „ეს ქალაქი არ არის ნამდვილი. იგი ორეულია და მის სხეულზეც ორეულები სახლობენ. იხატება XX საუკუნის 20-იანი წლების თბილისი – თვალწინ წარმოგვიდგებიან არტურ რემბოს თაყვანისმცემელი ცისფერყანწელები. მოქანავე, ტორტმანებულ ქალაქს თითქოს საყრდენი ვერ უპოვია – როგორც თვითონ არჩიბალდ მეკემს. ერთი მხრივ, არის მისწრაფება უსაზღვრო თავისუფლებისაკენ, რომელიც ვერ იტანს ვერანაირ ჩარჩოებს, იმავდროულად, წყურვილი სიმშვიდისა, „შემოსაზღვრულობისა“, ერთი ადგილის პოვნისა, ფესვის

გადგმისა. დიონისური, ქოტური ქარბობს და სწორედ ეს აქანავეებს გამუდმებით აღმოსავლეთსა თუ დასავლეთს შორის. მწერალს სურს ქალაქის მრავალსახოვნების დახატვა და მას აღწევს კიდეც იმ ერთგვარი მასკარადული დეკორაციებით, რომელთა ფონზე ქალაქი გამოიკვეთება. ყოველი ახალი წახნაგის წარმოჩენისას იცვლება სიმბოლური ხატი. ქალაქი „გადაიქცევა“ ქალაქ-დედოფლად და თან სხვა სიღრმე მოაქვს. მკითხველის წარმოსახვაში წამოტივტივდებიან ქალაქის „ცრუ საქმროები“: „ჯელალ ედდინ, თიმურ ლენგ, შაჰ-აბაზ, შაჰ-თამაზ...“

სამშობლოს, მამისა და ფესვების მაძიებელი არჩიბალდ მეკემში თბილისში იგზნებს საქართველოს ბედს და, იმავდროულად, თავის არსებასაც შეიმეცნებს. აქ ამოიცნო მან მზისა და ხმლის საიდუმლო, რაც ღვთიურისა და მიწიურის მისტიკურ კავშირს გამოხატავდა.

რობაქიძე და გამსახურდია თავიანთ რომანებში წარმოაჩინენ ქალაქების უდაბნოებში სულიერი კრიზისით, ეგზისტენციალური პრობლემებით შეჭირვებულ გმირებს, რომელთაც სწყურიათ მშვენიერება, დაეძებენ მას და ამ ძიებაში პოულობენ სიცოცხლის საზრისს.

## დამონმებანი

ბეგბედერი 2014: ბეგბედერი ფრ. „99 ფრანკი“, თბ. 2014

ბოდრიარი 2010: ბოდრიარი ჟან, ქალაქი და სიძულვილი, <http://lib.ge/body-text.php?319>

ბუაჩიძე 1993: ბუაჩიძე თ. ფრიდრიხ ნიცშე და მისი „ესე იტყოდა ზარატუსტრა“, თბ. 1993

გამსახურდია 1992: გამსახურდია კ. „დიონისოს ღიმლი“. თბ. 20 ტომად. თ. II, თბ. 1992



### სოფლისა და ქალაქის ანთინომია ქართულ მხარლობაში

ეკონომიკური კრიტიკის ერთ-ერთი ვექტორთაგანია მხატვრულ ტექსტებში უკუფენილი ეკონომიკური ცნებები, მოვლენები და, საზოგადოდ, ეკონომიკური პრობლემები. „ეკონომიკა ლიტერატურაში“ არა მხოლოდ რეალობის ანარეკლია, არამედ სოციალური გარემოს გარდასახვის, სტრუქტურირებისა და ახლებური ფორმირების წყაროც. ლიტერატურული პრაქტიკების ლიბერალიზაციამ განმანათლებლობის მიერ შემოტანილი კონცეპტების კულტივირება მოახდინა და „ეკონომიკური ადამიანის“ გაგება დაამკვიდრა.

ევროპული განმანათლებლური კონცეპტები ქართულ კულტურაში ილია ჭავჭავაძის შემოქმედების წიაღ მკვიდრდება, რადგან ეს იდეები სწორედ მან გაიაზრა თავის პუბლიცისტიკაში თეორიულად და ნარატიულ ტექსტებში ხორცი შეასხა მხატვრულად, რითაც საზოგადოებას ახალი ჰორიზონტის მოხილვის შესაძლებლობა მისცა. ემზარ ჯგერენაიას ძალზე საგულისხმო დაკვირვებით, ილიას მიერ მოხმობილი ევროპული განმანათლებლური იდეები და კონცეპტები – „ერისა“ და „მოქალაქისა“, იმ პერიოდის რუსეთის იმპერიაში და მით უფრო საქართველოში აღსანიშნების გარეშე დაბადებულა და „მხოლოდ აზრობრივად, ინტელიგიბელურად (ლოგოსში)“ უარსებია, რაც იმას ნიშნავს, რომ ეს ოდენ „ევროპული იდეური ინტერვენცია“ ყოფილა. საქვეყნო საჭიროების მცოდნე ქართველი მოღვაწეებს ეს მოდათ ევროპულ ცნებათა შინაარსი, მაგრამ ფეოდალურ

გამსახურდია 1990: გამსახურდია ზ . საქართველოს სულიერი მისსია, თბ.1990

კაკაბაძე 1985: კაკაბაძე ზ. ექსისტენციური კრიზისის პრობლემა და ედმუნდ ჰუსერლის ტრანსცენდენტალური ფენომენოლოგია. თბ.1985

კაფკა 1991: კაფკა ფ. გოდოლი. ნოველები და იგავები. მოსკოვი, 1991.

კობახიძე 1984: ჯეიმს ჯოისის და ტ.ს. ელიოტი: მითისა და წესრიგის ძიება, კრებულში: ჯოისი 100, თბ. 1984

ლოსევი 1990: ლოსევი ა. სამყაროს დიალექტიკა, მოსკოვი, 1990

რილკე 1992: რილკე ე. მალტე ლაურიდს ბრიგეს ჩანაწერები, თბ. 1992

რობაქიძე 1989: რობაქიძე გრ. „გველის პერანგი“, „ფალესტრა“, თბ.1989

რობაქიძე 1991: რობაქიძე გრ. საქართველოს სათავენი ჟურნ „ლიტერატურა და ხელოვნება, №2, თბ. 1991

ტატიშვილი 1993: ტატიშვილი ე. ეკლიანი გზით ვარსკვლავებისკენ. თბ. 1993

ფრიდრიხი 1990: ფრიდრიხი ჰუგო, თანამედროვე ლირიკის სტრუქტურა, ჟ. „საუნჯე“, №5, თბ. 1990

შენგელაია 1983: შენგელაია დ. „სანავარდო“. რჩ. თბ. 1983

ჯოისი 1989: ჯოისი ჯ. ენების შესწავლა. წიგნში „ესეები“, თბ. 1989

სოციალურ სტრუქტურაში მცხოვრები საზოგადოება ამ ყველაფრისადმი გულგრილი იყო; აქედან გამომდინარე ამ კონცეპტთა გადმოტანასა და დანერგვას ქართული სინამდვილე დიდად ნოყიერ ნიადაგს ვერ დაახვედრებდა, მაგრამ ქართველი „მესამოციანელი“ მაინც ცდილობდნენ ამ ცნებათა კულტივაციას და, თუ ქართული სინამდვილე რაიმე სანიმუშო პრეცედენტს წარმოშობდა, ამ ფაქტს „შეფრფინვით“ ხვდებოდნენ ხოლმე. დიდად ალაფრთოვანებდა, მაგალითად, იაკობ გოგებაშვილს ჩვენი დიდი მენარმისა და საზოგადო მოღვაწის ალექსანდრე სარაჯიშვილის „საფუძვლიანი ევროპიულის განათლების მეოხებით“ მოპოვებული დიდი ქონება და მის ნაღვანს სწორედ ევროპული ცნების – „მოქალაქის“ წილ განიხილავდა. გამოსათხოვარ წერილში იაკობი განსვენებულის ცოდნას, მხნეობასა და პატიოსნებას მიაქცევდა ყურადღებას და ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ იგი იყო „თბილისის მოქალაქის შვილი და მასში მოქალაქეობრივი ღირსებანი უმაღლეს წერტილამდინ იყვნენ ასულნი“. აქვე არანაკლებ საგულისხმოა იაკობ გოგებაშვილის „ქართული სატკივარი“: „იგი რომ ჩვენებურის ბრწყინვალე წოდების წევრი ყოფილიყო, მამისაგან დარჩენილ თანხას სწრაფად გაფლანგავდა, გაღატაკდებოდა, შაბათის გლახად გადაქცეოდა და თვითონაც პირადად გახდებოდა ქველმოქმედების ობიექტად, რის მაგალითებს ყოველ ნაბიჯზე ვხედავთ ახლანდელს დროში. ბედად იგი დაიბადა მოქალაქედ და გარდაიცვალა სასიქადულო მოქალაქედვე, რასაც ჩვენს შორის ჯერ არც ერთი ბრწყინვალე შემძლებელი არ ღირსებია“ (გოგებაშვილი 1990: 249).

იაკობის ნათქვამში ნათლად იკვეთება „მოქალაქის“ დაპირისპირება „ბრწყინვალე წოდებასთან“, ხოლო ამ ორი სოციალური ჯგუფის მიღმა თავისუფლად შეიძლება ამო-

ვიკითხოთ სოფლისა და ქალაქის ანტინომია. საქმე ის გახლავთ, რომ ქართული არისტოკრატია ქალაქს ნაკლებად ეძალებოდა, საკუთარ მამულში იყო გამოკეტილი და ქალაქად ლამის არც არაფერი ესაქმებოდა. „... თავადაზნაურობას, რომელიც მიჩვეული იყო სოფლის ცხოვრების რიტმს, გაუჭირდა ქალაქური ცხოვრების დინამიზმთან ფეხის შეწყობა. ამ დროის ქართველი თავადი ან აზნაური უნდა წარმოვიდგინოთ როგორც მდიდრულად ჩაცმული არისტოკრატი, რომელიც უსაქმოდ, აუჩქარებლად დასეირნობს გოლოვინსკის პროსპექტზე“ (სუნი 2010: 49). ქართველმა თავადაზნაურობამ ვერ დაძლია თავიანთ ყმებზე დამოკიდებულება, ვერ მოახერხა სამენარმეო „სულის“ განვითარება და ვერ მოიძია დაქირავებულ შრომაზე დამყარებული სოფლის მეურნეობისათვის საჭირო ფულადი რესურსი (სუნი 2010).

მოქალაქის როლსა და სოციალურ მნიშვნელობაზე ფიქრი და მსჯელობა კი მიმდინარეობს ქართულ საზოგადოებაში, მაგრამ ამას უფრო, თუ შეიძლება ასე ითქვას, ნატვრის პათოსი და ფორმა აახლავს, ვიდრე რეალური საყრდენი. საქმე ის არის, რომ ცალკეული სვებედნიერი შემთხვევები სარაჯიშვილისდარი მოქალაქეობისა, ცხადია, ვერ ქმნიდა იმგვარ სამოქალაქო თანაცხოვრებას, რომელიც ახლებური შემობრუნების ნიშანსვეტი გახდებოდა. და თუ მაინც XIX საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოში კულტურული პარადიგმის ცვლილებაზე გვინდა ვილაპარაკოთ, აქ, უპირველესად, მხედველობაში უნდა გვქონდეს ფეოდალური შეგნებისა და საერთოდ ცხოვრების შუასაუკუნეობრივი საყრდენებისა და გაქვავებულ ინერციათა – რომელიც ჩვენში XIX საუკუნეს მოსწვდა – რღვევა.

ახალევროპულ განმანათლებლურ იდეებზე საუბრისას არც განმანათლებლობის ამბივალენტური ბუნება უნდა

დაგვაზინყდეს, რომლიდანაც ამოიზარდა როგორც ლიბერალურ-დემოკრატიული ასევე სოციალ-დემოკრატიული იდეები, რამაც ქართულ სოციო-კულტურულ სივრცეში ხელი შეუწყო, ერთი მხრივ, ბურჟუაზიის წარმოშობასა და აღზევებას და, მეორე მხრივ, ახალი „იდეური ადამიანის“ დაბადებას. ამიერიდან საზოგადოებრივი ცხოვრების ეს ორი მიმართულება ურთიერთჭიდისთვისა და სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლისთვისაა განწირული. ამ ორი დინების ტრაგიკული შეუთავსებლობის ფონზე აქცენტირდება და იკვეთება იმგვარი ანტინომიები, როგორიცაა „ხმალი“ და „საანგარიშო“, მამული როგორც მეტაფორა და მამული როგორც ეკონომიკური ფაქტორი, დაბოლოს – სოფელი და ქალაქი (კუპრეიშვილი 2016).

ილია ჭავჭავაძის პუბლიცისტიკასა და პროზაში სოფლისა და ქალაქის დისპროპორციული განვითარების თემაზე საუბრისას ნონა კუპრეიშვილი აღნიშნავს, რომ მართალია ილიას პროზის სიუჟეტური კოლიზიების თემატურ ცენტრად კაპიტალიზმი არ ქცეულა, მაგრამ მასში სიმპტომატურად წარმოჩნდა ქართული სოციო-კულტურული გარემოს კონტექსტში ახლად აღმოცენებული დამოკიდებულების მიზეზ-შედეგობრიობა როგორც ქალაქის, ასევე სოფლისადმი; ხოლო ილიასადმი წაყენებული ერთი ბრალდება-თავანი ისიც ყოფილა, რომ მწერალს ქალაქური ყოფისადმი ნაკლები ყურადღება გამოუჩენია. არჩილ ჯორჯაძე საყვედურობდა თურმე, რომ „ჭავჭავაძის ყურადღებას მარტო სოფელი იწვევდა“, რომ „ავტორი მარტო სოფლის ცხოვრებას ადევნებს თვალ-ყურს, ქალაქი თავისი რთული აგებულებით აქვს სრულებით მივიწყებული... ჩვენი ავტორი კმაყოფილდება ცხოვრების ცალმხრივი შესწავლით და მასთან არ ასახელებს ძირითადს – ნოდებრივ უთანხმოებას“-ო; და

ეს თითქოს იმით იყო გამართლებული, რომ საქართველო „სოფლური“ ქვეყანაა, მაგრამო, აგრძელებს არჩილ ჯორჯაძე, „ავტორს უნდა დაენახა, რომ სოფელთან ერთად იბადება და ისახება იმგვარი ეკონომიკური ნიადაგი, საიდანაც წარმოსდგება სრულებით ახალი და საქართველოში უცნობი ფაქტორი წარმატებისა და მოძრაობისა – ალებ-მიცემობის გაძლიერება, მრეწველობის აღორძინება, ფულის გაბატონება და ამის საშუალებით სოფლის მებატონის ხარისხის ჩამორთმევა და დაქვეითება...“ (კუპრეიშვილი: 2016). ნონა კუპრეიშვილი ჯორჯაძისეულ ამ საყვედურს პოლიტიკური დროის კონიუნქტურასა და მოძალებული სოციალისტური იდეების პოპულარობაში ხედავს და, ვფიქრობ, მართებულადაც, რადგან იმავე ტენდენციის გამოვლინებად მესახება ვახტანგ კოტეტიშვილისეული ერთგვარი პიეტეტი „მესამედსელთადმი“, როდესაც საზოგადოებრივი ცხოვრების წინსვლასა და „მრავალგზიანობაზე“ ლაპარაკობს და იწონებს იმიტომ მხოლოდ, რომ „კაპიტალისტური წარმოების საკითხი არის ის მნიშვნელოვანი და საყურადღებო საგანი, რომელსაც ამ ახალმა დასმა საგანგებო ყურადღება მიაქცია და <...> ჩვენს ქვეყანას, მომავლის გზები უჩვენა“-ო (კოტეტიშვილი 1959: 615). კაპიტალისტური წარმოების საკითხი, ვფიქრობთ, უფრო პროპაგანდისტული შემადგენელი იყო, რადგან, როგორც უცხოელი მკვლევარი ნერს თბილისის ეკონომიუკურ აბრისზე, არავითარ „სწრაფი ინდუსტრიალიზაციის პროგრამას იგი (ქალაქი ს.გ.) არსებითად არ შეუცვლია“ (სუნი 2010). ვერც ერთს, ჩვენს მიერ ნახსენებ პიროვნებათაგანს სოციალისტური იდეებისადმი ერთგულებას ვერ შესწამებ, მაგრამ ალლო არცერთს არ ღალატობს და კარგად უწყიან, რომ „გაურკვეველ დუდილს“ რალაც დიდი ცვლილება უნდა მოჰყოლოდა, რადგან „რევო-

ლუციონური მოძრაობისათვის ნიადაგი შემზადებული იყო, და ასეთ პირობებში კი, ყოველ ახალ სიტყვას და საქმეს კი არა, წადილსა და სტიმულსაც დიდი მნიშვნელობა აქვს“-ო (კოტეტიშვილი 1959: 615). დიდ მონონებას იმსახურებს „მოქმედების ადამიანი“ და ამიტომ იყო, წერს ვახტანგ კოტეტიშვილი, რომ ახალგაზრდობა გატაცებით კითხულობდა ალექსანდრე ყაზბეგს, რომესაც „მსჯელობა კი არა, მოქმედება უყვარს და მისი გმირებიც მეზრდოლის სახელოვან სადარაჯოზე იღუპებიან“. გარდა ამისა, და ეს არანაკლებ საგულისხმოა, რომ მოქმედების ეს ტალღა ჩვენს ახალგაზრდულ ყოფაშიაც იძვროდა და „უფრო პრაქტიკულად მოაზროვნე ინტელიგენციის ჩანასახი იზრდებოდა ახალი სიტყვის სათქმელად და ახალი საქმის დასაწყებად“.

მე-19 საუკუნის ქართული რეალისტური ლიტერატურა, რომელიც ბურჟუაზიული ყოფის, მესამე საზოგადოებრივი ფენის მორალური პროფილის განჩხრეკით იყო დაკავებული, ასახავდა ქალაქური ყოფის ეთოსსა და პათოსს, მაგრამ ეს სინამდვილე კიდევ უფრო აუცხოებდა ქართველს ქალაქურ ყოფისგან. ისინი ძირითადად დაცივნის საგანნი იყვნენ, მაგრამ ამ ფორმითა და ამ ლიტერატურით ხდებოდა სწორედ მესამე ფენის საზოგადოებრივ სფეროში ლეგიტიმაცია და ამასა სწუხდნენ ჩვენი „მესამოციანელები“, რომელთა სამოქალაქო ეთიკა „რაინდისა“ და „ბურჟუას“ მორიგებასა ცდილობდა (ნინიძე 2015: 114), მაგრამ ცარიელ-ტული ავტოკრატიის ქმედებით გასენილი ქვეყნის საზოგადოებრივ სხეულს სხვა სოციალური გაუცხოების ნახეთქები უფრო ემჩნეოდა და დროებამაც სხვა მიმართულება მიიღო – ილიას ხაზის ალტერნატივა სოციალ დემოკრატია იდგამდა ფეხს.

ეს ყველაფერი ეხებოდა რეალობასა და რეალისტურ ლიტერატურას, მაგრამ საგულისხმოა ფაქტია, რომ ქართული მწერლობის მოდერნისტულ ტექსტებშიდაც შესაძლებელია ისეთი პრობლემების აქცენტირება, როგორცაა კონფლიქტი ნაციონალურ-რელიგიურ ეთოსსა და მე-19 საუკუნის ბოლოს ახალშემოჭრილ კაპიტალისტურ ეთოსს შორის (კუპრეიშვილი: 2016).

XIX – XX საუკუნეთა ქართული გზაგასაყარი, გარდამავალი დრო-სივრცე ჩვენს სინამდვილეში ლიტერატურული მრავალფეროვნებითაც გამოირჩეოდა. პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მიმდინარე დუღილი გავლენას ახდენდა ლიტერატურულ ცხოვრებაზეც, რაც, უპირველესად, ახალი ესთეტიკური მსოფლხედვის – მოდერნიზმის ჩამოყალიბებით გამოიხატა, რომლის „შემოსვლა ქართულ ლიტერატურულ სივრცეში რეალიზმის ინერციის, ეპიგონიზმის, რევოლუციურ-რომანტიკული პათეტიკის დაძლევის კულტურულ ამოცანას დაუკავშირდა. <...> მოდერნისტული მოძრაობა <...> მწერლობაში სოციალური აქცენტების შესუსტებითა და ფორმაზე ზრუნვით, არა მხოლოდ ახალი, არამედ სასიკეთო აუცილებლობა იყო“ (კვაჭანტირაძე 2016: 8).

აქსიომურ დებულებადაა მიჩნეული, რომ მოდერნისტული ლიტერატურა ქალაქის ლიტერატურაა და „პასტორალურ“ ლექსიკასა და ხატუნებს ურბანისტული პროზაული მეტყველება ანაცვლებს, მაგრამ ქალაქის თემა ქართული სინამდვილისათვის მაინც ვერ იქცა წამყვან თემად. ლაპარაკია „წამყვანობაზე“, თორემ არ გავიჭირდება გახსენება ქალაქური ყოფის ამსახველი ტექსტებისა. საკმარისია ჩვენი დიდი მწერლების – ნიკო ლორთქიფანიძის, მიხეილ ჯა-

ვანიშვილის, კონსტანტინე გამსახურდიას, დემნა შენგელა-  
იასა და სხვათა დასახელება.

ნიკო ლორთქიფანიძის პროზაზე როგორც ქართული მო-  
დერნიზმის ერთ მნიშვნელოვან მოვლენაზე მსჯელობისას,  
მისი გამორჩეული სამწერლო მანერის გარდა, მხედველობა-  
ში ის თემატური სიახლეც უნდა მივიღოთ, რომელსაც იგი  
– სხვა ქართველ მოდერნისტ მწერლებთან ერთად – ამკ-  
ვიდრებს და აქ საუბარი ეხება მოდერნისტულ კონტექსტს  
ანუ ახალი ტიპის გმირთა ცხოვრებას ურბანულ გარემოში.  
ეს კონტექსტი უცხო არ ყოფილა ქართველი მოდერნისტი  
მწერლებისათვის, მაგრამ ნიკო ლორთქიფანიძის მოდერნისტუ-  
ლი სტილი დრო-სივრცული ჭრილების განსხვავებული ხატ-  
ვით გამოირჩევა (ჯალიაშვილი 2017). ეს საკითხი მასშტაბუ-  
რად არის ასახული მოთხრობაში „შელოცვა რადიოთი“, რო-  
მელშიც წარმოჩენილია მოდერნიზმის „წყევლა-კრულვიანი“  
საკითხავი – ადამიანის ბედი ურბანულ უდაბნოში.

მოთხრობაში დასმული პრობლემატიკა ჩვენი საკითხის-  
თვის იმდენად შეიძლებ იყოს რეზონანსული, რამდენადაც  
მასში პოზიციონირებულია ძველი, ფეოდალურ-არისტოკ-  
რატიული კულტურის პათოსისა და ცივილიზაციური პრო-  
ცესის ანტინომია, ან, სხვაგვარად თუ ვიტყვით – ძველი,  
რურალურობით ნიშნდებული ყოფის შეპირისპირება ურ-  
ბანიზაციის პროცესთან.

მოთხრობის სათაურშივე იკვეთება არქაული სივრცისა  
და ცივილიზაციის შეტოქება და „რადიოსა“ და „შელოცვის“  
ოპოზიციური წყვილი სწორედ ამ დაპირისპირებულობას  
ასიმბოლოებს. „შელოცვის“ ძალა წამხდარია ცივილიზაციის  
წინაშე. დროის მანქანაზე ამხედრებული ადამიანი ცხოვრე-  
ბისა და ყოფის ფრაგმენტებსა აფიქსირებს და სწორედ ეს  
რეალობა ინაკვთება და იმპრესიონისტულად ისახება მხატ-

ვრულ თხზულებაში. დროის ეს დუღილი ახალი პარადიგმის  
მშობიარობის ტკივილებიცაა, რადგან გასული საუკუნის 20-  
იანი წლები ჯერ კიდევ პირველი მსოფლიო ომით ნერვება-  
წენილი სამყაროს ექოთია გაბრუნებული. დასავლური, უხე-  
ში კაპიტალიზმი და ვულგარიზებული, ღირებულებების-  
გან დაცლილი ყოფა ბადებს „მასების ამბოხს“ და ამგვარი  
სამყაროსადმი დამოკიდებულება გამოსჩანს ნიკო ლორთ-  
ქიფანიძესთანაც. დასავლური, სტანდარტიზებული ყოფი-  
სადმი კრიტიკული დამოკიდებულება და ერთგვარი განაწ-  
ყენება სხვა ქართველ მწერალთა შემოქმედებაშიც აისახა  
და, როგორც ჩანს, ამის ობიექტური მიზეზი ისიც იყო, რომ  
„საქართველო მარტო აღმოჩნდა ბოლშევიკური რუსეთის  
აგრესიის წინაშე“ (ვასაძე 2010: 166), მაგრამ „ნიკო ლორთქი-  
ფანიძის მიერ წარმოსახულ დასავლურ სამყაროში ფულის  
და მატერიალური სიმდიდრის კულტი მეფობს, უსულგულო  
პრაგმატიზმი განსაზღვრავს ცხოვრების ატმოსფეროს“ (ვა-  
საძე 2010: 166). რაციონალიზმის სიცივე სუსხავს ქართველ  
არისტოკრატ ქალს – ელი გორდელიანს და იგი თავისი ექ-  
სცენტრული პროტესტით საკუთარ სიცოცხლეს შეაგდებს  
ირაციონალური ყოფის საპირნონეზე. ელი ამ შემთხვევაში  
ქართული კულტურის არსებითი საზრისების განსახიერე-  
ბადაც შეიძლება მოვიაზროთ, რომელიც თვითშენიშვნისა და  
უღირსი სიცოცხლის ამაცი უგულებელყოფით ბედისწერის  
მსახვრალ ხელს უპირისპირდება. ტრაგიკული პროტესტი,  
რასაკვირველია, მარცხისთვისაა განწირული, მაგრამ ძალ-  
ზე რეზონანსულია მოთხრობის ქვედინებაზე კრიტიკოს თამაზ  
ვასაძის დაკვირვება, რომლის მიხედვითაც ელის შეუმჩნე-  
ველი რჩება უფრო ღრმა და არსებითი ასპექტი დასავლუ-  
რი ყოფისა, რომელზე დაყრდნობითაც ელის შეეძლო ღირ-  
სების აღდგენა ტრაგიკული მსხვერპლგაღების გარეშე და



ეს არის დასავლური ცივილიზაციის ფუნდამენტური პრინციპი – თავისუფალი ინდივიდუალური თვითრეალიზაცია. ნიკო ლორთქიფანიძე „ფერების გამუქებით წარმოსახავს თავის თანადროულ დასავლეთს, მაგრამ მაინც მონიშნავს მასში პროდუქტიულ, ადამიანისათვის გასაქანის მიმცემ სანყისს“. ძველი, ტრადიციული კულტურის ღირებულებათა რადიკალიზებით ელი გორდელიანმა დაადასტურა საკუთარი ღირსება, მაგრამ მისთვის „უცხო დარჩა თვითდამკვიდრების დასავლური წესი, რომელიც ნაკლებად რომანტიკული ჩანს, რადგან ყოველდღიური, მეთოდური შრომის აუცილებლობას გულისხმობს“ (ვასაძე 2010: 169).

ცივილიზაციის მთელი ისტორია სოფლისა და ქალაქის ურთიერთდამოკიდებულების თვალსაზრისით, იმავდროულად, ქვეყნის გაქალაქების, ურბნიზაციის ისტორიაც არის. საზოგადოების სულ უფრო დიდი ნაწილი თავს იყრის საზოგადოებრივი მატერიალური წარმოების, კერძოდ, მრეწველობის კონცენტრაციის ადგილებში, ქალაქებში.

ყოველ ეკონომიკურ ეპოქას მუშაძალის გამოყენების, განაწილებისა და აღწარმოების, საზოგადოებრივი შრომის ორგანიზაციის თავისი და თავისებური ფორმები მოეძებნება. ეს პროცესია არეკლილი ნიკო ლორთქიფანიძის ერთადერთ რომანში „ბილიკებიდან ლიანდაგზე“. ჩვეული სტილი ეპიკურ თხზულებაშიც არ ტოვებს ავტორს, მაგრამ მწერალი იმპრესიონისტული სტატიკურობის პრინციპისთვის ნიშანდობლივ აღქმას, ასასახავი დროის შესაბამისად, დინამიურობას ანიჭებს და ამბის გაგრძელების იმპულსს აძლევს მკითხველს. რომანის სათაური კი სოფლიდან ქალაქისკენ ეპოქალური მოძრაობის ანუ ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის ამსახველ მეტაფორად უნდა ვიგუღვოთ.

რომანი საუკუნეთა მიჯნაზე მომხდარ მოვლენებს ასახავს, რომელზედაც, გერონტი ქიქოძე წერდა, რომ დიდს ისტორიულ ეპოქაში ვცხოვრობთ და ამ გარემოების მნიშვნელობა ჯერ კიდევ სავსებით ვერ შეგვიგნია, რადგან „სიდიადეს გადაჩვეულნი ვართ და ვერ წარმოგვიდგენია, რომ შესაძლებელია, რომ ისტორია ჰფარავდეს ჩვენს ყოველდღიურს ცხოვრებას“-ო (ქიქოძე 1919: 5). სიდიადეს გადაჩვეულნი ვართო, მაგრამ, აი, ინტელექტუალთა შეგრძნებით, დამდგარა ჟამი ისტორიაში კვლავ დაბრუნებისა. „ქორონიკონში“ კვლავ მოქცევის გზა და საშუალება ყველას თავისებურად ესახებოდა, მაგრამ ყველაზე მეტ ენერგიულობას, როგორც წერენ, „სემინარიელები“ და „დიაკვნის შვილები“ იჩენდნენო. ვახტანგ კოტეტიშვილის შენიშვნით, ახალგაზრდობაში დაგროვილი პროტესტის მიზეზი „გარდა იმ საზოგადო რეჟიმისა, რომელიც მთელი რუსეთის იმპერიას მოიცავდა, ჩვენში დამატებითი პირობებიც არსებობდა“-ო და ამ პირობების საილუსტრაციოდ ფილიპე მახარაძის მოგონებას მოიშველიებს: „ამიერკავკასიას დაკისრებული ჰქონდა კოლონიის როლი, ე.ი. ყოფილიყო რუს მრეწველებისა და რუს ვაჭრებისათვის ერთი მხრით ნედლი მასალის მიმწოდებელ ქვეყნად, და მეორეს მხრით, საფაბრიკო და საქარხნო ნაწარმოებთა გამსაღებელ რაიონად. ყოველი რუსი, ან რუსის ქურქში გახვეული ხალხი ლამობდა გამოენახა აქ თავისთვის რაიმე სასარგებლო საქმე, ენახა რაიმე სარგებლობა. სხვაგვარი შეხედულება ამიერ-კავკასიაზე მპყრობელი ერის მხრით არ არსებობდა. ყველა მას გასაფცქენელად და გასაძარცვავად უყურებდა“. ეს გარემოებაო, დასძენს ვახტანგ კოტეტიშვილი, კიდევ უფრო აგუბებდა ატმოსფეროს და მთელი ამ ვითარების სიმძიმე „განსაკუთ-

რებით ჩვენს სოფლებს დაანვა, რამაც გამოიწვია გლეხობის გაღატაკება, განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოში, და სოფლიდან ქალაქისაკენ გაქცევა“ (კოტეტიშვილი 1959: 616). სწორედ ეს ვითარებაა ასახული ნიკო ლირთქიფანიძის რომანში. მდგომარეობას ის ამძაფრებს, რომ გლეხკაცობის გაუსაძლისი ყოფა და ნაოფლარი მიწა-წყლის მიტოვება რაიმე ეკონომიკური კანონზომიერების გამოძახილი კი არ ყოფილა, არამედ გაბატონებული ბიუროკრატიის პოლიტიკის შედეგი. იგივე პოლიტიკაო, წერს ვახტანგ კოტეტიშვილი, „მრეწველობასაც აფერხებდა ჩვენში, ასე რომ, ქალაქისკენ სოფლის მუშების დენა უფრო უბედურობის შედეგი იყო, ვიდრე პროგრესული მოვლენა“ (კოტეტიშვილი 1959: 617). ამას უნდა მივუმატოთ ახალი ისტორიული კონტექსტი, სოციალისტური იდეების გავრცელების სახით, რომელიც მოსვენებას არ აძლევდა ადამიანს, „იყო დიდი ქანაობა“ და საბოლოოდ მიწას მოწყვეტილი, გაპროლეტარებული გლეხობა „სხვისი ბრძოლის“ მონაწილე ხდებოდა.

ლიტერატურათმცოდნეობაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ ეს რომანი ცალკე დგას მწერლის შემოქმედებაში, არ ასახავს მწერლისათვის ჩვეულ, ტრადიციულ თემატიკას და გამოთქმულია ვარაუდი, რომ მწერალი „იძულებული გამხდარა, გადაეფასებინა თავისი დამოკიდებულება კლასობრივ-რევოლუციური ბრძოლისადმი“ (მილორავა 2016: 286) და რომ თხზულების კომპოზიციურ-სტრუქტურული ნაკლოვანების მიზეზი ასასახავი სინამდვილის სირთულე ყოფილა, რომ „მიუხედავად მწერლის გულწრფელი ცდისა“ იგი ვერ ჩასწვდომია „რევოლუციური სინამდვილის რთულ მექანიზმს“ და ვერ გარკვეულა „რევოლუციის პერსპექტივაში და მამოძრავებელი ძალების განლაგებაში“ (ჩიჩუა 1981: 78).

კრიტიკოსი აქ იმასაც გულისხმობს, რომ მწერლის მთავარი ორიენტირი – საკუთარი გამოცდილება ანუ იმ ცხოვრების ცოდნა იყო, რომელსაც იგი ასახავდა და რომელიც კონკრეტული ტოპოსით – სოფლით შემოიფარგლებოდა. მიუხედავ ამისა, რომ გაიოზ ლამბარდავა ქალაქში რკინიგზის საწარმოთა მუშა იყო, მწერალმა მაინც სოფლის ყოფა წამოსწია წინო, წერს კრიტიკოსი; მაგრამ ამჯერად ჩვენთვის უფრო საგულისხმო მისი განზოგადებული დაკვირვებაა: „რალაც ტრადიციული ინერციის ძალით ჩვენი მწერლობა ყოველთვის უფრო ახლო იყო, ყოველ შემთხვევაში, უკეთ იცოდა სოფლის ცხოვრება, მიუხედავად იმისა, რომ ბევრი მწერალი, ისე როგორც <...> ნიკო ლირთქიფანიძე, ქალაქში ცხოვრობდა. <...> ჩვენი მწერლობისთვის ახლო იყო სოფლის მცხოვრების, გლეხის ფსიქოლოგია და ამიტომაც <...> უფრო რელიეფურადაა დახატული რომანში „ბილიკებიდან ლიანდაგზე“ ოდანი, ფარნაოზი, პარმენი და სხვები. გაიოზ ლამბარდავას და შაქრო მარგველაძის მხატვრული სახეები უფრო ძიების, კვლევის კვალს ატარებენ“ (ჩიჩუა 1981: 78).

ნიშანდობლივია ლამბარდავას სამუშაო ადგილებიც, რადგან რკინიგზის შემოღწევამ თბილისი „ამიერკავკასიის სატრანსპორტო ცენტრად აქცია, შეიქმნა მთავარი რკინიგზის სახელოსნოები, სადაც დიდი რაოდენობის მუშახელი იქნა დასაქმებული. სწორედ ისინი ჩამოყალიბდნენ საქართველოში პროლეტარიატის მთავარ ხერხემლად. რკინიგზაზე სამუშაოდ სოფლის მცხოვრებლები აჰყავდათ“ (სუნი 2010: 50). მწერალმა სცადა ასახვა ეპოქის ძირითადი ტენდენციებისა, რომლებმაც შეცვალეს ურბანიზაციის გზაზე შემდგარი საზოგადოება, ჩამოაყალიბეს ახალი ტიპის ადამიანი, მაგრამ თავად მწერლისთვის ეს ადამიანი უცხოა და ამას ღრმა სოციალურ-ფსიქოლოგიური საფუძველი აქვს,

რადგან „დანგრეული ბუდეების“ ავტორის ფიქრის საგანი სწორედაც რომ საპირისპიროა და ეს არის „სულიერი არისტოკრატიზმის ბედი უხეშ გარემოში“ (თამაზ ვასაძე).

ქალაქური ცხოვრების ურბანიზაცია და ანონიმურობა ეჭვქვეშ აყენებდა ყოფის ტრადიციულ მოდელს. ქალაქი აუტანელია, არ მოგნონს, მაგრამ ბედისწერასავით ემორჩილები, რადგან იგი იდუმალებითაა მოსილი, იქ ისეთი რამ ხდება, რისი გაგებისა და ამოხსნის უნარიც არა გაქვს, მაგრამ მაინც ვერ შორდები, რადგან ყრუდ მაინც გრძნობ, რომ ეს არის სახვალხო სავალი და ცივილიზაციური პროცესი გარდაუვალია.

მიხეილ ჯავახიშვილის რომანის, „თეთრი საყელოს“ გმირის, ელიზბარის ცხოვრება ორადაა გახლეჩილი – იგი ქალაქშიც ცხოვრობს და სოფელშიც; შესაბამისად, სახელიც ორი აქვს – ერთი ქალაქური (ელიზბარი, რომელიც მისი ნამდვილი სახელია), და მეორე სოფლური (ვაჟიკა, შერქმეული). ელიზბარი „ქალაქმა, ომებმა და რევოლუციის ქარიშხალმა ბუმბულივით ატრიალა“ და დაქანცა. ბოლოს იქ განიზრახა დამკვიდრება, სადაც ყოფა მთელი თავის სინმინდითაა შენარჩუნებული და „წითელ ურჩხულს“ ჯერ არ შეუღწევია. აქ აღარ შეაწუხებს „არც ხელისუფლება, არც მანქანა, არც გადასახადი, არც ადგილკომი, არც ელექტრონი, არც კომკავშირი“; ხელუხლებელი ტრადიციებით დაყურსული სოფლის ყოფა იზიდავს ელიზბარს და ეს ლტოლვა კიდევ უფრო გამძაფრებულია მისი წარსულით – ქალაქური ცხოვრების წესითა თუ უწესობით; ცუცქია სწორედ ამ არატრადიციული ყოფის განსახიერებაა. ელიზბარი ითმენდა, მაგრამ იქ, სადაც მოსათმენადაა საქმე, ცხოვრება დიდხანს ვერ გასტანს. შეიძლება ითქვას, რომ ელიზბარი დაუბრუნდა თავის საწყისებს და ხათუთასთან ერთად შექმნა ტრადიციული ოჯახ-

ხი, მაგრამ მწერლის სათქმელიც ის არის, რომ არც ეს არის საბოლოო შვება და გამოსავალი: „ბრძოლის ველი ქალაქშია და ომსაც იქ მოვიგებთ ან დავმარცხდებით. მომხვედურს დედა ციხეში უნდა დაუხვდე, მე კი იქედან გამოვიქეცი და დავიმაღე“ – ამბობს რომანის გმირი. უკიდურესობათა შორის მერყევობა დამღუპველია; მთავარია ორივე კულტურული ყოფის შეთანადება, რაც უკვე სოფლისა და ქალაქის ანტინომიაზე კი არა, მათ კონტინუალურობაზე საუბრის საშუალებას გვაძლევს.

რომანში საგულისხმო პერსონაჟია ტრადიციული ყოფის ქომაგი ჯურხა, რომელსაც სიჭაბუკისას ევროპის ქალაქებშიც უცხოვრია, მაგრამ მაინც საკუთარ კუთხეს დაბრუნებია, რადგან მის შეგნებაში ქალაქი ზნეობრივი და, რაც კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, ეროვნული გადაგვარების სიმბოლოა. მისი თქმით, „ქართველმა თეთრი საყელო რომ გაიკეთა, სჯულიც სხვისი მიიღო“. ქალაქი იმიტომ უფრო აშინებს ჯურხას, რომ იქა ტრიალებს რევოლუციის სული და რევოლუცია კი სამყაროული კატასტროფის სინონიმია. „წითელი ეშმა“-ს შიშით ჯურხა გმობს განათლებასაც, რადგან მის ცნობიერებაში ცივილიზაცია და რევოლუცია ტოლობის ნიშნითაა დაკავშირებული.

„თეთრი საყელოს“ მთავარი გმირის ილუზია – რთული ცხოვრების პატრიარქალური ყოფით ჩანაცვლებისა და შვებისა – გაქარწყლდა, მაგრამ მთავარი ის არის, რომ ელიზბარმა გზა მოიმხრო და მითოსური საბურველის მიღმა, მეტი რომ არა ვთქვათ, მკაცრი რეალობა დაინახა. მან იგრძნო არქაული სამყაროს სისასტიკე, რომელშიც ისტორია შეჩერებულა და გარეთვალის აღმაფრთოვანებელი მითოსის მიღმა პრიმიტიული ცრურწმენა გამოსჩანს. აღმოჩნდა, რომ ტრადიციის ნიშნებს აღსანიშნები არ ჰქონია. მწერალ-

საც ამის ჩვენება ენადა, თუმცა, არც ის დავივიწყოთ, რომ რომანის მთავარი გმირი ბევრ ისეთ ღირებულებას ეზიარება, რომელთა გარეშეც ადამიანური ცხოვრება ყოველგვარ ხიბლს დაკარგავდა – ეს არის, მეგობრობის, ოჯახური ყოფის, ვაჟკაცობის და ბუნების პატივისცემა და სიყვარული.

ცივილიზებული ყოფით და რეალურად კი საბჭოური რეჟიმით თავმოქმედებული ელიზბარის სახით მწერალმა შექმნა პერსონაჟი, რომელმაც ერთგვარი „განსანმენდელივით“ გზა განვლო და მიხვდა, რომ არქაულ ყოფაში მიბრუნება საბჭოთა ყოფის საპირწონედ ვერ იქცევა და რომ მასთან დაპირისპირება, რაც უნდა ძნელი იყოს იგი, ცივილიზაციის გათვალისწინებითაა შესაძლებელი. სხვა ყველაფერი ილუზიაა და მეტი არაფერი.

პოლიტიკური კონტექსტი, რომელშიც კონსტანტინე გამსახურდიას მოთხრობის „დიდი იოსების“ მოქმედება ხდება, გასული საუკუნის 20-იანი წლების ტფილისის (თბილისი 30-იანი წლებიდან ეწოდა) სახესა თუ უსახურობას აჩვენებს. ვახტანგ კოტეტიშვილი სწორედ ასეთ ქალაქზე ლაპარაკობს, როდესაც წერს, რომ „კარგა ხანია, რაც ტფილისი ბაბილონად არის გადაქცეული. საბჭოთა რეჟიმამდეც ისე იყო ტფილისის კარები ყოველმხრივ გაღებული, რომ ყველა მავნე, ფსიქიური და „მყუდროების“ მაძიებელი არხეინად დაბრძანდებოდა ჩვენ დედაქალაქის ქუჩებში და ისედაც მძიმე ატმოსფეროს უფრო ამძიმებდა. ასი-ათასობით მჭამელი პირი, მავნე ხელი, და შავი ზრახვები აირივნენ რაღაც მასსად, და ტფილისის ჭრელი სახე არიეს. დღეს გაცილებით უარესი მდგომარეობა არის შექმნილი. <...> ტფილისი ისეთ ქაოტიურ ქალაქად არის გადაქცეული, რომ პირდაპირ საშინელია ის შესაძლებლობა, რომელსაც ეს გარეგნული ალუფხვა მაღავს. ვინ არ მოიყარა დღეს თავი ტფილისში? სპეკუ-

ლანტი, შარლატანი, შავრაზმელი, ქურდი, „დიდ რუსეთზე“ მეოცნებენი, უვარსკვლავო და ვარსკვლავიანი ქართველთ-მოძულენი...“ (კოტეტიშვილი 2016: 518). ამგვარ „ალუფხულობას“ ქალაქს მოახლოებული ბილშევიკური არმიის შიში და ზაფრაც ემატება და ქალაქი აგონიაშია: „საბუღრაოდ გამოსული მოზვრებივით ღმუოდნენ მაფრაშებით, სკივრებით დატვირთული ავტომობილები. ცეცხლოვან თვალებს უბრიალებდნენ ერთიმეორეს, ჩაბლაოდნენ ყურში ბნელ ღამეს და გარბოდნენ. გარბოდნენ ბარგით დატვირთული ჟოკეიანი, ბლუზიანი მოქალაქეები, მიჰქროდნენ ეტლები, ზუზუნებდა მოედანზე მდგარი ბრბო, გასცქეროდა ქალაქის გამგობის აივნებს, ყაყანებდა როგორც პილატეს მომლოდინეებრაელობა დიდ პარასკევს“.

1921 წლის 25 თებერვალია და თბილისში წითელი არმია შემოდის. საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას სამი მხრიდან შემოესია ბოლშევიკური რუსეთის ჯარი და ქვეყანა უმძიმეს ვითარებაშია. ქართული არმია უკან იხევს და ფრონტის ხაზს ტოვებს. ქალაქი დულს და ამ უჩვეულო ამბის მონმე ხდება დიდი იოსები, ჩვეულებრივი მეკურტნე და ტვირთის მზიდავი კაცი, რომელსაც ვითარებისა ნაკლებად გაეგება და „სულიერი სიმშვიდე, ამ ლომივით მსხვილთავიანი, პანტასავით სახემჭკნარი მოხუცის მზერიდან რომ იფრქვეოდა“, ქალაქიდან გასაქცევად აბარგებული დამქირავებლის ოჯახის წევრებს აკვირვებს. ყველანი ისე გაიკრიბნენ, რომ იოსები სახტადაც დარჩა და ეს პატიოსანი, მიუსაფარი და უსახლკარო კაცი, მართალია დროებით, მაგრამ მაინც მდიდრული სახლის ბატონ-პატრონი გახდა. სწორედ ეს ქონება იწვევს იოსების ცნობიერების გადასხვაფერებასა და ამ მდიდრულ სახლში ნანახი სიზმარი ქვეცნობიერად ამზადებს მას ახალი ყოფისათვის.

ჩვენთვის ამჯერად საგულისხმოა ქალაქის სახე, რომელიც თავის თავსაც ვეღარა სცნობს და ისედაც „ალუფხულს“ საერთოდ აებნა თავგზა, რადგან ახალმა ცხოვრებამ ყველაფერი ყირაზე დააყენა ისე და იმგვარად, როგორც ეს ბაზრის მხატვრის გაუნვრთნელი ხელს დაუხატავს: „ტარიელი სავსებით არა ჰგავს რომანტიული ჭმინვით გულგასენილს რაინდს, უფრო ტფილისის რესტორნებში ქინჩგასუქებულ სტუმარს. იგი უჯიშო, ციმბირულ ლაფშაზე ზის, როსტევანის მონებს ძველი კაბა-ჯუბანი აცვიათ, სასალახოს დანისებური მახვილი ჰკიდიათ წელზე და შიშველი ხელით იგერიებენ ტარიელის მიერ მოქნეულ მათრახს“.

იცლება სოფელი და იცვლება ქალაქი, რადგან ჩამოსული გლეხობა მუშათა კლასად ფორმირდება. მოთხრობის მიხედვით სახენაცვალი ქალაქიდან აიკრიბნენ დარჩენილი რაჭველი მეკურტნეებიც, ზოგი ქარხანას შეეკედლა, ზოგი რუსეთში წავიდა და, ვინც ქალაქში დარჩა, იმანაც ხელობა შეიცვალა.

იოსებს აღარც თავის მშობლიურ კუთხეში მიესვლება, რადგან „ძმის შვილებს არც კი ეპიტნავენოდათ მისი დანახვა, არა ერთხელ შეეცადნენ ლენჩად გამოეცხადებინათ და ფარდაგის ოდენი მიწის ნაჭერი წაეგლიჯათ მისვის“.

შეცვლილი ვითარება ქალაქის ახალ სოციალურ სახეს აყალიბებს – სოლოლაკში მუშები სახლდებიან, ხოლო ბურჟუებს მიერეკებიან. თბილისის ბუნებრივი, ქალაქური განვითარება წყდება. ახალი დროის მონაბერი – „თავადები გაგლებდებიან და გლეხები გათავადდებიანო“ – გაცხადდა. იოსებიც „გათავადდა“ და, როდესაც უცხო ქალმა ბარგის გადაზიდვაში დახმარება სთხოვა, რალაცა უფრო დიდის მომლოდინე იოსებმა უკვე ჩვეული საქმეც ითაკილა...

მოსახდენი მოხდა, წითლებიც შემოვიდნენ და ახალი ეკონომიკური ფორმის ფუნქციონირებამ – ფორსირებულმა ინდუსტრიალიზაციამ სრულიად შეცვალა ქალაქის პროფილი და ამ სივრცეში გზასაცდენილი იოსების ადგილი აღარ არის. ქალაქის პროლეტარიზაცია ახალ სოცო-კულტურულ სივრცესა ქმნის და ამსხვრევს ადამიანის ცნობიერებას. ახალმა ყოფამ და ავტომობილების მოძალეობამ კარგახნის წინ გადაგდებული და ტყავის ჩემოდანზე გაცვლილი კურტანი – პატიოსანი შრომის სიმბოლო – მონატრა მეკურტნეს.

გაურკვეველი მომავლის გაუსაძლისი შიში სუდარასავით ეფინება გარემოს. ბილშევიკების შიშით დაძაბუნებული მოქალაქენი – სახლის პატრონები ჩალის ფასად ჰყდიან ქონებას. გაუგიათ, რომ „საბჭოთა მოსამსახურეებს თავადური სტილი არ აინტერესებთ“-ო და „თავადები გაგლებდენ“.

ზოგჯერ ჭირს ხოლმე, რომ მოთხრობაში აღწერილ სურათს ქალაქი და ქალაქური უწოდო: „მეურმეებს, ცხენოსნებს, ქვეითებს თან მოაქვთ კრწანისის მწვანილი, ბორჩალოს შეშა, ყურძენი, ხილი, წითელ ცხვირსახოცით ყელწაკრულ, ყვითელფაფახიან თათარს დედისგან ახლად განალოკი, მადონასთვალეებიანი ხბო მხარზე შეუსვამ, ტყაპუჭიანი მეცხვარეები ნაკელით გათხუნულ ჯოგს მოელალებიან, <...> გაუგებარ სიტყვებს ჰყვირიან, ყავარჯენით არიდებენ ტრამვაის გულუბრყვილო ციკნებს“. ძნელია, ამ მართლაც „ალუფხულობას“ ურბანულობის რაიმე ხატი მიუსადაგო, მაგრამ „ქალაქური ტექსტის“ საზრისთა მრავალფეროვნების თეორიას თუ გავიხსენებთ, ქალაქის ეს დინამიკაც სახვალთო საზრისობრივი ველის მიმანიშნებლად შეიძლება ვიგულვოთ. თბილის-ქალაქის ინტეპრეტაციის ერთი



კოდი ესეც უნდა იყოს – ვინ ტოვებს და ვინ და რა ავსებს ამ სივრცეს.

ამიტომ არის, რომ მწერალი ქალაქს მასშტაბურად აღიქვამს, ერთი დამზერით წარმოაჩენს ქალაქის მეხსიერების ქრონიკას და ზემოთაღწერილი რეალობა ხელს ვერ უშლის ქალაქის ემბლემატური სახის განჭვრეტაში: „თბილისი უდიდესი ძეგლია ქართველობისა. მისი გმირობის უდიდესი ბახტრიონი, მისივე სიძაბუნის უდიდესი ვატერლოო. მისი უხასიათობის, დაუდევრობის, მისი სივარდლის უდიდესი დოკუმენტი“.

მოდერნიზმი აუცილებლობით გულისხმობს ურბანულ დისკურსს. საქმე ის არის, რომ მოდერნულ ეპოქაში თავჩენილი ურბანიზაციის ტენდენცია მოდერნიზმმა დიქტომიური სქემით – ქალაქისა და სოფლის (ბუნებრივი საცხოვრებელი გარემოს) ანტინომიით – წამოაჩინა. ინდუსტრიულიზაციის ეპოქამ მოიტანა ის, რომ ადამიანი გაუუცხოვდა თავისი არსებობის ბუნებრივ ფორმას – სოფლის ცხოვრებას. ქალაქი არის ადამიანის კვდომის, პიროვნული და ინდივიდუალური ნიშნების წაშლის, დემოკრატიის სახელით გათანაბრების ადგილი, სადაც, როგორც მიგელ დე უნამუნო იტყოდა, რომეოსა და ჯულიეტას ტრაგედია ვერ გათამაშდება.

ქალაქის როგორც მოდერნიზმის ტოპოსის ეს ასპექტი მთელი თავისი დრამატიზმითაა წარმოდგენილი ლიტერატურაში საზოგადოდ, მაგრამ საბჭოეთის შემთხვევაში ურბანიზაციის ამ საკაცობრიო ტენდენციას სხვა განზომილება ემატებოდა. საქმე ის არის, რომ საბჭოეთში არსებობდა რეგულირებული მობილობა, რაც იმას ნიშნავდა, რომ ადამიანის მოძრაობა, საცხოვრებლის შეცვლა და სხვა, არ იყო კერძო კაცის ნებაზე დამოკიდებული, ის რეგულირებული

იყო სახელმწიფოს მიერ და ეს ხდებოდა, უმეტესად, პირდაპირი, უხეში ჩარევით, მექანიკურად და არა რაიმე ეკონომიკური მოტივაციით მოსახლეობის მხრიდან.

თუ ურბანიზაციის პროცესს ერთგვარი სქემის სახით წარმოვიდგენთ, სოფლისა და ქალაქის ანტინომია მიიღებს სოფლის ფონზე ქალაქის როგორც პუნსონის სახეს. ამ დიქტომიური ვერსიის მიხედვით, პუნსონს აქვს თავისი შინაგანი სტრუქტურა, რომელიც ტრანფორმირდება და იქცევა მაძიებლური მუხტის მქონე ურბანულ სივრცედ.

## დამონებანი

გოგებაშვილი 1990: გოგებაშვილი ი., დიდ მოამაგის დაკარგვა და საშინელი სენი. რჩეული თხზულებანი, მე-3 ტომი, განათლება, თბ.1990

ვასაძე 2010: ვასაძე თ., გაბრძოლება, ლიტერატურა ქემარიტების ძიებაში, ლიტერატურის ინსტიტუტის გამომც. თბ., 2010

კვაჭანტირაძე 2011: კვაჭანტირაძე მ. ვინ არის პეტრე? ვექტორები (წერილები, სტატიები), თბ., 2013.

კვაჭანტირაძე 2016: კვაჭანტირაძე მ. XX საუკუნის ქართული ლიტერატურა, თბ., 2016.

კოტეტიშვილი 1959: კოტეტიშვილი ვ., ქართული ლიტერატურის ისტორია, გამომც. საბჭოთა საქართველო, 1959.

კოტეტიშვილი 2016: კოტეტიშვილი ვ., ტფილისი, წერილები (შემდგ. ნონა კუპრეიშვილი)

კუპრეიშვილი 2016: <http://ekonomikurikonceptebi.blogspot.com/2016/09/blog-post-12.html>

**სოფლისა და ქალაქის დისპროპორციის  
თემა ილია ჭავჭავაძისა და გიორგი  
წერეთლის პუბლიცისტიკაში**

საქართველოში ოდითგანვე მიიჩნეოდა, რომ ჩვენი ტრადიციები და ქართველობა სოფლის მოსახლეობამ შემოგვინახა. თბილისი ყოველთვის სწრაფად ვითარდებოდა და ცდილობდა მსოფლიო ქვეყნების მსგავსად გამორჩეული დედაქალაქი ყოფილიყო, სოფელი კი უფრო მოკრძალებული ცხოვრების სტილითა და ტრადიციების შენარჩუნებით ხასიათდებოდა. ჯერ კიდევ XIX საუკუნეში ნატურალური მეურნეობის რღვევის შედეგად შეინიშნებოდა ქალაქისა და სოფლის დაპირისპირების გაღრმავება, ქალაქის სავაჭრო-სამრეწველო პოტენციალის ზრდა, მისი, როგორც სამრეწველო ნაწარმის მიმწოდებლისა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის მომხმარებლის, როლის გაძლიერება. საქალაქო ცხოვრების განვითარების პარალელურად მიმდინარეობდა ქალაქის მოსახლეობის ზრდა. ეს პროცესი ხორციელდებოდა საქართველოს სოფლის მკვიდრთა ხარჯზე. ფულად-სასაქონლო ურთიერთობათა განვითარებისა და კლასობრივი ბრძოლის გამწვავების შედეგად სოფლის მკვიდრნი ტოვებდნენ თავიანთ მუდმივ საცხოვრებელს და ქალაქს ეხიზნებოდნენ, რაც ვრცლად ნარმოდგენილი ილია ჭავჭავაძისა და გიორგი წერეთლის პუბლიცისტიკაში.

ეკონომიკური აზრის ისტორიაში ქალაქი და სოფელი ურთიერთ-დაპირისპირებულ ცნებებად მოიაზრება. ეს ანტაგონიზმი ძირითადად სოფლის მოსახლეობის ხარჯზე მიმდინარე ურბანიზაციის პროცესითაა განპირობებული (კუპრეიშვილი 2016). აღნიშნულ საკითხს საქართველოს სო-

მილორავა 2016: მილორავა ი. ნიკო ლორთქიფანიძე, XX საუკუნის ქართული ლიტერატურა, თბ., 2016

ოსტინი... 1999: მარკ ოსტინი, მარტა ვუდმანსი. ახალი ეკონომიკური კრიტიკა (შესავალი წიგნისა, შემოკლებით). ლონდონი – ნიუ-იორკი, 1999 (<http://ekonomikurikonceptebi.blogspot.com/2015/09/normal-0-false-false-false-en-us-x-none.html>).

სუნი 2010: რონალდ გრეგორ სუნი. თბილისი რუსეთის იმპერიაში. „თბილისი ცვლილებების ხანაში (ურბანული სივრცისა და ქალაქდაგეგმარების სოციალურ-კულტურული განზომილებანი)“ თსუ გამომც., 2010.

ქიქოძე 1919: ქიქოძე გ. ეროვნული ენერგია. , მთავრობის სტამბა, ტფილისი, 1919

ჭავჭავაძე 1887: ჭავჭავაძე ი., სატამოყნო პოლიტიკა ევროპაში. ფრიტედერობა და პროტექციონობა. თხზ. სრ.კრებული, ტ. IV. (ციტ.: თენგიზ ვერულავა. „უხილავი ხელის“ მეტაფორა და ადამ სმითი. ყ. სემიოტიკა, # 14)

ჩიჩუა 1981: ჩიჩუა შ., ისტორიულ-რევოლუციური წარსული ქართულ საბჭოთა რომანში. იხ. მისივე „ქართული რომანი-ეპოპეა“. გამომც. მერანი, თბ., 1981

ხარბედია 2007: ხარბედია მ., კენჭგადაყლაპული. მასალები ილია ჭავჭავაძის ქალაქური ტექსტისათვის. კრ. ილია ჭავჭავაძე – 170. თბ., 2007

ჯალიაშვილი 2017: ჯალიაშვილი მ. ნიკო ლორთქიფანიძის „შელოცვა რადიოთი“ – ახალი ტიპის გმირები ურბანულ გარემოში. <http://ekonomikurikonceptebi.blogspot.com/2017/02/blog-post.html>

ციალურ-ეკონომიკური განვითარების თავისებურებებთან ილია ჭავჭავაძე შემდეგნაირად აკავშირებს: „ჩვენებური ქალაქები არავითარ შემწეობას არ აძლევენ ჩვენს ქვეყანას, რადგანაც იგინი უფრო მჭამელნი არიან, ვიდრე მომცემნი რისამე. ჩვენს საქართველოში არც ერთი იმისთანა ქალაქი არ გვეგულება, რომ თითონ აკეთებდეს რასმე და ამდიდრებდეს ქვეყანას ან ფაბრიკის, ან ქარხნის რისიმე ნაწარმოებითა. დიდი ქალაქები, როგორც, მაგალითებრ, ტფილისია და ქუთაისი, წარმოადგენს მარტო ბაზარს, საცა სოფლის ნაჭირნახულები და ნაწარმოები სალდება, ისიც დიდი ვაი-ვაგლახითა და გაჭირებით... პატარა ქალაქები ხომ მარტო ბუდეებად გადაქცეულნი არიან, სადაც თავი მოუყრია ათას წურბელას ვით ქვემძრომსა, საცა ბევრნაირი ჭიალუა ჰფუფუსებს, რომ გამოსწოვონ და გამოლრდნან სოფელი. სხვა არა ემუნათება სოფელს რა ჩვენებური ქალაქებისგან...“ (ჭავჭავაძე 1956: 31).

კაპიტალისტური წარმოებითი ურთიერთობის განვითარების პირველივე ეტაპზე სოფელსა და ქალაქს შორის არსებულმა დისპროპორციამ ვრცელი მასშტაბები შეიძინა. 1865 წლიდან 1897 წლამდე საქართველოს ქალაქების მოსახლეობა 72%-ით გაიზარდა, მთელი მოსახლეობა კი მხოლოდ 40%-ით გადიდა. მოსახლეობის ზრდის მაღალი ტემპით გამოირჩეოდა თბილისი, რომლის მოქალაქეთა რიცხვი ამ პერიოდში 67 ათასიდან 100 ათასამდე გაიზარდა.

აკადემიკოსი ავთანდილ სილაგაძე აღნიშნავს, რომ ილია ჭავჭავაძის დოქტრინის მიხედვით, იდეალური საზოგადოების კეთილდღეობა, უპირველეს ყოვლისა რაციონალურად მოწყობილ სოფლის მეურნეობას – თავისუფალი გლეხის შრომას უნდა დაეყრდნოს (სილაგაძე 2010: 317) : „ქვეყანა იმისია, ვისაც ერთ ხელში ხმალი უჭირავს და მეორეში

გუთანია“ [5, გვ. 122]. გუთანში ილია გლესს და მის შრომას გულისხმობდა, რომელსაც შეუძლია დინჯი, მშვიდობიანი მიმართვა: „შენ ოქროვ, უჩემოდ უქმი ხარ, არაფერში გამოსაყენებელი; უჩემოდ გაბათილებული ვექსილი ხარ, ანუ, უკეთ ვსთქვათ, გაკოტრებულის კაცის თამასუქი... ხმალო, შენ კი... იქნება შესძლო რამე, მაგრამ ისე კი, როგორც ნიაღვარი: მოვარდები, წარღვნი, წალეკავ, მილენ-მოლენ, ბოლოს კი, როცა იქნება, ჩაივლი და ჩაშრები, და თუ მე მიმიხრობ – მაშინ ქვეყანა ჩვენია“ (ჭავჭავაძე 1881: 122).

ილიამ „მინისა და გუთნის“ წარმატების სამი გზა გამოყო: 1. მინის დამუშავებამ მშრომელს მაქსიმალური შემოსავალი უნდა მისცეს; 2. მინის დამუშავების ხარჯები უნდა შემცირდეს და 3. პირველი და მეორე გზის ერთობლივად გამოყენება, ისე როგორც ბელგიაში, ინგლისში, აშშ-ში. ეს უკანასკნელი ყველაზე გამართლებულია, თუმცა, საქართველოში არცერთი მიმართულება არ მოქმედებს (ჭავჭავაძე 1882:176) ანუ, ილია ჭავჭავაძემ ქართველი ხალხის კეთილდღეობა ეკონომიკურ განვითარებასთან დააკავშირა, რომელიც არსებული ბუნებრივი რესურსების ათვისებით მინათმოქმედებიდან უნდა დაიწყოს, მაგრამ ეს სხვა სექტორების განვითარების უგულებელყოფას არ ნიშნავს.

ილიას „წერილების“ მნიშვნელოვანი ნაწილი შეეხო ლითოგრაფიის ქვის, ჭიათურის მარგანეცის, ნავთის მრეწველობის განვითარების, რკინიგზის (მ.შ. კახეთის), გზებისა და სარწყავი არხების მშენებლობის საკითხებს. მისი აზრით, მრეწველობისა და ტექნიკის განვითარებას სათავეში უნდა ჩადგომოდნენ მცოდნე – შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე ადამიანები. „მთელი ამიერკავკასია ძველადგანვე სცხოვრობს და თავს იკავებს იმ მრეწველობითა, რომელიც დამოკიდებულია მინათმოქმედებაზედ. ერთად-ერთი წყა-

რო აქაურის ერის ეკონომიურის არსებობისა – სადგილმამულო მრენველობა და ამაზე მთლად აგებული სრული ძალღონე გამოკვებისა, სახელმწიფო ხარჯისა და ბევრის გაძღოლისა გაუყირებლად და უნაკლულად“ (ჭავჭავაძე 1882: 342) – წერდა იგი. ამ ფონზე სამაგალითოდ მიაჩნდა 1879 წლიდან გერმანია, რომელმაც „მრენველობა-ვაჭრობაში საფრანგეთს თითქმის გაუსწრო და ლამის ინგლისს გაუსწორპიროს და მსოფლიო ბაზარში ცილობა გაუწიოს“ (ჭავჭავაძე 1882: 386). გერმანიის ასეთ წარმატებებს იგი საერთო განათლების მიღწევებთან აკავშირებდა: „ეს ქვეყანა მკის იმას, რასაცა სთესავს“ (ჭავჭავაძე 1882: 387).

ილია ჭავჭავაძე მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობს სამხრეთ კავკასიაში ნავთობმრენველობის განვითარებასა და ბაქო-თბილისის მილსადენის მშენებლობას. ვინაიდან რკინიგზა ვერ უზრუნველყოფდა მოთხოვნილი ნავთის გადაზიდვას, მილსადენის მშენებლობა უნდა დაჩქარებულიყო, რამეთუ „ნავთის მწარმოებელთ სული ეხუთებათ და სიმდიდრის ტბებში მცურავთა ლამის შიმშილისაგან სული ამოუვიდეთ“ (ჭავჭავაძე 1887: 282) – წერდა ილია.

ილია ჭავჭავაძე ვაჭრობის როლს არ აკნინებდა ქვეყნის განვითარებაში, მაგრამ იწუნებდა ფულიანი ვაჭრების მიერ მრენველობაში ინვესტირებისაგან თავშეკავებას: „მდიდარ ქვეყანაში, საცა ათას გვარი ფაბრიკა, ქარხანა და ერთობ ამის მაგვარი მრენველობა დიდს ხელს მისცემს მრენველსაც და ქვეყანასაც გაამდიდრებს, არც ერთს ფულიანს კაცს გუნებაშიც არ გაუტარებია, აზრადაც არ მოსვლია, რომ შეიძლება კაცმა თვითონაც იხეიროს და ქვეყანასაც არგოს რამე“ (ჭავჭავაძე 1886: 265). ილია აკრიტიკებს მსხვილ ვაჭრებს, რომელთაც სასაცილოდაც არ ეყოთ რკინიგზის მშენებლობაში მონაწილეობა, მაგრამ „როცა ცხენის-რკინიგზა

სხვა ქვეყნიდან მოსულმა გაჰმართა და ნახეს, რომ ამ საქმეს კაი მოგება აქვს, მხოლოდ მაშინლა წამოაწყვიტეს თვალები და წუნუნებდნენ: „ვა, ეს საქმე ხელიდან როგორ გავუშვით“ (ჭავჭავაძე 1882: 174). ასევე მოუვიდათო მათ შავი ქვის (ალგეთში) და შაქრის ქარხნის (სკრაში) გამო, რომელთაც უცხოელები დაეპატრონენ. მხოლოდ ვაჭრობის მიმდევარი ერი (მაგ. ებრაელები...) გაფანტულია, დარღვეულია და ასეთი ერი, იმ ერზეა დამოკიდებული, რომელსაც შეჰკედლებია და რომელსაც ხელთ უპყრია მინა და გუთანი, იმიტომ რომ ვაჭრობა არ ქმნის სიმდიდრესა; მას მარტო ერთის ადგილიდან მოჭარბებული სიმდიდრე გადააქვს მეორე ადგილას, საცა ნაკლებია და ამ გადატან-გადმოტანაში თავის გასამრჯელოდ დოიქს იღებს“ (ჭავჭავაძე 1882: 174) აღნიშნავდა ილია ჭავჭავაძე. მისი აზრით, „გამნაღებელი ნაშრომისა ბაზარია და იგი ეკონომიური მოქმედება აღებ-მიცემობისა, რომელსაც ვაჭრობა ჰქვია“ (ჭავჭავაძე 1889: 27).

ილია დაუნდობლად ამხელდა ბაზრის არასრულყოფილებას, კერძოდ, ბაზარზე გაბატონებული ჩარჩ-ვაჭრებს, რომლებიც მწარმოებლებს პროდუქტის გაყიდვის გასაქანს არ აძლევდნენ, აიძულებდნენ საქონელი მათთვის კაპიკებში მიეყიდათ და ამ პროდუქტის რეალიზაციიდან დიდი მოგება შუამავლებს რჩებოდათ. „სწორედ ამისთანა მდგომარეობაში ვართ დღეს ჩვენ. თუ რასმე მოვიყვანთ, ველარ გავყიდით; თუ გავყიდით, ჩალის ფასად უნდა გავყიდოთ, ან თუ არა, ტყუილუბრალოდ შინ წავიხედეს, გავვიფუჭდეს“ (ჭავჭავაძე 1889: 26) – წერდა იგი. აქედან გამოსავლის ერთ-ერთ გზად დასახელებულია ისეთი სამომხმარებლო საზოგადოების შექმნა, რომელიც ადგილზე ზომიერ ფასში ჩაიბარებდა გლეხისაგან წარმოებულ პროდუქტს და თავად



მოახდენდა მისი რეალიზაციის ორგანიზებას. ასეთი კო-ოპერაციული საზოგადოების შექმნა, მართლაც პროგრესული ნაბიჯი იყო ეკონომიკის, კერძოდ, სოფლის მეურნეობის განვითარებაში. ამ მიზნით დაწერა ილიამ საქართველოში პირველი თბილისის მომხმარებელთა საზოგადოების წესდება (1869 წ.).

რაც შეეხება მხდელი ხასიათის მქონე ჩარჩულ ფულს, იგი დიდად ვერაფერში წაადგებაო ქვეყანას, რამეთუ იგი „ქურდბაცაცაა, იქა იმკის, საცა არ უთესნია“ (ჭავჭავაძე 1893:13). ამ მიდგომაში კიდევ ერთხელ იკვეთება ილიასეული ვაჭრობა, კერძოდ, სპეკულაციური ვაჭრობით მოპოვებული ჩარჩული ფულის მიმართ, რომელიც მატერიალურ დოვლათს არ ქმნის და რომ „იგი ეკონომიური წარმოებისათვის მკვდარია“ (ჭავჭავაძე 1893:14).

ილია ჭავჭავაძე ასევე ფრთხილობდა უცხოურ კაპიტალთან დამოკიდებულებაში. ასეთი კაპიტალის დაბანდების მნიშვნელობას არ აკნინებდა, ესმოდა მისი უპირატესობები, მოსალოდნელი შედეგებიც. მის სიფრთხილეს განაპირობებდა ქვეყნის სისუსტე, მოსახლეობის დიდი მასის დაბალი ყიდვითუნარიანობა. ილია გულისტკივილით აღნიშნავდა, რომ „ეკონომიკური მოედანი ჩვენში ჩვენ, მინისმშრომელთ ხელიდან გამოგვეცალა და სხვამ დაისაკუთრა... ჩვენი ნაამაგარიდან გამორჩენა და მოგება სხვასა ჰრჩება და ჩვენ ჩვენ სახლში, ჩვენს მინა-წყალზე, მარტო დღიური მუშები ვართ სხვისა“ (ჭავჭავაძე 1895: 38-39).

ამ პირობებში უცხოურ კაპიტალს შეეძლო დაპატრონებოდა ქვეყნის ძირითად სიმდიდრეებს და ჩვენი მოსახლეობა მათ მომსახურებაში აღმოჩნდებოდა. აი რატომ უყურებდა სკეპტიკურად ილია 2,5 მლნ მანეთიან „მეისნერის პროექტს“, რომელიც ჩვენთან ღვინის წარმოების აქცი-

ონერული საზოგადოების შექმნას ითვალისწინებდა („შინაური მიმოხილვა“, XII/1882) (ჭავჭავაძე 1882: 204-230). „ბ-ნ მეისნერის დაპირება, რომ ღვინოს თქვენგან ვიყიდი, რომ ისევ გავყიდო, ესე იგი – ამ სახის ღვინის ვაჭრობას გავმართაო, – არასგზით და არას მხრით ჩვენდა სახეიროდ არ უნდა იყოს ცნობილი“ (ჭავჭავაძე 1882: 222) – წერდა ილია.

ქვეყნის გაძლიერების, მოსახლეობის შემოსავლების ზრდის პირობებში შესაძლებელია თავისუფალი კონკურენციის პირობების შექმნა, მაგრამ ეს პროცესი უნდა დაჩქარებულიყო და იგი დაუსრულებლად ვერ გაგრძელდებოდა.

მართალია, სარკინიგზო და საზღვაო მიმოსვლამ ჩვენ პროდუქტს ფართო ბაზარი გაუხსნა, მაგრამ მაშინ ილიას აზრით: ქონების ზრდის ერთადერთი სფერო მინათმოქმედება იყო, მრეწველობის განვითარებისათვის კი ქონება – ფულადი სახსრები, სათანადო ცოდნა არ არსებობდა და მაინც ამ მიმართულებით უმოძრაობას დრო არ გვაპატიებდა. საჭირო იყო საფაბრიკო-საქარხნო წარმოების მოედნის დაკავება ეროვნული ძალების მიერ, რამეთუ „ეკონომიკური ბუნება ქონებისა ის არის, – უძრავი ქონებაა თუ მოძრავი, – რომ უხერხო და უმცდელ კაცისაგან ხერხიან და მცდელ კაცის ხელში გადადის. ამ კანონს ეკონომიურ ბუნებისას წინ ვერავინ დაუდგება, როგორც საერთო ბუნებურ კანონსა“ (ჭავჭავაძე 1882: 40).

ილია ჭავჭავაძემ ფართოდ განიხილა ხიზნობა, როგორც მინათმფლობელობის ფორმა საქართველოში, რომელიც გამოხატავდა მინის მეპატრონეზე გლეხის დამოკიდებულებას (ჭავჭავაძე 1880: 115) „წესი ხიზნობისა-წარმომდგარია მინისა და მუშახელის განცალკევებისაგან“ (ჭავჭავაძე 1880: 143). ამ დროს თავისუფალი ადამიანი სხვისი მინის სარგებლობისათვის, ხელშეკრულების შესაბამისად, იხდის



ლალას (საიჯარო ქირას). საკითხს დიდი ისტორიული ფესვები ჰქონდა და იგი საქართველოში 1864 წ. ბატონყმობის გაუქმების შემდეგაც აქტუალური იყო.

ილია ჭავჭავაძე შემთხვევით როდი აირჩიეს „ბანკის“ თავმჯდომარედ, რომელსაც თითქმის 30 წელი ხელმძღვანელობდა. მას კარგად ესმოდა ბანკის, როგორც საკრედიტო დაწესებულების არსი, მიზანი და კრედიტის დანიშნულება. „ბანკის საყოველთაო მნიშვნელობა, – წერდა ილია, – ის კი არ არის ვისაც ფულს ასესხებ, უკანვე გაედევნოს ... ფული არ დაახარჯვინოს, და თუ ვალის ამღებმა სესხი არ მოიშორა – ბანკმა არა დააკლოს რა“. თუ საბანკო კრედიტი წარმოების გაძლიერებას მოხმარდება, მაშინ იგი საზოგადოებრივი სიმდიდრის ერთი ისეთი წყაროა, „ურომლისოდაც კეთილდღეობა საზოგადოებისა ძნელად იგულისხმება“ (ჭავჭავაძე 1882: 235).

„კრედიტი ორპირი მახვილია“, ვინც კრედიტით მიღებულ ფულს საქმეს მოახმარს და შემოსავალს გაზრდის – მისთვის კრედიტი მისწრაფებაა; და ვინც მას გაფლანგავს და „ჭერში ქუდის სროლით ლხინს მოანდომებს“, მისთვის საფლავის მთხრელია. მაგრამ ამ შემთხვევაში თავად „კრედიტი რა შუაშია, როცა კაცი თავისის-თავის მტერია?“ (ჭავჭავაძე 1900: 254).

იგი ასევე მწვავედ, დამაჯერებლად პასუხობდა ოპონენტებს, რომელთა აზრითაც ბანკების მიზეზით „ჩვენი მამულები იყიდებაო“. „სად იყო ბანკები, რომ მთელი ტბილისი ამ საუკუნის (მე-19 ს-ის) დასაწყისში სულ ქართველობას ეკუთვნოდა. ოცდაათმა წელიწადმაც არ გაიარა და მთელი ქალაქი სხვის ხელში გადავიდა!“ (ჭავჭავაძე 1882: 240). „შეუძლებელია, რომ ბანკმა თვითოეულს ჩვენგანს ცალკე

სესხის მეტი სხვა რამ შემწეობა მოუტანოს ...“ (ჭავჭავაძე 1997: 18)

ილია განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს „საადგილ-მამულო კრედიტს“, რომლის დანიშნულებაც სოფლის მეურნეობის გაძლიერება. ასეთი კრედიტი უნდა იყოსო გრძელვადიანი. იგი თანდათანობით უნდა დაბრუნდეს, კრედიტის მიღების გარანტიად კი მიწა უნდა გამოეყენებინათ. მიწაა „ერთად-ერთი ქონება მიწათმოქმედისა“, რომლის ფასი სისტემატურად აინვესო.

დაბოლოს, კიდევ ერთი საკითხი – ლიკვიდურობა (ქონების ნაღდ ფულად სწრაფად გადაქცევის უნარი), რომელიც თანამედროვე საბაზრო ეკონომიკის განუყოფელი ნაწილია, ილიამ შემდეგნაირად ახსნა. იგი წერს: „დღეს ველარავინ იტყვის, რომ კაცს ბევრი პური და ბევრი ღვინო აქვს და მდიდარიაო, და თუ იტყვის, ეს პური და ღვინო ფულში უსათუოდ განაღდებული აქვს, ფულზე აქვს გათვლილი“ (ჭავჭავაძე 1893: 7).

ჩვენ მიერ განხილული საკითხებიდან გამომდინარეობს დასკვნა იმის შესახებ, რომ საქართველოს მდიდარი ბუნებრივი რესურსების აუთვისებლობის გამო, ეკონომიკური განვითარება სოფლის მეურნეობიდან უნდა დაწყებულიყო, რაც შექმნიდა მტკიცე ბაზას მრეწველობისა და ვაჭრობის განვითარებისათვის. ეკონომიკურ წინსვლაში დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა რკინიგზის, ბაქო-ბათუმის მილსადენის მშენებლობას, ნავთობ-მრეწველობის განვითარებას და ამ საქმეში პირველ რიგში ადგილობრივი კაპიტალის დაბანდება უნდა განხორციელებულიყო. რატომ?

ილიას აზრით, ქართველი გლეხი უნდა გამხდარიყო საშინაო აგრარული ბაზრის მთავარი მიმწოდებელი და საქართველოს ფარგლებს გარეთ სასოფლო-სამეურნეო პროდუქ-

ციის ექსპორტიორი. გლეხური მეურნეობის აღორძინება, ქართული სოფლის ბატონ-პატრონად ქართველი გლეხის გადაქცევა, სოფლის მეურნეობის პროდუქტით საშინაო და საგარეო ვაჭრობის ქართველი გლეხობის ხელში მოქცევა, აგრარულ ბაზარზე ქართველი გლეხის გაბატონება იყო ილიას ეკონომიკური პროგრამის შინაარსი. ევროპის ქვეყნების მაგალითზე მას გააზრებული ჰქონდა საქართველოში ბურჟუაზიული წყობილების დამკვიდრების აუცილებლობა. ილიას აფიქრებდა ის ფაქტი, რომ ახალი დრო ბურჟუაზიის ბატონობის დრო იყო – ერს სათავეში ბურჟუაზია ედგა. საქართველოში კი ეროვნული ბურჟუაზია არ არსებობდა და არც მისი ჩამოყალიბების პერსპექტივა ჩანდა. ქონების გადანაწილების პროცესში, რომელიც ბატონყმობის გაუქმების შემდეგ დაიწყო, ქალაქად სომხური ბურჟუაზია პირველობდა, კაპიტალის მფლობელი ის ხდებოდა.

უცხოტომელი ბურჟუაზია ქართველი ერის წინამძღოლად ვერ გამოდგებოდა. პროფესორი ვახტანგ გურული აღნიშნავს, რომ „ამ სავალალო პრაქტიკამ ილიას თვალი ისევ სოფლისკენ მიაპყრობინა: უცხოტომელი ბურჟუაზიის სიძლიერის შეზღუდვა სოფლიდან, აგრარული ბაზრიდან მისი გამოდევნით უნდა დაწყებულიყო. წინააღმდეგ შემთხვევაში უცხოტომელი ბურჟუაზია ქართულ სოფელსაც დაეუფლებოდა და, ამრიგად, ქვეყნის სრული ბატონ-პატრონი გახდებოდა“ (გურული 2014: 117).

ილიას ქალაქი არა ახირებულად სძულს, არამედ სრულიად კონკრეტული მიზეზების ერთობლიობის გამო არ ჩქარობს მის მიღებას, მათ შორის ქართველთა ხასიათში გამოკვეთილი ქალაქური ცხოვრების, როგორც სამოქალაქო თანაარსებობის რთული ფორმის, მიუღებლობის მიზეზითაც; გარდა ამისა, ილიასთვის ქალაქი უცხოტომელთა

(სპარსელთა და სომეხთა) მიერ ათვისებული საარსებო სივრცე, ასე ვთქვათ. მიტაცებული ქალაქია, რომლის გამოხსნა განსაკუთრებულ მომზადებას საჭიროებს (კუპრეიშვილი 2016). ინდუსტრიული საზოგადოება, ქალაქური ცხოვრების წესი კი მატერიალური და სულიერი რესურსების მობილიზებას მოითხოვს. ილია კარგად გრძნობდა გადასაჭრელი პრობლემების კომპლექსურობასა და ურთიერთდამოკიდებულებას. მას უნდოდა ეს ცოდნა საზოგადოებისთვის მიეწოდებინა, რაც დიდი და მნიშვნელოვანი ამოცანა იყო. მსგავსი ამოცანის გადაჭრას არა ერთი ადამიანის, არამედ რამდენიმე თაობის ძალისხმევა სჭირდებოდა.

ილია მხარს უჭერდა სოფლად ბურჟუაზიულ ურთიერთობათა განვითარებას, გლეხური (ფერმერული) მეურნეობების ჩამოყალიბებასა და ქართველი გლეხის გადაქცევას სოფლის ბატონ-პატრონად. ის მხარს არ უჭერდა ქალაქად ბურჟუაზიულ ურთიერთობათა განვითარებას, რადგან ეს მთელი საქალაქო ცხოვრების სომეხთა ხელში ჩაგდების პროცესის მხარდაჭერა იქნებოდა. მისი აზრით, სოფლად მომძლავრებულ ქართულ ბურჟუაზიას უნდა შეეზღუდა სომეხი ბურჟუაზია ქალაქად.

ქართული სოფლის ცხოვრების თავისებურებანი ფეოდალურ-ბატონყმური და კაპიტალისტური ცხოვრების პირობებში (XIX საუკუნის II ნახევრიდან) საზოგადოებრივ სამსჯავროზე გამოიტანა გიორგი წერეთელმა. საგლეხო რეფორმის შემდგომ პერიოდში საქართველოში სოფლის მეურნეობა კიდევ უფრო სწრაფი ტემპით განვითარდა. რკინიგზის გაყვანამ და საქარხნო-საფაბრიკო მრეწველობის ზრდამ მნიშვნელოვნად დააჩქარა სოფლად კაპიტალიზმის განვითარების პროცესი. „თერგდალეულებმა“ დაინახეს, რომ აგრარულ ურთიერთობათა განვითარება ობიექტურ

აუცილებლობად იქცა. ითვალისწინებდნენ რა საბაზრო ეკონომიკის განვითარებას, თავგამოდებით იღწვოდნენ, რომ მშობლიურ ქვეყანაში ქართველები ყოფილიყვნენ აღმავალი თაოსნობის მესვეურნი (თოდუა 1987: 107). სწორედ ქართული სოფლის ცხოვრების თავისებურებანი გამოიტანა საზოგადოებრივ სამსჯავროზე გიორგი წერეთელმა და ცდილობდა, რომ სოფლის ეკონომიკური ჩამორჩენის ჩვენებასთან ერთად აეხსნა ჩამორჩენის მიზეზები.

გლეხის მიმაგრება მინაზე, ფეოდალური მინათმფლობელობის მონოპოლიური ხასიათი და ნატურალური მეურნეობა მიაჩნდა მწერალს ფეოდალური მეურნეობის უარყოფით ნიშან-თვისებად. ქართული სოფლის ეკონომიკური აღმავლობის მთავარ პირობად იგი მიწის საკუთრებას თვლიდა. მისი აზრით, მიწის მესაკუთრეთა მრავალრიცხოვანი ფენის ჩამოყალიბების შედეგად თავიდან იქნებოდა აცილებული „პროლეტარიატში“ ჩაცვენის საფრთხე. როგორც პროფ. გ. თოდუა აღნიშნავდა: „პროლეტარიატში“ ჩაცვენის შიშს როცა გამოთქვამდა, მას პირველ რიგში მთელი საქართველოს მომავალი ედგა თვალწინ და ამ ასპექტით ქართველ თავადაზნაურთა ბედიც აინტერესებდა“ (თოდუა 1960: 42).

მწერალი ფიქრობდა ისეთ ფინანსურ წყაროზე, რომელიც მიწის მესაკუთრეს კი არ დააკაბალეზდა, არამედ ფეხზე დააყენებდა და მეურნეობის განვითარების საშუალებას მისცემდა. ამ ფუნქციის განმახორციელებლად გიორგი წერეთელს სასოფლო ბანკები ესახებოდა. საქართველოს ეკონომიკურ ცხოვრებაში საადგილმამულო ბანკების დაარსება მნიშვნელოვანი მოვლენა იყო. ქართველი თავადაზნაურობა ფინანსური კრიზისიდან თავის დაღწევისა და საკუთარი მეურნეობის აღგენის იმედს სწორედ ამ ბანკებ-

ზე ამყარებდა. თუმცა კაპიტალის დეფიციტისა და მეურნეობის რაციონალიზაციის პრაქტიკული გამოცდილების უქონლობის გამო საქართველოში ბურჟუაზიული წყობის დამკვიდრების პროცესი საკმაოდ მტკივნეულად მიმდინარეობდა.

გ. წერეთლის აზრით, საადგილმამულო ბანკმა ქართველი ხალხი გააკოტრა და „გამოარკვია ის ამბავი, რომ ბანკები ერთი კაპიტალისტური დაწესებულებათაგანია, რომელიც შეუნიშნავათ აცლის ერს მიწა-წყალს და ჰხდის ნელ-ნელა თავადაზნაურობას პროლეტარად!“ (წერეთელი 1897). სოფლის მეურნეობის ანალიზის საფუძველზე იგი შემდეგნაირად აფასებდა საადგილმამულო ბანკის მუშაობას: ქართული განუვითარებელი მეურნეობა ზარალიანია. იგი ოთხ პროცენტს ძლივს იძლევა შემოსავალს, ხოლო ბანკებში შესატანი ექვსი პროცენტი. ეს გარემოება არახელსაყრელია მიწის მეპატრონეთათვის, რასაც თან სდევს მათი გაკოტრება. გ. წერეთელი აღნიშნავდა, რომ „კვალმა“ საადგილმამულო ბანკს დაუპირისპირა „მელიორაციული კრედიტი“, რომელიც ხელს უწყობდა ყველა სახის წარმოებას როგორც სოფლად, ისე ქალაქად. მას აუცილებლად მიაჩნდა ისეთი საბანკო დაწესებულებების შექმნა, რომელიც გააუმჯობესებდა მინათწარმოებას, ამიტომ ცდილობდა შემოეთავაზებინა საქართველოს საზოგადოებრივ-ეკონომიკური ცხოვრების გარდაქმნის ისეთი გზა, რომელიც ადამიანებს შეუქმნიდა ცხოვრების უკეთეს პირობებს.

გიორგი წერეთელი საზოგადოებას ურჩევდა ევროპული გამოცდილების გაზიარებას. ის ეცნობოდა ევროპის ქვეყნებში დაარსებული ამხანაგობების სტრუქტურას, წესდებებს, მათი მუშაობის გამოცდილებას და პრესაში აქვეყნებდა. მისი აზრით, ამხანაგობების უპირატესობა ცალკე პი-

რებთან შედარებით იმაში მდგომარეობდა, რომ მათ მეტი შესაძლებლობა ექნებოდათ ვალის გადასახდელად. იგი ფიქრობდა, რომ ამხანაგობის წარმატება დამოკიდებული უნდა ყოფილიყო მის წევრთა კეთილსინდისიერებაზე, პასუხისმგებლობასა და წესდების შესრულებაზე. ამხანაგობის წევრები ერთმანეთს უნდა დაკავშირებოდნენ საერთო შრომითა და საერთო სავაჭრო-საკრედიტო დაწესებულებებით, სადაც მათი საკუთრების ნაწილი იქნებოდა გაერთიანებული. იგი აღნიშნავდა: „საჭიროა ჩვენმა საადგილმამულო ბანკებმა გასცენ ფული სესხად სოფლის საზოგადოებებზე ახალი სამეურნეო მრეწველობის დასაარსებლად“ (წერეთელი 1897). „ამხანაგობათა წარმატებისათვის საჭიროა საჩქაროდ მივაშველოთ საკმაო ფული, ...სახელმწიფო ბანკს ნება აქვს სესხი მისცეს გლეხებს, მოხელეთა და მეურნეთა ამხანაგობებს“ (წერეთელი 1895).

საქართველოში იმ პერიოდში ჩამოყალიბდა შემნახველ-გამსესხებელი, მწარმოებელ-გასაღებელი ამხანაგობები, პურის საზოგადოებრივი მაღაზიები, არტელები, თუმცა მათი ნაწილი მალევე გაქრა. ამ მხრივ მნიშვნელოვანია ილია ჭავჭავაძის მოსაზრებები. მისი აზრით, ამხანაგობათა გაუქმების ერთ-ერთი მიზეზი ის იყო, რომ ფულის მსესხებელი თავის დროზე არ აბრუნებდა თანხას „ეს ფულის ტრიალს ხუთავდა იმ მხრით, რომ პირველნი გამტანელნი ხელს იმართავდნენ ნასესხი ფულით და სხვანი ცარიელზე ისხდნენ, რადგან ამხანაგობას ფული არ უბრუნდებოდა სხვა გაჭირვებულთათვის მისანვდენად, ამ გზით ფული ერთის ხელში დიდხანს იხუთებოდა... აი, რამ აუცრუა გული გლეხკაცობას ამხანაგობაზე“ (ჭავჭავაძე, 1886).

ცხადია, რომ ამხანაგობები საკმაოდ პროგრესული გაერთიანებები იყო, რომლებიც ერთი მხრივ აუმჯობესებ-

დნენ გლეხთა მდგომარეობას და მეორეს მხრივ, აჩქარებდნენ ახალი ურთიერთობების განვითარებას. როგორც დ. სულაბერიძე აღნიშნავს: „მათ წარუმატებლობას უმეტესად მისი წევრების გამოუცდელობა, თანხების არამიზნობრივი გამოყენება, წესდების უხეში დარღვევები განაპირობებდა. ობიექტურ მიზეზთაგან გადამწყვეტ როლს კი საბაზრო ეკონომიკის პრინციპები ასრულებდა: არარენტაბელური გაერთიანებები კონკურენციას ვერ უძლებდნენ და არსებობას წყვეტდნენ“ (სულაბერიძე 2010: 147).

ამრიგად, გ. წერეთლის მიერ ასოციაცია-ამხანაგობების განვითარების პროპაგანდა მიზნად ისახავდა მოსახლეობის სილატაკისგან ხსნას, ქონებრივი უთანასწორობის წარმოშობისათვის ხელის შეშლასა და ეროვნული წარმოების განვითარების ხელშეწყობას. ევროპაში არსებულ ამხანაგობათა წარმატებები მწერალს არწმუნებდა საქართველოში მათი გავრცელების აუცილებლობაში. ამხანაგობა მას მიაჩნდა ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთ მნიშვნელოვან საშუალებად. როგორც უცხოური გამოცდილება გვიჩვენებს, კოოპერატივები საბაზრო ეკონომიკის საწყისი სტადიისათვის იყო დამახასიათებელი და მათ მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს კაპიტალისტურ ურთიერთობათა განვითარებაში.

გ. წერეთელი ასოციაციათა შექმნისკენ მოუწოდებდა მინათმოქმედებსა და მინათმფლობელებს. იგი დიდ ყურადღებას უთმობდა აგრარულ ურთიერთობათა ასოციაციური გარდაქმნის საკითხს. მას მიაჩნდა, რომ პატარა სასოფლო ბანკების საშუალებით მიწის მეპატრონეები თანდათანობით თავს დააღწევდნენ ვალებს, მიღებული შემოსავლებით შეძლებდნენ სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის განახლებასა და მეტი რაოდენობით სასაქონლო პროდუქციის წარმო-



ებას. „ამხანაგობით მოქმედება თუ გვიხსნის, თორემ ჩვენს მამულის მეპატრონეებს სხვა საშველი არა აქვთო“ (წერეთელი 1871).

ასოციაციების შექმნას გ. წერეთელი ხელსაყრელად თვლიდა ქალაქის მოსახლეობისთვის, რომლებსაც ვაჭრობის მიზეზით ხელოვნურად გაზრდილ ფასებში უხდებოდათ საქონლის შექენა. მას მიაჩნდა, რომ ურთიერთმომხმარებელთა საზოგადოების შექმნით ვაჭრობს მოსახლეობის ძარცვის საშუალება აღარ მიეცემოდათ. ამიტომ საჭიროდ მიაჩნდა ასოციაციათა შექმნა ვაჭრობის სფეროშიც.

გ. წერეთლის პუბლიცისტიკაში მთელი სიცხადით არის ნაჩვენები ცალკეული სოციალური ფენების ფინანსური პრობლემები, სავაჭრო და სავანშო კაპიტალზე დამოკიდებულება. ძვირი კრედიტი აფერხებდა მეურნეობის რაციონალიზაციის პროცესს. ხშირად მსესხებელთა ქონებას საბოლოოდ ვაჭარ-მევახშენი ეპატრონებოდნენ. „ვაჭრები სწორედ ქვეყნის მატლებად გადაიქცნენ, რომელნიც სარგებლობდნენ დროითა და ერს ტვინს სწოვენ“ (წერეთელი 1871). „ყველაზე უფრო ბოროტმოქმედნი, მენვრილმანე ვაჭრები არიან. სწორედ ისინი აძრობენ ტყავს სოფლის მშრომელ მოსახლეობას“ (წერეთელი 1872:)

გ. წერეთელმა თავის პუბლიცისტიკაში დიდი ადგილი დაუთმო საქართველოში ტრანსპორტისა და მრეწველობის განვითარების საკითხებს. მან დიდი შრომა გასწია ხონისა და ჭიათურის რკინიგზის ამიერკავკასიის რკინიგზის მაგისტრალთან დაკავშირებისა და ყვირილის ხეობაში მდებარე ჭალის მთის სიმდიდრეების ასათვისებლად. ცდილობდა რომ ქვეყნის ბუნებრივი სიმდიდრეები ხალხის სამსახურში ჩაეყენებინა. იგი მიუთითებდა რკინიგზის მნიშვნელობაზე ყოველგვარი წარმოების, საშინაო და საგარეო ვაჭრობის

განვითარებაში. „ეს ერთადერთი საშუალებაა დაგვრჩენია ჩვენი ქვეყნისა და ერის წინ დასაყენებლად. მოვკიდოთ დიდმა და მცირემ, თავადმა, აზნაურმა და გლეხმა ხელი ერთმანეთს და ვეცადოთ ყოველნაირი შემწეობა აღმოუჩინოთ რკინიგზის კამპანიას, რომ იმან დაგვიკეთოს რკინიგზის შტოები“ (წერეთელი 1884). რკინიგზის გაყვანის შემდეგ, მნიშვნელოვანი ძვრები მოხდა მრეწველობის დარგების განვითარებაში, განსაკუთრებით კი სამთამადნო მრეწველობაში. ჭიათურაში მანგანუმის მოპოვება 1879 წლიდან დაიწყო და 80-იანი წლებიდან მან საერთაშორისო მნიშვნელობა მოიპოვა. მანგანუმის მოპოვებაში თავიანთი ადგილის დამკვიდრებას ცდილობდნენ უცხოელი საქმოსნები. მათ სურდათ იჯარით აეღოთ, ან შეესყიდათ მადნიანი მიწის ნაკვეთები, მაგრამ ადგილობრივი წვრილი მწარმოებლების წინააღმდეგობა ვერ დაძლიეს. გ. წერეთელი დადებითად აფასებდა ქართველ საქმოსანთა და მრეწველთა საქმიანობას, რომლებმაც „ფეხი არ ჩაადგმევინეს შავი ქვის მოპოვებაში უცხოელებს“ და თავად შეუდგნენ მადნის მოპოვებას. „უცხოელებს უნდოდათ სამადნო ადგილები ეყიდათ და მერე თავის ნებაზე ეწარმოებინათ შავი ქვის საქმე. მოსეშვილმა და ჩუბინიძემ არ მოინდომეს, რომ უცხოელებს ჩაედგათ ფეხი შავი ქვის წარმოებაში და ამიტომ აგონებდნენ ადგილის მეპატრონეებს არ გაეყიდათ შავი ქვის მადნები. იმერელი კაცის მხნეობამ და მათმა მონდომებამ ფულსაც კი სძლია“ (წერეთელი 1889). უცხოელმა მრეწველებმა ამის შემდეგ წიაღისეულის მოპოვებას თავი მიაწებეს. 1885 წლიდან მადნის მოპოვება ადგილობრივ მრეწველებს დარჩათ. გ. წერეთლის შეფასებით, „ეს სწორედ დიდი შედეგი იყო ადგილობრივი ხალხის სასარგებლოდ მომხდარი იმ



ბრძოლის გამო, რომელიც იმერეთის ხალხმა გაუწია უცხო ქვეყნის კაპიტალისტებს“ (წერეთელი 1889).

ამრიგად, გ. წერეთელმა თავის პუბლიცისტიკაში მნიშვნელოვანი ადგილი დაუთმო საქართველოში ტრანსპორტისა და მრეწველობის განვითარების საკითხებს და შეეცადა საზოგადოებისათვის ქვეყნის სამრეწველო განვითარების მნიშვნელობა დაენახებინა.

XIX საუკუნის 70-იან წლებში ამიერკავკასიის რკინიგზის ამოქმედებამ სავაჭრო ოპერაციების გაფართოება გამოიწვია. გ. წერეთლის პუბლიცისტიკაში აისახა მწერლის დამოკიდებულება სავაჭრო ურთიერთობების მიმართ. იგი მიესალმებოდა ვაჭრობის პროგრესულობას. 60-70-იანი წლების მიჯნაზე „სასოფლო გაზეთსა“ და „დროებაში“ გამოქვეყნებულ თავის წერილებში იგი ისევე, როგორც ილია ვაჭრობას ფერმერულ მეურნეობათა განვითარების ინტერესებს უქვემდებარებდა. 70-იან წლებში სავაჭრო კაპიტალიზმი საქართველოში უფრო სწრაფი ტემპით განვითარდა. რკინიგზის გახსნამ ბოლო მოუღო ფეოდალურ კარჩაკეტილობას და თავისუფალი გასაქანი მისცა კომერციულ საქმიანობას როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე რუსეთთან და უცხოეთთან. გ. წერეთელი მოსახლეობას კომერციულ საქმიანობაში ჩაბმისკენ მოუწოდებდა: „მაშ, მე და შენ მკითხველო რაღას ვდგევართ გულხელ-დაკრეფილი, თუ ცხოვრება გვინდა, ღონის მომცემი წამალიც უნდა ვეძიოთ. ფული, ფული და ფული! ცხოვრება არის გაუწყნარებელი ბრძოლა ლუკმა-პურისათვის, სადაც მოგებული ყოველთვის ის არის, ვისაც უფრო ბევრი ფული აქვს“ (წერეთელი 1869). თუ წარსულში სავაჭრო ასპარეზი სხვა ერთა წარმომადგენლებს ეპყრათ და ქართველი ხალხი სოფლის მეურნეობაში იყო დასაქმებული, ნებისმიერი პროფესიის ადა-

მიანისათვის კაპიტალიზმის განვითარებამ გარდაუვალი გახადა სავაჭრო ურთიერთობაში მონაწილეობა, ბაზართან დაკავშირება. „ყოველგვარი ვაჭრობის, ხელობის და მეურნეობის განვითარება ისე უნდა წარიმართოს, რომ ბოლოს ფული გაჩნდეს, რადგან დრო შეიცვალა, უკაპეიკოდ ვერავის უცხოვრია“ (წერეთელი 1871). „როგორც კი გზა გაიხსნა, ყველამ თვალი გამოახილა: გურულმა გლეხმა უშვერამაყობას თავი დაანება და გასწია ქალაქს სავაჭროდ... მას შემდეგ, რაც რკინიგზა გაიხსნა, იმერლები ერთი-ორად გამრავლდნენ თბილისში“ (წერეთელი 1873) თბილისის სავაჭრო-ეკონომიკური მნიშვნელობიდან გამომდინარე, გ. წერეთელი ქართველ ხალხს მოუწოდებდა დაუფლებოდნენ თბილისის სავაჭრო ასპარეზს: „მიესიეთ და და ირჩინეთ თავი თბილისის სავაჭრო ასპარეზზე. დაიწყეთ თბილისის სავაჭრო ბაზარზე მიწოლა და ვაჭრობა ისევე თქვენი დაირჩინეთ“ (წერეთელი 1873). იგი იმედოვნებდა, რომ ჩვენში ვაჭრობა ევროპული გზით განვითარდებოდა და პროგრესულ ხასიათს მიიღებდა. მას ამის საფუძველს ევროპაში კაპიტალიზმის განვითარების შედეგები აძლევდა.

გ. წერეთელი ფიქრობდა, რომ კაპიტალიზმის განვითარება გამოიწვევდა მოსახლეობის ჩაბმას სავაჭრო ურთიერთობებში. ითვალისწინებდა რა ქართველი ხალხის სუსტ პოზიციებს ამ სფეროში, მათ მოუწოდებდა კომერციულ საქმიანობაში ჩაბმისაკენ, რასაც უნდა მოჰყოლოდა საშინაო ბაზრის ათვისება. იგი მხარს უჭერდა სხვადასხვა ტიპის საკრედიტო დაწესებულებათა დაარსებას. მისი აზრით, ეს პროცესი შეკვეცავდა მევახშეობის მასშტაბებს და სტიმულს მისცემდა ადგილობრივი წარმოების განვითარებას. იგი უარყოფითად აფასებდა საადგილმამულო ბანკების საქმიანობას და თავადაზნაურობის გაღარიბებას ბანკის მუშაობის სპეციფიკას უკავშირებდა, რაშიც ცდებოდა.

გ. წერეთლის პუბლიცისტიკაში აისახა სამრეწველო კაპიტალიზმის განვითარების პროცესი. მას აფიქრებდა საქართველოში უცხოური კაპიტალის მყარი პოზიციები და ფიქრობდა რომ ეროვნული მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის აღორძინება დაიცავდა ქართველ ხალხს უცხოელთა ეკონომიკური გავლენისაგან. იგი არა მარტო კალმით ემსახურებოდა ხალხის ეკონომიკური ცხოვრების გაუმჯობესების საკითხებს, არამედ უშუალოდ მონაწილეობდა ამ პროცესებში. ეს კარგად ჩანს ხონსა და ჭიათურაში რკინიგზის გაყვანისა და ჭალის მთის ბუნებრივი რესურსების ათვისების მიზნით განეული საქმიანობებიდან.

გიორგი წერეთელი ეკონომიკური პროგრესის მიღწევაში, ისევე როგორც ილია ჭავჭავაძე, დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა სოფლის მეურნეობის კაპიტალისტური ევოლუციის პროცესს და მისი განხორციელებისათვის საჭიროდ თვლიდა სოფლის მოსახლეობისათვის მინის კერძო საკუთრებაში გადაცემას, მიწათმოქმედისათვის შეღავათიანი კრედიტის მიწოდებას, აგრარული მეურნეობის ტექნიკურ გარდაქმნას, ხალხში აგრონომიული ცოდნის გავრცელებას. იგი აქტიურ მონაწილეობას იღებდა იმ პროპაგანდაში, რომელიც მიზნად ისახავდა კოოპერაციული მოძრაობის პოპულარიზაციას. მას მიაჩნდა, რომ სხვადასხვა ტიპის სამეურნეო გაერთიანებები დაიხსნიდა ხალხს მევახშეთა ვალებისაგან, ხელს შეუწყობდა ეროვნული წარმოების განვითარებასა და სიღარიბის დაძლევას. თუმცა ილიასაგან განსხვავებით, განსაკუთრებულ აქცენტს ქართველ-სომეხთა ურთიერთობაზე ამყარებდა და სომხების მიმართ განსაკუთრებულ კეთილგანწყობას ინარჩუნებდა, რის გამოც მას სომხოფილობას სწამებდნენ. სომხების მიმართ დადებითი დამოკიდებულება მან სიცოცხლის ბოლომდე შეინარჩუნა.

## დამონებანი

გურული 2014: გურული ვ., ილია, გამომც. არტანუჯი, თბ. 2014

თოდუა 1987: თოდუა გრ, ქართული საზოგადოებრივ-ეკონომიკური აზრის ისტორიის საკითხები, II, თბ. 1987

თოდუა 1960: თოდუა გრ., გ. წერეთლის საზოგადოებრივ-ეკონომიკური შეხედულებები, ჟურ. საქართველოს ეკონომისტი, № I, 1960

კუპრეიშვილი 2016: კუპრეიშვილი ნ., სოფელი და ქალაქი: თეზა და ანტითეზა, <http://ekonomikurikonceptebi.blogspot.com/2016/06/blog-post.html>

სილაგაძე 2010: სილაგაძე ა., ეკონომიკური დოქტრინები, თბ., 2010

სულაბერიძე 2010: სულაბერიძე დ., გიორგი წერეთელი (ეროვნული კონცეფცია და საზოგადოებრივ-ეკონომიკური შეხედულებები), ქუთაისი, 2010

წერეთელი 1897: წერეთელი გ., ჟ. კვალი, №47-45, 1897

წერეთელი 1897: წერეთელი გ., გაზ. კვალი, №30, 1897

წერეთელი 1895: წერეთელი გ., გაზ. კვალი, №40, 1895

წერეთელი 1871: წერეთელი გ., სასოფლო გაზეთი, №41, 1871

წერეთელი 1871: წერეთელი გ., სასოფლო გაზეთი, №15, 1871

წერეთელი 1872: წერეთელი გ., სასოფლო გაზეთი, №36, 1872

წერეთელი 1884: წერეთელი გ., გაზ. დროება, №229, 1884

წერეთელი 1889: წერეთელი გ., გაზ. ივერია, №8, 1889

წერეთელი 1869: წერეთელი გ., გაზ. დროება, №47, 1869

წერეთელი 1871: წერეთელი გ., სასოფლო გაზეთი, №11, 1871

წერეთელი 1873: წერეთელი გ., ჟ. კრებული, №3, 1873 ჭავჭავაძე 1956: ჭავჭავაძე ი., თხზულებათა სრული კრებული, ტ. VIII, 1956

## ახალი ტიპის გმირები ურბანულ გარემოში

(ნიკო ლორთქიფანიძის „შელოცვა რადიოთი“)

ნიკო ლორთქიფანიძის მოთხრობის, „შელოცვა რადიოთი“, ანალიზისას აუცილებელია მოდერნისტული კონტექსტის გათვალისწინება. ქართული მოდერნიზმის ერთ მძლავრ შენაკადს ნიკო ლორთქიფანიძის პროზა ქმნის. მისი სამწერლო მანერა გამოირჩევა ძიებებით, რაც გულსხმობს თხრობის სტრუქტურის გამრავალფეროვნებას. ამ თვალსაზრისით, საგულისხმოა მისი იმპრესიონისტული სტილი, რომელიც მას გამოარჩევდა მეოცე საუკუნის დასაწყისის ქართველ პროზაიკოსთაგან. ეს კარგად შენიშნა კონსტანტინე გამსახურდიამ, რომელიც თვითონ ქმნიდა მოდერნისტულ პროზას: „ილიას შემდგომ ჩამომდგარ ლიტერატურულ კრიზისს, რომელსაც მოჰყვა ქართულ პროზაში მიშვებული ჯღაბნის სამწუხარო პრაქტიკა, ზღვარი დაუდო რამდენიმე მაღალნიჭიერმა ოსტატმა ქართული სიტყვისამ. ამ ოსტატთა პირველ რიგებში უთუოდ იგულისხმება ნიკო ლორთქიფანიძე. საჭირო იყო ქართული პროზის განახლება, მოდერნიზება ფრაზისა და თემატური სიახლე. იგი დიდი გულმოდგინებით ამუშავებდა დეტალებს. მას კარგად ჰქონდა შეგნებული, რომ მწერალი ისე მომჭირნედ უნდა ხარჯავდეს სიტყვას, როგორც რომელიმე ძუნწი – ოქროს, რადგან სიტყვაა ჩვენი სიმდიდრე, ტონისა და ფერის ექვივალენტი, სიტყვა ჩვენი უზასრესი იარაღია, ჩვენი საჭრეთელი და ჩვენი ფუნჯი“ (გამსახურდია 2000: 6).

ნიკო ლორთქიფანიძის ამ მოთხრობაში მოდერნისტული კონტექსტი უნდა გავიაზროთ ორი მიმართულებით:

ჭავჭავაძე 1881: ჭავჭავაძე ი., შინაური მიმოხილვა (XI) – თხზ. სრული კრებული, ტ.5, თბ.1881

ჭავჭავაძე 1882: ჭავჭავაძე ი., შინაური მიმოხილვა (VII-VIII) – თხზ., ტ.5, 1882

ჭავჭავაძე 1882: ჭავჭავაძე ი., სამეურნეო დაბალი სკოლების შესახებ, სატექნიკო და სახელოსნო სასწავლებლების შესახებ, თხზ., ტ.4, თბ.1882

ჭავჭავაძე 1886: ჭავჭავაძე ი., გაზ. ივერია, №278, 1886

ჭავჭავაძე 1886: ჭავჭავაძე ი., ჩარჩული კაპიტალი და ჩვენი მრეწველობა (30/VII), თხზ., ტ.7, თბ.1886

ჭავჭავაძე 1887: ჭავჭავაძე ი., ნავთის საქმე საქართველოში, III (19/1) თხზ. ტ.7., თბ.1887

ჭავჭავაძე 1889: ჭავჭავაძე ი., ხილის და ბოსტნეულის გამსალებელი საზოგადოება (3/II), თხზ., ტ.7, თბ.1889

ჭავჭავაძე 1893: ჭავჭავაძე ი., წერილები სახალხო მეურნეობის საკითხებზე (17/VII), თხზ., ტ.7, თბ.1893

ჭავჭავაძე 1895: ჭავჭავაძე ი., კახეთის სოფლის მეურნეობა კავშირი (4/XI) – თხზ., ტ.7, თბ.1895

ჭავჭავაძე 1880: ჭავჭავაძე ი., ხიზნების საქმე (ნარკვ., I,) თხზ.,ტ. 6, 1880

ჭავჭავაძე 1900: ჭავჭავაძე ი., პოლემიკა ნოე ჟორდანისთან, ყ.კვალი №11, 1900

ჭავჭავაძე 1997: ჭავჭავაძე ი., ტ.VI, თბ., 1997

1. გამოთქმის ხელოვნების მოდერნიზება (სიტყვის, ფრაზის, თხრობის სტრუქტურის, რიტმის ვარიაციები);

2. თემატური სიახლე (ახალი ტიპის გმირები ურბანულ გარემოში).

როცა ეს მოთხრობა დაინერა, 1928 წელს, ამ დროს ქართულ პროზაში უკვე შექმნილი იყო მოდერნისტული რომანები: დემნა შენგელაიას „სანავარდო“, გრიგოლ რობაქიძის „გველის პერანგი“, კონსტანტინე გამსახურდიას „დიონისოს ღიმილი“. მოდერნისტულ პროზას ქმნიდნენ სანდრო ცირეკიძე, ჭოლა ლომთათიძე, ლეო ქიაჩელი და სხვები. მოდერნისტულ სტილს (იგულისხმება სიმბოლისტური, ექსპრესიონისტული, იმპრესიონისტული, ფუტურისტული და სხვა იზმის ერთობლიობა) ახასიათებდა თხრობის ასოციაციურობა, მრავალშრიანობა, ფორმის სირთულე, პოეტურ პროზა, მითის აღორძინება, ახალი ტიპის გმირები, ურბანული გარემო, დრო-სივრცული ჭრილების განსხვავებული ხატვა და სხვ.

როგორ უნდა გავიაზროთ ნიკო ლორთქიფანიძის მიერ გამოთქმის ხელოვნების მოდერნიზება? ეს, უპირველეს ყოვლისა, გულისხმობს იმპრესიონისტულ სტილს. რა იყო დამახასიათებელი ლიტერატურული იმპრესიონიზმისთვის?

1. თხრობის ფრაგმენტულობა.
2. ლაკონური ფრაზები.
3. თხრობის მოზაიკურობა.
4. ერთსიტყვიანი, ხშირად უზმნო, სახელდებითი წინადადეგები.
5. დეტალებზე, ნიუანსებზე აქცენტირება.
6. პოეტური პროზა

თხრობის ამგვარი მანერა ეყრდნობოდა გადმოსაცემი ამბის რაობას, რომელიც აღმოცენებული იყო შთაბეჭდილებიდან. როგორც ცნობილია, ხელოვნებაში, კერძოდ, ფრანგულ ფერწერაში გაჩნდა პირველად ეს სიტყვა, როგორც მხატვრობაში ახალი მიმართულების აღმნიშვნელი. მეცხრამეტე საუკუნის 70-იან წლებში პარიზში ახალგაზრდა მხატვართა ერთმა ჯგუფმა გამოფინა სრულიად განსხვავებული ხელწერის ნახატები, რომლებზეც ფერისა და ხაზის გამოყენების უცნაური ტექნიკა ჩანდა. ერთ ნახატზე, რომლის ავტორი იყო კლოდ მონე, აღბეჭდილი იყო მზის ამოსვლა და სახელწოდებაც შესაბამისი ჰქონდა: „შთაბეჭდილება, მზის ამოსვლა“. ამგვარად, სიტყვა შთაბეჭდილება (იმპრესიონ-ფრანგ.) იქცა ახალი სკოლის სახელად. რაც შეეხება ლიტერატურას, ცოტა მოგვიანებით გაჩნდა ევროპულ ლიტერატურაში. მეოცე საუკუნის დასაწყისში, როცა ნიკო ლორთქიფანიძე ავსტრიაში სწავლობდა, სწორედ მაშინ აქ მოღვაწობდა ორი გამორჩეული იმპრესიონისტი მწერალი: პიტერ ალტენბერგი და არტურ შნიცლერი. წერის იმპრესიონისტული მანერა ყველაზე უფრო მიესადაგა ნიკო ლორთქიფანიძის ესთეტიკურ გემოვნებას და ქართულ ლიტერატურაში სწორედ მან შექმნა გამორჩეული იმპრესიონისტული მხატვრული ნაწარმოებები. ამ სტილის ერთგვარი თეორიული აღწერა მას მოცემული აქვს ნოველაში „უიალქნოდ“, რომელიც იმპრესიონიზმის „მანიფესტადაც“ გამოდგებოდა: „მე სხვადასხვა სურათს მოგანვდენ ცხოვრებიდან. მათი ერთმანეთთან შეკავშირება შენთვის მომინდვია მე მაინც მგონია, რომ მკითხველს მეტი ადგილი უნდა დაეთმოს ფანტაზიისათვის, შემოქმედებისათვის მკითხველს მოსწყინდა ყველაფერი უკვე შემუშავებუ-

ლი თავ-თავის ადგილზე ჰპოვოს მწერალმა მარმარილო, ტილო, საერთო აზრი, ჩარჩო, ორი-სამი ხაზი დაამზადოს, დაბოლოება, დამთავრება ნაწარმოებისა მკითხველის გემოვნებას და სურვილს მიანდოს“.

ამ მოთხრობაშიც („შელოცვა რადიოთი“) მწერალს იმპრესიონისტული სტილით აქვს გადმოცემული მთავარი გმირის, ელი (ელპიდე) გორდელიანის თავგადასავალი. მოთხრობაში გაფართოებულია გმირის „ჰორიზონტალურ ხაზზე“ მოძრაობა. ელი და სხვა გმირები ევროპის სხვადასხვა ქალაქში მოგზაურობენ, ამგვარად, მწერალს შესაძლებლობა აქვს მკითხველს დაუხატოს ევროპა, გააცნოს ევროპელთა ცხოვრების წესი. შესაბამისად, წარმოაჩინოს ცივილიზაციის განვითარების დონე, თუ რას მიაღწია ადამიანმა მატერიალურ სამყაროში და როგორ აირეკლა ეს მიღწევები სულიერ-ზნეობრივ სივრცეში. რუსეთის, სკანდინავიის ქვეყნების, გერმანიის, საფრანგეთის ურბანული ლანდშაფტები იქცა ელის მატერიალურ-სულიერი სამყაროს ფონად. ეს იყო მოდერნიზმის მთავარი თემა – ადამიანის ბედის წარმოჩენა ქალაქის „უდაბნოში“. ამ დროის პულსაციას კარგად გადმოგვცემს გრიგოლ რობაქიძე ერთ ნერილში: „თანამედროვე ადამიანი დროს სწრაფად იმორჩილებს. იგი ავტომობილით საათში ასსა და მეტ კილომეტრს გადის, თვითმფრინავით კი – უფრო მეტს. ის რადიოტალღებით წამის მცირე ნაწილში თავის ხმას დედამიწის სფეროს ირგვლივ აგზავნის. მას სურს, თვალის დახამხამებაში მთლიანად სრულყოს საკუთარი თავი, იგი ცდილობს, მასში დროის მდინარეა აბსოლუტური ანმყოფ ერთ-ერთ სახედ შეინარჩუნოს. საშუალება, რომელიც მას ამისათვის ემსახურება, მანქანაა – მაგრამ მანქანა მასზე უკუქმედებას ახდენს, მა-

შინ, როდესაც ის მასში შეგრძნების ახალ ფორმას იწვევს. შევისწავლოთ ავტომობილის ფსიქიკა. მას მოქმედებაში საზარელი ძალები მოჰყავს. იგი მათ იმორჩილებს, საშინელ სიჩქარეს ავითარებს, ნთქავს სივრცეს, დროს შემზარავად ამოკლებს. სისწრაფე – ის ამითაა შეპყრობილი. რაც შეეხება განვლილ მანძილს, ლანდშაფტთა ფრაგმენტებს, საკუთარ თავში ჩაძირულ წამებს – ეს მას არ აღეგებს. თავის შეგრძნებაში თითოეული დროის შუალედურ სივრცეს აქრობს. იგი უდროობას ან ზედროულობას გამოიხმობს. უდროობას ვერ აღწევს, მაგრამ მასში მიღწევის შესაძლებლობა ღვივის. მისი დაძაბულობა იმდენად აწეულია, რომ ეს შესაძლებლობა მიღწეულამდეა მიახლოებული და თითქმის უკვე აღსრულებულით ტკბება. წინაცდუნებით მოხიზლული, ის უდროო ანმყოფ უსინჯავს გემოს: ახალი მისტიკოსი, სიცარიელეს რომ ეჯახება“ („გრეტა გარბო, ვითარცა ზმანება დღევანდელია“) (რობაქიძე 2015: 121). ევროპაში ელიც ჩაერთო ამ თავბრუდამხვევ რიტმში, რომელსაც უნდა დაევიწყებინა ოჯახი, მიტოვებული შვილი, ახლობლები, მაგრამ გაქცევამ ვერ უშველა და შეეჯახა „სიცარიელეს“, რომელიც ვერ დაძლია.

მოთხრობაში არა მხოლოდ გმირის ბედი იხატება ევროპული კულტურისა და ცივილიზაციის კონტექსტში, არამედ ერისაც. ცნობილია, საქართველოს ერთგვარი განაპირება კულტურული სივრცისგან, რაც მის ბედისწერად იქცა და რომელიც ჯერ კიდევ იოანე საბანისძემ ასე გამოთქვა: „ვართ ყურესა ამას ქვეყნისასა“. საუკუნეთა განმავლობაში ქართული კულტურა თანაბრად საზრდოობდა აღმოსავლური და დასავლური იდეებით, როგორც გზაჯვარედინზე მყოფი ქვეყანა, თუმცა მუდმივად მიისწრაფოდა დასავლე-



თისკენ. ამას მოწმობს იოანეს განუხორციელებელი სწრაფვა ესპანეთისკენ („იოანე და ექვთიმე ათონელების ცხოვრება“), „ვეფხისტყაოსნის“ რენესანსული იდეალები, სულხან-საბას ორბელიანის მოგზაურობა იტალიასა და საფრანგეთში, ქართული რომანტიზმისა და მოდერნიზმის ევროპული სულისკვეთება და სხვ.

ქართულმა მოდერნიზმმა ლიტერატურამ ყველაზე კარგად გამოხატა ქართული კულტურის დასავლურ ორიენტირებთან ნათესაობა. ამის გამომხატველია „შელოცვა რადიოთი“. ნიკო ლორთქიფანიძისეული თხრობის ქსპერიმენტულობა მჟღავნდება პერსონაჟთა პორტრეტების ხატვასა თუ ამბების მოზაიკური, ფრაგმენტული გადმოცემის დინამიკაში. უჩვეულო იყო ბულვარული პრესის შემოჭრაც – ავტორი თხრობაში ჩართავს სარეკლამო ტექსტებს, რომლებითაც მეტ ექსპრესიულობას მატებს ამბებს, კარგად შეიგრძნობს მკითხველი საზოგადოებას, გარემოს, ადამიანურ ურთიერთობებს, პრესის როლს, დროის მავჯისცემას.

მოთხრობის სათაური გამომხატველია ერთგვარი ანტაგონიზმისა, რომელიც ტრადიციისა და ცივილიზაციის ერთგვარ კონფლიქტურ შეხვედრას აღნიშნავს. ცივილიზაციის სიმბოლოა რადიო, შელოცვა – ტრადიციისა, ძველი კულტურისა, რწმენისა. შელოცვამ ძალა დაკარგა რადიოთი გადაცემისას. ეს იმასაც მიანიშნებს, რომ შელოცვა დაკავშირებულია სამშობლოსთან, ფესვებთან. ელის შელოცვა საქართველოში უშველიდა, ტექნიკური ცივილიზაციით (რადიოთი) გაშუალებულ შელოცვას კი ძალა აღარ ჰქონდა. თანამედროვეობის ფიზიკა სრულიად დევნიდა მეტაფიზიკურს სამყაროდან.

ელი გორდელიანი მოდერნიზტული ეპოქის ქალია, რომელსაც აქვს განათლება, თავისუფალია და რომლისთვისაც ეგოისტური მე წინა რიგშია. მას უნდა, რომ იყოს პიროვნება, მიიღოს გადაწყვეტილებები, რომლებიც შეიძლება ეწინააღმდეგებოდეს ქართულ ტრადიციულ შეხედულებებს. ამგვარი არჩევანი იყო ევროპულ ჰექსლეისთან ერთად წასვლა უცხოეთში, ამერიკელ ბრომლეისთან მეგობრობა, გველებთან ცეკვა. ამ უკანასკნელით ის ცდილობდა, თითქმის დაკარგული პიროვნულობის აღდგენას, საქართველოში დაბრუნების „დამსახურებას“. ამკარაა ავტორის სიმპათია მის მიმართ, მიუხედავად დაბნეულობისა, უძღები შვილობისა და დაკარგულობისა, მწერალი მის ფერფლს ბარათაშვილის საფლავზე მოფანტვის ღირსად მიიჩნევს. ელი მრავალმნიშვნელოვანი სიმბოლოა, მისი მოგზაურობა, რუსთან, ინგლისელ-ფრანგთან, ამერიკელ თუ ქართველ თაყვანისმცემელ-ქმრებთან ურთიერთობა ქვეტექსტებითაა დატვირთული. ელის შერეული სისხლი აქვს: მამა ქართველი თავადი შალვა გორდელიანი, დედა – გერმანელი, იოჰანე ვახერერის ასული მათილდა. ასე რომ, ეს ერთგვარი სისხლისმიერი გაორება თითქოს მის ბუნებაშიც არის ასახული. ქართული სახელი ელპიდე საბუთებში დარჩა და მას ელის ეძახიან. „იმ წელს სხვა არაფერი შემატებია ქართულ მშვენებას“, – ასე სიმბოლურად აფასებს მის დაბადებას მწერალი. იგი ყურადღებას ამახვილებს ხელოვნების როლის მნიშვნელობაზე ადამიანის სულიერ ცხოვრებაში. ევროპის მუზეუმებში ფერწერული შედეგების მონახულება, მათით „თრობა“ ავლენს ელის გამორჩეულ ბუნებას, რომელსაც არ მიეცა შესაძლებლობა გახარებისა, ისევე როგორც თვითონ საქართველოს არ ჰქონდა საშუალება

თავისი ტრადიციის შესაფერისი განვითარებისა და მუდმივად პატრონის ძიებაში იოყო.

მოთხრობის დროული არეალი მოიცავს მეოცე საუკუნის დასაწყისს, პირველ მსოფლიო ომს, რევოლუციებს, თანმდევნი პროცესებით, რომელთა შორისაა ზნეობრივი ღირებულებების დაცემა, საზოგადოების დეგრადაცია: „ძაღლებს მიუგდეს მოკლული ადამიანების ცხედარი. და აღშფოთებული პუბლიცისტი ყვიროდა, ძაღლებს მაინც ნუ გაუფუჭებთ ზნეს“. ერთადერთი მწერალია, რომელიც ამ ყოველივეს თვალყურსადევნებდა. თუმცა, ამ დეტალს ერთგვარი თვითირონია ახლავს: „აქ იყო მწერალი, ჩასაწერიანიგნაკ გახსნილი ახალ სტილსა და ახალ შინაარსს რომ ეძებს – ის“.

საგულისხმოა, როგორ ახასიათებს ეპოქას მწერალი: უკვე დაწერილია „მერანი“ (ბარათაშვილი), „აჩრდილი“ (ილია ჭავჭავაძე), „ელგუჯა“ (ალექსანდრე ყაზბეგი) და ერი თვრება „ვეფხისტყაოსნით“. ესე იგი, არსებობს დიდებული წარსული, რომელსაც თითქოს გაგრძელება არა აქვს, ან ისეთივე ტრაგიკული აქვს, როგორაც ელის ცხოვრება იქცა. ნახსენები ტექსტები ქმნიან ინტერტექსტულურ „გასასვლელებს“ მოთხრობის ჩარჩოდან, რათა მკითხველმა ანმეოს სიცარიელე შეიგრძნოს, დაფიქრდეს, გაანალიზოს. ნებისმიერ დროში აქტუალური ეგზისტენციური პრობლემები ამ მოთხრობაშიც მნიშვნელოვანია. გმირების ყოფა, მათი სიცოცხლე თუ სიკვდილი, სიყვარული თუ სიძულვილი, ბედნიერების წყურვილი, ნოსტალგია გადაჯაჭვულია კონკრეტულსა თუ ზოგად წუთისოფლისეულ კანონზომიერებებთან.

„რად გამომრიყე, ღმერთო, ამ ბულალტრების საუკუნეში“, – ჩივის კონსტანტინე სავარსამიძე, „დიონისოს ღიმილის“ მთავარი პერსონაჟი, საკუთარი თავის შემეცნებისთვის სულიერსა და მატერიალურ გზებზე მოხეტიალე, ევროპის დიდი ქალაქების ხორციელ კომფორტსა და სულიერ უდაბნოებს ზიარებუი. ბულალტერი მისთვის ანგარიშიანობის, პრაგმატულობის სინონიმია. საქართველოში კი ფულს ყოველთვის ერთგვარი ამრეზით ეკიდებოდნენ. ამ ყოველივეს კარგად აანალიზებს ევროპელი ჰექსლეი, როდესაც ელის ამერიკელი ბრომლის ფულის შოვნით გატაცებასა და ქართველთა ბუნებაზე ესაუბრება: „ქრისტეს მოციქულებმა, უბრალო მებადურებმა დაიპყრეს ქვეყანა თავიანთი გატაცებით, თავდადებით და რად გიკვიროთ, რომ ამერიკელები იძენდნენ სიმდიდრეს, როცა ისინი ისეთივე თავდადებულნი არიან სიმდიდრისთვის. ევროპას აღარ აქვს შეურყვნელი მისწრაფება სიმდიდრისადმი, იგი გატაცებულია პოლიტიკური, მეცნიერული, მხატვრული იდეებით. როგორც თქვენ არა გყავთ როკფელერი, მორგანი, ბრომლეი, ისე მათ არ ჰყავთ ლენინი, ბეთჰოვენი, კანტი. თქვენ მხოლოდ ნახევარი გულით ეკიდებით სიმდიდრეს, დოვლათს – ამერიკელები „ნახევარი გულით“ ეკიდებიან მეცნიერებას, ხელოვნებას, პოლიტიკას. თქვენთვის პირველია სახელი აზროვნების მეფობისა, ჩვენთვის პირველია – მეფობა სიმდიდრეზე. თქვენ, ქართველები, ყველაზე უფრო არსებობის შენარჩუნებაზე ფიქრობდით და ჭეშმარიტად განსაცვიფრებელია, როგორ გადაიტანეთ ამდენი მრავალგვარი უბედურება მაკვირვებს, როგორ გადაურჩით ამდენ მტერს, მტერს უცხოს, შემოსეულს, მტერს შინაურს და თქვენ გაკაჟებული იბრძოდით არსებობისთვის

– ეს არის პირველი. ყველა დანარჩენი – ევროპული გატაცება მეცნიერებით, პოლიტიკით, ხელოვნებით და ამერიკის დევიზი – სიმდიდრე, დოვლათი, დოლარი – თქვენთვის მეორეხარისხოვანი მოთხოვნილება იყო თქვენი სულისა“.

ნიკო ლორთქიფანიძემ ამ მოთხოვნაში თხრობის ახალი ტექნიკა გამოიყენა იმ სულიერი კრიზისის დასახატავად, რომელსაც განიცდიდა ღვთისაგან მიტოვებული ადამიანი და დაბნეული დაეძებდა ხსნის გზას.

### დამონმებანი

გამსახურდია 2000: გამსახურდია კ., ქართველი მწერლები – ნიკო ლორთქიფანიძე, თბ., 2000

ლორთქიფანიძე 2000: ლორთქიფანიძე ნ., შელოცვა რადიოთი, ქართველი მწერლები-ნიკო ლორთქიფანიძე, თბ., 2000

რობაქიძე 2015: რობაქიძე გრ., დემონი და მითოსი, გამომც. არტანუჯი, თბ., 2015

## რეზაზ გაბაშვილის სოციოცენტრიზმი და ეკონომიკური უბოკიები

XIX საუკუნის დასასრულისთვის ჩვენი კულტურის არაერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი კარგად გრძნობდა ქართული საზოგადოებრივი ცხოვრებისთვის პრობლემატური ლიტერატურაცენტრიზმის ძირითადი პრინციპების გადახედვის აუცილებლობას. ლიტერატურისადმი ამ განსაკუთრებული დამოკიდებულების დამკვიდრება თავის დროზე პოლიტიკური და მენტალური მიზეზებით იყო განაპირობებული. კოლონიალურ ქვეყანაში სწორედ ლიტერატურა ითვლებოდა სულიერ ფასეულობების, პირველ ყოვლისა, ენის მასთან ერთად კი კრიტიკული აზროვნების გადარჩენის ქმედით საშუალებად. ლიტერატურა, როგორც ვიცით, ქართველთა თვითრეპრეზენტაციის უნივერსალურ ფორმად ითვლებოდა. შესაბამისად, რეფლექსირება ქვეყნისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობის საკითხებზე სწორედ მისი საშუალებით ხდებოდა. კიდევ ერთი დეტალი: ლიტერატურაცენტრიზმს თავის მხრივ მოჰყვა ნიგნის, პრესის სოციალურ ინსტიტუტთა შექმნა, რომელიც ამ ყველაფრის მატერიალურ საყრდენს წარმოადგენდა. ამიტომაც იყო, რომ ჩვენი მოღვაწეები ამა თუ იმ ფორმით ჩართულნი იყვნენ სარედაქტორო-საგამომცემლო საქმიანობაში, უძღვებოდნენ ჟურნალ-გაზეთებს და შემოქმედებითი მუშაობისთვის განკუთვნილ ძვირფას დროს ამ საკმაოდ შრომატევად აქტივობებს ახმარდნენ. თუმცა პარადიგმატულ ცვლილებათა ქრილში თანდათან სულ უფრო თვალსაჩინო გახდა „ლიტერატურული დისკურსის ერთპიროვნული ბატონო-

ბის“ გაუქმება თუ არა, შერბილება მაინც, რათა ქვეყანას ადეკვატური პასუხი გაეცა ახალი გამოწვევებისთვის.

2007 წლით დათარიღებულ ილია ჭავჭავაძის 170 წლისადმი მიძღვნილ საიუბილეო კრებულში „ილია ჭავჭავაძე - 170“ საგანგებოდაა გამოკვეთილი ქართული კულტურის შემდგომი მოდერნიზებისთვის აუცილებელი ტრანსფორმაციის ინიციატორთა ილიასა და ნიკო ნიკოლაძის ღვაწლი: „სამოციანელთა თაობამ (აქ ილიას გვერდით ნიკო ნიკოლაძის ფიგურა ჩანს) დროულად იგრძნო „ლიტერატურული დისკურსის სოციალურზე გადასვლის“ აუცილებლობა, რაც არა მარტო მხატვრულ-პუბლიცისტურ ტექსტებში, არამედ პრაქტიკულ საქმიანობაში, კერძოდ, საადგილმამულო ბანკისა და ნიკო ნიკოლაძის მნიშვნელოვან ეკონომიკურ ინიციატივებში გამოიხატა“. აქვე დეტერმინირებულია ლიტერატურაცენტრიზმისა და მისი ერთგვარი ანტონიმური ცნების, სოციოცენტრიზმის არსი, დიფერენცირებულია მათი საზოგადოებრივი ფუნქციები, გამოკვეთილია სოციოცენტრიზმი, როგორც სოციუმის, საზოგადოებაში და საზოგადოებისთვის საქმიანობის ასპექტები (კუპრეიშვილი, 2007:289).

მომდევნო შემოქმედებითმა თაობამ, რომელიც თავადაზნაურთა ფენიდან (მათ შორის ე.წ. „რაზნოჩინული“ ინტელიგენციის წარმომადგენლებიც ერივნენ) უმაღლესი განათლების მისაღებად გეზი ევროპისკენ აიღო. პირობითად რომ ვთქვათ, „თერგდალეულობა“ „რანდალეულობით“ იქნა ჩანაცვლებული. რევაზ გაბაშვილი და მისი თანატოლები სწორედ ამ პერიოდში გრძნობენ ილიას სულიერი ანდერძის უკეთ გააზრებისა და შემდგომი გაღრმავების საჭიროებას. მათთვის განსაკუთრებით ახლობელია „უსისხლო ომის“ იდეა, რომელიც ილიამ XIX საუკუნის 90-იან წლებში

წამოაყენა. ახალგაზრდა, როგორც ისინი თავიანთ თავს უწოდებდნენ, მამულიშვილები უკვე თვალნათლივ ხედავენ ფეოდალურ ფასეულობებზე კაპიტალისტურის უპირატესობას. თუმცა ამკარა იყო ის საფრთხეებიც, რომლებიც ეროვნულ ქრილში ამ პროცესს უნდა მოჰყოლოდა (მევახშეობა, ჩარჩ-ვაჭრობა, უცხოური წარმოშობის კაპიტალის არაქართული ინტერესებისათვის გამოყენება, ევროპულისგან განსხვავებით, ქართული კაპიტალის არასამრეწველო ხასიათი, რაც ეროვნულ კულტურას ვერ ეხმარებოდა და ვერც ქართველი ერის სოციალურ მდგომარეობას აუმჯობესებდა, ვერ უზრუნველყოფდა ქვეყნის განვითარებისა და წინსვლას).

ამ პრობლემებთან გასამკლავებლად რ. გაბაშვილი და მისი თანამოაზრენი მოქმედების ორგანიზებულ ფორმას მიმართავენ: აარსებენ ჟურნალ „კლდეს“ (1912-1915), რომელშიც არაერთი საჭირობოროტო საკითხია გახმოვანებული. მათ შორის დღევანდელი გადასახედიდან განსაკუთრებულად რეზონანსულია თამამი მოსაზრებები სოციოცენტრიზმისა და ეკონომიკური აქტივობების შესახებ.

ეროვნული თვითგამოღვიძებისა და სუსტი, მაგრამ უდავოდ არსებული საჯაროობისა და დემოკრატიის პირობებში, რასაც საუკუნის დასაწყისში ჰქონდა ადგილი (ჟურნალ-გაზეთები, ქალაქების თვითმმართველობების დეპუტატთა საკრებულოები), საქართველოში მოკალათებულ უცხო ბურჟუაზიას არ შეეძლო სრულად დაპატრონებოდა ბუნებრივ და ქართველი ხალხის ხელით შექმნილ სიმდიდრეებს. ერთი მხრივ, ეროვნული ინტერესების კონტექსტში ეს, ცხადია, დადებითი მოვლენა იყო, მეორე მხრივ კი, ეს მოვლენა ბურჟუაზიული განვითარების მასშტაბს ზღუდავდა, ამასთან აფერხებდა ქვეყნის განვითარებას, ხელს უშლიდა

საზოგადოებრივი გარდაქმნების დაჩქარებას. იმპერიული ეკონომიკური პოლიტიკა, რევოლუციური გაბაშვილისა და მისი მეგობრების რწმენით, დამლუპველი იყო იმ ეროვნული მიზნებისათვის, რაც მათ ამოძრავებდათ. მაგალითისთვის, 1911-1912 წლებში დასრულდა კახეთის რკინიგზის მშენებლობა, რომელიც თბილისის თავადაზნაურთა საკრებულოს თანხებით აიგო. მთავრობამ ხაზის დაფინანსებაზე უარი თქვა, რადგან მისი შემოსავლები მცირე იქნებოდა და ხარჯებს ვერ დაფარავდა. არადა, ეს ხაზი კახელი გლეხებისა და კერძო მენარმეებისთვის სასიცოცხლოდ აუცილებელი იყო. ამიტომ ჩაება ქართული საზოგადოება იმ კამათში, რომელიც რკინიგზის ირგვლივ გაიმართა. მის ასაგებად სპეციალური საობლიგაციო სესხი და აქციებიც გამოიცა (სცსსა, ფონდი 286).

ადგილობრივი ქართველი მრეწველები, რომელთა რიცხვი ძალზე მცირე იყო (სარაჯიშვილი, ძმები ზუბალაშვილები, ლალიძე, ხომტარია და სხვ.), ეხმარებოდნენ ეროვნული დაწესებულებებისა და კულტურული კერების გახსნას, მაგრამ ეს საკმარისი არ იყო. ეროვნული მოძრაობის ლიდერებმა დაიწყეს აქამდე წაუხალისებელი ეკონომიკური აქტივობებით იმპერიული პოლიტიკის საწინააღმდეგო ეროვნული ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავება, კერძო მეურნეობების, კოოპერატიული მოძრაობის მოდერნიზება-ევროპეიზება, სოფლის თვითმმართველობებისა და ცალკეული პირების ჩაბმა ახალ ეკონომიკურ ცხოვრებაში.

საგულისხმოა, რომ რ. გაბაშვილი სოციალური პრობლემებიდან თავდახსნის გზასა და ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ცნობიერების გაღვივებას ეკონომიკური სფეროს მონესრიგებაში ხედავდა. გაბაშვილი და „კლდის“ სხვა პუბლიცისტები კოლონიური ინტერესების სფეროში მოქცე-

ული ეკონომიკის, ხელოვნურად გაძვირებული ბაზრისა და დამძიმებული სოციალური ყოფის ალტერნატივას კერძო საწარმოებისა და გაერთიანებების დაარსებაში ეძებდნენ. მათი აზრით, ყველა ქართველი „საქმის კაცად“ უნდა ქცეულიყო, თუ სურდა სიღარიბიდან თავის დაღწევა. „ვჩივით სიღარიბეს მაშინ, როცა ბედმა სამოთხეში დაგვასახლა. რა გვიხსნის ასეთი უმწეო მდგომარეობისგან?“ - კითხვას სვამდა ჟურნალის რედაქტორი და ასე პასუხობდა: „უნდა წავიდეს ის დრო, როცა მხოლოდ კულტურული ლაყობით და მწერლობით ვაპირებდით ქვეყნის აშენებას. უნდა ამოიფხიკოს ჩვენი ცნობიერებიდან ის შეცდომა, ვითომც მხოლოდ პოეზიას, ლექსთა წყობას, თეატრსა და სხვა ამგვარებს ჰქონდეთ უდიდესი და უმაღლესი კულტურული ღირებულება ხალხის ცხოვრებაში. ყოველი ერის ფიზიკური ძალა, მისი არსებობის საძირკველი უნდა განმტკიცებულ იყოს მისი ეკონომიკური ცხოვრებით“ [ „კლდე“.....). სწორედ ეს მოსაზრება მოწმობს რ. გაბაშვილის სოციოცენტრისტულ ინტერესებს, წარმოაჩენს მას თავისი დროის მონინავე ადამიანად.

ჟურნალმა „კლდე“ ახალი ეკონომიკური იდეების ტრანსლატორის ფუნქცია შეიძინა, რასაც მისი პირველივე ნომრის „მონინავე“ მოწმობდა. არაორაზროვანი მოწოდება „ეკონომიკური მოძრაობის უსათუოდ ნაციონალურ ფარგლებში გაჩაღების“ შესახებ იყო კიდევ ამ სარედაქციო წერილის დედააზრი. პუბლიცისტს მაგალითად მოჰყავდა არაერთი ევროპული ქვეყნის გამოცდილება, პირველ ყოვლისა კი პოლონეთის, რომელთანაც ქართველებს ბევრი რამ აერთიანებდათ: „აი, მოკლედ მძლავრი შინაარსი პოლონეთის ხალხის მოძრაობისა მე-19 საუკუნის დამლევს. ყოველი მაშინდელი განათლებული პოლონელის სულისკ-



ვეთება და მისწრაფება იყო: მოაწყოს ხალხის ფართო მასაში ეკონომიკური ორგანიზაციები (ბანკები, კოოპერაციული დანესებულებანი, სამეურნეო, მელიორაციული და სხვა საზოგადოებანი), გამოიყვანოს ეკონომიკური ბრძოლის ველზედ საშუალო ნოდება თავის ვაჭრობა-მრეწველობით, რომელიც მაშინ ებრაელებისა და გერმანელების ხელში იყო და ამით მოუპოვოს სამშობლოს ის ნამდვილი ძალა, რომლითაც პოლონეთი შესძლებდა ახლად ამოეყო თავი საკაცობრიო ცხოვრების სარბიელზე. მართლაც, უნაყოფოდ არ ჩაუარა პოლონეთს ამ მუშაობამ ... ხალხი გასწორდა წელში და დიდი იმედით შეჰყურებს მომავალს.

ამგვარივე მოტივებით იყო განმსჭვალული მონინავე ინტელიგენცია პატარა ფინლანდიისა თავისი ნაციონალური საქმის მოწყობაში და შედეგად მოჰყვა ის, რომ პანია ქვეყანა, ცნობილი მარტო ღარიბი ბუნებით, ხალხით, ისტორიული წარსულით, ისე გამდიდრდა ქონებრივად და კულტურული ცხოვრებით, რომ თანამედროვე განათლებული ევროპა იძულებული გახდა, ჩაენერა იგი მონინავე ერების სიაში. ასეთი გზა აირჩია ლატიშთა ქვეყანამ, ასეთ გზაზე მიაქანებს ეხლანდელ თავის ცხოვრებას უკრაინის ხალხი.“

კლასთა ბრძოლისა და სოციალური დაპირისპირების ქადაგების იმ საბედისწერო ჟამს, როდესაც ეს იდეები, სამწუნხაროდ, ყველაზე პოპულარული იყო ხალხის მასაში, გაბაშვილი და მისი პოლიტიკური თანამოაზრენი ცდილობდნენ გამწვავებული სოციალური დაპირისპირების მშვიდობიან ფორმებში მოქცევას, არ ერიდებოდნენ თვითკრიტიკასა და უკომპრომისო აქცენტების დასმას ერის შინაგანი ძალების პასიური გამოყენების გამო, მოუწოდებდნენ სოციალურად დაუცველებს გააქტიურებისაკენ, ახალი რეალობის გონივრულად გამოყენებისაკენ. მათ სურდათ, ამ მოძრა-

ობას არ დაეჩრდილა ეროვნული ინტერესები, სულიერი ფასეულობების დაცვისათვის ბრძოლის ჟინი არ შესწირვოდა სოციალური კეთილდღეობისათვის არჩეულ გზას. „მაგრამ ამ მძლავრ ეკონომიურ მოძრაობას პატარა ერებისას სუყველგან და ყოველთვის წინ უძლოდა გაშლილი დროშა ზედწარწერილი ლოზუნგით: დაიცავით თქვენი დედა ენა, მაგრად მოჰკიდეთ ხელი სამშობლოს მიწა-წყალს!

სიტყვით და დაუყოვნებლივ ზედმოყოლილი მედგარი და თავგანწირული მუშაობით ხასიათდება მათი საუცხოვო მოძრაობა... პატარა საქართველოც ამ გზას ვერ ასცდება და თუ ყურადღებით დავაკვირდებით ქართულ ცხოვრებას, მან კიდევ გადადგა პირველი ნაბიჯი ამ გზაზე... მაგრამ, საუბედუროდ, ეს ნაბიჯი კუს ნაბიჯს მოგვაგონებს“. აშკარაა, რომ თავად გაბაშვილი ვერ მალავდა უკმაყოფილებას იმ ეკონომიკური განვითარების ტემპით, რაც ჩვენში მიმდინარეობდა.

რევანზ გაბაშვილს აუცილებლობად მიაჩნდა ევროპული და მსოფლიო გამოცდილების გაზიარება, შრომის კულტურის ადეკვატური გააზრება და ტრადიციული სამეურნეო გამოცდილების შენარჩუნებით მოდერნიზებულ ცვლილებათა ათვისება.

სამწუნხაროდ, ამ პერიოდში ეკონომიკის, როგორც მეცნიერების ღრმად გაცნობიერება ჩვენში ჯერ კიდევ არ იყო აქტუალური (თუ არ ვცდებით ეს ტერმინი, ოღონდ დამახინჯებული ფორმით - „ეკომონია“, პირველად სულაც გერისთავის „გაყრაშია“ ნახსენები). მართალია, ამ საკითხებზე ინტენსიური მსჯელობა ნიკო ნიკოლაძემ და მისმა პრესამ დაიწყო, სპეციალური რუბრიკები თუ გამოცემებიც მიუძღვნა პრობლემის ფართოდ გააზრებას, მეცნიერების თანამედროვე მიღწევებიც ჩართო მასში (პროფესორ ვა-

სილ პეტრიაშვილის წერილები, ვანო მაჩაბლის მიერ სინდიკატის დაარსება, რომელმაც დიდი სიკეთე მოუტანა ჩარჩვაჭრობით შეწუხებულ ქართლს), მაგრამ ეს მასშტაბი მცირე იყო ქვეყანაში, სადაც ჯერ კიდევ ბატონყმობის ნაშთები არ აღმოფხვრილიყო (დროებითვალდებულობის ინსტიტუტი), რომლის ეკონომიკა მეტროპოლიაზე იყო მიბმული და მთლიანად კოლონიურ ინტერესებს ემორჩილებოდა, როდესაც ქვეყანაში კლასობრივი ბრძოლისა და სოციალური დაპირისპირების იდეებს ყველაზე მეტი მიმდევარი ჰყავდა. საკითხავი იყო, რამდენად რეალური იყო ახალი ეკონომიკური პროექტების განხორციელება ამ ვითარებაში, ასეთ საზოგადოებაში („საქართველო-რუსეთის ურთიერთობა...“ 2016:459).

ერთი მხრივ, გაბაშვილისა და მისი თანამოაზრეების ეკონომიკური იდეები უტოპიური ჩანს, მეორე მხრივ, დაგვიანებულიც. ევროპის პატარა ქვეყნებშიც კი კოოპერატივების შექმნისა და დარგობრივი ასოციაციების პროექტები დიდი ხნის განხორციელებული იყო. ის კი არადა, საქართველოს კულტურული განვითარების დონეც ჩამორჩებოდა მის მიერ თვალსაჩინოებისათვის დასახელებულ პოლონეთს, ჩეხეთს, ფინლანდიასა და ლატვიას. ამას თვით გაბაშვილის სტატიაც მიუთითებდა: „რამდენი სახალხო ორგანიზაციაა მოწყობილი თქვენში, – უკითხნია ქართველისათვის ერთ ცნობილ ფილანდიელ მოღვაწეს, დაინტერესებულს ქართული ყოფა-ცხოვრებით – რამდენი ჟურნალ-გაზეთი გამოდის საქართველოში და რამდენი მკითხველი ჰყავს? – და როცა შეიტყო სუსტი რიცხვი ყველა ამათი, მოკლედ მოუჭრია – ძალიან ჰკოჭლობთ, ძალიან. დაეჩქარეთ ეროვნული საქმის მოწყობას და განვითარებას... ცხოვრება არ იცდის, უმთავრესი ყურადღება მიაქციეთ სახალხო ეკონომიური

ორგანიზაციების მოწყობას, თორემ გაითქვიფებით.“... სწორედ მოგახსენოთ, საქართველოსთვის ამისთანა წინასწარმეტყველება ვერაფერი სახარბიელოა“, – მწარედ ასკვნოდა პუბლიცისტი. რეალობის ამგვარი აღქმის კვალდაკვალ, რევაზ გაბაშვილი საქართველოს საზოგადოებას ქვეყნის გადარჩენისა და მომავალი განვითარებისათვის მოქმედების გააქტიურებისკენ მოუწოდებდა.

„მაგრამ სინამდვილეს ვერ გავექცევით. სინამდვილე კი კარზე გვადგია და დაჟინებით გვეუბნება: თუ არ გინდათ უცხო კაპიტალის, ცოდნის, ინიციატივის მონები გახდეთ, ფეხზე დადექით და ენერგიულად შეუდექით იმ საფუძვლის ჩაყრა-გამაგრებას, რომელზედაც მომავალში აღორძინდება მძლავრი და ჯანმრთელი ქართველი ერი.

ეს საფუძველი კი არის: ფართო განათლება და ეკონომიური ძალა ხალხისა შედეგებული ერთად ნაციონალური ცხოვრების პირობებით და გრძნობებით. მიტანა ერთი ქვისა და გამაგრება ამ საფუძველზე შეადგენს უმთავრეს მიზანს ჟურნალ „კლდისას“ და ამიტომ ჩვენი ჟურნალი ეცდება გაუზიაროს მკითხველებს ყოველნაირი მასალა ფართე ქართული საზოგადოებრივ-ეკონომიური ცხოვრებიდან, დააკავშიროს თანამოაზრენი და ერთგულნი დიდი ეროვნული მოძრაობისა.“

ჟურნალს მიაჩნდა, რომ „გამდიდრება და საწარმოო ძალთა გამრავლება პირველი მაჩვენებელია ხალხთა ძლიერებისა, მაგრამ უპირველესი საქმე ჯერ კიდევ ეს არ არის... ერის სიმდიდრე არ განისაზღვრება კერძო პირთა სიმდიდრით. მრავალი მდიდარი ჰყავს ებრაელ ერს, არც სომხებს აკლიათ მდიდრები, მაგრამ არც ერთი და არც მეორე მდიდარ ერად არ ითვლება, რადგან არც ებრაელების, არც სომეხთა ეკონომიური სტრუქტურა ეროვნული არ

არის. ეკონომიური ჯანმრთელობისათვის საჭიროა უფრო მეტი სერიოზული თვისებანი, ვიდრე ცარიელი სიმდიდრე. თუ ეკონომიურ ინტერესს ერისასზედ არ ერთვის ღრმა ნაციონალური ინტერესი, უამისოდ იგი, როგორც შემკრები ძალა ეროვნული ცხოვრებისა, ნულია! ეს უკნასკნელი ნაციონალური ინტერესი კი მარტო თავიდან ან პატრიოტული გრძნობიდან არ გამოიჩეკება; ამისთვის საჭიროა მთელი ის რთული სოციალური ორგანიზმი, რომელსაც ეროვნული ცხოვრება ენოდება. ეს კი ცოტას არ წარმოადგენს. ტერიტორია, ენა, კულტურა, რელიგია, სახელმწიფოებრივი ცხოვრება ანმყოში თუ წრსულში, საზოგადოებრივი დაწესებულებანი, როგორც კლასები და მისი გამომხატველი ორგანოები, ერთი სიტყვით, მთელი ჯამი ისტორიულად შემუშავებული კულტურისა, მრავალ საუკუნეთა განმავლობაში. აი, თუ ამაზედ ემყარება ეკონომიური მოქმედება ერისა, მარტო მაშინ აქვს მას მყარი საფუძველი, მაშინ არის იგი შემქმნელი მომავლისა („კლდე“ #1, გვ. 12, „შინაური მიმოხილვა“).

გაბაშვილი ჩიოდა, რომ ქართული სოფელი ღარიბი, ქალაქები კი ნახევრად ჩვენი არ იყო. „მიუხედავად ამისა, - ნერდა იგი, - სოფლებსაც და ამ ნახევრად ჩვენ ქალაქებსაც იძულებულნი ვართ დიდი ეროვნული როლი ვაკუთვნოთ. ეს კი ეჭვს იწვევს. როგორ შეიძლება ის იარაღი გახადო ბრძოლის იარაღად, რომელიც ჯერ არა გაქვს და ის ადგილი აღიარო ბრძოლის ველად, რომელიც სხვას ეკუთვნის. ყოველ შემთხვევაში, ასეთი ბრძოლა ნახევრად წაგებულია. თბილისი, რომელიც მტკიცე ბჭე უნდა ყოფილიყო ჩვენი ეკონომიური ცხოვრებისა, ფაქტიურად, სხვისი სიმაგრეა. ანტურაჟი, რომელიც აწარმოებს მთელ ჩვენ ეკონომიურ ცხოვრებას, უსახოა. ღარიბი სოფლის მეურნე, ქალაქის პა-

ტარა მენვრილმანე, ხელოსანი მამა-პაპური სამუშაო იარაღით, უცოდინარი მეზალე, ასეთივე მევენახე. აი, ის მოქმედი პირნი, რომელნიც ვითომდა ქმნიან მას“...

„კლდის“ ეკონომიკურ ორიენტაციას სრულად ეწინააღმდეგებოდნენ სოციალისტური მიმართულების ჟურნალგაზეთები, მათ შორის ფედერალისტთა ისეთი ორგანოც კი, როგორც „სახალხო გაზეთი“ იყო. მან „კლდის“ მიმართულება „წვრილმანების პოლიტიკად“ მონათლა, რასაც ჟურნალმა ასე უპასუხა: ჩვენ ისეთს არას ვურჩევთ ხალხს, რომელიც „მსხვილმანების პოლიტიკაში“ არ შედის, რომლითაც ასე გატაცებულია „სახალხო გაზეთი“ („კლდე“ #3, 1912). შეახსენებდა „ს.გ.“-ს, რომ გონივრული ეროვნული პოლიტიკა ის არის, რომელიც ამოქმედებდა ხალხს ისეთ სასტიკ ხანაში, როგორც თანამედროვეობა იყო. ასეთ პოლიტიკად ჟურნალის რედაქციას ხალხის ეკონომიკური გაღონიერება მიაჩნდა. ღონიერი კი, მისი აზრით, ქართველი ხალხი იქნებოდა მაშინ, როცა თავად გახდებოდა პატრონი თავის სამშობლო ქალაქებისა და მიწა-წყლისა, თავისი ქარხნებისა და ფაბრიკებისა, როცა ექნებოდა ინტენსიური მეურნეობა და მდიდარი ალებ-მიცემობა.

რევან გაბაშვილის ეკონომიკური შეხედულებები თავისი დროისათვის რევოლუციური, საქართველოსათვის თითქმის ახალი იყო, რადგან იგი მონაწილეობდა პირველი მსხვილი კოოპერატივებისა და სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობების დაარსებაში, რომელთა საშუალებით ცდილობდა ხალხის გაერთიანებას, ერის ეკონომიკურ გაღონიერებას, უცხოური კაპიტალის ბრჭყალებისაგან ქვეყნის დახსნას. მას კარგად ესმოდა კრედიტის როლი და ფუნქციები ბურჟუაზიულ საზოგადოებაში, ეკონომიკური კრიზისიდან თავის დაღწევაში. მისი ეკონომიკური თეორია თავისი არ-

სით კაპიტალისტური, კერძომესაკუთრულია, ამასთან, ევროპული სოციალიზმის პროგრესული ელემენტების შემცველიც, ჯანსაღი საზოგადოებრივი ცხოვრების დამამკვიდრებელი, ერისათვის პრაქტიკულად გამოსადეგი. მიუხედავად ამისა, არსებულ ვითარებაში, როდესაც საქართველოს ეკონომიკას ერთი მხრივ რუსეთის იმპერიულ-კოლონიური ინტერესები მართავდა (ამასთან თავად მეტროპოლია იყო ჩამორჩენილი სამხედრო-ფეოდალური სახელმწიფო), მეორე მხრივ, სოციალ-დემოკრატების განსხვავებული სოციალისტურ-ეკონომიკური პარადიგმები ინაცვლებდა წინა პლანზე (დამოუკიდებლობის წლები), გაბაშვილისა და მისი ჯგუფის ეკონომიკურმა პროექტებმა უკანა რიგში გადაინია და ერთგვარად „უტოპიური ეკონომიკის“ სახე მიიღო. რაც შეეხება მის გამონათქვამებს ლიტერატურაცენტრიზმისა და სოციოცენტრიზმის ანტინომიურობის შესახებ, რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, ამ იდეების რეალიზების ხანა სწორედ ახლა, XX-XXI საუკუნეთა მიჯნაზე, დადგა.

### დამონმებანი

გაბაშვილი 1959: გაბაშვილი რ. რაც მახსოვს (მოგონებანი), მიუნხენი , 1959

კუპრეიშვილი 2007: კუპრეიშვილი ნ., ილიას ბანკი და სოციოცენტრიზმის დეფიციტი, კრებულში ილია ჭავჭავაძე 170, საიუბილეო კრებული“, შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი, თბ., 2007

სცსსა, ფონდი 286,- საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფონდი 286, საქმე 1, ფურცელი 1-4; საქმე 24, ფურც. 10-24; საქმე 177, ფურც. 253-267.

რუსული კოლონიალიზმი 2008: - ალექსანდრე ბენდიანიშვილი, „რუსეთის კოლონიურ-ეკონომიკური პოლიტიკა და საქართველოს სოფლის მეურნეობის დარგობრივი სპეციალიზაცია“, წიგნში რუსული კოლონიალიზმი საქართველოში, გამომც. უნივერსალი, თბ. 2008

კლდე 1912: გაბაშვილი რ., ნვრილმანების პოლიტიკა, ჟ. კლდე, 1912 #3

საქართველო-რუსეთის ურთიერთობა...2016: დ. ჭუმბურიძე, საქართველოს ეკონომიკა XIX საუკუნის II ნახევარში, წიგნში – „საქართველო-რუსეთის ურთიერთობა XVIII-XXI საუკუნეებში, წიგნი I, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბ., 2016

## რევან გაბაშვილი და ქართული კოოპერაცია

რევან გაბაშვილის სახელი, სამწუხაროდ, ნაკლებადაა ცნობილი ფართო საზოგადოებისათვის. ეკატერინე გაბაშვილის უფროსი ვაჟი, XX საუკუნის პირველი ოცნლეულის თვალსაჩინო მოღვაწე და პუბლიცისტი, რომელიც საკუთარ თავს მწარე ირონიით „უკარიერო მამულიშვილსაც“ უწოდებდა, გასაბჭოების შემდეგ იძულებული გახდა უცხოეთში წასულიყო. შესაძლოა დროებით (ვინაიდან ცოლ-შვილი აქ დატოვა), აღმოჩნდა კი – სამუდამოდ. 1968 წელს პარიზში, ოთხმოცი წლის „მარტოხელა მოხუცი მამა“, სიკვდილამდე ერთი წლით ადრე, მოინახულეს შვილებმა. ამ პარიზული შეხვედრის დროს რევან გაბაშვილი თავის ვაჟიშვილს, არქიტექტორ გურამ გაბაშვილს, უძღვნის წიგნს ძალზე ნიშანდობლივი წარწერით, რომლის აზრობრივი სიმრთელე და ცოცხალი, მფეთქავი სტილი მიგვანიშნებს წარწერის ავტორის სულიერ სიმტკიცესა და გაუტეხლობაზე: „1968 წელს მამა-შვილმა ერთად ჩავაბარეთ „გამოცდანი“. შენ ბეტონ-რკინით სახლებს აგებ, „მსუბუქ“ სიტყვით მე – ზღაპრებსა. შვილი-შვილთ გამოარკვიონ, „რა არს უფრო გამძლე?“ – ხანით! პარიზი. 19.V.რ. გაბაშვილი“. სამოცდაათიან წლებში რევან გაბაშვილმა თავი შეახსენა დიდი ხნის უნახავ სამშობლოს. მისმა მოგონებების კრებულმა „რაც მახსოვს“, უფრო სწორედ კი 1959 წელს მიუნხენში გამოცემული ამ წიგნის ქსეროასლმა, რომელიც ფარულად ვრცელდებოდა მაშინდელ თბილისში და ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, ხელიდან ხელში გადადი-

ოდა, ძლიერ ააფორიაქა ქართველი მკითხველი, განსაკუთრებით კი ახალგაზრდობა. მართალი, პირუთვნელი აზრი ათიანი-ოციანი წლების ცნობილ მოვლენებზე, რომლის უკან ახალი ტიპის ფსიზიკური პატრიოტი იდგა გარკვეულ გამოცდილებას სძენდა გარდატეხის მიჯნას მიახლოებულ ჩვენს საკმაოდ ამორფულ საზოგადოებრივ აზროვნებას. მოგვიანებით, რევან გაბაშვილის (ისევე როგორც თითქმის მთელი ქართული ემიგრაციის) ერთგვარი კანონიზირება გურამ შარაძის თაოსნობით განხორციელდა. სწორედ მის მიერ იქნა გამოცემული ქართული ემიგრანტული ლიტერატურის მრავალტომეული „დაბრუნება“ (ეს გამოცემა დღესაც გრძელდება) და უცნობი ბიოგრაფიული თუ უნიკალური იკონოგრაფიული მასალის შემცველი ორტომეული „უცხოეთის ცის ქვეშ“, რომლებშიც რევან გაბაშვილის მღელვარე ცხოვრებაც სათანადოდაა ასახული. ბევრი რამ, რაც რევან გაბაშვილის მიერ გასული საუკუნის დასაწყისში დაინერა თუ გაკეთდა (მას „მკბენარე კალმისა“ და „მკვახე სიტყვის“ პატრონს უწოდებდნენ), მართლაც, „ხანით გამძლე“ აღმოჩნდა. განსაკუთრებით კი, ეროვნული ეკონომიკის აღორძინების იდეა, რომელიც, შეიძლება ითქვას, ქართული თავად-აზნაურობის, ქართული ინტელიგენციის მონინავე ნაწილმა შეიმუშავა და რომლის პრაქტიკულად განხორციელების პროცესში, კოოპერატიული მოძრაობის პროპაგანდით, აქტიურად ჩაერთო რევან გაბაშვილიც. არსებობდა თუ არა რაიმე წინაპირობა, რომელმაც ქართული კლასიკური მწერლობის, „დედის იდეალისტური სამართლიანობის პრინციპებსა და პატიოსანი, სიმართლის მოყვარული მამის ოჯახში“ აღზრდილი ახალგაზრდა, ამასთანავე „რევოლუციამში თავდაყირა გადავარდნილი“, ცხოვრების ეკონომიკური პრობლემებისაკენ მოახედა? როგორც ჩანს,



არსებობდა და საკმაოდ სერიოზულიც; ამის შესახებ რევაზ გაბაშვილი თავად გვიყვება: 1905 წლის „რევოლუციურმა ალტყინებამ გამიარა, როგორც კი დავინახე „რევოლუციონერების“ არანაკლები ამორალობა, ვიდრე იმათი, ვისაც ებრძოდნენ ეროვნული საკითხის გადანყვეტა და მისი სამსახური სხვა ნიადაგზედ მიმაჩნდა გადასატანად ეკონომიურად აღორძინება ქვეყნისა და მომავალი დამოუკიდებლობისათვის ეხლა უფრო მტკიცე საფუძვლად მენატებოდა, ვიდრე ძარცვა-გლეჯითა და უდანაშაულო ხალხის ქურდულად (და არა ვაჟკაცურად) მკვლელობა, რასაც ყოველნაბიჯზედ ვეჩხებოდით ე.წ. რევოლუციონურ წრეებში “ იდეური ფანატიზმი, „სოციალისტური უნიათობა“, რაც რევაზ გაბაშვილს საქართველოში მაშინ მოქმედ პოლიტიკურ პარტიათა, განსაკუთრებით კი სოციალ-დემოკრატთა, დამლუბველ თვისებად მიაჩნდა, „რევოლუციონური ენერჯის განელებით“ უნდა ჩანაცვლებულიყო. ქართული მეურნეობა, რომელსაც ერთის მხრივ, რუსული ბიუროკრატია, ხოლო მეორეს მხრივ, უცხოტომელი ჩარჩ-მევახშე შიგნიდან არღვევდა, პირველ რიგში, ქართველთა ჯანსაღი, ადრინდელთან შედარებით, ბევრად უფრო მოტივირებული თვითრეფლექსიით უნდა ყოფილიყო შეფასებული. ვფიქრობთ, არც თუ ისე ბევრი მოღვაწე მოანერდა ხელს იმ მოსაზრებას, რომელიც იმხანად სწორედ ამასთან დაკავშირებით რევაზ გაბაშვილმა გამოთქვა: „ვჩივით სიღარიბეს მაშინ, როცა ბედმა სამოთხეში დაგვასახლა რა გვიხსნის ასეთი უმწეო მდგომარეობისაგან? ნავიდა ის დრო, როცა იარაღით სწყვეტდა საქართველო თავის ბედ-იღბალს; ჩვენ გვგონია, უნდა ნავიდეც ის დროც, როცა მხოლოდ კულტურული ლაყბობით და მწერლობით ვაპირებდით ქვეყნის აშენებას. უნდა ამოიფხიკოს ჩვენი ფსიქოლოგიიდან ის შეც-

დომა, ვითომც მხოლოდ პოეზიას, ლექსთა წყობას, თეატრს და სხვა ამ გვარებს ჰქონდეთ უდიდესი და უმაღლესი კულტურული ღირებულება ხალხის ცხოვრებაში. ყოველი ერის ფიზიკური ძალა, მისი არსებობის საძირკველი უნდა განმტკიცებულ იყვეს მისი ეკონომიკური ცხოვრებით “ და ამას მოსდევს რეპლიკა ვაჭრობისადმი, როგორც ეკონომიკის მასტიმულირებელი საქმიანობისადმი, ქართველთა დამოკიდებულების შეცვლის აუცილებლობაზე. ეს უკანასკნელი შედარებით გახმაურებული მოსაზრება იყო და იგი იმდროინდელ პრესასა თუ საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში სულ უფრო ხშირად გაისმოდა; ხოლო რაც შეეხება მწერლობა-კულტურისადმი არაორდინალურ დამოკიდებულებას, სწორედ ის გახლავთ გაბაშვილისეულად თამამი, გაბედული, გნებავთ რადიკალურიც კი, ვინაიდან იმ ხანებში ქართული კლასიკური მწერლობის ციტადელს უკან ამოფარება, იაფფასიანი ლექსებით თავის გატანა და ბოლოსდაბოლოს, მთელი სასიცოცხლო ენერჯის პატრიოტულ ლირიკაში გახარჯვა ჯერ კიდევ კარგ ტონად იყო მიჩნეული. რევაზ გაბაშვილი არა კულტურის (მწერლობისა და თეატრალური ხელოვნების) გამოუსადეგრობაზე მიგვანიშნებს, არამედ საზოგადოების ნევრთა ინდივიდუალური საქმიანობის არასწორ დაგეგმვასა და ამგვარი დაგეგმვის შედეგად წარმოქმნილ პროფესიონალურ-დარგობრივ დისბალანსზე, რომელსაც სხვა „სიკეთეებთან“ ერთად წოდებრივი უპირატესობის ილუზიაც კვებავდა. „უნდა გადავაგდოთ თავად-აზნაურული კუდაბზიკობა და მთავარი ყურადღება მივაქციოთ ჩვენს ეკონომიურს აღორძინებას“-ო, შემთხვევით როდი შენიშნავდა რევაზ გაბაშვილი. გლეხი ერთობ უნდობლად უყურებდა თავადსაც და აზნაურსაც. მხოლოდ პრაქტიკული ცოდნის მიწოდებითა და პირადი მა-

გალითის ძალით თუ შეიძლებოდა მისი ურწმუნოებისა და ეჭვიანობის დაძლევა. ურთიერთგაუცხოების ამ ხავსმოკიდებული პრობლემის გადაწყვეტა არა მარტო გლეხის მძიმე ფიზიკურ შრომას შეამსუბუქებდა, არამედ ახლებურად მოაზროვნე თავად-აზნაურობას გლეხობისავე პოლიტიკურ მისწრაფებათა მართებული კოორდინირების საშუალებას მისცემდა. კოოპერაციებს შეეძლოთ ამ საბედისწერო სიშორის გარკვეულწილად დაძლევა, გაუგებრობის ყინულის ნაწილობრივ გაღოვება. ასე რომ, კოოპერატიული მოძრაობის დაფუძნებას რევოლუციური გაბაშვილი არა მხოლოდ ეკონომიკურ, არამედ ეროვნულ-პოლიტიკურ დატვირთვასაც აძლევდა. „ჩვენ გავყვეით ილიას „ვინრო“ კვალს ეკონომიკაში და ვახეირეთ მისგან ბოძებული ტალანტიო“ – იტყვის იგი მოგვიანებით, შორეული ემიგრაციის წლებში, ილიას ხსოვნისადმი პარიზის ქართულ სათვისტომოში გამართულ საღამოზე. XIX საუკუნის 80-იან წლებში ინგლისში დაარსებული კოოპერაცია იმდენად უცხო ხილი არ იყო იმდროინდელი ქართული საზოგადოებისათვის, როგორც ეს ერთი შეხედვით შეიძლება მოგვეჩვენოს. 1909 წელს თბილისში გამოიცა მოსკოვის უმაღლესი კომერციული სასწავლებლის კურსდამთავრებულის, კონსტანტინე კანდელაკის ნიგნი „კოოპერაცია. თეორია, ისტორია და პრაქტიკა“, რომელიც უკვე არსებული ინტერესის გამოძახილი იყო. ნიგნმა როგორც ამ თემისადმი მიძღვნილმა ქართულ ენაზე არსებულმა ერთადერთმა ნაშრომმა ცხოველი ინტერესი გამოიწვია. ავტორი, მაშინ სრულიად ახალგაზრდა, 26 წლის კონსტანტინე კანდელაკი, რომელიც გაბაშვილისეულ კოოპერაციულ ნამოწყებებშიც იღებდა მონაწილეობას, სულ მალე დამოუკიდებელი საქართველოს ფინანსთა მინისტრი ხდება. მოგონებებში რევოლუციური გაბაშვილი არც მის უწყებას

დაინდობს და ერთ-ერთ თავში „მოასწრეს, ვერ მოასწრეს“ მისებური სარკაზმით შენიშნავს: „ბანკებისა და ფინანსურ დაწესებულებათა ჩამორთმევა მოასწრეს – მაგრამ ბიუჯეტის შექმნა სახელმწიფოსთვის – ვერ მოასწრეს“-ო 1911 წელს ქუთაისში იასონ გაბილაიას სახსრებითა და მისივე რედაქტორობით გამოდის ჟურნალი „კოოპერაცია“, რომლის სარედაქციო წერილში ვკითხულობთ: „ამ უკანასკნელ ხანებში ჩვენში ნიადაგს პოულობენ და ვრცელდებიან კოოპერაციის სხვადასხვა ფორმები. ეს ასედაც უნდა მომხდარიყო, რადგანაც ჩვენი ხალხის სიღარიბემ უკიდურეს წერტილს მიაღწია და კოოპერაცია კი – შვილია გაჭირვება-სიღარიბისა“ რედაქციას მაშინვე განუზრახავს მკითხველთა გარკვეული წრისათვის (ძირითადად, ცნობილი ადამიანებისათვის) საგანგებო ანკეტების გაგზავნა, რაც კოოპერაციების შესახებ საზოგადოებაში არსებულ შეხედულებებს გამოამჟღავნებდა. მანამდე კი ჟურნალი თავის პოზიციას რუსული პროფესურისა (პ. მიგულინი, ვ. ლევიციკი, ა. კაუფმანი, ა. მილაშევსკი, ნ. კაბლუკოვი და სხვა.) და თვით ლევნიკოლოზის ძე ტოლსტოის მიერ კოოპერაციის შესახებ გამოთქმული მოსაზრებებით ამყარებს. საგულისხმოა ერთი ფაქტიც: კოოპერაციების წარმოშობისა და განვითარების ინგლისურ, გერმანულ თუ პოლონურ მოდელთა გვერდით ჟურნალი „კოოპერაცია“ წარმოგვიდგენს ქართულ სინამდვილეში, კერძოდ კი, XIX-XX საუკუნის მიჯნაზე, ლამის სპონტანურად თავჩენილ პირველ კოოპერატორებს. მაგ. თავად ნესტორ წერეთელს, რომელსაც ბევრ სხვა სასარგებლო ნამოწყებასთან ერთად, დაუარსებია „ქუთაისის გუბერნიის მეაბრეშუმეთა პირველი ამხანაგობა“. საერთოდაც, ამ უჩვეულოდ თავდადებული კაცის ცხოვრება, მისთვის დამახასიათებელი „საქმეზე გადაგება“ თავისთავად

საინტერესო მოვლენაა და ძლიერ ეწინააღმდეგება ქართული თავად-აზნაურობის ფუქსავატობასა და უსაქმურობაზე მაშინ მთარულ, ფეხმოკიდებულ მოსაზრებას. ამავე ჟურნალში გაეცნობით სახელდახელოდ შედგენილ „კოოპერატორის ათ მცნებას“. კოოპერატიული მოძრაობის საჭიროებაზე არაერთგზის მიუთითებდა ცნობილი ქართველი მრეწველი დავით სარაჯიშვილიც, რომელსაც ნოე ჟორდანიამ „პირველი ქართველი იდეური ქველმოქმედი და ევროპული ტიპის მრეწველი“ უწოდა. სხვათა შორის, სწორედ ნოე ჟორდანიას შესთავაზა დავით სარაჯიშვილმა იტალიაში გამგზავრება და იქ კოოპერაციული საქმის შესწავლა. საამისოდ, ცხადია, სათანადო სახსრებიც გამოუყო. მაგრამ ახალგაზრდა მარქსისტის გონება „სხვაგან ქროდა“. 1911 წელს, დავით სარაჯიშვილის გარდაცვალებასთან დაკავშირებით, ნოე ჟორდანიამ გამოსათხოვარ წერილში თითქოს მოინანია მიცემული პირობის აღუსრულებლობა და გაიხსენა ერთი ფრიად მნიშვნელოვანი საუბარი, რომელიც მას გარდაცვლილთან ჰქონია. დავით სარაჯიშვილს მაშინ უთქვამს: „მარქსისტებმა დაივიწყეთ თქვენი მოძღვრების დედააზრი. ეკონომია ხომ პოლიტიკის საძირკველია. თქვენ კი ლამის გადაყვეთ პოლიტიკას. ახლა დროა ეკონომიის ორგანიზაციასაც მიაქციოთ ყურადღება რევოლუციით ხალხი ვერ იცხოვრებს, ცხოვრებისათვის შრომაა საჭირო, შრომა კი არ ვიცით კულტურას მხოლოდ მუშაობა ქმნის“ 1912 წელს რევაზ გაბაშვილმა და მისმა თანამოაზრეებმა, „25-30 წლის ნარევოლუციონარმა ახალგაზრდებმა“ შალვა ამირეჯიბმა, დავით ვაჩნაძემ და შედარებით უფროსი თაობის წარმომადგენლებმა: ალექსანდრე ყიფშიძე-ფრონელმა, მიხეილ მაჩაბელმა, ვასილ ყიფიანმა (შემდეგ მათ შემოუერთდნენ იროდიონ სონლულაშვილი, ალექსანდრე სარა-

ჯიშვილი, გიორგი დაფქვიაშვილი, დავით ჯავახიშვილი, დავით კასრაძე და სხვა.) დააარსეს ჟურნალი „კლდე“, როგორც საკუთარი ეკონომიკური პროგრამის გავრცელების ქმედითი საშუალება, უპირველესი მიზნით: „პრაქტიკული მუშაობის დასაბუთება, ფართო საზოგადოებისათვის მისი გაცნობა და ამით ამ საზოგადოების მოზიდვა“. რედაქტორი ჟურნალისა რევაზ გაბაშვილი გახლდათ, რომელიც ხშირად „კოოპერატორის“ ფსევდონიმით აქვეყნებდა თავის მწვავე წერილებს, ხოლო დამფინანსებელი ჟურნალის ერთ-ერთი აქტიური თანამშრომელი დავით ვაჩნაძე-კახელი. განსხვავებით საბჭოთა მწერლობისაგან, რომელიც მტრულად ეკიდებოდა ეკონომიკური გაჯანსაღებისაკენ მიმართულ ყოველგვარ ინიციატივას (სწორედ ამ ანომალური დამოკიდებულების ანალიზს ეძღვნება როსტომ ჩხეიძის ახლახან გამოცემული წიგნი – გამოკვლევა „მსხვერპლი“) ათიანი წლების ქართულ მწერლობას ეიმედება ეკონომიკურ რეფორმათა სათავეში მდგომი ახალგაზრდები. ამას ადასტურებს ჟურნალში გამოქვეყნებული კოტე მაცაშვილის ლექსი – მიმართვა „ახალგაზრდობას“, რომელშიც სრულიად არაორაზროვნად „ლამაზი სიტყვების“ ნაცვლად „საქმისათვის სულის ჩადგმა“ აქცენტირებული. კოტე მაცაშვილის აზრით, ის, რასაც ამ ჟურნალის გარშემო თავმოყრილი თაობა განასახიერებს, იძლევა იმედს იმისა, რომ „არ გვიდევს წინ საფლავი. არც მომკვდარვართ აღარც გვძინავს“. იმისათვის, რათა უფრო თვალნათელი იყოს საუკუნის დასაწყისის ქართული მეურნეობის სავალალო მდგომარეობა, შექმნილი ნაწილობრივ ისტორიული ვითარების, ნაწილობრივ კი ქართველთა ცნობილი გულარხეინობის გამო, ეროვნული კაპიტალის უცხო კაპიტალისტის (უფრო, სომხის) ხელში რეალურად გადასვლის საფრთხე,

და ის აუცილებლობაც, რომელიც ჩვენში კოოპერაციების შექმნას გულისხმობდა, მოვიხმოთ დავით ვაჩნაძის მიერ ჟურნალ „კლდეში“ წარმოდგენილი მრავლისმთქმელი სტატისტიკა: მაგ. საპალნე ღვინო ღირდა 125 მანეთი, ჩარჩი-სირაჯი კი გლეხს 40 მანეთს სთავაზობდა. უარის შემდეგ, მეორე სირაჯი, რომელიც უკვე ინფორმირებული იყო პირველი შემოთავაზების შესახებ, 35 მანეთს იმეტებდა გლეხისთვის. მესამე სირაჯი კი სულაც 30 მანეთს. საბოლოოდ, გლეხის მიერ დიდი გარჯის შედეგად მონეული საქონელი მინიმალურ ფასად (30 მანეთად) იყიდებოდა. ქართლის მეხილეები 3-4 წლის მოსავალს წინასწარ ჰყიდნენ იმავე ჩარჩებზე, ბუნებრივია, მიზერულ ფასებში. მოხერხებული შუამავლები „პირობაში“ მხოლოდ მოსავლიან წელიწადს ანგარიშობდნენ. ასე რომ, ეს კაბალა არა 3-4, არამედ 6-7 წელიწადს გრძელდებოდა. ქართული მატყლი საზღვარგარეთ ფასობდა ფუთი 15-17 მანეთი, ყელშინაჭერილი მწყემსის მიერ კი 5-6 მანეთად იყიდებოდა. ჩარჩი ახერხებდა იმას, რომ ბარისაკენ დაძრულ მწყემსს გზაშივე ნისიებით, ძირითადად ხაფანგებივით გაბმულ დუქნებში საჭირო საქონლის აღებით, შინ მისვლამდე ეხარჯებოდა ჯერ კიდევ ცხვარზე ასხმული ძვირფასი ნედლეულის საფასური. მეაბრეშუმეობა, ეს უმნიშვნელოვანესი დარგი ქართული სოფლის მეურნეობისა, „იმისთანა ჩარჩობასაც კი უძლებდა“, როდესაც პარკის წონის დროს, მეორე სასწორის ჯამში, საწონის მაგივრად ჩარჩი თავის ფეხს ჩადგამდა და ამ ფეხს ფუთად თვლიდა! რაც შეეხება ქიზიყელ მეთამბაქოეს, მისი საქონლის გასაღებაც ასეთივე შეუწყნარებელ მდგომარეობაში იმყოფებოდა. მას ან ადგილზე ნაკლებ ფასად უნდა გაეყიდა იგი, ან არადა თბილისში ჩაეტანა და იქ თამბაქოს სანყობებში დაეგირავებინა: დანყობილი თამბაქო – 3-5 მანე-

თამდის. ამას ემატებოდა სანყობის ქირა, საშუამავლო-საკომისიო, მუშის და გამოტანილი ფულის სარგებელი 12%, საბოლოოდ კი 16%-მდე აღიოდა. „როდის გაიყიდებოდა თამბაქო ან რა ფასში, მხოლოდ სანყობის პატრონმა და მეფაბრიკემ იცოდნენ. თამბაქოს ნამდვილმა მომყვანმა და პატრონმა კი – არა“. ამგვარი „ეკონომიკური სამართლიანობის“ სულისჩამდგმელი ჩარჩ-მეყვანშენი არჩევნების დროს ქალაქის თვითმმართველობაში მათთვის სასურველი კანდიდატურის მოხვედრისათვის (რომელიც „დაიცავდა“ მათ უფლებებს) გამმაგებითაც იბრძოდნენ თურმე, რათა „სრულად დაეპყრათ ქართული ეკონომიკური ცხოვრების სადავენი“. ასეთ პირობებში, ბუნებრივია, ჟურნალ „კლდის“ გარშემო შემოკრებილთა პირველ ნაბიჯებს დიდი რეზონანსი უნდა ჰქონოდა და, როგორც ჩანს, ჰქონდა კიდევ: „გამდიდრდით, იმუშავეთ, შეიძინეთ!“ – მიმართავდნენ „კლდისტები“ „გლეხს, მუშას, თავად-აზნაურსა და ინტელიგენციას. და არა „გაპროლეტარდით!“, როგორც ამას სხვისი ქონების დარბევასა (გავიხსენოთ ლენინის ცნობილი ლოზუნგი „კპთქტ ნთგბთქოენრე!“) და საერთოდაც, აშენების წილ ნგრევაზე ორიენტირებული სოციალ-დემოკრატია ქადაგებდა: „ასეთი ლოზუნგი ელდა იყო როგორც სოციალისტებისათვის ისე „შეძლებულთათვის“, რადგან ვაჭრობა მთელ ქართველ ხალხს სირცხვილად მიაჩნდა, საძრახისად; შეძენის მაგიერ თავად-აზნაურობა მხოლოდ ჰყიდდა მიწებს უცხოელებზე და მუშაობას გაურბოდა; მთელი ინტელიგენცია ბოდავდა უსაქმო-სოციალიზმით და ნახევარინტელიგენციაც (ე.ი. „რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტია“) ქადაგებდა გაპროლეტარებას, შეძენილის ცარცვას, აშენებულის დანგრევას და შვრებოდნენ კიდევ“ – წერს რევაზ გაბაშვილი თავის მოგონებებში. იმი-

სათვის, რათა მეტი გამართლება ჰქონოდა ჩვენში კოოპერაციების შექმნას, რევაზ გაბაშვილი ამ მოძრაობას, ასე ვთქვათ, ეროვნულ ნიადაგს უძებნის: „ნადი, მამითადი და საერთოდ დახმარება და თანამშრომლობა ჭირსა თუ ლხინში, ქართველი ერის თითქოს ბუნებაშია ჩაქსოვილი“ – ასეთია მისეული არგუმენტაცია. შესაძლოა ამიტომაც, რევაზ გაბაშვილის დაკვირვებით „ილიას გახსნილ გზაზე კოოპერაცია-თანამშრომლობისა გლახმაც და საზოგადოებამაც იხუვლა და მედგრად ჩაება“ როჩდელელ კოოპერატორთა (1844 წლის ინგლისი) მიერ წამოწეული ლოზუნგი „ძალა ეკონომიკურ ერთობაშია!“ არანაკლებ აქტუალური იყო ჩვენი გაღარიბებული ქვეყნისათვისაც, ვინაიდან ერთობა ეკონომიკური საქმიანობის სფეროში ალტერნატივა იყო იმ „ერთობისა“ თუ „ერთობისტობისა“, რომელსაც გლახობაც და მთელი საზოგადოებაც სრულიად სხვა მიმართულებით მიჰყავდა 1913 წელს, როდესაც უკვე 10 სხვა და სხვა კოოპერაციული და ეკონომიკური საზოგადოება, 153 სასოფლო წვრილი კრედიტისა და შემნახველ-გამსესხებელი ამხანაგობა, მათი მუშაობის მარეგულირებელი სასოფლო სამეურნეო საზოგადოება და მიწის საადგილმამულო კომისია ფუნქციონირებდა და ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში, ამერ-იმერში, ახალ-ახალი ამხანაგობების, კოოპერაციების შემქმნელთა რიცხვი მატულობდა, ივანე გედევანიშვილმა გაზეთ „ცნობის ფურცელში“ ასე დაახასიათა ეკონომიკური აღორძინების ერთ-ერთი ყველაზე ინიციატივიანი ჯგუფი, „კლდეისტების“ სახით: „ამ ხალხს თავიანთის ოთახი არ აუშენებია და საქართველოს აშენებას ჩემულობენო“. მართლაც, ბევრისთვის გაუგებარი რჩებოდა ღწვისა და მსახურების ის ფორმა, რომელიც რევაზ გაბაშვილისთვის იყო მისაღები: „ხალხისათვის მილიონების გაცემა და არა შექე-

ნა“ პირველი „მწარმოებელთა კოოპერატივი“, რომლის ფიცრულ ფანჩატურს რევაზ გაბაშვილი და დავით ვაჩნაძე საკუთარი ხელებით აშენებდნენ და ლებავდნენ „ლილოს მერძევეთა კოოპერატივი“ იყო. პირველი ეტლი ამხანაგობა „ლილოს“ კოოპერატიული რძით თბილისში 1912 წლის 13 მაისს შემოდის, დღეში 7 ფუთით (სხვათა შორის, რძის დაკვეთა შეიძლებოდა თვით ჟურნალ „კლდის“ რედაქციაში: კთქთევეყმლ აეპ. 3). ამას მოჰყვა მევენახეთა საზოგადოება „კახეთი“, რომელიც 200 წევრისაგან (უმეტესობა, გლეხები) შედგებოდა. ბაქო, როსტოვი, მოსკოვი, პეტერბურგი, ტაშკენტი თუ აშხაბადი – აი, ამ ქალაქებში მოძრავი ქართული ღვინისათვის მაზანდის ანუ საბაზრო ფასის დაწესება რევაზ გაბაშვილსა და მის მეგობრებს უდიდეს ეკონომიკურ მიღწევად მიაჩნდათ. „მუქთახორა სირაჯები“ თუ ათასი ჯურის სხვა გადამყიდველები, ბუნებრივია, ეწინააღმდეგებოდნენ კოოპერატორთა ამ ჯანსაღ ფასწარმოქმნას. რაც შეეხება, მებაღეთა ამხანაგობა „ქართლს“, აქაც ბრძოლა მიმდინარეობდა საბაზრო ფასის დასაწესებლად. თავისი არსებობის პირველ წელიწადს „ქართლმა“ 800 ფუთი საქონელი გაყიდა, მეხუთე წელიწადს კი უკვე 200.000 ფუთი. „ქიზიყელ მეთამბაქოეთა“ კოოპერატივმა (ხელმძღვანელი კონსტანტინე ტყავაძე), იმდენად გამართულად წაიყვანა საქმე, რომ საკუთარი პაპიროსის ქარხნის დაარსებაც კი შეძლო (ნედლეულს მას არა მარტო არტვინის, არამედ სოხუმის ოლქიც აწვდიდა). თავიდან წარმატებული მეცხვართა კავშირი „მწყემსი“ (ხელმძღვანელი შალვა ქარუმიძე) დამოუკიდებლობის წლებში „ზედმეტად ფხიანი“ ხელმძღვანელის წყალობით პროფილს შეიცვლის, რითაც რევაზ გაბაშვილის დიდ გულისწყრომას გამოიწვევს. სამწუხაროდ, ამ „მზა-მზარეულ ეკონომიურ ორგანიზაციებს“ რე-



ვოლუციურ ფრაზეოლოგიას გადაყოლილმა მენშევიკებმა (დამოუკიდებლობის წლებში) და ბოლშევიკებმა (ძალაუფლების ხელში აღების შემდეგ) არა თუ ხელი შეუწყვეს, არამედ პირველებმა – „ხალხის ლეგალური ძარცვის“, ხოლო მეორეებმა – იმავე ხალხის სრული დაკაბალების მიზნით გამოიყენეს. ე.წ. „შემოქმედი კოოპერაციების“ შემდეგ „კლდეისტები“ ფინანსურ (ნანილობრივ კი, განმანაწილებელ) კოოპერაციათა საჭიროებაზე ალაპარაკდნენ. მათი აზრით (და ეს გასაკვირიც არ არის, ვინაიდან ჟურნალთან დაახლოებული მიხეილ მაჩაბელი, ივანე მაჩაბლის ნათესავი, ცნობილი „ბანკობის“ ერთ-ერთი აქტიური მონაწილე – „მაჩაბლისტი“ იყო) ქართულმა საადგილმამულო ბანკებმა თავისი აპოლიტიკურობით დიდი ზიანი მიაყენეს ამიტომ, მათ უნდა მოეხერხებინათ, თავისი დანაშაულის გამოსყიდვის მიზნით, „ქართველი ხალხის ფართო კრედიტით“ უზრუნველყოფა ანუ მყარი გარანტიების შექმნა „ახალი სამეურნეო ცოდნისა და მეთოდების გავრცელებისათვის, მიწის შექმნისა და მელიორაციულ საქმის მოწყობისათვის“. საკრედიტო კოოპერაცია, რომელიც ქართულ სოფლებში იკიდებდა ფეხს (1913 წელს 200-ზე მეტი სასოფლო ბანკი არსებობდა, აქედან პირველი საკრედიტო ამხანაგობა აღმოსავლეთ საქართველოში 1907 წელს დაარსებულა გორის მაზრის სოფელ დოესში) სწორედ ამ მიმართულებით გადადგმული ნაბიჯი იყო. სახალხო კრედიტის ანუ სესხის გარეშე შეუძლებელი იყო კოოპერაცივისათვის აუცილებელი ატრიბუტიკის შექმნა. თუმცა ბანკების ამგვარ სიმრავლეს გარკვეული საფრთხეც ახლდა. სახელმწიფო ბანკიდან ადვილად გამოტანილ სესხს დათქმულ ვადებში დაბრუნება სჭირდებოდა. ამიტომ კოოპერაციული მოძრაობის მხარ-

დასაჭერად უფრო ეფექტური იყო „შემნახველ-გამსესხებელ ამხანაგობათა“ ფორმის გამოყენება, ვინაიდან ამგვარი ამხანაგობები საკუთარი წევრების პაიებიდან შემდგარი თანხით ფუნქციონირებდნენ და რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, „აჩვენდნენ გლეხობას თავისი ოფლით ნაშოვნი ფულის პატრონობასა და გამოყენებას“. საერთოდაც, 200-წლიანი კოლონიალური რეჟიმისა და, თუ არ ჩავთვლით ერთეულ გამონაკლისებს, ქართული თავად-აზნაურობის ძირითადი მასის წინდაუხედავ ქმედებათა გამოდევორმირებული გლეხობის ფსიქოლოგიის შეცვლას, მასში საკუთარი მიწის მეპატრონისა და მომავალში კი, სრულუფლებიანი პარტნიორის ინსტინქტის გაღვივებას რევაზ გაბაშვილისა და „კლდეისტების“ ეკონომიკური აღორძინების მინიპროგრამაში, შეიძლება ითქვას, წამყვანი ადგილი ეჭირა (სხვა საკითხია, რომ ეს თავისთავად უაღრესად კეთილშობილური მცდელობა ბოლოს მაინც დაგვიანებული აღმოჩნდა). მათ მიერ დაუფარავად წამოყენებულ იქნა კიდევ „ეკონომიკური ძალის ეროვნულ ძალად“ გარდაქმნის აუცილებლობის იდეა, რომლის გაუთვალისწინებლობა „ეკონომიკური ცხოვრების სფეროში ქართველთა მუშაობის“ სერიოზულ ნაკლადაა მიჩნეული. „როდის ხდება ეკონომიური ძალა ეროვნულ ძალად? როდესაც ის, ეროვნულ ქონებრივ სიმდიდრის შექმნასთან ერთად სასტიკად იცავს სამშობლო მიწა-წყალს, ეროვნულ კულტურას, დედა ენას როცა იგი გამსჭვალულია ერთის მიზნით და გრძობით. წინააღმდეგ შემთხვევაში ხსენებული ძალა შესაძლოა მტრის იარაღად გახდეს და ვაი იმ ერს, რომელიც მაშინ ამ იარაღით დაიჭრება. ძნელად ლა აღდგება“ („კლდე“, 1913 წ. 3. „მწვავე საკითხი“). შალვა ამირეჯიბი საგანგებოდ იკვ-

ლევს საქართველოში არათანაბარ მატერიალურ პოზიცი-  
აში ჩაყენებული ორი ეკონომიკური ძალის (სომეხი ვაჭრისა  
და ქართველი ვაჭრის) ფსიქიკას და ძალზე საგულსხმო  
დაკვირვებით ქართველთა უპირატესობას, მათ მყარ პერს-  
პექტივას აღიარებს. სხვის ქვეყანას შემოხიზნული უცხო-  
ტომელი ვაჭარი მარტო პირად მოგებაზეა ორიენტირებუ-  
ლი. გასაგები მიზეზების გამო, იგი ვერც კოლონიისტი-  
სიამდე ადის და საკუთარი სიმდიდრის ბოლომდე ვერ გა-  
მომყენებელი წვრილი ვაჭრობის, მაკლერობისა და მევახ-  
შეობის დონეზე რჩება. ვინაიდან „ვაჭრობა მარტო კერძო  
საქმე არ არის. ვაჭარი თავის კერძო მოგების გარდა საზო-  
გადო ფუნქციასაც ეწევა, ამით კი ეროვნულსაც“, თავისი  
მინა-წყლის ბინადარ ქართველ ვაჭარს, რომელიც ასე თუ  
ისე დაახლოებულია საქვეყნო ინტერესებთან, მოგების  
გარდა საკუთარი კუთხის, თანამემამულეების, ქვეყნის  
ეკონომიკური გაძლიერების სურვილი ამოძრავებს. იგი  
არც პოლიტიკური ინდეფერენტიზმითაა შეპყრობილი და  
ამიტომაც მეტად აქტიური და ინიციატივიანია. შალვა ამი-  
რეჯიბი დასკვნის სახით წერს: „ჩვენთვის ვაჭრობა ცარი-  
ელი მოგება არ არის, მას აქვს და უნდა ჰქონდეს კიდევ  
ეროვნული ფუნქცია“. ასეთი მიდგომა კი „შემქმნელია მო-  
მავალში ჩვენი ეროვნულ-ეკონომიური ცხოვრებისა“ სო-  
ციალ-დემოკრატიები ნიშნისმოგებით უკიჟინებდნენ რევაზ  
გაბაშვილს: ამოდ განგიზრახავს შენც და შენს გვერდით  
მდგომთაც თავად-აზნაურობის გაცოცხლება. არაფერი გა-  
მოგივათ – ეს განწირული კლასიაო. კლასი, კლასობრივი  
ბრძოლა, კლასობრივი მტერი, კულაკი, კოლექტივი – სამ-  
წუხაროდ, სწორედ ამ გზით განვითარდა თავის დროზე  
მართებულად ფორმულირებული და ნაწილობრივ განხორ-

ციელებული ეკონომიკური აღორძინების იდეა. საზოგა-  
დოდ, რევაზ გაბაშვილისათვის აზრს მოკლებული იყო იმგ-  
ვარი ქართველი მოღვაწე, რომლისთვისაც ქართული ეკო-  
ნომიკა „შეჭამანდი იყო“, ხოლო „ქართული იდეალი ის კოვ-  
ზი, რომლითაც ამ შეჭამანდს გეახლებათ“. მან ბევრი სი-  
მართლე უთხრა თავის ერს და ვგონებთ, ახლა დგება ის  
დრო, როდესაც ეს სიმართლე მთელი სისრულით უნდა  
წარმოჩნდეს.

### დამონებანი

- შ. ამირეჯიბი, ემიგრაციაში დანერგილი ნარკვევები და  
წერილები, ორ ტომად, ტ, 2, თბ. 1998;
- რ. გაბაშვილი, რაც მახსოვს, მიუნხენი, 1959;
- გ. შარაძე, უცხოეთის ცის ქვეშ, ნ. 1, თბ. 1991.

სიუზენ ფ. ფეინერი

## ახალგაზრდა ჰომო ეკონომიკუსის პორტრეტი

სახელმძღვანელოებში იშვიათად ახსენებენ და ახასიათებენ რაციონალურ ეკონომიკურ ადამიანს. ის მალულად, თანდათან იჭრება ჩვენს ცნობიერებაში... რაციონალური თანამედროვე ადამიანის კონტურები ილანდება ყოფიერების ნათელ სივრცეში, რომელიც მიჯნავს წარმოების დაწყებასა და მზა პროდუქტს, სტიმულსა და რეაქციას. ასეთი პიროვნება არც მაღალია და არც დაბალი, არც ტანსრული და არც კაფანდარა, არც დაოჯახებული და არც მარტოხელა. არ ვიცით, უყვარს თუ არა თავისი ძალი, სცემს თუ არა ცოლს და ანიჭებს თუ არა საკანცელარიო ჭიკარტს უპირატესობას პოეზიის წინაშე. არ ვიცით, რისკენ მიიღტვის ის, მაგრამ ნამდვილად ვიცით, რომ – როგორც უნდა იყოს მისი მიზანი – რაციონალური თანამედროვე ადამიანი აუცილებლად მიაღწევს მას.

### შესავალი

ეჭვგარეშეა, რომ, ადამ სმიტიდან მოყოლებული, ასი წლის განმავლობაში ეკონომიკის *dramatis personae* იყვნენ ანგარებიანი და ეგოისტური ადამიანები, რომელთა ქცევასაც განსაზღვრავდა კონკურენციისა და სიამოვნებისკენ სწრაფვის ორმაგი ზეგავლენა. ერთი მხრივ, ითვლებოდა, რომ კარტეზიანულ გარემოში გამოზრდილი *Homo economicus* (ანუ რაციონალური ეკონომიკური პიროვნება) დიდხანს იკვებებოდა ეკონომიკური ატომიზმის დიეტის შე-

საბამისად და რომ მისთვის უცხო იყო თანაგანცდა. სხვა მკვლევრები ამ თვალსაზრისს „ცალმხრივს“ უწოდებდნენ და მიუთითებდნენ, რომ ნებისმიერ საზოგადოებაში საკუთარი ინტერესებისადმი უპირატესობის მინიჭება, ეგოიზმი ერთადერთი (ან ძირითადი) აფექტური მდგომარეობაა. საინტერესოა, რომ რაციონალური ეკონომიკური ადამიანის კრიტიკა მისი „სიხისტის“ გამო გავრცელებული იყო მეინსტრიმის ფარგლებშიც და მის გარეთაც. მაგრამ ეს ორივე დახასიათება არასრულია. ჰომო ეკონომიკუსის ცნების პოპულარობა როგორც პროფესიონალი ეკონომისტების მსოფლმხედველობაში, ასევე – სუპერთანამედროვე პოლიტიკის ერზაც-ეკონომიკაში ნათლად მეტყველებს, რომ ამ პერსონაჟს აქვს ისეთივე გრძნობები, სიღრმე და მგრძნობიარობა, როგორც ჩვეულებაა ძალზე ბევრი ადამიანისთვის. მართლაც, ჰომო ეკონომიკუსი ისეთი ზედაპირული და შეზღუდული რომ იყოს, როგორც ბევრს მიაჩნია, მაშინ ვერ განვმარტავდით იმ მგზნებარებას, რომლითაც იცავენ ხოლმე მას და მის მსოფლალქმას. ვფიქრობთ, თუ გვსურს ჰომო ეკონომიკუსის ადეკვატური დახასიათება, უნდა ჩავწვდეთ მისი არაცნობიერის ფარულ შინაარსს. ამჟამად თვით ეკონომიკური კორექტულობის დამცველებიც კი აღიარებენ, რომ: (ა) ეკონომიკის ორთოდოქსული დეფინიცია – „არასაკმარისი რესურსების განაწილება ადამიანთა უსაზღვრო მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად“ არასრულია; (ბ) ეკონომიკური აქტორების ნიშან-თვისებები (რომლებიც ძალზე იდეალურია იმისთვის, რომ შემთხვევითი იყოს) ემთხვევა მასკულინურობის შესახებ ტრადიციულ წარმოდგენებს, რამაც ძალზე ალაშფოთა ქალები და

ფერადკანინები. ამიტომ გასაკვირი არაა, რომ ეს კრიტიკული ანალიზის ცენტრალური საკითხია:

ეკონომიკაში პოზიტივიზმის ტრიუმფი უტილიტარულობის ტრიუმფიც გახლდათ. განმანათლებლობის მიერ შესწავლილ-განმარტებული და უტილიტარიანელების<sup>1</sup> მიერ გაანალიზებული ადამიანი სხვა არაფერი გახლდათ, თუ არა მარტოდენ სურვილების, ლტოლვების ინდივიდუალური ერთობლიობა. ის წარმოუდგებოდათ, უბრალოდ, როგორც რთული, განვითარებული ცხოველი, რომელიც მხოლოდ ამ ნიშნით (განვითარებულობით) განსხვავდებოდა ყველა დანარჩენისგან და მათზე არანაკლებ მგრძობიარე იყო ემპირიული კანონების მიმართ. არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, იყო თუ არა მისი ლტოლვები მეტაფიზიკური, რელიგიური, ეთიკური თუ, უბრალოდ, ეგოისტური ხასიათისა. შეიძლება უბრალოდ ითქვას, რომ მისი მიზანი იყო მხოლოდ თავისი ლტოლვებისა და მიზნების რეალიზება. ამ ლტოლვებისა და მიზნების ფასეულობის შესახებ მსჯელობა უაზროა, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც შესაძლებელია განისაზღვროს, უზრუნველყოფს თუ არა შერჩეული საშუალებები მიზნის მიღწევას და რამდენად ზემოქმედებს თითოეული ადამიანის ქცევა სხვების მისწრაფებებსა და მიზნებზე. თითოეული მათგანის რაციონალურად გათვლილი გრძელვადიანი ოპტიმუმი ხელს უწყობს სხვების გრძელვადიან ოპტიმუმს. გათვლა წარმოადგენს უტილიტარულობის მაქსიმიზაციას (Hollis and Nell 1975:48).

<sup>1</sup> მოძღვრება იმის შესახებ, რომ მოქმედება მართებულია იმდენად, რამდენადაც ხელს უწყობს ბედნიერებას და რომ ჩვენი ქცევა უნდა ექვემდებარებოდეს მაქსიმალური რაოდენობის ადამიანთა მაქსიმალური კეთილდღეობის პრინციპს. (მთარგმნ.)

მოკლედ რომ ვთქვათ, ჰომო ეკონომიკუსის ნარატივები მრავალგვარია. იმ ეკონომიკურ დამოკიდებულებათა გააზრების გარდა, რომლებსაც შეიძლება დავაკვირდეთ მაქსიმიზებული მოდელების საფუძველზე (და აქ ჰომო ეკონომიკუსი მთავარი მოქმედი პირია), ამ ნარატივებში თავს იჩენს ჰუმანისტური წარმოდგენა, რომლის მიხედვითაც ადამიანი (ცნობიერებისა და ცოდნის მქონე, უნიფიცირებული და რაციონალური სუბიექტი) თავის ბედ-იღბალს თვითონვე წარმართავს. როდესაც სტუდენტები, საზოგადოება ან პოლიტიკოსები ეცნობიან ეკონომიკას, ისინი ისე იქცევიან, როგორც ამ თვისებებით დაჯილდოებული სუბიექტები. ამგვარად, იმ ჩვევების ათვისება, რომლებიც აუცილებელია ძირითადი ეკონომიკური ცოდნის მწარმოებლის/მომხმარებლისთვის, უკავშირდება ემპათიური რეზონანსის წარმოშობას მკითხველსა და ეკონომიკურ ტექსტს შორის. და, ჩემი აზრით, გაგება-გააზრება იმისა, როგორ ზღუდავენ ამგვარი ტექსტები პიროვნების თვალსაზრისთა დიაპაზონს, გარკვეულ როლს ასრულებს სოციალიზაციის მძლავრი ძალებისადმი დაპირისპირების პროცესში. ამ პროცესის წვდომის პირველი მცდელობას წარმოადგენდა ჩემი ადრეული ესე „იდეალური ბაზარი“ (მაქს უ-ს<sup>1</sup> ცენტრალური მეტაფორა), რომელშიც გამოვავლინე კავშირი ბაზრებსა და დედისადმი მიმართულ ფანტაზიებს შორის (Feiner 1995). ამ პარალელს ბოლო ხანებამდე ვერ ამჩნევდნენ, მაგრამ ამჟამად, რომ იდეალური ბაზრებიცა და იდეალური დედებიც მყისვე აკმაყოფილებენ ჩვენს სურვილებს ყოველგვარი უკ-

<sup>1</sup> ჰომო ეკონომიკუსის მეტასახელი, რომელიც მომდინარეობს გამოთქმიდან **Maximize Utility** (გაზარდეთ უტილიტარულობა). (მთარგმნ.)

მაყოფილების ან მღელვარების გარეშე. ლაიონელ რობინსმა 1935 წელს თავის ცნობილ დეფინიციამ ალნიშნა, რომ ეკონომიკა არის „მეცნიერება, რომელიც განიხილავს ადამიანის ქცევას, როგორც მიმართებას მიზნებსა და არასაკმარის საშუალებებს შორის, რომლებიც ალტერნატიულად გამოიყენება (Robbins, 1952: 16). ეკონომიკის სახელმძღვანელოების ენაზე თარგმნისას ეს ნიშნავს, რომ „ეკონომიკა არის არასაკმარისი რესურსების განაწილება ადამიანთა უსაზღვრო მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად“. ყურადღება მიაქცევით, რომ გარესამყარო აღიქმება, როგორც არასაკმარისი, მაშინ, როდესაც „მეს“ მოთხოვნებსა და მოთხოვნილებებს „უსაზღვრობა“ მიენერება. ამგვარი შეხედულება „მესა“ და „სხვას“ შორის ნააგავს პატარა ბავშვის მიერ სამყაროს აღქმას.

წინამდებარე სტატიაში გამოვიკვლევთ საკითხს იმის შესახებ, ხასიათდება თუ არა ეკონომიკური დამოკიდებულებები (რომლებიც განიცდება და წარმოიადგინება როგორც ბაზრებისადმი ადამიანების დამოკიდებულებები) ისეთივე შიშითა და მღელვარებით, რომლებსაც განვიცდით გარესამყაროსთან ადრეული კონტაქტების დროს. მართლაც, ბაზრების პერიპეტიები და მათი ზემოქმედება ადამიანების ცხოვრებაზე, რომელთა საარსებო სახსრები ამ პერიპეტიებზეა დამოკიდებული, არ ნააგავს ჩვენი დედების ცხოვრებისეულ პერიპეტიებს. ვინაიდან ბაზრებისთვის დამახასიათებელია, ერთი მხრივ, პროდუქტების სიუხვე, ხელმისაწვდომობა და თანხმობა, მეორე მხრივ კი – შეკავება, დეფიციტი და აღკვეთა, შეიძლება გავიხსენოთ, რომ ჩვენ დამოკიდებულნი ვართ იმ ძალებზე, რომლებსაც ვერ ვაკონტროლებთ. პერსპექტივა იმისა, რომ ბაზრები

შეიძლება არ გვეყოს, ჩვენში აღვიძებს მიტოვებულ მდგომარეობაში აღმოჩენის შიშს. ვიმედოვნებ, წინამდებარე ესეში გამოვააშკარავებ, როგორ გვეხმარება ეკონომიკური მოთხოვნების (ან ფანტაზიების) პერსონაჟებთან იდენტიფიკაცია იმ მღელვარების დათლგუნვაში, რომელსაც ჩვენში იწვევს ჩვენი დამოკიდებულება ბაზრებისგან.

### Desidero ergo sum<sup>1</sup>

იმაში, რომ ეკონომიკური წონასწორობის<sup>2</sup> თეორია ესოდენ მდგრადია, გარკვეული როლი შეასრულა ფსიქოლოგიურმა მომენტმაც. ადამიანებისთვის დამახასიათებელია გადაულახავი ლტოლვა წონასწორობისადმი – კარგად მომუშავე მექანიზმის ჩუმი გუგუნისადმი; ურთიერთსაპირისპირო, ზუსტად დაბალანსებული ძალების მოჩვენებითი უძრაობისადმი; დარღვევა-დაზიანების შემდეგ თავდაპირველი მდგომარეობის თანდათანობითი აღდგენისადმი. ხომ არ შეიმჩნევა აქ ერთგვარი ფროიდისტული ელემენტი? ხომ არ უკავშირდება ის ქალის საშოში დაბრუნებისადმი სწრაფვას? საჭიროა ფსიქოლოგიური განმარტება, რათა ავხსნათ მძლავრი ზემოქმედება იდეისა, რომლის ინტელექტუალური ახსნა დამაკმაყოფილებელი არ არის. (Robinson 1962:77–78)

ჰომო ეკონომიკუსის იგნორირებული და უგულებელყოფილი ასპექტების შესწავლისას წარმოგვიდგება შინაგანი

<sup>1</sup> მსურს, ესე იგი, ვარსებობ (მთარგმნ.)

<sup>2</sup> თეორია, რომელიც განმარტავს კაპიტალისტური წარმოების ფუნქციონირების მექანიზმს. ის აერთიანებს მაქსიმალური უტილიტარულობის, მაქსიმალური მწარმოებლურობისა და მოთხოვნა-მიწოდების თეორიებს, რომელთა საფუძველზე აგებს წონასწორობის ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელების სისტემას (მთარგმნ.)



ცხოვრება, რომელიც მძიმე განცდებით, წინააღმდეგობებით და მძაფრი სურვილებითაა გაჯერებული. მისი ქცევა, რომელიც ემყარება ნარცისისტულ ეგოიზმს, კონკურენციასა და ცივ რაციონალობას, გარდუვალად მიგვიყვანს პროდუქციის ოპტიმიზაციის, ზრდისა და ეფექტიანობის ალტერნატიულ მიწასთან. შეიძლება ვაჩვენოთ, რომ ორთოდოქსული ეკონომიკური ნარატივები ასრულებენ მანუგეშებელ დედობრივ ფუნქციას, რადგან შეესაბამებიან რომანტიკულ მხატვრულ ფორმებს. ქვემოთ ვნახავთ, რომ ნეოკლასიკური თეორიის ის ელემენტები, რომელთა მეშვეობით შესაძლებელია ტექსტის რომანტიკული ორიენტაციის გამოვლენა, იმავდროულად, შეიცავენ ინფორმაციას მთავარი გმირის – ჰომო ეკონომიკუსის ემოციური (აფექტური, ფსიქოლოგიური) ორიენტაციის შესახებ. რომანების ზოგიერთი სტანდარტული ნიშან-თვისება ამგვარია: (ა) პროტაგონისტი მიემართება გარკვეული ობიექტის საძებრად ან რაიმე მისიით, რომელმაც უნდა იხსნას სახელმწიფო / ოჯახი / საზოგადოება (ხმლისა და გრაალის ვარიაციები ამ თემაზე კარგადაა ცნობილი, ისევე, როგორც სექსუალური ხატების შემცველი მხატვრული ენა); (ბ) პროტაგონისტი განიცდის ზენოლას და/ან იძულებას გარეშე (ეგზოგენური) ძალების მხრივ. ესენია: მშობლები, სამოქალაქო საზოგადოება ან სახელმწიფო; ან (გ) პროტაგონისტი მერყეობს სიკეთესა და ბოროტებას შორის და ეს ორი ძალა ერთმანეთს ებრძვის უპირატესობის მოსაპოვებლად. როგორც ვნახავთ, თითოეულ ამგვარ სიტუაციას თვალსაჩინო ადგილი უკავია მაქსუს სამყაროში.

ეს თემა დეტალურადაა განხილული სხვაგან, მაგრამ წინამდებარე სტატიაში გამოვყოფთ ორ მომენტს. ჯერ ერთი,

ჩვეულებრივ, დედა ან დედობრივი საწყისი ასოცირდება სითბოსთან, ზრუნვასთან და ახლო კავშირთან. ბაზრები სრულიად სხვაგვარია – ცივი და უპიროვნო. ბაზრებზე შესაძლებელია მხოლოდ ფულადი ურთიერთობები. ამგვარი ინვერსია (ან რეაქციის ფორმირება) დამცავი მექანიზმია, რომლის მეშვეობითაც ვიცნობიერებთ, რომ ჩვენ არ გვჭირდება ახლო კავშირი ან ემპათია გადარჩენისა და წარმატებისთვის. ამასთან, ეკონომიკური სამყარო რაციონალური ეკონომიკური ადამიანის თვალსაზრისით ხშირად წარმოგვიდგება, როგორც სილატაკე, დისკრიმინაცია, შიმშილი, ტყეების გაკაფვა თუ ურბანიზაცია, მაგრამ ყოველივე ამაში ჰომო ეკონომიკუსი ხედავს მხოლოდ საბაზრო ძალების მოქმედების გარდუვალ შედეგს. ეკონომიკური თეორიის მიხედვით, შეიძლება ვნანობდეთ და ვწუხდეთ არსებული მდგომარეობის გამო, მაგრამ მაკორექტირებელი მოქმედება შეუძლებელია, რადგან პირობების გაუმჯობესების ნებისმიერი მცდელობა მხოლოდ გააუარესებს სიტუაციას. ამის შედეგია უმწეობა: სამყარო სრულყოფილი არაა და ადამიანის ნებისმიერი მცდელობა, შეცვალოს სოციალურ-ეკონომიკური სიტუაცია მცდარ ქმედებად მიიჩნევა. მეორე მომენტი მოითხოვს ეკონომიკური ისტორიების ზოგიერთი ტექნიკური ასპექტის შესწავლას. იდეალური დედის შესახებ ფანტაზიების ძირითადი თავისებურება ისაა, რომ ისინი ასახავენ პატარა ბავშვების მოთხოვნილებებსა და სურვილებს. საყოველთაო ემპათიური სარკისებრი ასახვის კონცეფცია ხშირად გვხვდება ნეოკლასიკურ ეკონომიკაში. წრიული დინების მოდელი ამის შესანიშნავი მაგალითია. ილუსტრაცია 9.1 გვიჩვენებს, რომ ის, რაც სჭირდებათ საოჯახო მეურნეობებს, აქვთ ფირმებს; ის, რაც

აქვთ ფირმებს, სჭირდებათ საოჯახო მეურნეობებს. მათი შეუსაბამობების არარსებობა და შეუძლებლობაც კი გარანტირებულია ნაკადის ორმხრივობით. პირველი მხარე: საოჯახო მეურნეობების მფლობელობაშია ფაქტორებით მომსახურება (მინა, მუშახელი და კაპიტალი), რომელიც სჭირდება ფირმებს; ამის სანაცვლოდ საოჯახო მეურნეობები იღებენ შემოსავალს. მეორე მხარე: ფირმები ფლობენ წარმოებულ საქონელსა და მომსახურებას; საოჯახო მეურნეობები შეისყიდებიან მათ იმ შემოსავლის მეშვეობით, რომელსაც იღებენ ფაქტორებით მომსახურების სანაცვლოდ. მიაქციეთ ყურადღება იმას, თუ როგორ უზრუნველყოფს ყოველივე ეს „ურთიერთსაპირისპირო ძალთა ზუსტი ბალანსის მოჩვენებით უძრაობას“. ვინაიდან ბაზრის მარეგულირებელი ძალების თავისუფალი ფუნქციონირება წარმოქმნის დისკურსიულ სივრცეს, რომელშიც განსხვავებები ბათილდება, ამდენად, საოჯახო მეურნეობისა და ფირმის სრული სიმეტრიულობა აძლიერებს „კარგად მომუშავე მექანიზმის ჩუმ გუგუნს“. ის ახორციელებს სარგებლიანობის მაქსიმიზებას, შეზღუდვათა გათვალისწინებით. ფირმებიც იღებენ მაქსიმალურ მოგებას, შეზღუდვათა გათვალისწინებით. სარგებლიანობა და მოგება, უბრალოდ, ეკონომიკის მასალაა და, შედეგად, ფირმები, ანალიზური თვალსაზრისით, არაფრით განსხვავდებიან ინდივიდებისგან. კემბრიჯების ცნობილი ბრძოლა (მასაჩუსეტსი და ინგლისი) სარკისებრი ასახვის კიდეც ერთ შემთხვევას წარმოადგენს. ამ დებატების საგანი იყო პროდუქციის მაქს უ-სეული რეპრეზენტაციის ლოგიკური კოჰერენტულობა. მოკლედ რომ ვთქვათ, არსებობს მხოლოდ ერთი (ძალზე შემზღუდველი) პირობა, რომლის დროსაც ეკონომიკის მოდელები, მთლი-

ანობაში, მიზნად დაისახავენ წონასწორობის სიტუაციის მიღწევას ერთდროულად ყველა ბაზარზე. ამგვარ მდგომარეობაში არ არსებობს არავითარი იძულებითი უმუშევრობა (!), მომხმარებლები იღებენ ზუსტად იმას, რაც სურთ; ფირმები შეისყიდიან ყველა მასალას, რომლებიც აუცილებელია იმ პროდუქციის წარმოებისთვის, რაც მომხმარებლებს სურთ; საპროცენტო განაკვეთები ზუსტად იმ დონეზეა, რომ შესაძლებელი ხდება ყოველივე ამის განხორციელება; ფირმები იღებენ ნულოვან ეკონომიკურ მოგებას; და შემოსავლები ზუსტად იმ დონეზეა, რომ გარანტირებული იყოს მთელი წარმოებული საქონლის შესყიდვა. ამგვარი ოპტიმისტური ვითარების გარანტირებისთვის საჭიროა დაშვება, რომ არსებობს მხოლოდ ერთი სახის საქონელი: ფირმების მიერ წარმოებული პროდუქცია უნდა ემთხვეოდეს მასალას, რომელსაც ფირმები იყენებენ წარმოებისთვის. როდესაც მასალა და პროდუქცია ერთმანეთს ემთხვევა, მათ შორის განსხვავება ქრება. საგნებისა ან მიმართებების კომბინირება მათ საპირისპირო საგნებთან ან მიმართებებთან საყოველთაო, ყველგანმსუფვევი სარკისებრი ასახვის პრინციპით, წარმოქმნის მშვიდობიანი, განწონასწორებული სამყაროს ფანტასტიურ ხატს, ნარატივის თავდაცვითი ბუნება განგვიმარტავს მიზეზებს ინტენსიური მღელვარებისა, რომელსაც მაქს უ განიცდის. შემდგომი კვლევა ამ მღელვარების წყაროთა დადგენის საშუალებას მოგვცემს.

### **მაქს უ-ს შინაგანი ობიექტების სამყარო**

– მითხარით, დედალოს, კოცნით თუ არა დედას, სანამ დაიძინებდეთ?

სტივენმა მიუგო:

– დიახ, ვკოცნი.

უელსი დანარჩენებს მიუბრუნდა და უთხრა:

– აი, ეს ყმანვილი ამბობს, რომ ყოველ საღამოს კოცნის დედამისს, სანამ დაიძინებდეს. დანარჩენმა ბიჭებმა თამაში შეწყვიტეს და სიცილით შემობრუნდნენ. სტივენნი განითლდა და აღიარა:

– არა, არ ვკოცნი.

უელსმა თქვა:

– ხომ გესმით, ეს ბიჭი ამბობს, რომ არ კოცნის დედამისს ყოველ საღამოს, სანამ დაიძინებდეს.

ბიჭებმა კვლავ გაიცინეს, სტივენმა სცადა, მათთან ერთად გაეცინა. უხერხულობა იგრძნო და დასცხა კიდეც. რა უნდა ეპასუხა? სხვადასხვანაირად უპასუხა, უელსი კი ყოველ ჯერზე იცინოდა. მაგრამ უელსმა, ალბათ, იცის, რა პასუხი უნდა გაეცეს ამ კითხვაზე, რადგან ის მესამე კლასში სწავლობს. სტივენმა სცადა წარმოედგინა უელსის დედა, მაგრამ ვერ ბედავდა. უელსისთვის სახეში შეეხედა, უელსის სახე არ მოსწონდა. სწორედ უელსმა უბიძგა მას საპირფარეოში იმის გამო, რომ სტივენმა თავისი პატარა სათუთუნე არ გაუცვალა კამათელში, რომელიც ორმოცჯერ მოიგო. სტივენის მხრივ, ეს უსინდისობა იყო – ყველა ბიჭი ამას ამბობდა. როგორი ცივი და მღვრიე იყო წყალი! ერთმა ბიჭმა ერთხელ დაინახა, როგორ ჩახტა დიდი ვირთხა პირდაპირ შლამში.

ჩვენ ახლა ვუახლოვდებით იმას, თუ როგორ აღიქვამს მაქს უ. თავის თავს და თავის სამყაროს. რადგან მის მთელ ყოფიერებას, ყოველ შესაძლო აზრს, ქმედებას ან წინასწარ დაგეგმილ ქცევას აქვს გარკვეული მიმართება სამ საკითხთან: (ა) რა და რამდენი უნდა მოვიხმარო? (ბ) რამ-

დენი დრო უნდა დავუთმო ანაზღაურებად სამუშაოს? და (გ) შემოსავლის რა ნაწილი უნდა დავზოგო? ეს საკითხები ურთიერთდაკავშირებულია: თუ მაქსს არ სურს ბევრი საქონლის მოხმარება, მას შეუძლია ნაკლები იმუშაოს, რათა მიიღოს ის შემოსავალი, რომელიც აუცილებელია სასურველი საქონლის შესაძენად. თუ მაქსი მაინც მუშაობს, მას შეუძლია – მოხმარების შეზღუდვის წყალობით – დაზოგოს სახსრები და ამის მეშვეობით სამომავლოდ უზრუნველყოს მოხმარების მაღალი დონე (როდესაც ის ამჯობინებს, არ იმუშაოს). ხოლო თუ მაქსი ფლობს წარმოების საშუალებებს, და, აგრეთვე, სამუშაო ძალას, მას შეუძლია აიღოს იჯარა ან სესხი და ამის წყალობით უზრუნველყოს თავისი თავისთვის შემოსავალი, რომელიც დამოკიდებული არაა ხელფასზე. ამგვარად, მაქსის პრობლემა ამგვარია: რა არჩევანი უნდა გააკეთოს მან იმისთვის, რომ უზრუნველყოს დაკმაყოფილების მაქსიმალურად შესაძლებელი დონე ახლა და სამომავლოდ? ამ საკითხთა გასაშუქებლად შესაძლებელია ფსიქონალიზის ობიექტურ მიმართებათა სკოლის მონაცემების გამოყენება. პრაქტიკულად, ამ სკოლის ყველა ავტორისთვის ამოსავალი პუნქტია თვალსაზრისი იმის შესახებ, რომ პატარა ბავშვების სრული დამოკიდებულება მშობლებისგან (ჩვეულებრივ, დედისგან) წარმოქმნის ნათესაობის შიდა ველს, რომელიც ვითარდება ბავშვსა და სიმბოლურ „სხვებთან“ ურთიერთქმედების რთული პროცესების მეშვეობით. ამ პროცესების ერთ-ერთი შედეგი ისაა, რომ „ადამიანები რეაგირებენ და ურთიერთქმედებენ არა მარტო რეალურ სხვასთან, არამედ – შინაგან სხვასთანაც – ფსიქიკურ წარმოდგენასთან პიროვნების (ან რამდენიმე პიროვნების) შესახებ, რომელსაც თავისთავად

აქვს უნარი, ზემოქმედება მოახდინოს როგორც ინდივიდის აფექტურ მდგომარეობებზე, ისე – მის გარეგნულ ქცევაზე“ (Greenberg and Mitchell 1993:10). ადვილად შესამჩნევია ამ ფსიქიკური წარმოდგენების კვალი ადამიანის აფექტურ მდგომარეობებსა და ქცევაში. თვალსაზრისი, რომ ადამიანის განვითარება ფუნდამენტურად რელაციურია, ემყარება წარმოდგენას იმის შესახებ, რომ, პატარა ბავშვების აზრით, დედის სხეული შეიცავს ჯადოსნური ნივთიერებებსა და ობიექტებს. ამ ფანტაზიებიდან გადასვლა ფანტაზიებზე ზეცაში არსებული უზარმაზარი სუპერმარკეტის შესახებ წარმოსახვის არც ისე მნიშვნელოვან დაძაბვას საჭიროებს: იმას, რასაც წარმოსახავენ ბავშვები დედის სხეულში, მაქს უ. წარმოსახავს ბაზრების შიდა სივრცეში. პატარა ბავშვები ეძებენ ამ ობიექტებს დედებში; მაქსი ეძებს ამ ობიექტებს ბაზარში. ბავშვისა და მოზრდილის ურთიერთქმედების პროცესში პატარები ახდენენ იმ ობიექტების ინტროექციას, რომლებიც ასახავენ დედისადმი დამოკიდებულებას და მის აღქმას. ამ აღქმას აქვს როგორც დადებითი, ისე უარყოფითი ასპექტები, რის შედეგადაც ბავშვების მიერ საკუთარი თავის აღქმაც გაორებულია:

ბავშვს არ ძალუძს ცხოვრება მშობლების გარეშე. ცხოვრება სამყაროში, სადაც მშობლები (რომლებიც წარმოადგენენ მთელ პიროვნებათმორის სამყაროს), მიუწვდომლები არიან ან მხოლოდ დროდადრო გამოჩნდებიან ხოლმე, მათთვის წარმოუდგენლად მძიმეა. ამიტომ... ხდება ინტერნალიზაციათა, რეპრესიათა და განხეთქილებათა პირველი სერია, რომელიც ემყარება იმის აუცილებლობა, რომ შენარჩუნებულ იქნას ილუზია მშობლების, როგორც რეალური ფიგურების სიკეთის შესახებ. ბავშვი გამოყოფს

და ითვისებს მშობლების უარყოფით თვისებებს – ისინი კი არ არიან ცუდნი, არამედ – თვითონაა ცუდი. „სიცუდე“ თვით მასშია; ის რომ სხვაგვარი ყოფილიყო, მშობლებს ეყვარებოდათ... ის თავის თავზე იღებს „ცუდობის“ ტვირთს. „ცუდობა“ ანუ მშობლების უარყოფითი თვისებები, ესე იგი, დეპრესია, დეზორგანიზაცია, სადიზმი ახლა მასშია, ეს „ცუდი“ ფუნქციები იქცევა ცუდ ობიექტებად, რომლებთანაც ხდება ეგოს იდენტიფიცირება. ბავშვი მოიპოვებს გარეგნულ უსაფრთხოებას იმის ხარჯზე, რომ ჰკარგავს შინაგან უსაფრთხოებას და ილუზორულ იმედს. როდესაც ბავშვი აღიქვამს „ცუდობას“ როგორც გარეგნულ მოცემულობას, როგორც რეალური მშობლების თვისებას, ის მტკივნეულად განიცდის თავის უუნარობას, რაიმე ზემოქმედება მოახდინოს მათზე. როდესაც „ცუდობა“ თვით მასშია, ის ინარჩუნებს ამ თვისების აღმოფხვრის იმედს“ (Greenberg and Mitchell 1993:170-171).

ანალიზი იმისა, თუ როგორ ხდება არჩევანი მაქს უ.-ს ცხოვრებაში, გამოავლენს ასეთსავე გაორებას და, ასევე განვითარების პრობლემათა სხვა ნიშან-თვისებებს. ობიექტურ მიმართებათა სკოლის<sup>1</sup> თეორეტიკოსები ამტკიცებენ, რომ როდესაც ხდება ინფანტილური დამოკიდებული მდგომარეობიდან ზრდასრული ადამიანის დამოუკიდებელ მდგომარეობაზე გადასვლის ბლოკირებისას ამ უკანასკნელის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს გამოვლინებას წარ-

<sup>1</sup> ფსიქოანალიზის ერთ-ერთი სკოლა, რომლის კონცეფციის თანახმად, ფსიქიკა შედგება „შინაგანი ობიექტებისგან“, რომლებიც არიან ინტერნალიზებული გარეშე ობიექტები – ადამიანები და მათი ფუნქციონირების ელემენტები. ამ კონცეფციაში ფსიქიკური ფუნქციები განიმარტება შინაგანი ობიექტების ურთიერთმიმართების თვალსაზრისით (მთარგმნ.)

მოადგენს სიყვარული ბავშვური ობიექტებისადმი და მოზრდილებისადმი, რომლებსაც ბავშვები ამგვარ ობიექტებს უკავშირებენ:

არავის ძალუძს აბსოლუტურად უგულვებელყოს ამგვარი ობიექტები, რადგან ჩვენში ყოველთვის ცოცხლობს ჩვენივე ყველაზე ადრეული განცდების ნაკვალევები. ამგვარად, ინფანტილური დამოკიდებული მდგომარეობიდან ზრდასრული ადამიანის მდგომარეობაზე გადასვლის მუდმივ, უსასრულო პროცესში ძირითადი კონფლიქტის წყაროა, ერთი მხრივ, სწრაფვა ზრდასრული ადამიანის დამოუკიდებელი მდგომარეობისკენ, მეორე მხრივ კი, ინფანტილური დამოკიდებულებებისა და არადიფერენცირებულ (როგორც შიდა, ისე გარეშე) ობიექტებთან კავშირების შენარჩუნების რეგრესიული სურვილი, ნებისმიერი კონტაქტების დაკარგვის შიშის გამო (იქვე, 162).

ჰომო ეკონომიკუსის შესახებ შეთხზულ დიდაქტიკურ ისტორიებში მრავლად ნახავთ „რეგრესიული უგულვებელყოფის“ მაგალითებს. მისი სამყარო ასახავს „უძველეს შინაგან კავშირებს ბავშვობისდროინდელ სიმბოლურ „სხვებთან“. მწუხარება, ტანჯვა და მარცხი სხვა არაფერია, თუ არა ამ კავშირების განახლებისა და მათი ერთგულების ფორმები“ (იქვე, 174). ეს უკანასკნელი შეიძლება უცნაურად მოგეჩვენოთ: როგორ შეიძლება, რომ „უტილიტარობის“ უსასრულო მაქსიმიზაციამ განაპირობოს მწუხარება, ტანჯვა და მარცხი? მაგრამ თვით არჩევანი, რომელსაც მაქს უ. აკეთებს, წარმოადგენს სამყაროს ინფანტილურ დანაწევრებას კარგ და ცუდ ობიექტებად; უსასრულო სწრაფვას მიუღწეველი მიზნისკენ; და მოზრდილთა სამყაროს გარდაუვალ დისციპლინას. ამგვარად, რაციონალური ეკონომიკური ადამიანის

არჩევანი იქცევა სოფის არჩევანად<sup>1</sup>: შეუძლებელია, მაგრამ უნდა განხორციელდეს; და ერთხელ გაკეთებული არჩევანის შემდეგ ამომრჩევლებს ანამებთ შეგნება იმისა, რომ მათ ფარ-ხმალი დაყარეს; მოვალეობაზე ერთხელ უარის თქმის შემდეგ ისინი იძულებულნი არიან, კვლავ და კვლავ უარი თქვან მასზე. როგორც ზემოთ ვთქვი, სამი კითხვა (როგორ და რა მოვიხმარო? რამდენი ვიმუშაო? რამდენი დავზოგო?) შეადგენს იმ ვარიანტების ერთობლიობას, რომელთა წინაშეც დგას ჩვენი მეგობარი მაქსი. ჰომო ეკონომიკუსის ეს არჩევანი ერთდროული იქნება. ერთი მხრივ, ის ირჩევს, როგორ დახარჯოს თავისი (შეზღუდული) შემოსავალი საქონლისა და მომსახურების შესაძენად, რომლებიც მის (მაქსის) უტილიტარულობის მაქსიმიზაციისკენაა მიმართული (მაქსის ეგზოგენურად განსაზღვრული გემოვნებისა და მისწრაფებების, ასევე – მისივე ეგზოგენურად განსაზღვრული ნიჭიერებისა და უნარიანობის გათვალისწინებით). მეორე მხრივ, მან უნდა გააკეთოს გარკვეული არჩევანი მიწოდების მხრივ. ის, თუ რამდენი დრო არის დახარჯული მუშაობაზე და მიმდინარე ხარჯების რა ნაწილია განკუთვნილი დანაზოგებისთვის (და, მაშასადამე, არა ხარჯებისთვის), განსაზღვრავს, რა ოდენობის შემოსავალი (მიმდინარე პერიოდში) არის განკუთვნილი საქონლისა და მომსახურებისთვის. ახლა შევჩერდები მაქს უ.-ს თვალსაზრისზე თითოეული ამ ვარიანტის შესახებ, დანყებული „მოხმარებით“ და დასრულებული სამუშაოსა და დაზოგვის „მიწოდების“ არჩევანით. მოხმარების ცნებას მაქსისთვის გარკვეული თავისებურებები აქვს. ჯერ ერთი, მოხმარე-

<sup>1</sup> ალან ჯ. პაკულას მიერ უ. სტაირონის რომანის მიხედვით გადაღებული ფილმი (1982) (მთარგმნ. შენიშვნა)



ბა შეიცავს ყველა სხვა ვარიანტს (მუშაობა თუ თამაში, დაზოგვა თუ ხარჯვა), ვინაიდან მაქსი მუშაობს ან ფულს ზოგავს მხოლოდ დიდი შემოსავლის მიღების მიზნით, რაც, თავის მხრივ, მას მეტი მოხმარების საშუალებას მისცემს. მაგრამ, ზოგადად, რას ნიშნავს მოხმარება მაქს უ.-სთვის? მოხმარება გარესამყაროს ყველა არსების ხვედრია. ყოველგვარი საქონელი და მომსახურება ამთავრებს თავის დამოუკიდებელ არსებობას, როდესაც მაქსი მათ მოიხმარს და ისინი მაქს უ.-ის ნაწილად იქცევიან. ქრება მიჯნები გარეგანსა და შინაგანს შორის. იმის მოხმარების წყალობით, რაც არ წარმოადგენს ჰომო ეკონომიკუსს, მაქს უ. ქმნის სამყაროს, როგორც თავისი თავის ნაწილს. მაგრამ სურვილთა უსაზღვროების პრინციპის თანახმად, იმისდა მიუხედავად, თუ რისი ან რამდენის მოხმარება ხდება, ყოველთვის არსებობს ხვალისდელი დღე, რომელშიც მეტი – უკეთესია. მოხმარების ეს პერსპექტივა იმეორებს დამოკიდებულებას მიმზიდველი, ამაღელვებელი ობიექტებისადმი, რომლებიც გამუდმებით აღგვითქვამენ დაკმაყოფილებას და ასრულებას, მაგრამ არასოდეს ასრულებენ დანაპირებს. მაქსის სახელი მისი სურვილის წარმოდგენისთვის ჩვენთვის ძალზე მრავლისმეტყველია: ის, რაც სასურველია, ანუ საქონლისა და მომსახურების სხვადასხვაგვარი კომბინაციები, რომლებიც აკმაყოფილებენ მაქსს, ცნობილია „განურჩევლი“ მრუდების სახელწოდებით. დააკვირდით ამ ამბივალენტურ ფრაზას : „მსურს, მაგრამ განურჩეველი ვარ“. 9.2 ნახაზი ააშკარავებს, რომ სურვილის გამოსხივება ხდება უსასრულო სამყაროს მეშვეობით, რომელშიც მაქსი ცნობს მიმართებათა მხოლოდ ორ ტიპს. ვინაიდან საქონლის ზოგიერთი კომბინაცია ერთნაირ ფსიქიკურ კმაყოფილებას

გვანიჭებს, ეს საქონელი განურჩეველია საქონლის ყველა სხვა კომბინაციის მიმართ (თითოეული ზემონარმოდგენილი მრუდის გასწვრივ). მაგრამ ვინაიდან მაქსს სიამოვნებას ანიჭებს რაოდენობის ცვლილებები, არსებობს საქონლის იმგვარი კომბინაციები, რომლებსაც უპირატესობა ენიჭება (გადაადგილება ნახაზზე ჩრდილო-აღმოსავლეთით). მაქსს შეუძლია დაიკავოს მხოლოდ ერთ-ერთი ამგვარი პოზიცია საქონლის ყოველი უნიკალური კომბინაციის მიმართ, რომელიც პოტენციურად ხელმისაწვდომია კოსმოსში. ამგვარად, მაქსი განძარცულია. ერთი მხრივ, ის „განურჩეველს“ უწოდებს კომბინაციებს, რომელთაც ესწრაფვის; მაგრამ იმავდროულად ამტკიცებს, რომ მეტი უკეთესია, ვიდრე – ნაკლები. შედეგად, ბაზარზე არსებული საქონლის (მისი დედობრივი „მინოდების“) არავითარი რაოდენობა არ შეიძლება იყოს საკმარისი. შინაგანი სიცარიელის შევსება შეუძლებელია და ამიტომ მაქსი იძულებულია, გაიმეოროს სამყაროს შთანთქმის მცდელობა. აღსანიშნავია, რომ სამყაროს შთანთქმის ამ მცდელობას შეიძლება ხელი შეუშალოს მხოლოდ მაქსის შეზღუდულმა შემოსავლებმა. მაქსს სურს, ჰყავდეს ჩვიდმეტი „ბენტლი“; ჰქონდეს სახლები ჰემპტონსში, სან-ფრანცისკოსა და პარიზში; სამარკო შამპანური და, რა თქმა უნდა, კბილის პასტა, წინდები და უამრავი საცვალი. ის დონალდ ტრამპიც რომ იყოს, ვერ მოიპოვებს ყველაფერს, რასაც ესწრაფვის, რადგან ყოველგვარი საქონელი ფასიანია, მისი შემოსავალი კი უსაზღვრო როდი გახლავთ. აქ აუცილებელია, მივმართოთ ალგებრულ გამოსახულებას. თუ თითოეული სასურველი საქონლის ფასს (P) გავამრავლებთ სასურველი საქონლის ერთეულთა რაოდენობაზე (Q), მაშინ პროდუქტი (PQ) იქნება ის რაოდენობა,

რომელიც დაიხარჯა ამ საქონლისთვის. პროდუქტი (PQ) თითოეული სასურველი საქონლისთვის იქნება  $PaQa + PbQb + PcQc + \dots PnQn$ . ყველა PQ-ს ჯამმა არ უნდა გადააჭარბოს საერთო შემოსავალს (Y). მარტივი შემთხვევა ორი დადებითი არგუმენტით შეიძლება გამოვსახოთ, როგორც  $PaQa + PbQb = Y$ .

გამოსახულება ( $PaQa + PbQb = Y$ ) წრფივია, და მისი ამოხსნა საშუალებას გვაძლევს, გავავლოთ ბიუჯეტის ხაზი. თუ მაქსი ხარჯავს მთელ თავის შემოსავალს a საქონელზე, მაშინ მას არ შეუძლია იყიდოს არავითარი b საქონელი. ალგებრული ტერმინებით, თუ  $PaQa = Y$ , მაშინ  $Qb=0$ . ამგვარად, Qa-ს უდიდესი რაოდენობა, რომლის ყიდვაც მაქსს შეუძლია (ფასებისა და მისი შემოსავლის გათვალისწინებით, რომელთაგან თითოეული წარმოადგენს მონაცემებს გარესამყაროდან), შეიძლება ჩავწეროთ, როგორც: მაქსიმუმ  $Qa=Y/Pa$ . ზუსტად ასევე, თუ მაქსი ხარჯავს მთელ თავის შემოსავალს b საქონლის შესაძენად, მაშინ ის ვერ შეიძენს a საქონელს. ამგვარად,  $Qb$  – ს უდიდესი რაოდენობა, რომლის ყიდვაც მაქსს შეუძლია (ფასებისა და მისი შემოსავლის გათვალისწინებით, რომელთაგან თითოეული წარმოადგენს მონაცემებს გარესამყაროდან) შეიძლება ჩავწეროთ, როგორც: მაქსიმუმ  $Qb=Y/Pb$ . ორი წერტილი (მაქსიმუმ  $Qa=Y$  და მაქსიმუმ  $Qb=Y/Pb$ ) წარმოადგენს წყვეტას (დაბრკოლებას?) სწორი ხაზისა, რომელიც განისაზღვრება დიდი და (მაქსის მიმართ) გარეშე ძალებით. ამგვარად, მაქსი, ისევე, როგორც მრავალი რომანტიკული გმირი, დისციპლინირებულია საზოგადოების მიერ. თუ მაქსს ყოველთვის არ ძალუძს სასურველი საქონლის შეძენა, ეს იმიტომ ხდება, რომ მას ხელს უშლის მშობლების ძალაუფლება. ეს სტი-

ლიზებული ფაქტი აიძულებს მაქსს დაასკვნას, რომ ცხოვრების ყოველი ასპექტი შეიძლება წარმოდგენილ იქნას, როგორც შეზღუდული მაქსიმიზაციის პრობლემა. ესენია: ქორწინება, შვილიერება, სწავლა კოლეჯში, ნარკოტიკების მოხმარება, ბინა, შინაური ცხოველები, ექნება თუ არა მას ვახშამი სამშაბათს, საჭირო არის თუ არა ალტრუისტული ქცევა, როგორ უნდა იქნას ორგანიზებული ფინანსური პორტფელი და ა.შ. გრაფიკულად ის იმოდრავებს ბიუჯეტის შეზღუდვისკენ, სანამ მიაღწევს განურჩევლობის მაქსიმალურად შესაძლებელ მრუდს. გარკვეულ წერტილში ბიუჯეტის შეზღუდვები და უსაფრთხოების მრუდი წარმოადგენს მომიჯნავე ველებს, გაფიცვას, მკვლელობებს, ძალმომრეობას და ბირთვულ ომს. ბუნებრივია, რომ არჩევანი, რომელიც ეხება მუშაობასა და დაზოგვას, ამ ფორმას. ახლა შეგვიძლია გამოვავლინოთ მაქსის თვალსაზრისი იმ საკითხის მიმართ, თუ რამდენი დრო უნდა დაეთმოს, შესაბამისად, მუშაობასა და დასვენებას. გასაოცარია თვით დანაწევრება „კარგი/ცუდი“, რაც ნიშანდობლივია ამგვარი ალქმისთვის. ერთი მხრივ, დასვენების, მხიარულებისა და თამაშის სამყარო მიეწერება ბავშვს, რომელიც სიამოვნებას იღებს სასიამოვნო საქმიანობისგან. მასთან მკვეთრ კონტრასტს წარმოქმნის შრომა, მუშაობა, რომელიც მაქსს უსთვის იძულებითი უსიამოვნო საქმიანობაა (თუკი მას არა აქვს საკმარისი არაშრომითი შემოსავალი, რათა შრომას თავი აარიდოს). ვინაიდან შრომა წარმოადგენს შემოსავლის მიღების ერთ-ერთ (ორიდან) საშუალებას, მაქსმა უარი უნდა თქვას ბავშვობის უშუალო სიამოვნებებზე და შეეგუოს მოზრდილთა სამყაროს, სადაც სიამოვნება თვით საქმიანობიდან კი არ გამომდინარეობს, არამედ დამოკი-

დებულია სხვა სფეროებში მიღწეული დაკმაყოფილებაზე (სუბლიმაცია). ის იმისთვის არ მუშაობს, რომ შრომას მისთვის თავისთავადი შინაგანი ღირებულება აქვს და სიამოვნებას ანიჭებს (ასეთ შემთხვევაში ის ნაკლებ ხელფასს დასჯერდებოდა, ხელფასის განსხვავებათა კომპენსაციის თეორიის შესაბამისად); ამის ნაცვლად ის მუშაობს, რათა მიიღოს შემოსავალი, რომელიც აუცილებელია საქონლისა და მომსახურების ბაზარზე მისი სურვილების დასაკმაყოფილებლად. სამუშაო და, მათთანადავს, ხელფასი, მაქსიმალური სიმბოლური დედის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის ერთ-ერთი საშუალებაა: შემოსავლის გარეშე მისთვის მიუწვდომელი იქნება ეს მაგიური ნივთიერებები დედის სხეულის შიგნით.

თუკი „სხვა“ ხელმისაწვდომია სიამოვნების მომნიჭებელი ურთიერთობისთვის, მაშინ ბავშვი ერთვება ამ ურთიერთობაში. თუ მშობელი მას ავადმყოფურ, უსიამოვნო კონტაქტებს სთავაზობს, ბავშვი არ უგულვებელყოფს მშობელს და არ ეძებს უფრო სასიამოვნო შესაძლებლობებს. ბავშვს სჭირდება მშობელი, ამიტომ ის მიმართავს მშობელთან თავისი ურთიერთობის ინტეგრირებას საზარელ, მაზოხისტურ საფუძველზე – ცდილობს დაიცვას ის, რაც სასიამოვნოა და აღმოფხვრას ის, რაც მშობელთან ურთიერთობისას სასიამოვნო არაა. ამისთვის ის წარმოქმნის *შინაგან კომპენსაციურ ობიექტურ მიმართებებს*. სწორედ ლიბიდური ეგოს „ჯიუტი ერთგულება“ სიყვარულის ობიექტისადმი უწყობს ხელს იმას, რომ ბავშვი ინარჩუნებს მშობელთან უფრო სრული, უფრო სასიამოვნო კონტაქტის იმედს. რაც უფრო ნაკლებად სასიამოვნოა რეალური ურთიერთობა, მით უფრო დიდია ბავშვის მშობლების მრავლისაღმტყმელ,

მაგრამ უსიამოვნო ნიშან-თვისებებისადმი, რომლებსაც ის ითვისებს და შინაგანად ეძებს (Greenberg and Mitchell 1993:173).

მაქსს ჰყავს ბევრი ძმა, ბიძაშვილ-მამიდაშვილები და ბიძები. ისინი ბევრნილად ისეთივენი არიან, როგორც მაქსია. ფაქტობრივად, განსხვავების დადგენის ერთადერთი ხერხია მათი გემოვნებები და პრიორიტეტები, დროისა და ფულისადმი მათი დამოკიდებულებების ჩათვლით. მაქსის ზოგიერთი ნათესავი ჭიანჭველასავით იქცევა, სხვები კი ჭრიჭინებს ჰგვანან. ჭიანჭველებმა ყოველთვის იციან, რომ მალე ზამთარი დადგება და რომ მთელი ენერჯია უნდა დაუთმონ მოსალოდნელი ცივი, უმზეო თვეებისთვის საჭირო მარაგის შეგროვებასა და დაცვას (მინისქვეშ შენახვას), მაგრამ ჭრიჭინებს ეს არ ესმით. ისინი ცხოვრობენ ანმყოთი და ანმყოში, რათა დატკბნენ ზაფხულის ხანგრძლივი საღამოებით, იმღერონ და იცეკვონ. ჭიანჭველების სამომავლო ორიენტაცია მკვეთრად უპირისპირდება ჭრიჭინების საამყამო ორიენტაციას და, შედეგად, ჭიანჭველები საგანგებო როლს ასრულებენ სამყაროში. მათ მიერ მიმდინარე სიამოვნებების (მათ შორის – ფიზიკური სიამოვნებების) უგულვებელყოფა ჩვენ უფრო უზრუნველყოფილთ გვხვდის, რადგან მათი თავშეკავება – დაგროვებისა და განვითარების მამოძრავებელი ძალაა. სხეულის რომელი ნაწილი ანიჭებს ამგვარ ხედვას ფასეულობას? ფსიქონალიზის თეორიის შექმნისთანავე ფულის ეკონომია და დაგროვება ასოცირდებოდა ანალურობასთან. ანალურობის მნიშვნელობა სხვადასხვაგვარია სხვადასხვა ფსიქოლოგიურ სკოლაში, მაგრამ ერთი ელემენტი უცვლელია: წარმოდგენა იმის შესახებ, რომ პატარა ბავშვები ინახავენ (ან აგროვენ-

ბენ) თავიანთ ფეკალიებს, რადგან მათგან განთავისუფლდება სასიამოვნოა, მაქს უ. განიხილავს კიდევ ერთხელ სამყაროს, როგორც „კარგსა“ და „ცუდს“. შენახვა, რომელიც საჭიროებს შეკავებას, დაკარგვას და ფრუსტრაციას, წარმოადგენს მადისციპლინირებული მშობლების სამყაროს, რომელშიც საჭიროა მოძრაობა, თუკი ადამიანს სურს, მიაღწიოს სხვამდე (დედამდე). ხარჯვა, ისევე, როგორც თამაში – ესაა ბავშვების სამყარო, რომელშიც შესაძლებელია დაკმაყოფილება. შენარჩუნება და შრომა „ცუდია“ (რადგან ისინი წარმოადგენს მშობლების მალულსა და საინტერესო ასპექტებს), მაგრამ ისინი აუცილებელია, თუ გსურთ თქვენი „საქონლის“ მიღება. თამაში, პირიქით, „კარგია“ (რადგან კმაყოფილება მოაქვს), მაგრამ ის „ცუდია“, რადგან, რაც უფრო მეტს თამაშობს ადამიანი, მით ნაკლებია „საქონლის“ მიღების ალბათობა. ამ მნიშვნელობათა ერთდროულობა გამოხატავს მათ ამბივალენტურობას და სასჯელიც გარდაუვალია: თამაში და არა მუშაობა, ხარჯვა და არა ეკონომია, – ის ქცევებია, რომელთა გამოც ბავშვებს ხშირად სჯიან. თუკი მაქს უ. ითამაშებს და ფულს დახარჯავს, ის ანალოგიურად იქნება დასჯილი, მისი ინტენსიური სწრაფვა სიამოვნებისადმი, რაც ამ ბავშვურ ქცევას ახასიათებს, მღელვარებასა და შიშს ინვევს, ხოლო „იქ, სადაც არის მღელვარება, ყოველთვის მოიძებნება ამ მღელვარებისგან თავის დაცვის მექანიზმი“ (Bordo 1991:75). მაქს უ.-სთვის თავის დაცვის ძირითადი მექანიზმი არის მოხმარების პრიორიტეტულობა: მისი მსოფლალქმა აბათილებს იმგვარ განსხვავებებს, როგორებიცაა შიდა / გარე, კარგი / ცუდი, სიამოვნება / ტანჯვა, ისე, რომ მაქსს შეუძლია უგულვებლყოს ეს განსხვავება და შეერწყას თავის წარმოსახულ დედას.

## დასკვნა

მიწოდებისა და მოთხოვნის სფეროს გარეთ შეიძლება გავიგონოთ ჩივილი: „დროა, გავცდეთ ჰომო ეკონომიკუსის – ადამიანის ამ ხისტი სქემის ჩარჩოებს და ჩავანაცვლოთ ის რეალური ადამიანით, მაგალითად, ბოვარით“ (McCloskey 1985:66). მაგრამ რაციონალური ეკონომიკური ადამიანის პორტრეტი, ისევე, როგორც ბურჟუაზიული დრამა, რომელშიც ის (და მისი კლონები – მეორეხარისხოვანი პერსონაჟები) ძირითადი მოქმედი პირია, უფრო მეტს მალავს, ვიდრე ააშკარავებს. ჰომო ეკონომიკუსი განასახიერებს კონკურენტულ, ანგარებიან, იზოლირებულ ინდივიდს – კაპიტალის ბოროტ, ანგარიშიან და გულცივ განსახიერებას. მაგრამ ვიკითხოთ: ვინ არის ეს ნიღბიანი ადამიანი? შეგვიძლია თუ არა, მას ნიღაბი ავხადოთ? გავბედავთ თუ არა, რომ თავი დავაღწიოთ ფანტაზიებს, რომლებიც ჩვენ მისი უგულვებლმყოფელი, საზარელი როკვის თანამონაწილეებად გვაქცევს? თითოეული ჩვენგანი ყოფილა ბაზარზე – საქონლის ტაძარში – ჰომო ეკონომიკუსის ბუნაგში. ვის ვხედავთ იქ? რუხი ფლანელის კოსტიუმში გამოწყობილ ადამიანს? რობინზონ კრუზოს? ებენეზერ სკრუჯს<sup>1</sup>? თუ სტივენს, როდესაც მასში

თავი იჩინა სხვა სასიკვდილო ცოდვებმა: თავდაჯერებულმა სიამაყემ და სხვებისადმი ზიზღმა, სიყვარულმა ფულისადმი, რომლითაც შეიძლებოდა ეყიდა დანაშაულებრივი სიამოვნებანი, შურმა იმათ მიმართ, რომლებიც მასზე უფრო ცოდვილნი იყვნენ და ცილისმწამებლურმა ამბოხმა ღვთისმოსავთა მიმართ; გაუმადლობამ, გაბოროტებამ,

<sup>1</sup> ჩ. დიკენსის „სამოზაო გალობის“ პერსონაჟი (მთარგმნ. შენიშვნა)

**გერონტი ქიქოძე – მხარის გადანაცვლება**

საყოველთაოდ ცნობილია, რომ გერონტი ქიქოძის მსოფლმხედველობა XX საუკუნის დასაწყისში, კულტურული პარადიგმის ცვლის რთულსა და წინააღმდეგობრივ პერიოდში ჩამოყალიბდა. იმის გამო, რომ მისმა შეხედულებებმა ღირებულებითი ცენზირების რამდენიმე ეტაპი გაიარეს, ამით, ცხადია, არაფერი დაკლებიათ, პირუკუ, დაკრისტალების შემდეგ მათ მხოლოდ მეტი შინაარსი და დამაჯერებლობა შეიძინეს. ლაიპციგისა და ჰაიდელბერგის უნივერსიტეტების სტუდენტს, რომელიც ყურადღებით აკვირდებოდა ევროპული ქვეყნების თვითდადგენის რეზონანსულ პროცესს, უთუოდ არაერთხელ შეჰპარვია ეჭვი საკუთარი პატარა სამშობლოსთან სხვისი დიდი სამშობლოს უპირატესობის შესახებ. ახალგაზრდის მაძიებელმა ბუნებამ ამ კითხვას ცოტა არ იყოს ჰამლეტისებური ჟღერადობა მიანიჭა: „რას აირჩევდი მკითხველო, არჩევანი რომ შესაძლებელი ყოფილიყო: დიდსა თუ პატარა სამშობლოს?“ (ქიქოძე, 2003:244). იმ ძლევამოსილების წინაშე, რომლითაც გამოირჩეოდნენ დიდი ქვეყნები, გ. ქიქოძისთვის, როგორც ღრმა ინდივიდუალისტიკისთვის, განსაკუთრებით მძიმედ გადასალახავი ჩანდა მეორეხარისხოვნობის ის სტატუსი, რომელსაც 1917 წელს, გაზეთ „საქართველოში“ დაბეჭდილ წერილში „პატარა სამშობლო“ „სხვის ხელში მაცქერალის მდგომარეობაში ყოფნას“ უწოდებს. თუმცა იქვე ტერიტორიული გადანაწილების ახალი ტენდენციების გათვალისწინებით („მსოფლიო ბაზრის“ ეპოქად ცნობილი XIX საუკუნე და შემდგომი ათწლეულიც ირლანდიელების, პოლონელების, იტალიელების, ბელგიელებისა თუ ჩეხებისთვის ეროვ-

რომლითაც ეძლეოდა თავის ავხორც ოცნებებს, სულიერი და ფიზიკური სიზარმაცის ჭაობმა, რომელშიც ის მთელი არსებით ჩაიძირა.

ჰომო ეკონომიკუსის შესახებ შეთხზულ დიდაქტიკურ ზღაპრებში მიმოზნეული თვალსაზრისები (ეკონომიკის სახელმძღვანელო, როგორც ავტობიოგრაფია) საშუალებას გვაძლევს წარმოვიდგინოთ ძალზე რომანტიკული ჭაბუკი, ისეთი, როგორიც სტივენია, რომლისთვისაც მოხმარება, მუშაობა და ეკონომია ბავშვის ცხოვრების ასპექტებს გამოხატავს. ტექსტი უსაზღვრო სურვილთა შესახებ სხვა არაფერია, თუ არა დედისა და შვილის სიმბიოზის მეტაფორა, მაშინ, როდესაც შრომისა და ეკონომიის, როგორც „ცუდისა“ და „კარგის“ წარმოდგენა, სიმბოლურად განასახიერებს ბავშვის რეაქციას ძალაუფლების მიმართ. იმავდროულად, მოხმარებისა და ეკონომიის ზრდა წარმოადგენს ორალურსა და ანალურ სიამოვნებას. ეს გამონაგონი აღვიძებს მოგონებებს ადრეული მდგომარეობის შესახებ, რომელშიც არჩევანი ძალზე შეზღუდულია და დამოუკიდებლობა მთლიანად განპირობებულია სხვებით.

*ინგლისურიდან თარგმნა თამარ ლომიძემ*



ნული თვითგამორკვევის ხანად იქცა), საკუთარი არჩევნისთვის მყარ არგუმენტაციას პოულობს და იმ გამოსავალზე საუბრობს, რომელიც, მისი აზრით, ასეთ ვითარებაში უნდა არსებობდეს. მას მხოლოდ დანახვა სჭირდება: 1) „მამუ-ლიშვილი არ იკარგება უსაზღვრო და უპიროვნო მასაში“; 2) „თემის ჭირ-ვარამი მისი ჭირ-ვარამიც არის, ამიტომაც ეროვნული საქმეები მის საკუთარ საქმეებშია გადახლართული“ 3) ქვეყნის დამარცხება მისი იმედების გაცრუებაა, გამარჯვება კი გრძელვადიან კეთილდღეობას უმზადებს; 4) „სამშობლო მას მეტს სთხოვს და მეტს ჰპირდება“; 5) „პატარა ქვეყნის შვილები ხშირად უფრო ძლიერი ადამიანები არიან, ვიდრე დიდი ქვეყნის მოქალაქეები“ (იქვე:246). გ. ქიქოძის ეს დამოკიდებულება, რომელიც თვითდარწმუნებას, ოპტიმიზმის თვითინექციას უფრო ჰგავს, ვიდრე ცივ რაციონალურ განსჯას, იმთავითვე არ წარმოქმნილა. მას წინ უძღოდა არაერთი იმდროინდელი ქართველი მოღვაწისთვის დამახასიათებელ არა მარტო ფილოსოფიურ-ესთეტიკურ, არამედ წმინდა წყლის ეკონომიკურ იდეათა ლაბირინთებში მოძრაობის ვალდებულება.

ფრანგი განმანათლებლებისა და ენციკლოპედისტების ავტორიტეტი XX საუკუნის 10-იანი წლების დასაწყისში ლამის დაჩრდილა გერმანიაში წარმოქმნილმა მარქსიზმმა. იგი თავისუფლების უნივერსალურ გარანტიადაც კი იქნა მიჩნეული: „...„კაპიტალმა“ და „კომუნისტური პარტიის მანიფესტმა“ ჩვენს შეგნებაში ყველა სახარება შეცვალა ოთხთავიდან დაწყებული მოქალაქისა და ადამიანის უფლებათა დეკლარაციამდე... „ (იქვე:13). თუმცა მესამედასელთა სახელით ცნობილ ქართველ მარქსისტთა მიერ ატომისტური და პარტიკულარისტული ტენდენციების შეგნებულად აქტივიზებამ, სამშობლოს იდეის თემისა და პროვინციის

იდეით ჩანაცვლების გადაწყვეტილებამ, გ. ქიქოძე საკუთარი მიკერძოებულობის გადასინჯვის აუცილებლობის წინაშე დააყენა. მან იგრძნო, რომ მესამედასელთა გარდა არსებობდა, როგორც თვითონ უნოდებს, „ახალი საქართველოს“ ინტელექტუალური ძალა, რომელსაც საკუთარ თავზე უნდა აელო პასუხისმგებლობა მომვალზე: „როდესაც საკმაოდ ხანგრძლივი პაუზის შემდეგ საქართველოდან ისევ ევროპაში დავბრუნდი“, – ვკითხულობთ ავტობიოგრაფიულ ნაშრომში „განთიადიდან შუადღემდე“ – „მე მოვახდინე ჩემი ... იდეალების გადაფასება და სულიერი კრიზისი განვიცადე“ (იქვე:14).

მზერის დაკრისტალების რეალურ (შეიძლება ასეც ითქვას, საეტაპო) შედეგად, უთუოდ, იქცა 1915 წლით დათარიღებული წერილი „ჩაქუჩიანი მამაკაცი“, რომლის პათოსი ახალი „ქართული რეფორმაციის“ სულითაა გაჟღენთილი. თავის დროზე მაქს ვებერი რაციონალიზაციის, ანუ საზოგადოების ტრადიციულიდან თანამედროვე მდგომარეობაში გადასვლის კანონზომიერებას რელიგიის, კონკრეტულად კი პროტესტანტიზმის, კონტექსტში განიხილავდა (მ. ვებერი, პროტესტანტიზმის ეთიკა და კაპიტალიზმის სული, 1905). პროტესტანტიზმის ასკეტურ დენომინაციებში მიღებული რაციონალური, მხნე და მიზანმიმართული ადამიანი აქამდე უცნობი სოციალ-ეკონომიკური ფორმაციის, კაპიტალიზმის, საყრდენ ძალად უნდა ქცეულიყო. შესაძლოა, თავისებური განდობის ადგილი შემთხვევით არც გ. ქიქოძის მიერაა არჩეული. ქართული ტაძრის კანონიკურ სივრცეში, რომელიც ჩვენი კულტურული იდენტობის უპირველეს შემნახველად, საკრალურ ტოპოსადაა აღიარებული, ხდება მკითხველისთვის ძველი ტრადიციული აქცენტების გადაადგილება, მეტიც მათი ახლით ჩანაცვლება. განახლე-

ბის უღმობელი სინათლის მიშუქება შესანიშნავი ფრესკე-ბის გვერდით აქამდე უყურადღებოდ მიტოვებული ჩაქუჩიანი მამაკაცის ბარელიეფზე, როგორც შეცვლილი დროების თვალსაჩინო მარკერზე, კარგად გააზრებულ აქტად აღიქმება. ამ ფაქტს თავდაპირველად ყურადღება მიაქცია კრიტიკოსმა თამაზ ვასაძემ, რომელმაც „ჩაქუჩიანი მამაკაცის“ ტექსტი სასკოლო სახელმძღვანელოშიც კი შეიტანა და ეს იყო, ალბათ, გ. ქიქოძის აღნიშნული წერილის ლეგიტიმაციის ყველაზე დემოკრატიული და სწორი ფორმა.

ქვაბლიანის ხეობაში, ჭულების მონასტერში ნაპოვნი და სავარაუდოდ ამ და მეზობელი ზარზმის მონასტრების აღმშენებელი ხუროთმოძღვრის, ბასილ ხურციძის, ფიგურაში, რომელსაც ხელთ სამუშაო იარაღი, ჩაქუჩი, უპყრია, პერსონიფიცირებული აღმოჩნდა ძალზე მნიშვნელოვანი გზავნილი: მოწოდება მახვილიანი და ჯვრიანი საქართველოს გვერდით მშრომელი, აღმშენებელი საქართველოს დეტერმინირებისკენ. ცხადია, გ. ქიქოძის ამ მისწრაფებას სერიოზული ქვეტექსტები გააჩნია თუნდაც იმ მიზეზით, რომ ისინი ილიასეული „უსისხლო ომის“ იდეის ლოგიკურ ტრანსფორმაციას წარმოადგენენ. მართალია, ერთი ადამიანის (ილიას) სიცოცხლე და ისიც ძალადობრივად შეწყვეტილი, სულაც არ ეყო ისტორიული მოდერნის ჩვენთვის გამოყოფილ დროში ყველა საკვანძო საკითხის გადაჭრას, მაგრამ ის, რაც მოდერნიზატორული პროექტის პირველ ეტაპზე „სამოციანელთა“ მიერ განხორციელდა (ახალი ლოგოსის შექმნა, ეროვნული კაპიტალის დაფუძნების მცდელობა, ლიტერატურაცენტრისტულ ტენდენციებზე სოციოცენტრისტულის პრევალირების განჭვრეტა), – იგულისხმება ქვეყნის სასიცოცხლო ვექტორების გამოკვეთა, – ეს მონაპოვარი საიმედო ხელში აღმოჩნდა. გ. ქიქოძის თაობა

მზად იყო გუშინდელი შედეგი დღევანდელი აქტივობების ბიძგად ექცია.

ტრადიციულად აქტუალობას ინარჩუნებდა სააზროვნო ველის განმენდა. ამიტომაც 1914 წლის „სახალხო გაზეთის“ რამდენიმე ნომერში (# #1178,1180,1185,1189,1192) გამოქვეყნდა გ. ქიქოძის წერილების სერია მიმართული სომეხი პუბლიცისტის, ვინმე იშხანიანის, ბროშურის წინააღმდეგ, რომელშიც ავტორი „მეცნიერულად“ ასაბუთებდა კაპიტალისტური ცხოვრების წესთან სომეხ-ქართველთა დიფერენცირებულ (იქნებ პოლარიზებულ) მიდგომათა კანონზომიერებას. აი, რას წერდა იშხანიანი: „ეკონომიკური აღორძინების უახლოეს ფაზაში ქართულმა ნაციონალურმა სინამდვილემ ძლიერი ჩამორჩენილობა გამოავლინა, ამიტომაც მას საკუთარი ძალით ცხოვრება არ შეუძლია. საქართველო მჭიდროდ არის დაკავშირებული კავკასიასა და რუსეთთან და ძალაუნებურად უნდა დაემორჩილოს უკვე ჩამოყალიბებული წესწყობილების გავლენას. ამ წესწყობილებაში კი გაბატონებულია ევროპული, რუსული და სომხური მსხვილი ბურჟუაზია და მათ შორის ახალი ქართული ბურჟუაზიისთვის ადგილი არ არის... შეიძლება ზოგიერთი წვრილი ვაჭარი ან ხელოსანი ჟამთა მსვლელობაში ამაღლდეს კიდევ კაპიტალისტის მდგომარეობამდე, მაგრამ „ერთი მერცხალი გაზაფხულს ვერ მოიყვანს“... საქართველომ დაიგვიანა ცხოვრების მეჯლისზე...“ (ქიქოძე, 2003:131-132). გ. ქიქოძე იშხანიანის ბროშურას ძირითადად მწარე სიმართლედ აღიქვამს და ცდილობს პოლემიკა არა ბანალური ლანძღვის, უპასუხისმგებლო ბრალდებების, არამედ მტკიცე კონტრარგუმენტებით აპელირების სიბრტყეში გადაიყვანოს. გარდა იმ აზრისა, რომ „ცხოვრება არც სერობის სუფრაა და არც მეფე არტურის მრგვალი მაგიდა, რომ მასზე ადგი-

ლი მხოლოდ ათ-თორმეტ არჩეულ მოციქულს ჰქონდეს ან კიდევ საგანგებოდ მონვეულ რაინდებს“... ავტორი მონინალმდევის სუსტი მხარეების მხილების ტაქტიკას ადგება. ეს ტაქტიკა კი ააშკარავებს საქართველოში იმ პერიოდში, მართლაც, მომძლავრებული უცხო კაპიტალის ჩარჩულ ხასიათს, რაც მას მომავალში განსაკუთრებული თვითკმაყოფილების საშუალებას მაინც არ აძლევს. განსხვავება საკუთარ არეალში ჩასახულსა და განვითარებულ ევროპულ კაპიტალსა და სომხურს შორის სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ ევროპული კაპიტალი ფართო სამრეწველო ხაიათისაა, ეროვნული კულტურის განუყოფელი ნაწილია მაშინ, როდესაც საქართველოში ფეხმოკიდებული უცხო კაპიტალი „სხვის მიერ შექმნილი სიმდიდრის დატრიალება-განაწილებას ემსახურება“ და ფაქტობრივად, „ადგილობრივი კულტურის შემაფერხებელ ფაქტორს წარმოადგენს“. გ.ქიქოძის ღრმა რწმენით, და სწორედ საკითხისადმი ამგვარი დამოკიდებულებაა აღნიშნული წერილების ლაიტმოტივი, „ჩვენი ეკონომიკური ჩამორჩენა (უცხო) ბურჟუაზიას არავითარ გარანტიას არ აძლევს მუდმივ შეურყეველი ბატონობისათვის. მათი კაპიტალი ჯერ სავსებით არ დაჰპატრონებია ჩვენს ბუნებრივ და შექმნილ სიმდიდრეს. მას ახალგაზრდა ქართული კაპიტალისთვის ყოველი გამოსასვლელი გზა არ დაუხშია. განა სომხის კაპიტალმა ჩვენი სამშობლოს მთები გასჭრა და გამოიკვლია, განა მან ჩვენი ნიადაგი უკვე გადააბრუნა, განა მან ჩვენი ტერიტორია ქარხნებითა და ფაბრიკებით მოფინა? განა ახლად ფეხადგმულ ქართულ კაპიტალს აღარაფერი აქვს გასაკეთებელი წარმოების თუ მეურნეობის სფეროში?“ (იქვე:136).

კაპიტალის ამოძრავება და კაპიტალიზმის უღმობელი კანონების დამკვიდრება განსაკუთრებულ საფრთხეს უქმ-

ნიდა თვითგამორკვევის ინსტინქტდაქვეითებულსა და პოლიტიკური დამოუკიდებლობის არმქონე ქვეყანას. ამიტომ ფილოსოფიური და მხატვრულ-ესთეტიკური ინტერესების რეალიზების გარდა, გ. ქიქოძეს ხშირად უხდებოდა ადამ სმიტის, ჯეიმსის, ჯერომ ბლანკის, მონტესკიესა თუ ლემესტრის შრომებში ჩახედვა. სწორედ ისე, როგორც მის თანათაობელებს ა. ჯორჯაძეს, მ. ჯავახიშვილს, მ. წერეთელს, კ. გამსახურდიას, ნ. მინიშვილსა თუ ვ. კოტეტიშვილს, რომელთა შემოქმედებითი მუშაობისთვის განკუთვნილი ძვირფასი დრო საზოგადოების მოსალოდნელი გარდაქმნებისთვის მომზადებას, ანუ ყოველდღიური საჭიროებისკენ მიმართული პუბლიციტიკის შექმნას ეწირებოდა.

„ჩვენ აღარ შეგვიძლიან ისე გრძნობა და აზროვნება, როგორც წინა თაობა გრძნობდა და აზროვნობდა. ეს კიდევ არაფერი: ჩვენ ხვალ აღარ შეგვიძლება ისე ვიგრძნოთ და ვიფიქროთ, როგორც გუშინ ვგრძნობდით. ჩვენი სულის სიღრმეში ძლიერი მეტამორფოზა მოხდა. ჩვენი სული შეიცვალა, რადგან იგი შეეხო საგანთა და მოვლენათა ახალსა და იდუმალ მხარეს... მან დაინახა ამ ქვეყნის ახალი სახე, ახალი ასპექტი, რომელიც დღემდე არასოდეს უნახავს“ – ასეთი იყო ფაქტის კონსტატაცია, რომელსაც გ. ქიქოძე 1919 წელს გამოცემული პუბლიცისტური წერილების კრებულის „ეროვნული ენერჯის“ წინასიტყვაობაში ახდენდა (ქიქოძე, 1919:8).

ნიშანდობლივია, რომ ვიდრე ეს წერილები მაშინდელ ქართულ პერიოდულ პრესაში დაიბეჭდებოდა, უფრო კონკრეტულად კი პირველ მსოფლიო ომამდე, ევროპაში დაბრუნებული გ. ქიქოძე პარიზში ინტუიტივიზმისა და სიცოცხლის ფილოსოფიის თვალსაჩინო წარმომადგენლის, ანრი ბერგსონის (1859-1941), ლექციებს ისმენს. პოზიტივიზმის

სწორხაზოვნების ნაცვლად ( ცნობილია, რომ თავის დროზე საფრანგეთში სწავლა პოზიტივიზმის დომინანტური მდგომარეობის გამო არ ისურვა) ბერგსონის ნააზრევით, მთავარი თეზით: ინტუიცია ცხოვრების თვითშემეცნებაა, როგორც ჩანს, განაწყობს მას „იფიქროს, როგორც მოქმედების ადამიანი და იმოქმედოს, როგორც ფიქრის ადამიანი“ (ბერგსონი). არც იმავე ადამიანის არსებაში აღმოჩენილი „სოციალურობისა“ და „მორალის“ ერთგვარი სართულების, ტიპების არსებობა იქნებოდა ჩვენი მოღვაწისთვის მიუღებელი. სწორედ ბერგსონისეული ღია (ამ დროს პრიორიტეტულადაა მიჩნეული ინდივიდუალობის გამოვლენა) და დახურულ ( აქ კი უპირატესობა სოციალური ინსტინქტის მოთხოვნებს ენიჭება, როდესაც პიროვნება ენიჭება კოლექტივს) მორალს შორის ბალანსირება განსაზღვრავს გ. ქიქოძის შემდგომი მოღვაწეობის ძირითად ხაზს, იმ რამდენიმეწლიან დაძაბულ ჟურნალისტურ საქმიანობასაც, რომლის მიზანი საზოგადოების სხვადასხვა ფენის წარმომადგენელთა ცნობიერების დროის ახალ მოთხოვნათა შესაბამისად „შემოტრიალება“ იყო. შიში იმისა, რომ „ჩვენი გვარ-ტომობა სამუზეუმო სანახაობად არ ქცეულიყო“ არსებობდა და მას დაძლევა სჭირდებოდა.

პრიორიტეტები მკაცრი რაციონალიზმით იქნა გამოკვეთილი: ადრეული შუა საუკუნეების ფილოსოფიური, მხატვრულ-ესთეტიკური აზრისა და მასთან ერთად პროგრესის განვითარებისთვის თვალის მიდევნებამ (გ. ქიქოძე კი ამ ვრცელ მასალას სრულყოფილად ფლობდა) ცხადყო, რომ „თანამედროვე მატერიალური კულტურა და სოციალ-პოლიტიკური წესწყობილება საერთაშორისო შემოქმედების ნაყოფია, მაშინ, როდესაც სპეციფიკურად ეროვნულს სულიერი კულტურის სფერო (ენა, ესთეტიკური აზროვნება

და პრაქტიკა) გამოხატავს. ამ კანონზომიერების დაცვა კი ორივე მიმართულებით შეთანხმებულ და გონივრულ მოქმედებას გულისხმობდა. სწორედ ამ რიგის მსჯელობებში იჩენს თავს „ეროვნული ენერჯის“ ცნება, რომელსაც გ. ქიქოძემ არა მარტო მარჯვედ გამოიყენა, არამედ გარკვეული თვალსაზრისით უნივერსალური ხასიათი მიანიჭა. ეროვნული ენერჯია და ენა, ეროვნული ენერჯია და ლიტერატურა, ეროვნული ენერჯია და წარმოება – ამ ერთიერთმიჯაჭვულობის, ფაქტობრივად კი, ამბივალენტურობის აღიარებით იკვრებოდა მოქმედების ერთიანი წრე (მასთან ერთად კი სტრატეგია), რომელშიც თითოეულ რგოლს გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭებოდა. პრობლემა კი მდგომარეობდა იმაში, რომ გარეშე თუ შიდა ფაქტორების გამო ეროვნული ენერჯის დროში უსაშველოდ განელილი „გაუმღლეობა“ (გ. ქიქოძის ტერმინია) თავისი უმნიშვნელობით წალეკვით ემუქრებოდა მთელ კულტურას, მათ შორის ახალ ეკონომიკურ ურთიერთობებსაც: „საქართველოში კაპიტალიზმი ნორჩი და გაუმღელია. ჩვენი ქვეყნის ბუნებრივი სიმდიდრე ჯერ დაუმუშავებელი, მისი ფარული ძალები – აუმოდრავებელი...“ ( ქიქოძე, 2003:65). გ. ქიქოძე ეჭვმიუტანელს ხდის ერის იქნება ეს თუ პიროვნების თვითდამკვიდრებისთვის ბრძოლის თავისი არსით ზეეროვნულ იდეას და მკითხველს ახსენებს, რომ ყოველდღიურობა „ არც ფილანტროპული დანესებულებაა და არც სანატორიუმი სისხლნაკლებთა და ნერვებაშლილთათვის“. „ცხოვრება დიდი დრამაა, ტიტანურ ძალთა შეტაკებაა და დრამაში მხოლოდ იმას აქვს ადგილი, ვინც მუდმივ მზადაა თავდაცვისა და ბრძოლისათვის“ (იქვე, გვ.66) სწორედ ისე, როგორც ეს დეკლარირებული იყო, ვთქვათ, მიხ. ჯავახიშვილის პუბლიცისტიკაში, აქაც, გ. ქიქოძესთანაც, ევროპის „ლოდივით დაძრული“ ქვეყნე-

ბის, ბელგიის, ირლანდიის, პოლონეთისა თუ სერბიის მაგალითზე ინერგებოდა ოპტიმიზმი, იქმნებოდა გადარჩენისა და განვითარების უალტერნატივო წინაპირობა : „ქართველმა ერმა თვით უნდა გასჭედოს თავისი ბედი. მან უნდა აამოძრაოს მატერიალური, სანაროო ძალები, მან საძირველი უნდა ჩაუყაროს თანამედროვე მეურნეობას და ინდუსტრიას, განმინდოს თავისი ენა უცხო ელემენტებისგან, შექმნას ახალი მწერლობა და ხელოვნება . უამისოდ მას ადგილი არა აქვს თანამედროვე ერთა დიდ კულტურულ ოჯახში“ (იქვე, გვ. 66). იმას, რომ მსგავსი მოწოდება უნისონში არ მოდიოდა ქართული საზოგადოების გარკვეული ნაწილის ინტერესებთან, ადასტურებს ამავე პერიოდში „საერთო საქმის, საჯარო სივრცის სწორი აღქმის“ მთელი რიგი მაგალითები, გამომხატული აქამდე ნაუხალისებელი ეკონომიკური აქტივობებით, კერძოდ კი, წარმოების , კერძო მეურნეობათა თუ სოფლის თვითმმართველობისა და თვითორგანიზების მოდერნიზება-ევროპეიზების სერიოზული მცდელობებით. ამას, ცხადია, გ. ქიქოძეც ამჩნევდა: შრომის კულტურის ადეკვატურ გააზრებასა და ათვისებასთან ერთად „საქმიანობის ხალისი ჩვენშიც იღვიძებს და შეძენის უინი ნერვიულ ცხელებასავით ედება დიდსა თუ პატარას“ ( ქიქოძე, 2003:207). სამწუხაროდ, 1921 წლის შემდეგ ყველაფერი გაკეთდა მსგავსი მობილიზების, ინტერესთა ჯგუფების ფორმირებისა და მთელი ამ სასიცოცხლო პროცესის ორგანიზატორთა და მონაწილეთა გამოცდილების დასავინწყებლად ( ინციპტივა ცვლილებისათვის, 2015:5-6).

„ეკონომიკური ბრძოლის“ ყოვლისმომცველობის შესახებ ჯერ კიდევ პირველი მსოფლიო ომის დროს გ. ქიქოძის მიერ გაკეთებული პროგნოზი საქართველოს გარდა (საქართველომ, როგორც ვიცით, განვითარების სრულიად

სხვა გზა აირჩია) თითქმის ყველას შეეხო. „ამბობენ – წერდა მაშინ გ. ქიქოძე – რომ მსოფლიო ომი არ დამთავრდება დღევანდელი სისხლისმღვრელი შეტაკებით. მას მოჰყვება სხვაგვარი ბრძოლა, არანაკლებ სასტიკი და მნიშვნელოვანი. ამ ბრძოლას აწარმოებენ არა სარდლები და ჯარისკაცები, არამედ ვაჭრები, მექარხნეები და კომივოიაჟერები, და მისი მიზანი იქნება არა ტერიტორიების დაპყრობა და ციხე-სიმაგრეების აღება, არამედ მსოფლიო ბაზრის ჩაგდება თავისი იაფფასიანი საქონლით“ (ქიქოძე, 2003: 200) . და ეს ზუსტი სიგნალი იყო.

აქტუალობას იძენდა კითხვა, დაინტერესდებიან თუ არა ევროპელი კაპიტალისტები კავკასიით? გ. ქიქოძეს იმედი ჰქონდა, რომ ქართული მადნეულის ექსპლოატაციისთვის აქ ჩამოვიდოდნენ არა მარტო ავანტიურისტები და ბედის მადიებლები, არამედ , ვთქვათ, აგვუსტ ტისენი, გერმანიის პირველი მწარმოებელი, გელზენკირხენის საზოგადოების მთავარი აქციონერი და ვილჰელმ 11-ის მეგობარი. მთავარი იყო უცხო კაპიტალი დეზორიენტაციის შემომტან პოლიტიკურ ძალად, მით უფრო საახალშენო კაპიტალად, არ ქცეულიყო. ჭიათურის შავი ქვის წარმოების მაგალითზე გ. ქიქოძე უსამართლო გარიგების მაგალითს გვიჩვენებს: „ლომის კერძი უცხოელებს მიაქვთ, ჩვენ მხოლოდ ნამცეცები გვრჩება“. თუმცა ამ მხრივ უარესი მდგომარეობა ყოფილა ალავერდის მადნეულის ქარხანაში, სადაც მრეწველიც, მინის მესაკუთრეც და სამუშაო ძალაც უცხოელები (ფრანგები) ყოფილან.

დაბეჯითებით იმის მტკიცება, რომ ამ ღრმად განსწავლული ადამიანისთვის, რომელსაც ფართო განათლება საშუალებას აძლევდა მთელი ევროპის (და მის გარეთაც) მასშტაბით ნათლად წარმოედგინა ფეოდალურ ფასეულობებზე



ბურჟუაზიულის უპირატესობის, ბურჟუაზიის, ასე ვთქვათ, „გაკეთილშობილების“ , რასტინიაკული ცხოვრებისეული პრინციპების კანონიზება, კაპიტალიზმი უპირობო, მარადიულ მოცემულობად განიხილებოდა, გადაჭარბებული იქნება. ხშირად მასში პრაგმატისტს ქემარიტი ჰუმანისტი და პროგრესისტი ჩრდილავდა : „შესაძლებელია ისიც, რომ კაპიტალისტური წესწყობილება თანდათან მოიშალოს და შეუმჩნევლად ადგილი დაუთმოს წარმოების სხვა უფრო ახალ ფორმას. უცვლელი არაფერია ამ ქვეყანაზე...“ (ქიქოძე, 2003:211). ამგვარი დაეჭვების ერთ-ერთი მიზეზი, შესაძლოა, რუსულ კულტურაზე მიბმულობაც იყო. „რუსული მოდერნიზაციის თავისებურება კი, სხვათა შორის ტიპური პერიფერიული კაპიტალისტური სისტემებისთვის, განპირობებული იყო გარედან თავსმოხვეული რეფორმებით, რომლებიც მყარად გამჯდარი არქაული ნორმებისა და ურთიერთობების კომპლექსზე ილექებოდა...“ (გუილო კარბი, 2012: 27). გ. ქიქოძისთვის არც ის იქნებოდა მიმზიდველი, რომ „ფეოდალური სამყაროდან მოსული აზარტული თამაშების ფორმა სრულიად ეუფლებოდა ბურჟუაზიული საზოგადოების წესს, როგორც ამას თავის წერილში „პარიზი – XIX საუკუნის დედაქალაქი“ ვ. ბენიამინი წარმოაჩენს (ბენიამინი, 2004:107), პარიზი – რუსთაველის გულანშაროს მსგავსად, სადაც „იყიდიან, გაყიდიან მოიგებენ, წააგებენ; გლახა თვე ერთ გამდიდრების, სავაჭროსა ყოვლგნით ჰკრებენ...“. დოსტოევსკიც, რომელიც უფრო დაფრთხა, ვიდრე აღფრთოვანდა 1861 წლის ლონდონში გამართული საერთაშორისო გამოფენით, არაერთხელ შეხებია ამ თემას. დოსტოევსკის რომანი „მოთამაშე“ სულაც მსგავსი კომბინაციების ირაციონალობიდან ფულის ფანტასმაგორიული და დემონური ძალის დაბადებას და ამ ძალის ადამიანზე

დამანგრეველ გავლენას ასახავს. თუმცა ქართულ სინამდვილეში ასე შორს წასვლა იქნებ არც იყოს საჭირო. მით უმეტეს, რომ საზოგადოებრივი ტრანსფორმაციის გზა, ამ გზის სირთულე და თავისებურება „ ქართულმა მწერლობამ, რომელიც თვითიდენტიფიკაციის მთავარი რესურსი, იარაღი იყო“ ( ნინიძე, 2014:7), ამ პერიოდში რომანის უქონლობის გამო ვერ ასახა, ე.ი. ვერც გააანალიზა.

ზედაპირზე იდო და თანაც პრობლემურობას ინარჩუნებდა თავად კაპიტალისადმი არასწორი დამოკიდებულება: „ ჩვენთან კაპიტალს უცქერენ არა მწარმოებლის, არამედ მომხმარებლის თვალსაზრისით“- ამგვარი მიდგომა იყო, როგორც იტყვიან, ყველაფრის თავი და თავი. წერილში „წარმოება და ეროვნული ენერჯია“ (1915) ავტორისეული ნარაცია მიმართულია კონკრეტიკისკენ, ანუ იმ შიდა პრობლემებისკენ , რომლებიც მხოლოდ ნაწილობრივ იყო გამოწვეული ქვეყნის პოლიტიკური მდგომარეობით და ძირითადად ქართული ხასიათის რამდენადმე მანკიერ განვითარებას უკავშირდებოდა. ფსიქოლოგიური ჩამორჩენა; სისტემატური, აუჩქარებელი, მიზანშეწონილი შრომის უუნარობა ; მოუთმენლობა და შემთხვევით ან უცაბედ გამდიდრებაზე ოცნება. „ამ მხრივ საშუალო საუკუნეების მეკობრეებსა და რაინდებს უფრო ვგევართ, ვიდრე თანამედროვე ადამიანებს. ან უკეთ რომ ვთქვათ , იმ ესპანელ ავანტიურისტებს, მეთექვსმეტე საუკუნეში მთელი ამერიკა რომ შემოიარეს ელდორადოს, ე.ი. ოქროს ქვეყნის ძებნაში...“ (ქიქოძე, 2003:142). „ ამიტომ საჭიროა ჩვენი ეროვნული ფსიქოლოგიის გადაბრუნება, სანამ სამშობლოს გადავაბრუნებთ“ – ასეთია გ. ქიქოძის მიერ ამ მიმართულებით გაკეთებული დასკვნა.

გ. ქიქოძე ჯიუტად და პრინციპულად ეწევა რაციონალური შრომის, ზოგადად კულტურის აპოლოგიას. ეს არის ის კერპი, რომელსაც ის თავს უპირობოდ უხრის. ამ გზაზე კი ტაბუირებული თემები და ხელშეუხებელი ავტორიტეტები არ არსებობს: „ჩვენ ეხლა უფრო კარგი ქვისმთლელები, მეჩექმეები და მეურნეები გვჭირია, ვიდრე ცუდი ვექილები, ექიმები ან მოხელეები“. ეს საკმაოდ თამამი მოსაზრებაა, რომელიც მაშინდელი „ახალი საქართველოს“ რეპრეზენტატორთა ნააზრევს ეხმაურება, ბუნებრივად იწვევს რ. გაბაშვილის, შ. ამირეჯიბის, მ. ჯავახიშვილის და სხვათა ანალოგიური ხასიათის გამონათქვამთა ალუზიას. რ. გაბაშვილი სწორედ ამ პერიოდში ფ. „კლდეში“ წერდა: „ვჩივით სიღარიბეს მაშინ, როცა ბედმა სამოთხეში დაგვასახლა. რა გვიხსნის ასეთი უმწეო მდგომარეობისგან? „...უნდა ნავიდეს ის დრო, როცა მხოლოდ კულტურული ლაყობით და მწერლობით ვაპირებდით ქვეყნის აშენებას. უნდა ამოიფხიკოს ჩვენი ცნობიერებიდან ის შეცდომა, ვითომც მხოლოდ პოეზიას, ლექსთა წყობას, თეატრს და სხვა ამგვარებს ჰქონდეთ უდიდესი და უმაღლესი კულტურული ღირებულება ხალხის ცხოვრებაში. ყოველი ერის ფიზიკური ძალა, მისი არსებობის საძირკველი უნდა გამტკიცებულ იყვეს მისი ეკონომიკური ცხოვრებით“ (ომეგა, 2002, #12: 54). საგულისმოა, რომ ამ სიტყვების ავტორსა და მის თანამოაზრეებს არ აკმაყოფილებდათ მონინავე აზრების მხოლოდ ტრანსლაცია. ისინი „საქმის კაცობას“ ესწრაფვოდნენ. ამიტომაც, უამრავი სირთულის მიუხედავად, აარსებდნენ პირველ ქართულ კოოპერაციებს, რომლითაც ხელოვნურად გაძვირებული ქართული ბაზრის ალტერნატივას ქმნიდნენ, ფაქტობრივად კი ცვლიდნენ ვაჭრობის რუდიმენტულ ფორმებს. თუმცა კლასობრივი ბრძოლის იდეის

უაპელაციო მიმდევრობას სოციალური წინააღმდეგობების არა დაძლევა, არამედ გამწვავება სჭირდებოდა. ამიტომაც ქართველი სოციალ-დემოკრატები „კლდეისტებს“ ირონიულად შეახსენებდნენ საკუთარ სოციალურ წარმომავლობას და წარმატებით ახდენდნენ იმ „სიმათლის“ არტიკულირებას, რომლის მიხედვითაც თავადაზნაურობას, როგორც განწირულ და ხალხის მიერ უარყოფილ კლასს, მათი აზრით, დროსა და სივრცეს აცდენილი აქტიურობა ვერაფერს უშველიდა.

პოლიტიკურ ძალთა ასეთ საბედისწერო განლაგებას, გ. ქიქოძის აზრით, „კაპიტალიზმის გოლფშტორმზე“ ბევრად უფრო გამანადგურებელი ძალა შეიძლებოდა მისცემოდა. ამ საქმეში ქართული თავადაზნაურობის დანაშაულებრივ უმოქმედობასა და უინიციატივობას იგი უყურადღებოდ ვერ დატოვებდა. მეტიც, გ. ქიქოძის უკომპრომისო ინტონაცია ყველაზე მეტად სწორედ ამ კონტექსტში იჩენს თავს: „კარგი მეომრები იყავით...“, მაგრამ „...ბედოვლათობა დაბადებიდანვე გაქვთ თანდაყოლილი, ბედოვლათ ხალხს კი არ შეუძლია თანამედროვე პირობებში არსებობა...“, „ჩვეულებრივი ევროპელი გლეხი უფრო ადამიანურ პირობებში იმყოფება, ვიდრე ზოგიერთი ქართველი მსხვილი მესაკუთრე, რომლის წინაპრები ბაგრატიონთა გვარს ექიშპებოდა და საქართველოს პოლიტიკურ ბედს განაგებდა...“, ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში „ტფილისის გუბერნიის ოდენა ადგილები უჭირავთ, მაგრამ ხუთჯერ და ექვსჯერ მეტ მცხოვრებლებს ასაზრდოებენ... ეს იმიტომ, რომ იქ ნაკლებ ოცნებობენ და მეტს მუშაობენ“. და საერთოდაც, ქართველობის არისტოკრატიული ფსიქიკისგან გათავისუფლება გ. ქიქოძეს ერთ-ერთ გადაუდებელ ამოცანად ესახებოდა .

გ. ქიქოძე უთუოდ აპელირებდა ფართო და ღრმა აზროვნებისთვის ჩვეული პროგნოსტიკური ფუნქციით, თუმცა ბევრი რამ, რაზედაც ის მიაწინებდა, ვერ შესრულდა. კულტურულმა წყვეტამ, რომელიც დამოუკიდებელი საქართველოს გასაბჭოების შემდეგ მოხდა, საკითხთა მთელი წყება დღის წესრიგიდან ამოიღო. რამდენიმე ათეული წლის შემდეგ, უკვე პოსტსაბჭოურ საქართველოში, ცხადად გამოიკვეთა გ. ქიქოძისა და მისი თანათაობელების ნააზრვის რეტრანლაციის აუცილებლობა. უპირველესი ამოცანა, რომელიც ჯერ კიდევ ელოდება სრულ რეალიზაციას – კულტურული ორიენტაციაა. ეს ვექტორი გ. ქიქოძეს ჯერ კიდევ გასული საუკუნის დასაწყისში ასე ჰქონდა გამოკვეთილი: „...კულტურული ენერგია კაცობრიობას დაავლეთ ევროპიდან ეძლევა. ამიტომ დასავლეთის კარების გაღება უდიდეს საკითხს წარმოაგენს ყოველი თვითშემცნობი და მომქმედი ერისთვის. უამისოდ მის კერას გაციება და სხეულის გაყინვა მოელის... იმედია ქართველი ერიც თავს დააღწევს ვინრო და ნესტიან სენაკს, სადაც ის დიდხანს იყო გამომწყვდეული, და ფართო კულტურულ ასპარეზზე გამოვა...“.

### დამონმებანი

კოდუა 2000: კოდუა ე., გერონტი ქიქოძის ფილოსოფიური და სოციოლოგიური შეხედულებები, თსუ, თბ. 2000

ნინიძე 2014: ნინიძე ქ., ლავრენტი არდაზიანის ცხოვრება და შემოქმედება, კრ. XIX საუკუნის ქართული მწერლობა“, თბ. 2014

ქიქოძე 1919: ქიქოძე გ, ეროვნული ენერგია, თბ. 1919

ქიქოძე 1985: ქიქოძე გ. წერილები, ესეები, ნარკვევები, თბ. 1985

ქიქოძე 2003: ქიქოძე გ. პატარა ერის ხვედრი (შემდგ. მ. ქიქოძე, ლ. ასათიანი, ე. კოდუა), თბ. 2003

ქიქოძე 1956: ქიქოძე გ. მოგონებები; განთიადიდან შუადღემდე, თბ. 1956

ქიქოძე 2002: ქიქოძე გ., გერონტი ქიქოძის ეკონომიკური შეხედულებები, ჟ. ომეგა, 2002, #14

ღამბაშიძე 2010: ღამბაშიძე ლ., არჩ. ჯორჯაძის წერილები, წინასიტყვაობა , თბ, 2003

Бениамин 2004: Бениамин В., Маски времени, Эссе о культуре и литературе, С- Петербург ,2004

Карпи 2012: Карпи Г. Достоевский – Экономист, Москва, 2004

## ეკონომიკური აზროვნების ტრანსფორმაცია ფილიპე გოგიჩაიშვილთან

XX საუკუნის დასაწყისში მსოფლიო გადანაწილებული იყო ევროპის წამყვან კაპიტალისტურ სახელმწიფოთა შორის და დღის წესრიგში იდგა მისი ხელახალი გადანაწილების საკითხი, რადგან ამას მოითხოვდა ზოგიერთი ქვეყნის ეკონომიკური განვითარების აუცილებლობა. იმ პერიოდში ინგლისის კოლონიური იმპერია გადაჭიმული იყო 33598,5 ათას კვ. კმ-ზე, სადაც ცხოვრობდა 393831,9 ათასი კაცი; საფრანგეთი – 10649,8 ათას კვ. კმ-ზე, სადაც ცხოვრობდა 55031,5 ათასი კაცი; ბელგია და ნიდერლანდები ფლობდნენ კოლონიებს, რომლებიც ტერიტორიითა და მოსახლეობით მრავალჯერ აღემატებოდა მეტროპოლიას (*Советская историческая энциклопедия: 527*). გერმანიის ეკონომიკა მოკლებული იყო ნედლეულის წყაროებსა და გასაღების ბაზრებს. უზარმაზარ კოლონიურ იმპერიას ფლობდა რუსეთი. თუმცა რუსეთისათვის ამიერკავკასიას მაინც პირველხარისხოვანი მნიშვნელობა ენიჭებოდა მისი გეოსტრატეგიული მდებარეობის გამო.

XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისში რუსული ნიჰილიზმის წინააღმდეგ და საქართველოს გადარჩენისათვის მეზობლთა შორის მნიშვნელოვანი ადგილი უკავია თბილისის უნივერსიტეტის ერთ-ერთ ფუძემდებელს ფილიპე გოგიჩაიშვილს. მან თავისი სამეცნიერო-პუბლიცისტური მოღვაწეობა დაიწყო 1892 წლიდან, როცა გაზეთ „ივერიაში“, ჟურნალ „მოამბეში“, „კვალში“, გაზ. „ცნობის ფურცელსა“ და „საქართველოს მოამბეში“ ინტენსიურად იბეჭდებოდა მისი სტატიები, ნარკვევები და ფელეტონები,

რომლებიც მიმართული იყო რუსული ცარიზმის წინააღმდეგ. განსაკუთრებით საინტერესოა ფ. გოგიჩაიშვილის კვლევები და პუბლიცისტური წერილები ქართველ და კავკასიელ ხალხთა სამეურნეო საქმიანობის საკითხებზე, ქართველი ერის წარსულისა და მომავალი განვითარების ეკონომიკურ პროცესებზე. მის შრომებში ძირითადად ასახულია მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, ტრანსპორტის, კავშირგაბმულობის, კომუნალური მეურნეობის, ვაჭრობის, ფულის, კრედიტის, ბანკების, საბანკო და საგადასახადო პოლიტიკის, ეკონომიკური თეორიის, სტატისტიკის, ეკონომიკის ისტორიისა და სხვა საკითხები. იგი აშუქებდა საქართველოსა და კავკასიის ქვეყნების საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სახელმწიფოებრივი ცხოვრების პრობლემებს.

ფ. გოგიჩაიშვილის შემოქმედებაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია აგრარული საკითხების, მენარმეობისა და მასთან დაკავშირებული თეორიული და პრაქტიკული საზოგადოებრივ-ეკონომიკური პრობლემების კვლევა, რომელთა შესახებ ჩამოყალიბებულ შეხედულებებს აკადემიკოსმა პაატა გუგუშვილმა „იმდროინდელი ქართული საზოგადოებრივი ცხოვრების ანატომიის გასაღები“ უწოდა. იგი იკვლევდა არა მხოლოდ საქართველოს, არამედ საერთოდ ამიერკავკასიის ეკონომიკურ ცხოვრებას. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ რეფორმის შემდგომი პერიოდის ფეოდალური მინათმფლობელობის რღვევა ამიერკავკასიაში სწრაფი ტემპით მიმდინარეობდა. თუმცა XX საუკუნის დასაწყისშიც ფეოდალურ-მემამულური საადგილმამულო საკუთრება იმდენად ძლიერი იყო, რომ იგი ინარჩუნებდა გაბატონებულ მდგომარეობას.



„ერი ვერ განვითარდება და ვერ აღორძინდება, თუ უდიდესი ნაწილი ამ ერისა მუდამ სიღარიბეში იღრჩობა და მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების მხრით თავისთვის ადამიანური ცხოვრება ვერ შეუქმნია. მთელი ერის ძალა და მერმისი ამ მშრომელი ხალხის ხარჯვა-შრომაზეა დაფუძნებული და მისი ინტერესების უარყოფა მთელი ერის უარყოფას და განწირვას ნიშნავს. „ნაციონალური უფლებებისათვის“ მეზრძოლადაც სწორედ ეს ხალხი გამოდის და არა ის „კობტად ჩაცმული, ჯიბე-სქელი, კუჭმაძლარი მოღვაწეები“ (გოგიჩაიშვილი 1974:7).

ფილიპე გოგიჩაიშვილი თავის პუბლიცისტურ სტატიაში „ჩვენ და ცხოვრება“ კარგად აყალიბებს საქართველოს ეკონომიკური ჩამორჩენილობის განმაპირობებელი ეროვნული ცნობიერების ასპექტებს. ქართველობის ეკონომიური საკითხის მთავარი მხარე ის კი არ არის, რომ ჩვენ ღარიბები ვართ, \_ ეს დღეს ყველასთვის ცხადია, \_ არამედ ის, თუ რატომ ვართ ღარიბები, \_ ღარიბები არა როგორც კერძო ადამიანები, ან სოციალური კლასები, არამედ როგორც ხალხი, როგორც ეთნოგრაფიული ანუ ნაციონალური ერთეული, \_ როგორ უნდა დავაღწიოთ თავი ჩვენს საერთო ეკონომიურ სიბეჩავს. „ჩვენს ეკონომიურ სისუსტეს მრავალგვარი მიზეზი და საფუძველი აქვს, მაგრამ თუ მათ სათითაოდ დავაკვირდებით, დავინახავთ, რომ თითქმის ყველა ამ კერძო მიზეზებს ერთი მთავარი, ფართო შინაარსისა და უფრო ზოგადი მნიშვნელობის გარემოება შეიცავს. ეს გარემოება არის შემდეგი: ქართველობა, თავის პრაქტიკულ საქმიანობითა და შინაგანი პსიხიკით, დღესაც ვერ შეწყობია და ვერ შეგუებია თანამედროვე მოქალაქეობრივ ანუ კაპიტალისტური ცხოვრების აზრსა და მოთხოვნილებას. წესი ჩვენი საქმიანობისა და ხასიათი პსიხიკისა იმგვარია, რომ სრულე-

ბით არ შეესაბამება კაპიტალისტურ დროის არც საქმიანობასა და არც პსიხიკას“ (გოგიჩაიშვილი 1905).

დღეს ჩვენ მაინც ძველებური აზროვნება გვაქვს შენარჩუნებული. ქართველი ფულს უცქერის არა როგორც კაპიტალს, არა როგორც ალებმიცემობის საშუალებას და ქონების გაზრდა-გადიდების საშუალებას, არამედ როგორც დასახარჯ ქონებას.

აგრარული საკითხებიდან ფ. გოგიჩაიშვილის კვლევის საგანი იყო მიწათმფლობელობა და მიწათსარგებლობა საქართველოსა და კავკასიაში. ამ საკითხებზეა დაწერილი ვრცელი ნარკვევები: „ეკონომიკური წერილები“, „კერძო და საზოგადოებრივი ცხოვრება“, „ჩვენი ხალხი და ქართული პროგრესის მოვალეობა“, „შინაური მიმოხილვა“, „ჩვენი ეკონომიკური გაჭირვება და სხვა.

ფ. გოგიჩაიშვილი იკვლევდა არა მხოლოდ საქართველოს, არამედ მთელი ამიერკავკასიის ეკონომიკურ ცხოვრებას, კერძოდ, აგრარულ ურთიერთობათა საკითხებს. ამიერკავკასიაში მე-20 საუკუნის დასაწყისში ფეოდალურ-მემამულური საკუთრება კვლავ გაბატონებულ მდგომარეობას ინარჩუნებდა. ამიერკავკასიის ხუთივე გუბერნიის (თბილისის, ქუთაისის, ელისავეტპოლის, ბაქოს, ერევნის) მიწების 70,8 % ხაზინისა და კერძომფლობელ მემამულეთა სარგებლობაში იყო. დანარჩენი მიწა, რაც მთელი ფონდის 29,2 %-ს შეადგენდა, მოდიოდა მოსახლეობის ძირითად მასაზე – გლეხობაზე. სახელდობრ, სახაზინო გლეხებს ეჭირათ 23,7%, „დროებით ვალდებულთ“ – 1,4% და მემამულეთა მიწებზე მჯდარ გლეხებს – 3,9%. საქართველოში კერძო მფლობელთა დიდი უმრავლესობა წვრილ მემამულეებს წარმოადგენდა. საქართველოში 11.864 წვრილ თავადაზნაურულ მემამულეს ეკუთვნოდა 305 ათასი დესეტინა მიწა,



ხოლო 671 მსხვილ მემამულეს – 570 ათასი დესეტინა. ამავე დროს 33 უმსხვილეს მემამულეს, რომელთა მფლობელობის მოცულობა 6.000 დესეტინას აღემატებოდა, ეკუთვნოდა 824 ათასი დესეტინა, ე.ი. თითქმის იმდენი, რამდენიც მთელ დანარჩენ თავადაზნაურობას, რომელთა რაოდენობა 12.535 შეადგენდა. აქედან ჩანს, რომ ადგილ-მამული საქართველოს თავადაზნაურობას შორის არათანაბარზომიერად იყო განაწილებული (გუგუშვილი 1973: 58-62).

ბატონყმობის გადავარდნის შემდგომ პერიოდში, რომელიც ასახავს ქართველი ხალხის გულგატეხილ ბრძოლას ეროვნული ტრადიციების აღსადგენად, გამოკვეთილია სამი ძირითადი მომენტი: 1. მოსახლეობის ემიგრაცია საბედისწერო გახდა. „საქართველოში, დაუსახლებელი შავი ზღვის პირის (ჩერნომორიის) გუბერნიაშიც არ აძლევენ ნებართვას თავისუფალ ადგილებზე დასახლდნენ და მეურნეობა მოაწყონ. თუმცა ეს გუბერნია თავისი ნიადაგითა და ჰავით გადმოსახლებული რუსი გლეხებისათვის შეუფერებელი აღმოჩნდა, მეგრელებს და საზოგადოდ ქართველებს მაინც აქ გზა არ აქვს და ამით მოკლებულია თავის მდგომარეობის გაუმჯობესების საშუალებას. ამ გარემოების შედეგია ის, რომ ხსენებულს გუბერნიაში ქართველები მელაღეები არიან რუს გლეხებისა“ (გოგიჩაიშვილი 1974: 235); 2. ჩვენმა ხალხმა ვერ დაიცვა „ქართული მამულის როლი“. საბოლოოდ დაიშალა მართლმადიდებლური სამონასტრო მეურნეობა, რომელსაც შეეძლო ეროვნული სული ჩაედგა ადგილობრივი მინათმოქმედებისათვის; 3. აღორძინდა კოლონიური დიქტატი. „ქართველისთვის მიწა უკვე მარჩენალი აღარ არის“ (გოგიჩაიშვილი 1974: 138).

როგორც პროფესორი ო. სალარეიშვილი აღნიშნავს: მრავალ მანკიერებათა შორის განსაკუთრებით მომაკვდი-

ნებელი იყო „არაქართველ მინათმფლობელთა მომრავლება“, რომლის გამო ერის გამაერთიანებელი ძალები დაიქსაქსა და ურთიერთგაუტანლობამ მწვანე გზა გაუხსნა აგრესორებსა და სეპარატისტებს. (სალარეიშვილი 2003: 15). იმდროინდელი საქართველოს სოფლის მეურნეობაში არსებული საზოგადოებრივ-ეკონომიკური ვითარება კოლონიურ რეჟიმზე იყო დამყარებული. ქართველი გლეხისათვის სოფლის მეურნეობა არ იყო შემოსავლის წყარო, რაც გახდა მამაპაპური ტრადიციების მივიწყების საფუძველი. კონკურენცია, სამეურნეო თავისთავადობისთვის ბრძოლა, მიწების ხელში ჩაგდება, სავარგულების თავმოყრა უმცირესობის ხელში, უმრავლესობის გასვლა სოფლიდან მიმდინარეობდა ერის ინტერესების საწინააღმდეგოდ. რაც იმაზე მიუთითებდა, რომ სოფლის მეურნეობა საქართველოში ვითარდებოდა კოლონიური რეჟიმით, არა ეროვნული ბურჟუაზიის დამკვიდრებით, არამედ სხვა ერების მეთვალყურეობით. ქართველი გლეხობა არა თუ ქონებრივ უთანასწორობას განიცდიდა, არამედ მისი გამოდევნა ხდებოდა სოფლის მოსახლეობიდან.

ფ. გოგიჩაიშვილის შეხედულება აღნიშნულ საკითხზე გადმოცემულია ნაშრომში „საქართველოს მცხოვრებთა დაყოფა ეროვნების მიხედვით“, სადაც იგი გლეხის „გაორებაზე“ მიუთითებს. რაც იმას გულისხმობს, რომ გლეხი წლის გარკვეულ პერიოდში მიწაზე მუშაობს, ხოლო უმეტეს პერიოდს „საშოვარზე“ გადის, რადგან სოფლის მეურნეობიდან მიღებული შემოსავალი მას არსებობის საშუალებას არ აძლევს. ანუ „საშოვარზე“ გასული გლეხობა წარმოშობს მოსახლეობის ორ ახალ ტიპს: პირველი ტიპია მკვიდრი მოსახლეობის მიერ მამაპაპისეული სავარგულების „მიმტოვებელი“, რამაც გააძლიერა საქალაქო მეურნეობა. მეორე

ტიპია მათ ადგილზე წარმოშობილი არაქართველი „მინათ-მფლობელები“. რიცხობრივად პირველი ტიპი სჭარბობს მეორეს, თუმცა ეს თანაფარდობა განსხვავებულია. აღმოსავლეთ საქართველოში იგი 40%-ს აღემატებოდა, დასავლეთში კი – 20-25%-მდე მერყეობდა (გოგიჩაიშვილი 1974: 337). „მამაპაპურ სავარგულთა მიმტოვებელნი უმინანყლონი ხდებიან, მაგრამ ისინი ორიენტირებულნი არიან არა მენარმეობაზე, ან ახალი დარგების განვითარებაზე, არამედ ქვეყნის დატოვებაზე.

იმდროინდელი საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა, რომელიც რუსეთის კოლონიურ რეჟიმზე იყო დამყარებული, ქართველი გლეხისთვის არ იყო შემოსავლის წყარო, რაც მამაპაპური ტრადიციების მიზნების საფუძველი გახდა. კონკურენცია, სამეურნეო თავისთავადობისთვის ბრძოლა, მიწების ხელში ჩაგდება, სავარგულების თავმოყრა უმცირესობის ხელში, უმრავლესობის გასვლა სოფლიდან მიმდინარეობდა ერის ინტერესების საწინააღმდეგოდ. დღევანდელ საქართველოშიც მიგრაციის გამომწვევი მიზეზები, ძირითადად, ეკონომიკური ხასიათისაა. ქვეყანაში შემოსავლიანი სამუშაო ადგილების სიმცირე, ნაკლებხელსაყრელი სამენარმეო გარემო, უმუშევრობა აიძულებს ადამიანებს საარსებო სახსრები ქვეყნის ფარგლების გარეთ ეძიონ. „მსოფლიო გამოცდილებით დადასტურებულია, რომ მეცნიერულად დასაბუთებულ და გონივრულად გატარებულ სახელმწიფო დემოგრაფიულ პოლიტიკას თვალსაჩინო წვლილის შეტანა შეუძლია მოსახლეობის კვლავწარმოების ნეგატიური ტენდენციების განმსაზღვრელი მიზეზების აღმოფხვრასა და ვითარების ნორმალიზებაში“ (ა. თვალჭრელიძე, ა. სილაგაძე, გ. ქეშე-

ლაშვილი, დ. გეგია 2011: <http://www.nplg.gov.ge/gSDL/cgi-bin/library.exe>).

ფილიპე გოგიჩაიშვილის შრომებში არ მოიპოვება ზუსტი სტატისტიკური ინფორმაცია, საქართველოდან ქართველთა გადინების შესახებ. მაგრამ სხვადასხვა ინფორმაცია მთის ზონების დაცარიელების, საგარეუბნო ზონების „ურბანიზაციის“ და ქვეყნის სანედლეულო ბაზის“ დანამატად გადაქცევის შესახებ მეტყველებს იმაზე, რომ გლეხობა იძულებული იყო სამეურნეო პროცესების საპირისპირო მხარეს ემოძრავა. ემიგრაციის გაძლიერება ხელს უწყობდა ეროვნული „ფუძის“ მოშლას, რაც კოლონიური რეჟიმის მიზანს წარმოადგენდა. აღნიშნული პოლიტიკის გავლენა საქართველოში დღესაც გრძელდება.

ფ. გოგიჩაიშვილი 1904 წელს ჟურნალ „მოამბეში“ გამოქვეყნებულ კვლევაში „ჩვენი ეკონომიკური გაჭირვება“ მიუთითებდა: „სასოფლო მეურნეობაში მიწა არის უმთავრესი სახსარი წარმოებისა. ამიტომ მეურნესთვის იგი არსებობის მთავარ წყაროს შეადგენს. მიწის ნაყოფით მან უნდა დაიკმაყოფილოს ყველა თავისი მოთხოვნილებანი, უნდა ირჩინოს თავი, გადაიხადოს სახელმწიფო თუ საზოგადო გადასახადი და აწარმოოს თავისი მეურნეობა. ხალხის მოთხოვნილება ყოველთვის ერთ დონეზე არა დგას, იგი ყოველთვის იცვლება და ვითარდება. ერთის მხრით მიმოსვლის გაადვილებისა და მეორე მხრით ვაჭრობისა და ხელოსნობის გავრცელების გამო ხალხი ეცნობა ყველა იმ ნაწარმოებთ, რომელნიც თანამედროვე კულტურას წარმოადგენენ და ეჩვევა კიდევ თანდათან იმათ ხმარებას. მას უჩნდება ბევრი ახალი კულტურული მოთხოვნილებანი, რომლებიც ძველად არ იყო და ამიტომ არც დაკმაყოფილებას საჭიროებდა. დღეს კი მეურნემ ყველა ამათ ანგარიში

უნდა გაუწიოს და დააკმაყოფილოს. და ამის შესრულებას იგი მხოლოდ მაშინ შეძლებს, როცა მინა საკმაოდ აქვს, როცა მინის მოსავალი ჰყოფნის ხარჯების დასაფარავად... მაგრამ საქმეც ისაა, რომ მოთხოვნილებები გამრავლდა, თორემ მინას არც სივრცით უმატნია და არც თავისი ნაყოფიერებით. თუ აქა-იქ გლახობამ თავადაზნაურებისაგან მამულეები შეიძინა, სამაგიეროდ ხალხი იმდენად გამრავლდა, რომ ამ შენაძენს ბევრად გადააჭარბა, ასე რომ დღეს ჩვენში მინის საშინელი სიღინროეა“ (გოგიჩაიშვილი 1904: 64-65).

ფ. გოგიჩაიშვილი მიუთითებდა რუსეთის კოლონიური რეჟიმის ბატონობის შედეგად გამოწვეულ სურსათის დეფიციტზე, კაბალების ახალი ფორმების გაჩენაზე და გლახობა გაჩანაგებაზე. რუსეთის აგრარული პოლიტიკა ძირს უთხრიდა ეროვნულ მეურნეობას. იმ დარგებში მუშაობით, როგორც იყო მებამბეობა, მეთამბაქოეობა და ა. შ. გლახობა უფრო მეტ შემოსავალს ღებულობდა, ვიდრე იმ დარგებში, როგორცაა სიმინდის ნარმოება, მებოსტნეობა, მეცხოველეობა და ა.შ. მაგრამ აქედან მიღებული შემოსავლის დიდი ნაწილი მეტროპოლიური სახელმწიფოს ხელში გადადიოდა. რაც ეროვნული მეურნეობის მნიშვნელობის თანდათანობით დაკარგვაზე მიუთითებდა. გლახობა მონაწილეობა „კოლონიური მინათსარგებლობის პროგრესში“ აუარესებდა საქართველოს მოსახლეობის მდგომარეობას და საბოლოოდ მათ ემიგრაციისკენ მიერეკებოდა. კოლონიური დარგების წინ ნამონევა იწვევდა გაცვლას არა მხოლოდ მინათმოქმედებასა და მრეწველობას შორის, არამედ სავაჭრო მინათმოქმედების სხვადასხვა სახეს შორისაც (ბამბის გაყიდვა და პურის ყიდვა, თამბაქოს გაყიდვა, რძის პროდუქტების ყიდვა და ა.შ.), მაგრამ ზემოაღნიშნული

დარგების განვითარება არ იწვევდა საშინაო ბაზრის როლის ზრდას და მინათმოქმედების სპეციალიზაციას. ბამბის თესვა თბილისის გუბერნიაში 40 ათას ჰა-ს აჭარბებდა, მოსავალი კი-400 ათას ტონამდე აღწევდა. სოფლის მეურნეობის შემოსავალი ამ დარგიდან ბევრად ნაკლები იყო, ვიდრე მებოსტნეობიდან, ანდა მერძევეობიდან. ამის მიზეზი მინის მაღალი საიჯარო განაკვეთები და მაღალი გადასახადები იყო. ფ. გოგიჩაიშვილი მიუთითებდა, რომ თბილისის ბაზრებზე ყოველწლიურად 40 ათას ფუთზე მეტი ბოსტნეული იყიდებოდა, მაგრამ მისი დიდი ნაწილი სხვა ქვეყნებიდან იყო შემოტანილი.

ამრიგად, ფ. გოგიჩაიშვილის ნაშრომებში ნაჩვენებია, რომ კოლონიური დარგების განვითარებამ საქართველოში არ გამოიწვია საშინაო ბაზრის ზრდა. ვერ განხორციელდა მინათმოქმედების სპეციალიზაცია, მაგრამ გაძლიერდა ქართული აგრარული მოსახლეობის ემიგრაცია და ეროვნული მეურნეობის დეგრადაცია. რუსეთის კოლონიური რეჟიმი საქართველოში აფართოებდა და ამწვავებდა სოფლის მეურნეობაში ამ რეჟიმისთვის დამახასიათებელ წინააღმდეგობებს და საბოლოოდ, ძირი გამოუთხარა ქართულ ეროვნულ მეურნეობას.

ფ. გოგიჩაიშვილი სოფლის მეურნეობასთან ერთად მრეწველობასაც იკვლევდა. მისი ნაშრომი „ხელოსნობა საქართველოში“ 1901 წელს გერმანულ ენაზე გამოვიდა ქ. ტიუბინგენში. აღნიშნულ ნაშრომში დახასიათებულია ქართული საოჯახო სამრეწველო საქმიანობის მდგომარეობა საქართველოში. საოჯახო სამრეწველო საქმიანობა (ხელოსნობა) მიმდინეობდა გლახის ოჯახში ნედლეულის გადამამუშავებით. ხელოსნობა მიდინარეობდა მომხმარებლის დაკვეთით. ხელოსნის შრომის ანაზრაურება ხდებოდა ჯერ

ნატურით, ხოლო შემდგომში ფულით. ამ ფორმას ფ. გოგიჩაიშვილი საფასო ხელოსნობას უწოდებდა. საქართველოში ხელოსნობა ერთდროულად წარმოიშვა როგორც სოფლად, ისე ქალაქად. სოფლის მოსახლეობის ნაწილი ეუფლებოდა ტყავის დამუშავებას, მეთუნეობას, სამჭედლო საქმეს, ღებავდა ქსოვილს, ფქვავდა მარცვალს. ხელოსნობის გაფართოება მოასწავებდა კაპიტალიზმის განვითარების საწყის ეტაპს, რაც ორგვარად მიმდინარეობდა: ერთი მხრივ, გლეხთა გადასახლებით მშობლიური კერიდან ქალაქებსა და უცხოეთში, მეორე მხრივ, ახალი სარეწების გაჩენით ძველის შეზღუდვის პარალელურად. მაგრამ „ახალ საწარმოთა დამაარსებლები ხშირად უცხოელები არიან: გერმანელები, ბელგიელები, ფრანგები, რომელნიც, როგორც კაპიტალისტები, სათანადო ცოდნით არიან აღჭურვილნი“ (გოგიჩაიშვილი 1976:149). ქართველი გლეხი-ხელოსანი მეტოქეობის გაძლიერებასთან და კაპიტალისტური ფაბრიკის ზრდასთან ერთად მიდის ქალაქად, ქვეყნის ფარგლებს გარეთ, სადაც ხელოსნები ჯერ კიდევ ცოტანი არიან, „საშოვარი“ მეტია და ცხოვრება უფრო იაფია. ასე იჭრებოდა კაპიტალისტური ურთიერთობა საქართველოში.

საწარმოთა მასშტაბის ზრდასთან ერთად იზრდებოდა შრომის მწარმოებლურობაც. მსხვილ საწარმოთა მიერ გამოშვებული პროდუქცია დროის ერთეულში გაცილებით მეტია ვიდრე წვრილი საწარმოებისა. კერძოდ, მსხვილ საწარმოებში ეს მაჩვენებელი 40-60%-ით მეტია. სხვაგვარად წარმოუდგენელიც იყო, რომ მსხვილ სახელოსნოებში, სადაც გაცილებით მეტი მუშახელია მოქცეული, ვიდრე წვრილებში, კოოპერაციის ფართო მასშტაბით გამოყენებას არ შეიძლებოდა გავლენა არ მოეხდინა შრომის მწარმოებლურობის ზრდაზე. ფ. გოგიჩაიშვილი აღნიშნავს, რომ წვრილ

საწარმოს არა აქვს ხელსაწყოთა სრული შემადგენლობა. იგი იზულებულია შეზღუდოს გამოსაშვები საქონლის ასორტიმენტი. ნედლეულის ყიდვა მას უფრო ძვირი უჯდება, მაგრამ იძულებულია იაფად გაყიდოს საქონელი იმიტომ, რომ მას ფული ესაჭიროება. ფ. გოგიჩაიშვილი მიუთითებდა, რომ ეს პროცესი მიმდინარეობდა ეროვნული ეკონომიკის საპირისპიროდ, სულერთია ამ უკანასკნელს შეუძლია თუ არა სამუშაო ადგილების ზრდა. როგორც კოოპერაციის საშუალებით გადიდებული საზოგადოებრივი საწარმოო ძალა შრომის კაპიტალი საწარმოო ძალად გვევლინება, ისე კოოპერატორთა, განცალკევებულ დამოუკიდებელ მუშაკთა, ან წვრილ მესაკუთრეთა საქმიანობა გვევლინება ეროვნული ეკონომიკის შემზღუდავ ძალად. ესაა ძირითადი ცვლილება, რასაც განიცდის მეტროპოლიის დანამტად ქცეული ნებისმიერი ქვეყანა, ამ შემთხვევაში საქართველო.

წვრილ მწარმოებელთა რიცხვის ზრდამ საქართველოში განსაკუთრებული შემსყიდველები წარმოშვა, რომელთა ძირითადი სამეურნეო ოპერაცია მდგომარეობდა იმაში, რომ საქონელს გასაყიდად ყიდულობდნენ. ამიტომ შემსყიდველი სავაჭრო კაპიტალის მფლობელი ხდებოდა. წვრილ მწარმოებელს საქონლის გასაყიდად კავშირის დამყარება უხდებოდა მევახშესთან და საგირავნოდ მიწას იყენებდა. ამ ფორმით ქართველთა მამულების დიდი ნაწილი არაქართველ მევახშეთა ხელში ექცეოდა.

ფ. გოგიჩაიშვილი ახასიათებდა იმ ძირითად ფორმებს, რომლებსაც სავაჭრო კაპიტალი და მევახშეობა იღებდა. ყველაზე მარტივი ფორმა იყო ვაჭრის მიერ ხელოსნისგან საქონლის ყიდვა. თუ ადგილობრივი შემსყიდველი ერთადერთი იყო, ვისთვისაც ხელოსანს ნაწარმის მიყიდვა შეეძლო, მაშინ შემსყიდველი სარგებლობდა მწარმოებელთან

ფასის შეცირების უპირატესობით. აქ წარმოიშვა სავაჭრო კაპიტალის მე-2 ფორმა – მისი შეერთება მევახშეობასთან: გლეხი, რომელსაც ფული სჭირდებოდა, სესხად იღებდა შემსყიდველისგან ფულს და შემდეგ ვალში აძლევდა თავის საქონელს. ამ შემთხვევაში საქონლის გასაღება ხდებოდა ხელოვნურად შემცირებულ ფასში, რაც განაპირობებდა გლეხის მონყვეტას მინათმოქმედებისაგან. მე-3 ფორმა იყო ნაწარმში ანგარიშის გასწორება საქონლით, რაც საქართველოში გავრცელებული ფორმა იყო. სავაჭრო კაპიტალის მე-4 ფორმა არის ვაჭრის მიერ ანგარიშის გასწორება იმ საქონლით, რომელიც სჭირდება შინამრეწველს. ეს წინგადადგმული ნაბიჯი იყო კაპიტალიზმის განვითარებაში.

პროფესორი ო. სალარეიშვილი აღნიშნავს, რომ სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის შეერთება მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ეროვნული ეკონომიკის აღორძინებაში, მაგრამ „რუსული კაპიტალიზმის“ შემოჭრა საბოლოოდ ასამარებდა მას. მრეწველობის განცალკევება მინათმოქმედებისაგან ხდებოდა ყოველგვარი ეროვნულის აღკვეთით და გაჭირვება აიძულებდა საქართველოს მკვიდრს მიწასთან ერთად დამოუკიდებელი სარენიც მიეტოვებინა (სალარეიშვილი 2003: 38).

ფ. გოგიჩაიშვილი მიუთითებდა, რომ საქართველოსთვის კაპიტალიზმის განვითარების ტემპზე უფრო მნიშვნელოვანი იყო, თუ როგორი იყო წინაკაპიტალისტური წყობილება, ხომ არ ხდებოდა მისი ყალბი იდეალიზაცია. ყოველი მსხვილი სანარმო, რომელიც სიცოცხლისუნარიანი იყო XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისში, არაქართველთა ხელში იყო. საბაზრო მეურნეობის ნაცვლად საქართველოში XX საუკუნის პირველ ნახევარში დარჩა წმინდა „რუსული კაპიტალიზმი“, რომელიც ხელოვნურად ამწყ-

დევდა „ქართულ პროვინციას“ ეკონომიკური დამოკიდებულების მარწმუნებში. ფულის გაფეტიშება ამკარა იყო როგორც მეტროპოლიაში, ისე პროვინციებში. მაგრამ სრულყოფილებას იგი აღწევდა მსხვილ მანქანურ მრეწველობაში, რასაც მოკლებული იყო საქართველო. ამ თვალსაზრისით იხილავდა ფილიპე გოგიჩაიშვილი იმ ძვრებს, რომელსაც ადგილი ჰქონდა XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისის საქართველოში. სანინაალმდეგოდ მოაზროვნეებს იგი უწოდებდა „გულუბრყვილო მეოცნებეებს“, ან აგრარირების იდეოლოგებს“ (გოგიჩაიშვილი 1993: 118).

ამრიგად, ფ. გოგიჩაიშვილი თავის პუბლიცისტიკაში აყალიბებდა საქართველოს ეკონომიკური ჩამორჩენილობის განმაპირობებელ ძირითად მიზეზებს, რომელიც რუსეთის კოლონიური რეჟიმით იყო გამოწვეული. კავკასიის ქვეყნებში და მათ შორის საქართველოშიც სოფლის მეურნეობის განვითარება მიმდინარეობდა არა ეროვნული ბურჟუაზიის დამკვიდრებით, არა კაპიტალიზმის გზით, არამედ სხვა ერების „მეთვალყურეობის“ ქვეშ, რამაც საბოლოოდ ძირი გამოუთხარა ქართულ ეროვნულ მეურნეობას.

### დამონმებანი

ა. ბენდიანიშვილი, ა. დაუშვილი, მ. სამსონაძე, ხ. ქოქრაშვილი, დ. ჭუმბურიძე, ო. ჯანელიძე, 2008: ა. ბენდიანიშვილი, ა. დაუშვილი, მ. სამსონაძე, ხ. ქოქრაშვილი, დ. ჭუმბურიძე, ო. ჯანელიძე, რუსული კოლონიალიზმი საქართველოში, თბ., 2008

გოგიჩაიშვილი 1904: გოგიჩაიშვილი ფ., ჟ. მოამბე, 1904,#1



## მხატვრული და ეკონომიკური დისკურსის კორელაცია „ჭაყოს ხიზნების“ მიხედვით

არსებობს საკმაოდ მივიწყებული საუბრის ჩანაწერი მიხეილ ჯავახიშვილსა და მწერალ დავით კასრაძეს შორის. ეს არის უაღრესად ცოცხალი, ალუზიური ტექსტი, რომელშიც მიხეილ ჯავახიშვილის არა მხოლოდ როგორც მწერლის, არამედ როგორც პრაქტიკოს-ეკონომისტის შეფასებაა ასახული. დავით კასრაძე: „როგორც ჩანს, შენ უფრო ფინანსისტი უნდა ყოფილიყავი, ვიდრე ბელეტრისტი. როგორ მოხდა, რომ კაიოს<sup>1</sup> მოპასანობა არჩიე?“ დასმულ კითხვაზე ჯავახიშვილი მთელი სერიოზულობით პასუხობს: „შენ ხუმრობ, მაგრამ ვინ იცის, რა ემჯობინებოდა ჩვენი ქვეყნისთვის“. მწერლის ავტობიოგრაფიაც ადასტურებს ზემო-გამოთქმულ ვარაუდს, რადგან მასში საკმაოდაა წარმოდგენილი, ასე ვთქვათ, არალიტერატურული საქმიანობის ფაქტები: ავიღოთ თუნდაც 1906 წელი. გაზეთ „გლეხის“ რედაქტორობისათვის სამართალში მიცემული და შვეიცარიაში გაპარული მწერალი პარიზში აღმოჩნდება და, როგორც თვითონვე წერს, „სორბონაში ლიტერატურას, ხელოვნებასა და პოლიტიკურ ეკონომიას სწავლობს“. დროის განსაკუთრებული ნიშანი იმაში მდგომარეობს, რომ სწორედ ამ პერიოდში „თერგდალეულთა“ კვალდაკვალ მოსული ახალი თაობა ჯანსაღი პრაგმატიზმის, „პრაქტიკული ცხოვრების ალღოიანობის“ აუცილებლობას განსაკუთრებული სიმწვავეთ გრძნობს. ამიტომაც ფ. გოგიჩაიშვილი ემიგრაციაში მიმავალ ახალგაზრდას საგანგებოდ ურჩევს, დრო უქმად

<sup>1</sup> ჟოზეფ კაიო – საფრანგეთის ფინანსთა მინისტრი

გოგიჩაიშვილი 1905: გოგიჩაიშვილი ფ., ჟ. ივერია, 1905, #32.

გოგიჩაიშვილი 1974: გოგიჩაიშვილი ფ., რჩეული ნაწერები, ტ. I, თბ., 1974

გოგიჩაიშვილი 1976: გოგიჩაიშვილი ფ., ხელოსნობა საქართველოში, თსუ, თბ. 1976

გოგიჩაიშვილი 1993: გოგიჩაიშვილი ფ., წერილები, მოგონებები, თსუ, თბ. 1993

გუგუშვილი 1973: გუგუშვილი პ., გამოჩენილი ქართველი ეკონომისტის ფილიპე გაბრიელის ძე გოგიჩაიშვილის ცხოვრება და მოღვაწეობა, ეკონომიკა, V, თბ., 1973

თვალჭრელიძე, სილაგაძე, ქეშელაშვილი, გეგია 2011: ალექსანდრე თვალჭრელიძე, ავთანდილ სილაგაძე, გიული ქეშელაშვილი, დავით გეგია, საქართველოს სოციალურ ეკონომიკური განვითარების პროგრამა, თბ. 2011, <http://www.nplg.gov.ge/gSDL/cgi-bin/library.exe>

სალარეიშვილი 2003: სალარეიშვილი ო., ბურჯი ქართული ეკონომიკური აღორძინებისა, თბ., 2003

Советская историческая энциклопедия, т 7., 1965.

არ დაკარგოს, ჰუმანიტარულ მეცნიერებებს არ ჩაუღრმავდეს და მთელი ენერჯია ეკონომიკის შესწავლას მოახმაროს. იმავე დავით კასრაძესთან საუბარში მწერალი იტყვის: ფილიპე გოგიჩაიშვილმა გამარაცინალისტაო. სხვადასხვა დროს მიხ. ჯავახიშვილი, მართალაც, გვევლინება როსტოვის დამზღვევი საზოგადოების საოლქო ინსპექტორად; ამავე საზოგადოების რწმუნებულად ამიერკავკასიაში; ნითელი ჯვრის საზოგადოების ინტენდანტად; სავაჭრო-სამრეწველო პალატის ერთ-ერთ დამფუძნებლად; ამიერკავკასიის საგარეო ვაჭრობის საფინანსო ეკონომიკური და სალიცენზიო განყოფილების გამგედ; თუმცა სოციალური რევანშის ეპოქაში ინტერესთა ფართო წრე, მაღალი პროფესიონალიზმი და ღრმა აზროვნება არა პატივისცემას, არამედ ეჭვს იწვევდა. ბოლოს ყველაფერი დაახლოებით ისე დამთავრდა, როგორც რომანში „ჯაყოს ხიზნები“ – მნიგნობარი თეიმურაზ ხევისთავი, რომელიც ვაჭრობასა და ფინანსებშიც ერკვეოდა, ჯაყოს დახლიდარობისთვის გაინირა...

მიხ. ჯავახიშვილის ეკონომიკური დისკურსი ილია ჭავჭავაძის „მოდერნიზატორული პროექტის“ შემადგენელი ნაწილია, მხოლოდ მისი რეალიზაციის გადამწყვეტ ფაზაში, დროის ახალ განსხვავებულ კონტექსტში. ის, რასაც თანამედროვე ილიალოგები „ლიტერატურის ნიაღში ახალი საქართველოს შექმნის პროცესს“ უწოდებენ, XX ს.აუკუნის დასაწყისში რამდენადმე კორექტირებული სახით წარმოუდგა ევროპის უნივერსიტეტებში განათლებამიღებულ ახალგაზრდობას, რომელსაც ილიას კვალში დგომა ხშირად გადაულახავი პასუხისმგებლობის წინაშე აყენებდა. არჩილ ჯორჯაძე, გერონტი ქიქოძე, მიხეილ ჯავახიშვილი, რევაზ გაბაშვილი, სამსონ ფირცხალავა და სხვები მიუხედავად

„თერგდალეულთა“ მიზნებისა და ამოცანების რამდენადმე განსხვავებული შეფასებისა, ზოგჯერ კი მათი იდეების რეცესიის მცდელობისა, ერთიანნი იყვნენ თვით ეკონომიკური ურთიერთობის ეროვნული და პოლიტიკური ცხოვრების საძირკვლად აღიარებისას. საკითხები, რომელიც მთელი სიმწვავით დაისვა პუბლიცისტიკაში ეკონომიკას, როგორც კულტურის ფორმას, განიხილავდა და მას ახალი ქართველის თვითდადგენის, თვითრეალიზაციის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს კომპონენტად მიიჩნევდა. მათი ნაწილი თავის დროზე ილიას შემოქმედებაში აისახა. მაგ. მამული, როგორც ეკონომიკური ფაქტორი და როგორც მეტაფორა; ცოდნისა და რწმენის მორიგება სეკულარიზაციის კონტექსტში; რაინდზე ვაჭრის გამარჯვების კანონზომიერება ანუ ხმლისა და ფულის ანტინომია; ქალაქი და სოფელი – თეზა და ანტითეზა; ეროვნული და კაპიტალისტური ეთოსის მორიგება; აქტიური ხასიათის, იგივე ფუნქციური ადამიანის, აუცილებლობის სტიმულირება და სხვა. თუმცა სწრაფვა „ფაქიზი ბალანსისაკენ“ (კახა კაციტაძე) პროგრესისტულ იდეებსა და მყარ ფასეულობებს შორის, რომლითაც ილიას სტრატეგია გამოირჩეოდა, ახალ საუკუნეში უფრო ხისტი და პირდაპირი ხდება. ეს ცლილება, უპირველეს ყოველისა, თავად მიხ. ჯავახიშვილის მოღვაწეობის ხასიათს შეეხო. ჩვიდმეტი წელიწადი, რომელიც მან მწერლობის მიღმა გაატარა და სწორი კულტურულ-პოლიტიკური ორიენტაციის დეტერმინირებას მოახმარა, ნათლად ცხადყოფს არა მარტო საზოგადოებრივ ცხოვრებაში არსებული დაპირისპირების ხარისხს, არამედ კონკრეტული ისტორიული მომენტის მნიშვნელობას.

კულტურული იდენტობის პრობლემა, რომელიც ილიამ და მისმა თაობამ „ახალი ისტორიული კონტექსტის შექმ-

ნამდე“ გააფართოეს, მიხ. ჯავახიშვილთან უფრო მეტად დეტალიზებული და აქტივიზებულია. ერთ-ერთ პუბლიცისტურ წერილში „პატარა კაცის პატარა ფიქრები“ (1906 წ.) თბილისში სტუმრად მყოფი უცხოელი (სხვათა შორის, ეროვნებით პოლონელი), რომელიც ყველა ნიშნით, ავტორის „ალტერ ეგოა“, რეალობის კონდენსირებულ სურათს ასე წარმოგვიდგენს: იგი ხედავს, რომ ქართული კულტურა ცარისტული რუსეთიდან შემოსულ კულტურას დაუმარცხებია, თან ქართველთა აქტიური ხელშეწყობით. საჭიროა არა მისი აღდგენა, არამედ ახლის შექმნა – „მაგრამ ვინ უნდა შექმნას ეს კულტურა, ეს წყარო, ეს ადგილობრივი ცხოვრება?“ – სვამს კითხვას იდუმალი პოლონელი და ადეკვატურ პასუხსაც იძლევა: „მას ვერ შექმნის ვერც თქვენი გამყიდველი თავადაზნაურობა (ძალა, რომელიც ასე ეიმედებოდა ილიას – ნ.კ.), ვერც თქვენი რადიკალური ინტელიგენცია და ვერც სოციალისტური მუშა ხალხი. არა მგონია, მოიძებნოს სადმე ცოტად თუ ბევრად შეგნებული კაცი, რომელმაც არ აღიაროს, რომ თანამდროვე კულტურას აშენებს და ქმნის მხოლოდ მესამე ელემენტის განვითარება, მხოლოდ ვაჭრობა და მრეწველობა“... (ჯავახიშვილი 2001:246) თავადაზნაურობის შესახებ ჯავახიშვილს „ჯაყოს ხიზნების“ შექმნამდეც ჰქონდა გამოთქმული უკომპრომისო შეხედულებები. მაგ: „ათიოდე თავადიშვილმა უფრო მეტად აზარალა საქართველო ეკონომიურად და პოლიტიკურად, ვიდრე ალა-მაჰმად ხანმა...“ თუმცა აქ თვითკორექცია გახდა საჭირო, რადგან მალე მიხვდა, რომ სოციალ-დემოკრატიული იდეებით მონამლულ ატმოსფეროში ჯანსაღი კრიტიკა მიზანს შორდებოდა კლასობრივი ბრძოლისკენ მონოდებად აღიქმებოდა. რაც შეეხება ილიას მიერ თავის დროზე აღმოჩენილ დისპროპორციას რაინდსა და ვაჭარს ან მრეწველს

შორის, მიხ. ჯავახიშვილისთვის აქ ქართული კულტურულ-ისტორიული რეალობის გათვალისწინებით, კონსესუსური ფორმულა აღმოჩნდა მისაღები. „ვამ, იმ ხალხს, ვინც მხოლოდ ვაჭრობს და ვუი, იმას, ვინც მხოლოდ რაინდობს“. გავიხსენოთ, როგორ მოსაზრებას გამოთქვამს ამ საკითხთან დაკავშირებით თავადი – მნიგნობარი თეიმურაზ ხევისთავი, XX ს. დასაწყისის არისტოკრატიული წარმოშობის ქართული ინტელიგენციის წარმომადგენელი: „...ქეჩოდან მოყოლებული ფეხის ფრჩხილამდე აზნაურები ვართ... ყველა შრომას გაურბის... ქართველს სულივით უყვარს ფული, მაგრამ უძირო სიყვარულით სძულს და ეზიზღება ფულიანი კაცი, ესე იგი, ფულის შოვნის ხერხი, ესე იგი, ვაჭრობა და მრეწველობა. ხოლო, ვაჭრობისათვის და მრეწველობისათვის საჭიროა დიდი თაოსნობა, გარჯა და მომჭირნეობა, ესე იგი, ორის შოვნა და ერთის დახარჯვა. ესე იგი, თავდაჭერილი, დინჯი და ანგარიშიანი ცხოვრება, სულისა და ხორცის დისციპლინა, ესე იგი, შრომა და ნებისყოფა“. და სწორედ აქ გაისმის სერიოზული ბრალდება XIX საუკუნის შუახანების ქართული მწერლობისადმი, რომელმაც ერისთავის, ცაგარელის, ანტონოვის და სხვათა დამხარებით გაამასხარავა ვაჭარი, დათესა ამ საქმიანობის მიმართ ყოველად გაუმართლებელი ზიზღი და შხამი.

განსაკუთრებით საგულისხმო აღმოჩნდა შრომის კულტურის მიმართ მიხ. ჯავახიშვილის მიერ გამოთქმული მოსაზრებანი. ეკონომიკური საკითხებისადამი მიძღვნილ მის პუბლიცისტურ წერილებში ხშირად ფიგურირებს ინგლისი, ბელგია თუ ამერიკა, სადაც სწორედ შრომის სწორი ორგანიზების ხარჯზე გადარჩენილან, სამოქალაქო საზოგადოების მკვიდრი საფუძვლები ჩაუყრიათ. ცხადია, თეიმურაზმაც, რომლის „მსუბუქი კალამი“ ამ თემასაც სწვდებოდა,

კარგად იცის შრომის ფასი, შრომის არა ტანჯვად, არამედ სასიამოვნო მოვალეობად აღქმის მნიშვნელობა. იცის, თუმცა თვითონ ყოფით, ყოველდღიურ საქმიანობაში, სრულ უუნარობას იჩენს. კონტრასტი, რომელიც მთელი რომანის მანძილზე ნაკაცარის თეორიულსა და პრაქტიკულ მომზადებას შორის იგრძნობა, ქართული ინტელიგენციისათვის მწერლის მიერ გამოტანილი ვერდიქტის მხატვრული ტრანსფორმაციის ფორმად აღიქმება, რომელმაც გარკვეულ დრო-სივრცულ არეალში „ჯაყოობის“ შეუცვლელი სტიმულატორის ფუნქცია შეასრულა. სამწუხაროდ, ამ რომანში ოთარაანთ ქვრივისა და მისი მეუღლისათვის დამახასიათებელი შრომის- უნარიანობის, გიორგისათვის კი საბედისწეროდ ქცეული ნამუსიანი გარჯისთვის ადგილი აღარ არის. იგი ბოლშევიკური „ნგრევის შენებას“ ჩაუნაცვლებია, რაც სავსებით ამართლებს ზაზა ფირალიშვილის მოსაზრებას „თათქარიძეობის“ იგივე ცრუსაქმიანობის (არაადეკვატური ილუზორული თვითშეფასებით) მსგავსი თვისებების მქონე სოციალიზმით ჩანაცვლების შესახებ: „თათქარიძეობა სოციალიზმმა ჩაანაცვლა“... (ფირალიშვილი 2005:205). მაშ, სოციალიზმი თუ კაპიტალიზმი? რომელი გზით წავა მრავალტანჯული, მონობისაგან გადაგვარებული ქვეყანა? ილიას დროს ამ კითხვას, ერთი შეხედვით, ნაკლები სერიოზულობით ეკიდებოდნენ. მიხ. ჯავახიშვილი კი თვალნათლივ ხედავს სოციალ-დემოკრატების „მოღვაწეობის“ შინაარსს, იმას, თუ როგორ „მღვრიე ნაკადად შეერივნენ“ ისინი ქართული ცხოვრების რის ვაი-ავლახით დაძრულ მდინარებას და აქცენტს, თავისი დიდი წინამორბედების მსგავსად (ილია, ნიკო ნიკოლაძე, ფილიპე გოგიჩაიშვილი) კერძო საკუთრების ხელშეუხებლობაზე აკეთებს. აქაც იგივე ამბივალენტურობაა: მამული, როგორც ეკონომიკური

ფაქტორი და მამული, როგორც მეტაფორა. თეიმურაზ ხევისთავს არც ერთი განზომილების მიმართ არ გამოუჩენია თავდადება, არ ჩაბლაუჭებია მამა-პაპის დანატოვარს, არ უცდია საკუთარი ოჯახის მიწის სიყვარულით გადარჩენა. საქართველოს ისტორიით დაინტერესებული უცხოელი მეცნიერი ჯეფრი ჰოსკინგი წიგნში „რუსეთი, ხალხი და იმპერია“ (1955-1917 წწ.) (ჰოსკინგი 2001:53) შენიშნავს: „თავიანთი უფლებების ბოლომდე მიყვანაში ქართველებს განუვითარდა თავისებური ფორმა ნაციონალიზმისა, რომელიც რაგინდ პარადოქსულიც არ უნდა იყოს – დაფუძნებული იყო მარქსიზმზე... მარქსიზმი პასუხობდა მათ ინტერნაციონალურ და ანტიკაპიტალისტურ მისწრაფებებს“... პოლონელიც, მიხ. ჯავახიშვილის ზემოდამოწმებული წერილიდან, კარგად ხედავს ერთსულოვან გატაცებას სოციალისტური იდეებით... რაც საქართველოს ანომალიური მდგომარეობის გამოვლინებად მიაჩნია (ჯავახიშვილი 2001:247).

მაქს ვებერის მიერ კაპიტალიზმისა და კონფესიების ურთიერთმიმართების კვლევის კონტექსტში კაპიტალიზმის სულის მაკოორდინებლად შრომასა და ყაირათიანობაზე დაფუძნებული ეთიკის მიჩნევა, როგორც თამაზ ვასაძე შენიშნავს თავის წერილში „ორგვარი ცნობიერება“, ანალოგიურადაა გააზრებული „ოთარაანთ ქვრივში“. უქმი სიტყვის კონცეპტი, ქვრივის დამოკიდებულება საქმისაგან დაშორებულ სიტყვასთან, „სიტყვა საქმიანის“ უპირატესობის აღიარების სურვილით, ქრისტიანული მორალითაა განპირობებული. ამ მომენტს სათანადოდ ითვალისწინებენ კიდევ ილიას „სეკულარიზაციულ პროექტზე“ საუბრის დროს, თუმცა ის, რაც იქ მხოლოდ მინიშნებულია, ეროვნულ-სახელმწიფოებრივი იდეალების კრახით განწმინდებული თეიმურაზ ხევისთავის აღსარებაში რადიკალური

ფორმით ჩნდება: „ჰო, შრომა, ისევ შრომა და შრომა! ახალი დროის ახალი სარწმუნოება, ახალი რელიგია, ქრისტიანობაზე უფრო მძლავრი, უფრო საჭირო და სასარგებლო. ვინც ეს გაიგო და მას ხორცი შეასხა, გამარჯვებულია, ვინც ვერ მოერია – დაღუპულია. ჩვენთვის კი შრომა უმძიმესი ტვირთია, ღვთის წყევლაა. აი, თურმე სად ყოფილა ძალის თავი ჩამარხული! აი, თურმე რა გვეკლება – შრომა და ნებისყოფა, ესე იგი, კულტურა!..“ (ჯავახიშვილი 1998:105). ვფიქრობთ, ეს ქართული სოციალ-კულტურული ცხოვრების პერიპეტეიებში გამოტარებული ახალი იდეოლოგემაა, რომელიც გაუცხოებულ დროსა და სივრცეში აღმოცენდა და ამდენად, სრულიად უნაყოფო აღმოჩნდა.

სრული თანხვედრა ილიასა და მიხეილ ჯავახიშვილის ეკონომიკურ კონცეფციებს შორის გლეხისადმი, „როგორც საზოგადოების ქვედა ფენებში დაგროვილი შემოქმედებითი ენერჯის“ მატარებლისადმი, გამჟღავნდა. „მე თვითონ გლეხი ვარ, სოფელში დავიბადე, გლეხებში გავიზარდე და ძალიან კარგად ვიცი გლეხის ცხოვრება და ვაივავლახი. მამაჩემი დილიდან სალამომდის მუშაობდა, ოფელში იწურებოდა, წელზე ფეხს იდგამდა და თავისი ცოლშვილისათვის ლუკმაპურს შოულობდა“ – ასე გვაცნობდა საკუთარ მშობელს მწერალი საუკუნის დასაწყისში (ჯავახიშვილი 2001:272). 30-იან წლებში კი დასძენდა: „ხელმოჭერილი ქიზიყელი იყო, მკლავმაგარი და საკმაოდ შეძლებული. ეხლა მამალ კულაკად ჩაითვლებოდა...“ ამ ორ ამონარიდში სოციალ-პოლიტიკური კატაკლიზმების, კულტურული პარადიგმების ცვლის ხანაში გლეხის, მომავალი საქართველოს ამ ყველაზე საიმედო სოციალ-ეკონომიკური ძალის, რეალური ბედია პროეცირებული. ილიას სწრაფვა, ბატონყმობის გადავარდნის შემდეგ ქართული მონინავე საზოგადოება

დაერწმუნებინა გლეხის კერძო მესაკუთრედ ჩამოყალიბების აუცილებლობაში, მიხ. ჯავახიშვილის პუბლიცისტიკაში, „მოქალაქეობრივი თავისუფლებისა და ეკონომიკური განვითარების“... მყარ ორიენტირებაა წამოდგენილი. მთავარი იყო გლეხი რევოლუციურ ანუ „სხვის“ ბრძოლებში არ შეეტყუებინათ. მას უპირველესად საკუთარ მიწასთან კავშირისა და საკუთარი მიწისათვის უნდა ებრძოლა. მწერალი საგანგებოდ მიმართავს ირლანდიელი გლეხების თავდადების მაგალითებს გამოვლენილს კანონს დაქვემდებარებული და ინგლისელი „ლენდლორდების“ თავნებობისაგან მიწის თავისუფალი განკარგვის უფლებების მოპოვებისათვის გამართულ ბრძოლებში. მწერალი მიზანმიმართულად წარმოაჩენს საქართველოზე არანაკლებ შევიწროებულ, მტრული მეზობლის გარემოცვაში მყოფ ქვეყანას, სადაც ერი თავს სწირავს არა სხვათაგან თავსმოხვეულ უტოპიურ იდეებს, არამედ საკუთარ მიწაზე მესაკუთრის უფლებების განმტკიცებას. სწორედ ამიტომ მიხ. ჯავახიშვილის წერილი „აგრარული რეფორმები ირლანდიაში“ თავისუფლებისათვის ბრძოლის მანიფესტივით იკითხება. „ჯაყოს ხიზნებში“ წარმოდგენილი გლეხები კი მას შემდეგ, რაც თეიმურაზისაგან „ჩვენებური ნეხვის“ შენახვის შესახებ სასურველ ინფორმაციას ვერ იღებენ, ადვილად ერთვებიან ახალი საბჭოთა ადამიანის მიმიკრიულ ორომტრიალში და ჯაყოსა და „ჯაყობასთან“, „ნინიკასა“ და „ნინიკობასთან“ ადვილად მისასვლელ გზებს ეძებენ. ის, თუ როგორ მოსწყდა გლეხი მიწას და როგორ დაადგა ცრუსაქმიანობით, ძველი უპრინციპობით გატკეპნილ გზას შთამბეჭდავადაა ასახული მოგვიანებით შექმნილ მოთხრობაში „დამპატიჟე“.

მიხ. ჯავახიშვილის ეკონომიკური და ლიტერატურული დისკურსის კონცეპტუალური ერთიანობა, სხვათაშორის,



აბათილებს ამ ბოლო დროს დამკვიდრებულ მოსაზრებას, რომლის მიხედვითაც ქართული მწერლობა მითო-პოეტური ცნობიერების გენერაციის საშუალებად განიხილება. გამოდის, რომ ჩვენ სრულყოფილად არ ვიცნობთ ჩვენსავე კლასიკას. გავიხსენოთ, რამოდენიმე ათეული წლის წინ, როდესაც ტაბუირებული „ჯაყოს ხიზნების“ პერსონაჟები რეჟისორ თ. ჩხეიძის სატელევიზიო სპექტაკლში გაცოცხლდნენ, საზოგადოების დიდი ნაწილის რეაქცია სრულიად უნუგეშო იყო. დღეს ამ რომანს, საბედნიეროდ, სხვა თვალთვლით ვკითხულობთ და ვრწმუნდებით, რომ ასეთი მნიშვნელოვანი მხატვრული ტექსტის მრავალგვარი რეცეფცია მკითხველის წარმოდგენათა აქტუალიზებისა და კონკრეტიზების ახალ-ახალ საშუალებებს იძლევა. ამასთან ხდება თავად მკითხველის მეორე საკუთარი თავის ფორმირება. მიხ. ჯავახიშვილი, მიუხედავად იმისა, რომ ყველა დროისთვის უხერხული ავტორია, ტექსტისა და მკითხველის სწორედ ამგვარი ურთიერთობის საშუალებას იძლევა. ყოველივე ამის გათვალისწინებით, უნდა ვივარაუდოთ, ჩვენ მიერ წარმოდგენილი მოსაზრებებიც, ინერპრეტაციის დაუნერეული კანონის მოთხოვნით, მომავალში კიდევ უფრო დაიხვეწება და შეივსება.

### დამონმებანი

ბერძენიშვილი 1965: ბერძენიშვილი ნ. მასალები საქართველოს ეკონომიკური ცხოვრებისათვის. // ქართული წყაროთმცოდნეობა. თბ.: 1965.

გუგუშვილი 1972: გუგუშვილი პ. ეკონომიკური ურთიერთობანი ამიერკავკასიაში XIX-XX ს.ს. მიჯნაზე. თბ.: 1972.

გოგიჩაიშვილი 1902: გოგიჩაიშვილი ფ. საქართველოს ეკონომიკური განვითარება მე-19 საუკუნეში. „კვალი“, № 49, თბ.: 1902.

კაციტაძე 2007: კაციტაძე კ. ილიას ეპოქა და დღევანდელი. // ილია ჭავჭავაძე 170. თბ.: 2007.

ფირალიშვილი 2005: ფირალიშვილი ზ. ილია: ისტორიული კონტექსტი და პიროვნება. // ილია ჭავჭავაძე 170. თბ.: 2005.

ჯავახიშვილი 1985: ჯავახიშვილი მ. ჯაყოს ხიზნები. თბ.: 1985.

ჯავახიშვილი 2001: ჯავახიშვილი მ. წერილები (რ. შიშინაშვილის რედ.). თბ.: 2001.

ჰოსკინგი 2001: Хоскинг Дж. Россия, люди и империя 1855-1916 гг. 2001

## ნონა კუპრეიშვილი

### „HOMO ECONOMICUS“-იდან „HOMO IDEOLOGUS“-ამდე („ეკონომიკური ადამიანიდან“ „იდეოლოგიურ ადამიანამდე“)

XX საუკუნის დასაწყისშივე უკვე მომნიჭებული ჩანს სოციალ-ეკონომიკური ნიშნით მსოფლიოს (პირველ ყოვლისა კი აღმოსავლეთ და დასავლეთ ევროპის) პოლარიზების იდეა, რომლის კატალიზატორად პირველი მსოფლიო ომი, ხორცშემსხმელად კი 1917 წლის ოქტომბერში ბოლშევიკების მიერ რუსეთში განხორციელებული სახელმწიფო გადატრიალება წარმოგვიდგება. კაპიტალიზმს, როგორც მასშტაბურ კულტურულ მოვლენას, უპირისპირდება და მის ჩანაცვლებას ლამობს (გავიხსენოთ ლენინისა და მისი თანამოაზრეების სწრაფვა სამყაროს ძირფესვიანად გარდამქმნელი დიდი რევოლუციისკენ) კლასობრივი ბრძოლით პროვოცირებული საყოველთაო თანასწორობის, ერთობის, შრომის თანაბარი განაწილებისა და სამართლიანი მოხმარების სოციალისტური პროპაგანდისტური მანქანა, რომელიც იმთავითვე შეუფერხებლად მუშაობს და რომელმაც, უნდა ითქვას, ორი საუკუნის მიჯნაზე შეძლო ადამიანთა ფართო მასების გონების დაპყრობა. თუმცა მომდევნო წლებში ამ ორი პოლიტიკურ-ეკონომიკური ფორმაციის განვითარებამ, კონკრეტულ დროსა და სივრცეში მათი რეალიზების წინააღმდეგობრივმა პროცესმა დაადასტურა (უპირატესად კი სოციალიზმის შემთხვევაში), რამდენად შეიძლება დასცილდეს ერთმანეთს თეორია და პრაქტიკა. ეს კი, ცხადია, პირველ ყოვლისა, სწორედ ადამიანის კონ-

ცეფციაზე, ყოველდღიურ ცხოვრებაში მისი ჩართულობის მიზანშეწონილობასა და სარგებლიანობაზე აისახა.

რა შეიძლება სცოდნოდათ იმ დროისთვის ქართველ მწერლებს კაპიტალიზმის შესახებ. არც თუ ისე ბევრი რამ; არადა, კაპიტალიზმის არსის სწორედ რომ თეორიული დასაბუთება იმ პერიოდისთვის უკვე მოცემული იყო ვ. ზომბარტის, მ. ვებერის, ი. შუმპატერის ნაშრომებში. მათ საპირნონედ იდგა მარქსის „კაპიტალი“, რომლის ანტიკაპიტალისტური მესიჯი სოციალიზმით გატაცებულ სხვადასხვა ქვეყანაში, მათ შორის საქართველოშიც, პირველწყაროსგან რამდენადმე განსხვავებულად იქნა გაგებული. ჩვენში თავისუფალი ინტერპრეტაციის ხარისხი იმდენად მაღალი იყო, რომ XIX საუკუნის დასასრულს ქართველ სოციალ-დემოკრატთა ლიდერთან, ნ. ჟორდანიასთან, კამათის დროს, როგორც ვიცით, ილიამ მწარე ირონიით შენიშნა: თქვენი აზრების გაცნობის შემდეგ მარქსმა ლამის თქვას, მიწოდეთ რაც გინდათ, ოღონდ მარქსისტს ნუ დამიძახებთო.

1902 წელს გამოცემულ ვ. ზომბარტის წიგნში „თანამედროვე კაპიტალიზმი“ კაპიტალიზმი განმარტებულია, როგორც მეურნეობის საშუალება, რომლის დროსაც წარმოების საქმიანობა მიმართულია მოგების მისაღებად „კაპიტალიზმის სულად“ წოდებული განსაკუთრებული ძალის ზეგავლენის ქვეშ. „კაპიტალიზმის სული“, ზომბარტის მიხედვით, თავის თავში გულისხმობს მწარმოებლის ისეთ ფსიქოლოგიურ თვისებებს, როგორცაა სწრაფვა მოგებისკენ, ანგარიშიანობა, ეკონომიკური რაციონალიზმი. ამ თვისებების უკან, ცხადია, მოიაზრება აქტიური ადამიანი, რომელიც მიუხედავად ყოველდღიური სირთულეებისა,

ახერხებს თავისი ვიტალური ენერჯის გამოვლენას და საკუთარი ცხოვრების მართვასა და კორექტირებას განკარგავს. ევროპულმა ლიტერატურამ, ისევე როგორც ქართულმა, იმთავითვე შენიშნა „ახალი დროის“ ეს ადებუტები (მაგ. ილიამ – ოთარაანთ ქვრივი, გ. წერეთელმა – ბახვა ფულავა), თუმცა კონტექსტის მრავალპლანიანობისა და ახალი „ეკონომიკური ადამიანის“ მასშტაბურობის დემონსტრირება მხოლოდ ევროპულმა რომანმა და ევროპული რომანისტიკის საუკეთესო წარმომადგენლებმა შეძლეს (გავიხსნოთ, რას ამბობდა ფრ. ენგელსი, მაგალითად, ბალზაკის ფენომენის შესახებ რომ მან, ენგელსმა უფრო მეტი გაიგო ბალზაკის რომანებიდან, ვიდრე იმ დროის ყველაზე ცნობილი ფილოსოფოსის, სოციოლოგ-ისტორიკოსისა და ეკონომისტის ნაშრომებიდან.

მ. ვებერი, სხვათა შორის, მარქსისგან განსხვავებით, კაპიტალიზმს დასავლური მოდერნიზაციის ფართო ისტორიულ კონტექსტში განიხილავდა. მისთვის ეკონომიკური საქმიანობა კაპიტალიზმის პირობებში ასოცირდებოდა, უპირველეს ყოვლისა, შეჯიბრთან, გაცვლასთან, საბაზრო ფასების გათვალისწინებით კაპიტალის ამოძრავებასა და მოგებისკენ სწრაფვასთან. არანაკლებ მნიშვნელოვანი იყო რისკების, წაგება-მოგების გათვლის უნარი, რაციონალობა, შრომის კოორდინაცია, შრომითი დისციპლინა. ყოველივე ამის უკან კი, ვებერისთვის, როგორც ცნობილია, პროტესტანტული ეთიკის საფუძვლებზე აღზრდილი ადამიანი იდგა. სწორედ ის, რომელსაც „ეკონომიკური ადამიანი“ ანუ „რაციონალური მაქსიმალისტი“ ეწოდა.

რაც შეეხება ი. შუმპეტერს, მისთვის კაპიტალიზმი, უპირველეს ყოვლისა, კერძო საკუთრებას, საბაზრო მე-

ქანიზმს, მეწარმეობის ეკონომიკურობას უკავშირდება. გარდა ამისა, კაპიტალიზმის უდავო ღირსებად იგი კაცობრიობის ისტორიაში მატერიალური კეთილდღეობისა და პიროვნული თავისუფლების უპერეცედენტო გამოვლინებასაც მიიჩნევს. თუმცა შუმპეტერის ოპტიმიზმი აქ სრულდება, რადგან კაპიტალიზმის მომავალს იგი რამდენადმე პესიმისტურად ხედავს და შესაბამისად მას არც ნათელ მომავალს უწინასწარმეტყველებს. ასეთი პროგნოზები ძირითადად მომხმარებლური საზოგადოების შუაგულში მოქცეული ადამიანის პიროვნულ თვისებათა რღვევასთან იყო ასოცირებული. მოგვიანებით ეს პრობლემა იმდენად გაღრმავდა, რომ ნეოფროიდიზმის ფუძემდებელმა გერმანელ-ამერიკელმა ფილოსოფოსმა და სოციოლოგმა ერის ფრომმა თავისი ცნობილი ნაშრომი „ქონა თუ ყოფნა?“ ინდუსტრიულ ეპოქასთან დაკავშირებული „დიდი იმედების“ განუხორციელებლობით გამოწვეული „რადიკალური ჰედონიზმით“ შეპყრობილი ადამიანის პიროვნულ დეგრადირებას მიუძღვნა. სხვათა შორის, ზემოთნახსენები ის ჩვენი თვალსაჩინო ქართველი მწერლები: მაგ. რეალისტთაგან –აკაკი წერეთელი, გიორგი წერეთელი, მოდერნისტთაგან – გრ. რობაქიძე, კ. გამსახურდია, ნ. ლორთქიფანიძე – არ იყვნენ აღფრთოვანებული, მათი აზრით, ძირითადად მოგებასა და ანგარიშზე, სიხარბესა და ეგოიზმზე ორიენტირებული ცხოვრების ახალი ეკონომიკური წესით. გავიხსენოთ, უკვე 20-იან წლებში შექმნილი კ. გამსახურდიას მოდერნისტული რომანი „დიონისოს ღიმილი“, რომლის მთავარი პერსონაჟი, ევროპის გზებზე მოხეტიალე კონსტანტინე სავარსამიძე ბედს იმის გამოც ემდურის, რომ ბულალტრე-

ბის ეპოქაში არგუნა ცხოვრება. მისთვის, როგორც მითოსური ცნობიერებისა და ქართული არისტოკრატიული სულიერი კულტურის მატარებელი ინდივიდისთვის საკმაოდ რთულია, თუ შეუძლებელი არა, ტექნოკრატიზმის და მისი მიმყოფი მოვლენების: მასშტაბური ინდუსტრიალიზაციის, ურბანიზაციის, კომერციალიზაციის მიღება. რომანის ცენტრალური თემაც ესაა: სულიერი კულტურისა და ტექნიკური ცივილიზაციის კონფლიქტი.

„ეკონომიკური ადამიანის“ ცნება მჭიდროდ უკავშირდება პოზიტივიზმის ეპოქას. ამიტომაც წერს ს.ფ. ფეინერი: „ეკონომიკაში პოზიტივიზმის ტრიუმფი უტილიტარიზმის ტრიუმფიც გახლავთ“ (ს.ფ. ფეინერი, 1999:193). მართლაც, „ადამიანმა ორიენტაცია აიღო არსებულის, როგორც ერთადერთი საარსებო სივრცის მომხმარებლურ ათვისებაზე... რასაც ცხადია, ამყარებდა ბუნებისმეტყველებათა და ტექნოლოგიების განვითარება“. ეს იყო დიდი პარადიგმული ცვლილებების ხანა, კაპიტალიზმის დანერგვის საწყისი ეტაპი, რომელმაც სამყაროს ბევრი სიახლე მოუტანა. ჩვენც სწორედ ამ პერიოდზე ვამახვილებთ ყურადღებას, ანუ გავამჟღავნებთ ინტერესს იმ დროისადმი, როდესაც საფუძველი ეყრებოდა ფრომის მიერ „დიდ იმედებად“ წოდებულ ეკონომიკური და სოციალური ხასიათის ნოვაციების დანერგვას. ამ კონტექსტში ჩვენს ქვეყანას, რომელიც ფეოდალური ცრურწმენით იყო შებოჭილი, სერიოზული ცვლილებები სჭირდებოდა. ბატონყმობის თუნდაც ასეთი ფორმით და ესოდენ დაგვიანებულად გაუქმებაც კი, რეფორმათა გონივრული გააზრების პირობებში, მომავალი ცვლილებების სასტარტო მდგომარეობად შეიძლებოდა

ქცეულიყო. თავდაპირველად საზოგადოებრივი ცხოვრების ტრანსფორმაციათა ინიციატივა თავად დროის მოთხოვნებმა წარმართა. შესაბამისად, მართალია, ნელი ტემპით, თანაც, გარკვეული სახეცვლილებით, მაგრამ კაპიტალიზმი მაინც შემოდის და ფეხს იდგამს, როგორც ახალი ეკონომიკური წესრიგი, რომელიც უჩვეულოა, ჩვენს ყალბად გაგებულ რაინდულ სულისკვეთებას ეწინააღმდეგება, თუმცა ჩაკეტილ საზოგადოებაში დიდხანს მყოფი ქვეყნისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. მწვავედ იგრძნობა არა მარტო ცხოვრების ტემპის დაჩქარების (გავიხსენოთ ილიას იდეა მოძრაობის შესახებ), არამედ მენტალური ტრანსფორმაციის აუცილებლობა. კონკრეტულად ქართველთა რომელი თვისებები იყო დასაძლევნი, კარგად ჩანს რ. გაბაშვილის (1912 წლის ჟ, „კლდის“ პუბლიკაციები), ფ. გოგიჩაიშვილისა („ჩვენ და ცხოვრება“) და მ. ჯავახიშვილის (პუბლიცისტიკასთან ერთად „ჯაყოს ხიზნები“) ნააზრევში. ეს თვისებებია:

- დროს ჩამორჩენილი საეკონომიო აზროვნება;
- აზნაურული ფსიქიკა;
- პატრიარქალურ ჩვეულებათა ნაშთი;
- სუსტი ინდივიდუალობა (ფ. გოგიჩაიშვილი).

ცხადია, აქ ჩამოთვლილ ავტორთა მოსაზრებები ილიას ცნობილი წერილიდან „რა გითხრათ, რით გაგახაროთ?“ (1897) იყო ამოზრდილი და კონცეპტუალურად ეთანხმებოდა კიდევ მას. ასე რომ, ქართული სინამდვილის, მასთან ერთად კი ქართული ცნობიერების დუალიზმი (კაპიტალიზმის მომხრენი და მისი აშკარა მტრები ან შეიძლება ასეც გავმიჯნოთ, მარქსიზმი და ქართული ნაციონალიზმი) სა-

ბედისწერო იყო და არჩევანზე, რომელსაც ამ ისტორიული პროცესის მონაწილენი გააკეთებდნენ, ქვეყნის მომავალი იყო დამოკიდებული.

კ. მარქსის ფუნდამენტური ნაშრომი „კაპიტალი“ (არასრული ტექსტი) საქართველოში XIX საუკუნის დასასრულს გამოჩნდა. მისი ერთ-ერთი პირველი გამავრცელებელი ცნობილი მწიგნობარი ზ. ჭიჭინაძე, პირველი მკითხველი კი, მომავალ სოციალ-დემოკრატებთან ერთად, ილიაც ყოფილა. როგორც ფილოსოფიური მიმართულება, მარქსიზმი სამყაროს მატერიალისტურ გაგებას ემყარებოდა, როგორც ეკონომიკური აზრის გამომხატველი – ზედემეტი ღირებულების აღმოჩენას, ხოლო როგორც პოლიტიკური მოძღვრება – კლასთა ბრძოლის აუცილებლობას, რომლის ავანგარდში ყველაზე უქონელი ფენა, პროლეტარიატი, უნდა ჩამდგარიყო. ყველაზე სუსტი (და გარკვეული გაგებით დამღუპველი) რგოლი ქართველი მარქსისტების აზროვნებაში ეროვნული საკითხის უგულვებლყოფა და რუსულ სოციალ-დემოკრატიასთან შერწყმა იყო, რაც ილიასთვისაც იმთავითვე მიუღებელი აღმოჩნდა. სოციალისტ-ფედერალისტური პარტია (დამფუძნ. ა. ჯორჯაძე), ითვალისწინებდა რა ჩვენი ქვეყნის პოლიტიკურ მდგომარეობას, სოციალური და ეროვნული პრობლემების ერთობლივად გადაჭრის აუცილებლობას ქადაგებდა. სხვათა შორის, კულტურული განვითარების თვალსაზრისით, ამ პარტიის მიერ გაზიარებული მომავლის ევროპული გზა და აქედან გამომდინარე ფილოსოფიურ-ესთეტიკური აზროვნების მოდერნიზება, იმავე ა. ჯორჯაძის ნაშრომებში ნათლად და არგუმენტირებულად იყო ჩამოყალიბებული. ფედერა-

ლისტების ეკონომიკური პროგრამაც კერძო საკუთრების უფლებას ეყრდნობოდა, ამიტომ ისიც „ეკონომიკური ადამიანის“, როგორც საბაზრო ეკონომიკის მთავარი მოქმედი პირის, უპირატესობის აღიარებამდე მიდიოდა.

მართალია, ბოლშევიკებმა, რომლებმაც სრულად მოახდინეს მარქსიზმის უზურპაცია, თავის საკულტო ცნებად „შრომა“ გამოაცხადეს, თავს შრომის გამათავისუფლებლად მიიჩნევდნენ, ძეგლებსაც კი უდგამდნენ „მშრომელ ადამიანს“, ახლადშექმნილ საბჭოების ქვეყანას კი „შრომის რესპუბლიკას“ უწოდებდნენ, მიუხედავად ამისა, მალევე მათი ცნობილი ლოზუნგები: „მინა გლეხებს“, „ფაბრიკა-ქარხნები მუშებს“ სრულ დისკრედიტაციას განიცდის და „პროლეტარიატის დიქტატურად“ წოდებული მართვის ახალ ფორმად გარდაისახება. 20-იან წლებშივე, როდესაც ბევრი რამ ჯერ კიდევ ბუნდოვანი და გაურკვეველი იყო, ე.წ. დემოკრატიული პოეზიის ერთ-ერთი წარმომადგენელი, პოეტი ვ. რუხაძე, წერდა: ჩვენ ხომ ერთობას ვეძახდით, ქვეყნის ხსნა გვსურდა, მაგრამ ქვეყანა ჩაუვარდა სისხლისმსმელ „გმირებს“ „თვითმპყრობელობა სულ სხვა სახით კვლავ დაგვიბრუნდა...“.

უტოპიური სოციალისტური იდეების მასების მიერ დიდი ენთუზიაზმით გაზიარების მიზეზებზე დამაჯერებლად საუბრობს ორლანდო ფაიჯესი თავის კულტუროლოგიურ ნაშრომში „ნატამას ცეკვა“, რომელიც რუსული ისტორიის საკვანძო ეტაპების ღრმა ანალიზს შეიცავს. აი, რას წერს იგი სოციალური რევანშის იმ ფორმაზე, რომელიც „სასახლეებთან ბრძოლის“ სახელითაც იყო ცნობილი: „რუსული რევოლუციის პრაქტიკულ იდეოლოგიას, რომელიც ხალხს



ისე მიეწოდებოდა, როგორც პრივილეგიების წინააღმდეგ დაწყებული ბრძოლა, მარქსისტულ იდეებთან ცოტა რამ აღმოაჩნდა საერთო. სანახევროდ უნიგნური ფართო მასები მარქსის ნაშრომებს, რა თქმა უნდა, ვერ კითხულობდნენ. სამაგიეროდ რუსი გლეხობისათვის დამახასიათებელ გათანაბრების სულისკვეთებას და უტოპიურ სწრაფვებს გასაქანი ახლა მიეცა. მარქსამდე დიდი ხნით ადრე რუს ხალხში გამჯდარი იყო რწმენა, რომ სიმდიდრე ამორალურია, ნებისმიერი საკუთრება – მოპარული, ხოლო ხელით შრომა – დოვლათის შექმნის ერთადერთი მისაღები წყარო. რუსი გლეხის ცნობიერებაში ქრისტიანული სიქველე, მაღლი სიღარიბეში მდგომარეობდა და ეს ფაქტი შესანიშნავად გამოიყენეს ბოლშევიკებმა“. და იქვე: „ბოლშევიკებმა ამ „ჯვაროსნულ“ ომს ინსტიტუციური სახე მისცეს და რევოლუციური ენერგიით აღავსეს ლატაკი და უქონელი მოსახლეობის უზარმაზარი არმია, რომელიც მდიდრების და ძლიერთა ამა ქვეყნისათა დაქცევით და განადგურებით მორალურ კმაყოფილებას იღებდა, იმისდა მიუხედავად, შეცვლიდა თუ არა ეს მის საკუთარ ბედს...“ (ფაიჯესი, 2013:377). ქართულ სინამდვილესთან არაერთხელ გამოთქმულა ანალოგიური მოსაზრებები, განსაკუთრებით ერთი კუთხით: ქართველთა გასოციალისტურების ახსნა ქრისტიანული რელიგიის მორალითაც ყოფილა ახსნილი (ე. ჯგერენაია, გ. მაისურაძე, რ. საყვეარიშვილი), თუმცა ისიც გასათვალისწინებელია, რომ მეტროპოლიაში გამოვლენილი ტენდენციები პერიფერიაში ხშირად ბევრად უფრო მახინჯი ფორმით იყო გაზიარებული.

თუ თვალს მივადევნებთ „ეკონომიკური ადამიანიდან“ ათასობით მშრომელის „იდეოლოგიურ ადამიანად“ ტრან-

სფორმაციის რთულსა და მტკივნეულ პროცესს, ამ პროცესს კი საფუძველი გასაბჭოების პირველივე წლებიდან ჩაეყარა, ვნახავთ, რომ ყველაზე მნიშვნელოვანი ცვლილებები შრომის ეთიკას შეეხო. თავისი არსით ეს ტრაგიკული პროცესი, მართალია არა ამომწურავად, მაგრამ ქართულმა ლიტერატურამაც ასახა.

რევოლუციამდელი გლეხობის ჯანსაღი ნაწილი, გამორჩეული თავისი შრომისმოყვარეობით, ის, ვისაც ჰქონდა სურვილი გაერღვია მინიმალისტური, მომხმარებლური შრომის ტრადიციული ეთიკის ჩარჩოები, ანუ ეშრომა არა მხოლოდ პირველადი მოხმარების საგნების შესაძენად, ესწრაფვოდა გაეზიარებინა ახალი დროის მოთხოვნები და მათი განუხრელი შესრულებით შესაბამისი მოგებაც ენახა. ასეთი ადამიანები ცდილობდნენ მიწის გამოსყიდვას, თავიანთი მეურნეობის მოდერნიზებას, შესაბამისი ტექნიკის შეძენას, იწერდნენ სასოფლო-სამეურნეო პროფილის ჟურნალ-გაზეთებს, ერთვებოდნენ სხვადასხვა საფინანსო ამხანაგობებში და სხვ. ფაქტობრივად, ისინი იზიარებდნენ იმ, სამწუხაროდ, მცირერიცხოვანი ქართველი თავადაზნაურობის წარმომადგენელთა ინიციატივებს, რომლებმაც თავის დროზე ალლო აუღეს ახალ დროებას და მამულები უფრო რენტაბელური გახადეს. (დიდმა უმრავლესობამ კი, ვინც ითაკილა, მეტიც, სამარცხვინოდ მიიჩნია მსგავსი თაოსნობები, დაახლოებით ისე დაამთავრა, როგორც თავადმა თავქვილაძემ გ. წერეთლის რომანში „პირველი ნაბიჯი“).

2015 წელს ფონდი „ღია საზოგადოება-საქართველოს“ ფინანსური მხარდაჭერით გამოცემულ წიგნში „ინიციატივა ცვლილებებისათვის: თემის თვითორგანიზებისა და თა-

ნამშრომლობის გამოცდილება საქართველოში საბჭოთა ოკუპაციამდე“ თვალსაჩინოდაა ნაჩვენები ის ჯანსაღი ტენდენცია, რომელიც 1921 წლამდე არსებობდა და სწორედ „ეკონომიკური ადამიანისა“ და ადამიანთა ჯგუფების ინიციატივით წარმოებულ რაციონალური შრომას ეყრდნობოდა. (ამ მიმართულებას უწყვეტი განვითარების საშუალება რომ მისცემოდა, დღეს ჩვენ გვექნებოდა საშუალება გვესაუბრა შრომის მაღალ კულტურასა და ცხოვრების უკეთეს პირობებზე, სადაც არა მხოლოდ სიხარბით შეპყრობილი, არამედ „ინტერესიანი ადამიანი“ თავისი შესაძლებლობების მაქსიმუმს გამოავლენდა).

კ. ლორთქიფანიძის რომან „კოლხეთის ცისკარში“ ბარნაბა საგანელიძე დაახლოებით ასეთი ტიპის გლეხია, თუმცა ახალ ადამიანად გარდაქმნილ გუშინდელ მოჯამაგირესთან, მექი ვაშაკიძესთან, დაპირისპირების შემდეგ, საკუთარი უსაფრთხოების და ნაოფლარის დაცვა უნევს. თავისთავად მოჯამაგირის ტრაქტორისტად გადაქცევა არც გასაკვირია და არც მიუღებელი. საგანგაშო ის მორალურ-ეთიკური სახეა, რომელსაც მექი გაკომკავშირელებისა და „ახალ მონესეთა“ სამსახურში ჩადგომის შემდეგ ავლენს. ჭეშმარიტად, მონა გათავისუფლებას კი არ ცდილობს, არამედ ახალ ბატონს ეძებს. ა. ბაქრაძემ თავის წერილში „უღირსებო კაცი“ ამგვარი გადასახვა-მეტამორფოზის ბნელი მხარე ამხილა (ბაქრაძე, 1990: 138). კოლმეურნეობების შექმნით, მშრომელი გლეხობისთვის ქონების ჩამორთმევით და ამით, რბილად რომ ვთქვათ, შრომისგან გაუცხოებულ თანასოფლელებთან მათი გათანაბრებით დაიკარგა მთავარი – თვით შრომის მოტივაცია, რამაც დიდი ზიანი მიაყენა სოფლის

მეურნეობას. კულაკებად გამოცხადებული გლეხების ფიზიკურმა განადგურებამ კი, რომელიც პოლიტიკური ბრალდებებით იყო გამართლებული, გაამჟღავნა ბოლშევიკების ნამდვილი მიზანი. რეალურად მათ სურდათ არა მატერიალური დოვლათის ზრდისთვის ხელსაყრელი პირობების შექმნა, არა ინიციატივისა და ჯანსაღი კონკურენციის აქტივიზება, არც მომგებიანი წარმოებისა და მეურნეობის ან შრომის უკეთესი პირობების შექმნა, არამედ ამ ყველაფერზე ზრუნვის იმიტაციის შექმნა მთავარი მიზნისთვის – ახალი საბჭოთა ადამიანის ჩამოყალიბებისთვის. ასეთი „homo sovietikus“-ის, იმავე „homo ideologius“-ის კონსტრუირების საშუალებები იყო: რეალობის მითოლოგიზება, არქაიკის რევიტალიზაცია, კერძო საკუთრების, როგორც საზოგადოების საბაზისო სირთულის, გაუქმება. სხვა სიტყვებით, სახეზეა მსგავსება ძირითად პათოსთან ცნობილი ფრანგი ფილოსოფოსისა და სოციოლოგის ჟორჟ სორელის (1847-1922) ნიგნისა „ფიქრები ძალადობაზე“ („Размышления о насилии“), რომელშიც უალტერნატივოდაა მიჩნეული პროლეტარიატის ძალადობრივი ქმედებები. სორელი ამტკიცებს, რომ მითების შექმნა ის ეფექტური ინსტრუმენტია, რომლითაც ჩაგრულ მასებს შორის ადვილად ღვივდება რადიკალური სუბიექტივიზმი, როგორც გამარჯვების ერთადერთი გზა. გარდა ამისა, მზერის მიქცევა წარსულისაკენ, როგორც ნეტარი დროისკენ, როცა ყველა ერთნაირად ფიქრობდა (ერთნაირად ფიქრი იმდენად მნიშვნელოვანი იყო, რომ მაგ. გასაბჭოების პირველ წლებში დაიხურა ისტორიის ფაკულტეტები მანამ, სანამ უახლეს წარსულზე არ შემუშავდა ერთიანი კონცეფცია). დაბოლოს, კერძო საკუთრე-

ბის კატეგორიული მიუღებლობა, კერძომესაკუთრული ინსტინქტის (ისევე როგორც პატრიოტიზმის, ამ ცნების ტრადიციული გაგებით) მტრულ მოვლენად და სრულ ანაქრონიზმად გამოცხადება.

პროლეტარული პოეზია და მოგვიანებით პროზაც, ერთი მხრივ, თითქოს აღიდებდა შრომაში ჩართულ ადამიანს, მეორე მხრივ კი მისგან დეჰუმანიზებულ მექანიკურ ადამიანს ქმნიდა, რომლისთვისაც მხოლოდ სოციალისტური იდეებია მნიშვნელოვანი. ა. ბაქრაძემ თავის გახმაურებულ ნაშრომში „მწერლობის მოთვინიერება“ (1990) გულდასმით წაიკითხა და შეაფასა დღეს უკვე უსახელო პროზაიკოსების ს. თალაკვაძის, პ. ჩხიკვაძის, ლ. მეტრეველის, ი. ლისაშვილის, ბ. ჩხეიძის მხატვრული ტექსტები. გაკეთდა შესაფერისი დასკვნაც: ახალი საბჭოთა ადამიანი, რომელსაც პროლეტარული მწერლობა პარტიული დირექტივებითა და უსიცოცხლო სქემებით ქმნიდა, თავისი არსით ანტილიტერატურული იყო. იგი ეწინააღმდეგებოდა მარადიულ ფასეულობებს და ადამიანისგან პიროვნული თავისუფლების უტოპიურ თანასწორობაზე გაცვლას ითხოვდა. ლევან ქვაკირელი (ი. ლისაშვილის „ვარდნილი“), ნოდარ ხურციძე (მისივე „ძახილი მთაში“), გრიგოლ გიგაური (პ. ჩხიკვაძის „სართულები“), ლუკა ვოლკოვი (ბ. ჩხეიძის „ფერო“) თავიანთი პრიმიტივიზმისა და ყალბად გაგებული იდეურობის მსხვერპლნი არიან. აი, რას ამბობს ავტორი, მაგალითად, ერთ-ერთი მათგანის, კერძოდ კი, ლუკა ვოლკოვის შესახებ: „იგი კმაყოფილი იყო, რომ მას ერქვა ლუკა და არა ლავრენტი მგელაძე. ბოლოს და ბოლოს, სულ ერთი იყო მისთვის, პირადად ვინც უნდა ყოფილიყო, რუსი თუ ბური, ქართველი თუ

ესკიმოსი. მას ჰქონდა ცხოვრებისათვის საჭირო პირობები. იგი იყო პროლეტარი, პარტიზანი, მშენებელი, შრომობდა და სწავლობდა და ესმოდა ცხოვრება, როგორც ბრძოლა, დაპყრობა ბუნებისა, მისი მოყვანა წყობაში და შრომაში...“ (ბაქრაძე, 1990: 177). როგორც იტყვიან ამ მონაკვეთში ახალი „იდეოლოგიური ადამიანის“ „ღირსებათა“ მთელი სპექტრია წარმოდგენილი.

რა მდგომარეობაში აღმოჩნდა შრომის და მშრომელთა ფსევდოგანდიდების ატმოსფეროში მოქცეული ის ძველი ინიციატივიანი, ნამდვილად შრომისმოყვარე, მიწას მიჯაჭვული ადამიანი? მ. ჯავახიშვილის მოთხრობაში „დამპატიყე“ (1928) ტრაგიკული ანომალიის ორივე მხარეა ნაჩვენები: მშრომელი და ვითომ მშრომელი, რომელსაც პირველის ყველა უფლებები მიუთვისებია. როგორც ფითრი ღონიერ ხეს, ისეა ჩაფრენილი ვინმე ოქროპირა, მეტსახელად „დამპატიყე“, მოხუც თევდორესა და მის მშვენიერ ბალს. ერთი დიდიდან სალამომდე შრომობს, მეორე მხოლოდ სარგებლობს ამ შრომის ნაყოფით, გაბმულად ქეიფობს, დროს ატარებს და ბოლომდე ვერავის გაურკვევია, ნუთუ აჯანყებულ მშრომელთა მასამ, მათ მიერ მოწყობილმა სოციალურმა ძვრამ ამოისროლა ფსკერიდან ოქროპირას მსგავსი მუქთამჭამელები? მ.ჯავახიშვილი, როგორც ყოველთვის, პრობლემის არსში გვახედებს. მწერალი დიდი მხატვრული ოსტატობით აღწერს მოვლენას, რომელსაც აუცილებლად ექნება მძიმე შედეგები და მომავალში შრომას გადაჩვეულ რამდენიმე თაობას წარმოშობს.

ამრიგად, სოციალისტური იდეებით გატაცებამ, ისევე და ისევე რუსეთის იმპერიულ საზღვრებში ამჯერად უკვე საბ-

ჭოთა ფსევდორესპუბლიკის შექმნის იდეაფიქსმა, განაპირობა არა მარტო კაპიტალიზმისთვის დამახასიათებელ ნიშანთა, კერძო საკუთრებაზე დაფუძნებული შრომის მოტივაციისა და სტიმულირების გაქრობა, არამედ ნებისმიერი საზოგადოების მთავარი სუბიექტის, ადამიანის, ტრანსფორმირება არსებობის აქტიური ფორმიდან უფრო პასიურზე. ინდივიდუალიზმის კოლექტიურში იმპლიციურებამ აშკარად შეაფერხა ქვეყნის განვითარება და იგი (ეს ქვეყანა), როგორც იტყვიან, დიდი ხნით დატოვა ისტორიის მაგისტრალური გზის მიღმა. „ეკონომიკური ადამიანი“ (მართალია, გარკვეულად სახეცვლილი), დღეს კვლავ ცდილობს თავისი კუთვნილი ადგილის დაბრუნებას, თუმცა „იდეოლოგიური ადამიანის“ შესაშური სიცოცხლისუნარიანობისა და განსხვავებული აქცენტებით გამორჩეული ისტორიული კონტექსტის გამო ამ მისწრაფების რეალიზება სულ უფრო რთულდება.

### **დამონშებანი:**

ბაქრაძე 1990: ბაქრაძე ა. , უღირსები კაცი, ანუ ახალი ადამიანი, მწერლობის მოთვინირება, თბ. 1990

ინიციატივა ცვლილებისათვის, 2015: კრ. ინიციატივა ცვლილებისათვის, თემის თვითორგანიზებისა და თანამშრომლობის გამოცდილება საბჭოთა ოკუპაციამდე, თბ. 2015

ფაიჯესი 2013: ფაიჯესი ო., ნატაშას ცეკვა, რუსეთის კულტურული ისტორია, თბ. 2013

ფეინერი, 1999: ს. ფ. ფეინერი, ახალგაზრდა ჰომო ეკონომიკუსის პორტრეტი, მ. ოსტინისა და მ. ვუდმანსის ეკონომიკურ ესეთა კრებული, კვლევები ეკონომიკისა და ლიტერატურის გზაჯვარედინზე. ნიუ-იორკი, ლონდონი, 1999 (თარგმ. თ. ლომიძის)

Дрискол, 2002: Дж. Дрискол, Человек без интереса, НЛО, 2002, №58

Почепцов, 2016: Г. Почепцов, Конструирование советского человека, psyfactor.org/lib/soviet-propaganda.htm

Сорель, 2010: Ж. Сорель, Размышление о насилии, М. 2010

Фром 1990: Э. Фром, Иметь или быть, 1990



ახალი დროის ნიშნები – კოლაში შდგენილი  
XIX-XIX სს. მიჭნის ქართული პერიოდული  
პრესის მიხედვით

\* \* სულ ტყუილია: ჩენი ხალხი გა-  
უნათლებელი, უმეცარი, ცრუმორ-  
წმუნე ხალხია; მაგრამ დანახვით იმას  
ისეთი რამე ახალი, რომლის გაგება  
და შემოდება შეეძლოს, და დარწმუნ-  
ებული იყავით, რომ შეითვისებს;  
უჩვენეთ რომელიმე ახალი საქმე,  
დაუბტკიცეთ, რომ ეს საქმე იმას ცო-  
ტათი მაინც გამოიხსნის თავის გა-  
ჭირებული მდგომარეობიდან, და გარ-  
წმუნებთ, იმწამსვე მოექიდება.

მაგრამ ყველა ამას ცოდნა უნდა:  
ვისაც ხალხთან საქმის დაქერა, ვი-  
საც იმის სამსახური ჰსურს, უნდა  
იცოდეს—როგორ ენაზე ელაპარა-  
კოს, უნდა იცოდეს— რომელი მხრით  
მოუთაროს, საიდან დაიწყოს, რა და  
როგორ გააკეთოს.

ისინი კი თავის ნაკლულევენებას  
ხალხის უმეცრებითა და ცრუმორ-  
წმუნოებით ამართლებენ!...

ს. ძესხი

სოფ. მელაანი (სიღნაღის მაზრა-  
ში), 5 ივნისს. 1 ამ თვისას კნაქნა  
ნინო ზ. ქარიას ასულს ანდრონიკო-  
ვისას ჰქონდა თავისი შევირდების  
ეგზამენია. მგზამენიაზედ დაესწრნენ  
პრავალნი მაყურებელნი თავადები თუ  
გლეხები, სიღნაღის მაზრის უფროსის  
თანაშემწე თ. ლევან ჯანდიერი,  
სკოლის მზრუნველი თ. მ. მ.  
ანდრონიკოვი, ადგილობრივი მღვდ-  
ელი, მამასახლისი რამდენიმე პატივეც-  
მული კაცით და ყმაწვილების მშობ-  
ლები.

შველა დამწრეთ მშვენიერი შთა-  
ბეჭდილება გამოიტანეს ყმაწვილების  
ეგზამენიიდან.

შველამ დაეინახეთ, რომ ანდრონი-  
კოვის ქალის ცოტა ხნისეი შრომა  
(გამოანგარიშებით აღმოჩნდა, რომ  
სულ 70 დღესა ჰქონიათ სწავლა)  
დავეირგვინდა კეთილის ნაყოფით.  
უსწავლიათ საღმრთო წერილიდან ის,  
რაც სასოფლო შკოლებში უნდა ის-  
წავლონ პირველ წელიწადს.

დროება, 1875, №1



მგზამენის გათავების შემდეგ კნიაჟ-  
ნამ დაითხოვა შეგირდები ორთვეს;  
მაგრამ შეგირდებმა ტირილითა სთხა-  
ვეს, რომ ისევ გაფრძელებინა სწაე-  
ლა და მასწავლებელი დაჰპირდათ  
სწავლებას ყოველ ხუთშაბათობით.  
მშობლებმა, რომელნიც წინათ არ  
აძიევდნენ შეილებს სასწავლებლათ  
და გაიძახოდნენ: „ჩვენ შეილებს სწაე-  
ლა რათ უნდათო“, დიდი მადლობა  
უთხრეს. მნლა ყველასა ჰსურს მიიყვა-  
ნოს ამ შკოლაში თავიანთი შეილე-  
ბი.

დროება, 1880, №148

\* \* ბათუმიდამ გეწერენ: მკითხვე-  
ლებს მოეხსენებთ, რომ როტშილ-  
დმა დიდი საქმე დაიწყო ბათუმში.  
ეს დიდი საქმე ნაეთის მრეწველობის  
საქმეა. ოთხმა მილიონმა ფულმა  
უნდა იტრიალოს ჩვენში! ამ საქმე-  
ში უფრო ის არის საინტერესო, რომ  
საქმის მმართველებად ჩვენებურები  
არიან. ეს პირველი ნაბიჯია ჩვენში,  
რომ დიდს საეპკორო საქმეს ხელი  
მოჰკიდა ქართველმა. ეს საქმე ჩვენც  
და ყველა უცხოელებსაც აშკარად და-  
ნახებებს, გვაქვს ჩვენ, ქართველებს,  
ვაჭრული ალლო, საკომერციო ფხა,  
თუ არა. ეს საქმე ძალიან დიდი და  
ძნელი გამოსაცდელი გაკვეთილია  
ქართველებისთვის. სრული იმედი  
უნდა ექონიოთ, რომ ბნნი ერის-  
თაეი და ორბელიანი ამ საქმეს სრუ-  
ლის სიდარბაისლით და ენერგიით  
მოჰკიდებენ ხელსა და დაანახებენ  
საზოგადოდ მთელს სოედაგრობას,  
რომ ქართველებსაც შესძლებიათ სოე-  
დაგრობა. მაშ გულწრფელად ვისუ-  
რავებ, რომ ქართველებშიაც გამრ-  
ელდნენ ქართველი სოედაგრები, რო-  
მელნიც ქართველთა სახელოვანს გუ-  
თნის-დედასთან ერთად განაკარგებენ  
ჩვენს ეკონომიურს კეთილ-დღეობას.  
ხოლო ყველამ იცის, რომ ეკონო-  
მიურს კეთილ-დღეობაზედ დამოკი-  
დებულაა გონებრივი და ზნეობრივი  
სიკეთეა.

ივერია, 1886, №264

\* \* წინამძღვრით სამეტრნეოსკოლაში დაუწყეთ შევირდებს საუკეთესო ფუტკრის სკის კეთება. იქ გაკეთებული ფუტკრის სკა დაღნოესკისაგან მოგონილის სკის მსგავსია თურმე. მსურველს შეუძლიან ამ გვარი სკა, რომდენიც უნდა, იმდენი შეუკეთოს ზემოხსენებულს სკოლას.

ივერია, 1886, №242

\* \* ქუთაისში იქაურს ფულიან კაცებს, რომელნიც ქვა-გუნდის საქმეებს მისდევენ, განუზრახავთ ჰგზავნონ ქართველი ყმაწვილი კაცები საზღვარ-გარედ, უფრო-კი საფრანგეთში, ქვა-გუნდის საქმეებისა და საზოგადოდ საეაქრო და სამრეწველო საქმეების შესასწავლად. ბ-ნს მოსეშვილს უკვე გაუგზავნია ამ აზრით მარსელის ქალაქში ერთი ახალგაზდა ქართველი კაცი, გვარად გაჩეილაძე.

ივერია, 1888, №62

\* \* «ახალ მიმოხილვაშივე» ვკითხელობთ: იუზბაშევის ტკბილკულობის ძალაზიის გამართვის შემდეგ 50 წლის შესრულების დღის, ე. ი. 10 მაისის, სადღესასწაულოდ ამ ფირმას დაუმზადებია 150 გირვანქა კონფექტი, რომლის შემოსაქალიც წინამძღვრით კარის სასარგებლოდ შეუწირავს და რომლისათვისაც ამიტომ «წინამძღვრით კარის კონფექტები» დაურქმევია.

ივერია, 1890, №90

\* \* დღეს, 14 ივლისს, ტფილისის საბალოსნო სკოლიდგან წავიდნენ ჩაქვას და ბათუმს აბრეშუმის მოყვანის შესასწავლად გამოგზავნილი 30-ზედ მეტი მასწავლებელი ხსნებულ საბალოსნო სკოლის მმართველ კლასენთან ერთად. ჩაქვასა და ბათუმში მასწავლებლები ადგილობრივ დაათვალიერებდნენ ჩაქვას პლანტაციებს და მისს მოვლა-მოყვანას გაიცნობენ. მასწავლებელთა გარდა წავიდნენ აგრეთვე საბალოსნო სკოლის უფროს კლასის მოწაფენი, რომელთაც საგზაო ფული მიეცათ და რკინის გზის მმართველობამ შეპირებულ ფასად დაუთმო ვაგონი.

ივერია, 1895, №

**\*\* ქუთაისის სააბრეშუმო და საქსოვი სახელოსნო.** ცხრა ამ თვისას ქუთაისში ბ-ნთ არტემ და ილ. ანჯაფარიძეებმა მიიწვიეს თავიანთს ახალ გამართულ სააბრეშუმო და საქსოვ სახელოსნოში ქუთათური ვაჭრობისა და მრეწველობის წარმომადგენელნი, რომლებზედაც ჩინებული შთაბეჭდილება მოახდინა სახელოსნომ თავისი უახლესი სისტემის ხელსაწყოებით, დიდი ძვირფასი მაშინით და, მეტადრე, ნამუშევართ: ცალმაგი და ორმაგი დარაიები, ნოხები, შალის მატერიები, სატანისამოსოთ დამზადებულნი, მანჩესტერში გაკეთებული ეგონებოდა კაცს და არა ჩვენს გულგატეხილს, საბრალო ქუთაისში.

დაწვრილებით ბ ნთ ანჯაფარიძეების სახელოსნოზე შემდეგში არა ერთხელ გვექნება საუბარი («მეურნე».)

ცნობის ფურცელი, 1896, №43

**\*\* მაგრამ ბალში წასვლა კი უფრო საინტერესოა; განსაკუთრებით იმ ბალში, რომელსაც შეიძლება დავარქვათ „დიდი ბალი“, რომელიც სახელ-განთქმულია, (არათუ ქუთაისში, მთელს იმერეთში, რომელიც მუდამ წელ ბეჯითად ჰსრულდება, რომელზედაც ბევრს ამ დღისთვის მდიდრათ მორაუღოს ქალებს გული უმხიარულდება, მათ ქმრებს გული უწუხდება და ვაჭრებს ჯიბე უმსუქდება. ამ კმაყოფილების მიღება დიდათ ჰღირს; ამ კმაყოფილებასთან ყველაფერი ჰქარგავს თავის მნიშვნელობას: დროც, სიშორეც, შეძლება, ვითომ კარგი მიმართულება; მთელი ღამე ერთს მინუტად ჰხდება, სამოცი და ოთხმოცი ვერსტი—ათად, სამასი მანეთი—ერთ კაბად, ათი თორმეტი წლის წინააღმდეგობა—მეგობრულ განწყობილებად, თუმცა დარწმუნებით კი შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ „ჩვეულება სჯულთ უმტკიცესია“, რომ ვინც გასერილა თავის წინაპართ საზიზღარი ჩირკით და ვისაც მთელი თავის სიცოცხლეც კი ვინმეტერობაში გაუტარებია, ის ბოლოს როდესაც ეღირსა თავის სურვილის დაგვირგვინებას, მოოქრულს გვირგვინს არ გახცელის ეკლისაზე....**



\* \* \* გორის ციხის მოწყობა. კავალერიის გენერალს თავ. ი. გ. ამილახვარს განზრახვა აქვს გაიყვანოს თავისი ხარჯით წყლის მილი მდ. მტკვრიდან გორის ციხეში, გააშენოს იქ ბაღი და გაანათოს მთელი ციხე ელექტრონით.

\* \* \* ლატარია-ალეგრამ, წერა კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების სასარგებლოდ გამართულმა გუშინწინ მუშტაიდში, საუცხოვოდ ჩაიარა. საზოგადოება დიდძალი დაესწრო, როგორც მალალი წოდება, აგრეთვე მღაბიო ხალხი. ლატარიის ნივთები მეტად ბევრი იყო და ყველა აღვილად იგებდა ნივთებს, რამაც დიდად ასიამოვნა ხალხი. ლატარია-ალეგრის გამგე, ჩვენი ყოვლად პატივცემული კნენა ოლგა თადეოზის ასული ქავჭავაძისა, ჩვეულებრივ ყველგან თავდარიგობდა და მიტომ იმოდენა აუარებელ ხალხში მოგებულის ნივთების დარიგება წესითა და რიგით ხდებოდა. ალეგრის ყუთებთან იღვანენ ჩვენნი წარჩინებულნი თავადაზნაურთა მეუღლეინი და ქონნი, რომელნიც მომხიბლავის თავაზიანობით ჰყიდნენ ბილეთებს. სეირნობა შუადღისას დაიწყო და გათავდა ღამის 11 საათზე. უმკველია, შემოსავალიც ბევრი იქნებოდა.

ცნობის ფურცელი, 1897

## განსართობი

ამ დროისათვის მცნება

(მიბაძვა)

1) მე, ესე იგი, ფული, ვარ სალოცავი შენი და არა იყვენ შენდა სალოცავნი სხვანი ჩემსა გარეშე.

2) არა ჰქმნა თავისა შენისა კერპი, არცა ყოვლადე მსგავსნი, რაოდენი არს ქვეყანასა ზედა ქვე და რაოდენი არს წყალთა შინა და ქვეშე ქვეყანისა. თავყანსა სცემდე ფულსა შენსა და მსახურებდე მას.

3) არა მოილო ზანდუკი ფულისა შენისა სამწეოდ მოყვასისა შენისა.

4) მოიხსენე დღე იგი შაბათი და წმიდა ჰყავ იგი, — ექვსსა დღესა მხოლოდ ჰხვეჭდე ფულსა და ჰქმენ მათ შინა ყოველივე ფულისა მოსა ხვეჭად, ზოლო დღე იგი მეშვიდე არს ფულისა შენისა, დაჯედ და სთვალე იგი.

5) პატივი ეც მამასა შენსა და დედასა შენსა, ბებიასა შენსა, ბიძასა და ყოველსა ნათესავსა შენსა, ვისაც-კი ბლომად მოეპოვება ფული და არ მოეპოვება სხვა მემკვიდრე, რათა ჟამსა სიკვდილისასა ფული თვისი გიანდერძონ შენ.

6) არა კაც ჰკლა, ეცადე შოლოდ წაართვა მას საცხოვრებელი ისი.

7) არა იმრუშო, თუ მრუშობისა მის გულისათვის ფული გაგეღების.

8) იპარე ფული და ყოველივე იგი, რაიცა ფულად გაიყიდების, ხოლო ეცადე-კი არ მოგასწრონ პარვასა მას ზედა.

9) არა ცილი სწამო მოყვასსა შენსა და არა წარსდგე წამებითა ცრუი თა წინაშე სასამართლოსა, ვიდრე ცრუ მოწმობისათვის ნაღდს ფულს არ დაგითვლიან.

10) არა გული გითქმიდეს ვენახისათვის მოყვასისა შენისა, არცა ყანისათვის მისისა, რამეთუ ყოველსავე ამას შრომა უნდიეს სასტიკი და ძლიერი; არა გული გითქმიდეს არცა მამულ-დედულისათვის მისისა, რამეთუ ყოველივე ეს ბანკსა შინა არს დაგირავებულ და ხელს არ მოგცემს.

ივერია, 1897, №

\* \* \* სადაჯაშვალის ქარხნას წესრიგა. დავით ზაქარიას ძე სარაჯიშვილის არყის ქარხანაში, რომელიც ვერაზეა გამართული, ამ ჟამად დიდძალი ქართველი მუშა ხალხი ჰპოულობს საზრდოს და საქმეს. ქარხანა ყოველს ღონეს ხმარობს, რომ მუშას შეუშუბუქოს ჯაფა-შრომა, მუშის ვარამი —საკუთარ თავის ვარამად მიაჩნია, ვაჭირვებაში ხელს უწყობს და ეხმარება მუშას; გარდა ამისა, ბ. სარაჯიშვილი დიდს ღვაწლსა სდებს მუშათა გონებრივს და ზნეობრივს განვითარებას. დ. სარაჯიშვილს თავის ქარხნის მუშებისათვის აქვს საკუთარი აფთიაქი, რომლისგანაც, საჭიროებისა-და გვარად უსასყიდლოდ ეძლევათ მუშებს წამლები, აქვს აგრეთვე აბანო, გამოწერილი აქვს მუშებისათვის ადგილობრივი ჟურნალ-გაზეთები და ნასადილევს მოსვენების დროს მუშები კითხვას შეეჭკევიან. საკითხავად მუშებს ურიგებს ბ-ნი სარაჯიშვილი სხვა-და-სხვა გვარს სასარგებლო და საინტერესო წიგნებს.

ნეტავი სხვა ქარხნების პატრონებიც მაჰბაძავდნენ ბ-ნ სარაჯიშვილის სამაგალითო საქციელს.

ცნობის ფურცელი, 1898, №576

\* \* \* ახლა თუ გნებავთ იცოდეთ, რას ასწავლიან, ან როგორ ასწავლიან ბრძემბს ამ სკოლაში, მიბრძანდით გამოფენაზე და დათვალიერეთ ბრმათა ხელის ნაწარმოები. თვითონ რომ არ ჰხედავდეთ მშვენიერის მოხდენილობით იქვე მჯდომარე ბრმის მუშაობას, არც კი დაიჯერებთ, რომ იქ გამოფენილი ნივთები და საგნები ბრმის ხელმა გააკეთაო. კალათები, ჩოტკები ბევრ ნაირი, ქალთა ხელ-საქმის ნაწარმოები, ქსოვილები, ქანდაკება თიხისა და სხვ.—ყველი ესენი ცხადთ დაგიმტკიცებთ სკოლის დიდ ნაყოფიერებას. აქვე გამოფენილია ყოველგვარი სასწავლო ნივთი და სახელმძღვანელო ბრმათა სკოლაში სახმარებელი განყოფილების გამგეა ბ-ნი თ. შოშინი, რომლის ხელ-მძღვანელობით პატარა ბრძემბი აქვე გამოფენაზე მოსულ სტუმრების წინ კითხულობენ, სწერენ, არითმეტიკაში ვარჯიშობენ და გეოგრაფიაში მკვირცხლ პასუხს იძლევიან. ყველა ამისათვის განსაკუთრებით ბრმათათვის სახმარებელი სახელმძღვანელოებია მოგონილი.

დიდი საქმეა ბრმაც ისე დაიხლოვოს თვალ-ზილულმა, რომ შეაჩვიოს თვით მოქმედებას და ნაყოფიერს შრომას, რომლის შემწეობით იგი თავის თავს იოლად გამოიყვანს ცხოვრებაში. ჩვენ მხოლოდ ის უნდა ვუსურვოთ ამ სკოლას, რომ მისი მოქმედება და კეთილი ღვაწლი იმდენად გაფართოვდეს, ბევრი ბრმა-მოწაფე შეიფაროს თავის კალთებ ქვეშ. ვისურვოთ სრული განვითარება იმიტომ, რომ ჩვენში მეტად ბევრია ბრმა მოზარდი.



\* \* ს. რუისპირი (თელავის მარა). აქ მოიბა-  
ნა თ. რევაზ გრიგორის ძემ შუაშვილმა თავის  
ხარჯით, ვკონებ, თორმეტი სეტუვის წინააღმდე-  
გი მორტირი და ოთხსაც მოელან. ეს თორმეტი  
მორტირი შემოუმწკრივა ირგვლივ რუისპირს და  
არტოზანს. ამ თვის თხუთმეტამდის უველა დამა-  
რთეს სასროლად და კიდევ სცადეს და გაისრო-  
ლეს.

17 ამ თვეს სადამო ხანზე მოიდრუბლა და  
დაიწყო ტექა-ქუხილი და მოაყოლა ავდარი; თანაც  
სეტუვის ნიშნები აშკარად სჩანდა, მაგრამ ისეთ-  
ნაირი სროლა ასტეხეს, რომ, გეგონებოდათ,  
ოშია სადმო და ხელად გადაჭყარეს დრუბლები  
და გადაარჩინეს სეტუვისკან რუისპირი და არტო-  
ზანი. დასეტუვა მხოლოდ ს. ოქო, რომელიც  
იქმნება ექვსი-შვიდის ვერსის მანძილზე ს. რუ-  
ისპირიდან.

დღეს აქნობამდის თუმცა საუფლისწულო მამუ-  
ლებში ქქონდათ მორტირები და კიდევ არჩენდნენ  
თავიანთ მამულებს სეტუვისკან, მაგრამ დანამ-  
დვილებით არ სჯეროდა ხალხს, რადგან თავიანთ  
თვლით ვერ ქნუდავდნენ. ესლა-კი დარწმუნდნენ;  
რომ მორტირები ნამდვილად სასარგებლოა, რად-  
გან უველამ ჭინხა ამ თვის 17-ს, თუ როგორ  
დაშაღეს დრუბლები; უველა ამ მორტირებისკენ  
გარბოდა და უფურება სვირს. თუმცა ავდარი იყო,  
მაგრამ მაინც უველა იქით მიიფლტოდა. ვინც კი

ივერია, 1902, №29

\* \* მისაბასა მაგალითი. განსვენებუ-  
ლის სტეფ. კონსტ. ზუბალაშვილის ძმებ-  
მა: ლევან, პეტრე და იაკობ ზუბალაშვი-  
ლებმა, თავიანთის ხარჯით ერთი ხელი  
ტანისამოსი შეუკერეს კათოლიკეთა მიძი-  
ნების ეკლესიის სამრევლო სკოლის ყვე-  
ლა მოსწავლეთ. იმათისავე მინდობილო-  
ბით, თვ. პ. ი. თუმანიშვილმა დაურთვა  
ყველა მოსწავლეთ თითო მანეთი და აგ-  
რედვე უხვად დააჯილდოვა ამ სკოლის  
მასწავლებელნიც.

ივერია, 1904, №234

\* \* ჩვენ ქალთა შორის გამოჩნდა ჯერეთ ერთად ერთი ყმაწვილი ქალი—მეურნე, მქადაგებელი მეურნეობის ცოდნისა, განვითარებული თეორიით და ვარჯიშობით საზღვარ-გარეთ სამეურნეო საგნებში. ეს ქალი არის ეკატერინე ჯანდიერის ასული. დღეს იგი ვარჯიშობს კახეთში, სოფელ ვაჩნაძიანში, თავის მამის მამულში. იმისმა სამეურნეო ცოდნამ და გონიერულმა ვარჯიშობამ გამოიწვია თანაგრძნობა და სიყვარული მეურნეობის შესწავლისა გლეხ-ქალთა შორის. თავად ეკატერინე ლევან ჯანდიერის ასულის ხელმძღვანელობით გლეხების შეიღებო—ქალები ვარჯიშობით ითვისებენ სამეურნეო ცოდნას. ამ ორი თვეში ამ ქალის მეოხებით გავრცელდა მიდამო სოფლებში მოვლა-მოშენება ბოლქნარებისა: კომპოსტოსი, კარტოფილისა, ბადრიჯნისა და სხვა და სხვა საბოსტნო მცენარებისა, რაიცა მოსალოდნელიც-კი არ იყო.

ღმერთმა ჰქმნას ჩვენში გაპხირდეს იმისთანა ქალები — მეურნენი, როგორც თავადი ეკატერინე ლევან ჯანდიერის ასულია, მოსიყვარულნი სამშობლოსი და გულ-მოდგინე მთესავენი სიკეთისა ჩვენ ქვეყანაში.

ი. წინამძღვრი შვილი.

ივერია, 1909, №35

\* \*

დღეს დღეობით რამდენიც უნდა ეხვეწოთ უცხოელებს „გაგვიცანით“, „შეგვიყვარეთ“, „შეგვიცოდეთო“ ყურადღებას არავინ მოგაქცევთ. შექმენათ ერთი ერთის მაზნით შეერთებული, ერთის სურვილით აღფრთოვანებული, კულტურით შეკავშირებული და თვითონ გაგიცნობენ, თვითონ მოვლენ, თვითონ გაიგვიენ თქვენ ქირ-ვარამს.

თორემ, სად ყოფილა რომ ისეთ ერს რაიმე პატივისცემა დაემსახურებინოს, რომელიც თავის თავს ვერც კი იცნობს, თავის მტერსა და მოყვარეს ვერ არჩევს, გრძნობით და გონებით ჩამორჩენილია.

## Economic Concepts in Georgian Fiction

As a result of fragile boundaries existing in humanitarian sciences lately, there was created new communication space, in which the direction “the new economic criticism” grown on the crossroad of

literature and economics in 90-ies of the last century, occupies an increasingly strong position. One can confidently say that this is the only method of interpretation of literary texts, which has not yet been used during the activated survey process of Georgian literature. The increased interest of literator in economics and on the contrary of economist in literature, created a unique opportunity of the relationship of economic concepts with literary archetype, which in turn was based on Pierre Bourdieu’s symbolic capital theory and the conception of social and human capital by the representative of famous Chicago School Harry Baker. In the case of setting the question from proper standpoint by using the method of economical criticism it is possible to reveal the quality of influence of economic relations and economic transformation existing in society on literary facts that is expressed not only on the existence of these texts, but also on their content and species system.

The extremely ideological Soviet literary-knowing created certain stereotypes of representation of Georgian culture, in the context of which Georgian literature of XIX-XX centuries is discussed as generation discourse of concepts and mainly Mythic - poetic ideas. In fact, the Marxist-Leninist aesthetics, extremely limited social criteria of assessing the artistic text

used to take adequate understanding of concept, the possibility of their general perception in Euro-cultural section and the problems expressed by Georgian writers to the minimum. With such analysis of literary text which serves proper socialization of individuals and elimination the distance between culture and society has been run out.

After known paradigmatic shifts when the country gained independence in the 90-ies of XX century, our literary-knowing faced the need to expand the interpretational boundaries of the text. Right with this direction, “the new economic criticism” may overcome the Soviet practice of working on the text and present the ideas of the little-known or “exhaustively researched” authors in different perspectives.

In the frames of this project for the realization of this goal, we had used three main vectors of economic criticism of interests: literature, economics, economics in literature and so-called position in the middle of literature and economics. The first of these - economics of literature – analyses economical (on professional and institutional level) aspects of literature as one of the forms of activity. Along with literary text production and circulation factors, such as circulation, mass and elite market, literary marketing, honorary and patronage it studies the professionalizing process of writing that was very interesting for us and the character of its development makes certain impression on specific cultural environment and our social reality and social history. From this standpoint it was very significant first to compare literary activities of the first professional poet Akaki Tsereteli and his full antipode, Vazha Pshavela, not to mention the complex of difficulties that had to be overcome by the first Georgian

publishers (e.g. St. Melikishvili, Entiajints or E. Kheladze) in the context of an inadequate approach. The second vector - economics in literature interprets the economic problems reflected in literary

texts and economic events and understanding placed inside literary works. Following the conceptual considerations about functioning of new economic forms by Max Weber on anatomizing (we are interested in the short history of the development of economical structure of this very social-economic structure in Georgia) the “spirit” of capitalism, it became possible to focus on such problems as a conflict between national-religious ethos and the new capitalist ethos intruded from the last thirds of the 19th century or cause-effect of urbanization rate not only on realistic (from G. Eristavi up to M. Javakhishvili), but also on the modernistic (e.g. taking into consideration the works of N. Lortkipanidze, early K. Gamsakhurdia and D. Shengelaia, St. Kasradze, M. Mrevlishvili, I. Ioseliani, P. Nozadze) texts; there was also revealed the relationship between the speech and the question, the concepts of “greed – interest” and “gift”, principles of tragic conflict of “ideological human being” activated in 10-20-ies of XX century. According to the mentioned study material there were focused such antinomies as, cities and villages, “sword” and “abacus” fatherland, as a metaphor and as an economic factor. As for the third vector - in the middle of literature and economics - it was aimed at making analysis of their common rhetorical nature and inter-literary and economic discourse influence, attract attention to the rhetoric of economics and textual rhetoric. Besides rhetorical, there was revealed the interest to philosophical and semiotic analogues of these

two discourses. We could estimate the degree of correlation between artistic and economic discourses (e.g. in the works of M. Javakhishvili); and according to logical-assessing discussion of Akaki Tsereteli, G. Tsereteli, Vaja Psavela and Alexander Kazbegi, and on the base of species system to study the dependence of Georgian society to interrelationship of money representative function of so-called “the fifth element” and other representative practices.

As chronological framework for the study there was taken the edge of the centuries, particularly the second half of the XIX century till 30-ies of XX century, the period of time that from our point of view, could accommodate the first (1860-1907) and second (1907-1930) stages of Ilia Chavchavadze’s modernized project. Taking into consideration the modern demands of moving the look from everyday activities to the conceptual values, we thought it necessary to study not only the literary - aesthetic and economic sense of history, so called, field independent scientific research (which has been already successfully implemented), but also to focus on the process of intercrossing of these two areas in very important section of Europeanization of Georgian culture. Revealing and analyzing the cause-effect of this fact, was opened new space for thinking that will intentionally ‘work’ on recovery of our literary and economic memory. New methodology of economic criticism means possibilities of systemizing the other cultural issues from certain aspects as well. It highlights the efforts of the Georgian figures (Ilia and N. Nikoladze, G. Kikodze, M. Javakhishvili, R. Gabashvili or P. Gogichaishvili) directed to formation of civil consciousness and, consequently to replacing of literature-



centrist society with socio-centrist society.

This diversification carried crucial importance for the country in which there existed the long tradition of domination of archaic economic forms caused by the specifics of the historical development. The mentioned breakthrough had to neutralize the contradictory features sublimed in the archetype of Georgian culture. Unfortunately, due to socialist ideas and then being captivated with the Bolshevik demagogues, refusing the tangible results achieved on the way of the reformation and finally the involvement in “the history of other population” caused interruptions of the process of setting the society capable of self-organization and “the self-acting country” in consciousness of Georgian society. The fact is that we face the recurrences of this phenomenon even nowadays.

During discussing about the methodology of our work it should be concretely noted about scientific qualifications and competence of the members of the working group: the manager of the project is doctor of philology Nona Kupreishvili researcher of Georgian literature of XIX-XX centuries. The clear interest in interdisciplinary research is evident in her scientific works and literary letters that became a tool of detection and analysis of new vision of seemingly well-known literary texts. In the book by Nona Kupreishvili “tasting the word” is presented innovation in many ways. And the interest to “economic criticism” as the effective method of research appeared a few years ago, when newspapers were published and a course of lectures about thinking of the classical writers on the economic were read. The works of Solomon Tabutsadze are distinguished by scientific interest in the questions of

literary theory. His book “Direct object” deserves special attention, which contains not only so-called transcriptions of those methodological novelties of philological study, but also the interpretations that are actively used in practice over the last two decades.

Professor Nino Vakhania has been studying the basic tendencies of the history of literature of nineteenth-century for a long time. Her voluminous work “Our nineteenth-century” describes the history of development of Georgian public opinion taking into consideration the new methodological trends. Additional staff was selected on the principle that the grant work is based on interdisciplinary methodology of the research, therefore variety of this issue required involvement of the experts not only in literature, history and theory, but also in sociology and economics. In the project had been working professor Emzar Jgerenaia, a well-known sociologist and author of numerous scientific studies and professor Giuli Keshelashvili, researcher and expert on economic issues.

According to the authors’ intention, the work had take into account the latest achievements of Georgian humanitarian science. In case of implementation of mentioned project the new interdisciplinary field of research, called “economic criticism” had become the base of Georgian reality. This is the attempt to read not only humanitarian culture, but also the new social life in new way. The book published in the frames of project may be actively involved in educational space and can render some practical assistance to the history of Georgian literature, and to Georgian social and economic researchers as well.



Editor –Professor Irma Ratiani, a highly qualified specialist, the scientist of cultural analysis and innovative methodologies as well, who has extensive experience in editing scientific papers, had introduced with the presented study and had made corresponding corrections in it.

The consultant of the project in the history of literature was Doctor of Philology Maia Jaliashvili, who had searched the material that has already been published on this topic at all stages of the work of scientific group, then introduced this material to the members of the group and reviewed the material collected at the following stages and the texts presented by the members of the group.

Consultant in the field of literary theory professor Tamar Lomidze had searched for the Englishlanguage theoretical material, had processed and introduced it to the members of the group in order to establish the working concepts. It had also provided an adequate methodological assessment of the principal performers.